

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

სოლომონ ყუბანეიშვილი

ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან

(X X საუკ.)

II

ნაკვეთი პირველი



გამომცემლობა „მეცნიერება“


თბილისი

1973

8Г1+679.5(C41) (09)
899.962.1.092 (რუსთაველი)+655.1(47.922) (09)
ყ 862

ნაშრომში წარმოდგენილია ცნობები ვეფხისტყაოსნის ბექდის ისტორიიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე. ამ პერიოდში პოემა თოთხმეტჯერ გამოიცა. წიგნში განხილულია თითოეული მათგანის ტექსტოლოგიური საკითხები, დაზუსტებულია თარიღები და ტირაჟი, მოცემულია ამ გამოცემათა პოლიგრაფიული აღწერილობანი და ნაჩვენებია რა საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა ამა თუ იმ გამოცემას.

7-2-2
77-72 აღგ.



ბამოცემლობა „მეცნიერება“, 1973.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

წინამდებარე ნაშრომი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიის მეორე ტომის პირველ ნაკვეთს, რომელიც მოიცავს 1903—1937 წლებს. უკანასკნელი წლის გამოცემებიდან აქ წარმოდგენილია მხოლოდ საიუბილეო გამოცემის პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი და მომდევნო გამოცემები განხილული იქნება ამ ტომის მეორე ნაკვეთში. მეოცე საუკუნეში პოემის ბექდვის ისტორიის ნაკვეთებად დაყოფას საფუძვლად უდევს გამოცემასთან დაკავშირებული ტექნიკური მიზეზები.

ვეფხისტყაოსნის გამოცემებიდან ყველაზე მეტი დოკუმენტი მოიპოვება საიუბილეო (1937 წ.) გამოცემაზე. ისინი დატულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა და ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის არქივებში.

ვეფხისტყაოსნის 1937 წ. გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები ჩვენთვის ცნობილია საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ჩასწორებული ასლების სახით, აქლია მხოლოდ ოქმი № 57, სადაც მოცემული უნდა ყოფილიყო ცნობები 158—160 სტროფებზე.

კომისიას ტექსტის დადგენისას საბუშაოდ მიღებული ჰქონდა სარგ. კაკაბაძის მიერ 1914 წ. გამოცემული ვეფხისტყაოსანი. ამ გამოცემასთან აწარმოებდა ის წყაროთა მონაცემების შეპირისპირებას და ტექსტის დადგენას, მაგრამ მუშაობის დროს ზოგჯერ ეს წესი არ ჩანს დატული. ასე მაგ., ოქმში 292-ე სტროფის პირველ ტაეპში დაბეჭდილია სიტყვა მო გ ე გ ე ბ ი ა ნ, რომელსაც კომისია ასწორებს — მომეგებინ. ამისდა მიხედვით სიტყვა მო გ ე გ ე ბ ი ა ნ უნდა ყოფილიყო ს. კაკაბაძის გამოცემაში, მაგრამ იქ მის ნაცვლად ის სიტყვაა დაბეჭდილი, რომელსაც კომისია ღებულობს — მომეგებინ. ანდა: 277-ე სტროფის მესამე ტაეპის შესახებ ოქმში წერია: და ნაბადია, გასწორდა — დანაბადია, მაგრამ ს. კაკაბაძის გამოცემაში წერია არა და ნაბადია, არამედ ისე, როგორც კომისიას დაუდგენია დანაბადია. ასეთ შემთხვევებში კომისიის მიერ საგანგებო დადგენილების გამოტანა სა-

კირო არ იყო. ანალოგიური მაგალითები საკმაო რაოდენობით მოიპოვება ოქმებში (იხ. მაგ. სტრ. 156,4; 259,3; 309,4; 318,4 და სხვ.), რაც გვაფიქრებინებს, რომ ასეთ შემთხვევაში კომისიის წევრთა შორის ალბათ ნაბეჭდი სიტყვის შეცვლაზე თუ იყო აზრი გამოთქმული და მან ასახვა ვერ პოვა ოქმებში. საერთოდ, ოქმები ბევრ შემთხვევაში ვერ ასახავენ წაკითხვებში შეტანილ შესწორებებს, მაგ., 271-ე სტროფში ერთი გასწორება არის აღნიშნული — აეგების-დაეგების; ს. კაკაბაძისა და საიუბილეო გამოცემათა შედარებიდან კი ჩანს, რომ ასეთი შესწორებები შეტანილია პირველ ტაეპში: ცრემლი-ცრემლით, მეორე ტაეპში: რადგან-რათგან, მეოთხე ტაეპში: ქნას-ქმნას. 276²-ე სტროფის წაკითხვებზე არაფერია აღნიშნული, ნამდვილად კი პირველ ტაეპში რისამე გასწორებულია — რასმე. 287-ე სტროფზე ნათქვამია, რომ წაკითხვებში ცვლილებები არ შეტანილაო, მაგრამ იქვე აღნიშნულია რამდენიმე შესწორება.

ზოგ სტროფზე ჩანართ-ძირითადობის საკითხებს კომისია რამდენიმე სხდომაზე იხილავდა. ჩვენ უმჯობესად ვცანით სტროფის მთლიანი ისტორია ერთად მოგვეცა, რისთვისაც გაფანტულ ცნობებს ერთად მოვუყარეთ თავი. ტექსტის დადგენისას მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში კომისიის შემადგენლობიდან ვინ იღებდა მონაწილეობას, ამიტომ ნაშრომში ეს ცნობაც გვაქვს მოცემული.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტროფებზე ოქმებში კომისიის დადგენილება არ არის აღნიშნული, ანდა კომისიამ ესა თუ ის შესწორება მიიღო თუ არა. ასეთ შემთხვევაში მივმართავდით საიუბილეო გამოცემის ტექსტს და იმისდა მიხედვით აღვნიშნავდით სტროფების ძირითად-ჩანართობის საკითხებს. რაც შეეხება ცალკეულ წაკითხვებს, აქედან წარმოდგენილი გვაქვს მხოლოდ ის, რაც ოქმებშია მოცემული, გასწორებულია მხოლოდ აშკარა კორექტურული შეცდომები, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად მოიპოვებიან. როგორც ცნობილია, საიუბილეო გამოცემა არ დაბეჭდილა ზუსტად ისე, როგორც ტექსტის დამდგენ კომისიას ჰქონდა გამზალბეული, ამიტომ ზოგჯერ ძნელი ხდება იმის გარკვევა, დადგენილი წაკითხვა ოქმში სწორად არის აღნიშნული თუ შეცდომით. ასეთ შემთხვევაში მათი შესწორებისას სქოლიოებში ოქმის წაკითხვებსაც ვიძლევი. გვხვდება სხვა უზუსტობანიც, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ვეფხისტყაოსნის 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენ კომისიის ოქმებს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიური საკითხების შესწავლისათვის. „ეს ოქმები, — წერს აკად. კორნ. კეკელიძე, სადაც ფიქსირებულია კომისიის წევრთა მოსაზრებანი, დებატები, რეფერატები და მოხსენებანი, შეადგენენ რუსთველოლოგიის, როგორც მეც-

ნიერების, ძვირფას მონაპოვარს. მათი წაკითხვისას თქვენ ეცნობით მეცნიერული რუსთველოლოგიის მთელ სკოლას და ვეფხისტყაოსნის საკითხების მეცნიერული აზრის უკანასკნელ მიღწევებს¹. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საქმეში დიდი შრომა აქვს გაწეული კომისიის წევრსა და მდივანს სოლომონ იორდანიშვილს.

ნაშრომის ადვილად გამოყენების მიზნით, მეორე ტომის ნაკვეთებს ერთვის ვეფხისტყაოსნის კაკაბაძისეული (1914 წ.) და საიუბილეო (1937 წ.) გამოცემათა ერთნაირი სტროფების საძიებელი. საიუბილეო გამოცემის სტროფთა საძიებელი ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემებთან² კი იხ. წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტები“. თბ., 1964 წ., გვ. 243 — 273.

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, 1961, გვ. 282.

² შ. ბროსეს (1841 წ.), დ. ჩუბინაშვილის (1860 წ.), ქართველიშვილის (1888 წ.), დ. კარიჭაშვილის (1903, 1920 წწ.), ი. აბულაძის (1914, 1926 წწ.), ს. კაკაბაძის (1927 წ.), კ. ჭიჭინაძის (1934 წ.), პ. ინგოროყვას (1933 წ.), მ. წერეთლის (1961 წ.). ამათი სტროფთა საძიებელი შეადგინა ბ. დარჩიამ.

შრიტტების აღწერილობაში დახმარებას მიწვევდა ასოთამწყობი ანდრო თოდუა.

I

მე-20 საუკუნის დასაწყისში კვლავ დაისვა საკითხი ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის შესახებ. 1900 წ. 3 ივნისს ექვთ. თაყაიშვილმა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას მოახსენა გ. ქართველიშვილის შეწირული თანხით მეორედ დაბეჭდილიყო 1888 წ. გამოცემული ვეფხისტყაოსანი „ყველა ცნობილ ვარიანტებთან შედარებით“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ექვთ. თაყაიშვილის წინადადება მიიღო და გამოცემა დაავალა „წიგნთსაცავ კომისიის“ წევრებს, მაგრამ ეს დადგენილება მაშინ არ განხორციელებულა.

1902 წელს კი პოემის გამოცემის საშუალის შეუდგა კ. თავართქილაძე. აღნიშნული წლის 4 სექტემბერს მან საცენზურო კომიტეტისაგან გამოითხოვა სათანადო ნებართვა, რომელიც მიიღო 5 სექტემბერს.

გამომცემელი ფიქრობდა ვეფხისტყაოსანი დაებეჭდა მ. ზიჩის ილუსტრაციებით, რისთვისაც 1903 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სთხოვა ნებართვა. გამგეობამ იმავე წლის 26 მარტს (თავმჯდომარე ნ. ცხვედაძე) უარი უთხრა კ. თავართქილაძეს, რადგანაც მას დავალიანება არ ჰქონდა გამგეობასთან გასწორებული. დადგენილებაში ისიცაა აღნიშნული, რომ კ. თავართქილაძეს „თუ შესაძლოა, აღეკრძალოს ახალი გამოცემა ვეფხისტყაოსნის საზოგადოების სურათებითო“¹. ასეთი დადგენილება კი გამოწვეული იყო, ალბათ, იმით, რომ ამ დროს თვითონ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ამზადებდა პოემის ახალ გამოცემას.

კ. თავართქილაძემ გაასწორა ანგარიში საზოგადოებასთან და 1903 წ. დაბეჭდა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა. წიგნის გავრცელების ნებართვა ცენზურისაგან მიიღო იმავე წლის 28 აპრილს (ცენზორი გ. ეურული).

¹ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქმე № 911.

წიგნის თავფურცელზე ნახევრად ოვალურად დაბეჭდილია პოემის სახელწოდება ჭსილოგრაფიული წესით შესრულებული. სხვა წარწერებისათვის გამოყენებულია შემდეგი სტამბური ასოები: აკადემიური 12, წვრილი კორპუსი, შავი მთავრული 16, 8 მთ. შავი, პეტრიტითერი, 12 შავი მთავრული, აგრეთვე დაბეჭდილია ფიგურალური ხაზი და ბორდიური.

თავფურცლის მე-2 გვ. დაბეჭდილია რუსულად ცენზურის ვიზა 4 სექტემბრის 1902 წ. თარიღით.

პოემის ტექსტი აწყობილია ჩვეულებრივი კორპუსით. შიგა და შიგ, შეცდომით, მოიპოვება სხვა სახის ასოებიც, მაგ. ვერ (გვ. 140), ისწრაფდის, ნაკადსა (გვ. 141), წაკიდებულნი (გვ. 189), გარდმოჰყარნა, მისთვის, ზომთა, ზომთა, რამე (გვ. 191), მისი (გვ. 193) და სხვ.

სათაურები აწყობილია გოგებაშვილის 16-ით, ყოველი თავის დასაწყისი სტროფის პირველი ასო დაბეჭდილია 24 მთავრულით, ზოგი მათგანი ჩასმულია სხვადასხვა სახის ფიგურალურ ჩარჩოში. სტროფთა პირველი ტაეპის დასაწყისი ასო, უმეტეს შემთხვევაში, აწყობილია შავი მთავრულით.

პოემის ტექსტის პირველ გვ. დაბეჭდილია ზუთი სტროფი, წიგნის ბოლო გვერდზე (გვ. 263) — ოთხი, დანარჩენ გვერდებზე მოთავსებულია შეიღ-შეიღი სტროფი, სათაურიან გვ. კი — ექვსი. ზოგი ტაეპი გატეხილად არის დაბეჭდილი (გვ. 25, 28, 32, 64, 70 და სხვ.). ბოლოსართად გამოყენებულია ბორდიურიანი ხაზები, უკანასკნელ გვერდზე კი ფრინველი.

264 — 272 იგვ. უჭირავს „სიტყვების განმარტებას“. მისი სათაური აწყობილია 10 მთ. შავით, ასახსნელი სიტყვები — აკად. 12, ამხსნელი — ჩვეულებრივი კორპუსით. ტექსტი აწყობილია ორ სვეტად, შუაში გავლებულია ვიწრო ხაზი.

წიგნში დაბეჭდილია მ. ზიჩის ილუსტრაციები, მათი წარწერები აწყობილია წვრილი კორპუსით. ამავე ასოებით არის დაბეჭდილი სარჩევის ტექსტიც (გვ. XVII—XVIII).

ილუსტრაციების მეორე გვერდზე დაბეჭდილია პოემის ტექსტი. ერთ ადგილას გვერდები არეულად არის დაბეჭდილი: 184-ე გვერდის გაგრძელება დაბეჭდილია 188-ე გვერდზე.

წიგნში მოიპოვება კორექტურული შეცდომები: დაბეჭდილია — ფირონის, ფრიდონის ნაცვლად (გვ. 108), ეუჭვრიტეთ, ვუჭვრიტეთ მაგიერ (გვ. 204), განახვენ, განახვენ-ის ნაცვლად (გვ. 139), მუტრიგნი, მუტრიბის მაგიერ და სხვ.

პოემის ტექსტი გადმობეჭდილია 8 ქართულიშვილისეული გამოცემიდან. შეიცავს 272 გვ. (20×14). დაიბეჭდა 2000 ცალი.

1903 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში კვლავ დასმულა საკითხი ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის. იმავე წლის 15 მარტს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ამ საკითხის შესახებ, ნ. ცხედაძის თავმჯდომარეობით, შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდოს იმ ფორმატით, რა ფორმატით არის დაბეჭდილი ჩუბინაშვილის, ბროსეს გამოცემა. არსებულ ლექსიკონს დაემატოს ახალი ცნობები და ვეფხისტყაოსანს წაემძღვაროს წინ. ცნობები შესახებ ავტორისა და მისი დროისა. ლექსიკონის შევსება და წინასიტყვაობის დაწერა მიენდოს ბბ ექ. თაყაიშვილს და დ. კარიჭაშვილს“².

ამ მინდობილობის შესახებ ექვთ. თაყაიშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას აცნობა შემდეგი: „მაქვს პატივი მოვახსენო გამგეობას, რომ მე არ მქენება დრო დაწერო შესაჯული ანუ წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსნისა“, რომლის გამოცემა გადაწყვიტა გამგეობამ და ამიტომ საჭიროა წინასიტყვაობის დაწერა სხვას მიენდოს“³. ექვთ. თაყაიშვილის თხოვნა გამგეობამ 26 მარტს დააკმაყოფილა⁴. გამოცემის მთლიანი მომზადება დაეკალა დ. კარიჭაშვილს.

გამომცემლობამ წიგნის აწყობის ნებართვა საცენზურო კომიტეტისაგან მიიღო 1903 წ. 20 მარტს, ხოლო იმავე წლის სექტემბრის ბოლოს წიგნი უკვე მზად იყო და 25 IX ცენზურისაგან გავრცელების ნებართვაც გაიცა.

პოემა შედგება 1576 სტროფისაგან. დაიბეჭდა თბილისში, არ. ქუთათელაძის სტამბაში, 3000 ცალი, ზომა 20×14, ცენზორი გ. ყურული. ფასი 60 კაპიკი. 50 ცალი დაიბეჭდა სქელ ქალაღზე, რომლის თითო ცალი ღირდა 1 მანეთი. 25 სექტემბერს გაზ. „ცნობის ფურცელის“ რედაქცია წიგნის მიღებას იუწყებოდა (№ 2274), გასასყიდად კი 1903 წ. ოქტომბრის პირველ ნახევარში გამოვიდა.

პოემის ტექსტს წინ დართული აქვს შოთა არუსთაველის ოთხი პორტრეტი: ცნობილი (მასობრივად გავრცელებული) მხატვარ მუროვის, ნ. თარხნიშვილის ქანდაკება, რომელიც გადმოღებულია იერუსალიმის ჭვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან და გაგარინის გადმოღებული ვეფხისტყაოსნის ზაზასეული ხელნაწერიდან. შემდეგ (გვ. I—XXX) დაბეჭდილია დ. კარიჭაშვილის გამოკვლევა, სადაც პოემის მოკლე შინაარსის გადმოცემის შემდეგ განხილულია ვეფხისტყა-

² საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქ. № 911.

³ ი ქ ე ე, საქმე № 896.

⁴ ი ქ ე ე, საქმე № 911.

ოსნის პროლოგ-ეპილოგის ძირითად ტექსტთან დამოკიდებულება. პოემის ორიგინალობის, მისი ავტორისა და გამოცემის ტექსტოლოგიური საკითხები. ვეფხისტყაოსნის ტექსტს ბოლოში დართული აქვს რედაქტორის შენიშვნები (გვ. 263—292) და ვრცელი ლექსიკონი (293—361). შენიშვნებში მოცემულია პოემაში ძნელად გასაგები ადგილების კომენტარი, ლექსიკონში 700-მდე სიტყვაა ახსნილი, უმთავრესად ისეთები, რომლებიც დღეს არ იხმარებიან, ანდა თუ იხმარებიან სხვა შინაარსით. ლექსიკონშივე აღწუსებულია ის გასწორებანი, რომლებიც რედაქტორს პოემის ტექსტში შეუტანია და მათი ჩვენება „შენიშვნებში“ გამორჩენია⁵. სულ „შენიშვნაში“ კომენტირებულია პოემის 289 წაკითხვა.

პოემის სათაურები იწყება ახალი გვერდებით, დანომრილია ისინი რომაული ციფრებით. სათაურების ბოლოს ტექსტს დართული აქვს სხვადასხვა სახის ბორდიური.

გამოცემაში ჩართულია ცალკე ფურცლებზე დაბეჭდილი მ. ზიჩის ილუსტრაციები.

ტიტულზე გამოყენებულია შემდეგი სტამბური შრიფტები: კორპუსი 16 მრგვალი შავი, 36 თხელი მთავრული, ხომლი, პეტიტი, აკადემიური შავი, წვრილი კორპუსი და მთავრული შავი კორპუსი.

ცენზურის ვიზა დაბეჭდილია რუსულად ჩვეულებრივი კორპუსით.

შ. რუსთაველის პირველი ორი სურათის წარწერა დაბეჭდილია წვრილი კორპუსით, მესამე და მეოთხე — 8 მთავრული შავით, მათი განმარტება — წვრილი კორპუსით. ამ უკანასკნელი შრიფტითაა დაბეჭდილი ილუსტრაციების წარწერებიც.

ნარკვევის სათაური — მეცხრამეტე გამოცემის წინასიტყვაობა — იწყება ახალი გვერდით, აწყობილია ის 12 ჩონჩხი მთავრულით, გვერდიდან დაწეულია სამი სტრიქონით, ტექსტს კი ორი სტრიქონითაა დაშორებული. ნარკვევის ტექსტი დაბეჭდილია 12 ვენურით, დასაწყისი სიტყვა კი აწყობილია 12 შავი აკადემიურით.

გვერდების ნუმერაცია დაბეჭდილია თავში, შუა ადგილას, რომაული ციფრით.

სიტყვა „სარჩევი“ აწყობილია დაყოფით, 16 გოგებაშვილით, შესავლის სათაურები — 10 შავი კორპუსით, პოემის სარჩევი კი წვრილი კორპუსით, სარჩევის ბოლო ნაწილი (შენიშვნები და ლექსიკონი) აწყობილია 10 მთავრული შავით.

⁵ დ. კარიჭაშვილის ეს ლექსიკონი განხილულ აქვს მ. ჯანაშვილს (იხ. „სახ. გაზეთი“, 1912 წ. № 641) და მ. ყიფიანს (იხ. ქურნ. „განათლება“, 1913 წ. № VII, გვ. 510—521).

მე-7 გვერდზე ჩონჩხი 12-ით დაბეჭდილია — ვეფხისტყაოსანი — დაწეულია გვერდიდან და სათაურის ნუმერაციიდან ორ-ორი სტრიქონით. პოემის ტექსტი აწყობილია აკადემიური 12-ით, სათაურები იწყება ახალი გვერდით, აწყობილია ის 16 გოგებაშვილით, დაწეულია გვერდიდან 4 სტრიქონით, პოემის ტექსტიდან — 2 სტრიქონით.

სტროფების ნუმერაცია გამოყოფილია ტექსტიდან, აწყობილია ის ციკრო არაბული ციფრებით. პოემის თავების ნუმერაცია დაბეჭდილია რომაული ციფრით 12-ით. სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია 2 შპონით. ტექსტში ჩართული შენიშვნების ნუმერაცია აწყობილია წილადი ციფრით — ფრჩხილით. გვერდების პაგინაცია მოთავსებულია თავში ხაზებს შუა, აწყობილია ის ციკეროთი. „შენიშვნები“ დაწეულია გვერდზე 4 სტრიქონით, ტექსტს კი — 2 სტრიქონით, აწყობილია ის გაშლით ჩონჩხი ციკეროთი.

განსამარტავი ფრაზა დაბეჭდილია აკადემიური შრიფტით, განმარტებული — ციკერო ჩვეულებრივით, ნუმერაცია — წილადი ციფრებით, ფრჩხილით.

293 გვერდზე პირველ სტრიქონად დაბეჭდილია ვეფხისტყაოსანი — ჩონჩხი ციკეროთი, მეორე სტრიქონად — ლექსიკონი, აწყობილია იგი 16 მთავრული მრგვალით. უკანასკნელი (ლექსიკონი) დაბეჭდილია ორ სვეტად. სვეტები გაყოფილია ერთმანეთისაგან წვრილი ხაზით. ანბანები მოთავსებულია ერთ სვეტზე, აწყობილია შავი აკადემიური ციკეროთი, ახსნა კი — ჩვეულებრივი აკადემიური ციკეროთი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, ამ გამოცემის ტექსტი უნდა დაბეჭდილიყო უცვლელად ქართველიშვილისეული გამოცემიდან. „ჩვენც შევუდგეთ ამ მინდობილობის შესრულებას, — წერს დ. კარიბაშვილი, — მაგრამ კორექტურის კითხვის დროს ჩვენ ველარ მოვითმინეთ და ზოგიერთი ადგილები, რომელნიც ქართველიშვილის გამოცემის რედაქციისაგან ვერ იყვენ სისწორით წაკითხულნი, ჩვენ შევასწორეთ და ეს შესწორება მოვიხსენიეთ ყოველს შემთხვევაში ცალკე შენიშვნებში“ (გვ. XXVIII). უფრო ვრცლად ამ საკითხზე რედაქტორი ყურნ. „მომამის“ 1904 წ. მე-3 ნომერში დაბეჭდილ წერილში, „ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის რეცენზიის გამო“, გვიყვება: „ქართველიშვილის გამოცემის გადაბეჭდვის დროს, — წერს ის, — ჩვენ მოვალეობად ვსცანით და საპიროდაც დავინახეთ ჩვენის შეძლებისამებრ და შესაფერის სიფრთხილით გაგვესწორებინა ის წარყვნილი და დამახინჯებული ადგილები, რომელნიც შევნიშნეთ. ჩვენი შესწორება მდგომარეობდა იმა-

ში, რომ დავსვით, ჩვენის შეხედულობით, დასასვენებელი ნიშნები, გადაბმული სიტყვები დავაშორეთ ერთმანეთს, გაშორებული სიტყვების ნაწილები ერთმანეთს გადავაბით და სადაც ცხადი და მძიმე შეცდომები ვნახეთ სიტყვათა ფორმებში, შევეცვალეთ კანონიერის ფორმით. ქართველიშვილის გამოცემასთან შედარებით ყველაზე ხშირია ახალ გამოცემაში დასასვენებელი ნიშნების განსხვავება. ამ ცვლილებებს აღნიშვნა შენიშვნებში ჩვენ საჭიროდ არ მივიჩნიეთ იმიტომ, რომ ყოველს რედაქტორს სრული უფლება აქვს ისე დასვა ნიშნები, როგორც მას მიაჩნია. უფრო საფუძვლიანად. არც ერთს ძველს ხელნაწერის ვარიანტში არ არის დასმული დასასვენებელი ნიშნები, არ აქვს ასეთი ნიშნები აგრეთვე არც ვარიანტის გამოცემას. მაშასადამე არ შეიძლება ითქვას, რომ დიდებულს თხზულებაში რაიმე ცვლილება შეგვეტანოს ნიშნების დასმით. სიტყვათა წაკითხვის განსხვავება ქართველიშვილის გამოცემასთან შედარებით არც ისე ბევრია. ბევრად მოჩანს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი და იგივე შემთხვევა ხშირად არის გამეორებული. ყოველს შემთხვევაში სადაც კი სიტყვები სხვანაირად გვაქვს წაკითხული, მოხსენებული და დასაბუთებულია ჩვენგან ცალკე შენიშვნებში. არც ამ ცვლილებით დაგვიკლია რამე დიდებულის თხზულების ტექსტისათვის, რადგან ტექსტი ხელუხლებელი დარჩა, ხოლო იგი ჩვენ სხვანაირად წავიკითხეთ და არა ისე, როგორც სხვა რედაქტორებს წაუკითხავთ. იმისთანა შემთხვევა კი, როდესაც სიტყვის ფორმა გვაქვს შეცვლილი, ძალიან იშვიათია, სულ სამი თუ ოთხი. მართალია, ეს ცვლილება ტექსტის ხელის შეხებაა, მაგრამ რუსთაველის ტექსტისა კი არა, არამედ მისი ვარიანტისა, რომელიც ამ შემთხვევაში არის შემცდარი და დამახინჯებული. ფორმის შეცვლის ყოველს შემთხვევაში ჩვენ ჩვენის მოსაზრების გარდა საბუთად გვაქვს თვით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ვარიანტები“.

დ. კარიჭაშვილის ეს მოქმედება მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. „უკეთესი იქნებოდა, — წერს შ. დავითაშვილი, — სრულიად არ შესწორებინა და მხოლოდ შენიშვნებში ეჩვენებინა სად. რას და როგორი შესწორება უნდა. უკეთეს ვეფხისტყაოსნის მკოდნენი დაეთანხმებოდნენ, მაშინ შესწორება ადვილი იყო მეორე გამოცემაში. მაინც და მაინც, თუ შენიშვნებში ყველა შესწორებული ადგილი ნაჩვენებია, არა უშავს რა, წინანდელი რედაქციაც თვალწინ გვექნება და ახალიცა. მსაჭულად ამ შემთხვევაში შესაძლოა თვით შეგნებული მკითხველიც იყოს, თვითონ გაარჩიოს, რომელი სჯობია“.

შემდეგ ავტორი აღნიშნავს დ. კარიჭაშვილის დიდ ღვაწლს ვე-

ფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის. იგი არ ეთანხმება რედაქტორს პროლოგ-ეპილოგის ფსევდორუსთველობაში. მისი აზრით, პოემა თავისი პროლოგ-ეპილოგით ერთი ავტორის დაწერილია, „მართალია ისინი გადამწერთაგან დამახინჯებულა, მაგრამ კარგისა და ავის მცნობი ადვილად გაარჩევს ორიგინალსა და მეტანდებს“. იქვე იძლევა პროლოგის ტაეპების თავისებურ განლაგებას: 1, 2, 3, 4, 19 — 26, 17, 9, 27, 12, 13, 10, 11, 29 — 31. ეპილოგის ჩუთი სტროფიდან, გარდა პირველისა, რეცენზენტსაც ყველა ფსევდორუსთველისად მიაჩნია⁷.

შ. დავითაშვილმა განიხილა დ. კარიჭაშვილის შესწორებები და ბევრ მათგანს არ დაეთანხმა. პოემის რედაქტორმა კი ეს შენიშვნები არ გაიზიარა და საპასუხო წერილში (იხ. უფრ. „მოამბე“, 1904 წ. № 3) შეეცადა თავისი მოსაზრების დასაბუთებას. საკითხის ნათელსაყოფად რეცენზენტისა და რედაქტორის მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ერთად მოვიყვანთ, ასე მგა, მე-2 სტროფის მე-3 ტაეპში სიტყვა „გასატანისა“-ს დ. კარიჭაშვილი ასეთ შენიშვნას უქეთებს: ეს სიტყვა „მხოლოდითი რიცხვია, თუმცა სიტყვა მიჯნურთა, რომელსაც მიეკუთვნება მრავლობითს რიცხვშია“. ამ მოსაზრებაზე შ. დავითაშვილი შენიშნავს: „ბ. კარიჭაშვილის გრამატიკას რომ გამოვეკიდოთ და მიჯნურთა გასატანთა დავწეროთ, მაშინ გამოვა თითქო ავტორს სდომებია მიჯნურების გატანა ანუ გადაზიდვა“. ამაზე დ. კარიჭაშვილმა მიუთითა, რომ აღნიშნულ ფრაზას არ აქვს ის აზრი, რომელსაც მასში რეცენზენტი ხედავსო. რუსთაველი „აქ იხსენიებს იმისთანა მიჯნურებს, რომელნიც ღირსნი არიან სიკვდილადე გატანისა, რადგანაც გასატანი ნიშნავს გატანის ღირსს ან იმისთანას, რომელიც უნდა გატანილ იქმნას. ხოლო გატანა მიჯნურისა გადაზიდვას ან გადატანას კი არ ნიშნავს, არამედ ერთგულეებას“. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორს მოყავს მაგალითები ახალი ქართული ენიდან და ასკვნის: „სიკვდილმდე გასატანი შეიძლება სხვანაირად გამოითქვას სიტყვებით — სიკვდილმე საერთგულო. გასატანი დასართავი სახელია და არა არსებითი და ამიტომ იგი მიეკუთვნება სიტყვას მიჯნურთა“⁸.

დ. კარიჭაშვილის აზრით, იმავე სტროფის მე-4 ტაეპში სიტყვა „წასატანისა მხოლოდით რიცხვშია, თუმცა სიტყვა ცოდვა-

⁷ გაზ. „ივერია“, 1903. № 215.

⁸ შ. დავითაშვილის რეცენზია, იხ. გაზ. „ივერია“, 1903, № 219, 220, დ. კარიჭაშვილის პასუხი უფრ. „მოამბე“, 1904, № 3.

თ ა. რომელსაც მიეკუთვნება, მრავლობითს რიცხვშია“. რეცენზენტის აზრით, „ამ წინადადებაში ის აზრი იხატება, რომ ავტორი ევედრება ღმერთს ცოდვათა შემსუბუქებას გარდა საერთო წასატანის შემსუბუქებას, თუმცა „მუნ თანა წასატანისა“ გამმარტებელი წინადადებაა“. ხსენებული ადგილის ამ სახით გაგება დ. კარიჭაშვილმა შეუძლებლად მიიჩნია, იგი წერს: „პოეტი მხოლოდ ცოდვათა შემსუბუქებას ითხოვს და აზრადაც არ მოსვლია კიდევ რაღაც „მუნ თანა წასატანის შემსუბუქების თხოვნა, იმიტომ, რომ არავითარი „მუნ თანა წასატანი“ ადამიანს არ წარმოუდგენია რა, ცოდვისა და მადლის გარდა. პოეტი რაკი თხოულობს ცოდვათა შემსუბუქებას, სხვისა რისამე შემსუბუქების თხოვნა არ შეეძლო, რადგან საფიქრებელი არ არის, რომ მადლის შემსუბუქება ეთხოვნოს“.

არ ეთანხმება შ. დავითაშვილი რედაქტორს მე-4 სტროფის მე-2 ტაქვში სიტყვა „ვისნიმეს“-ს ვისნიმემ“-დ გააწორებას. რედაქტორის აზრით კი, „ვისნიმე ერთ სიტყვად რომ დაეწეროთ, მაშინ გამოვა თითქო პოეტმა არ იცოდეს ვისი ქება უთქვამს, რადგან ვისნიმე ქებანი ნიშნავს „ვისლაც ქებას“ („ივერია“ 1903 წ. № 215).

მე-7 სტროფის მე-3 ტაქვში სიტყვა „გულ-ლახვარ-სობილი“, დ. კარიჭაშვილის აზრით, „მიეკუთვნება სიტყვას რუსთველმა და უნდა ყოფილიყო გულ-ლახვარ-სობილმან“, მაგრამ აქ ასეთი უკანონობაა მომხდარი რითმის გულისათვის“. რეცენზენტმა კი ტრადიციული ფორმა მიიჩნია კანონიერად „დავსჯე დაღერემილი, გულ-ლახვარ-სობილი და დავსწერე ანუ გავლექსე — არავითარ უკანონობას არ წარმოადგენსო. ამაზე დ. კარიჭაშვილმა შენიშნა, „გულ-ლახვარ-სობილი ძალიან დაშორებულია სიტყვაზე დავჯე, შუაში მთელი წინადადება და ამიტომ შეუძლებელია ეს სიტყვა მას მიეკუთვნებოდესო. „უკეთუ კი იქნებოდა, ამბობს ის, პოეტს ეთქვა „დავჯე გულ-ლახვარ-სობილი და გავლექსეო, მაგრამ აგრე არ ამბობს. მას უნდოდა ეთქვა: დავჯე და მისთვის გულ-ლახვარ-სობილმა რუსთველმა გავლექსეო. აქ პოეტი მიაქცევს ყურადღებას თავის რუსთაველობას და მისთვისებას — გულ-ლახვარ-სობილობას“. რედაქტორისა და რეცენზენტის აზრით, დასახელებული სტროფი ფსევდო-რუსთველურია.

დ. კარიჭაშვილის გამოცემული ვეფხისტყაოსნის 46-ე სტროფის პირველი ტაქვი იკითხება: „უკუ სდგეს და თაყვანი სცეს მეფემ და მისთა სპათა“. შ. დავითაშვილი შენიშნავს, ძველი ფორმა უკუ გდეს საუცხოვოა და მისი განაწილება საჭირო არ იყო. დ. კარიჭაშვილი კი თავის წაკითხვას იცავს, მისი აზრით, უკუ დამოუკიდებელი სიტყვაა, ზმნიზედა, რომელიც ნიშნავს იმასვე, რასაც ახლა ნიშნავს

უკან, ამიტომ როგორც ახლა არ შეიძლება დაიწეროს ერთად უკან დადგენენ, ისე შეუძლებელია დაიწეროს უკუდგენს. უკანასკნელი სიტყვის ერთად დაბეჭდვა მას აშკარა შეცდომად მიუჩნევია და ამიტომ მის შესახებ შენიშვნებში განმარტების მოცემა საჭიროდ არც კი უცნია.

50-ე სტროფის მე-3 ტაქს: სმა-ჰამა-დიდად შესარგი, დება რა სავარგულია — დ. კარიჭაშვილი შემდეგ კომენტარს უკეთებს: „სმა-ჰამა, ხარჯვა დიდად სასარგებლოა, ქონება (შენახვა) რა გამოსადეგია“. რეცენზენტი შენიშნავს: „რუსთაველი ფლანგვას კი არ ჰქადაგებს, არამედ გაცემას, გაზიარებას, რადგან ის კი არ არის შენი, რასაც შესჰამ და შესვამ ანუ საკუქნაოში ჩასდებ, არამედ ის, რასაც გასცემო“. საპასუხო წერილში დ. კარიჭაშვილმა აღნიშნა, რომ ახლადგამეფებულ თინათინს მამა არიგებს, რომ მეფე უხვი უნდა იყოსო, „მეფის უხვობა კი, როსტევიანის შეხედულებით, მდგომარეობს სმა-ჰამისგამართებაში და საჩუქრების დარიგებაში. მეფე რასაც უფრო უხვად ასმევ-აჰმევს და ასაჩუქრებს თავის ქვეშევრდომებს, მისი აზრით, მით უფრო მეტს ერთგულს იძენს. აი, ამ მოძღვრებას შეიცავს ზემოდ მოყვანილი სტრიქონიო“, თინათინმა სწორედ ასე გაიგო თავის მამის დარიგება და ძალიან კარგადაც გაიგო. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ავტორს მოყავს ციტატები პოემის 51 — 56 სტროფებიდან.

86-ე სტროფის მე-3 ტაქსი დ. კარიჭაშვილს დაბეჭდილი აქვს ასე: „მუნვე ჰსწვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად“, რომელსაც დართული აქვს ასეთი განმარტება: „ბროლის წვიმად აქ იგულისხმება ცრემლი, გიშრის ღარად შავი თვალები, სწვიმს ბროლის წვიმა, სადაც გიშრის ღარიო. ე. ი. ცრემლები გადმოსდის შავის თვალებითგანო“. რეცენზენტმა არა სწორად მიიჩნია სიტყვა „ღარი სად“ დანაწილება, მისი აზრით, ეს სიტყვა დ. კარიჭაშვილს იმიტომ გაუსწორებია, რომ ეთქვა, „სადაც გიშრის ღარიო“, ე. ი. ეჩვენებინა ადგილი გარემოებისა, ნამდვილად კი ვითარებაა, ზმნისა ზედა — ღარად, ღარისად, როგორც ღარდიგანაო“. ამაზე დ. კარიჭაშვილმა შენიშნა, ჯერ ერთი ღარისად არ ნიშნავს არც ღარად და არც როგორც ღარიდგან, მეორეც, რაღა მნიშვნელობა და აზრი აქვს ზმნას ჰგია, ამაზე არაფერს ამბობს კრიტიკოსიო. მესამე, რისთვის არის პირველს წინადადებაში მუნვე (იქვე), თუკი არ იქნება განმარტებული სად? მეოთხე, სად გაგონილა, რო წვიმა წვიმდეს ღარიდგან და ისიც გმირის ღარიდგან?“

99-ე სტროფის მე-4 ტაქსი დ. კარიჭაშვილს გასწორებული აქვს: „მას ვემადლი, ესე იყო წადილი და მისი ნება“. რეცენზენტმა უსაფუძვლოდ მიიჩნია გასწორება „მას ვემადლი“, და დაიცვა ტრადიცი-

ული წაკითხვა „მასვე მადლი“, რადგანაც „როსტევეანი მადლობას კი არა სწირავს, სრულად კმაყოფილი ვარ, რომ სიამე სიმწარედ შემიცვალეო, არამედ ემორჩილება განგებას და ამბობს იყავ ნება შენო“.

დ. კარიჭაშვილის აზრით, „მადლი ნიშნავს კეთილს საქმეს, სიკეთეს, კეთილ-მოქმედებას, მიცემას და ზანდაზან მადლობას“ და იმოწმებს ადგილს ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო, შავთვალეზიანო“. ასე რომ „მას ვემადლი“, დ. კარიჭაშვილის აზრით, არ ნიშნავს „მას ვემადლობ“, რადგანაც „წინა სტრიქონებში როსტევეანი ამბობს: ღმერთს მოეწყინა ჩემი შვება და ამიტომ სიამეში სიმწარე მიჩვენაო, ისე დამაწყულულა, რომ სიკვდილამდე ვერავის შეუძლიან გამკურნოსო. მეოთხე ტაეპში განაგრძობს თავის მოთქმას და ამბობს: რაც გადამხდა, იმას (ე. ი. ღმერთს) მივაწერო (მას ვემადლი), ეს იმის წადილი და ნება იყოო. ამნაირად, ასკვნის დ. კარიჭაშვილი, როსტევეანი არც მადლობას ამბობს, არც იყავ ნება შენო“.

ვეფხისტყაოსანში ზმნა „არის“ ხშირად შეკვეცილთაა წარმოდგენილი, მარტო ა-ნით, მაგ., „უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასე დაღრეჯით ა მითა“ (103-2), პოემის გადამწერებს და ზოგ გამოცემელს ა-ნი შეუერთებიათ მის მომდევნო სიტყვა „მითა“-სთვის და სტრიქონისათვის სხვა აზრი მიუციათ. დ. კარიჭაშვილს პოემის ახალ გამოცემაში ასეთი ა-ნი ცალკე აქვს გამოყოფილი და ამით პოემის აზრი ნათელი გახდა. შ. დავითაშვილი სიტყვების დანაწევრების წინააღმდეგია და ამ შემთხვევაში ა-ნის განცალკევება მოუხერხებლად და შეუწყნარებლად მიაჩნია. „ქართულ ენაში, — წერს ის, — ანი შეეკვება წინას სიტყვას და შესემნილად გადააქვევს. რითმისთვის რომ გამოაკლდეს წინა ანი, უკანონობა არ იქნება. განმეორებული ანი აა რუსთაველს საჭიროდ არ მიაჩნია, რადგან უმისოდაც აზრი ცხადად იხატება“. საპასუხო წერილში დ. კარიჭაშვილმა მრავალი არგუმენტის მოშველიებით ნათელყო თავისი დებულების სისწორე.

რეცენზენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ 449-ე სტროფის მე-4 ტაეპში რედაქტორს ტექსტი ამ სახით აქვს დაბეჭდილი: „აგრე ვყავ რე“ და კითხულობს: „ამ რე ს რალა აზრი უნდაჰქონდესო?“ ამაზე დ. კარიჭაშვილმა უპასუხა, „ეს სიტყვა განმარტებულია დ. ჩუბინაშვილისა და ქართველიშვილის [?] გამოცემებში და აგრეთვე ჩვენს გამოცემაშიო, რე ნიშნავს რა ან რაკი, ხოლო ფრაზა: აგრე ვყავ რე ნიშნავს: რაკი აგრე ვყავ, ანუ რაკი აგრე მოვიქმედე“.

688-ე სტროფის მე-2 და მე-3 ტაეპში იკითხება: „ჰხამს ვასრუ-

ლება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა, ძებნა წამლისა მისისა — ცოდნა ჰხამს, უი იცისა“.

წინა გამოცემებში სიტყვა „უი იცისა“, ერთად არის დაბეჭდილი „უი იცისა“. შ. დავითაშვილმა ტრადიციული წაკითხვა სწორად მიიჩნია, რადგანაც „აქ აზრი ცხადია: ძებნელმა უნდა გაიგოს რაც არ იცის და საცოდნელი კი არის, — ცოდნა ჰხამს უი იცისა“. დ. კარიჭაშვილმა ტრადიციული მოსაზრება არ გაიზიარა, მისი აზრით, სიტყვას „უ ი ი ც ი არაერთი მნიშვნელობა არა აქვს და შეუძლებელია მას ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რასაც დ. ჩუბინაშვილი და თ. ბატონიშვილი აძლევენ, უ ი ი ც ი და უ ე ი ც ი მათ ერთი და იგივე ჰგონიათ“, თუ ფრაზას ისე წავეითხავთ, — წერს დ. კარიჭაშვილი, — როგორც ჩვენა გვაქვს დაბეჭდილი, მაშინ აზრი გასაგებიც ხდება და ტექსტის შესაფერი გამოდის. როდესაც პოეტი იტყვის: „ჰხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულის მტკიცისა, ძებნა წამლისა მისისა“ (ე. ი. საჭიროა მოყვრის მტკიცე სიყვარულის შენახვა და ძებნა მის წამლისა), უმატებს: „ცოდნა ჰხამს, უი იცისა“ (ე. ი. უნდა ვიცოდეთ, რომ ამას მწუხარება მოჰყვება ხოლმეო)⁹.

შ. დავითაშვილი გულისწყრომით აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა სტროფული მოცულობის მხრივ თითქოს განსხვავდება ქართველიშვილის გამოცემისაგან, რომ დ. კარიჭაშვილს ზოგი სტროფი თვითნებურად ამოუშლია და ზოგი ჩაუმატებია, მაგ., პოემის დ. კარიჭაშვილისეულ გამოცემაში არ არის ტაეპებს შორის შემდეგი სტროფები: 189 — 190 (თავსა უთხრა „მოჰკვდე უჯობს“), 190 — 191 (მთით ჩამოვიდა ავთანდილ), 218 — 219 (ყმამან უთხრა დაო ასმათ), 248 — 249 (მაშა რადგან მიჯნურობა), 253 — 254 (იმა მოყმისა ამბაეი), 312 — 313 (წიგნი წიგნსა ეცემოდა), 947 — 948 (მოვიდიან შესამკობად ქვეყნით ყოვლი სულიერი), 1278 — 1279 (შენ საყვარელო ნუ სკმუნავ), სამაგიეროდ დამატებული აქვს ფსევდორუსთველური სტროფი 423 (მე დილასა მოციქული).

შ. დავითაშვილის შენიშვნა გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული. მის მიერ დასახელებული სტროფები არ მოიპოვება ქართველი-

⁹ უარყოფითად შეაფასა დ. კარიჭაშვილის კომენტარები ი. აბულაძემაც. „ბ. კარიჭაშვილმა, — წერს ი. აბულაძე. — ბევრი, ჩვეულებრივი მკითხველისათვის აღილი გასაკვბო აღვლი თავისი კომენტარებით სრულებით დააბნელა“. მაგალითისათვის მიუთითებს 38, 133, 136 სტროფებს, „რომელთა აზრი კომენტატორის მიერ სრულად წარყვნილა. ვარჯა ამისა კომენტატორი ხშირად მარტავს ისეთ ადგილებს, რომლებიც თავისთავად ცხადია, მაშინ როდესაც უყურადღებოდ სტროფებს ბევრს გაუგებარ და საცილობელ ადგილსაო“ (ი. აბულაძე. მე-XII საუკუნის ქართულის მწერლობის ხასიათი და რუსთველის ვეფხისტყაოსანი. „ძველი საქართველო“, ტ. I, (არსებობს ცალკე ამონაბეჭდები) გვ. 8 შენ., იხ. აგრეთვე შენ. გვ. 137, 191).

შვილის გამოცემაშიც. როგორც გამოირკვა, რეცენზენტს სტროფების შედარებისას ხელთ ჰქონია არა ქართველიშვილის გამოცემა, არამედ კ. თავართქილაძის 1896 წ. გამოცემული ვეფხისტყაოსანი, რომელიც მას ქართველიშვილის გამოცემის ზუსტი გამეორება ჰგონებია. ნამდვილად კი 1896 წ. გამოცემა განსხვავდება ქართველიშვილისეული გამოცემისაგან. ყოველივე ეს ნათლად დაუმტკიცა რეცენზენტს დ. კარიჭაშვილმა საპასუხო წერილში¹⁰. ამავე წერილში დ. კარიჭაშვილმა ისიც ნათელყო, რომ 423-ე სტროფი („მე დილასა და მოციქულთა“) პოემის ორიგინალურ ნაწილს წარმოადგენს და არა ყალბს, როგორც შ. დავითაშვილი ფიქრობდა.

ეს შეცდომები შ. დავითაშვილმა მიიღო და თავის უკანასკნელ წერილში („უბრალო შეცდომა და მწარე სინამდვილე“, „ივერია“ 1903 წ. № 231) მთელი ბრალდება ქართველიშვილისეული ტექსტის დამდგენ კომისიაზე გადაიტანა. ამასთან ერთად აღნიშნა დ. კარიჭაშვილის გამოცემაში პოემის შინაარსის გადმოცემისას რედაქტორის ზოგიერთი ლაფსუსი და დაასკვნა: „ისე აირია საქმე, რომ ჩვენის აზრით, უნდა განვაგდოთ ყოველი ახალი გამოცემა და ისევე ერთ-ერთ ძველ ვარიანტს დაუბრუნდეთ და საქმე თავიდან დაიწყეთ“. მან საკიბოდ მიიჩნია პოემის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემის უცვლელად დაბეჭდვა და სპეციალური კომისიის შედგენა, „რომელიც შეადგენს და მოისმენს მცოდნეთა აზრს, შეადარებს, შეიმუშავებს მასალას, შეადგენს შესწორების პროექტს და გამოაქვეყნებს რომ ყველას შეეძლოს კერძოდ თუ მწერლობით თავისი შენიშვნა განაცხადოს. მხოლოდ მაშინ გვექნება ნება შევახოთ ხელი დიდებულ პოემას და გამოვცეთ შესაფერ კვლილებით. მხოლოდ მაშინ გვექნება ერთგვარი და ნამდვილი ვეფხისტყაოსანი“. ეს საქმე კი, ავტორის აზრით, უნდა ითავოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ, ანდა ქართული გაზეთის ან ჟურნალის ერთ-ერთმა რედაქციამ.

ასეთი იყო პოლემიკა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის ძირითად საკითხებზე.

დ. კარიჭაშვილის გამოცემული ვეფხისტყაოსანი სტროფული მოცულობით ახალს არაფერს შეიცავს, იგი ამ მხრივ ქართველიშვილის გამოცემის განმეორებაა¹¹, მაგრამ ახალ გამოცემაში ტექსტი ბევრ ადგილას ახლებურად არის წაკითხული და გაგებული, რომელ-

¹⁰ გაზ. „ივერია“, 1903, № 225.

¹¹ ამ გამოცემაში, ისე როგორც ქართველიშვილისეულში, ამოღებულია სტროფი მეოთხე ტაქის დამაკავშირებელი „და“.

თა დასაბუთება მოცემულია შენიშვნებში და ლექსიკონში. ტექსტის უკეთ მოხმარების მიზნით, სტროფები დანომრილია არაბული ციფრებით. განსამარტებელ სიტყვებს პოემის ტექსტში ჩართული აქვს ნუმერაციები, რომლის საშუალებით დაინტერესებული პირი შენიშვნებში ადვილად იპოვის მისთვის საჭირო ცნობას. ამას გარდა, ამ გამოცემაში, როგორც აღვნიშნეთ, რედაქტორს განხილული აქვს პოემის რაობისა და მისი ავტორის ვინაობის საკითხები. მართალია წარმოდგენილ მოსაზრებებიდან დღეს ზოგი რამ მიუღებელია, მაგრამ იმ დროს საკითხის ახლებურად დასმა და დასაბუთება რუსთველოლოგიური ძიებისათვის ყოველთვის ანგარიშგასაწევი იქნება.

ყოველივე ზემოთქმულით, ვეფხისტყაოსნის დ. კარიჭაშვილისეული ეს გამოცემა თავისი დროის მეცნიერულ სიმაღლეზე დგას და ამ მხრივ ის პირველ ადგილს იჭერს პოემის წინა (1867 — 1903 წწ.) 14 გამოცემათა შორის.

III

ვეფხისტყაოსნის მორიგი გამოცემა განხორციელდა 1910 წელს კ. თავართქილაძის მიერ. ამ წლის 16 სექტემბერს გამომცემელმა საცენზურო კომიტეტს წარუდგინა პოემის დაბეჭდილი ცალები და მიიღო გავრცელების ნებართვა. ეს გამოცემა დაიბეჭდა თბილისში, სტამბა „ნადეჟდაში“ (ყოფ. სემიონოვის ქ. № 4)¹², ზომა 20×14 სმ., გვ. 266, ტირაჟი 1200, ფასი 50 კაპიკი.

ტექსტს დართული აქვს კ. თავართქილაძის წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის ხშირი გამოცემა, რაც, ავტორის სიტყვით, გამოწვეულია იმით, რომ პოემა „ყველასათვის ლიტერატურულ განძად ითვლება და მკითხველთა რიცხვიც მისი მატულობს“. ამის ნათელსაყოფად ავტორს ჩამოთვლილი აქვს ვეფხისტყაოსნის გამოცემები.

პოემის თავფურცელზე, ნახევრად ოვალურად, დაბეჭდილია პოემის სახელწოდება ქსილოგრაფიულად შესრულებული ასოებით. სხვა წარწერებისათვის გამოყენებულია შემდეგი სტამბური შრიფტები: აკადემიური 12, წვრილი კორპუსი, გოგებაშვილის 16, 10 მთავრული შავი, აკადემიური 12. (იხ. ტაბულა II). შემდეგ ჩართულია შ. რუსთაველის პორტრეტი, ავტორის ვინაობა აწყობილია გოგებაშვილის 16-ით, სარჩევი დაშორებულია გვერდს ზემოდან ოთხი

¹² საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 115, საქ. № 285, ფ. 101, № 504, ფ. 380.

სტრიქონით; ქვემოთ — ორი სტრიქონის დაშორებით — გავლებულია ბორდიურის ხაზი, რის შემდეგ, სამი სტრიქონის დაშორებით, აწყობილია ტექსტი, რომლის ბოლოში დაბეჭდილია ბორდიური.

გამომცემლის „წინასიტყვაობა“ დაბეჭდილია გოგებაშვილის 16-ით, დაშორებულია ის ზემო გვერდს სამი სტრიქონით; სათაურის ქვემოთ სამი სტრიქონის დაშორებით, იწყება ტექსტი, აწყობილია ის აკადემიური 12-ით, ხელის მოწერა—კ. თავართქილაძე—10 მთავრული შავით. მეორე გვერდი ცარიელია. მომდევნო გვერდზე დაბეჭდილია მ. ზიჩის ილუსტრაცია: „რუსთველი ვეფხისტყაოსანს მიაართმევს თამარ მეფეს“, წარწერა აწყობილია წვრილი კორპუსით.

შემუცტიტულზე მთავრული 16-ით დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც თავში და ბოლოში ერთვის ბორდიური, მის ქვემოთ, ერთი სტრიქონის დაშორებით, 12 არა მთავრული ჩონჩხით აწყობილია „შოთა რუსთველისა“.

პოემის ტექსტი დაბეჭდილია ჩვეულებრივი თეთრი კორპუსით. თითოეული თავის დასაწყისი სტროფის პირველი ასო სხვადასხვა შრიფტითაა აწყობილი; 24 მრგვალი, 24 განიერი თეთრი, 36 თხელი, 24 გოგებაშვილი მთავრული, 24 თხელი, 24 მრგვალი შავი, 24 ახალი, 16 მრგვალი, 16 მთავრული და 20 მთავრული შავი. სხვა სტროფების პირველი ტაეპები კი დაბეჭდილია შავი მთავრულით, შიგადაშიგ კი გვხვდება ჩვეულებრივი კორპუსით აწყობილიც (იხ. გვ. 7, 12, 43, 51, 56, 59, და სხვ.). პოემის სათაურები აწყობილია გოგებაშვილის 16-ით, ერთ შემთხვევაში კი (გვ. 19) ჩონჩხი 16-ით, ყოველ სათაურს, მცირე გამონაკლისის გარდა (იხ. გვ. 33, 65, 76, 198, 223, 239), ბოლოში ერთვის სხვადასხვა სახის ბორდიური, რომელიც ტექსტს დაშორებულია ერთი სტრიქონით. სათაურები ტექსტს დაშორებულია ორი სტრიქონით. ახალი გვერდიდან დაწყებული სათაურები დაწეულია ერთი სტრიქონით. პროლოგის დასასრულს ბორდიურად დაბეჭდილია მფრინავი მტრედის სურათი, რომელსაც ნისკარტით ტოტი უჭირავს (გვ. 9). პროლოგი დასათაურებულია — „წინასიტყვაობა“, დაშორებულია ის ზემოდან სამი სტრიქონით, ორი სტრიქონის ქვემოთ გავლებულია ბორდიურის ხაზი, რომელიც პოემის ტექსტს შორდება სამი სტრიქონით. სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია ერთი სტრიქონით. გრძელი ტაეპები გადატანილია ქვემო ან ზემო სტრიქონის თავისუფალ ადგილას (იხ. გვ. 9, 11, 12, 14, 23 და სხვ.).

პოემა დასურათებულია მ. ზიჩის ილუსტრაციებით. მათი წარწერა აწყობილია წვრილი კორპუსით. ილუსტრაციების მეორე გვერდზე დაბეჭდილია პოემის ტექსტი. გვერდების თავში, შუა ადგილას,

ხაზებს შორის, არაბული ციფრით (ციცეროთი) დაბეჭდილია პაგონაცია, გამონაკლისს წარმოადგენს ის გვერდები, რომლებზედაც ილუსტრაციაა დაბეჭდილი და გვერდის სათვალავშია შესული. სტროფები დაუნომრავად არის დაბეჭდილი, ბეჭდვისას მხედველობაში არაა მიღებული მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“.

წიგნი შეიცავს 268 გვ., 260 გვერდიდან იწყება ლექსიკონი, ანუ, როგორც წიგნშია აღნიშნული, „სიტყვების განმარტება“. აწყობილია ის მთავრული შავით. ასახსნელი სიტყვები დაბეჭდილია აკადემიური 12-ით, ამხსნელი — ვენური 12-ით. ტექსტი აწყობილია ორ სვეტად, გადატანილი სიტყვები აქაც დაბეჭდილია ქვემო ან ზემო სტრიქონის თავისუფალ ადგილას, ანდა შემოკლებით. ლექსიკონს ბოლოში ერთვის ბორღიური.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი გადმობეჭდილია ქართველიშვილისეული გამოცემიდან, ლექსიკონი — კ. თავართქილაძისეული გამოცემებიდან (1891, 1892 წწ.). უკანასკნელი გადმობეჭდილია შემოკლებით და კორექტურული შეცდომებით, მაგ., გამოცემაში, ალბათ, ქალაღის ეკონომის მიზნით, არაა შეტანილი წინაგამოცემების შემდეგი სიტყვები თავისი განმარტებებით: სპა, სპასალარი, სპასპეტი, სპეტი, სპეკალი, ჩამაზვა, წატანა, წერწეტი, კვრეტა, კოკმანი, ხათუნი, ხამს, ხარაჯა, ხატური, ხეზა, სვლა, ხვალმე, ხვაშიადი, ხვრეტა, ჯაბანი, ჯვარი, ჯალაბი, ჯეონი და სხვ. ზოგ ადგილას ტექსტი შეცდომით არის დაბეჭდილი, მაგ., „მუშაითი“ განმარტებულია „მუშთარის“ მნიშვნელობით, ეტყობა ასოთამწყობი „მუშაითის“ აწყობის შემდეგ მექანიკურად გადასულა „მუშთარის“ განმარტების აწყობაზე და, ამრიგად, პირველი სტრიქონიდან დაიკარგა სიტყვის განმარტება, მეორედან კი განსამარტავი სიტყვა. ასეთივე მდგომარეობაა „კურტაკისა“ და „კუშტობის“ მიმართაც, დაუბეჭდიათ „კურტაკი“ და ზედ მიუბეჭდიათ „კუშტობის“ განმარტება. დაუბეჭდავთ „ნიანგი“ და მოუციათ „ნორის“ განმარტება. ბევრია კორექტურული შეცდომებიც, დავასახელებ რამდენიმეს, დაბეჭდილია: კაიარული — მხიარულის ნაცვლად, მოსალა — მოსვლას მაგიერ, იოსელა — მოსელა, სასალი — სამსალი, იძვარი — იავარი, ჩიქითა — იჩქითი და სხვ. ერთი სიტყვით, „სიტყვათა განმარტებანი“ ამ გამოცემაში გამოუსადეგარია, ისტორიული თვალსაზრისითაც მასზე წინდაუხედავად დაყრდნობა შეუძლებელია.

IV

ვეფხისტყაოსნის გამოცემათა მზადების დროს თითქმის ყოველთვის ისმოდა საკითხი პოემის ვარიანტებით დაბეჭდვისა, მაგრამ ეს განზრახვა არც ერთ გამოცემაში არ განუხორციელებია, არა თუ ვა-

რიანტები, ერამედ პოემის ფსევდორუსთველურად მიჩნეული სტროფებიც კი უცნობი რჩებოდა ფართო საზოგადოებისათვის.

პოემის სტროფული სრული მოცულობის დაბეჭდვა პირველად სარგის კაკაბაძემ განახორციელა. იგი 1913 წელს შეუდგა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის სამზადისს. წინასწარ გამართა პოემაზე ხელის მოწერა და „სახალხო გაზეთის“ საშუალებით დაინტერესებულ პირთ აცნობა გამოცემის გეგმა და წიგნის შეძენის პირობები: პოემის „ტექსტი იმგვარად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში, თოთხმეტ რედაქციის გავლის შემდეგ 1500 ტაეპოვანი „ვეფხისტყაოსანი“ გარდაიქცა 2400 ტაეპოვნად. თოთხმეტი რედაქცია სათითაოდ იქნება ნაჩვენებიო“ — აცხადებდა გამომცემელი. გარდა ამისა, „წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიაც განხილული იქნება „ვეფხისტყაოსანი“ და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი და რამდენიმე „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერების მიხედვით და კიდევ უცხო და საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი, წიგნი დასურათებული იქნება, იბეჭდება კარგ ქალღმერთს და ელირება სამი მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს და ფულსაც შემოიტანს, მისთვის ელირება 2 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს ნაღდად არა ნაკლებ ხუთი ცალისა, მას თითო წიგნი დაეთმობა 1 მან. 75 კაპ. წიგნის დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში (სასახლის ქუჩაზე) და თვით გამომცემელთან. ტფილისში აგენტობა მინდობილი აქვს სპირიდონ ფიცხელაურს. ტფილისის გარედან ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлис, Высшие Женские Курсы Сергею Несторовичу Какабадзе 1593“¹³.

ამ დროს ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე მუშაობდა იუსტინე აბულაძეც. მან ს. კაკაბაძეზე ადრე პრესაში გამოაცხადა ხელისმოწერა და გამოცემის ანოტაცია. „პოემა იქნება მე-21 გამოცემა... წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონიო, — აცხადებს გამომცემელი, — ტექსტი შეკვრებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე. წიგნი იბეჭდება ორნაირად: ჩვეულებრივ ქალღმერთს უყდოთ და ელირება 1 მან. და ძვირფას ქალღმერთს ძვირფასი ყდით — 2 მანეთი.

ვინც კეთილს ინებებს და 10 კვიტანციას გაჰყიდის, იმას ერთი წიგნი კარგს ქალღმერთს ძვირფასი ყდით, საჩუქრათ მიერთმევა.

¹³ „სახალხო გაზეთი“, 1913, № 1051, 24 XI.

იმ დაწესებულებათ და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს და 10-ზე მეტს გაასაღებს, მიეცემათ მანეთზე 15 კაპ.

ხელისმოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდე, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელისმომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისათვის.

ხელისმოწერის შეწყვეტის შემდეგ თუ გადაარჩა წიგნები, მანეთიანს მიემატება ათი შაური და ორმანეთიანს — ერთი მანეთი.

ხელისმოწერა მიიღება: თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ქუთაისში თ. მთავრიშვილი და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიებში და ის. კვიციანიძის კანტორა „იმერეთში“ და აგრეთვე ბათუმის, ბაქოს, ფოთის წიგნის მაღაზიებში. ფული და კორესპონდენციები ეგზავნება ამხანაგობას „მწიგნობრობის ქვეყანას“ შემდეგი მისამართით: Тифлис, Кабгеровская д. № 29, Ю. И. Абуладзе¹⁴.

ამავე ნომერში იგივე გაზეთი ქრონიკაში მკითხველებს აცნობებდა, რომ „იბეჭდება ვეფხისტყაოსნის მე-21 გამოცემა ი. აბულაძის რედაქტორობით. წიგნს წინასიტყვაობის სახით დაერთვის გამოკვლევა და ვრცელი ლექსიკონი. ტექსტი შეჯერებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროება და მიაწოდოს საზოგადოებასა და სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად“.

მაგრამ უსახსრობის გამო, ვერცერთი გამოცემა დაპირებულ დროს ვერ გამოვიდა. ამიტომ გამომცემლები შეთანხმდნენ შეერთებული ძალით გამოეცათ ვეფხისტყაოსანი, რის შესახებაც 1914 წ. 12 იანვრის „სახალხო გაზეთში“ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნეს: „იუსტინე აბულაძე და სარგის კაკაბაძე ამით აცხადებენ, რომ მათ თავის ხელისმომწერთა უკეთ დასაკმაყოფილებლად საუმჯობესოდ დაინახეს თავისი გამოცემის გაერთიანება. ბ-ნთ აბულაძისა და კაკაბაძის ხელისმომწერნი მიიღებენ „ვეფხისტყაოსანს“ ორთავ პირთა საერთო გამოცემას, რომელიც შეიცავს: 1) გამოკვლევას ს. კაკაბაძისას, 2) გამოკვლევას ი. აბულაძისას, 3) ტექსტს, შემუშავებულს ს. კაკაბაძის მიერ და 4) ვრცელს ლექსიკონს ი. აბულაძისას.

წიგნს ექნება სურათები მე-17 საუკუნ. მინიატურებიდან. ბ-ნ აბულაძის წიგნის მანეთიანი ხელისმომწერლები მიიღებენ ამავე გამოცემას უსურათოდ.

¹⁴ გაზ. „თეში“, 1913, № 144, 7 X.

წიგნი გამოვა იანვრის დამლევს და მაშინვე დაურიგდება ხელისმომწერლებს.

ბ-ნ აბულაძის აღრესი: Тифлис, Авлабар, Кабгеровская 29.

ბ-ნ კაკაბაძის აღრესი: Тифлис, Высшие Женские Курсы*.

მუშაობის პროცესში გამომცემლები ვერ შეთანხმდნენ და აღნიშნული დაპირება ვერ განახორციელეს. ისევ ცალ-ცალკე განაგრძეს მუშაობა პოემის გამოცემაზე.

ორივე გამოცემა დაიბეჭდა 1914 წელს.

სარგის კაკაბაძის გამოცემა მარტში უკვე მზად იყო (29 მარტს ბექვლითმა კომიტეტმა სტამბიდან მიიღო სავალდებულო ცალები), ხოლო 26 ივნისს საცენზურო კომიტეტისაგან გავრცელების ნებართვაც მიიღო*. დაიბეჭდა 2000 ცალი, თბილისში, კილაძის სტამბაში¹⁵, ფასი 2 მანეთი.

იუსტინე აბულაძის გამოცემა კი მზად იყო 1914 წ. ივნისში (2 ივლისს ბექვლითმა კომიტეტმა სტამბიდან მიიღო სავალდებულო ცალები), საცენზურო კომიტეტმა კი გავრცელების ბილეთი გასცა იმავე წლის 28 სექტემბერს¹⁶.

ს. კაკაბაძის გამოცემა წინა გამოცემებთან შედარებით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. თუ წინა გამოცემები ძირითადი ტექსტის გამოცემით და მოკლე ლექსიკონით კმაყოფილდებოდნენ, ამ გამოცემაში ძირითად ტექსტთან ერთად, განმეორებული ნუმერაციით, მოცემულია ფსევდორუსთველური სტროფებიც ყველა დროისა და ნუსხების მიხედვით, რითაც დაინტერესებულ პირთ საშუალება ეძლევათ მთლიანად გაიციონ ვეფხისტყაოსანი ჩანართ-დანართი სტროფებით. რაც შეეხება ვარიანტულ წაკითხვებს, ეს არც ამ გამოცემაში განხორციელდა, გამომცემლის განცხადებით „ეს შეუძლებელი აღმოჩნდა ნივთიერი მოსაზრებისა გამო“. ამავე მიზეზით, გამოცემას არ დართვია დაპირებული ლექსიკონიც.

ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე რედაქტორს ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტად 1761 სტროფი მიუჩნევია, ხოლო 598 — ფსევდორუსთველურად, რომლებიც ძირითადი ტექსტის სქოლიოებში, ან როგორც თვითონ ეძახის, ქვედა სართულში დაუბეჭდავს განსხვავებული შრიფტით¹⁷.

¹⁵ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 115, საქმე № 1040, ფ. 352, საქ. № 842, ფ. 201.

¹⁶ ი. ქ. ე. საქმე № 842, ფ. 331, საქ. № 1040, ფ. 561.

* ს. კაკაბაძის ცნობით კი წიგნი 1914 წ. თებერვალში გამოსულა (იხ. ვეფხისტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით მეორე გამოცემა 1927, გვ. CX LIV), მაგრამ ეს ცნობა ეწინააღმდეგება დოკუმენტებში აღნიშნულ თარიღს.

¹⁷ გამოცემაში ჩანართი სტროფის რაოდენობა ზუსტი არაა. ერთი და იგივე სტროფი ზოგჯერ რამდენჯერმე არას დაბეჭდილი, შტრ.: 1527¹ და 1585, 1610 და 1721¹, 1527¹⁷.

ტექსტის დამუშავებისას რედაქტორს ხელთ ჰქონია ვახტანგისეული და ქართველიშვილისეული გამოცემანი, ხელნაწერები S ფონდის 2829, 4499, 5006, 4988, 4732, H ფონდიდან: 599, 757, 461, 54 — და A ფონდის № 363.

სტროფებად დაყოფის დროს რედაქტორს, გარდა ზემო დასახელებული გამოცემისა და ხელნაწერებისა, სხვა ხელნაწერებიც გამოუყენებია. ნარკვევში აღნიშნულია ფსევდორუსთველურად მიჩნეული სტროფების სხვადასხვა ჯგუფის ლიტერები და ჯგუფების მიხედვით ყალბად მიჩნეული სტროფების სია, აქვე გარჩეულია დასახელებული გამოცემანი, ხელნაწერთა სტროფული შემადგენლობა და მათი რედაქციები. ვრცლადაა განხილული პოემის ავტორის ვინაობისა და ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. წინასიტყვაობაში რედაქტორს აღნიშნული აქვს ის არახელსაყრელი პირობები, რომელშიაც უხდებოდა მას პოემის სტროფების შევსება და შესწავლა¹⁸.

სტროფული შედგენილობით ეს გამოცემა ყველა გამოცემას აღემატება. მას საფუძვლად უდევს S 2829 ხელნაწერი, რომლიდანაც რედაქტორს, რამდენიმე სტროფის გამოკლებით (ა, დ, შ, იგ, იზ, კ), ყველა რუსთველისეულად მიუჩნევია, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი. მის მიერ გამოცემულ ძირითად ტექსტში ბევრი არარუსთველის სტროფია, რაზედაც სამართლიანად მიუთითა თავის რეცენზიაში ი. აბულაძემ. რეცენზენტის აზრით, ყოველივე ეს ს. კაკაბაძეს იმიტომ მოუვიდა, რომ ის ამ საქმეში გამოუცდელია და სათანადოდ არ აქვს შესწავლილი ხელნაწერები. ამის დასამტკიცებლად რეცენზენტს მოჰყავს 4 სტროფი (1528 — 1531 „ქედსა ზედა გარდმოადგა“, „მოსახეს იგი ვაქარნი“, „გაეხარნეს მათ ვაქართა“ და „უბრძანეს, გვითხარ ვაქარნო“) და აღნიშნავს, ეს ოთხი სტროფი საკმარისია იმისათვის, რომ დარწმუნდეთ მის სიყალბეშიო, „არა თუ რუსთველს, რომელიც კლასიკური ეპოქის ჭეშმარიტი შვილია, ამგვარი სტილით წერა არ შეეფერება. აღორძინების ხანის მწერალსაც კი“. ისე გამოდისო, აცხადებს რეცენზენტი, „რომ ისეთი ლექსი, როგორცაა: „ყუელასა ცრემლი სდის მგზავსი წუეთისა“ (სტრ. 1531,3) რუსთველის კალმის ნაწარმოებია, მაშინ როდესაც რუსთველის ყველა გმირს ყოველთვის „ცრემლი სდის ზღვართაცა შესაძალი“, „ზღვისაცა მეტის მეტია“, ან „ზღვათაცა შესართავია“, „ზღვათაცა შენართევი“ ანდა კიდევ: „დიჯლის ანუ ჯეონის მსგავსად“,

¹⁸ სხვადასხვა მიზეზის გამო, მუშაობის დროს რედაქტორისთვის ყველა ხელნაწერიც არ ყოფილა ხელმისაწვდომი და იძულებული გამხდარა დაკმაყოფილებულიყო იმ ცნობებით, რომლებიც მას ადრე ჰქონია აპოწერილი ამ ხელნაწერებიდან.

ე. ი. ყოველთვის ოკეანე ანდა — დიდი მდინარის ოდენი ცრემლი და არა „მსგავსი წვეთისა“. ამას გარდა, რეცენზენტი ს. კაკაბაძეს უსაყვედურებს, რომ მას სრულებით არა აქვს დასაბუთებული მის მიერ აღებული ხელნაწერის უპირატესობა „თუნდა ვახტანგისა და ამ ხელნაწერის ვარიანტების შედარების საშუალებით“. მართალია მისი ტექსტი მეტწილად S 2829 №-ი ხელნაწერს იმეორებს, მაგრამ ხშირად რედაქტორი „დიდი თვითნებობით ეპყრობა მას და აღუნიშნავად შეაქვს თავის ძირითად ტექსტში, ვახტანგისა და ქართველი-შვილისეული რედაქციების წაკითხვების მიხედვით; შესწორებები, და ყველაფერი ეს ირკვევა მხოლოდ მისი ტექსტის სხვა გამოცემებთან შედარების შემდეგ, რადგან თვით რედაქტორს საამისოდ არაკითარი მუშაობა არ გაუწევია: მას არ აქვს ნაჩვენები და გაშუქებული არცერთი პოემის ტექსტის ასე თუ ისე „სარწმუნო ვარიანტი“. ამის შემდეგ ი. აბულაძე აღნიშნავს ს. კაკაბაძის იმ დიდ შრომას, რომელიც მას ჩაუტარებია სხვადასხვა ხელნაწერებიდან სტროფების ამოსაწერად და თანაც მართალია რედაქტორს „ცოტათ თუ ბევრად უჩვენებია ამ ხელნაწერის თანდათანობით წარყვანა ჩანართების მოზღვაების გამო“, მაგრამ ეს მისი შრომა „მეტად უხეიროდ არის შესრულებული, რის გამო იგი თითქმის უნაყოფოა“ იმიტომ, რომ „ტექსტის კაბადონების ათასგვარი ასოებით მეტისმეტად აჭრელების გამო, დიდი და ძნელი საქმეა თითოეული ნუმერაციის შემოწმება და მიგნება“. მიუხედავად ყოველივე ამისა, — ასკენის რეცენზენტი, — ს. კაკაბაძის გამოცემა „მეცნიერულ მნიშვნელობას მოკლებული არ არის, როგორც რუსთველის პიროვნების, ისე თვით პოემის შედგენილობის საკითხთა შესწავლისათვის, რადგან მისი ტექსტის შესავალი წარმოადგენს ჩვენი პოეტის დროის შესახებ სრულიად ახალსა და საინტერესო ექსკურსს“¹⁹.

პოემის ტექსტისათვის რედაქტორს დაურთავს ფერად ქაღალდზე დაკრული შ. რუსთველის სურათი, გადმოდებულია ის გაგარინის გამოცემაში პორტრეტიდან, რომლის დედანი იყო პოემის ზაზახეული მე-17 საუკ. ხელნაწერის სურათი. ვეფხისტყაოსნის ტექსტში კი ჩაქრულია კარგ ქაღალდზე, ცალ გვერდზე დაბეჭდილია 11 ილუსტრაცია, რომლებიც გადმოდებულია S 5006 ხელნაწერიდან. ესენია: „აქა როსტევან მეფემ თავისი ქალი თინათინ ტახტს დასვა და სოგრატ ვეზირმან და მოლაშქრეთ მიულოცეს ხელმწიფობა“ (გვ. 10), „აქა როსტევან მეფე მოწყენით ზის და სოგრატ ვეზირი და ავთან-

¹⁹ იხ. ი. აბულაძე. მე-12 საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, თბ., 1922, გვ. 253—256.

დილ ფიალას აძლევენ“ (გვ. 12), „აქა როსტევან მეფეს და მის ვეზირს სოგრატს საპკო საუბარი აქუსთ“ (გვ. 14), „აქა როსტევან და ავთანდილ ნადირობენ“ (გვ. 16), „აქა როსტევან მეფე თინათინთან ტარიელის საძებნელად კაცების გაგზავნას არჩევს“ (გვ. 22), „ქ. ტარიელ და ასმათ ისხდენ პირველ რომ ნახა“ (გვ. 44), „აქა ტარიელ წიგნის პასუხი მიუწერა ხატაელთ მეფეს“ (გვ. 62), „აქა ტარიელ ლაშქარს იყრის ხატაელზედ“ (გვ. 66), „ქ. ტარიელის ვეზირობაში მიყუნა ნესტან-დარეჯანს გავათხოვებთო“ (გვ. 76), „ქ. ვნახე სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად“ (გვ. 82), „როსტევან მეფე. ფრიღონ და ტარიელ სხედან“ (გვ. 194).

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ილუსტრაციებმა პირველად ამ გამოცემაში პპოვეს პუბლიკაცია, ამითაც ეს გამოცემა განსხვავდება წინა გამოცემებისაგან.

რუსთაველის პორტრეტის წინ, ცალკე ფურცელზე, დაბეჭდილია ვეფხისტყაოსნის სარჩევი, რომლის მეორე გვერდის ბოლოს აღნიშნულია ნარკვევში შემჩნეული სამი „მთავარი კორექტურული შეცდომანი“, მისი სათაური აწყობილია მთავრული 12-ით, ტექსტი კი — წვრილი კორპუსით. ბოლოში გავლებულია ბორდიური.

გვერდების პაგინაცია დაბეჭდილია თავში, შუა ადგილას, ხაზებს შორის. პოემისა და მისი მომდევნო გვერდების პაგინაცია კი მოთავსებულია ქვემო აშიაზე მარჯვენა მხარის კუთხეში, რაც პოლიგრაფიულად გაუმართლებელია, რადგანაც წყვილი ციფრი ყოველთვის უნდა იყოს მარცხნივ.

წიგნის ყდა და ტიტული ერთნაირია, დახატულია ისინი დ. კაკაბაძის მიერ. სხვაობა მხოლოდ სტამბურად აწყობილ შრიფტებშია. ყდაზე გამოყენებულია: მთავრული კორპუსი 10, ჩონჩხი 16, პარიზი 12, კორპუსი შავი მთავრული და კირილე 12, ტიტულზე: ჩონჩხი 12 და შავი მთავრული 14.

წინასიტყვაობისა და გამოკვლევის (გვ. 1—68) ტექსტი აწყობილია წვრილი კორპუსით, პირველი უსათაუროდაა, მეორეს სათაური — წვრილი ვეფხისტყაოსნის შესახებ — აწყობილია გოგებაშვილი 24-ით.

წინასიტყვაობის ხელისმოწერა აწყობილია შავი 12-ით, თარიღი და ადგილი — აკადემიური 12-ით.

სქოლიოს აღმნიშვნელ ნიშნად აღებულია ვარსკვლავი ფრჩხილით.

ნარკვევში ჩართული დინასტიათა სათაურები (გვ. 48—49) აწყობილია შავი 12-ით, შტოს საწყისი პიროვნება — 10 თეთრით, დანარჩენთა სახელები — პეტიტით.

სქოლიოები დაბეჭდილია პეტიტით.

სტროფების ლიტერად გამოყენებულია ქართული მხედრული 10 მთავრული ასოები. „სარჩევი ტექსტისა“ აწყობილია გოგებაშვილი 24-ით. თვით „სარჩევი—აკადემიური 12-ით.

პოემის სახელწოდება—გოგებაშვილი 24-ით, დაწეულია ზემოდან 6 სტრიქონით, ტექსტიდან დაშორებულია 2 სტრიქონით.

პოემის ძირითადი ტექსტის სათაურები დაბეჭდილია ჩონჩხი 16-ით. დაწეულია 4 სტრიქონით, ტექსტიდან მოშორებულია 3 სტრიქონით. ტექსტი კი აწყობილია ხომლით. სტროფები ერთმანეთს დაშორებულია 2 შპონით.

ჩანართი და დანართი სტროფები აწყობილია ციცერო აკადემიურით.

სტროფების ნუმერაცია ტექსტს გარეთაა გამოტანილი. თითოეული სტროფი იწყება აბზაცით.

წიგნი (ზომა 24×16) ცუდათაა დაკაბადონებული. პოემის სათაურები სხვადასხვა ზომითაა ქვემოთ დაწეული, ზოგი მათგანი ახალი გვერდით იწყება, ზოგიც ტექსტს მიყვება. ჩანართ-დანართი სტროფების ძირითად ტექსტს სხვადასხვა ზომით შორდება, ზოგი კი უშუალოდ მიყვება ძირითად ტექსტს. საერთოდ, წიგნში არაა დაცული საამწყობო ტექნოლოგია.

ტექსტის ბოლოს წიგნში დაბეჭდილია ბორდიური.

ხელისმომწერლებისაგან დარჩენილი წიგნები გამომცემელმა სარეალიზაციოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ დროს საზოგადოების საწყობს გაუჩნდა ცეცხლი, რომელმაც დააზიანა წიგნები. გამომცემელი იძულებული გახდა წიგნები ყდებში ჩაესვა, ამიტომ წიგნის ნაწილი საზოგადოებაში გავიდა უყდოდ, ნაწილი კი მაგარ კოლენკორგადაკრული მოტვიფრული ყდით და ზოგიც მუყაოს ყდაში იყო ჩასმული.

როგორც აღვნიშნეთ, ეს გამოცემა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიაში. ამ გამოცემით საზოგადოება პირველად გაეცნო პოემის ხელნაწერების სტროფულ მოცულობას, ხელნაწერებს, ძველ ილუსტრაციებს და პოემის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხების მეცნიერულ ნარკვევს.

V

როგორც აღვნიშნეთ, 1914 წელს გამოვიდა ვეფხისტყაოსნის ი. აბულაძისეული გამოცემა.

ი. აბულაძე დიდი ხანია მუშაობდა რუსთველოლოგიის საკი-

თხებზე, ამ დარგში მას არაერთი მოხსენება წაუკითხავს და საყურადღებო ნარკვევებიც დაუბეჭდავს.

1908 წ. „ძველი საქართველოს“ I ტომში მან დაბეჭდა ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, საიდანაც ჩანს, რომ ის ამ დროს ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემაზედაც მუშაობდა. ეს გამოცემა უნდა დაბეჭდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, მაგრამ უკანასკნელმა შემდგომში გამოცემაზე უარი განაცხადა, ერთი კაცისათვის ამ საქმის მინდობა შეუძლებლად სცნო, ეს საქმე საზოგადოებამ სპეციალურად შექმნილ კომისიას დაავალა. უკანასკნელი შეუდგა მუშაობას, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. „ამ გარემოებამ, — წერს ი. აბულაძე, — მაიძულა როგორმე საკუთარი ძალ-ღონით გამომეცა პოემის ტექსტი, მაგრამ რადგან მე პირადად არავეთარი სახსარი არ მომეძებებოდა, ამიტომ 1913 წლის იანვარში გავმართე ჩემ მიერ დამზადებულს რედაქციაზე; ხელისმომწერა. პირველში საქმე კარგად მიდიოდა, რადგან ორი თვის განმავლობაში ხელისმომწერთა რიცხვი უკვე ათასამდე ავიდა.

მაგრამ მალე ერთმა დაბრკოლებამ შეაფერხა საქმე, სახელდობრ, სამი-ოთხი თვის შემდეგ, მსგავსივე ხელისმომწერა გამართა ბ. სარგის კაკაბაძემ, რომელიც ჰპირდებოდა ხელისმომწერლებს ბევრად მეტს, ვიდრე ჩვენ. ამავე დროს გამოცემლობაც [„მწიგნობრობის ქვეყანა“], რომელთანაც ჩვენ საქმე დავიჭირეთ, ვერ გამოდგა საკმაოდ პირიანი, რაც აგრეთვე მოუსვენრობას გვაყენებდა და საქმეს, რომელიც განსაკუთრებით ჰსაჭიროებს სულის სიმშვიდეს, ხელს დიდად უშლიდა. ამას დაერთო ისიც, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ, მდივნის ს. გორგაძის წინადადებით, დაადგინა: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების სარგებლობა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც საზოგადოების გამოცემისათვის იმუშავებსო“. ამან ჩამაყენა ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში და თითქმის შემაწყვეტინა დიდი ხნის დაწყებული მუშაობა ხელნაწერებზე, მაგრამ მაინც ასე თუ ისე, არ მინდოდა უნაყოფოდ დარჩენილიყო ეს ჩემ მიერ გაწეული შრომა და მასთან ხელმომწერლებთანაც რომ პირი არ გამტეხოდა, მოვახერხე ჩემი რედაქციით „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის დასტამბვა“²⁰.

ცხადია, ასეთ პირობებში დამზადებული გამოცემა ვერ იქნებოდა სრულფასოვანი. ამითაა გამოწვეული რედაქტორის ის უამრავი შენიშვნა და გასწორება, რომლებიც ბეჭდვის პროცესში ვლინდებოდა.

²⁰ ი. აბულაძე, მე-XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და -ვეფხისტყაოსანი“, 1922, გვ. 244—245.

ძირითადი ტექსტის დადგენისათვის რედაქტორს საფუძვლად აუღია ვახტანგისეული გამოცემა და ის შეუმოწმებია S 4732, 2829, 4499, 4988, 5006, H 461, 599, 54, 757 და A 363 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებისათვის. რედაქტორის აზრით, ვახტანგის რედაქციის აღნიშნულ ხელნაწერებზე შეჯერებით და „იმ ხანათა გამოკლებით, რომლებიც ამ ხელნაწერებს აკლია, ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დაახლოებით წმიდა და შეურევნელი ვეფხისტყაოსნის ტექსტი“²¹. ამ მუშაობის შედეგად ი. აბულაძეს ვეფხისტყაოსნის მოცულობა 1555 (1—XXXI+1519+05) სტროფით განუსაზღვრავს. ძირითადი ტექსტის სქოლიოებში, განმეორებითი ნუმერაციით, დაუბეჭდავს ქართველიშვილის გამოცემაში უარყოფილი 37 სტროფი და ერთი (190!) აღ. სარაჯიშვილის ჩანართად ცნობილი სტროფი. „ამით თუმცა სისტემას გადავუხვეითო, აცხადებს რედაქტორი, მაგრამ, სამაგიეროდ, პატივსადებად ვსცანით, როგორც კომისიის, ისე ნეტარხსენებული აღ. სარაჯიშვილის მსჯელობაო“²².

რედაქტორს პოემის ტექსტში ჩართული აქვს ნებისმიერი სათაურები. პროლოგისათვის: „შესავალი, რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს. წიგნის დასაწყისი (გვ. 1). მე-8 სტროფის (მე რუსთველი ხელობითა) შემდეგ: ჰამბავთათვის (გვ. 2), მე-11 სტრ. (რაცა ვის რა ბედმან მისცეს) შემდეგ: მოშირეთათვის (გვ. 2), მე-19 სტრ. (ჩემი აწ სცანით ყოველმან) შემდეგ: მიჯნურთათვის (გვ. 3), 1519-ე სტრ. (ყოვლთა სწორად წყალობასა) შემდეგ: დასასრული, რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს (გვ. 193).

მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ ტექსტშია. შეტანილი. სტროფების ნუმერაცია ტექსტს გარეთაა დაბეჭდილი.

გვერდებს პავინაცია დასმული აქვს ზემოთ მარცხნივ და მარჯვნივ კუთხეებში, გამოკვლევაში რომაული, ხოლო სხვაგან არაბული ციფრებით.

ტექსტს წინ ერთვის რედაქტორის ვრცელი ნარკვევი „რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, სადაც შესავლის შემდეგ განხილულია შემდეგი საკითხები: რუსთველის ვინაობის შესახებ ცნობების უქონლობა, წყაროები პოემის ავტორის ბიოგრაფიის შესადგენად, სახელწოდება რუსთაველი, პოეტის სახელი და ეპოქა, ქაჯის შესახებ თქმულება და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და დასკვნები (გვ. III—LXIII). LV გვერდზე დაბეჭდილია „მცირედი შენიშვნა“, სადაც აღნიშნულია წიგნის გამოცემასთან დაკავშირე-

²¹ ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის გამოცემა, 1914, გვ. XXXVI!—LXIII.

²² ი კ ე ე, გვ. 266, შცნ.

ბული დაბრკოლებები და რამდენიმე შეცდომის გასწორება. ამას მიყვება „სარჩევი“ (გვ. LXV—LXVII), LXVIII გვერდი ცარიელია. პირველ გვერდზე იწყება პოემის ტექსტი, რომელიც მთავრდება 184 გვერდით. ტექსტს მიყვება ლექსიკონები: „ნასესხები და იშვიათი სიტყვების“ (გვ. 185 — 202), „ძველი ქართული სიტყვების“ (გვ. 203 — 226) და „საკუთარი სახელების“ (გვ. 227 — 232). „საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი“, სადაც ჩამოთვლილია პოემის ტექსტში, სათანადო ადგილების მითითებით, პიროვნებანი, გეოგრაფიული სახელები, ცხოველები, მცენარეულობა, ლითონები, ვარსკვლავთმრიცხველობა, მნათობები, სარწმუნოება და სარწმუნოებრივი აზრები, განგება, ბუნების კანონის შეუცვლელობა, ღვთისმეტყველური ეპითეტები, ბიბლიური საკუთარი სახელები, ისლამი, ზღაპრული არსებანი, სოციალური ცხოვრება და ეთიკა, ბჭობის მნიშვნელობა, რიცხვი, ფულები და წონა, ბურთაობა და გართობა, საომარი და სანაფოსნო იარაღი, საერო საქმენი და საოჯახო წყობილება, საყრავები და „ტექსტის შესახები შენიშვნები“, სადაც ჩამოთვლილია პოემის „უარყოფითი კავშირების განმეორებანი“, „გარეგანი ფორმით მსგავსის სიტყვების ერთად ხმარება“ და „მიმართულების მაჩვენებლის პრეფიქსების გამეორება“ (გვ. 233 — 251).

წიგნში კარგ ქალაღზე დაბეჭდილია მ. ზიჩის ილუსტრაციები.

როგორც ვხედავთ, ამ გამოცემის აპარატი უფრო სრულყოფილია, ვიდრე წინაგამოცემებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კარგი გეგმით გამოცემულ წიგნში რედაქტორის სიჩქარის გამო, ბევრი კორექტურული და ფაქტიური ხასიათის შეცდომები გაიპარა. ზოგი მათგანი რედაქტორს წიგნის ბეჭდვის პროცესში შეუძმჩნევია, გზადაგზა წიგნშივე უსწორებანი²³ და ცალკე ფურცელზედაც დაუბეჭდავს, მაგრამ უფრო მეტი შეცდომები წიგნის დაბეჭდვის შემდეგ გამოძედავენებულა იმ რაოდენობით, რომ რედაქტორი იძულებული გამხდარა წიგნის გამოსვლისთანავე²⁴, 1914 წ. მიწურულში, ცალკე წიგნაკად დაებეჭდა „შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით“.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში ი. აბულაძე აცხადებს, რომ „ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის რედაქტორობის დროს, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვეღარ მოვასწარით მასში ყველა შესწორების შეტანა და ტექსტის სასურველად გაწმენდა აშკარა ჩანართებისაგან

²³ 233—250 გვ. სტამბის მეტრაპაშის უყურადღებობით შეცდომით დაბეჭდილია 225—232 გვერდებად, რაც 232 გვერდზე მესტამბე კ. თავართქილაძეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული.

²⁴ გამოვიდა 1914 წ. სექტემბერში, იხ. აქვე, გვ. 23.

და აგრეთვე, ვარიანტების მიხედვით, პოემის ენის შესწორება. ძლიერ გვაჩქარებდა როგორც სტამბა, ისე ხელისმომწერლები და ყველა ეს ნებას არ გვაძლევდა გულდასმით შეგვემოწმებია კორექტურული ფურცლები ორიგინალზე, ... ამ სიჩქარესა და გაფაციცებით მუშაობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ შეცდომით დაისტამბა ხელნაწერებისა და ვარიანტების აღსანუსხავი ციფრები. ამავე მიზეზების გამოისობით, ტექსტში ვერ შევიტანეთ ყველა შესწორება: დაგვრჩა ხელუხლებლად, ახუ უკეთ, ისევ ვახტანგის რედაქციის მიხედვით დაისტამბა ის ტრადიციული შეცდომები, რომლებიც ამ 15 — 20 წლის წინად უკვე შესწორებული გვქონდა“ — (გვ. 111).

წიგნში განხილულია მოსაზრებანი ჩანართი სტროფების შესახებ (გვ. 5 — 16), მოცემულია პოემის ადგილების კრიტიკულად დადგენილი ძირითადი სტროფები და ჩანართები. ვეფხისტყაოსნის ტექსტი რედაქტორს დაუყვია თავებად, თითოეული თავის სტროფები პირველი ნუმერაციით იწყება. მას განზრახული ჰქონია ამ სახით სერიებად დაებეჭდა ვეფხისტყაოსნის მორიგი გამოცემა. პოემის ტექსტი დადგენილია S—2829, 4499, H—461, 599, 54, 757 ხელნაწერების მიხედვით²⁵. ვარიანტები დაბეჭდილია 49 — 108 გვერდებზე. შემდეგ მოცემულია ამ წიგნის „დამატებანი და შესწორებანი“ (გვ. 108 — 110), სარჩევი და სტროფების საძიებელი (გვ. 111 — 112)²⁶.

²⁵ აქაც ხელნაწერების ნუმერაცია შეცდომებით არის დაბეჭდილი. 2829 ნაცვლად აღნიშნულია 2819, 2529; 599 ნაცვლად—596 და სხვ.

²⁶ პოემის ტექსტიდან აქ დაბეჭდილია შემდეგი ნაწილები:

თავი ა

ამბავი პირველი როსტევეან არაბთა მეფისა (გვ. 17), ჩანართები: 25¹ (თაქსა ზის პირმზე აეთანდილ), 25² (თქვეს: „თუ მეფე ცულსა რასმე ვონუბასა ჩავარდნილა), 27¹ (რა მეფემან მოისმინა), 30¹ (კვლავ უბრძანა: თავსა ჩემსა რას იცინი). ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ნადირობა, 36-ე სტროფის (მონადირეთა უბრძანა-ს) შემდეგ.

თავი ბ

ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა (გვ. 23). ჩანართები: 17¹ (მეფე საწოლს შემოვიდა), 31¹ (მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით“), 31² (მეფე ბრძანებს: „მართალ იყო“, 31³ (ესე თქვა და სიხარულით თამაშობა აღიდა,) 36¹ (ყმამან ჰკადრა: საზაროსა ჩემგან თქმადა ვით იქნების?) 43¹ (მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამაშაე“). ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ე ბ ი: თინათინისაგან აეთანდილის ხმობა (31-ე სტროფის: „კაცი წაიღეს, იარეს“ შემდეგ); აეთანდილისაგან მეფესთან მისვლა სადარბაზოდ, ოღეს გაეყარა (50-ე სტროფის „მოშორებება საყვარლისა“ შემდეგ); აეთანდილ შერმადინს დაადებს თავის წილ სპასპეტად (55-ე სტროფის „მეფე ყულსა მოვიდა“ შემდეგ).

თავი ბ

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი (გვ. 32). ჩ ა ნ ა რ თ ე ბ ი: 1¹ (ღმერთმან თუმცა ენა ჩემი), 1² (თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა).

შაგრამ ამ მდგომარეობამაც ვერ ამოწურა წიგნში დაშვებული შეცდომები, რომლებიც თანდათანობით ვლინდება იმდენად, რომ ი. აბულაძე იძულებული გამხდარა თავის ახალი წიგნისათვის — „მე- XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი“ — დამატებით დაერთო კიდევ შეცდომების გასწორება (იხ. წიგნს წინ დართული 4 გვ. და აგრეთვე 260 — 262 გვ.). ეტყობა ნაშრომი ერთდროულად იწერებოდა და იბეჭდებოდა.

წიგნი დაიბეჭდა 1800 ცალი, ღირდა ყდით 2 მანეთი და 50 კაპ. უყდით — 1 მანეთი და 50 კაპ. ზომა 29 X 17 სნ., თბილისი, სტამბა „ნადეჟდა“.

1914 წელს ი. აბულაძემ ვერ შეძლო ვეფხისტყაოსნის მთელი ტირაჟის გამოცემა ქალაქის უქონლობის გამო. 300 ცალს დააქლა ხუთ ფორამდის, რომელიც 1920 წელს დაბეჭდა²⁷. 1914 წელს დაბეჭდილსა და 1920 წ. ნაბეჭდს შორის არის ტექნიკური განსხვავება, მაგ., 1914 წ. გამოცემაში თავი „წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი“ იწყება ახალი გვერდით (153), 1920 წ. გამოცემაში კი 152 გვერდი მიყვება ტექსტს. სტროფის ასეთი შემქიდროებული ბეჭდვა არის 152 — 165 გვერდებს შორის, რითაც მიღებულია ერთი გვერდის ეკონომია. ამას თუ დაუვმატებთ 1914 წ. გამოცემაში არსებულ თავისუფალ გვერდს (194), მაშინ 1920 წ. გამოცემა ორი გვერდით ნაკლები გამოდის 1914 წ. გამოცემასთან შედარებით. ორივე გამოცემაში გვერდების პაგინაცია შეცდომით არის

თავი ივ

წიგნი ტარიელისა საეუარელსათანა მინაწერი პასუხად (გვ. 33). ჩ ა ნ ა რ თ ე ბ ი: 16¹ (იგი ენახე დარეჯილი). 39¹ (ასრე ქქვენ, ჩემო ლომი).

თავი იშ

ფრიდონის მიერ ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა ოდეს ტარიელს უამბო (გვ. 38). ჩ ა ნ ა რ თ ე ბ ი: 13¹ (აჩანა კაცი, სადაცა სადგური ნეთა სჩენოდეს.), 34¹ (მასსა ვერ იტყვის ქებასა). 45¹ (ავთანდილს ასმათ ჩამოქუვა), 45² (აღრე მოვალ, არ გაგწირავ).

თავი ლ

წასულა აეთანდლისა ფრიდონისას, მელაზარსა რომ შეეყარა (გვ. 44). ჩ ა ნ ა რ თ ე ბ ი: 1¹ (ავთანდილ მისა გაყრილა ტირს), 1² (ველს მაშინ მხეცნი ძლებოდეს), 1³ (ვარდი ქენებოდა, ღებოდა). 1⁴ (მზესა ეტყვის: „მზო, გიტუვი), 1⁵ (თთვე ერთისა მოწორება), 8¹ (აა, მოწმიბევ ვარსკვლავნა), 11¹ (პოილიან შესამეობად ქვეყნით).

²⁷ ი. მ ხ ე ი ძ ე, ვეფხისტყაოსანი, შესწორებული 22-ე გამოცემა, ი. აბულაძის რედაქტორობით, გაზ. „საბაღო სიკმე“, 1922, № 333, გვ. 3.

დაბეჭდილი, 1914 წ. 194 გვერდის, ხოლო 1920 წ. 192 გვერდის შემდეგ დაბეჭდილია 185 გვერდი და მისი მიყოლების პაგინაცია. ამას გარდა, 1920 წ. გამოცემის 81 — 96 და 145 — 192 გვერდები დაბეჭდილია მდარე ხარისხის ქაღალდზე.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი დაბეჭდილია ციცეროთი. ფსევდორუსთველისეულად მიჩნეული სტროფები — ციცერო აკადემიურით. თავფურცელზე, ნახევრად ოვალურად, დაბეჭდილია პოემის სახელწოდება ქსილოგრაფიული წესით შესრულებული (ამ სახით ბეჭდავდა სტამბის მეპატრონე კ. თავართქილაძეც ვეფხისტყაოსნის გამოცემებს). სხვა წარწერებისათვის გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: ჩონჩხი 16, აკადემიური 12, 8. მთავრული შავი, ჩვეულებრივი 10.

წინასიტყვაობა იწყება ახალი გვერდით (I), დაბეჭდილია ის გოგებაშვილი 24-ით, ტექსტი აწყობილია უშპონოდ კორპუსით.

II გვერდი იწყება ახალი სათაურით — რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი — დაბეჭდილია შავი მთავრული 14-ით, მისი ქვესათაურები აწყობილია შავი ციცეროთი და გამოყოფილია ერთმანეთისაგან რომაული ციფრებით. სქოლიოები დაბეჭდილია პეტიტით, მათ ნუმერაციად გამოყენებულია ვარსკვლავი ფრჩხილით. ამ ნარკვევის ბოლოს (გვ. LIX) გავლებულია მოკლე 4 პუნქტიანი შავი ხაზი. მას მიყვება ახალი სათაური — საერთო სურათი — აწყობილია ის 14 მთავრული შავით. ბოლოში დასმული აქვს ორნამენტი (გვ. LXIII).

ახალი გვერდიდან იწყება — მცირედი შენიშვნა — დაბეჭდილია ის შავი მთავრული 14-ით, მისი ტექსტი — ციცერო აკადემიურით.

სათაური — სარჩევი — დაბეჭდილია გოგებაშვილი 24-ით, სარჩევში თავების ჩამოთვლა დანომრილია რომაული ციფრებით. ტექსტი სარჩევისა აწყობილია კორპუსით. სარჩევის ბოლო ლუწი გვერდი ცარიელია. ამის შემდეგ, I გვერდიდან იწყება ვეფხისტყაოსნის ტექსტი. პროლოგს სათაურად აქვს — შესავალი, დაბეჭდილია გოგებაშვილი 24-ით, მეორე სტრიქონი — რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს — აწყობილია 12 მთავრული შავით. ამის ქვემოთ გავლებულია წინწყობებიანი მოკლე თხელი ხაზი. მის ქვემოთ დაბეჭდილია ახალი სათაური — წიგნის დასაწყისი, — რომელიც აწყობილია ჩონჩხი 16-ით; პოემის პირველი სტროფის (რომელმან შექმნა სამყარო) შემდეგ, სამი სტრიქონის დაშორებით, დასმულია სამი ვარსკვლავი, მის შემდეგ, ერთი სტრიქონის დაშორებით, დაბეჭდილია პროლოგის ტექსტი, რომლის სტროფები დანომრილია რომაული ციფრებით.

პომეს ტექსტში სტროფების ნუმერაცია ყველგან გამოტანილია ტექსტის გარეთ, სტროფების დასაწყისი სიტყვები კი ყველგან აბზაცითაა გამოყოფილი. სტროფებს შორის დაყოფა ექვსი პუნქტია.

პომეს სათაურები დანომრილია რომაული ციფრებით, რომლებიც აწყობილია შავი ციცეროთი.

ილუსტრაციების წარწერები დაბეჭდილია აკადემიური 12-ით.

192 გვერდით მთავრდება ვეფხისტყაოსნის ტექსტი, დასახელებული გვერდიდან იწყება ეპილოგის ტექსტი, რომელიც ცალკე სათაურადაა გამოყოფილი. მისი პირველი სტრიქონი — დასასრული — აწყობილია გოგებაშვილი 24-ით, მეორე სტრიქონი, რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს, დაბეჭდილია შავი 12-ით.

ეპილოგის სტროფები დანომრილია 01 — 05. უკანასკნელი სტროფი (ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა) წინა სტროფიდან გამოყოფილია მოკლე თხელი ხაზით, სტროფის ბოლოს დაბეჭდილია ბოლოსართი.

შემდეგი სათაურები: ნასესხები და იშვიათი სიტყვები (გვ. 185), ღველი ქართული სიტყვების (გვ. 203), საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი (გვ. 233) აწყობილია მთავრული შავი 12-ით. უკანასკნელის ქვესათაურები — შავი 12-ით, ჩამოთვლა—აკადემიური 12-ით. 227 გვერდზე განმარტებულია პომეში დასახელებული საკუთარი სახელები. მისი სათაური—საკუთარი სახელები—აწყობილია გოგებაშვილი 24-ით.

დასახელებული თავების ასახსნელი და ჩამოთვლილი სიტყვები აწყობილია აკადემიური 12-ით, ამხსნელი სიტყვები კი — ჩვეულებრივი ციცეროთი. დაბეჭდილია ისინი ორ სვეტად, რომელთა შორის გავლებულია წვრილი ხაზი. ალფაბეტი გვერდშია დაბეჭდილი.

წიგნში ყველა თავი, რომელიც ახალი გვერდით იწყება, სხვადასხვა ზომითაა დაწეული როგორც გვერდზე, ისე ტექსტიდან. გამონაკლისს წარმოადგენს ვარიანტული წაკითხვები, რომლის სათაური — ვარიანტი — რატომღაც გვერდზე არ არის დაწეული, აწყობილია ის გოგებაშვილი 24-ით, ტექსტი კი—ჩვეულებრივი 12-ით. ბოლოს (გვ. 265) გავლებულია მოკლე წმინდა ხაზი. ამავე გვერდზე დაბეჭდილია რედაქტორის უმთავრესი შესწორებანი, რომლის სათაური აწყობილია აკადემიური 12-ით, ტექსტი კი — ჩვეულებრივი 12-ით.

ტექსტის ბოლოს, შავი 12-ით დაბეჭდილია „შესწორებანი და შენიშვნანი“, ქვესათაური — უსათუოდ უნდა გასწორდეს — აწყობილია აკადემიური 12-ით, სხვა ტექსტი — კორპუსით.

რადგანაც სარგ. კაკაბაძის გამოცემა წინ უსწრებს ი. აბულაძის ამ გამოცემას, ამიტომ ეს უკანასკნელი 22-ე გამოცემადაა აღნიშნული.

ეს გამოცემა, თავისი აპარატით, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, რედაქტორს იმდენი შეცდომები გაპარვია შიგ, რომ თვით მისთვისაც არ აღმოჩნდა იგი დამაკმაყოფილებელი²⁸.

ვეფხისტყაოსნის მორიგი გამოცემა განხორციელდა 1918 წელს ქუთაისში თ. მთავრიშვილის ამხ. მიერ. ზომა 22×15, გვ. 207, I—III. 1576 სტროფი, ფასი 7 მანეთი, ქუთაისის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა.

ეს იყო ქუთაისში პოემის მეორე გამოცემა. პირველი, როგორც ცნობილია, 1883 წელს დაიბეჭდა პ. წულუკიძის სტამბაში²⁹.

ამ გამოცემის ტექსტი ახალს არაფერს შეიცავს. იგი გადმობეჭდილია დ. კარიჭაშვილის გამოცემიდან. სქოლიოებში მოცემულია ძველი ზოგი სიტყვის ახსნა. კომენტარი არ ახლავს.

ტექსტის დასასრულს დაბეჭდილია 7 შემჩნეული შეცდომის გასწორება, აწყობილია იგი ნომპარელთ.

პოემის სათაურები ზემოთ, შუა ადგილას, ხაზგასმით დანომრილია რომაული ციფრებით, თითოეული თავის ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში, გვერდის შუა ადგილას გავლებულია თხელი მოკლე ხაზი. ვეფხისტყაოსნის სათაურები აწყობილია გოგებაშვილი 16-ით, ტექსტი კი დაბეჭდილია წვრილი კორპუსით, აფორიზმები — შავი კორპუსით. სტროფები დაშორებულია ერთმანეთისაგან 6 პუნქტით, დაბეჭდილია უნუმერაციოდ და მეოთხე სტროფის დამაკავშირებელი „და“-ს გარეშე. პოემის ტექსტი მიყოლებითაა გამოქვეყნებული.

პროლოგის სათაურია „ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა“, რომელიც აწყობილია 10 მთავრული შავით. ქვემოთ გავლებული აქვს მოკლე თხელი ხაზი. ტექსტის დასასრულს დაბეჭდილია ბორდიურის ბოლოსართი, შემდეგ, I—III გვერდებზე, მოთავსებულია სარჩევი, სადაც ჩამოთვლილია პოემის სათაურები თავისი რიგითი ნუმერაციით და გვერდების ჩვენებით. დასასრულს გავლებულია მოკლე თხელი ხაზი.

ყდა და ტიტული ერთნაირადაა გაფორმებული შემდეგი შრიფტებით: წვრილი კორპუსი, 36 თხელი, 10 მთავრული შავი, შავი კორპუსი და ჩვეულებრივი პეტტიტი.

²⁸ 1914 წ. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დაადგინა გამოცემა ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტი ვარიანტების ჩვენებით. გამოცემის მომზადება დაევალი პ. ინგოროყვას, მაგრამ ეს გამოცემა ვერ განხორციელდა, დაიბეჭდა მხოლოდ რამდენიმე თაბახი.

²⁹ იხ. სოლ. ყუბანევილი, ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან, 18—19 სს, 1966, გვ. 77—83.

პაგინაცია დაბეჭდილია არაბული ციფრებით. გვერდის შუა ადგილას, ქვემოთ, გაკეთებულია თხელი ხაზი.

ყდა ფერადი ქაღალდისაა. ფასი 7 მანეთი.

VII

ბიბლიოგრაფიებში შეცდომითაა აღნიშნული ვეფხისტყაოსნის ს. კაკაბაძისეული პირველი გამოცემა 1913 წლით³⁰. როგორც ზემომოყვანილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ის 1914 წელს არის გამოსული. ასე, რომ აღნიშნულ წელს ვეფხისტყაოსნის ორი გამოცემა დაიბეჭდა: ს. კაკაბაძის და ი. აბულაძის. ამ გამოცემათა შორის, ტექსტზე სამეცნიერო მუშაობისათვის უკეთესია ს. კაკაბაძის გამოცემა, ხოლო სამეცნიერო აპარატით (საძიებლები, ლექსიკონი და სხვ.) ი. აბულაძისაა ჯობია, მაგრამ მთავარი ნაკლი უკანასკნელი გამოცემისა ისაა, რომ არც პოემის ტექსტი და არც გამოცემის აპარატი სათანადოდ არაა რედაქტორის მიერ დამუშავებული. როგორც აღვნიშნეთ, გამოცემა უამრავი კორექტურული და ფაქტიური შეცდომებითაა სავსე. ამიტომ მან ვერ დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება... „რომ [ეს გამოცემა] როგორმე გამეხადა კომპენტენტურ პირთა ყურადღების ღირსად, — წერს ი. აბულაძე, — წარვადგინე წერა-კითხვის საზოგადოებაში საპრემიო თხზულებად, შესაფერი შესწორებით და შენიშვნებით. იქაც, რადგან უკეთესი რედაქცია არ აღმოჩნდა, ჯილდოდ გადამიწყვიტეს ნ. ლოღობერიძის პრემია, და იქვე გამოითქვა სურვილი დასტამბულიყო ჩემი რედაქციით ახალი შესწორებული გამოცემა საზოგადოების ხარჯზე“³¹, მაგრამ ამ საქმეს, სხვადასხვა მიზეზისა გამო, მსვლელობა არ მიცემია.

1916 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო სექციაში დაისვა საკითხი ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის შესახებ. იმავე წლის 1 დეკემბერს საგამომცემლო კომისიის სხდომაზე (თავმჯდომარე თ. კიკვაძე, მდივანი გ. მაჭავარიანი, წევრი ს. დადიანი) პოემის გამოცემის შესახებ დაადგინეს: „რადგან ქართულად რამოდენიმე გამოცემა არსებობს, ამიტომ საჭიროა მისი გამორკვევა, რომელი გამოცემის დაბეჭდვაა საჭირო“. ამ საკითხის გასარკვევად,

³⁰ ბიბლიოგრაფიები შეცდომაში შეიყვანა დასახელებული გამოცემის რედაქტორის წინასიტყვაობამ, რომელიც დათარიღებულია 1913 წლით.

³¹ ი. აბულაძე, მე-XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, 1922, გვ. 246.

სხდომამ დაადგინა მოეწვიათ ი. აბულაძე, დ. კარიჭაშვილი, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა, ექვთ. თაყაიშვილი და პ. მირიანაშვილი³².

საგამომცემლო სექციის მორიგი სხდომა შედგა 8 დეკემბერს. სექციის წევრებიდან დაესწრნენ თავმჯდომარე თ. კიკვაძე, მდივანი გ. მაჭავარიანი, წევრები ს. დადიანი და კ. გვარჯალაძე, მოწვეულ პირთაგან — ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა და პ. მირიანაშვილი³³. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სხდომამ დაადგინა: „საჭიროა დაცული იქნეს ძველი ტრადიციული ტექსტი, ამიტომ სასურველია ვახტანგის ტექსტი იქნას დაბეჭდილი სათანადო გაუმჯობესებით“. ამ დადგენილებას ხმა მისცა ექვსმა წევრმა, წინააღმდეგი იყო ერთი.

ამავე სხდომაზე ს. დადიანმა შემოიტანა შემდეგი წინადადება: „ვინაიდან ჭერჯერობით კიდევ არა გვაქვს ისეთი მეცნიერული შემუშავებული ტექსტი, რომლის შესახებ შეგვეძლოს ვსთქვათ ეს უკანასკნელი სიტყვაა ტექსტის შემუშავებაშიო, კომისიას მიენდოს შედგეს [პრემის] ტექსტი სრული, ე. ი. შეტანილი იქნას ყველა ის ხანა, რომელიც დღევანდლამდე მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ აღმოჩენილია და დალაგდეს იგი ლოდიკის მიხედვით და სინტაქსიურ-ეტიმოლოგიურის შესწორებით“. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა სამმა წევრმა, წინააღმდეგი იყო ოთხი. მიუხედავად ამისა, ს. დადიანის წინადადება სხდომას საბოლოო გადაწყვეტილებად არ ჩაუთვლია. ოქმში აღნიშნულია, რომ „ასეთი გამოცემაც სასურველია“ და ამიტომ „ამ საგნის საბოლოოდ გამოსარკვევად კიდევ მოწვეულ იქნას მომავალ ხუთშაბათისათვის საღ. 8 საათზე შემდეგი პირნი: პ. მირიანაშვილი, პ. ინგოროყვა, ი. აბულაძე, დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე და ს. გორგაძე“³⁴.

მორიგ სხდომას, 29 დეკემბერს, დაესწრნენ: თავმჯდომარე თ. კიკვაძე, მდივანი გ. მაჭავარიანი, წევრებიდან — ს. დადიანი და ტ. წერეთელი; მოწვეულ პირთაგან — დ. კარიჭაშვილი, ს. გორგაძე და ი. აბულაძე. სხდომამ დაადგინა: „ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდოს გ. ქართველიშვილის გამოცემის ტექსტით უცვლელად. ხანები აღინუსხოს არაბული ციფრებით. საექვო სიტყვების და ადგილების განმარტება — სქოლიოებში. დაერთოს ლექსიკონი ახალი მასალის მიხედვით შედგენილი“³⁵.

³² საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქმე № 6011, ფ. 76.

³³ სალამოს დასწრებია, როგორც დაინტერესებული პირი, ტ. წერეთელიც.

³⁴ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქმე № 6011, ფ. 77.

³⁵ ი კ ვ ე, საქმე № 6911, ფ. 79.

ამ დადგენილების განხორციელება გაჭიანურდა. მოთხოვნილება ვეფხისტყაოსანზე კი დიდი იყო. ამიტომ პოემის გამოცემის საკითხს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო სექცია კვლავ დაუბრუნდა 1919 წელს და დაადგინა: ხელმეორედ, შესწორებული სახით, გამოიქვს დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით 1903 წ. გამოცემული ვეფხისტყაოსანი.

1919 წლის ბოლოს ი. აბულაძემ საგამომცემლო სექციაში შეიტანა განცხადება და ითხოვა, გამოეცათ მის მიერ გამოსაცემად ახლად მომზადებული ვეფხისტყაოსანი.

ი. აბულაძის განცხადება სექციაზე განიხილეს 1920 წ. 13 თებერვალს და დაადგინეს: „ჩერ გამოიქვს ჩვენი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა, შემდეგ კი იუსტინე აბულაძის განმარტებითა და ლექსიკონით“³⁶.

ამრიგად, 1920 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ხელახლა გამოსცა ვეფხისტყაოსანი დ. კარიჭაშვილის რედაქციით, რომელიც რიგით 24-ე გამოცემა არის³⁷. წიგნს კი აწერია „საზოგადოების მეორე გამოცემა“, პირველ გამოცემად იგულისხმება 1903 წ. გამოქვეყნებული ტექსტი. პირველი გამოცემის ტექსტი მეორე გამოცემაში შიგადაშიგ ნასწორებია, მაგ., 1903 წ. გამოცემაში წერია: იგი წავიდა, მეორეში — კაცნი წავიდა (სტრ. 954), მოგვეწერა — მიუწერა (1073), ლამითვე — ლამესვე (1075), რა ოქრო — ვაჟ ოქრო (1175) და სხვ.

ამ გამოცემისა და 1903 წლის პოემის სტროფული შემადგენლობა ერთნაირია (1576). მათი გვერდებიც კი ერთმანეთს ემთხვევა. მართალია ეს გამოცემა უფრო დიდი ფორმატისაა, ვიდრე 1903 წ. გამოცემისა, მაგრამ ეს გამოწვეულია წიგნის ტექნიკური გაფორმებით, მეორე გამოცემა კორპუსითაა აწყობილი და სტროფები ერთმანეთისაგან უფრო დიდი მანძილითაა დაშორებული, ვიდრე პირველ გამოცემაში. პოემის სათაურები, მათი ნუმერაცია და საერთოდ წიგნის ტექნიკური გაფორმება ორივე გამოცემაში ერთნაირია. ბოლოსართებად ზოგჯერ 1903 წ. გამოცემის ბორდიურა არის გამოყენებული.

მეორე გამოცემაში პოემის ტექსტს წინ ერთვის „ვეფხისტყაოსნის პროზაული შინაარსი“ (გვ. გ-ი), მას მიყვება „მოკლე ცნობები ვეფხისტყაოსნის, მისი დამწერისა და დაწერის დროს შესახებ“ (გვ. ით-კა) და „შეცდომების გასწორება“ (გვ. კმ), სადაც აღნიშნულია 22

³⁶ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქმე № 6525, ფ. 20.

³⁷ სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 18—19 სს., 1966, გვ. 242.

გასწორება. კვ გვერდი უჭირავს გამომცემლობის მარკას. ტექსტს ბოლოში დართული აქვს ლექსიკონი, რომელიც, პირველ გამოცემასთან შედარებით, შევსებულ რედაქციას წარმოადგენს. პირველი გამოცემის შენიშვნები აქ ამოღებულია, სამაგიეროდ პოემის ვრცელი შინაარსია მოცემული (გვ. გ-იდ).

1572 სტროფის (გასრულდა მათი ამბავი) მომდევნო სტროფები 1573 — 1576 „ვეფხისტყაოსნის ბოლონართს“ (გვ. 363) სათაურითაა გამოყოფილი.

პოემა დაბეჭდილია მ. ზიჩის ილუსტრაციებით. ყდა და ტიტული ერთნაირადაა გაფორმებული, გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: ჩვეულებრივი პეტითი, მთავრული შავი 12, თეთრი განიერი 24, პარიზი 10, გოგებაშვილის 16 და კირილე 12. სათაურები: „მოკლე ცნობები“ (გვ. თ.), „ვეფხისტყაოსნის შინაარსი“ (გვ. გ-), „ვეფხისტყაოსნის თავნართი“ (გვ. 1), „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 7), „ვეფხისტყაოსნის ბოლონართი“ (გვ. 263) და „ვეფხისტყაოსნის“ (გვ. 265) აწყობილია ჩონჩხი 12-ით, „ვეფხისტყაოსნის, მისი დამწერის და დაწერის დროს შესახებ“ (გვ. თ.) — აკადემიური შავი 12-ით. ამ ტექსტში ხაზგასმული სიტყვები დაბეჭდილია აკადემიური შავი 12-ით. „ვეფხისტყაოსნის თავნართის“ ქვემოთ, შუა ადგილას, 2 სტრიქონის დაშორებით, გავლებულია მოკლე თხელი ხაზი. მის შემდეგ, 2 სტრიქონის დაშორებით, იწყება ვეფხისტყაოსნის ტექსტი.

სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია ერთი სტრიქონით, მათი ნუმერაცია აწყობილია არაბული ციფრებით, რომლებიც ტექსტის გარეთაა გამოტანილი. პოემის სათაურები აწყობილია გოგებაშვილი 16-ით, მათი ნუმერაცია — რომაული ციფრი — 16-ით. ყოველი სათაური ახალი გვერდით იწყება.

სათაური — ლექსიკონი — (გვ. 265) აწყობილია მრგვალი 16-ით, ასახსნელი სიტყვები — აკადემიური შავი 12-ით, ამხსნელი — ჩვეულებრივი 12-ით. ალფაბეტი — მთავრული შავი 14-ით. ტექსტი აწყობილია ორ სვეტზე, მათ შორის გავლებულია წმინდა ხაზი. პავინაცია დაბეჭდილია გვერდის ზემოთ, შუა ადგილას, ხაზებს შორის. შესავალი ნაწილი პავინირებულია ქართული ასოებით, სიტყვა — სარჩევი — (გვ. 227) აწყობილია გოგებაშვილი 16-ით. ამის შემდეგ ექვსი სტრიქონი დაბეჭდილია შავი ციცეროთი, დანარჩენი ნაწილი კი — თეთრი კორპუსით. კვ გვერდზე დაბეჭდილია „შეცდომების გასწორება“, მისი სათაური აწყობილია შავი მთავრული 12-ით, ტექსტა — პეტითით და აკადემიური. 12-ით. შესავლის ბოლოში დასმულია სტამბური ბოლოსართი. პოემის სათაურების ბოლოსაც დაბეჭდილია ბოლოსართები, რისთვისაც გამოყენებულია ქართული ორნამენტები.

წიგნი დაიბეჭდა თბილისში, ამის შესახებ 1920 წ. 20 მარტს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებულ თევდორე კიკვაძესა და სტამბა „სორაპანს“ (მთხილ გაჩეჩილაძე) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად სტამბის მეპატრონე გაჩეჩილაძე კისრულობდა ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვას და გამოცემლობისათვის ჩაბარებას აპრილის 30-მდის. პოემა კი უნდა დაბეჭდილიყო 2050 ცალი და აწყობილიყო 6×10 კვადრატზე, ფორმის ღირებულება 1365 მან. ხოლო ფორმის დაბეჭდვა — 200 მან.

კიკვაძე ვალდებული იყო მიეცა გაჩეჩილაძისათვის ხვედრი ფულის ერთი მესამედი ავანსის სახით წარმოდგენილი დაბეჭდილი მასალის მიხედვით, ხოლო დანარჩენი — მთელი მუშაობის დასრულებისთანავე.

გაჩეჩილაძე ვალდებული იყო წიგნი დაებეჭდა სუფთად, კარგი შრიფტით და საღებავით, სამუშაოზე დაეყენებია დახელოვნებული ასოთამწყობები. აწყობილი უნდა ყოფილიყო ისე, როგორც ამას მოითხოვდა ამ საქმის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა.

კიკვაძე კორექტურას ასწორებდა სამჯერ, ხოლო მეოთხეს ათვალიერებდა სტამბაში. უკანასკნელი ვალდებული იყო მესამე კორექტურა, კორექტორის ხელმოწერილი, შეენახა ანგარიშის საბოლოო გასწორებამდე.

ქალაღი. უნდა ყოფილიყო ორფურცლიანი, გარეკანი და აკინძვა ევალეობოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

კიკვაძეს ევალეობოდა არ დაებრკოლებია გაჩეჩილაძე კორექტურის გასწორების მზრივ; წინა დღით ორ საათამდის წარმოდგენილი კორექტურა უნდა დაებრუნებია სტამბაში მეორე დღეს დღით ათ საათამდე.

კიკვაძე სტამბას აწოდებდა ქალაღს ნაწილ-ნაწილ და აძლევედა სწორი ანგარიშის ზედმეტ გასაფუჭებელს ორ პროცენტს. თუ სტამბას მეტი ქალაღი აღმოაჩნდებოდა წალებული, ვალდებული იყო დაებრუნებია კიკვაძისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გადაეხადა ზუთკეცი ფასი.

გარეკანის აწყობა-დაბეჭდვა 2050 ცალისათვის გაჩეჩილაძემ აიღო 500 მანეთად. თუ 30 აპრილამდე დაკანონდებოდა სტამბის მუშებზე ხელფასის მომატება — კიკვაძისათვის ეს მომატება სავალდებულო იქნებოდა.

ორივე მხარე ვალდებული იყო ეს ხელშეკრულება დაეცვა მტკიცედ, წინააღმდეგ შემთხვევაში მტყუანი მხარე მართალი მხარის სასარ-

გებლოდ. იხდიდა თითოეული მუხლის დარღვევისათვის ოციათას მანეთ ჯარიმას³⁸.

წიგნი დაიბეჭდა 1920 წელს, ფასი 150 მანეთი.

პირველ (1903 წ.) გამოცემასთან შედარებით, ეს გამოცემა ბევრად უკეთესია.

VIII

როგორც აღვნიშნეთ, ი. აბულაძე დიდი ხანია ცდილობდა ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემას, მაგრამ ეს განზრახვა მან 1926 წლამდე ვერ განახორციელა. უკანასკნელი არის პოემის 25-ე გამოცემა და არა 26-ე, როგორც წიგნს აწერია. დაბეჭდილია ის თბილისში ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის პირველ სტამბაში (პლუხანოვის გამზირი № 91), 24/1, შუკ. №890/3243. მთავლიტი №5. ზომა 31X18 სმ., ტირაჟი 4000, ფასი 5 მანეთი.

ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის დადგენისათვის რედაქტორს გამოყენებული აქვს პირველი გამოცემის (1914 წ.) დროს დამუშავებული ხელნაწერები (S 4732, 2829, 4499, 5006, 4988, 461, 599, 54, 757, A 363), პოემის ვახტანგისეული გამოცემა, დამატებით H 2074 და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 205, რომელიც იმ დროს თბილისში იყო ჩამოტანილი და შეცდომით გატარებული H 1117 №-ით.

ამ მასალების შესწავლის შედეგად, პირველი გამოცემის (1914 წ.) ძირითად სტროფებიდან მეორე (1926 წ.) გამოცემაში რედაქტორს ფსევდორუსთველურად მიუჩნევია და სქოლიოებში ჩაუტანია 70 სტროფი, ესენია: 31 (30¹: კვლა უბრძანა: თავსა ჩემსა რას იცინი)³⁹, 32 (30²: უბრძანა: რადმცა ვიწყინე), 36 (33¹: კვლა ბრძანა, მონა თორშეტი შეესხათ), 55 (51¹: სხვაგან ქნის მისი გონება), 81 (76¹: მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით“), 82 (76²: მეფე ბრძანებს: მართალ იყო), 83 (76³: ესე თქვა და სიხარულით თამაშობა აღიადა), 89 (81¹: ყმაძან ჰკადრა: საზაროსა ჩემგან თქმაღა ვით იქნე-ბის?), 112 (102¹: ესეა მონა შერმადინ), 133 (121¹: იგი ველი გაირბინა), 137 (125¹: ამ საქმესა შემოწმების), 148 (135²: იტყვის ღმერთო), 149 (135³: კვლაცა იტყვის „დათმობა სჯობს“), 150 (135⁴: ყოვლნი არსნი ცათ-ქვეშეთნი), 174 (158¹: ავთანდილ იტყვის, „ეზომნი ჰირნიმცა რად ვაუღდენი“), 175 (158²: წინა-უკანა იარეს), 191 (173²: ქალო, არ იცი, რათ მავალ), 192 (173³: ქალმან უთხრა, რას შეგესწარ),

³⁸ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229. საქმე № 6596, ფ. 35.

³⁹ ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები უჩვენებენ 1926 წ. გამოცემის სტროფებს, ფრჩხილებს გარეთ — 1914 წ. გამოცემის სტროფებს.

296 (270¹ აქიმნოცა იკვირებდეს), 434 (406¹: ღმერთმან თუშცა ენა ჩემი), 435 (406²: თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა), 483 (453¹: ასრე ქვენ ჩემო ლომო), 515 (484¹: მის მეფისა წესი იყო), 525 (493¹: შეველ, ფიცხლა შევეკაზმე), 572 (539¹: კვლაცა მითხრა: „ვისცა ღმერთი“), 596 (562¹: მისსა ვერ იტყვის ქებასა), 608 (573¹: ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა), 609 (573²: აღრე მოვალ, არ გაგწირავ), 610 (573³: იგი მუნით წარმოსრული), 619 (581¹: როსტევეან მეფე უქადრი), 620 (581²: თინათინს ჰკადრა შერმადინ), 627 (586¹: რა ჰირი კაცსა სოფელმან მოუთმოს), 635 (591¹: მუნ სარო, მსგავსი ვარდისა), 649 (606¹: სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს), 652 (607¹: სისხლმან და ცრემლმან გარევით), 653 (607²: ვინ გუშინ ედემს ნაზარდი), 654 (607³: ამას მოსთქვამს ცრემლსა აფრქვევს), 659 (611¹: მეფე შეჯდა, მაშინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა), 664 (615¹: ამას მოსთქმოდის ტირილით), 665 (615²: კვლა იტყვის, „გულო რაზდენცა“), 672 (621¹: მისი ნახვა გულსა ჩემსა), 713 (663¹: თუცა მისი არ გაწირვა), 735 (682¹: არ დავიწყება მოყვრისა), 858 (802¹: მწვადი შეწვევს და შეიქმნა პურობა), 887 (830¹: ავთანდილ მისი გაყრილი ტირს), 888 (830²: ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს), 889 (830³: ვარდი ჰნებოდა, ღრებოდა), 890 (830⁴: მზესა ეტყვის, მზეო), 891 (830⁵: თვე ერთისა მოშორებება), 889 (837¹: აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი), 909 (846¹: ვინც გზასა ნახნის უცხონი), 911 (847¹: კაცი ემთხვია, მას ჰკითხა ამბავი), 922 (858¹: ფრილონისებრნი მოყმენი), 958 (893¹: ყმა მიმავალი მიუბნობს), 959 (893² რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს), 997 (930¹: აქა მოსვლითა გაჟმდების კაცი), 998 (930²: დიდ ვაჭარნი სარგებელსა), 1079 (1010¹: სხვა გიამბო საკვირველი), 1188 (1116¹a: ფატმან მისსა შევენებასა). 1251 (1178¹: ესე უსტარი დაწერა), 1269 (1195¹: ავთანდილ დაჯდა ტირილად), 1334 (1251¹: კვლა ერთმან-ერთსა მიუგეს), 1336 (1252¹: ჩემი აწ ესე ნათქვამი), 1337 (1252²: თუცა ფრილონ და ავთანდილ სიკეთემიუწომნია), 1341 (1255¹: მაშინ ქაჯეთს მოიწია), 1347 (1260¹: ეხვეოდეს ერთმან-ერთსა), 1417 (1328¹: ამ საქმესა დაფარულსა), 1428 (1338¹: მიჰხედეს არაბთა საზღვართა), 1457 (1365¹: მოეხვია, გარდაკონა), 1462 (1369¹: ეტყვის, მზეო, ვითა გაქო).

904¹ სტროფი (ნურადინ ფრილონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა), რომელიც პირველ (1914 წ.) გამოცემაში ჩანართად იყო გამოცხადებული, მეორე (1926 წ.) გამოცემაში ძირითად სტროფად არის მიღებული (843).

ამ გამოცემაში ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის მოცულობა 1486 სტროფით განისაზღვრება, რომელშიც შედის განმეორებითი ნუმერაციით დაბეჭდილი 20 სტროფი. 193 a (ამის მეტსა ვერას გი-

თხრობ), 199 a (მან ქალმან ხელ-ყო კვესითა), 199 b (ცოტად მიწვა, მიიძინა), 269 a (მე რა მნახა თვალ-ახმული), 272 a (მე წამოვყე), 586 a (მას ვახსენებლე. ნუ გიკვირს), 586 b (ქვაბნი ომითა წაუხმან), 757 a (ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ), 760 a (ისმინე ჩემი თხრობილი), 1111 a (მის ამბისა სმენისათვის), 1116 a (ფატმანს პური შეეკაზმა), 1214 a (ინდოთ მეფე მხიარული), 1214 b (ღმერთსა მისცეს დიდი მადლი), 1221 a (ოქროც რამე წაიტანეს), 1224 a (დაუწყეს პურობა ტაიქებს), 1227 a (ფრიდონ ფიცხლად გარდაიქრა), 1232 a (დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა), 1244 a (სამთავე შესვლა არ ვარგა), 1263 a (სამასისა კაცისაგან ას სამოცი შეჰყოლოდა) და 1349 a (ტარიელცა თაყვანისცა).

რედაქტორის ცნობით, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა წარმოადგენს მის მიერ 1914 წელს გამოცემული პოემის ტექსტის დადგენისათვის გამოყენებული ხელნაწერების ხელახლა შემოწმების ნაყოფს. ამ გამოცემასაც, ისე როგორც 1914 წ. გამოცემას, საფუძვლად უდევს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ტექსტი. „ამ ახალი გამოცემით,—წერს ი. აბულაძე,—ერთის მხრით, ჩვენ ხელახლად შევასწორეთ 22-ე [1914 წ.] გამოცემის ტექსტი არსებულ ვარიანტებზე შემოწმების საშუალებით და სათანადო ორთოგრაფიის შეტანით, ხოლო, მეორეს მხრით, გავწმინდეთ პოემის ტექსტი მხოლოდ ზოგიერთი აშკარა ჩანარების სქოლიოში ჩატანის საშუალებით“ (გვ. 1).

საერთოდ ამ გამოცემის ძირითადი სტროფი 69-ით ნაკლებია პირველ (1914 წ.) გამოცემასთან შედარებით.

პირველ (1914 წ.) გამოცემაში რედაქტორის მიერ ტექსტში ნებისმიერ დასათაურებებს ამ გამოცემაში დართული აქვს შემდეგი ახალი ნებისმიერი დასათაურებანი: 34 სტროფის (მონადირეთა უბრძანა) შემდეგ: ნადირობა (გვ. 9), 76 სტრ. (კაცნი წავიდეს იარნეს) შემდეგ: თინათინისაგან ავთანდილის ხმობა (გვ. 15), 94 სტრ. (მოშორება საყვარლისა) შემდეგ: ავთანდილისაგან მეფესთან მისვლა სადარბაზოდ, ოდეს გაეყარა (გვ. 18), 99 სტრ. (მეფე ყელსა მოეკიდა) შემდეგ: ავთანდილ შერმადინს დააგდებს თავის წილ სპასპეტად (გვ. 18), 274 სტრ. (გამოვედით, მოვიარეთ) შემდეგ: ასმათის მონისაგან ტარიელისათვის ასმათის წიგნის მოტანა (გვ. 42), 307 სტრ. (მონამან წიგნი მომართვა) შემდეგ: მეფისაგან კაცის მოსვლა ამბის საკითხავად და ტარიელის მეფისადმი ხლება სადარბაზოდ, ქორ-მიმანოთი ღურაჯებზე ნადირობა და შემდეგ ნადიმად. ჯდომა (გვ. 43), 312 სტრ. (შინა დაესხედით ნადიმად) შემდეგ: ამხანაგებში ნადიმად მჯდომ ტარიელს მოლარე ამცენვეს ქალი ვინმე მოსულა ამირბარის სა-

ნახავადო. ტარიელ ნადიმს მიატოვებს და ქალს საწოლ ოთახში იხმობს. ზეწარით პირმობურული ასმათი გადასცემს ტარიელს ნესტანდარეჯანის წერილს (გვ. 44), 347 სტრ. (შინა მიველ) შემდეგ: მონა მთარმევეს ტარიელს ასმათის წიგნს ნესტანისაგან ტარიელის ხმობის შესახებ. ტარიელის წასვლა სატრფოსთან და მათი პირისპირ შეყრა და საუბარი (გვ. 48), 360 სტრ. (გეძნელებოდა სიშორე) შემდეგ: ტარიელის ხატაეთზედ გალაშქრება, ხატაელთა მეფის რამაზის ცბიერება (გვ. 50), 372 სტრ. (მითხრეს, მეფე მოგანსენებს) შემდეგ: ტარიელს აღმოუჩნდება მოკეთე, რომელიც აცნობებს მას რამაზ მეფისა და ხატაელთა ცბიერების შესახებ (გვ. 51), 377. სტრ. (მას კაცსა ამოდ ვეუბენ) შემდეგ: ტარიელისაგან ხატაეთის აღება და რამაზ მეფისა და მისთა სპათა შეპყრობა (გვ. 52), 446 სტრ. (ქალი ადგა, გაბეყარა) შემდეგ: ტარიელის დარბაზის ხმობა ინდოთ მეფედლოფლის მიერ და მასთან თათბირი ხვარაზმშა მეფის ძის სასიძოლ მოყვანის შესახებ (გვ. 60) 456 სტრ. (კვლა გავზავნენ სხევანი კაცნი) შემდეგ: ასმათის წიგნი ტარიელთან ნესტანდარეჯანისაგან ტარიელის ხმობის შესახებ, სატრფოთა პირისპირ შეყრა (გვ. 61), 657 სტრ. (რა გულსა უთხრა გულისა) შემდეგ: როსტევანისაგან აეთანდილის დარბაზს ხმობა, ნადრობა და შექცევა (გვ. 85).

ამ გამოცემაში პროლოგი იმ სახითაა დაბეჭდილი, როგორც პირველ (1914 წ.) გამოცემაშია.

გამოცემას დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა, რომელიც, პირველი და ბოლო ორი აბზაცის გამოკლებით, გადმობეჭდილია ავტორის მიერ 1914 წ. დაბეჭდილ წიგნიდან „შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკული ტექსტის რამოდენიმე ნიმუშით“. 22-ე გამოცემის შესავლიდან ამ გამოცემაში შესწორებული და შევსებული სახით გადმობეჭდილია პოემის ვახტანგისეული გამოცემისა და ტექსტის დამუშავებისათვის გამოყენებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობანი (გვ. III — XXVI), შემდეგ განხილულია „ჩანართთა შესახები მოსახრებანი“ (გვ. XXVII — XLIX), „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სადაურობისა და მისი დამწერის პიროვნების საკითხთა გარშემო“ თავში განხილულია: ძეგლის კვლევა-ძიების შედეგები (გვ. L — LXVII), რამდენიმე სიტყვა ვეფხისტყაოსნის დამწერთა ვინაობის შესახებ (გვ. XVII — XXX), როგორ უნდა გავიგოთ „დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა“ (გვ. LXXX — XCI), რით არის ძლიერი შოთა, ან რით გვიზიდავს იგი? (გვ. XCI — XCIX), მომდევნო ბვერდი ცარიელია. შემდეგ იწყება ვეფხისტყაოსნის ტექსტი (გვ. 1 — 188). პოემის ტექსტს მიყვება ვარიანტები (გვ. 189 — 240), 39-

ფხისტყაოსნის ლექსიკონი (გვ. 241 — 311), საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი: პიროვნებანი (გვ. 313), ნათესაეები და მახლობლები (გვ. 314), გეოგრაფიული სახელები (გვ. 314), ცხოველები და ფრინველები (გვ. 315), მცენარეულობა (გვ. 315), ძვირფასი ქვები და ლითონები (გვ. 316), ვარსკვლავთმრიცხველობა (გვ. 316), ბიბლია და სხვადასხვა ბრძნული აზრები (გვ. 316), განგება: მოსავალი, წერა (მოწვევანი, გვ. 317), ბუნების კანონის შეუცვლელობა (გვ. 317), ბიბლია (გვ. 317), ღვთისმეტყველური ეპიტეტები (გვ. 317), ბიბლიის საკუთარი სახელები (გვ. 318), ისლამი (გვ. 318), ზღაპრული არსებანი (გვ. 318), სოციალური ცხოვრება და ეთიკა (გვ. 318), ბჭობის მნიშვნელობა (გვ. 318), რიცხვი (გვ. 319), ფულები და წონა (გვ. 319), ბურთაობა და გართობა (გვ. 319), საომარი და სანაოსნო იარაღი (გვ. 319), საერო ავეჯეულება და სხვ. (გვ. 320), საკრავები (გვ. 320).

321—340 გვ. გაშუქებულია „პოემის ენის ხალხურობის“ საკითხი, „ზოგიერთი გაუგებარი სიტყვის შესახებ ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 341 — 346). დასასრულ აღნიშნულია რედაქტორის აღდგენილი ადგილები: 18 სიტყვა და 13 წინადადება. შემდეგ დაბეჭდილია „დამატებითი ვარიანტები“ (გვ. 349), შეცდომათა გასწორებაში (გვ. 350) მოცემულია შესავალ წერილში, პოემის ტექსტში, ვარიანტებში, ლექსიკონში და სიტყვათა საძიებელში დაშვებული შეცდომების გასწორებანი. ცალკე ქაღალდზეა დაბეჭდილი და ჩაწებებული „დამატებანი და შესწორებანი“. წიგნის დასასრულს მოცემულია „სარჩევი“ (გვ. 351 — 354).

ზოგი რამ სიზუსტით არც ამ გამოცემაშია მოცემული, მაგ., შეცდომების გასწორებაში ისეთი ადგილებია ნაჩვენები, რაც ძირითად ტექსტში სწორედ ისეა, როგორც გასწორების მიხედვით უნდა ყოფილიყო (იხ. გვ. 143 — 155 და სხვ.).

წიგნს დართული აქვს შ. რუსთაველის ორი პროსპექტი, ჩვეულებრივი გავრცელებული და ვეფხისტყაოსნის ზაზასეული მე-17 საუკუნის ხელნაწერიდან გაგარინის მიერ გადმოღებული. პირველის წარწერა აწყობილია შავი აკადემიური 12-ით, მეორესი — გოგებაშვილი 16-ით, მის ქვემოთ ორი სტრიქონი აწყობილია კირილე 12-ით.

გამოცემა დასურათებულია მ. ზიჩის ილუსტრაციებით, რომელთა წარწერები აწყობილია აკადემიური 12-ით.

წიგნი აწყობილია კორპუსით, ჩანართი სტროფები კი — აკადემიური 12-ით. სტროფების ნუმერაცია და მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ გამოყოფილია ტექსტიდან, უკანასკნელი დაბეჭდილია ლიგატურით.

ყდისათვის გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: კორპუსი 20 კე-

გელი და თხელი 12, ტიტულისათვის: შავი მთავრული 14, 36 თხელი მთავრული, გრიშაშვილის 12, ჩონჩხი 16, კირილე 10 და მთავრული 10.

პოემის სათაურები დაბეჭდილია ჩონჩხი 16-ით, პროლოგის ქვე-სათაურები — შავი კორპუსით, სქოლიოები — პეტიტით.

წიგნის გვერდებს თავზე გავლებული აქვს თხელი ხაზი, რომლის ზემოთ კორპუსით ლუწ გვერდზე დაბეჭდილია ნარკვევის ქვესათაური, ხოლო კენტ გვერდზე — ნარკვევის სათაური.

ვეფხისტყაოსნის ტექსტში, ზემოთ, ლუწ გვერდებზე, აღნიშნულია ავტორი, რომელიც გრძელდება პოემის სიტყვათა საძიებლამდე (გვ. 296), კენტ გვერდებზე კი აღნიშნულია პოემის სახელი; ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემდეგ კი შესაფერისი სათაურებია აღნიშნული.

გვერდების პაგინაცია დანომრილია ხაზზემოთ მარცხნივ (ლუწ გვ.) და მარჯვნივ (კენტ. გვ.) კუთხეებში, გამოკვლევის ტექსტში რომაული, ხოლო სხვაგან არაბული ციფრებით.

პოემის სათაურების ნუმერაციად მიღებულია რომაული ციფრი 16-იანით. თავები ერთიმეორის მიყოლებითაა დაბეჭდილი.

ლექსიკონში ასახსნელი სიტყვები დაბეჭდილია შავი კორპუსით, ამხსნელი — ჩვეულებრივი კორპუსით. აწყობილია ორ სვეტად, შუაში გავლებულია წმინდა ხაზი, ალფაბეტი დაბეჭდილია სვეტში მთავრული შავით.

ლექსიკონის ბოლოს (ფ — ასოს შემდეგ) ალფაბეტის მაჩვენებელი ასოები გამოყოფილი არაა, რაც ვამომცემლის უყურადღებობით არის გამოწვეული.

312 გვერდზე შმუცტიტულის სახით დაბეჭდილია „საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი“, აწყობილია ის თხელი 16-ით. აქ შეცდომა დაშვებული, შმუცტიტული, წესის მიხედვით, უნდა დაიბეჭდოს კენტ გვერდზე და არა ლუწზე. იგივე სიტყვები (საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი) მეორდება მომდევნო გვერდზე, დაბეჭდილია ის მთავრული შავი 14-ით. ამ თავის ქვესათაურები აწყობილია შავი კორპუსით, ტექსტი კი კორპუსით, ორ სვეტად, რომლებიც ერთმანეთისაგან გაყოფილია წვრილი სტამბური ხაზით. ტექსტის დასასრულს (გვ. 320) გავლებულია მოკლე სტამბური ხაზი.

321 გვერდზე სათაური — პოემის ენის ზალხურობა — დაბეჭდილია თხელი 16-ით, ზემოდან დაწეულია 6 სტრიქონით, ტექსტიდან 1½ სტრიქონით, ტექსტი აწყობილია კორპუსით.

ახალი გვერდი (347) — ჩემ მიერ აღდგენილი ადგილები — აწყობილია მთავრული შავი 14-ით, მისი ქვესათაურები — შავი კორპუ-

სით. გასამარტავი სიტყვები — შავი და განმმარტებელი — თეთრი კორპუსებით.

349 გვერდზე დაბეჭდილია „დამატებითი ვარიანტები“, რომლის სათაური აწყობილია შავი მთავრული 14-ით, ტექსტი კი — კორპუსით.

სათაური — შეცდომათა გასწორება — (გვ. 350) დაბეჭდილია შავი მთავრული 14-ით, ტექსტი — შავი და თეთრი კორპუსით. ბოლოში გასმულია მოკლე შავი სტამბური ხაზი.

ცალკე პატარა ფურცელზე აწყობილია და წიგნში ჩაკრულია „დამატებანი და შესწორებანი“, რომლის სათაური აწყობილია მთავრული შავი 14-ით, ტექსტი კი — პეტიტით. შემდეგ მოცემულია „სარჩევი“, მისი სათაური დაბეჭდილია გოგებაშვილი 24-ით, ტექსტი — კორპუსით და პეტიტით, რომლის დასასრულს გავლებულია სტამბური შავი ხაზი.

საერთოდ, ამ გამოცემასაც სიზუსტე აკლია, რედაქტორის აჩქარებული მუშაობა და ბეჭდვა აქაც იგრძნობა, მაგრამ პირველ (1914 წ.) გამოცემასთან შედარებით, უკეთესია.

IX

1914 წ. ს. კაკაბაძის გამოცემული ვეფხისტყაოსანი, ბეჭდვის დროს „ზოგიერთ მეტად ხელისშემშლელ პირობებისა გამო, ვერ აკმაყოფილებდა ბეჭდვის დამთავრებისთანავე თვით რედაქტორის მოთხოვნისადაც“ კი (გვ. V). ამიტომ ს. კაკაბაძემ განიზრახა პოემის ახალი შესწორებული გამოცემის მომზადება და დაბეჭდვა, რომელიც მან განახორციელა 1927 წელს.

ს. კაკაბაძეს გადაწყვეტილი ჰქონდა წიგნი გამოეცა 1927 წ. მარტში, „მაგრამ სარედაქციო ხასიათის ზოგიერთმა მოსაზრებამ აუცილებელი გახადა წიგნის ბეჭდვის შეჩერება და მასთან დაკავშირებით გამოცემის გეგმის შეცვლა“. რედაქტორს განზრახული ჰქონდა პოემის ძირითად ტექსტსა და ვარიანტებს დამატების სახით დართვოდა ფსევდორუსთველური სტროფები თავისი ვარიანტებით, მაგრამ იმ დროს ამის განხორციელება ვერ შეძლო და პოემის მარტო ძირითადი ტექსტი გამოაქვეყნა. ჩანართი და დანართი სტროფები თავისი ვარიანტებით გადაწყვიტა ცალკე გამოქვეყნებია. ქალღალდის შექმნასთან დაკავშირებით, სურათების დაბეჭდვის გეგმაც შეიცვალა, ერთი სიტყვით, როგორც რედაქტორი აღმომგვცემს, „გამოცემა როგორც შინაგან, ისე გარეგნულ ხასიათის მხრივ თავდაპირველად დასახულ გეგმას რამდენადმე დაშორებული აღმოჩნდა“ (გვ. III).

წიგნი დაიბეჭდა ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის პირველ სტამბაში, შეკ. № 8174/1348, მთავლიტი № 970, ზომა 25,5×17 სმ. ტირაჟი 4000, ფასი 6 მანეთი.

ბეჭდვა დაიწყო 1926 წლის მაისში და დამთავრდა იმავე წლის დეკემბერში. ბაზარში გამოვიდა 1927 წ. 25 იანვარს.

ეს გამოცემა შედგება 1914 წ. მისივე გამოცემული ვეფხის-ტყაოსანზე დაწეხული მუშაობის გაღრმავება-გაფართოებისა.

ტექსტის დამუშავებისას რედაქტორს გაუთვალისწინებია ვეფხისტყაოსნის 13 ხელნაწერი: H 599, 740, 461, 2074, 54, 757; S 4499, 2829, 5006, 4988; 4732; A 363, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 205 და ოქსფორდის, ბოდლეს ბიბლიოთეკაში უორდროპისეულ კოლექციაში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის აღწერილობა, რომელიც შეუდგენია ექვთ. თაყაიშვილს და პარიზიდან გამოუგზავნია ს. კაკაბაძისათვის⁴⁰. ეს აღწერილობა ს. კაკაბაძეს განზრახული ჰქონდა დაერთო პოემის ამ გამოცემისათვის, მაგრამ სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო ვერ მოუხერხებია. ამას გარდა ს. კაკაბაძეს ხელთ ჰქონია ვეფხის-ტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემაც.

პოემის ტექსტს დართული აქვს რედაქტორის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია ვეფხისტყაოსნის დასახელებული ხელნაწერები, პოემის ტექსტის დადგენის პრინციპი (გვ. VIII), პოემის მოცულობა (გვ. XI), პოემის შინაგან ტაეპების მოცულობის დადგენის პრინციპი (გვ. XVII), ტექსტის გარდატეხა პირველი ჯგუფის ხელნაწერებში (გვ. XXI), ვინმე მესხის ნართაული ტაეპები პოემის პირველ ნაწილში (გვ. XXII), პოემის ტექსტის მეორე ნაწილის ვითარება (გვ. XXIII), ნაკლულევანი და ნართაული ტაეპები ვახტანგისეულ რედაქციაში (გვ. XXIV) და ტექსტის-მართლწერა (გვ. XXVI).

ცალკე თავადაა გამოყოფილი „ვეფხისტყაოსანი და შოთა რუსთველი“, რომლის ქვესათაურებია: საკითხის შესწავლის ვითარების შესახებ (გვ. XXVIII), შეხედულებათა განვითარება ვეფხისტყაოსანზე (გვ. XXXI), პოემაში დაცული ფაქტიური ცნობები პოემის წარმოშობისა და რუსთველის შესახებ (გვ. XLI), საკითხი შწერლის სარგის თმოგველის ვინაობის შესახებ (გვ. XLII), შავთელის აბდულ-მესია (გვ. XLV), საკითხი მოსე-ხოხელის შესახებ (გვ. L), პოეტის სახელწოდება (გვ. L), რუსთავი მე-12 ს-ნის დასასრულს (გვ. LVIII), შოთა რუსთავის პატრონი (გვ. LXIV), თამარის ცხოვრების

⁴⁰ სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312—315.

და მეფობის ზოგი ფაქტების ქრონოლოგია (გვ. LXVIII), ჩახრუხადის შესსმა (გვ. LXXIII), შოთას ვინაობა (გვ. LXXV), შოთას ცხოვრების უკანასკნელი წლები (გვ. LXXXI), ჩახრუხადის ვინაობა (გვ. LXXXV), კიაბერის ვინაობა გვ. LXXXVI), თორელების გვარეულობის შტოები (გვ. XCIV), შოთას ბიოგრაფია (გვ. XCV).

თავში „ვეფხისტყაოსანი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით“, განხილულია შემდეგი საკითხები: ქართველი ფეოდალური საზოგადოება მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე (გვ. CVII), შოთა, როგორც ქართული რაინდობის იდეოლოგი (გვ. CXVII), ქალის კულტი ვეფხისტყაოსანში (გვ. CXXII) და ვეფხისტყაოსნის წარმოშობის საკითხები (გვ. CXXVII). Varia-ში განხილულია: ვეფხისტყაოსნის ენა (გვ. CXXXIII), ვეფხისტყაოსნის ლექსთწყობა (გვ. CXXXVIII), შოთას ძველი სურათები (გვ. CXXXIX), ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები (გვ. CXLI), ვეფხისტყაოსნის გამოცემანი (გვ. CXLII) და ვეფხისტყაოსნის თარგმანები (გვ. CXLV).

ცალკე ფურცელზე მთაწმიდა 16-ით დაბეჭდილია: „ვეფხისტყაოსნის ტექსტები“. პოემის ტექსტი კი იწყება, ახალი ფურცლის კენტი გვერდიდან.

პოემის ძირითადი ტექსტი შედგება 1553 სტროფისაგან. რედაქტორს პირველი (1914 წ.) გამოცემის ძირითადი ტექსტი ამ გამოცემაში 208 სტროფით შეუმცირებია (გვ. 1—184). 185 გვერდზე დაბეჭდილია „დასაწყისი ვეფხისტყაოსნის გაგრძელებისა“, რომელიც, ს. კაკაბაძის აზრით, ეკუთვნის ვინმე მესხ პოეტს და შეტანილია ვახტანგისეულ და ყველა შემდგომ გამოცემაში სათაურით: „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა“ (მას დღეს ავთანდილ ხელმწიფედ ზის და ხელმწიფე ზენია), ამას მიყვება „ვინმე მესხი მელექსის მიერ დაწერილ გაგრძელების ნაწყვეტები“, რომლის „შუა ნაწილიდან შეტანილია ვახტანგისეულ რედაქციაში“ და ბოლოს „ვინმე მესხის მიერ დაწერილ გაგრძელების დასასრული“, ეს უკანასკნელიც შეტანილია ვახტანგისეულ გამოცემაში. სულ დამატების სახით დაბეჭდილია 52 სტროფი.

ამის შემდეგ დაბეჭდილია ვრცელი ლექსიკონი (გვ. 191—209) და „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მაჩვენებელი“. უკანასკნელი შეიცავს შემდეგ დასახელებას: პიროვნებათა სახელები (გვ. 209), გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელები (გვ. 209), რაინდულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ტერმინები (გვ. 210), ყოფა-ცხოვრების საგნები და ცნებანი (გვ. 211), მოწყობილობა, ტანისამოსი და საომარი იარაღი (გვ. 211), მუსიკალური ინსტრუმენტები (გვ. 212), ფულის და წონის ერთეულები (გვ. 212), ლითონ-

ნების და ძვირფასი ქვების სახელები (გვ. 212), ცხოველების და ფრინველების სახელები (გვ. 213), მცენარეების სახელები (გვ. 213).

214 გვერდზე დაბეჭდილია „დამატებანი და შესწორებანი“ და „ვეფხისტყაოსნის ტექსტის კორექტურული შეცდომები“, სადაც დასახელებულია 5 გასწორება. 215—216 გვერდებზე დაბეჭდილია „სარჩევი“.

გამოკვევაში ჩართულია ხელნაწერთა გვერდების ფოტოპირები: H 2074 (გვ. VI, X, LXXVII, CIX, CXXVI), H 54 (გვ. LXV, LXXII, LXXX, CXI, CXXIII) და ვახტანგისეული გამოცემის (გვ. XX). შ. რუსთაველის პორტრეტები: ვეფხისტყაოსნის წახასეული ხელნაწერიდან (გვ. XXIX, XCVIII). სურათი ერთი პოეტისა (შეიძლება შოთა რუსთველი იყოს) დახატული 1640 წლებში პატრი ქრისტეფორე კასტელის მიერ (გვ. XXXVI), ჩვეულებრივი გავრცელებული სურათი (გვ. XCIX), შოთა რუსთაველი, ქანდაკება ი. ნიკოლაძის 1921 წ. (გვ. LXVII), ქანდაკება ნ. თარხნიშვილისა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მხატვრობის მიხედვით (გვ. CVI). სურათი: თამარ მეფე და მამა მისი გიორგი III — ვარძიის ფრესკა (გვ. XXX), ყინწვისის ფრესკა (გვ. XCII), რუსთავის კოშკი (მესხეთში გვ. LII), ქალ. რუსთავის ციხე (გვ. LV, LVI), მცხეთა-თბილისი-რუსთავის ხაზის რუკა (გვ. LVII), მანდატურთ-უხუცესის ჭიაბერის მიერ მიცემული სიგელის ნაწყვეტი (გვ. LIX), შოთას ხელის მოწერა (ჭიაბერის სიგელი, გვ. LX), ჭიაბერის ხელისმოწერა (გვ. LXI), თამარ მეფის ხელის მოწერა შიო მღვიმის მონასტრისადმი 1201 წელს მიცემულ სიგელზე (გვ. CII), თამარ მეფის მიერ გელათის მონასტრისადმი 1193 წ. ბოძებული სიგელის ნაწყვეტი (გვ. LXXXIV). LXIV და LXXI გვერდებს შორის ცალკე ფურცლად არის ჩაკერებული ქალაქ რუსთავის ციხის გენერალური გეგმა, შესრულებული ხუროთმოძღვარ მიხ. კალაშნიკოვის მიერ.

პოემის ტექსტში სხვადასხვა ადგილას ჩაყრულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ილუსტრაციები. H № 2074 ხელნაწერიდან: აქა ავთანდილის და სოგრატის ხმობა და თინათინის გაბატონებას [ბჰობენ] (ტაბ. 1).

H 599 ხელნაწერიდან მამუკა თავაქარაშვილის შესრულებული ილუსტრაციები: როსტევიან მეფემ თინათინს გვირგვინი დასდგა (ტაბ. II), ავთანდილისა და ტარიელის ერთმანეთთან შეხვედრა (ტაბ. III), ტარიელი აძლევს ამათს ღურაჯებს (ტაბ. IV), აქა ტარიელ რამადან ბატონიშვილი მოჰკლა (ტაბ. V), ტარიელის და რამაზ მეფის ომი (ტაბ. VI), შველა ტარიელისაგან ფრიდონისა, ტარიელი იბრძვის ნავით (ტაბ. VII) ავთანდილი მიზგიათას ილოცავს (ტაბ. VIII), ავთანდილი ფრი-

დონთან პურობაზე (ტაბ. IX), ავთანდილ და ფატმან სხედან და მონა მიართმევს ნესტანდარეჯანისაგან მოტანილ წერილს (ტაბ. X), ქორწილი ტარიელის და ნესტანდარეჯანის ფრიდონთან (ტაბ. XI), აქ ტარიელ ავად არის, წევს და მდივანი სალაშქრო წიგნს სწერს (ტაბ. XII), ტარიელის და ნესტანდარეჯანის სიკვდილი (ტაბ. XIII). ოქსფორდის, ბოდლეს ბიბლიოთეკაში უორდროპოსიულ კოლეჯში დატული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერიდან: აქა ავთანდილისაგან ტარიელის აპზის ცოდნა (ტაბ. XIV), აქა ტარიელის ავთანდილისა და ფრიდონის ომი ქაჯეთს (ტაბ. XV), აქა ქორწილი ავთანდილისა და მზე თინათინისა (ტაბ. XVI). S 5006 ხელნაწერიდან: აქა როსტევან მეფემ თავისი ქალი თინათინ ტახტს დასვა და სოგრატ ვეზირმან და მოლაშქრეთ მიულოცეს ხელმწიფობა (ტაბ. XVII), აქა როსტევან მეფეს და მის ვეზირს სოგრატს საპქო საუბარი აქუსთ (ტაბ. XVIII), აქა როსტევან მეფე მოწყენით ზის და სოგრატ ვეზირი და ავთანდილ ფიალას აძლევენ (ტაბ. XIX), აქა როსტევან და ავთანდილ ნადირობენ (ტაბ. XX), აქა როსტევან მეფე თინათინთან ტარიელის საქმენელად კაცების გაგზავნას არჩევს (ტაბ. XXI), აქა ტარიელ წიგნის პასუხი მიუწერა ხატაელთა მეფეს (ტაბ. XXII), აქა ტარიელ ლაშქარს იყრის ხატაელზედ (ტაბ. XXIII), ტარიელის მიერ ტყვედ შეპყრობილი რამაზ ხატაელთ მეფე (ტაბ. XXIV), აქა ფარსადან მეფემ და დედოფალმან ტარიელ დაპატიყეს (ტაბ. XXV), ქ. ტარიელის ვეზირობაში მიუყანა, ნესტანდარეჯანს გავათხოვებთო (ტაბ. XXVI), ქ. ფარსადან და ტარიელ სხედან, შათირი მოუვიდათ (ტაბ. XXVII), ქ. ვნახე სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად (ტაბ. XXVIII), ქ. ტარიელ და ასმათ ისხდენ, პირველ რომ ნახა (ტაბ. XXIX), ქ. როსტევან მეფე, ფრიდონ და ტარიელ სხედან (ტაბ. XXX).

დამატების სახით მ. ზიჩის ილუსტრაციებიდან დაბეჭდილია: თინათინის სამეფო ტახტზე დასმა (პირველად ამ გამოცემაში დაიბეჭდა, ტაბ. XXXI), თინათინი გამეფებისას გასცემს საჩუქრებს, ტარიელი ზის მტირალი მდინარის პირას (ტაბ. XXXII); ასმათი გამოართმევს ტარიელს დურაჯებს, დავარი უბრძანებს ნესტანდარეჯანის ზღვაში ჩადგებას (ტაბ. XXXIII); ნესტანდარეჯანი მიყავთ ქაჯეთში, ტარიელი და ავთანდილი ნახავენ ქვაბში ასმათს (ტაბ. XXXIV); ავთანდილი, ფრიდონისკენ მიმავალი, ისარს ესერის ორბს, ჩაჩნავირი შეესწრა ავთანდილს ფატმანთან (ტაბ. XXXV); ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ მიადგნენ ქაჯეთის ციხეს, ტარიელის და ნესტანდარეჯანის შეხვედრა ქაჯეთის ციხეში (ტაბ. XXXVI).

ილუსტრაციები დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქალაღის ცალ გვერდზე, გამონაკლისს შეადგენს ილუსტრაცია „შოთა წარუდგენს

ვეფხისტყაოსანს თამარ მეფეს“, რომელიც ნარკვევის ტექსტშია ჩართული (გვ. CI). მ. ზიჩის სხვა ილუსტრაციები წიგნის გვერდზე ორორია დაბეჭდილი, გადმოღებულია ისინი გ. ქართველიშვილისეული გამოცემიდან.

ამას გარდა კარგ ქალაღზე დაბეჭდილია და წიგნში ჩაკრულია მამუკა თავქარაშვილის მიერ შესრულებული შ. რუსთაველის სურათი (H 599) და თამარ მეფე, მამამისი გიორგი III (მარჯვნივ) და შვილი მისი გიორგი ლაშა (მარცხნივ) ბეთანიის თანადროული ფრესკა.

რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ვეფხისტყაოსნის ზახასეული ხელნაწერის პორტრეტის ფერებში შესრულებულ დეტალს წარმოადგენს, დაკრულია ნაცრისფერ ქალაღზე და ჩაკრულია წიგნში ტიტულის წინ.

პროლოგი დასათურებულია „დასაწყისი“-თ, ცალკე თავად არის გამოყოფილი მე-12 სტროფის (თუ მიჯნურსა მიჯნურობა) შემდეგ „სწავლისათვის მოშაიერეთასა“ და მე-20 სტროფის (ჩემი აწ სცანით ყუელამან) შემდეგ „ამბავი მიჯნურობის“.

წიგნის ყდა და ტიტული, ორიოდ ცნობის გამოკლებით, ერთნაირადაა გაფორმებული: „ვეფხისტყაოსანი“ დახატულია ხელით, ჭტამბურად აწყობილი შავი მთავრული 10-ით: „სარგის კაკაბაძის რედაქტორობით“, „მეორე გამოცემა“ — თეთრი პეტიტით, შემდეგ ნახატი ბორდიური, დასასრულ „ტფილისი“ და 1927 წ. აწყობილია მთავრული 10-ით (უკანასკნელი ორი ტიტულზე აღნიშნული არაა).

ყდის შემდეგი ფურცელი ცარიელია, მის მომდევნო ფურცლის კენტ გვერდზე გრომშვილი მთავრულით დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსანი“, „ს. კაკაბაძის რედაქტორობით“ აწყობილია შავი კორპუსით. გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი — შავი მთავრული პეტიტით „79 სურათით: 1 სურათი ფერადებით, 28 სურათი — ტექსტში, 6 ფაქსიმილე, 43 სურათი ცალკე 38 ფურცელზე, 1 გეგმა“ — ყველა აწყობილია პეტიტით.

წიგნი აწყობილია კორპუსით. პოემის სათაურები — ჩონჩხი 16-ით, მეოთხე სტროფის დამაკავშირებელი „და“ დაბეჭდილია ლიგატურით, იგი და სტროფების ნუმერაცია გამოყოფილია ტექსტიდან, უკანასკნელი დაბეჭდილია წილადი ციფრით. 1549 სტროფის (შიგა მათთა საბრძანისთა) შემდეგ გავლებულია მოკლე ზახი. ასეთივე ზახი გავლებული უკანასკნელი სტროფის (ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა) შემდეგაც. გვერდების ნუმერაცია დაბეჭდილია ქვემოთ: კენტ გვერდზე მარჯვნივ და ლუწ გვერდზე მარცხნივ.

ნარკვევის სათაურები აწყობილია გრიშაშვილი 12-ით, ქვესათაურები აბზაცში — შავი კორპუსით.

ნარკვევში ჩართულ ილუსტრაციებზე წარწერები დაბეჭდილია მთავრული პეტიტით და ჩვეულებრივი პეტიტით, სქოლიოები — პეტიტით. პეტიტითაა აწყობილი ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა ტექსტი, მათი სათაურები კი — ზოგან შავი კორპუსით და ზოგან მთავრული შავი პეტიტით.

ლექსიკონში ასახსნელი სიტყვები აწყობილია შავი პეტიტით, ამხსნელი — თეთრი პეტიტით. აწყობილია ისინი ორ სვეტად. მათ შორის არის ერთსტრიქონიანი თეთრი ჩარევები. ვეფხისტყაოსნის ტექსტის მაჩვენებელი აწყობილია შავი მთავრული 14-ით, მისი სათაურები — შავი მთავრული პეტიტით, სახელები — თეთრი პეტიტით, „დამატება“ (გვ. 217) — მთაწმიდა 16-ით, „ზიჩის სურათები“ — 8 მთავრული შავით. (217 გვ. დაბეჭდილია შმუცტიტულად). ილუსტრაციების სახელწოდება — თეთრი კორპუსით, განმარტებანი — თეთრი პეტიტით. ზიჩის სურათი „თინათინის სამეფო ტახტზე დასმა“ აწყობილია კორპუსით, ზიჩის დანარჩენი ილუსტრაციების წარწერები დაბეჭდილია თეთრი პეტიტით.

წიგნი ჩასმულია ფერადი ქალაღის ყდაში, ტირაჟის დიდი ნაწილი სარეალიზაციოდ მიიღო სახელმწიფო გამოცემლობამ.

X

1927 წელს გამოვიდა ს. კაკაბაძის რედაქტორობით ვეფხისტყაოსნის 27-ე გამოცემა. ამ გამოცემაში პოემის ტექსტს დართული აქვს რედაქტორის „წინა შენიშვნა“, სადაც მიმოხილულია რუსთაველის ცხოვრება (გვ. I — IV), შემდეგ, ცალ გვერდზე დაბეჭდილია: ვეფხისტყაოსნის ტექსტი, მის მეორე გვერდზე. გამოქვეყნებულია შოთას ხელის მოწერა თამარ მეფის დროინდელ ერთი სიგელიდან (სიგელი მანდატურთ-უხუცესის კიაბერისა). შემდეგ იწყება პოემის ტექსტი (გვ. 1 — 184), რომელსაც მიყვება „დასაწყისი ვეფხისტყაოსნის გაგრძელებისა“ (გვ. 185 — 188), „ვინმე მესხის მელექის მიერ დაწერილ გაგრძელების ნაწყვეტები“ (გვ. 188 — 189) და „ვინმე მესხის მიერ დაწერილ გაგრძელების დასასრული“ (გვ. 190).

191 — 209 გვერდები უჭირავს ლექსიკონს, იმავე 209 გვერდზე იწყება „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მაჩვენებელი“, რომელიც მთავრდება 213 გვერდზე, 214 — 215 გვერდებზე დაბეჭდილია „სარჩევი“ და ვეფხისტყაოსნის ტექსტის კორექტურული შეცდომების გასწორება.

გარდა „წინა შენიშვნისა“, ამ გამოცემის მთლიანი ტექსტი დაბეჭდილია ვეფხისტყაოსნის ს. კაკაბაძისეული მეორე გამოცემის ანაწყო-

ბიდან. ამ გამოცემის ყდა და შმუცტიტული ერთნაირია, გადმობეჭდილია ისინი მეორე გამოცემის ყდიდან.

წიგნი დაიბეჭდა 1700 ცალი და ლირდა 2 მანეთი.

XI

1928 წელს გამომცემლობა „შრომამ“ დაბეჭდა მცირე (ჯიბის) ფორმატის (12X8) ვეფხისტყაოსნის ტექსტი. სტროფები გაყოფილია ცეზურაზე 8 სტრიქონად. ტექსტი გადმობეჭდილია ვახტანგისეული გამოცემიდან და არა სარგის კაკაბაძის 1927 წ. გამოცემიდან, როგორც ზოგიერთებს ჰგონია⁴¹.

ამ გამოცემას ერთხანს მეთვალყურეობდა სარგ. კაკაბაძე, შემდეგ ვინ განაგრძო, უცნობია.

როგორც აღვნიშნეთ, ეს გამოცემა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამეორებას წარმოადგენს, ოღონდ ერთ ადგილას აღრეულია სტროფები. მაგ., ვახტანგის სეე (295) სტროფს (ავთანდილ უთხრა: ვით მაქებ) მიყუება სეე (296) სტროფი (ამა დღემან დამავიწყა). ამ გამოცემაში კი უკანასკნელი სტროფის მაგივრად დაბეჭდილია სულ სხვა სტროფი, რომელიც ვახტანგისეულ გამოცემაში საერთოდ არ მოიპოვება:

მოვსრულვარ. შენად შეყრამდის ვიყავ ამბვისა მცნებელი;

რა გნახე შენმან სახმილმან ბნელსა მიმატა მე ბნელი;

ეგე შეც ვიცი, მეცა ვარ მაგა ლახვართა მცნებელი,

ბოლოდ იცოდი, სიკვდილი ჩემგან გაყრისა მძებნელი. (გვ. 79)⁴².

ხოლო ვახტანგის სეე (296) სტროფი (ამა დღემან დამავიწყა) დაბეჭდილია ტ (300—კაკემან ვით პოოს ღმრთისაგან) და ტა (301—მაგრამ ღმერთმან მოწყალემან) სტროფებს შორის (გვ. 80 — 81). ამას გარდა, პოემის ერთ თავს — „ტარიელისაგან თავის აზბის მბობა ოდეს ავთანდილს უამბო პირველი“, — „შრომას“ გამოცემაში, გამომცემლის უყურადღებობით, აკლია ბოლო 13 (ტკბ. 322) — ტლე (335) სტროფი (მას ქალსა ნესტან დარეგან იყო სახელად ხმობილი... აღარ ვიცი დამავიწყდეს თუკა დიადი წელია). ამრიგად, ამ გამოცემაში 1575 სტროფია დაბეჭდილი. ამას გარდა, ვახტანგის გამოცემიდან — „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონის მულღაზანზარს რომ შეეყარა“, — ამოღებულია ქვესათაურები: „აქა ავთანდილ ვარსკვლავთა ეუბნების თავის ბუ-

⁴¹ იხ. კ. ჭიჭინაძე, რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 85.

⁴² ეს სტროფი მოიპოვება სარგ. კაკაბაძის 1927 გამოცემაში (სტრ. 279) იმ ადგილას როგორც „შრომას“ გამოცემაში.

ნებასა“, „ამას სევდიანთა ეტლად იტყვიან“, „ამას მოსამართლეთა ეტლად იტყვიან“, „ამას შესისხლეთა ეტლად იტყვიან“, „ამას მკურნალთა ეტლად იტყვიან“, „ამას მწიგნობართა ეტლად იტყვიან“ და „ამას მოწყალეთა და სნეულთა ეტლად იტყვიან“ (გვ. რჯე — რჯე).

პოემის თავები ახალი გვერდით იწყება. გამონაკლისს წარმოადგენს ბოლო თავი, — „აქა ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბ ზეფისაგან“ (გვ. 419), რომელიც, რატომღაც, წინა თავის ტექსტს მიყვება სამი ციკეროს დაშორებით.

საერთოდ წიგნი კარგადაა დაკაბადონებული.

პოემის ტექსტი დაბეჭდილია უშპონოდ (3×6), ვენური პეტიტით, მისი სათაურები — შავი კორპუსით. ტექსტის დანარჩენი ნაწილები აწყობილია: შესავალი (გვ. 1) ჩონჩხი 12-ით. ლექსიკონი (გვ. 433) — 8 მთავრული შავით, გასამართავი სიტყვა — შავი პეტიტით, განმარტება — თეთრი ვენური პეტიტით, სათაურბ: „შემჩნეული შეცდომების გასწორება“ (გვ. 478) — 8 მთავრული შავით. გვერდების პაგინაცია, არაბული ციფრით, დასმული აქვს ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ კუთხეებში. ტექნიკური თვალსაზრისით, დამთავრებულ გვერდს არ უნდა ჰქონდეს პაგინაციის გვერდი, რაც ამ გამოცემაში არაა დაცული.

ყოველი ახალი გვერდის სათაური დაწეულია 3 ციკეროთი, ტექსტი სათაურებიდან კი — ერთი ციკეროთი.

ტექსტში უ, ჯ და ჯ ასოების ნაცვლად დაბეჭდილია, ვ; ხ და ვი, ალაგ-ალაგ ვახტანგის ტექსტი ნასწორებია, მაგ., ვახტ. ოტარიდო შენგან კიდე (გვ. რჯე) გასწორებულია: პე, ოტარიდო, შენგან კიდე (გვ. 258), ი დიფთონგი შეცვლილია ჟ-ით, მაგ., — ვაი (გვ. 255) დასხვ.

მეოთხე ტაეპის დამაკმაყოფილებელი „და“ ამოღებულია. წიგნს ბოლოში დართული აქვს „შემჩნეული შეცდომების გასწორება“, სადაც 13 შეცდომაა ნაჩვენები, სინამდვილეში კი გაცილებით მეტია. სტროფები დაუნომრავია. დაბეჭდილია ისინი 16 პუნქტიანი აბზაცით და დაშორებულია ერთმანეთისაგან 1 შპონით, გამონაკლისს წარმოადგენს ორიოდ სტროფი, რომელიც შეცდომით გამოუყოფლად დაბეჭდილი (იხ. გვ. 181, 386, 419).

პოემის ტექსტს მიყვება ლექსიკონი (გვ. 433—477), თანდართულ სქოლიოში აღნიშნულია, რომ ის ამოღებულია სარგ. კაკაბაძის რედაქციით გამოსულ ვეფხისტყაოსნიდან, ამხსნელ ნაწილში სტროფების ნუმერაციისა და უცხო (სპარსული, არაბული, თურქული, ბერძნული, სომხური, ლათინური) ენებზე დაწერილი სიტყვების გამოკლებით.

შმუცტიტულის წინ მოთავსებულია შ. რუსთაველის გავრცელებული პორტრეტი, რომლის წარწერა „შოთა რუსთაველი“, აწყობილია წვრილი კორპუსით. შმუცტიტულის მეორე გვერდი ცარიელია.

წიგნი ჩასტულია მაგარ ელასტიურ კოლენკორგადაკრულ თხელ პრეშპანზე, რომელსაც აწერია მხატვრის მიერ დახატული: „მოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, შრომა, 1928“. შმუტტიტულზედაც ასეთივე წარწერაა სტამბურად დაბეჭდილი (მოთა რუსთაველი—8 მთავრული შავით, ვეფხისტყაოსანი—16 მთავრულით, გამომცემლობა „შრომა“—10 შავით), ოღონდ თარიღია შეცვლილი, 1928 წლის ნაცვლად 1927 წელია (10 მთავრულით) დაბეჭდილი. ეტყობა, პოემის ტექსტი აიწყო და დაიბეჭდა 1927 წელს, წიგნი კი დაიყდო და ბაზარზე გამოვიდა 1928 წელს.

წიგნის გვერდების კიდურები შეღებილია მოწითალო ფერით.

გამოცემის ტირაჟია 5000, დაიბეჭდა თბილისში, კ. წ. დ. ჯ. სტამბ. განყოფ. გორკის ქუჩა № 1, მთავლიტი № 462 (ყველა ეს ცნობა წიგნში დაბეჭდილია ჩვეულებრივი პეტიტით), ფასი 1 მანეთი.

წიგნი ლამაზადაა გამოცემული.

გამოცემა საყურადღებოა: იგი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული ტექსტის ხელახალი გამოცემაა და ამ ფორმატით მისი დაბეჭდვა მისასალმებელია, მაგრამ გამოყენებას აძნელებს სტროფების უნუმერაციოდ დაბეჭდვა და გამოცემაში სტროფების დაუდევრობით დაკლება.

XII

1932 წელს გამომცემლობა „ფედერაციამ“ გადაწყვიტა ვეფხისტყაოსნის ახალი, მინიმალურად მცირე ფორმატის სახალხო გამოცემა. ამისათვის სტროფების ტაეპები უნდა დატეხილიყო და ოთხი ტაეპის ნაცვლად სტროფში რვა ტაეპი უნდა დაბეჭდილიყო. წიგნს უნდა დართოდა წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი, რომელთა მოკულობა სამ თაბახს არ უნდა აღმატებოდა. გამოცემა თუ ილუსტრირებული იქნებოდა, იმ შემთხვევაში უნდა დაბეჭდილიყო მ. ზიჩის ილუსტრაციებით. რედაქტორად მოწვეული იყო პოეტი კონ. ჭიჭინაძე, რომელიც ვეფხისტყაოსნის საკითხებს წლების მანძილზე ირკვევდა და თავის შეხედულებებს დროგამოშვებით კიდევაც აქვეყნებდა⁴³.

გამოცემის პროექტის განსახილველად „ფედერაციამ“ იმავე წლის აპრილში საგანგებო თათბირი მოიწვია, სადაც, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გადაწყდა, ვეფხისტყაოსნის სახალხო გამოცემა გადადებულიყო და მის ნაცვლად დაბეჭდილიყო აკადემიური გამოცემა. კ. ჭიჭინაძე შეუდგა ამ დადგენილების განხორციელებას. მან მიზნად დაისახა „პოემის ნამდვილი დაბოლოების აღდგენა და, გარდა

⁴³ კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია პართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა, თბ., 1925; მისივე, რუსთაველის გარშემო, თბ., 1928.

ამისა, შიგა ტექსტისათვის აქა-იქ ისეთი სტროფების დაბრუნება; რომლებიც გაუქვებია პოემიდან, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ზოგიერთ ხელნაწერს და, მათზე დაყრდნობით, უარუყვია ყველა აქამდე გამოსულ ბეჭდვით გამოცემას“ (გვ. IX). საამისო წყაროდ მას გამოუყენებია პოემის რვა ხელნაწერი (S 4499/XVII ს.) 1727 (1825 წ.), 5006 (XVIII ს.)⁴⁴, 4988 (XVIII ს.), H. 461 (XVIII ს.), 740 (XVIII ს.), Q 261 (XVIII ს.), A 363 (XVII ს.) და ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი № 205 (XVII ს.)⁴⁵, ხელთ ჰქონია აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის საკუთარი კალი, რომელიც გადაწერილი ყოფილა 1851 წელს.

ამას გარდა უსარგებლია პოემის ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიკაშვილის, ი. აბულაძისა და ს. კაკაბაძის გამოცემებით.

ამ წყაროების მიხედვით დაუმუშავებია მას ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა, რომელიც მოცულობით დიდია, შედგება 1745 სტროფისაგან და 150—200-მდე სტროფით აღემატება წინა გამოცემებს.. პოემის სიდიდე კი გამოწვეულია იმით, რომ რედაქტორმა ძირითადი ტექსტის კუთვნილებად გამოაცხადა ინდო-ხატელთა ამბავი და პოემის ტექსტის შინაგან მოცულობაში საკმაო რაოდენობის ახალი სტროფები შეიტანა, რომელთა ნაწილი არცერთ წინა გამოცემაში შეტანილი არ ყოფილა.

გამოცემა გაფორმებულია მხატვარ ლ. გუდიაშვილის მიერ.

წიგნი ჩასმულია მუყაოს კოლენკორგადაკრულ ყდაში, რომლის პირველ გვერდზე მხატვრის მიერ დახატული ყვითელი შტრიხით შ. რუსთაველი. ფორზაცი სიუჟეტისა და დაბეჭდილია ღია ყვითელ ფერში. ფორზაცსა და პირველ გვერდს შორის ჩაყრულია ფერებში შესრულებული ილუსტრაცია, სადაც ასახულია ტარიელის ნესტანდარეჯანთან პირველი შეხვედრა. მასზე დაფარებულია პაპიროსის ქალღმერთი. შემდეგი ფურცელი თავისუფალია.

შემუცტიტულზე მოცემულია მხატვრის დახატული ბორდიური. რომელზედაც წითლად ჩაბეჭდილია გამომცემლობის სახელწოდება.. შემდეგ მოდის ტიტული და კონტრტიტული. უკანასკნელი მოთავსებულია ლუწი გვერდებზე და აწერია რუსულ-ფრანგულ ენებზე ავტორის ვინაობა და პოემის სახელწოდება. წარწერებს შორის დაბეჭდილია მხატვრული ორნამენტი.

⁴⁴ ავტორს შეეცდომით აქვს ეს ხელნაწერი აღნიშნული 5005 ნომრით.

⁴⁵ ეს ხელნაწერი დროებით სარგებლობისათვის ექვთ. თაყაიშვილს ქუთაისიდან გამოუთხოვია 1914 წ. და გაუტარებია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საინვენტარო წიგნში 1117 ნომრით. შემდეგში ხელნაწერი დაუბრუნდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, სადაც ის გატარებულია 205 ნომრით.

მე-5 გვერდზე დაბეჭდილია ტიტული, რომელსაც აწერია ვეფხისტყაოსნის ავტორი და პოემის სახელწოდება. ტიტული და კონტრტიტული მხატვრულად გაფორმებულ ჩარჩოშია ჩასმული, რომლის ასოები დაბეჭდილია წითლად. მე-6 გვერდზე, ჩარჩოში მოთავსებულია შტრიხებში დახატული ილუსტრაცია (მერანზე მჯდომი ტარიელი), რომელზედაც წითლად დაბეჭდილია: „ზედა ყდა, ყდა, ფერადი სურათი და ილუსტრაციები ლადო გუდიაშვილისა“, ქვემოთ ფედერაცია.

მე-7 გვერდზე მხატვრის მიერ გაფორმებულ ჩარჩოში წითლად ჩაწერილია „კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით“. ჩარჩო შავადაა დაბეჭდილი. მე-8 გვერდი ცარიელია.

მე-9 გვერდზე იწყება რედაქტორის გამოკვლევა. მისი სათაური (ვეფხისტყაოსნის დაბოლოება და შინაგანი მოცულობა) დაბეჭდილია შავი მთავრული 14-ით, ტექსტი — ვენური 10-ით. სათაური გვერდიდან დაწეულია ოთხი სტრიქონით, ტექსტს კი შორდება 3 სტრიქონით, ტექსტის დასაწყისი პირველი ასო ორნამენტირებულია. ყოველ გვერდზე თავში გავლებულია ორი წვრილი სტამბური ხაზი, რომელზედაც კენტ გვერდზე მარჯვნივ და ლუწ გვერდზე მარცხნივ მოთავსებულია წიგნის გვერდების პაგინაცია. მათ შორის პეტიტით დაბეჭდილია ავტორის ვინაობა და ნარკვევის სათაური. გვერდების პაგინაციად ნარკვევში მიღებულია რომაული ციფრები, სხვა შემთხვევაში კი — არაბული ციფრები. პოემის ტექსტს ხაზებს ზემოთ აწერია ვეფხისტყაოსნის შესაფერისი სათაური.

ნარკვევის სქოლიოები აწყობილია პეტიტით. შენიშვნების ნიშნებად ტექსტში და სქოლიოში გამოყოფილია არაბული ციფრები — დრობის პეტიტო ფრჩხილებით. ნარკვევებში პოემიდან მოყვანილი ადგილები დაბეჭდილია პეტიტით. 37-ე გვერდით თავდება ნარკვევი თავისი ბიბლიოგრაფიით. ბოლოს გავლებულია წმინდა სტამბური მოკლე ხაზი. 38-ე გვერდი ცარიელია. 39-ე გვერდზე შემუცტიტულია, სადაც შტრიხებში დახატულია ვეფხვი, რომელსაც კისერში ჩარტობილი აქვს ისარი, მასზე დაბეჭდილია წითლად, ორ სტრიქონად, ვეფხის ტყაოსანი. მე-40 გვერდი ცარიელია. ამის შემდეგ ჩაკრულია შ. რუსთველის პორტრეტი ორ სტრიქონიანი წარწერით, რომელიც შეიცავს პოემის შექმნის სტროფის პირველ და მეორე ტაეზს (აწ უნა მინდა გამოთქმად). შემდეგ ახალი გვერდიდან (I) იწყება ვეფხისტყაოსნის ტექსტი. სათაურები დახატულია მხატვრის მიერ. მისი ასოები დაბეჭდილია წითლად და ჩასმულია შავად დაბეჭდილ მხატვრულად გაფორმებულ ჩარჩოებში. ყოველი თავის დასაწყისი ასო მხატვრის მიერ შესრულებულია დიდი ზომით და დაბეჭდილია წითლად. ჩარჩო

გვერდიდან დაწეულია სამი სტრიქონით. ტექსტსა და ჩარჩოს შორის დაშორება არის ხუთი სტრიქონი.

პოემის ტექსტი აწობილია კორპუსით. სტროფები ერთმანეთისაგან დაშორებულია რვა პუნქტით. ტექსტი აწყობილია შპონით. სტროფები დანომრილია, არ უზის ნუმერაცია თავებში მხოლოდ პირველ სტროფს. სტროფების ნუმერაცია შეტანილია ტექსტში. აბზაცი ტექსტიდან შეწეულია 10 პუნქტით. მეოთხე ტაეპის დამაკავშირებელი „და“ ამოღებულია. ყოველი თავის ბოლოს დასმულია მხატვრის მიერ დახატული სხვადასხვა სახის ბოლოსართი. უკეთეს გვერდი ტექსტით არის შევსებული, იმ შემთხვევაში ბოლოსართად გამოყენებულია სტამბის ერთი კვადრატული ხაზი.

268-ე გვერდი ცარიელია, 269-ე გვერდზე შემუცტიტულია, რომელსაც აწერია: „რედაქტორის შენიშვნები“, აწყობილია ის 16 მრგვალი შავი მთავრულით, შემდეგი გვერდი თავისუფალია. მერმე დაბეჭდილია „რუსთველს სახელით ცნობილი ლექსები“. ესენია: „რადგან სწორად გარდახდების“, „ფილოსოფოსნი შემოკრბენ“, „თქმული რუსთველისა, თამარ მეფის ქეასა ზედა დაწერილი“ (როს ნაჰარმაგევს მეფენი), „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღვთისმშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად სთქვა შოთა რუსთველმან (ცასა ცათასა დამწყები), „იამბიკო ესე თქმული შოთა რუსთველის მიერ, ზედა წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღვთისმშობლისა“ (ქალწულებრივთა სისხლთა). მათი შესავალი ნაწილი (გვ. 271) აწყობილია კორპუსით, ლექსები — პეტიტით, სათაურები — შავი კორპუსით. ლექსები გამოყოფილია ერთმანეთისაგან რომაული ციფრებით. შენიშვნების მითითებისათვის ამ ნაწილში რედაქტორს მიღებული აქვს ვარსკვლავები ფრჩხილებით⁴⁶.

274-ე გვერდიდან იწყება „დამახინჯებული ადგილების გასწორება“, სადაც მიმოხილულია ყველა გასწორების განმარტება და დასაბუთება: გასწორება რითმებში (გვ. 277), გასწორება შიგნიტექსტში (გვ. 284), საექვო ადგილები (გვ. 290), შესავალი ნაწილი (გვ. 274 — 276) კორპუსითაა აწყობილი. დასახლებული ქვესათაურები აწყობილია თეთრი მთავრული პეტიტით, ტექსტი კი — პეტო-

⁴⁶ მოყვანილ ლექსებიდან კ. ჰიჰინაძის პეტო საბუთით რუსთველის კლთენილეზად მაიჩნა პირველი, ნაკლებათ—ორი უკანასკნელი. ამ ლექსების დაბეჭდვა ვუკ. ბერიძემ ზედმეტად მიიჩნია: „თუ ვეფხისტყაოსანთან გვაქვს საქმეო,—წერდა ის,— მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა იყოს მოცემული და თუ შოთას სხვა რამეც დაუწერია, ეს ცალკე მსჯელობის საგანს უნდა შეადგენდესო“ (ე. ბ. რ. ი. დ. ვ. ვეფხისტყაოსანი, კ. ჰიჰინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, ვაზ. „კოპუნისტი“, 1934, № 227).

ტით. გასწორებული სტროფების ნუმერაცია გამოყოფილია ტექსტიდან.

291-ე გვერდზე იწყება ახალი სათაური: პროლოგი და ეპილოგი, რომლის შესავალ ნაწილში რედაქტორს მოცემული აქვს ტექსტის გარკვევა და დადგენა. აწყობილია ის კორპუსით, ხოლო სანიმუშო ლექსები — პეტიტით. ამ წესითაა დაბეჭდილი „აფორიზმები“ (გვ. 299) და „მეტაფორები“ (გვ. 294). გამოცემაში წარმოდგენილია რჩეული მეტაფორები, სტროფების ნუმერაციის ჩვენებით, რომლებიც ერთმანეთს დაშორებულია ექვსი პუნქტით.

წიგნში კორპუსით დაბეჭდილია ნარკვევები „მეტრი და რიტმი“, „მაჯამები“ და „რითმები“. პირველს ქვესათაურები აწყობილია თეთრი მთავრული პეტიტით. „მაჯამები“ დაბეჭდილია პეტიტით სტროფის ნუმერაციის ჩვენებით (გვ. 308). განსამარტავი მაჯამები იწყება აზნაცით, ფრჩხილით გამოყოფილ ტაეპის ციფრით. დაბეჭდილია ისინი თეთრი კურსივი-პეტიტით, განმარტება კი — პეტიტით.

315-ე გვერდზე მოცემულია შესავალი წერილი ვეფხისტყაოსნის რითმებზე, 321-ე გვერდი კი იწყება „რითმების ინდექსით“, სათაურის ქვემოთ დაბეჭდილია ქვესათაური: „დაბალი შაირის რითმები“, აწყობილია იგი პეტიტი მთავრული თეთრით. ინდექსის ტექსტი დაბეჭდილია ორ სვეტად პეტიტით, რითმები კი გამოყოფილია მარცხნივ. ცალკე სტრიქონად, დაბეჭდილია შავი პეტიტით. ტექსტის დასასრულს (გვ. 374) გავლებულია სტამბური თხელი ხაზი. ამ ხაზის ოთხი სტრიქონის დაშორებით იწყება ახალი ქვესათაური: „მაღალი შაირის რითმები“ (გვ. 374), რომელიც ტექსტს დაშორებულია ორი სტრიქონით, დაბეჭდილია ის იმ წესით, როგორც „დაბალი შაირის რითმები“. ვეფხისტყაოსნის ჰიქინაძისეულ გამოცემაში მაღალი შაირით დაწერილია 800 სტროფი, ხოლო დაბალით — 945.

419-ე გვერდზე იწყება სიმფონია. მის ქვემოთ, ერთი სტრიქონის დაშორებით, ფრჩხილებში, რვა მთავრული თეთრით დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის სრული ლექსიკა“, რომლის ტექნიკური სამუშაო შეასრულა თამარ ჰიქინაძემ. თვით სიმფონია წარმოადგენს რედაქტორის ხუთი თვის თავაუღებელ შრომის ნაყოფს. „სიმფონიის თანდართვით, — წერს კ. ჰიქინაძე, — არათუ საბჭოთა კავშირში, რამდენადაც ვიცი, მსოფლიოში არ გამოსულა პოეტური ნაშრომები. იგი გაკეთებულია ბიბლიისა და ყურანისათვის მხოლოდ“⁴⁷. ვინაიდან წიგნის გამოცემა

⁴⁷ კ. ჰიქინაძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა, „სალიტერატურო გაზეთი“, 1934, № 14 (68), VII, 24; ი. ლისაშვილი, წერილი რედაქციის მიმართ, „სალიტერატურო გაზეთი“, 1934, № 15 (69), VIII, 10.

გვიანდებოდა, ამიტომ გამოცემლობაში გამოითქვა აზრი, რომ სიმფონია და ინდექსი ცალკე გამოცემულიყო, მაგრამ შემდეგ უმჯობესად ცნეს ორივე აღნიშნული ნაწილი დართვოდა ვეფხისტყაოსნის განსაზღვრულ ტირაჟს⁴⁸, რაც კიდევაც განხორციელდა.

სიმფონია შედგენილია მარტივად, სიტყვები იმ გრამატიკული ფორმითაა წარმოდგენილი, როგორც ტექსტშია მოცემული, მაგ., ავთანდილ, ავთანდილთა, ავთანდილი, ავთანდილობით, ავთანდილის, ავთანდილისა, ავთანდილისაგან, ავთანდილისთვის, ავთანდილს, ავთანდილსცა, ავთანდილცა. ანდა: მოწყალე, მოწყალეა, მოწყალეებითა, მოწყალემან, მოწყალეო, მოწყალეობს და სხვ. რედაქტორის ცნობით, პოემა მთლიანად შეიცავს 45000 სიტყვას, რომელთაგან 15200 სიტყვა არის სხვადასხვა გრამატიკული ფორმით ხმარებული (გვ. 319).

რაკი სიმფონია ძირითად ტექსტს ერთვის, ამიტომ აუცილებელი არ იყო ყოველი სიტყვის მოყვანა მის შემცველ წინადადებაში, ეს შრომას დიდად გაზრდიდა და, როგორც კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, „ნაყოფი იგივე დარჩებოდა“.

სტროფებისა და ტაეპების ნუმერაცია სიმფონიაში დაბეჭდილია შეწევით 10 პუნქტით. ბოლოში (გვ. 657) გავლებულია სტამბური მოკლე წვრილი ხაზი. ტექსტი დაბეჭდილია ორ სვეტად, ალფაბეტის ასო სვეტებშია გამოყოფილი. 658-ე გვერდზე იწყება „ლექსიკონი“, რომლის შესავალი წვრილი კორპუსითაა აწყობილი. ლექსიკონის ტექსტი კი დაბეჭდილია ორ სვეტად. ალფაბეტი აქაც სვეტებშია გამოყოფილი. ასახსნელი სიტყვა დაბეჭდილია შავი პეტიტით, ამხსნელი ტექსტი კი — თეთრი პეტიტით. აქაც ბოლოში (გვ. 666) გავლებულია სტამბის მოკლე თხელი ხაზი.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი ამ გამოცემაში შემოკლებით არის წარმოდგენილი. ავტორი ამას იმით ხსნის, რომ პოემის წინაგამოცემების დართულ ლექსიკონებში ისეთი სიტყვებია შეტანილი, რომლებიც საშუალო მკითხველისათვის განმარტებას არ მოითხოვსო. რედაქტორის ეს მოსაზრება არ შეიძლება გავიზიაროთ. წარმოდგენილი ლექსიკონის გარეშე დარჩენილია ისეთი სიტყვები, რომელთა გაგება ყველას არ შეუძლია.

667-ე გვერდზე იწყება „სახელების საძიებელი“, მისი ქვესათაურები (პიროვნებები, გეოგრაფია და ეთნოგრაფია, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტერმინები, ყოფა-ცხოვრების

⁴⁸ კ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსანი, „სალატერატურო გაზეთი“, 1934, „ეპრიანტები შენიშვნებშიც კი ვერ შევიტანე, — წერს კ. ჭიჭინაძე, — რადგანაც მათი წესრიგში მოყვანა და გამოქვეყნება თხოულობს არა მხოლოდ დიდ დროს, არამედ ასეულ გვერდებსაც“.

საგნები და ცნებანი, მოწყობილობა, ტანისამოსი და საომარი იარაღი, ფულაჲა და წონის ერთეულები, ლითონები და ძვირფასი ქვები, ცხოველები და ფრინველები, მცენარეები) აწყობილია მთავრული თეთრი პეტიტით. ტექსტი დაბეჭდილია პეტიტით ორ სვეტად. არის შემთხვევა, როდესაც სიტყვას არ ახლავს შესატყვისი სტროფისა და ტაეპის ნუმერაცია, მაგ., ცხვარი, სოსანი, კრავი, ქარვა და სხვა რაც აძნელებს საძიებლის გამოყენებასა და იძულებულს გხდის აღნიშნულ სიტყვებს პოემაში სიმფონიის საშუალებით მიაგნო.

წიგნი მთავრდება აკ. გაწერელისა შედგენილი ბიბლიოგრაფიით. მისი სომხური ნაწილი შეადგინა ლ. მელიქსეთ-ბეგმა. ბიბლიოგრაფია სრული არაა და ამის პრეტენზიას არც აცხადებს. ბიბლიოგრაფია დაყოფილია ქვესათაურებად: ვეფხისტყაოსნის გამოცემები, XVI — XVIII საუკუნეების მწერალთა ცნობები რუსთველზე, გამოკვლევები, წერილები, რეცენზიები (1800 — 1933); ლიტერატურა, რომელიც ნაწილობრივ ეხება რუსთველსა და მის პოემას, ქართული ფოლკლორი და ვეფხისტყაოსანი, ვეფხისტყაოსანი და ლიტერატურა მის შესახებ უცხო ენებზე; სომხურად, რუსულად, უკრაინულად, პოლონურად, ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად და უნგრულად. პოემის გამოცემათა ბიბლიოგრაფია ზოგჯერ არაა ზუსტი, ასე, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის გ. წერეთლისა და დ. ყიფიანის გამოცემის თარიღად დასახელებულია 1875 წ. ნამდვილად კი არის 1867 წ., ახალსენაკში კ. თავართქილაძის გამოცემა 1895 წლით არის დათარიღებული, ნამდვილად კი 1896 წელია. 1890 წელს ოზურგეთში ვეფხისტყაოსანი არ დაბეჭდილა, დაიბეჭდა თბილისში გრ. ჩარკვიანის მიერ, ოზურგეთში კი დაიბეჭდა 1891 წელს მიქელიაშვილისა და კ. თავართქილაძის მიერ. 1892 წ. ვეფხისტყაოსანი გამოსცა არა გ. ჩარკვიანმა, არამედ კ. თავართქილაძემ. ახალსენაკში ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა 1896 წელს და არა 1895 წ. და კარკაშვილმა პოემა პირველად დაბეჭდა 1903 წელს და არა 1913 წ. გამოცემულია ის მ. ზიჩის ილუსტრაციებით და არა S — 5006 ხელნაწერის ილუსტრაციებით, როგორც ბიბლიოგრაფიაშია აღნიშნული.

ბიბლიოგრაფიის შესავალი ნაწილი დაბეჭდილია კორპუსით, ტექსტი — კი პეტიტით. პოემის გამოცემები და წერილების ავტორები აწყობილია შავი პეტიტით, ქვესათაურები — პეტიტი მთავრული თეთრით. ბიბლიოგრაფიის ზოგი ნაწილი დაყოფილია საუკუნეების მიხედვით, მათი დასათაურება აწყობილია რომაული ციფრით და შავი კორპუსით.

შინაარსში (გვ. 689) შესავალი და რედაქტორის შენიშვნები გაყოფილია რომაული ციფრებით და აწყობილია შავი პეტიტით, და-

ნარჩენი ნაწილი კი დაბეჭდილია თეთრი პეტიტით და არაბული ციფრების რიგითი ნუმერაციით.

რედაქტორის შენიშვნებში (გვ. 269 — 690) სათაურები ყველგან დაბეჭდილია 14 შავი კორპუსით, რომლებიც სხვადასხვა მანძილით არის გვერდიდან დაწეული (სტრიქონით 10, 6 და სხვ.) და ტექსტს მოშორებული. ამას გარდა ტექსტში სქოლიოს გამოსაყოფი ხაზი სიგრძით სხვადასხვა ზომისაა.

დიდი მონდომებითა და ყურადღებით გაუკეთეს კორექტურა ან გამოცემა ალ. აბაშელმა და ხ. ვარდოშვილმა. პოემაში მხოლოდ ერთი კორექტურული შეცდომა იქნა შემჩნეული: 1662-ე სტროფის მეოთხე ტაეპში დაბეჭდილია „ხარაჩოსა“, „ხარხაჩოს“ ნაცვლად, რომელიც პოემის ტექსტის დაბეჭდვის შემდეგ გამოვლინდა და სიმფონიაში გასწორდა (გვ. 651). წიგნის ნაწილები დაბეჭდილია თბილისის სხვადასხვა სტამბაში: ცეკავშირის სტამბაში — ტექსტი, წინასიტყვაობა და ალუსტრაციები; სახელგამის 1-ლ სტამბაში — რითმების ინდექსი, სიმფონია და ბიბლიოგრაფია; „კომუნისტის“ სტამბაში — შენიშვნები. ტექრედაქტორები და კორექტორები (ალ. აბაშელი და ხ. ვარდოშვილი), ტირაჟი, მთავლიტის რწმუნებული ბ. № 16 — დაბეჭდილია თეთრი პეტიტით, გვარები კი — მთავრული თეთრი პეტიტით. სტამბათა დასახელება და პოლიგრაფიული ცნობები — თეთრი მთავრული პეტიტით.

ყდის მე-4 გვერდზე ამოტივრულია მხატვრის მიერ დახატული მშვილდისრები. წიგნის ზემო გვერდები შეღებილია ლურჯად, ყუა ოვალურია. ილუსტრაციების წარწერა დაბეჭდილია პარიზის კორპუსით.

წიგნი დაბეჭდილია ცუდ ქაღალდზე, „სირცხვილი ფედერაციას, — წერდა ვუკ. ბერიძე, — საეკვო ღირსების ნაწარმოებს „ვიშნისზე ბეკდავს, ხოლო ვეფხისტყაოსნისათვის სახვევი ქაღალდიც ძლივს გაუმეტებია“⁴⁹.

გამოცემა, როგორც აღვნიშნეთ, გაფორმებულია მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ. თავდაპირველად მას დაეაღებული ჰქონდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის თავებისათვის პირველი ასოები და რამდენიმე ბოლოსატანი დაეხატა. ეს უკანასკნელი შემდეგ გადააკეთებინეს სიუჟეტთან თავსატანებად, რომლებიც საბოლოოდ ილუსტრაციებად აქციეს. გამოცემაში მხატვრის სტილი რომ არ დარღვეულიყო, წიგნში რუსთველის გავრცელებული პორტრეტი კი არ დაიბეჭდა, არამედ

⁴⁹ ვ. ბ. ბ. ე. ვეფხისტყაოსნა, კ. ჰიკინაძის რედაქციით, გამოკლევით და შენიშვნებით, გაზ. „კომუნისტი“, 1924, № 227.

ლ. გუდიაშვილის დახატული პორტრეტი დაერთო, რომელიც მხატვრის მიერ შესრულებული ილუსტრაციების საერთო სტილს არის შეფარდებული და თვითონაც პროლოგის ილუსტრაციას წარმოადგენს. ამდენად ის არ აცხადებს რუსთველის პორტრეტის დადგენის პრეტენზიას.

ილუსტრაციების სიუჟეტები შერჩეულია რედაქტორისა და მხატვრის მიერ. პირველი ილუსტრაცია (ტარიელისა და ინესტანის პირველი შეხვედრა) წარმოადგენილია ფერადით, დაბეჭდილია იგი მოსკოვში, სახელმწიფო ნიშნების სტამბაში. ამავე სტამბაში არის დაბეჭდილი წიგნის ფერადი ფორზაცი და გარეკანი, რომლის წინა გვერდზე დახატულია ტარიელის მიერ ვეფხვის მიზიდვა საკოცნელად. ხოლო უკანა გვერდზე — სიმღერით მიმავალი ავთანდილი⁵⁰.

დანარჩენი 35 ილუსტრაცია შესრულებულია ტუშით.

„გუდიაშვილი დიდი მხატვარია, — წერს ვუკ. ბერიძე, — მაგრამ მისი ამ წიგნის ილუსტრაცია ვეფხისტყაოსანს არ შეეფერება: სად მე-12 საუკუნის საგმირო ეპოსი და მისი მტკიცე და ურყევი მტერზე ჭიქურ მიმსვლელი „სამი გმირი საქმებელი“ და სად გუდიაშვილის მიერ გაფორმებული „საშუალო სქესის“ ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი? რა არის ეს, თუ არა ეპოქის ბუნებისა და თვისების სრული არ ცოდნა!“⁵¹.

ილუსტრაციები დაბეჭდილია უბრალო თეთრ ქაღალდზე, ზოგი მათგანი პოემის შესაფერის ტექსტთან არ არის ჩაყრული.

ორ წელს გასტანა წიგნის ბეჭდვამ. 1934 წ. მაისის 16-ს ფერადი სურათები ჯერ კიდევ არ იყო მოსკოვიდან მიღებული. წიგნი დაიბეჭდა და ბაზარზე გამოვიდა აღნიშნული წლის ივნისში. იგი შეიცავს 692 გვერდს, ზომა 21,5 X 15, ტირაჟი 2000, ფასი 43 მანეთი.

გამოცემას დართული აქვს რედაქტორის ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის დაბოლოება და შინაგანი მოცულობა“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ პოემის დაბოლოება ინდო-ხატაელთა ამბავი, „ძირითადი ტექსტის განუკვეთელ ნაწილს და პოემის ნამდვილ დაბოლოებას წარმოადგენს. ავტონომიური არსებობის უფლება მას მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის მაკრატელმა მიანიჭაო“ (გვ. X). ნარკვევში ავტორს არგუმენტირებული აქვს თავისი დებულებები, მაგრამ ზოგ შემთხვევაში უფრო სურვილებია მოცემული, ვიდრე არგუმენტები, მაგ., 276-ე სტროფის (ჩემსა თავსა მიჯნურობა) რუსთველისეულად მიჩნევა ასეა დასაბუთებული: „ეს სტროფი სრულიად უნაკლულა, სავსებით რუსთველური

⁵⁰ კ. ჯიქინაძე. ვეფხისტყაოსანი, „სალიტერატურო გაზეთი“, 1934, № 10 (64), V, 16, გვ. 3.

⁵¹ ვ. ბერიძე. ვეფხისტყაოსანი, კ. ჯიქინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, ვახ. „კომუნისტა“, 1934, № 227.

და ამიტომ ტექსტში მისი შეტანის აუცილებლობას განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება“. 336-ე სტროფი (მას დღესა ლომი ტარიელ) „არ არის საჭირო ამბის განვითარებისათვის, პირიქით, თითქოს მცირე-ოდნად კიდევაც აფერხებს მას, მაგრამ მასში ბევრი რამ არის კარგი და მისი უარყოფა გაუმართლებელი იქნებოდა“ (გვ. XXXIII). 337-ე სტროფი (თვალთა ჩემთა ცხელი ცრემლი) „უაღრესად რუსთველურია და მშვენივრად დაწერილი. საყურადღებოა აქ აღნიშნული ქართული ადათი „წლისა ჭამა“, რომელსაც მიცვალებულს უხდინან წლის თავზე“ (გვ. XXXIV). 1016-ე სტროფი (იტყვის თუ: „ჩემი ხელ-მკმნელი) — რომ ძირითად ტექსტში მისი შეტანა შინაარსიანი და საინტერესოა, რომ ძირითად ტექსტში მისი შეტანა საჭიროდ დავინახე, თუმცა ამის აუცილებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება“ (გვ. XXXV) და სხვ. ასეთი „არგუმენტებით“ არ შეიძლება დამტკიცდეს ამა თუ იმ სტროფის რუსთველისად კუთვნილება.

კ. ჭიჭინაძის გამოცემა გააკრიტიკეს პრესაში⁵² და საჯარო დისპუტებზე. პირველი საჯარო განხილვა მოაწყო საქართველოს მწერალთა კავშირმა 1934 წ. 19 და 20 ნოემბერს განათლების მუშაკთა (დღევანდელი მასწავლებლის) სახლში. შესავალ სიტყვაში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე შეეხო კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების საკითხს და რუსთველის შემოქმედების შესწავლის აუცილებლობას.

კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის შესახებ მოხსენება წაიკითხა მის. ჯავახიშვილმა. მომხსენებელმა გაიზიარა კ. ჭიჭინაძის დებულება, „ინდო-ხატაელთა ამბის“ რუსთველისადმი მიკუთვნების შესახებ. ამ დისპუტზე ვუკ. ბერიძემ განაცხადა: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის დაბოლოების საკითხი არ არის მთავარი. ამ მცირე ნაკვეთის⁵³ შესახებ მე არ ვარ ისეთი ზვიადი წარმოდგე-

⁵² იხ. ვუკ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 19; მისივე, როგორ უნდა ბოლოვდებოდეს ვეფხისტყაოსანი; „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 29; მისივე—ვეფხისტყაოსანი, კონ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკლევით და შენიშვნებით, გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 227; მისივე, ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 16; მისივე, ვეფხისტყაოსნის გარშემო, თბ., უნ. შრომები, III (ორი უკანასკნელი წერილი შეტანილია ვ. ბერიძის „რუსთველოლოგიურ ეტიუდებში“, 1961, გვ. 28, 88). ა. გ ა წ ე რ ე ი ა, ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხისათვის, გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 253; მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის, გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 263; მისივე, როგორ უნდა ბოლოვდებოდეს ვეფხისტყაოსანი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 28; ა. დ უ დ უ ჩ ა ე ვ ა, ვეფხისტყაოსნის გარშემო, გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 266; Ш. А р д и е л и, О новом издании Шота Руставели, газ. «На Рубеже Востока», 1934, № 18, და სხვ.

⁵³ იგულისხმება „ინდო-ხატაელთა ამბავი“.

ნის, როგორც კიკინაძეა და ზოგი კიდევ სხვა ვინმე. ნაწარმოებისათვის მას არ აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორსაც მას მიაწერენ. ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირი თვით ვეფხისტყაოსანია და ნაწარმოებიც უპირატესად მისი ხაზით ვითარდება“. შემდეგ ვ. ბერიძემ ჩამოთვალა ამ ხაზის მთავარი მომენტები და დაასკვნა: „დიდი ტანჯვისა და წვალების შემდეგ ტარიელმა (ავთანდილმა და ფრიდონის დახმარებით) გამოიხსნა ქაჯეთის ციხიდან ნესტანი. მორჩა და გათავდა: „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია“.

ტარიელს და ცოლს მისსა მიხვდა მათი საწადელი —

შეიღო ტახტი სახელმწიფოს, საშვებელი გაუცდელი.

მათ პატივთა დაავიწყებს ლხინი ესე აწინდელი,

და ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი პირთა გარღუხდელი.

ესაა და ეს. რა მოუვიდა ნაწარმოების დანარჩენ გმირთ? ზოგი მოკვდა, ზოგი დარჩა. საპირთა თუ არა თითოეულის შესახებ ცალკე დაწვრილებით ამბის თხრობა? ვფიქრობთ, არა“. მიუხედავად ამისა, ვ. ბერიძე ბაინც ფიქრობდა, რომ „კ. კიკინაძის მიერ შემოტანილი დაბოლოება, შეიძლება მიღებულ იქნას, ვინაიდან იგი თხრობის განვითარებას ხელს არ უშლის და შესაძლებელია შოთას მართლაც ჰქონდა ამ ადგილის. (ტარიელის ინდოეთს დაბრუნებისა და გამეფების) უფრო ვრცელი ვარიანტი და ეს დაბოლოება მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ადგილის უფრო ვრცელი ვარიანტია. მაგრამ თუ დაბოლოება მიღებული იქნებო — განაცხადა ვ. ბერიძემ, — ერთი აუცილებელი პირობით: ტექსტი საშინლად დამახინჯებულია და ენობრივად მას ძირითადი შეკეთება დასჭირდება“. შემდეგ ვ. ბერიძემ აღნიშნა, რომ „უფრო მთავარი სხვა რამ არის, სახელდობრ: რა მდგომარეობაშია თავად ძირითადი ტექსტი თავიდან ბოლომდე, აქვს თუ არა მას შიგა და შიგ „კეთილშენაძენი“, რაა საპირო იმისათვის, რომ ეს ხორცმეტი მოშორდეს და რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ რაც დარჩება ხალასი, ის სათანადოდ გავიგოთ, დავსძლიოთ მატერიალურად, რომ საბოლოო ანგარიშში მოხერხდეს შოთას ამ უდიდესი შემკვიდრების მთლიანად და სავსებით დაუფლება.

ძირითად ტექსტში ყოველგვარი თავის შეტანილობას კ. კიკინაძე ცდილობს დაასაბუთოს, მაგრამ მისი კვლევის მეთოდი მეტად ცალმხრივი და არა საკმარისია. მთელი მისი მუშაობის საფუძველი, როგორც იგი თავად აღიარებს, ფორმალისმშია და ამიტომ ბუნებრივია, თუ მისი ცდა ზოგან მართოდენ ცდად რჩება და დამაჯერებელ ფაქტად ვერ იქცევა“.

ვ. ბერიძე ვეფხისტყაოსნის სტროფების გარჩევით ამტკიცებდა, რომ კ. კიკინაძეს პოემის ძირითად ტექსტში ბევრი ისეთი სტროფი

აქვს შეტანილი, რომლებიც „არც ფორმის მხრივია უნაკლოდ შესრულებული და მის შეტანას პოემის სიუჟეტის განვითარებაც არ მოითხოვს. ზოგან ჭიჭინაძის ტექსტი სწორად არ აქვს დაწერილი იმის გამო, რომ მრავალი ადგილი სწორად არ არის გაგებული“. შემდეგ ვ. ბერიძემ განიხილა გამოცემის თანდართული აპარატი. მან, როგორც აღვნიშნეთ, ზედმეტად მიიჩნია რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსების შემოტანა, ყველა აფორიზმის გამოყოფის საჭიროება, რადგან, მისი თქმით, ზოგი მათგანი მცდარი აზრის განმტკიცებას უწყობს ხელს. მოუწონა რედაქტორს მეტრი და რიტმის სწორად წარმოდგენა, მაგრამ იქვე დასძინა, „ძირითად დებულებებში იმდენი კორექტივი შეაქვს, რომ ყოველგვარი გადახრის გამართლებაც ადვილად ხერხდება. რიტმის მხრივ აშკარად დანგრეული სტრიქონიც კლასიკურადაა მიჩნეული და, მამასადამე, ყველაფერი უცვლელად რჩება“.

დადებითად შეაფასა ვ. ბერიძემ კ. ჭიჭინაძის წარმოდგენილი პოემის მაჯამები. გამომცემელს „მაჯამების რაობა სწორად აქვს გაგებული და შესწორებულებიც, მაგრამ არა ყველგან. კ. ჭიჭინაძის შედგენილი ლექსიკონი არაა სრული და მრავალი ნაკლის შემცველია. ლექსიკონში განმარტებული არ არის ბევრი ისეთი სიტყვა, რომლის გაგება „ნაფიც მოქართულესაც“ გაუჭირდება. გაუგებარ სიტყვათა ახსნა მეტად ძუნწადაა წარმოდგენილი და ახსნაც ბევრგან არაა სწორი. ბევრი სიტყვა ახსნილია ისტორიული პერსპექტივის გაუთვალისწინებლად. ბიბლიოგრაფია არ არის სრული: მას აკლია ნ. ნიკოლაძისა და ნ. მარის უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული შრომები ვეფხისტყაოსნის შესახებ“. ასაბუთებდა რა ვუკ. ბერიძე თავის მოსაზრებებს ასკვნიდა: „მომავალი აკადემიური გამოცემის კომისია ჭიჭინაძის მიერ ლეგალიზებულს არა ერთსა და ორ სტროფს კვლავ ყალბად მიიჩნევს და შოთას სხეულიდან მოჰკვეთს, როგორც ზედმეტს“.

კამათში გამოსულმა ალ. დუდუჩიამ აღნიშნა, რომ კ. ჭიჭინაძე ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისას რჩება კვლევა-ძიების ფორმალისტური მეთოდის ერთგული და ამით აიხსნება ის ნაკლიც, რომელიც მის მიერ შესრულებულ გამოცემას ახლავს. ამავე ფორმალისტურ მეთოდს ეყრდნობა იგი, როცა „ფორმალური“ ნიშნების მიხედვით რუსთაველს მიაწერს სამ ახალ თავს, რომელიც სრულიად ზედმეტია პოემისათვის. ეს სამი თავი არ არის რუსთაველის ვარიანტი და სხვა ავტორს ეკუთვნის. სტდება მიხ. ჭავჭავაძის, რომელიც აყენებს ნაწარმოებში რამდენიმე სიუჟეტური რკალის თეორიას. როგორც ყოველ ნაწარმოებს, ისე ვეფხისტყაოსანსაც აქვს ერთი სიუჟეტი, რომელიც თავდება ქაჭეთის ციხის აღებით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კ. გამსახურდიამ, ს. ჩი-

ქოვანმა, ა. გაწერელიამ, მურადოვმა, ს. იორდანიშვილმა, ლ. მეტრეველმა და შ. ადენიშვილმა. სამწუხაროდ, მათი გამოხატვის ანგარიში პრესაში არ დაბეჭდილა და ამდენად საშუალება არ გვაქვს მათი გაცნობისა, ცნობილია მხოლოდ, რომ კ. ჭიჭინაძის მოსაზრება ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ გაუზიარებია ა. გაწერელიას, ს. იორდანიშვილს, ს. ჩიქოვანსა და ლ. მეტრეველს.

საპასუხო სიტყვაში კ. ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ის არ არის ფორმალისტი, ის მხოლოდ იყენებს ვეფხისტყაოსნის გარშემო კვლევადიების დროს ფორმალისტური სკოლის მიღწევებს პოეტიკის დარგში. „მარქსისტულმა კრიტიკამ გაანადგურა ფორმალისტური სკოლა კრიტიკაში, მაგრამ იგი არ უარჰყოფს მის აღნიშნულ მიღწევებს და მით უმეტეს არ ჰკრძალავს ამ მიღწევების გამოყენებას ამა თუ იმ ტექსტის დადგენის დროს. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციას მრავალი ხარვეზი ახასიათებს. ამ ხარვეზების ამოვსება ძველ ხელნაწერებში შემონახული სტროფებით აუცილებელი იყო. პოემის დაბოლოება ამავე რედაქციაში უშეკვლად შემოკლებულია და მას არ ეთანხმება არც ერთი ძველი ხელნაწერი. რუსთველოლოგია არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, თორემ არ გაგება იმისა, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი უშეკვლად ძირითადი ტექსტის ნაწილია, არ შეიძლებოდა. ეს თავები პოემისა არა თუ სიუჟეტურად არის აუცილებელი, საგსებით რუსთველურია და პოეტური ღირსებით დგას ვეფხისტყაოსნის სიმაღლეზე. ვ. ბერიძის განცხადება, რომ შეიძლება ვახტანგის დაბოლოებაკ მივიღოთ და ჭიჭინაძისა, არ არის მეცნიერულად მისაღები... არ არის აგრეთვე სწორი მისი ენობრივი ხასიათის მრავალი შენიშვნა, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი შეეხება საერთოდ ვეფხისტყაოსნის ტექსტს და არა მარტო ამ გამოცემას.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის დროს მე ვხელმძღვანელობდი შემდეგი პრინციპით, ყველა ხელნაწერი პოემისა უნდა მივიღოთ როგორც არსებული ფაქტი და მათგან უნდა ჩამოყალიბდეს ერთი უხარვეზო ტექსტი. ამიტომ, ვფიქრობ, ვეფხისტყაოსნის ტექსტი არსებითად, ე. ი. სტროფული მოცულობის თვალსაზრისით, მე უკვე დადგენილად მიმაჩნია⁵⁴.

კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის სექციის სესიაზე,

⁵⁴ დისპუტის მოკლე ანგარიში, რომელაც ზემოთ მოვიყვანეთ, დაბეჭდილია 1934 წ. „ლიტერატურულ გაზეთში“ №29 და ა. მარუაშვილის წერილში «Диспут о новом издании Шота Руставели», газ. «На Рубеже Востока», 1934, № 21.

რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის კლუბში 1934 წ. დეკემბრის 4 — 10 რიცხვებში. სულ შედგა ოთხი სხდომა. მოხსენება კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის შესახებ წაიკითხა პ. ინგოროყვამ. სხდომათა მთლიან სტენოგრაფას ვერ მივაკვლიეთ. რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში დაცულია შავი ცალები მ. ჯავახიშვილის, ვ. ბერძის, ა. გაწერელიას, ა. დუღუჩავასა და ს. იორდანიშვილის სიტყვებისა⁵⁵. გამოქვეყნდა მხოლოდ კ. კეკელიძის, ივ. ჯავახიშვილისა და კ. ჭიჭინაძის სიტყვები⁵⁶.

თავის გამოსვლაში მ. ჯავახიშვილი შეეცადა დაემტკიცებია, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ ვეფხისტყაოსნის ძირითადი ნაწილია. მართალია პოემას გააჩნია ვარიანტები, მაგრამ ისინი თვით პოემის ავტორს ეკუთვნის და არა მის ინტერპოლატორებს. „განა შესაძლებელია პოეტს ამოდენა პოემა დაეწერა შეუსწორებლად, ან გადაეწერა და ზოგი რამ არ დაემატებინა და ზოგიც არ მოეკლო? რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელიაო“, განაცხადა მ. ჯავახიშვილმა. „ვინც იტყვის: დიახ, რუსთველს ვარიანტები უნდა ჰქონოდაო, იმან ისიც უნდა აღიაროს, რომ რუსთველს შემდგომი მუშაობის დროს შესაძლოა არა მარტო ტაეპები [სტროფები], არამედ მთელი თავებიც ჩაემატებინოს. გარდა ამისა, ვარიანტების არსებობის მაღიარებელმა ამავე დროს ხელი უნდა აიღოს იმ მანეე აზრზედაც, თითქოს ვეფხისტყაოსნის შედარებით სუსტი ტაეპები [სტროფები] ყალბის მქნელთა დანამატი ყოფილიყოს...“

⁵⁵ ამ დისპუტში მონაწილეობა სხვებსაც მიუღიათ, მაგრამ მათზე ცნობები არ შენახულა.

⁵⁶ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტაულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945, გვ. 160; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 20; კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, რუსთველი და მისი პოემა, 1960, გვ. 73, 90.

პ. ინგოროყვასადმი კ. ჭიჭინაძის გაცემული პასუხიდან ჩანს, რომ პ. ინგოროყვას თავის მოხსენებაში აღუნიშნავს შემდეგი: ვახტანგისეული რედაქცია წინ უსწრებდა პოემის ვრცელ ხელნაწერების წარმოშობას. ვახტანგს უცვლელად დაუბეჭდია ხელნაწერი, რომლიდანაც შემთხვევით არის გამორჩენილი სტროფი „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად“. „ვახტანგის დედნის ფარგლების გარეშე ვეფხისტყაოსნის ნამდვილი სტროფი არ არსებობს, სამაგიეროდ მასში არსებობს ყალბი სტროფები“. პროლოგში პ. ინგოროყვას რუსთველის კუთვნილებად მიუჩნევია მხოლოდ 1, 3, 4, 10, 29, 13, 17 და 18 სტროფები, დანარჩენი 24 სტროფი ყალბად ჩათვლია. „ყალბისმქნელები პროლოგში ფარულად ეკამათებიან როგორც რუსთველს, ისე ერთმანეთს“. ნადირობის ეპიზოდის 12 სტროფიდან პ. ინგოროყვას რუსთველისად აღუნიშნავს 5 (75, 76, 78, 79, 81) დანარჩენი შვიდი—ყალბად. ვახტანგისეულ გამოცემაში პ. ინგოროყვას ფსევდორუსთველური 360 სტროფი აღმოუჩენია.

„ინდო-ხატაელთა ამბავი“, მისი აზრით, სუსტია და არ შეეფერება ვეფხისტყაოსნის საერთო მხატვრულ დონეს. პ. ინგოროყვას სხდომაზე წაუკითხავს ამ „ამბის“ მთელი რიგი სტროფები და შეჩერებულა ზოგიერთ მომენტზე, რომელიც მას შეესაბამოდ და სიყალბის მაჩვენებლად ჩათვლია.

გენიალური ნაწარმოების გენიალობას ყველაზე უკეთ თვითონ ავტორი გრძნობს და ერთხანს თავისივე ნახელავის მონობაში იმყოფება. მას არ შეუძლიან უკანასკნელი სტრიქონის დაწერის შემდეგ სამუდამოდ მიანებოს მას თავი. შემოქმედის პირვანდელ ტექსტს მრავალი წლობით ასწორებს, უმატებს და აკლებს. ისინი დიდხანს აწვალავენ ერთმანეთს. ეს წვალება ჰქმნის მეორე-მესამე ვარიანტს. სანამ პოეტი უკანასკნელ ვარიანტს დასწერდა, პირველი ვარიანტი უკვე ვრცელდებოდა“. მ. ჯავახიშვილის აზრით, საკვირველიც იქნებოდა, რომ ვეფხისტყაოსანი უვარიანტოდ დაწერილიყო და მოჰყავს მაგალითები, მაგ., ვოლტერი უკვე დადგმულ პიესას ხელახლა წერდა; ვარიანტები აქვს ჰამლეტს და ფაუსტს, გოგოლის „რევიზორს“ ხუთი ძირითადი ვარიანტი აქვს: რამდენიმე ვარიანტი არსებობს „დემონის“, „მასკარადის“, „აჩრდილის“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხ. სხ. არჩილის რუსთველისადმი ცნობილ თქმას „ბოლოცა სხვათ შეგითავესა“, მ. ჯავახიშვილის აზრით, არ გამოდგება „ინდო-ხატაელთა“ ფსევდორუსთველისეულად მიჩნევის დასამტკიცებლად, რადგანაც „ვანტანგისეულ უკანასკნელ ამბავს“, ათიოდე სხვა ამბავი მისდევს და შესაძლოა, ამ სტრიქონის ავტორი სულ უკანასკნელ ამბებს გულისხმობდა—ხვარაზმელთა ამბავს, ანდერძს—და არა ინდო-ხატაელთა ამბავს. სამწუხაროდ, სიტყვა „ბოლო“ არაფერს არ ხსნის, ეს საბუთიც განზე უნდა გადავდოთო. ლაფსუსების ბიებიტაც არ შეიძლება ამა თუ იმ ადგილის ფსევდორუსთველისად მიღება, რადგანაც ლაფსუსები მოეპოვება სხვა გენიოსებისაცო და მოიყვანა სათანადო მაგალითები: ლ. ტოლსტოიმ ერთ რომანში ქალს შეექვსე თვეს აშობინა ჯანსალი შვილი. სერვანტესი წერს, სანჩოს ვირი მოჰპარესო, მაგრამ მეორე გვერდზე ეს სანჩო ისევ თავის ვირზე აღმოჩნდება. შექსპირი წერს, ბოგემია — ახლანდელი ჩეხოსლოვაკია — ზღვის ნაპირზეაო, ნამდვილად კი ბოგემიიდან ზღვამდე ათასი კილომეტრი მაინც იქნება. იგივე შექსპირი „იულიოს კეისარში“ წერს, მოედანზე საათი რეკავსო, ნამდვილად კი ამ დროს ამგვარი საათი ჯერ არ ყოფილა მოგონილი. როგორც ხედავთო, ასეცნის მ. ჯავახიშვილი, ლაფსუსები გენიოსებსაც ჰქონიათ და რუსთველსაც მოეპოვება, ამიტომ ნუ ვიტყვიო, რაკი აქა-იქ ლაფსუსია, ამიტომ ამ ალაგს ყალბის მქნელის ხელი ურევიაო. მაგრამ ყოველივე ეს, ჯავახიშვილის აზრით, იმას არ ნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანს ინტერპოლატორები არ ყავდა. მისი დაკვირვებით, „ინდო-ხატაელთა“ მომდევნო თავები ფსევდორუსთველურია. მ. ჯავახიშვილი შეეხო აგრეთვე ვანტანგის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს და იგი კრიტიკულ გამოცემად მიიჩნია. თავის სიტყვაში მ. ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო აგრეთვე ვეფხისტყაოსანში რკალების, ლექსიკისა და სხვ. საკითხებს.

ა. გაწერელიამაც „ინდო-ხატაელთა ამბავი“ რუსთველის კუთვნილებად ცნო. ამის დასამტკიცებლად მან განიხილა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა, რომელიც კრიტიკულ, ხელნაწერის შემოკლებულ გამოცემად მიიჩნია, რისთვისაც მოიყვანა რამდენიმე საბუთი. შემდეგ განიხილა „ინდო-ხატაელთა ამბავი“, ჰაიდანაც ვახტანგს ფრაგმენტულად ამოუკრებია პოემის დასაბოლოებლად 17 სტროფი.

ა. გაწერელიამ განაცხადა, რომ პოემის სიუჟეტი მოითხოვს „ინდო-ხატაელთა ამბის“ ძირითად ტექსტში შეტანას, რითაც გაიფანტება ის გაუგებრობანი, რომლებიც პოემიდან მის ამოჭრას მოჰყვაო. ამას გარდა, „ინდო-ხატაელთა ამბის“ შეტანით, აღდგენილი იქნება პოემის ნამდვილი ფარგლებიო. თავისი სიტყვის ეს ნაწილი ა. გაწერელიამ შემდეგი დასკვნით დაამთავრა: „ვახტანგისეული რედაქციის ბოლო ჩვიდმეტ სტროფში შემჩნეულ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ ხელნაწერებს, ამით ჩვენ უნებლიეთ ვადასტურებთ თვითონ ხელნაწერების უძველესი ხანიდან მომდინარეობის ფაქტს. მაშასადამე, ვახტანგისეული დედნის პრიორიტეტი ხელნაწერების მიმართ თავისთავად იხსნება და რადგანაც ხელნაწერები „ინდო-ხატაელთა ამბავს“ შეიცავენ, ფორმალური უფლებაც არა გვაქვს მივსდიოთ ვახტანგის გამოცემას, სადაც პოემა რედაქტორის მიერ ცუდად არის შემოკლებული“.

სოლ. იორდანიშვილმა თავის სიტყვის დასაწყისში გააკრიტიკა პ. ინგოროყვას ზოგიერთი დებულება. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ კი მან ძირითად ტექსტად მიიჩნია. ამ საკითხზე ის შეეხა არჩილ მეფის აზრს და განაცხადა: „თუ ასეთი საკითხების გადაწყვეტა არჩილისებურად ლიტერატურულ ცნებებზე დამყარებით შეიძლება, ჩვენ გვგონია, რომ „მეფის თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ ზოგი რამ ამ მხრივ ჩვენი შეხედულების სასარგებლოდაც მოიპოვება. მართლაც, მეფის ერთ-ერთ პასუხში ვკითხულობთ:

შენ ასეთი სად რა გითქვამს მე არ მეთქვა უკეთესად?
ოჰი მისთვის არ გაუღეკსე. მე თვით შევქმენ მტერთა კენესად.

საფიქრებელია, რომ ამ ბოლო სტრიქონში შემონახული გექონდეს ცნობა რუსთველის მიერ ომის გაღეჭვის შესახებ. „ეს კი შესაძლებელია გულისხმობდეს მხოლოდ ტარიელის ინდოეთს მისვლას და ომით ხატაელების დამორჩილებას, რადგან ამ ომის ამბები ნახსენებია მის შემდეგ, რაც რუსთველმა თქვა, რომ მან გმირები ასახელა, ქალებს დაწვი გაუვარდა. ამით ირკვევა, რომ არჩილი რუსთველად სცნობს ამ ომის ამბებს, რომელიც გაღეჭსილია, ჩვენის აზრით, ვახტანგის მიერ გამოტოვებულ და ჭიკინაძის მიერ ხელნაწერების მიხედ-

ვით ხელახლა ჩადგმულ თავებში შემჩნეული ხარვეზის ამოსავსებად“. ს. იორდანიშვილი შეეხო აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიულ-ლიტერატურულ ზოგიერთ საკითხს.

„ინდო-ხატაელთა ამბის“ ძირითად ტექსტში შეტანის წინააღმდეგ გამოვიდნენ კ. კეკელიძე, ვ. ბერიძე, ი. აბულაძე...

სესიის პირველ სხდომაზე 4 დეკემბერს კ. კეკელიძემ განიხილა კ. ჭიჭინაძის გამოცემის პრინციპები, პოემის ძირითად ტექსტში შეტანილი შესწორებები და ინდო-ხატაელთა პოემის ძირითად ტექსტში შეტანის საკითხები. კ. კეკელიძემ არ გაიზიარა მთელი რიგი შესწორებები, რომლებიც კ. ჭიჭინაძემ შეიტანა მის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანში, მაგ.. 285-ე სტროფში კ. ჭიჭინაძეს „არ დაიჯერების“ შესწორებული აქვს „არ იცნობების“, ამაზე კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ „ამ გასწორებით დარღვეულია რითმა „ოვნების“. კ. ჭიჭინაძე: თანხმობენებში ყოველთვის არის განსხვავება სხვაგანაც. კ. კეკელიძე: არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ „რამდენჯერმე“ თქვენი აღნუსხვით, ამ გამოწკლისში კი ეს ადგილი არ შეგიტანიათ.

1002-ე სტროფში გასწორებულია „თავნი მხეცთანა „ალომნეს“, ნაცვლად „ალამნესა“. რითმა არის „ალამნეს“ და არა „ალომნეს“. ს. ჭიჭინაძე: მართალია.

კ. კეკელიძემ არ გაიზიარა 789-ე სტროფში ჭიჭინაძისეული წაკითხვა: „მაგრამ მან ყმამან ცეცხლითა დამწვაო, ალვისა ხემან“ და არც წინაგამოცემების — „დამწვა ალვისა სახემან“, „სწვავს რამეს არა „ხე“ (ალვა იქნება ის თუ სხვა რამე), არამედ ცეცხლი“. კ. კეკელიძის აზრით, უფრო სწორი უნდა იყოს შემდეგი წაკითხვა: „მაგრამ მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, ელვისა სახემან“, ე. ი. ყმამან, ელვის სახემან, დამწვა ცეცხლითა (ელვა-ცეცხლი-დამწვა). კ. ჭიჭინაძე: აქ მეტაფორაა, ადამიანზეა ლაპარაკი და არა ხეზე და ცეცხლზე. კ. კეკელიძე: განა ჩემს წაკითხვაში ნაკლები მეტაფორაა: „ელვისა სახემან“? ასეთი მეტაფორა პოეტს სხვაგანაც აქვს!

არ გაიზიარა კ. კეკელიძემ კ. ჭიჭინაძის 566-ე სტროფში შეტანილი შესწორება: „მაგრამ ნაცვალსა პატიესა მოგცემსო ზე ნამი ცისა“, რა „პატიის“ მიცემა შეუძლია „ნამს“, ზეციდან იქნება ეს ნამი თუ ქვესკნელიდან? ეს ადგილი უფრო სწორად უნდა ჰქონდეს მოცემული პროფ. იუს. აბულაძესო“. 1117-ე სტროფის (ავთანდილს უსამ მოართვა) მეორე ტაეპი კ. ჭიჭინაძის გამოცემაში ასეა შესწორებული: „შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ცვლილობა“. ამის შესახებ კ. კეკელიძემ განაცხადა, რომ „ვფიქრობ, თავდაპირველს დედანში იყო „ცვილობა“ (სიტყვისაგან „ცვილი“). ასეთი „წაკითხვით გამართლებულია რითმა და აზრიც სწორადაა მოცემული: ჩვენ



დავით კარაკოსელი
(1903, 1920 წწ.)

ვეფხისტყაოსნის რედაქტორები



სარგის კაკაბაძე
(1914, 1927 წწ.)



იოსტინე აბულაძე
(1914, 1927 წწ.)

ვეფხისტყაოსნის რედაქტორები



კონსტანტინე კობინაძე
(1934 წ.).

ვიცი, რომ რბილი ვართ, როგორც ცვილი, მაგრამ ამ შემთხვევაში შენგან ვართ გამაგრებულო!" კ. ჭიჭინაძეს 74-ე სტროფში (მონადირეთა უბრძანა) უკანასკნელი ტაეპი შეუსწორებია და „ბრძანებითს კილოში უხმარია პრეფიქსი ჰ (გაპყარეთ სმა და ნადიმი), რითაც ბრძანებითი კილოს ნაცვლად მიუღია ის აორისტი, რის შესწორებასაც ის ცდილობდა. ეს უკვე უნებლიეთი შეცდომა აღარ არის“ — განაცხადა კ. კეკელიძემ.

1275 — 6 — 7 სტროფებში შეტანილი შესწორების შესახებ კ. კეკელიძემ აღნიშნა: სიტყვები „ვა საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას აღარე“ (1276), კ. ჭიჭინაძის აზრით, ეკუთვნის არა პოეტს, როგორც ამდენხანს ფიქრობდნენ, არამედ ფატმანს. წინა, 1275-ე სტროფში ნათქვამია: „კვლა იტყვიან ფატმან ტირილით“. თუ 1276-ე სტროფიც ფატმანს ეკუთვნის, მაშინ რაღა საჭირო იყო შემდეგს 1277-ე სტროფში განმეორებითი თქმა: „ფატმან იტყვის“? კ. ჭიჭინაძე: ეს ბევრგან არის. კ. კეკელიძე: აბა დამისახელებთ სად არის! (სიჩუმე).

კ. კეკელიძემ მართებულად მიიჩნია კ. ჭიჭინაძის მოსაზრება, რომ რუსთველს არ ახასიათებს ტავტოლოგიური რითმით. მაგრამ საკითხი დასვა: თუ ეს ასეა, მაშინ კ. ჭიჭინაძემ „რატომ ყურადღება არ მიაქცია მე-20 სტროფს, სადაც ტავტოლოგიური რითმა გვაქვს: „მას ვაქებ, ვინცა მიქია, მისი სახელი შეფრქვევით ქვემორე მითქვამს. მიქია“?. კ. ჭიჭინაძე: „ეს ნიუანსი, გამონაკლისია. კ. კეკელიძე: აბა რა ნიუანსია? თქვით!

ასევე არ მიიღო კ. კეკელიძემ კ. ჭიჭინაძის შეტანილი შესწორებები 705-ე და სხვ. სტროფებში, რის შემდეგ სპეციალურად განიხილა „ინდო-ხატაელთა ამბის“ რუსთველისად კუთვნილების საკითხი. მან განაცხადა, რომ კ. ჭიჭინაძის ვერც ერთ თეზისს ამ საკითხში ვერ გავიზიარებო. კ. კეკელიძის აზრით, „ინდო-ხატაელთა ამბავი“ არ ეკუთვნის პოემის ავტორს, „ამის ნებას არ იძლევა პირველ ყოვლისა მისი თარიღი. შეუფერებელია პოეტისათვის აგრეთვე „წლის ჭამა გარდავიხადეთო“, თითქოს ე. წ. აღაპების გარეშე მას არ შეეძლო ანალოგიების მოყვანა. კ. ჭიჭინაძე: წლის ჭამას გარდაუხდიდნენ არა მარტო ქრისტიანს. კ. კეკელიძე: ვისაც არ უნდა გადაუხადონ ის, ჩვენი პოეტისა და მისი პოემისათვის ეს ვულგარული ამბავია, ასეთს „აღაპებზე“ ლაპარაკი იწყება ლიტერატურაში დაახლოებით მამუკა თავაქალაშვილის დროიდან მხოლოდ.

„ინდო-ხატაელთა ამბავში“ ისეთი სიტყვები, ფრაზები და გამოთქმანია, რომელნიც პოემის ძირითადი ტექსტისათვის უცხოა და რომელნიც მის სტილს არ ეკუთვნიან... სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი ვეფხისტყაოსნის ლექსის შეგნების უნარს, რომ მის ავტორს

მიწეროს ისეთი უბადრუკი, უხეში, ულაზათო და ნაძალადევი რით-
მით დაბოლოებული სტრიქონები, როგორცაა, თუ გნებავთ, პირვე-
ლივე სტროფი ინდო-ხატაელთა ამბისა (1652), გინა თუ 1684-ე ანდა
სხვა მრავალი.... თუ შინაარსს ჩაუყვირდებით ამ ამბისას, ისეთ რა-
მეს ვნახავთ, რასაც პოემის ავტორს, ყოველ შემთხვევაში, ვერ მივა-
კუთვნებთ“. ესა და სხვა არგუმენტების მოშველიებით. კ. კეკელიძემ
დაასკვნა, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ ფსევდორუსთველურია,
მართალია ავტორს ტარიელი და ნესტანი სამშობლოში უნდა დაებ-
რუნებია, „მაგრამ არა ინდოეთის ისტორიის გათვალისწინების მიზ-
ნით და არა იმ გრძელი ამბით, რომელიც დამატებაში გვაქვს, არა-
მედ მოკლედ, სულ რამდენიმე სტროფით, რომელნიც საძიებელნი
არიან ამჟამად ამ დამატებათა ნაგავში“⁵⁷.

ასე გააკრიტიკა კ. კეკელიძემ კ. ჭიჭინაძის მეთოდოლოგიური
პრინციპები და მთელი რიგი შესწორებანი (იხ. „ეტიუდები“ II, გვ.
162 — 164), მაგრამ აქ ზემომოყვანილი მაგალითებით დაკმაყოფილ-
დებით, რადგანაც კ. ჭიჭინაძემ თავის საპასუხო სიტყვაში ამ მაგალი-
თებს გასცა პასუხი.

789-ე სტროფის შენიშვნაზე კ. ჭიჭინაძემ საპასუხო სიტყვაში
არსებითად იგივე გაიმეორა, რაც კ. კეკელიძის მოხსენების დროს
რეპლიკის სახით განაცხადა.

უმართებულად მიიჩნია კ. ჭიჭინაძემ კ. კეკელიძის მიერ 1117-ე
სტროფში მის მიერ შეტანილი შესწორებებს უგულვებელყოფა და კე-
კელიძისეული ახალი შესწორებებს შეტანა, მაგრამ თავისი აზრის ახა-
ლი დასაბუთება კ. ჭიჭინაძეს არ მოუცია.

1002-ე სტროფში შეტანილ შესწორებაზე კ. კეკელიძის შენიშვნის
გამო კ. ჭიჭინაძემ განაცხადა: „ჩემს გასწორებათა შორის ერთი
მიმაჩნდა იმ თავიდანვე საეჭვოდ; დაბეჭდვის შემდეგ, ეს ეჭვი უფრო
გაიზარდა. ვფიქრობდი, მიაგნებს მას რომელიმე ჩემი მოკამათე, თუ
ვერა-მეთქი. პროფ. კეკელიძემ პირდაპირ დაადო მას ხელი — ეს არის
„ალამნეს“ („ალამნეს“ მაგიერ) 1002-ე სტროფში. ეს გასწორება
უეჭველად მეტისმეტად თამამია, იგი არღვევს სწორ რითმას (თუმცა
უადრესად კეთილზმოდანია) და ასეთი რამ რუსთაველს არ სჩვევია,
მაგრამ პროფ. კეკელიძემაც ვერ განმარტა, თუ რას უნდა ნიშნავდეს
აქ სიტყვა „ალამნესო“, ასკვნის კ. ჭიჭინაძე.

⁵⁷ დისკუტზე წარმოთქმული თავისი სიტყვა, როგორც აღვნიშნეთ, კ. კეკელიძემ
დაბეჭდა 1945 წ. თავისი „ეტიუდების“ II ტომში (გვ. 160—170). რამაც კ. ჭიჭინაძის
უმართებლო გულსწყრომა გამოაწვია (იხ. კ. ჭიჭინაძე, რუსთაველი და მისი
პოემა, გვ. 156).

74-ე სტროფში შეტანილი პაეს შესახებ კ. კეკელიძეს კ. ჭიჭინაძემ უპასუხა: „ჰ“ თუ სხვაგან არ იქნება ასეთსავე შემთხვევაში, არც აქ დარჩება, — გასწორებას ხომ ამ ბგერასთან არავითარი კავშირი არა აქვსო (გვ. 96).

1276-ე სტროფის შესახებ კ. ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ „ნამი აქაც შედარებას წარმოადგენს მხოლოდ და არა მწუხარების წყაროს: ნაცვალ პატიეს, სამაგიერო მწუხარებას (ნესტანი ეუბნება ტარიელს), ცა დაგაფრქვევს თავზე ისე, როგორც ის აფრქვევს ნამსო. არსებობს მსგავსი გამოთქმა ვეფხისტყაოსანში: „თუ არ გასწობილდე, მაჯობო, ბელი გითოვდეს ზე ნამსა“ (გვ.97).

„ინდო-ხატაელთა ამბის“ საკითხზე კი კ. კეკელიძისათვის კ. ჭიჭინაძეს არგუმენტირებული პასუხი არ გაუცია, მან აღნიშნა მხოლოდ ის, რომ კ. კეკელიძემ „საკვირველი პოზიცია დაიჭირა იმ ადგილების შესახებ უდავო ტექსტში, რომლებიც მიგვიითებენ „ინდო-ხატაელთა ამბის“ აუცილებლობაზეო“. ეს ადგილები, კ. ჭიჭინაძის ცნობით, კ. კეკელიძეს ისე წარმოუდგენია, რომ ზოგი მათგანი „გაღამწერს გადაუწერია ცუდად, ზოგი ყალბიძმქნელს შეუტანია, ზოგიც მხოლოდ თავაზიანობით არის ნათქვამი და სხვ. თუ ჩვენ პოემის ტექსტს ასე თავისუფლად მოვექცევით, — განაცხადა კ. ჭიჭინაძემ, — თუ იგი ჩვენთვის სავალდებულო არ იქნება, მაშინ ყოველგვარი კამათი მის გარშემო შეუძლებლად უნდა ჩაითვალოსო“⁵⁸.

კ. ჭიჭინაძის განცხადებით, კ. კეკელიძის მოსაზრება თუ სწორია, მაშინ ვეფხისტყაოსანი უნდა თავდებოდეს მინდორში, სადაც პოემის გმირები „ღვინოსა სვემდენ, არ დოსა“. მაგრამ კ. კეკელიძეს ამ სახით არ წარმოუდგენია ვეფხისტყაოსნის დაბოლოება. მისი აზრით, როგორც ზემომოყვანილ ციტატიდან ჩანს (აქვე, გვ. 74), ნესტანდარეჯანის ქაჩეთის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, პოემის გმირები აეტორს სამშობლოში უნდა დაებრუნებია და ეს ამბები მას უნდა გაღმოეცა მოკლედ. რამდენიმე სტროფით, რომლებიც ამჟამად საძიებელია „ინდო-ხატაელთა ამბებში“. მართლდაც „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ, პოემისათვის იმ შინაარსით საჭირო არ არის და არც შეიძლება იგი იმ სახით გამოსულიყო რუსთველის ხელიდან. იქ ბევრი ბალასტია, რომელთა რუსთველისადმი მიკუთვნება შეუძლებელია. ინტერპოლატორებს, ეტყობა, ვეფხისტყაოსნის დაბოლოება გაუვრციათ და შიგადაშიგ პოემის ნამდვილი სტროფები გაუფანტავთ. ამიტომ „ინდო-ხატაელთა ამბიდან“ რუსთველის ეს სტროფები უნდა ამოიკრიბოს და დაუბრუნდეს ვეფხისტყაოსნის

⁵⁸ კ. ჭიჭინაძე. რუსთველი და მისი პოემა, 1960, გვ. გვ. 97, 100, 102.

ძირითად ტექსტს. ეს საქმე დაიწყო ვახტანგ მეფემ, მაგრამ მის მიერ ჩატარებულ მუშაობას ჯერ კიდევ დაზუსტება და დახვეწა ესაჭიროება.

ივ. ჯავახიშვილი ავადმყოფობის გამო სხდომას არ დასწრებია, ამიტომ თავისი სიტყვა სხდომას წერილობით წარმოუდგინა. ამ სიტყვაში ის ეხება ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართი სტროფებისა და პოემის ვახტანგისეული გამოცემის საკითხებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა არ არის კრიტიკული ტექსტი, ის „ძველს ხელნაწერულს ტრადიციებზე უნდა იყოს დამყარებული“. ინდო-ხატაელთა ამბავი და მასზე უწინარესი რამდენიმე სტროფი მერმინდელი დანართია. პოემა უნდა თავდებოდეს კ. ჭიჭინაძისეული გამოცემის 1646 სტროფით (ცვლავ აკოცეს ერთმანეთსა, გაიყარნეს იგი ქალნი). თავისი მოსაზრებების დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს სათანადო არგუმენტები⁵⁹.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვა მოისმინეს დისპუტის დასასრულს, როდესაც კ. ჭიჭინაძეს საბოლოო სიტყვა უკვე ნათქვამი ჰქონდა, ამიტომ კ. ჭიჭინაძეს ივ. ჯავახიშვილისათვის პასუხი არ გაუცია.

როგორც აღვნიშნეთ, დისპუტის სრული სტენოგრაფა არ შენახულა და არც პრესაში გამოქვეყნებულა მისი ანგარიში, ამიტომ ამ დისპუტის სრულ ისურათის წარმოდგენა შეუძლებელი ხდება. კ. ჭიჭინაძის საპასუხო სიტყვებიდან ჩანს, რომ, გარდა დასახელებული პირებისა, დისპუტში მონაწილეობა მიუღიათ ა. შანიძეს, შ. ნუცუბიძეს და სხვ.



კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი, გამომცემლობა „ფედერაციის“ დადგენილებით, ორი სახით დაიბეჭდა: ვრცელი და შემოკლებული. ვრცელ გამოცემას დართული აქვს „რითმების ინდექსი“ და „სიმფონია ანუ ვეფხისტყაოსნის სრული ლექსიკა“, შემოკლებული კი „რითმებისა“ და „სიმფონიის“ გარეშეა დაბეჭდილი. ორივე გამოშვებაზე აღნიშნულია ერთი და იგივე ტირაჟი—10 000. სინამდვილეში კი, როგორც აღვნიშნეთ, „რითმების ინდექსისა“ და „სიმფონიის“ დართვით დაიბეჭდა 2000 ცალი, წიგნის ფასი 43 მან. „ინდექსისა“ და „სიმფონიის“ გარეშე კი გამოქვეყნდა 8000 ცალი. წიგნის ღირებულება 25 მანეთი.

ვრცელი გამოცემის შემოკლებულ გამოშვებაში გვერდების ნუმერაცია შეცვლილია, მაგ., „რითმების ინდექსის“ ადგილას მოთავსებულია ლექსიკონი (გვ. 321), მას მიყვება სახელების საძიებელი (გვ. 330)

⁵⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 25, 20.

და ბიბლიოგრაფია (გვ. 334). ბიბლიოგრაფიის მომღვეწო გვერდი (352) ცარიელია. 353 გვერდზე იწყება შინაარსი. ორივე გამოშვების შესახებ დოკუმენტაციაში ერთნაირი ცნობებია მოცემული, მაგ., აღნიშნულია, რომ „რითმების ინდექსი, სიმფონია და ბიბლიოგრაფია“ დაიბეჭდა სახელგამის 1-ლ სტამბაში (გვ. 355), მაშინ, როდესაც შემოკლებულ გამოცემაში, როგორც აღვნიშნეთ, შეტანილი არაა „რითმების ინდექსი“ და „სიმფონია“. ამ განსხვავების გარდა, სხვა მხრივ ორივე გამოშვების ტექსტი ერთმანეთთან სრულ იდენტურობაშია.

თხზულება ცალკე გამოცემად მაშინ ითვლება, როდესაც იგი, სხვას რომ თავი დაავებოთ, ახლად არის აწყობილი და აქვს საკუთარი დოკუმენტაცია. არც ერთი ამთავანი დასახელებულ გამოცემას არ გააჩნია, ამიტომ ისინი ცალ-ცალკე გამოცემად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ერთი გამოცემის ორ სახედ: ვრცელი და შემოკლებული გამოშვებანი⁶⁰.

XIII

1934 წ. 20 აგვისტოს გამოცხადდა საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1937 წლის ოქტომბერში შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავის იუბილეს ჩატარების შესახებ. საამისოდ დასახულ ღონისძიებათა შორის აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემაც, რაზედაც დადგენილების მე-5, მე-6 და მე-9 მუხლში, ნათქვამია: „სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა მოამზადოს ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემა და საამისო მუშაობა დაამთავროს 1936 წლის დამლევისათვის. სახელგამმა უზრუნველყოს გამოცემა რუსთაველის იუბილესათვის.

სახელგამმა 1935 წელს დაბეჭდოს ვეფხისტყაოსნის გაიაფებული გამოცემა მასობრივი ტირაჟით.

განათლების სახალხო კომისარიატმა და სახელგამმა გამოაცხადონ მხატვართა კონკურსი ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის მხატვრულ გაფორმებასა და ილუსტრაციებზე⁶¹.

ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი პოემის პირველი ნაბეჭდის აღდგენისა და გამოცემის შესახებ. ცნობილია, რომ ვახტანგისეული 1712 წ. გამოცემა სტროფული შედგენილობით განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული ვეფხისტყაოსნის ადრინდელი (17 საუკ.) ხელნაწერებისაგან. ამი-

⁶⁰ შტრ. თ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის გამოცემანი, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჭარო ბიბლიოთეკის შრომები, IV, 1933, გვ. 118.

⁶¹ გაზ. „კომუნისტი“, 1934, 21, VIII, № 193, გვ. 1.

ტომ მეცნიერებაში ვახტანგის დედნის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა და ახლაც აქვს ადგილი. მკვლევართა ერთი წყება (ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე და სხვ.) ამტკიცებდა, რომ ვახტანგმა გამოსცა ვეფხისტყაოსნის კრიტიკული, ხელოვნურად შეკვლილი ტექსტიო, მეორენი კი (დ. კარიჭაშვილი, ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა და სხვ.) საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამდნენ. მათი აზრით ვახტანგმა უცვლელად დაბეჭდა რომელიღაც ჩვენამდე არ მოღწეული პოემის ძველი ხელნაწერი.

ყოველივე ამის გამო, ვახტანგის გამოცემა ხელნაწერთა უფლებით სარგებლობდა, საჭირო გახდა ამ გამოცემის ღრმად შესწავლა, მაგრამ საქმეს აბრკოლებდა 1712 წლის ნაბეჭდი ცალეების სიმცირე: სხვადასხვა სიძველეთსაცავეში დატული იყო სულ თერთმეტიოდე და ისიც დაზიანებული ცალი. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდის აღდგენილი გამოცემის საჭიროება, რის შესახებაც 1935 წლის 14 აპრილს ა. შანიძე უნივერსიტეტისადმი წარდგენილ თავის მოხსენებით ბარათაში წერდა: „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით, მაგრამ ყველაზე უფრო მიზანშეწონილია მისი გამეორება იმავე შრიფტით, რომელიც 1712 წლის გამოცემაშია ნახმარი. ეს ასოები ამჟამად რომ სადმე მოიპოვებოდეს; აღდგენის საკითხი მარტივად გადაწყდებოდა, მაგრამ მათი აღდგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს: უნივერსიტეტის გამომცემლობას მოეპოვება ასოთა პუნსონებისა და ყალიბების გასაკეთებელი (საგრაურო) მანქანა, რომლის საშუალებითაც ყოველგვარი შრიფტის დამზადებაა შესაძლებელი და, სხვათა შორის, ვახტანგურისაც. შრიფტისა და ორნამენტების აღდგენის წყალობით ადვილად მოხერხდება ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის ისე გამეორება, რომ ძალიან ძნელი იყოს ძველი და ახალი გამოცემის ერთმანეთისაგან გარჩევა, თანაც ქართული შრიფტის ღარიბ ნიმუშებს მოემატება ერთი საინტერესო სახე, რომელიც ისტორიულია და ამჟამად აღარსად მოიპოვება“⁶².

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მიიღო ა. შანიძის პროექტი და ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდის აღდგენილი გამოცემაც მას დაავალა. ამავე დროს, შრიფტის კაბინეტს მიეცა მითითება, შედგომოდა ვახტანგისეული გამოცემის მხედრული შრიფტის აღდგენას. ამ უკანასკნელის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება გადაეღობა, რის შესახებაც ა. შანიძე შემდეგს გადმოგვცემს: „ივნისის ბოლო რიცხ-

⁶² ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 403.

ვებში (1935 წ.) უნივერსიტეტის ფოტოგრაფს გადავადებინე ვახტანგისეული გამოცემის ჩემი ცალიდან რვა გვერდი: ტთ-ტივ. ამათგან ორი (ტთ და ტი) დედანთან შედარებით ოდნავ ნაკლები გამოსულიყო, ერთი კი (ტივ) ოდნავ მეტი. ამიტომ გამოვიყენე მხოლოდ დედნის თანაბარი გვერდები: ტია, ტიბ, ტიდ, ტიე, ტივ. ამ გვერდების ფოტოსურათები დავაჭრეინე სტრიქონ-სტრიქონ, იქიდან შემდეგ ცალკეული ასოები ამოვაკვეთინე და ცალ-ცალკე შევაკრებინე. ამგვარად თავი მოიყარა ერთად რამდენიმე ერთნაირმა ასომ (რამდენიმე ანმა, რამდენიმე ბანმა, განმა, ღონმა და სხვ.). შემდეგ ამ თავმოყრილ ასოებში ამოვარჩიე თითო-თითო, რომლებიც უფრო დამახასიათებელი და უკეთესი იყო. ამორჩეული ცალებისაგან შევადგინე მთელი ანბანი, შემდეგ კი იგი (ლიგატურებითა და წერტილებითურთ) ფოტოგრაფიულად გავადიდებინე ისე, რომ ჭ და წ ასოთა სიმაღლე 78 მილიმეტრი გამოვიდა. ასოების გადიდება მრავალი ნაკლი გამოაშკარავა: ხაზები ზოგან სქელი იყო, ზოგან თხელი, ზოგან შევიწროებული ან სულ გაწყვეტილი და სხვ. ამიტომ შეუსწორებლად ამათი მიხედვით ახალი ასოების გაკეთება ყოვლად უვარგის შედეგს მოგვცემდა. საჭირო იყო ხელახალი დახატვა მთელი კომპლექტისა და ერთნაირობის დაცვა ხაზებში. მოვიხმე მხატვარი ვლ. გრიგოლია და ვსთხოვე, რომ ასოები დაეხატა გადიდებული ფოტოსურათების მიხედვით, მაგრამ ისე, რომ ხაზებში ერთგვარობა დაეცვა. ამასთანავე ერთად სახელმძღვანელოდ მივეცი 1711 წელს იმავე ასოებით მხედრულად დაბეჭდილი გერმანე ხუცეს-მონაზვნის კატეხიზი. მხატვარმა სანიმუშოდ ჯერ რამდენიმე ასო დაამზადა: გ, დ, ე, ო, რ, მო (ორი უკანასკნელი შეერთებულად), თანაც ისე, რომ ასოების სისქე ოთხი მილიმეტრი დაიჭირა. სურათების ცინკზე გადაღებისა და შაბლონების ამოკვეთის შემდეგ შრიფტ-კაბინეტში პუნსონები იქნა დამზადებული და სანიმუშოდ რამდენიმე სიტყვა დაბეჭდეს (ნიმუში № 1). ნიმუშზე ასოების ხაზები ოდნავ სქელი აღმოჩნდა. მექანიკური საშუალებით სისქის მოკლებისას მივიღეთ ახალი ნაბეჭდი (ნიმუში № 2). არც ეს გამოდგა დამაკმაყოფილებელი. ამის შემდეგ მხატვარს მიეცა მითითება, რომ 78 მილიმეტრის სიმაღლესთან შეფარდებით ასოების სისქე 3 1/2 მილიმეტრი დაეჭირა. მხატვარმა ახლხ უკვე მთელი კომპლექტი დაამზადა⁶³: ასოები და ყოველგვარი დამატებითი ნიშნები⁶⁴. ახალი სურათების მიხედვით შრიფტ-კაბინეტს პირველად მიიხც

⁶³ ტექნიკურ სამუშაოთა შესრულებაში მხატვარს ეხმარებოდა სტულ. ვივი ჯაფარიძე (63—67 შენიშვნები ეკუთვნის ა. შანიძეს).

⁶⁴ სასვენ ნიშანთაგან ვეფხისტყაოსნისათვის საჭირო იყო მხოლოდ ორწერტილი და სამწერტილი. მაგრამ შრიფტი რომ ყოველგვარად განოსაყენებელი ყოფილიყო, დანარჩენი ნიშნებიც დავახატეინე: წერტილი, მძიმე, კოხთვის ნიშანი და სხვ.

შესაძარებლად ზემოხსენებული ასოების პუნსონები გავაკეთებინე. დავბეჭდეთ კიდევ და მივიღეთ ნიმუში № 3, სადაც უკვე ხაზები თხელი აღმოჩნდა. თვალი (ОУКО) კი დიდი. შემდეგ ხაზები მექანიკურად გავამსხვილებინე. მივიღეთ საბოლოოდ ნიმუში № 5, რომელმაც უფრო ახლო გადმოგვცა ვანტანგური შრიფტის საერთო ხასიათი. დავამტკიცე ეს ნიმუში და ამის მიხედვით დავუკვეთე შრიფტი.

კაბინეტი შეუდგა მუშაობას. მუშაობის პროცესში ზოგ ასოს საგრძნობი შეკეთება და შესწორება დასჭირდა. აღმოჩნდა, რომ დიდ ასოზე ნაკლს ისე ვერ ამჩნევს კაცი, როგორც პატარაზე. თუმცა დიდი სურათები კარგად იყო შესრულებული, მაგრამ მათი შაბლონების მიხედვით პატარა პუნსონების დამზადებისა და დაბეჭდვის შემდეგ აქაიქ თავი იჩინა განსხვავებამ ძველ ვანტანგურსა და ახალს შორის. ამიტომ ასოები ცალ-ცალკე იყო გაშინჯული და დედანთან რამდენჯერმე შეჭერებულ-შემოწმებული.

საჭირო იყო არა მარტო თვითეული ასოს გამოკვეთა სისწორით, არამედ სისწორითვე ჩამოსხმაც, რომ აწყობისას მანძილი მათ შორის პირველ ნაბეჭდის შესაფერისი გამოსულიყო. ვარაუდის ამ მხრივ დასაჭერად სანიშნოდ დავაბეჭდვინე ტიდ გვერდის მე-14 სტრიქონი მთლიანად: „ტო გავიჭრებო ბოლოს ამბობს სიცრუე და ლალატობა არც“. ნიმუში კარგი გამოვიდა და ამის მიხედვით ასოთჩამოსასხმელ ქარხანას მთელი კომპლექტი დავუკვეთე.

ზოგიერთი ასო (შ, გ, ზ, წ, ჩ) ორი ან მეტი სახისა უნდა ჩამოსხმულიყო, რომ წყობისას ღედნის მსგავსება ყველგან დაგვეცვა; მაგ. გ ასო ოთხი სახისაა გაკეთებული:

a) ცალკე მდგომი ან ისეთი, რომ მეზობელი ასოს არეში არ იყოს შეჭრილი: მაგ.,⁶⁵ გკითხავ (ლე, 1); გემართებს (ლზ, 2); გლმობია (ლზ, 3);

b) ისეთი, რომ მარტოდენ მარჯვნივ მდგომი ასოს არეში გადადიოდეს, მაგ. გააქმოს (ლე, 2), გათნევთ (ლო, 2), გახმეს (ლზ, 2);

c) ისეთი, რომ მარტოდენ მარცხნივ მდგომი ასოს არეში გადადიოდეს, მაგ. დაგკვნობია (ლზ, 1).

d) ისეთი, რომ მარჯვნივთაც გადადიოდეს და მარცხნივთაც: იგი (ლე, 3), მაგას (ლზ, 1), ვრთვან (ლე, 1), კარვისა (ლზ, 2), მსგავსი (მ, 2).

მსგავსად ამისა შ ასო სამი სახის ჩამოისხა: დამოუკიდებლად ან სიტყვის წინ მდგომი, წინა დაბალი ასოს არეში შეჭრილი (აშ, იშ,

⁶⁵ მაგალითები მოყვანილია ამ [ალფენილი] გამოცემის მე-7 (ზ) გვერდიდან.

ლმ, უმ) და წინა მაღალ ასოზე გადმოშვერილი (მშ, ხშ და სხვ.). ყველა ესენი სათანადოდ დაამზადა ქარხანამ.

რომ ახალი გამოცემის გვერდის ზომა სავსებით იგივე ყოფილიყო, რაც პირველისა, ასოები 24 პუნქტზე ჩამოიხსნა, ხოლო შპონები სამ-სამზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ გამოცემაში ასოები ზოგან დაეყვილია და გაცვეთილი. ამას გარდა ასოების მოხაზულობა ყველგან ერთი და იგივე როდია. ერთი და იგივე ასო ხშირად სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად გამოიყურება. ძალიან საყურადღებოა ამ მხრივ ვ ასო: რძდ სტროფში მესამე სტრიქონის სართომო სიტყვებში გვხვდება ჯგუფი „ევე“, ეს ჯგუფი მესამე ტაეში სხვაგვარად არის გამოყვანილი, ვიდრე სხვა შემთხვევაში, სახელობრ აქ („მლეველად“ სიტყვაში) გრძელი ვ არის დაბეჭდილი, რომელსაც ბოლო იქით-აქეთ მდგომ ენ-ზე უფრო გრძლად ჩამოუღის ქვეშ და ამით ძლიერ განსხვავდება სხვა ჯგუფებში დაბეჭდილი ვინისაგან. იგივე გრძელი ვ სხვაგანაც გვხვდება⁶⁸. გამიშვებდის (ტყვე, 2), მივეცენით (ჩსიე, 4). შევიდეს (ჩტნგ, 4), ყოველად (ჩფნ, 3), ქვაბი (ჩფჯგ, 3) და სხვ.

მაგალითისათვის რომ ავიღოთ კიდევ ასო შ და განვიხილოთ ო გვერდი, სადაც იგი 12-ჯერ გვხვდება: შემოეთვალნეს (ტყე, 2), წინაშე (სათ.), შენგან (ტყე, 2), შენ მიერსა (ტყე, 4), ლაშქართა ტყე, 1), შორით (ტყზ, 3), ლაშქრითა (ტყზ, 4), შინა (ტყშ, 1), ლაშქართა (ტყშ 2), დროშა (ტეთ, 1) შავითა (ტეთ, 1), ლაშქრითა (ტეთ, 2), შევნიშნავთ, რომ იგი ყველგან ერთნაირი არ არის, — სამი სხვადასხვა სახისა მაინც იქნება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში თანაც იმ გარემოებას, რომ „დროშა“ სიტყვაში მას თავი მოსტეხია და დანაკლისი ზოგ ცალში ხელით შეუყვსიათ).

რაც ამ ორ ასოზე ითქვა, ასეთი რამ ცოტად თუ ბევრად თითქმის ყველა დანარჩენ ასოზედაც შეიძლება ითქვას. ერთი სიტყვით, პირველი გამოცემის შრიფტის ასოები ერთგვარი არ არის, სხვადასხვაობას გვიჩვენებს, რომელიც შესაძლებელია ახლო გაცნობისა და გამოწვლილვისას იქნეს შენიშნული.

ახალ გამოცემაში, რა თქმა უნდა, ეს ნაკლი უნდა აგვეცილებინა თავიდან. ერთი რომელიმე სახის ასო აქ ყველგან ერთნაირად გამოიყურება, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სხვა ასოს არეში შექრილი ნაწილი აქა-იქ, ბეჭდვის პროცესში დაწვევის გამო, არ გამოჩენილა, ან დაზიანებულია (ეთქვათ, ნაწილი მოსტყდა) და სხვ.

⁶⁸ აქ იგი შავად არის დაბეჭდილი.

რაიცა შეეხება კამარის ნიშნებს (ბორღღურის სამკაულებს), ჯერ შევისწავლე საამისოდ ვახტანგისეული გამოცემა და დავნიშნე, თუ სად რა სახის ნიშანი იყო ნახმარი. შემდეგ ამოვხატე თვითეული სახე, შევადგინე სია და დავუკვეთე გრავერ კაპუსტიანოვს, რომ ისინი დედნის ზომაზე დაეხატა. მაგრამ დედნის ზომა ზოგიერთი ნიშნისა დღევანდელ სასტამბო მოთხოვნილებას არ მიუღდა და მათი სურათების დამზადებისას ამ მხრივ მცირეოდენი ცვლილება იქნა შეტანილი.

არც ბორღღურის ნიშნებია ყველგან ერთნაირი 1712 წლის გამოცემაში, მაგ. ჯვ და ჯხ გვერდებზე კამარები ერთნაირი ნიშნებისაგან არის გაკეთებული, მაგრამ ჯვ გვერდზე ეს ნიშნები მსხვილია, ჯხ გვერდზე კი — წმინდა. ამ [აღდგენილ] გამოცემაში აღნიშნულ გვერდებზე ნახმარი ნიშნები უფრო წმინდა მოხაზულობისაა, თუმცა კი ზომით ოდნავ გადიდებული.

გრავერმა კაპუსტიანოვმა ნიმუშის მომზადება სალითოგრაფიო ქვაზე არჩია, რადგანაც შესწორების შეტანა უფრო ადვილია ქვაზეო. ამოვადებინე რამდენიმე ანაბეჭდი, ერთი მათგანი შესწორებულ იქნა საბოლოოდ და ჩამოსხმა იმის მიხედვით დავუკვეთე ქარხანას, რომელმაც ეს ნიშნები უფრო გამარტივებული წესით (უპუნსონოდ) დაამზადა, ვიდრე ასოები, რომელთაც მეტი მზრუნველობით მოპყრობა დასჭირდა...

შრიფტის საბოლოოდ დამზადება და ჩამოსხმა, სხვადასხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, მხოლოდ 1936 წლის აგვისტოში დამთავრდა და სექტემბერში უკვე სანიმუშოდ ერთი გვერდი (სტროფები იმ — კვ) ავაწყობინე უნივერსიტეტის სტამბაში და გაზეთში ცნობაც დავბეჭდე ახალი გამოცემის შესახებ⁶⁷. ასე დამზადდა ვეფხისტყაოსნის პირველი ნაბეჭდის შრიფტი აღდგენილი გამოცემისათვის⁶⁸.

დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე ახალი გამოცემის გაფორმებისათვისაც. საამისოდ საჭირო შეიქნა ვახტანგისეული გამოცემის მოღწეული ცალების შეგროვება და მათი შესწავლა. ამ მიზნით ა. შანიძემ 1936 წელს გაზ. „კომუნისტში“ (№ 222) დაბეჭდა წერილი სათაურით: „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენისათვის“, სადაც ავტორი საზოგადოებას აუწყებდა, ვისაც პოემის ვახტანგისეული გამოცემა მოეპოვებოდა, დროებით დაეთმოთ მისთვის აღსაწერად. ამის შემდეგ მან მიიღო დასახელებული გამოცემის რამდენიმე ცალი, მაგ-

⁶⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენისათვის, „კომუნისტი“ 24. 9. 1936.

⁶⁸ მ ი ს ი ვ ე, ვახტანგისეული, აღდგენილი გამოცემა, გვ. 403—406.

ლასანანია, ამდენი ვაი-ვაგლაზით დამზადებული შრიფტი შენახული რომ არ იქნა.

რამ არც სიძველეთსაცავში დაცული და არც კერძო პირთაგან მიღებული ცალები არ აღმოჩნდა სრული სახის მქონე, მათ მეტ-ნაკლები რაოდენობით, სხვადასხვა ადგილას, აკლდათ ფურცლები, განსაკუთრებით დასაწყისში და დასასრულ ნაწილებში. ამიტომ გაფორმების აღდგენისათვის რედაქტორს მასალების შესარჩევად სხვადასხვა ცალი გამოუყენებია. მაგ., ყდის მოქვერეთილობისათვის მიუღია პროფ. ალ. ბარამიძის კუთვნილი ცალი, კლიშეებისათვის პოემის 1712 წ. გამოცემის S ფონდში დაცული შედარებით კარგი ცალები (№ 970/ა, 5798: ყვავილი და გიორგი XI-ს ღერბი). დანარჩენი მასალებისათვის კი იძულებული გამხდარა ვახტანგის დროინდელი გამოცემული წიგნებისათვის მიემართა, კერძოდ, 1710 წ. დაბეჭდილ კონდაკის S ფონდში კარგად დაცულ ცალისათვის, საიდანაც ვეფხისტყაოსნის 1712 წ. გამოცემაში დაუბეჭდიათ როზეტი ჩარჩოში, ვახტანგის სურათი, ყვავილიანი ფაზა და მცენარეული ხლართი. პოემის ტექსტის აწყობისას, ძირითადად გამოყენებულია ვახტანგისეული გამოცემის S ფონდში დაცული № 970/ა ცალი, საკონტროლოდ კი S 5798 ცალი. ზემოთ დასახელებული წიგნები დღეს დაცულია ქ. მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

რედაქტორს ყოველი საშუალება გამოუყენებია იმისათვის, რომ პოემის აღდგენილი გამოცემა იდენტური ყოფილიყო 1712 წლის გამოცემისა და ძირითადად ამ მიზნისათვის კიდევაც მიუღწევია.

ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდ განახლებულ გამოცემას რედაქტორისაგან დართული აქვს დასაწყისში ახალი თავფურცლები და ბოლოს „დამატება“. ამ გამოცემის ყდის პირველი და მეოთხე გვერდები შემკულია ერთნაირი ორნამენტებით. პირველ გვერდზე შიგ ორნამენტში დაბეჭდილია ავტორის ვინაობა, პოემის სახელწოდება და პირველი გამოცემის (1712) წელი. მეოთხე გვერდზე, ამის ნაცვლად, დაბეჭდილია ორნამენტი. ასოები დახატულია მხატვრის მიერ. პოემის აღდგენილ გამოცემაში დამატებითი ყდისა და სათაურების წარწერები და სურათები, მათ შორის გარეკანისაც, ა. შანიძის ცნობით, ყველგან შესრულებულია მხატვარ ვლ. გრიგოლიას მიერ. რომელსაც ტექნიკურ საქმეებში ეხმარებოდნენ ი. დივანაგორცევა და გ. ნადირაძე (გვ. 409).

წიგნი დაიბეჭდა 3 200 ცალი, ამათგან 1000 ცალი დაბეჭდილია კარგი ხარისხის თეთრ ქაღალდზე და ჩასმულია დერმანტინგადაკრულ მუყაოს ყდაში, სხვები კი მაგარ მუყაოზეა ქაღალდგადაკრული. ყდისა და ყუას ორნამენტები დერმანტინგადაკრულ ყდაში ამოტვიფრულია ყვითელ და შავ ფერებში. ფურცლებს თავში გავლებული აქვს წითელი საღებავი. სხვა ცალებში კი ყდის პირველ გვერდზე პოემის სა-

ხელწოდება დაბეჭდილია წითელი საღებავით, ამავე ფერშია დაბეჭდილი მეოთხე გვერდზე ორნამენტიც, დანარჩენი ორნამენტები და წარწერები დაბეჭდილია შავ ფერში. ამ უკანასკნელ სახის გამოცემაში ყუა სადაა, ყდების ორნამენტები კი, თავიანთი წარწერებით, დაბეჭდილია ჩვეულებრივი წესით.

ფორზაცი გაკეთებულია ჩაკეცილ-ჩაკერების წესით. მისი ფონი მოყვითალოა, რომელზედაც ყავისფერად დაბეჭდილია ორნამენტი.

თავფურცელი მთლიანად დახატულია მხატვრისაგან ვახტანგისეული ასოების მიმგავსებით. დაბეჭდილია ის შავი და ყავისფერით. მისი მეორე გვერდი ცარიელია. მომდევნო თავფურცელზე შავ და ყავისფერში დაბეჭდილია ვახტანგისეული ასოების მიბაძვით: „შოთა რუსთველი ვეფხის ტყაოსანი ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ“. ამის შემდეგ მოთავსებულია ვინეტკა, მის ქვემოთ კი — ტფილისს 1937. მეოთხე გვერდზე რუსულ-ფრანგულ ენებზე განმეორებულია მესამე გვერდის წარწერები. უკანასკნელიც მხატვრის მიერ არის შესრულებული და დაბეჭდილია შავ და ყავისფერში.

ხეხუთე და მეექვსე გვერდები უკავია ა. შანიძის წინასიტყვაობას. მისი დასაწყისი გვერდიდან დაწეულია ექვსი სტრიქონით. სათაური „წინასიტყვაობა“ დაბეჭდილია ყავისფერში ვახტანგისეული 16-ით. ტექსტი კი აწყობილია ზომლით, ავტორის ხელმოწერა ფაქსიმილურაა. თარიღი და ადგილი აწყობილია კორპუსით.

მეშვიდე გვერდზე არის შმუცტიტული: ვეფხისტყაოსანი — ორ სტრიქონად, მის ქვემოთ: 1712. თარიღი დაბეჭდილია შავ ფერში, პოემის სახელწოდება კი — ყავისფერში. ტექსტი დახატულია მხატვრის მიერ ვახტანგისეული ასოების მიბაძვით. მერვე გვერდი ცარიელია.

გამოცემას დამატების სახით დართული აქვს ახალი განყოფილება, რომლის შმუცტიტული „დამატება“ (გვ. 341) დახატულია მხატვრის მიერ და დაბეჭდილია შავ ფერში. მისი მომდევნო გვერდი (342) ცარიელია.

343-ე გვერდიდან იწყება პირველი (1712 წ.) გამოცემის „შეცდომათა გასწორება“. სათაური გვერდიდან დაწეულია 12 სტრიქონით, ქვესათაურებია: „გასწორებისათვის“ (გვ. 343) და „კორექტურული შეცდომების სია“ (გვ. 349). გამოცემაში რედაქტორს მოცემული აქვს ცნობები გასწორებათა შესახებ. მათი ნუმერაცია აწყობილია არაბული შავი კორპუსი ციფრით (გვ. 343 — 349).

352-ე გვერდიდან იწყება კორექტურული შეცდომების გასწორებათა სია, რომელთა სათაურები აწყობილია 8 მთ. შავით. გასწო-

რებულ სიტყვებს როგორც პოემის ტექსტში, ისე „თარგმანში“, თან ერთვის სტროფისა და ტაეპის ნუმერაცია, პირველი ქართული ასოებით, ხოლო მეორე — არაბული ციფრით.

367-ე გვერდიდან იწყება სათაური „ვახტანგის ლექსიკონი“, სადაც ვახტანგის თარგმანში მოყვანილი ასახსნელი სიტყვები დალაგებულია ალფაბეტის მიხედვით და აწყობილია შავი კორპუსით, ალფაბეტის ასოები კი აწყობილია ვახტანგისეული 16-ით. უკანასკნელი მოთავსებულია ტექსტის დასაწყისის თავზე და დაშორებულია ტექსტს $\frac{1}{2}$ კვადრატით.

388-ე გვერდიდან მოთავსებულია ვახტანგისეული გამოცემის დედნის საკითხის განხილვა. მათი ქვესათაურთა ქვესათაურები აწყობილია 10 მთ. შავით. უკანასკნელთა ქვესათაური (გვ. 393) კი — თეთრი მთავრული პეტიტით. სტროფების ნუმერაცია (გვ. 391) აწყობილია შავი მთავრული არაბული ციფრებით. „გამოტოვებული შაირები“ — 14 მთ. შავით. თვით სტროფები და მათი ნუმერაცია — 20 ვახტანგურით. სტროფთა შორის დასმულია 12-იანი არაბული ციფრები. სტროფების ტექსტი დაბეჭდილია ვახტანგისეული გამოცემის მიხედვით (გვ. 393 — 394).

მეოთხე თავში აღწერილია ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალები. გამომცემელს იმ დროს ხელთ ჰქონია 18 ცალი. მათ შორის 7 კერძო პირთა კუთვნილება ყოფილა, ხოლო 11 თბილისისა და ლენინგრადის სიძველეთსაცავებში აღმოჩენილა დაცული. ქვესათაურები აწყობილია შავი მთავრული კორპუსით. ლიტერები, ლათინური ასოები — შავი მთავრული 12-ით. ფონდები დაბეჭდილია შავი კორპუსით. დასასრულს გავლებულია მოკლე სტამბური თხელი ზაზი, რომლის ქვემოთ, ერთი სტრიქონის დაშორებით, იწყება დამატების მომდევნო მეხუთე თავი „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის გაფორმებისათვის“ (გვ. 403). სათაურისა და ქვესათაურებისათვის იგივე შრიფტია გამოყენებული, რაც საერთოდ წინა თავებშია. ტექსტში კი გამოყენებულია ვახტანგისეული შრიფტიც. აქვე დაბეჭდილია პოემის პირველი გამოცემის თავფურცლისა და ასტრახანის მუზეუმში დაცული ვახტანგ VI-ის ლერბის ფოტოპირები.

410-ე გვერდიდან იწყება „შინაარსი“, დაწეულია იგი გვერდიდან 8 სტრიქონით, აწყობილია მთ. შავი 14-ით. სათაურების რიგით ნუმერაციად მიღებულია არაბული ციფრები, გვერდების პაგინაციის ჩვენებისათვის გამოყენებულია რომაული ციფრები, ტექსტის დანარჩენი ნაწილებისათვის კი მიღებულია ქართული ასოები.

„დამატების“ სათაურები ყველგან აწყობილია 16 მთაწმინდით, ქვესათაურები — შავი 14-ით, დაშორებულია ისინი ზემო და ქვემო

ტექსტებს თითო სტრიქონით. ტექსტი აწყობილია ორ სვეტად ვენური კორპუსით, სადაც შიგადაშიგ ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია შავი კორპუსიც. „სარჩევში“ და კორექტურულ შეცდომათა სიაში სვეტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია თხელი სტამბური ხაზით, სხვაგან კი ცარიელი ადგილებია დატოვებული. ყოველი თავის დასასრულს გავლებულია მოკლე თხელი სტამბური ხაზი.

412-ე გვერდზე ქვემო ნაწილში პეტიტით დაბეჭდილია პოლიგრაფიული ცნობები, რომელსაც თავზე გავლებული აქვს სტამბური წვრილი ხაზი.

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა თბილისში „ტექნიკა და შრომას“ სტამბაში (ფურცელადის ქ. № 1). თავფურცლები, შმუცტიტული და გარეკანი დაიბეჭდა უნივერსიტეტის ლითოგრაფიაში. წიგნი ააწყო გ. არსენიშვილმა. კორექტურა გაუკეთა ივ. გიგინეიშვილმა, გამომშვეები ვ. ბოლქვაძე. ქალაღის ზომა 62X94, ანაწყობის ზომა 9¹/₄X14¹/₂. შეკვეთა № 1236. წარმოებას გადაეცა 11/X — 36 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20 VII 37 წ. მთავლიტის № 15504-გ. თაბახთა რაოდენობა 27¹/₂. წიგნის ღირებულება შეადგენდა 35 მანეთს, ამათგან 7 მანეთად შეფასებულია ყდა.

ასე გამოიყურება განახლებული გამოცემის დამატებითი ნაწილები, სადაც განხილულია პოემის ვახტანგისეული გამოცემის შეცდომათა გასწორება, ლექსიკონი, ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა, ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალები და ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის გაფორმებისათვის.

ცნობილია, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ გამოცემაში ბევრი კორექტურული შეცდომა შეიმჩნევა, ზოგიერთი მათგანი, როგორც გამოირკვა, ერთნაირად არ ყოფილა. დაბეჭდ ცალებში. ერთი და იგივე სიტყვა ზოგ ცალში ერთნაირად არის დაბეჭდილი და ზოგში კი — სხვა სახით. ამ მდგომარეობის ასახსნელად ა. შანიძემ სწორი მოსაზრება გამოთქვა: მისი აზრით, „ჩანს, ბეჭდვის შეცდომები აქაიქ ბეჭდვისავე პროცესში შეუნიშნაეთ და მაშინვე საბეჭდავ დაზგაზე გაუსწორებიათ“, მაგრამ მკვლევარს ისიც შესაძლებლად მიაჩნია, „რომ პირველად ანაწყობი სწორი იყო, მაგრამ შემდეგ ბეჭდვისას დაებნათ“ (გვ. 343). ამის გამო, რედაქტორს ტექსტის გასწორებისათვის სწორი პრინციპი ჰქონდა შემუშავებული: გაესწორებინა კორექტურული შეცდომები და ტექნიკური დეფექტები, ხოლო ხელუხლებლად დაეტოვებინა თვით ტექსტი, ყველა ის ნაირ-ნაირი ფორმა და მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომა, რომლებიც შეიძლება სასტამბო ხელნაწერიდან მომდინარეობდნენ. მიუხედავად ამისა, რედაქტორს პოემის ერთი ლაკუნი რატომღაც არ აღუდგენია. მხედველო-

ბაში გვაქვს ვახტანგისეული გამოცემის ცნობილ ცალებში ჩლბ (1032) სტროფი (კიოდეს იგი ლაშქარნი), რომელსაც აკლია მეოთხე ტაეპი. დასახელებული სტროფი არ შეიძლება ნაკლული ტაეპით ყოფილიყო ვახტანგის დედანში. მისი ანაწყობი ბეჭდვის დროს უნდა იყოს დაბნეული ისე, რომ ტაეპის გამართვა შემდეგ ველარ მოუხერხებიათ. ამის გამო ეს ტაეპი მეორე გამოცემაში უნდა აღდგენილიყო⁶⁹. მით უმეტეს, რედაქტორს ისეთი ხასიათის შესწორებებიც კი შეუტანია ტექსტში, რომლებიც, როგორც თვითონ აცხადებს, „უფრო კრიტიკული გამოცემის საქმეა“ (იხ. გვ. 348). ამით კი გამოცემა ერთგვარად დაშორდა თავის მიზანდასახულობას: აღდგენილი ყოფილიყო 1712 წ. გამოცემა და ამით დაინტერესებულ პირთ საშუალება მისცემოდა ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა პირველი გამოცემის შესახებ.

კორექტურულ შეცდომათა სიაში მოცემულია მეორე გამოცემის ტექსტში შეტანილი ყველა სახის შესწორებათა სია ვახტანგისეული პირველი გამოცემის წაკითხვის პარალელურად. „დამატებით სიაში“ (გვ. 365 — 366) მოცემულია იმ სიტყვათა სია, რომლებიც ძირითად სიაში (გვ. 352—360) გამორჩენილა და აღნუსხულია აგრეთვე მეორე გამოცემაში გაპარული შეცდომები. ერთი შეხედვით კორექტურული შეცდომების გასწორება იოლი საქმე იყო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არც ისე იოლი აღმოჩნდა, „რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, — წერს ა. შანიძე — რომ შემდგარიყავ, ყოყმანი დამეწყყო: გავასწორო თუ არ გავასწორო, შეცდომა კორექტურული ხასიათისაა, თუ ხელნაწერიდან მომდინარეობს?“ (გვ. 349). ამის გამო ტექსტში მის მიერ გასწორებული სიტყვებიდან ზოგი სათუოდ მიუჩნევია და გასწორებათა სიის სქოლიოებში აღუნიშნაუ: „აჯობებდა დატოვება“, „გავასწორო, მაგრამ მაინც შეეჭვება ცოტა“, „შეიძლება ასეც გასწორებულიყო“ და სხვ. სქოლიოებშივეა მოცემული დასაბუთება ამა თუ იმ გასწორებისა, აგრეთვე სხვანაირი გასწორების შესაძლებლობაც. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, თუ როგორი სიფრთხილით მოკიდებია რედაქტორი თითოეული სიტყვის გასწორებას. რაც შეხება ვახტანგის კომენტარებში გაბნეულ სალექსიკონო მასალას, რომელიც რედაქტორს ამოუკრებია და

⁶⁹ ალ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, 1945, გვ. 405. ვეფხისტყაოსნის ძირითად 48 ხელნაწერიდან დასახელებული სტროფი არ მოიპოვება მხოლოდ ერთ ხელნაწერში. ფურცლების დაკარგვის გამო აკლია 11 ხელნაწერს, 36 ხელნაწერში კი დაკულია (იხ. სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა. 1959).

ანბანის მიხედვით დაულაგებია (გვ. 370 — 387), ისინი ზოგ შემთხვევაში დედნის სიზუსტეს არ იცავენ, მაგ. შეცდომითაა დაბეჭდილი სტროფების ნუმერაცია.

| ა რ ი ს | უ ნ დ ა ი ყ ო ს |
|-----------------|-----------------|
| დაფახვა ქავ | ქავ |
| დაქნა ხე რნე | რნე |
| თნევა ფნვ | ფნზ |
| კენარი ნთ | ა |
| მამაცობა ლბთ | ლბშ |
| მახმური შკვ | შკგ |
| გომდედრება რნშ | რნზ |
| მური რნგ | რნბ |
| ნატიფი უყვ | უყვ |
| კურება ტმ | ტგ |
| საურავი რნშ | რნზ |
| სპასალარობა ტია | ტიბ |
| სწფებოდა ფ | ფე |
| ქვრიმა ჩსგ | ჩსთ |
| ქენება დს | სდ |
| ლარიბი ტაგ | ტად |
| შევედრება რნშ | რნზ |
| შეზარება ნთ | რნშ |
| ცხრო ტლბ | ფოვ |

არის შემთხვევები, როდესაც სტროფების ნუმერაცია სრულებით არაა მითითებული, მაგ. აქათგან, ეჯიბი, უშენოსა.

„თარგმანის“ ზოგი სიტყვა აღდგენილ გამოცემის ლექსიკონში შეცვლილი ან გამოტოვებულია, მაგ. ვახტანგს უწერია: „ლუსკუმა კიდობანსავით აშენებულს ჰქვიან“, ლექსიკონში კი სიტყვები „კიდობანსავით აშენებულს“ შეცვლილია „კიდობანივით შეკრულსა“ (ჩტნთ). „მუჯამარის“ შესახებ მეორე გამოცემაში წერია: „პელმწიფენი რომ სურნელების დასაკმევეს წინ დაიდგმენ, ის არის“, ვახტანგს კი „სურნელების“ ნაცვლად „სურნელის“ უწერია (ტკე). „ფანოსი“... ქართულად ფარნად იწოდების (ჩტაზ), ვახტანგს კი უწერია: „ქართულად ფარნად იცნობის“. „ფეთი“ — კაცსა რომ სამიშარი რამ დახვდეს და ცოტას ხანს გაშტერდეს და უცნობო იქმნას, იმას ჰქვიან (სპვ), ხაზგასმული სიტყვა გამორჩენილია ლექსიკონში. „აბეზარი“,

ვახტანგის განმარტებით, „გამდგარსა თუ შემომწყნარსა ჰქვიან“ (როე), ლექსიკონში „გამდგარის“ ნაცვლად „გამწყარალსა“ წერია. „თინათინი“, ვახტანგის განმარტებით, „სარკეს თუ წყალს მზე რომ დაადგეს, ის შუქს გაუშვებს, ის არი“ (ნა), ლექსიკონში კი საწინააღმდეგო წერია: „სარკეს თუ წყალს მზე რომ დაადგეს, ის შუქს არ გაუშვებს, ის არის“. „მიჯნურის“ ახსნისას ვახტანგი წერს: მიჯნური „არაბულს ენას სთარგმნის, რომე შმაგსა ჰქვიანო და ა მ ა ს ამისთვინ უძახითო, რომე ვინც რასმე მოინდომებს და შოვნის ნდომა გააშმაგებს და სხვას ჰკუჟას აღარ გამოეკიდების და აღარც არას მის მეტს ეძებს“ (კთ), ხაზგასმული სიტყვები შეცდომითაა გამოტოვებული ლექსიკონში. ასეთივე შეცდომაა დაშვებული „მიჯრით მიწყობა“ თარგმანშიც, რომლის შესახებაც მეორე გამოცემის ლექსიკონში წერია: „ბაგეების მიჯრით მიწყობა ქება არის“, ნამდვილად კი ვახტანგს უწერია: „ბაგეების მიჯრით მიწყობა კ ბ ი ლ ი ს ქება არის“ (ე). ერთ ადგილას ვახტანგი „მოხმას“ ასე განმარტავს: „მოტანასავით არის“ (სნდ) არის სიტყვა ლექსიკონში გამოტოვებულია. „რა მგამა“-ს განმარტებისას ვახტანგს ლექსიკონში თითქოს უწერია: „კაცი სადაც იყოს, ნამუსიანად იყოს“, ნამდვილად კი ვახტანგს ისე უწერია, როგორც რედაქტორს გაუმართავს: „კაცი სადაც იყოს, ნამუსიანად უნდა იყოს“ (ღპდ).

ასეთი უზუსტობანი ამ სახის ნაშრომებში ყოველთვის არის მოსალოდნელი, იმაგრამ ისინი ოდნავადაც ვერ ჩრდილავენ ვეფხისტყაოსნის პირველი ნაბეჭდის ადღგენილ გამოცემას, რომელმაც რუსთველოლოგებისაგან ღირსეულად მიიღო მაღალი შეფასება⁷⁰.

XIV

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. 20 აგვისტოს დადგენილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს დაევალა ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით პოემის აკადემიური ტექსტის გამოცემის მომზადება. ამ დადგენილების განხორციელებისათვის თბილისის სახ. უნივერსიტეტში შეიქმნა მთავარი სარედაქციო კომისია, რომლის პირველი საორგანიზაციო სხდომა შედგა 1935 წლის 2 მარტს. დაესწრნენ: ლ. აღნიაშვილი (თ-რე), ვ. ბერიძე, ა. დუდუჩავა, ვ. თოფურია, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი

⁷⁰ იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1945, გვ. 403; ვუჯ. ბერიძე, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“. 1937, № 27, მისივე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, 1961, გვ. 57.

(მდ), კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ლ. ციხისთავი, კ. ჭიჭინაძე და ს. ჭანაშია. ამ სხდომაზე დამტკიცდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის გეგმა. უნივერსიტეტთან არსებულ რუსთაველის სახ. ინსტიტუტთან კი შედგა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისია. ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე ჩატარდა სამეცნიერო ხასიათის სესიები⁷¹, გამომუშავებული იქნა ტექსტის დადგენისათვის სამუშაო სახელმძღვანელო პრინციპები, შერჩეული და კონცენტრაციამქნილ იქნა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები თბილისის, ქუთაისის და ზუგდიდის სიძველეთსაცავებთან.

ამ დროს საქართველოში არ მოიპოვებოდა XVII საუკ. სამი თარიღიანი (1646, 1671, 1680) მნიშვნელოვანი ხელნაწერი (H 599, 757, 54), რომლებიც 1921 წ. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გაიტანა ევროპაში⁷². ეს დანაკლისი ანაზღაურებულ იქნა სარგის კაკაბაძის მიერ აღნიშნული ხელნაწერების საზღვარგარეთ გატანამდის გადმოღებული პირების შექენით. ვეფხისტყაოსნის ილუსტრირებული ხელნაწერი S 5006 საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით ორი თვის ვადით გადაეგზავნა მოსკოვის გამოცემლობა „აკადემიას“ ვეფხისტყაოსნის რუსული გამოცემისათვის. ილუსტრაციების ამ ხელნაწერიდან დასამზადებლად. ხელნაწერის დაბრუნებას დაავიანდა, რისთვისაც კომისია იძულებული გახდა ერთხანს ეხელმძღვანელა ს. კაკაბაძის მიერ დასახელებული ხელნაწერიდან გადმოღებული პირით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და რუსთაველის სახელობის ინსტიტუტმა მიიღეს აგრეთვე ღონისძიება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების მოსახლეობაში გამოძიებისათვის, რისთვისაც პრესაში და ცალკე ფურცლების სახით ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოაქვეყნეს შემდეგი შინაარსის მიმართვა: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მასთან არსებული ენისა და ლიტერატურის

⁷¹ 1934 წ. ოქტომბერში უნივერსიტეტს შენობაში ჩატარდა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის რუსთველის სექციის ორი პლენარული სხდომა. პირველ სხდომას (აუღ. № 77) ესწრებოდნენ: ა. აბაშელი, შ. აღიშვილი, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ა. გაწერელია, ა. დუღუჩავა, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. ლეონიძე, შ. რაღიანი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ს. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე, ი. ჭავჭავაძე, და მ. ჭავჭავაძე. მეორე სხდომაზე ზემოდასახელებულ პირთაგან არ იყვნენ: ა. ბარამიძე, გ. ლეონიძე, შ. რაღიანი და ს. ყაუხჩიშვილი; დაესწრო გ. ქიქოძე. დაადგინეს: გამოიცეს ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ლექსიკონით.

⁷² 1921 წ. თებერვალში მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გატანილი ნივთები და მათ შორის დასახელებული ხელნაწერები 1945 წლის აპრილში კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა საქართველოს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ენერგიულ ღონისძიებათა წყალობით.

სამეცნიერო-საკვლევე ინსტიტუტი რუსთაველის სახელობისა აწარმოებენ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შეგროვებას. სახელმწიფო უნივერსიტეტი სთხოვს ყველას, ვისაც მოეპოვება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, რა სიძველისა და მოცულობისაც არ იყოს იგი, მიაწოდოს უნივერსიტეტს შესაძენად. იმ საფასურის გარდა, რომელსაც განსაზღვრავს სპეციალური კომისია, ხელნაწერის მესაკუთრე მიიღებს ჭილდოს შემდეგი წესით: მე-17 საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერისათვის 2000 მან., მე-17 საუკუნის ხელნაწერისათვის 1000 მანეთს, მე-18 საუკუნის ხელნაწერისათვის 500 მან.“

ეს მოწოდება დაიგზავნა საქართველოს ყველა რაიონში. გარდა ამისა, ხელნაწერების გამოსაძიებლად სპეციალური მივლინებები მოეწყო საქართველოს ზოგ რაიონში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. მიღებული ღონისძიების შედეგად თბილისის უნივერსიტეტს 1936 წ. 8 თებერვლისათვის მოსახლეობიდან მიღებული ჰქონდა ოთხი ხელნაწერი: 1. ზედგინიძისეული, 1809 წ. გადმოწერილი ვრცელი ტიპის ხელნაწერიდან, წარმოადგინა რომანოზ ჩუბინიძემ, 2. ქავთარაძისეული, გადმოწერილი მე-19 საუკუნეში მე-17 საუკუნის ვრცელი ტიპის ხელნაწერიდან, წარმოადგინა თედო სახოკიამ, 3. გოდარელიძის მიერ წარმოდგენილი მე-19 საუკ. ვახტანგის გამოცემიდან გადმოწერილი და 4. ყველაზე უფრო საყურადღებო მე-17 საუკუნის ხელნაწერი, რომელიც უნივერსიტეტს წარმოუდგინა დავ. მდივანმა (ზესტაფონის რ.)⁷³. ამას გარდა, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტიდან მიღებულ იქნა (1935, 1,5) XVII საუკუნის ზაზა ციციშვილისეული უნიკალური ხელნაწერი, რომელიც დღეს დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეცელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდში 1082 ნომრით.

⁷³ გადაწერილია ის 1671 წლამდე გ. ბაღდასარაშვილის მიერ, რომელსაც შემდეგ გადაუწერია პოემის H—757 ნუსხა. დ. მდივანისაგან ხელნაწერი რუსთაველის სახელობის ინსტიტუტმა შეიძინა 1936 წ. 2 იანვარს. ხელნაწერი დეფექტურია, დასაწყისში აკლია, 1956 წ. გამოცემასთან შეპირისპირებით, რამდენიმე სტროფი (1—17, 31—38, 40—48), ხოლო 1765 სტროფის (აეთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები) შემდეგ არაფერია შემორჩენილი.

ახლად მოპოებული ხელნაწერები პირველად დაცული იყო რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში, 1942 წ. 23 სექტემბერს კი ინსტიტუტმა ისინი გადასცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას (რომელიც შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტად გადაკეთდა), სადაც მდივანისეული ხელნაწერი დაცულია ახალ ფონდში (Q) 779 ნომრით.

კომისიამ სულ მოაგროვა 50 ხელნაწერი, მათგან ტექსტის დადგენისათვის აირჩია მე-17 და მე-18 საუკუნეთა შემდეგი ნუსხები:

H 2074

H 599

H 757

H 54

S 2829

Q 1082

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი

№ 383

S 4499

S 4988

S 5006

A 363

H 461

H 740

Q 261

H 2610

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 205

S 3077

H 3061

H 1839

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ხელნაწერი № 166 (?) 2832

Q 779

არტანუჯული და ბროსესეული ხელნაწერები.

გარდა ამისა, ხელთ ჰქონდა საზღვარგარეთ სიძველეთსაცავებში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობანი: თარხან-მოურავისეულისა⁷⁴ და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული № 10 ხელნაწერი.

კომისიამ გამოიყენა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ზოგი ნაბეჭდი ტექსტიც, რომელთა შორის ვახტანგისეული გამოცემა ხელნაწერის უფლებით იქნა მიღებული.

პირველ ხანებში (1935 წ. 15 აპრილიდან 15 მაისამდე) კომისია თვითონ აწარმოებდა ხელნაწერებიდან ვარიანტების ამოწერას. შემ-

⁷⁴ ხელნაწერი დაცულია ოქსფორდში, ბოლეს ბიბლიოთეკის ვორდროპისეულ კოლექციაში. კომისიას ხელთ ჰქონდა ამ ხელნაწერის ე. თაყაიშვილის აღწერილობა, რომელიც ავტორმა პარიზიდან გამოუგზავნა ს. კაკაბაძეს (იხ. სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ - ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტრუქტურული შედგენილობა, 1959, გვ. 313—315).

აქამად დასახელებული ხელნაწერების მიკროფილმები დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

დღე ამ მუშაობას ეწეოდნენ რუსთაველის ინსტიტუტის რვა უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, მაგრამ ისინი დასახელებული სამუშაოსათვის საკმარისი არ აღმოჩნდნენ, — ვერ ასწრებდნენ კომისიისათვის მასალების მომზადებას, რისთვისაც 23 ნოემბრიდან (1935 წ.) ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული იქნა დამატებით რვა თანამშრომელი. ამრიგად, ვარიანტების ამოსაწერად შეიქნა 16 კაცისაგან შემდგარი ქვეკომისია, რომელიც დაყოფილი იყო ჯგუფებად და მუშაობას ეწეოდნენ ილ. აბულაძის, მ. ხუბუას და ივ. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით. სტროფულ შემადგენლობას კი არკვევდა გ. წერეთელი. ქვეკომისიის საერთო ხელმძღვანელობას უწევდა, ტექსტის დამდგენი კომისიის დავალებით, ა. შანიძე⁷⁵.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაიწყო პოემის ხელნაწერებიდან პირველი და მეორე თავის ვარიანტების ამოწერის შემდეგ. ამ დროს პოემის გამოცემათა შორის ყველაზე სრული იყო ს. კაკაბაძის პირველი (1914 წ.) გამოცემა, სადაც ძირითად ტექსტთან ერთად მოცემულია ჩანართი და დანართი სტროფებიც. ამიტომ ტექსტის დამდგენმა კომისიამ სამუშაოდ ეს გამოცემა აიღო, მას გაუკეთდა ვარიანტები და ტექსტში შეტანილი კომისიის შესწორებებიც ამ გამოცემის მიხედვით წარმოებდა. კომისიის მუშაობის ანგარიში იწერებოდა კომისიის მდივნის სოლ. იორდანიშვილის მიერ და მტკიცდებოდა კომისიის სხდომაზე. სხდომებს თავმჯდომარეობდა კორნ. კეკელიძე (პირველი თავმჯდომარე), ენაცვლებოდა ა. შანიძე (მეორე თავმჯდომარე)⁷⁶.

ტექსტის დამდგენი კომისიის პირველი სხდომა შედგა 1935 წ. 15 მაისს სალ. 7 საათზე. დაესწრნენ: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ს. კაკაბაძე, კ. ჭიჭინაძე, ვ. ბერიძე, ალ. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ი. აბულაძე. თავმჯდომარეობდა კ. კეკელიძე, მდივნობდა ს. იორდანიშვილი. სხდომის გახსნისას მდივანმა გააცნო სხდომას ინსტიტუტის დირექციის შემდეგი მომართვა: ვეფხისტყაოსნის დამდგენ კომისიას. ვეფხისტ-

⁷⁵ ვეფხისტყაოსნის 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის შესახებ იხ. „საუბარი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე პროფ. კ. კეკელიძესთან“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935, № 2, გვ. 11; სოლ. იორდანიშვილი, ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი, 1948, გვ. III—IV; მისივე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1953, გვ. 72—94; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, 1961, გვ. 219—281; ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები (თხზულებანი II), 1966, გვ. 85, 219—220.

⁷⁶ ქვემოთ, სადაც კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი აღნიშნული არ არის, ამ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარედ იგულისხმება კორნელი კეკელიძე. ხოლო მდივნად — სდლომონ იორდანიშვილი.

ყოფნის ტექსტის დამდგენი კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: 1. კ. კეკელიძე (თავმჯდომარე), 2. აკ. შანიძე, 3. ს. კაკაბაძე, 4. ივ. ჭავჭავაძე, 5. კ. ჭიჭინაძე, 6. კ. ღონღუა, 7. ვ. ბერიძე, 8. ალ. ბარამიძე, 9. ს. იორდანიშვილი (მდივანი), 10 იუსტ. აბულაძე⁷⁷.

2. ვინაიდან პირველი წყების ვარიანტების ამოწერა დამთავრებულია, წინადადება მიეცეს კომისიას შეუდგეს 15 მაისიდან ტექსტის დადგენას, თანახმად ინსტიტუტის გამგეობის დადგენილებსა.

3. წინადადება მიეცეს კომისიის მდივანს ამხ. ს. იორდანიშვილს უზრუნველყოს კომისიის ყველა სხდომის ვრცელი ანგარიშის წარმოება.

ინსტიტუტის დირექტორი ალ. დუღუჩავა. მეცნიერი მდივანი გ. ხავთასი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. როგორც ამ მოწერილობიდან მოისმინეთ, ჩვენ უნდა შევეუდგეთ ტექსტის დადგენას. იმ ვარიანტულ ამონაწერების გარდა, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ ხელნაწერების მიხედვით, მუშაობის დროს ჩვენ ხელთ უნდა გვქონდეს დღემდის გამოსული ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა, როგორცაა: ვახტანგის გამოცემა, ბროსესი, დ. ჩუბინაშვილის, დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის, სარგ. კაკაბაძისა და უკანასკნელი გამოცემა კ. ჭიჭინაძისა. წინადადება მიეცეს მდივანს უზრუნველყოს კომისია ხსენებულ გამოცემებით. ახლა უნდა მოვახსენოთ, რომ სანამ ჩვენ მუშაობას დავიწყებდით, გამოყოფილი იყო პრეზიდიუმის⁷⁸, რომელსაც დაევალა ტექსტის დადგენისათვის საჭირო პრინციპებზე თათბირი და ამ პრინციპების გამომუშავება. პრეზიდიუმს ქონდა თათბირი და გამომუშავდა სათანადო პრინციპები. ამ თათბირის ოქმი არის და მდივანი მოგახსენებთ.

მ დ ი ვ ა ნ ი. აცნობს კრებას ოქმის (№ 3) შემდეგ ამონაწერს:

კომისიის მუშაობის საგანს შეადგენს პოემის ტექსტის კრიტიკულად დადგენა, ე. ი. ამა თუ იმ სტროფის მიღება — არ მიღება და საცილობელი სიტყვების და ადგილების ამა თუ იმ სახით წაკითხვა. ამ შემთხვევაში კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით: ა) კონტექსტითა და აზრით, ბ) სტილით, გ) ენობრივი მოვლენებით, დ) პოეტიკით. შე ე ნ ი შ ვ ე ნ ა: ამ მომენტების ფათვალისწინებისა ყურადღება იმდენად მსგავსებას არ ექცევა (ვინაიდან ძალიან

⁷⁷ კომისიის შემადგენლობაში არ ჩანს პ. ინგოროყვა, რომელიც, როგორც საწმებოდან ირკვევა, ამ კომისიის წევრი ყოფილა და ზოგჯერ მის მუშაობაშიც იღებდა მონაწილეობას.

⁷⁸ პრეზიდიუმში ანუ მცირე კომისიაში შედიოდნენ: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე და პ. ინგოროყვა.

შემუშავებული იყო ხერხი მიბაძვისა და იმიტირებისა), რამდენადაც სხვაობას: შეეძლო თუ არა ესა თუ ის ამა თუ იმ სახით ეთქვა პოემის ავტორს. ე) ხელნაწერთა ტრადიციით. შენიშვნა: ამ შემთხვევაში, სხვა მომენტებთან ერთად, ყურადღება ექცევა გრაფიკულ მომენტს: შესაძლოა თუ არა ასეთი თუ ისეთი წაკითხვა აღმოცენებულიყო დამწერლობის ნიადაგზე. უარყოფილი სტროფებიც, რომელთაც ადგილი აქვთ ერთსა თუ რამდენიმე ხელნაწერში, განიციდიან დადგენის პროცესს, ზემოჩამოთვლილ პრინციპების, შეძლებისდაგვარად გამოყენებით. უარყოფილი სტროფები და ვარიანტული ადგილები იბეჭდება ცალკე წიგნად⁷⁹ ამ სახით: თუ, ვთქვათ, მე-100 სტროფს მისდევს რომელიმე ხელნაწერში უარყოფილი სტროფი, უკანასკნელი აღინიშნება 100¹, 100², 100³ და ასე შემდ. კომისიის წევრების აზრი ყოველმხრივ განიხილება სხდომაზე. დადგენილება გამოტანილ იქნება ამის შემდეგ ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრს, რომელიც არ იზიარებს მიღებულ დადგენილებას, უფლება აქვს, თუ მოისურვებს, წარუდგინოს კომისიას წერილობითი მოტივირებული აზრი, რომელიც სავალდებულოდ იბეჭდება კომისიის ოქმებთან ერთად.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ აქ მოხსენებულ პრინციპებზე შეაჩერა მთავარი ყურადღება პრეზიდენტი და წინადადებას აძლევს კომისიის დანარჩენ წევრებს გამოთქვან თავიანთი აზრი.

ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე. რატომ არაფერია ნათქვამი ორთოგრაფიულ საკითხებზე?

თ ა ე მ ქ დ ო მ ა რ ე. ენობრივი მოვლენების მუხლი გულისხმობს აგრეთვე ორთოგრაფიულ საკითხებსაც.

კ. კ ი ჭ ი ნ ა ძ ე. კომისიას, რომელსაც გამოუმუშავებია ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საფუძვლები, გამორჩენია მთავარი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა. ეს მთავარი და უტყუარი საფუძველი არის პოემის სიუჟეტური განვითარება, რომლის მიხედვითაც უნდა გადაწყდეს ამა თუ იმ სტროფის დატოვება — არ დატოვების საკითხი ტექსტში. რადგან ქართული პოეტიკის საკითხები ჯერ დაუმუშავებელია, ენობრივ მოვლენებს კიდევ არ აქვთ მტკიცე და ურყევი დასაყრდენი, ამიტომ ტექსტის დადგენისას აუცილებელია მთავარ პრინციპად გამოყენებულ იქნას პოემის სიუჟეტური განვითარება.

⁷⁹ ამიტომ კომისია პოემის ძირითად ტექსტის დადგენასთან ერთად ჩანართ-დანართი სტროფების დადგენასაც აწარმოებდა.

ს. კაკაბაძე. მისაღებად მიმაჩნია კ. ჭიჭინაძის წინადადება და ჩემს მხრივ დავსძენ, რომ ხელნაწერთა მოცულობის შესწავლა მოგვეცემს დასაყრდენს სტროფული მოცულობის გასარკვევად.

ა. ბარამიძე. სიუჟეტური განვითარების პრინციპად გამოყენება მეტად სახიფათოა, რადგან ჩვენ მრავალი ძეგლი ვიცით, რომ აგრძელებდნენ მიმბაძველები. ეს გაგრძელება ხდებოდა იმიტომ, რომ გამგრძელებლებს არ მიაჩნდათ დასრულებულად ესა თუ ის ნაწარმოები. აქედან ცხადი იქნება რამდენად სახიფათოა სიუჟეტური განვითარების ძირითად პრინციპად აღება.

თავმჯდომარე. ცალკე ძირითად პრინციპად პრეზიდენტმა ვერ შეიტანა სიუჟეტური განვითარება იმ მიზეზის გამო, რომელიც ახლა აქაც იყო აღნიშნული, მაგრამ ზოგადად ამ მომენტსაც გაუწია ანგარიში, როდესაც ერთ-ერთ პრინციპად კონტექსტი და აზრი დაასახელა. ახლა შეიძლება ამ მუხლს ფრჩხილებში ესეც დავმატოს. რაც შეეხება ამხ. საარგის კაკაბაძის მოთხოვნას, ესეც გათვალისწინებული ქონდა პრეზიდენტს და ჩვენი მუხლი, სადაც ნათქვამია ხელნაწერთა ტრადიციაზე, ამ მომენტსაც შეიცავს.

ამის შემდეგ თავმჯდომარე აყენებს საკითხს კომისიის მიერ დადგენილი ტექსტის ჩაწერის შესახებ და მოითხოვს, რომ კომისიის წევრებმა გამოთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ, დაეიცვათ ჯ-არის დაწერილობა, თუ უბრალო ხ-ანი დავწეროთ. უმარცვლო უ-ნი კი, თავმჯდომარის აზრით, უყოყმანოდ უნდა შეიცვალოს ვ-ინით.

ი. აბულაძე. შეუძლებლად მიმაჩნია ტექსტის თანამედროვე ორთოგრაფიით აღდგენა. ძეგლი იყოს აღდგენილი იმ სახით, როგორც გვიანდერმა ავტორმა. მხარს ვუჭერ ჯ-არისა და უმარცვლო უ-ნის დატოვებას.

ვ. ბერიძე. ჩვენი გამოცემა გასაგები უნდა იყოს მასიურ მკითხველისათვისაც. ასეთ გამოცემაში ჩვენ ჯ-არს ვერ დავტოვებთ, რადგან დღეს ჯ-არს ჩვენი სტუდენტებიც კი ვერ არჩევენ, მისი გამოთქმა კი ბევრს სულ არ შეუძლია. არც ჭელისა და ხელის აღრევა მოხდება, რადგან რამდენი ვეფხისტყაოსანია ახალი მართლწერით გამოცემული, რომ ამის გარჩევას არ აძნელებს კონტექსტი. ლექსიკონში იქნება აღნიშნული მათი მნიშვნელობა და ჩვენს აკადემიურ ტექსტს ნუ გავართულებთ ისეთი ასოების დატოვებით, რომლებიც უკვე დიდი ხანია გადავარდნილია ხმარებიდან.

ს. კაკაბაძე. ზედმეტად მიმაჩნია უმარცვლო უ-ნი და ჯ-არი. თანამედროვე კულტურულ მკითხველისათვის ისინი ზედმეტნი არიან, გამოცემის აკადემიურობას მათი განდევნა ხელს არ შეუშლის.

ა. ბარამიძე. მხარს ვუჭერ უმარცვლო უნის მოსპობას, ხოლო ჭარის ხმარების მიმართ კომპრომის ვუშვებ ომონიმურ სიტყვების აღრევის თავიდან ასაცილებლად.

კ. კიკინაძე. წინააღმდეგი ვარ ჭარის დატოვებისა. ომონიმური სიტყვები ქართულში სხვებიც არის, მაგრამ მათი აზრის გაგება კონტექსტში ადვილი ხდება.

ა. შანიძე. ჩვენ ვეფხისტყაოსნის ენას არ ვცვლით. სადაც წერია, მაგალითად, „იგი წარხდების“ ჩვენ არ დაწერთ: იგი წახდება. ასევე არ უნდა გამოვცვალოთ ასოთა დაწერილობა. ახლა თუ გადაჩვეულია მკითხველი ჭარს, მალე აღარ გვექნება ასეთი მდგომარეობა. სკოლებში უკვე შემოღებულია ძველი ქართულის სწავლება და 5—6 წლის შემდეგ ეს ასოები გაუგებარი აღარ იქნება. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ჩვენი გამოცემა მასიური მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, ვეფხისტყაოსნის უწაროდ გამოცემა შეიძლება, თუმცა ჩემის აზრით ასეთი ძველი უმჯობესი იქნებოდა, რომ ძველი ორთოგრაფიით გამოცემულიყო.

ს. იორდანიშვილი. ზედმეტ გართულებად მიმაჩნია კრიტიკულად დადგენილ ტექსტში, რომელიც მასიურ მკითხველისთვისაც გასაგები უნდა იყოს, დატოვება ისეთი ასოებისა, რომელთა ხმარება კარგა ხანია არეულია. საბა ორბელიანსაც კი არეული აქვს ჭარისა და ხანის ხმარება და ამჟამად ჭარს უმრავლესობა ვეღარ გამოსთქვამს, ამიტომ დაეწეროთ ის, რაც გამოითქმის.

თავმჯდომარე. საკიროდ მიმაჩნია მასობრივ მკითხველს არ გაუძნელოთ ტექსტი ზედმეტი ასოებით და რადგან მათი ამოღება ტექსტის აკადემიურობას ზიანს არ მოუტანს, ამიტომ მივიღოთ უბრალო ხანი.

კენჭის ყრისას მომხრეთა და წინააღმდეგთა ხმები იყოფა.

ჭარის მომხრენი დარჩნენ ა. შანიძე, ს. კაკაბაძე, ა. ბარამიძე და ი. აბულაძე. დანარჩენებმა — კ. კეკელიძემ, ვ. ბერიძემ, ს. იორდანიშვილმა და კ. კიკინაძემ — მხარი დაუჭირეს უბრალო ხანს. თავმჯდომარის გადაწყვეტი ხმის უფლებით ჭარი უარყოფილ იქნა.

შემდეგ თავმჯდომარემ დასვა მეოთხე ტაეპის დასაწყისი დასაკითხი. ყველამ, ი. აბულაძის გარდა, დას დატოვება მოითხოვა, ამიტომ და ყოველ მეოთხე ტაეპის დასაწყისში დატოვებულ იქნა.

ამის შემდეგ კომისიის წევრი კ. კიკინაძე აღგენს შემდეგ წერილობითს განცხადებას:

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას.

იმ მოსაზრებათა გამო, რომელიც მე კომისიას გავაცანი 14 მაისის სხდომაზე, ვიძლევი შემდეგ წერილობით წინადადებას: კომისიის მუ-

შაობა უშუალოდ ტექსტის დადგენისათვის გაიყოს ორ ნაწილად: 1) ყველა სტროფის სწორი წაკითხვის დადგენა და 2) ძირითადი ტექსტის სტროფული შემადგენლობის გარკვევა. ჩატარდეს ჯერ პირველი მუშაობა მთლიანად და შემდეგ, როდესაც კომისია წაკითხვების დადგენის პროცესში ჯეროვნად გაეცნობა ხელნაწერებს, — მეორე. თუ კომისია ამ წინადადებას არ მიიღებს და გადასწყვეტს ერთად ჩაატაროს ორივე ზემოხსენებული მუშაობა, მაშინ ვიძლევი მეორე წინადადებას: კომისიამ ამთავითვე იქონიოს მსჯელობა ძირითადი ტექსტის ზოგად მოცულობაზე. კერძოდ, გაარკვიოს მან თავიდანვე ცენტრალური საკითხი, რომლის გარშემო „ელხმა“ უკვე ჩაატარა ამომწურავი დისპუტი — საკითხი „ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ“. იმ შემთხვევაში, თუ არცერთი ეს ჩემთვის მეტად პრინციპული ხასიათის წინადადება მიღებული არ იქნება, მაშინ მცე გამიძნელებდა გავაგრძელო მუშაობა კომისიაში.

კონსტანტინე ჭიჭინაძე
15 მაისი 1935 წ. ქ. თბილისი

თავმჯდომარე მოითხოვს შემოსული წინადადებების შესახებ გამოთქვან აზრი წევრებმა.

ს. კაკაბაძე. საჭიროა წაკითხვების დადგენას და სტროფული მოცულობის შესახებ მსჯელობას ახლავე შევეუდგეთ და ეს ორივე ერთად ჩავატაროთ. შემდეგ კვლავ დავეუბრუნდეთ სტროფულ მოცულობას.

კ. ჭიჭინაძე. საჭიროდ მიმაჩნია მუშაობის ორ ნაწილად გაყოფა. პირველი ნაწილია წაკითხვების ვარიანტების დადგენა ყველა ძირითადი და ჩანართი სტროფისა. ეს იქნება მთელი მუშაობის 9/10. მწვავე საკითხები აქ არ გვექნება და მათი დადგენის დროს ადვილად მოხდება კომისიის წევრთა შეთანხმება. ამგვარად, როდესაც განხილულ იქნება ვეფხისტყაოსნის მთელი ტექსტი, ყველას სრული წარმოდგენა ექნება პოემის მნიშვნელოვან ხელნაწერთა შესახებ და მოხდება მათი დახასიათება რედაქციების მიხედვით, შემდეგ უფრო მიზანშეწონილი იქნება სტროფული მოცულობის შესახებ მსჯელობა. აქ ბევრი მწვავე საკითხი წამოიჭრება და მათზე მეტი ყურადღება და მეტი მსჯელობა იქნება საჭირო.

ა. შანიძე. კ. ჭიჭინაძის წინადადება მისაღები იქნებოდა, რომ ჩვენს განკარგულებაში უკვე მცირე დრო არ იყოს დარჩენილი. ასეთი გზა ახლა ჩვენს პირობებში მოუღებელია. ეს დადგენას უფრო გავიძნელებს და ჩვენ ვერ მოვასწრებთ დანიშნულ დროისათვის ამ სამუშაოს მოთავებას.

ი. აბულაძე. ამ გზით დადგენა უფრო რთულდება და უფრო მეტ დროს მოითხოვს.

ა. ბარამიძე. რედაქციული წაკითხვების შემდეგ რომ სტროფულ მოცულობას დავუბრუნდეთ, დაგვირდება გახსენება იმისა, რაც უკვე ჩატარებულ იქნა რედაქციული წაკითხვების დროს. მაშინ, როდესაც ამა თუ იმ სტროფის ასეთი თუ ისეთი რედაქციულობა გვაძლევს შესაძლებლობას გამოვარკვიოთ, ყალბია თუ არა იგი. ამგვარად, ეს მუშაობა ერთად უნდა ჩატარდეს.

ვ. ბერიძე. ტექსტის დადგენა ორ მომენტს გულისხმობს: წაკითხვების დადგენას და სტროფის სიყალბის თუ ნამდვილობის გამორკვევას. მაგრამ ეს ორივე მომენტი განუწყვეტელი რამ არის. ეს ორივე ერთად უნდა მოხდეს. თუ არ გამოირკვა, რომ სტროფი ყალბია, მისი დადგენაც გაძნელებულია, რადგან არ გვეცოდინება რომელ საუკუნის ნორმებით უნდა დავადგინოთ. ყოველივე ამას უნდა მიუდგეთ ძალიან ფრთხილად. ყოველ ძნელად გასარკვევ საკითხზე გვექნება მოხსენებები. ასე მივყვით ერთბაშად მთელ ტექსტს, შევქმნათ კულტურული მუშაობის პირობები და თუ დავინახავთ, რომ ეს ხერხი მიუღებელი გამოდგება, შეიძლება მერე შევცვალოთ.

თავმჯდომარე. როგორც ირკვევა, დიდ უმრავლესობას ჩვენ მიერ არჩეული გზა მუშაობისა უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია. მართლაც, ძნელი იქნება ზოგიერთი სტროფის წაკითხვის დადგენა, თუ ჩვენ არ გვეცოდინება იგი ყალბია, თუ ნამდვილი. ჩვენი მუშაობის დროს თუ ვიქნებით ობიექტურნი, თუ გამოვიჩინთ სულგრძელობას, მართლაც ამ გზით უკეთ შევძლებთ მუშაობის ჩატარებას. ხვალისიდან კომისიის წევრები გადავლენ ტექსტის დადგენაზე. ვარიანტების ამოწერას კი განაგრძობენ ამისათვის მოწვეული თანამშრომლები, რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს ა. შანიძე. ამრიგად, ისინი თანდათანობით მოგვაწვდიან მასალას და ჩვენ განვაგრძობთ ტექსტის დადგენას. ამა თუ იმ წევრის არ ყოფნა არ აჩერებს მუშაობას საერთოდ, მაგრამ რადგან ამ დღეებში სამი წევრი, მე, ვ. ბერიძე და ს. კაკაბაძე ქუთაისს მივემგზავრებით, ჩვენს დაბრუნებამდის გაგრძელდეს ვარიანტების ამოწერა პოემის შემდეგი თავებისა, ჩვენი დაბრუნების შემდეგ კვლავ გადავალთ ტექსტის დადგენაზე. კრება დაიხურა 8 1/2 ს.

კომისიის მუშაობაში, ავადმყოფობის გამო, ივ. ჯავახიშვილს მონაწილეობა არ მიუღია, ამავე მიზეზით პ. ინგოროყვაც თიქმის ჩამოშორებული იყო კომისიის მუშაობას. 1935 წ. ივნისში ის რამდენიმე სხდომას დაესწრო, ხოლო 1936 წ. მარტიდან მაისის პირველ ნახევრამდე დროგამოშვებით მონაწილეობდა კომისიის მუ-

შაობაში. 228 სხდომიდან 25-მდე დაესწრო. კ. დონდუა 1934 წელს ლენინგრადში გადავიდა საცხოვრებლად და ამიტომ კომისიის მუშაობაში არ მიუღია მონაწილეობა. ასე რომ ტექსტის დამდგენ კომისიაში ფაქტიურად რვა კაცი მუშაობდა: იუსტინე აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვუკოლ ბერიძე, სოლომონ იორდანიშვილი, სარგის კაკაბაძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და კონსტანტინე ჭიჭინაძე.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, V, 16) დაესწრნენ: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ი. აბულაძე.

თავმჯდომარემ კ. კეკელიძემ განაცხადა, რომ კომისია უკვე უნდა შეუდგეს პოემის პირველი თავის დადგენას ყველა მნიშვნელოვან გამოცემათა და ხელნაწერთა მიხედვით⁸⁰. მან წაიკითხა სათაური: „ამბავი პირველი როსტევეან არაბთა მეფისა“ და მოითხოვა სიტყვა პირველის ამოღება, რადგან შემდეგ ამბებს ეს სათვალავი აღარ მისდევთ. ამ საკითხზე, ა. შანიძის წინადადების თანახმად, კრებამ დაადგინა, სათაურები ცალკე იქნას შესწავლილი ყველა ხელნაწერის მიხედვით და ამის შემდეგ მოხდეს მათი დადგენა.

ამ სხდომაზე კომისიამ განიხილა და დაადგინა პოემის 26 — 28 სტროფები.

26-ე სტროფი (ს. კაკაბაძის 1914 წ. გამოცემის მიხედვით): იყო არაბეთს როსტევეან... ძირითადად იქნა მიღებული. პირველ ტაეპში კამათს იწვევს სიტყვა „ღმრთისაგან“. ეპოქისათვის დამახასიათებლად ერთხმად მიჩნეულ იქნა ღმრთისაგან და არა ღვთისაგან. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს სიტყვა კვლა. როგორ დაიწეროს კვლა თუ კვლავ. ი. აბულაძე უპირატესობას აძლევს კვლას, როგორც უფრო მარტივსა და მუსიკალურს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ კვლა მიღებულია კვალად-იდან ისევე, როგორც დაბლა მიღებულია დაბლად-იდან. შემდეგ იხმარებოდა კვლავე, აქედან — კვლავ, მაგრამ რუსთველის ხანისათვის დამახასიათებელია კვლა და ჩვენ კვლა უნდა მივიღოთო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, იმ მიზნით, რომ კვლა ზმნა კვლაში არ არეულიყო, თანამედროვე მკითხველისათვის სასურველი იყო მიგვეღო კვლავ. კვლავ-ს უჭერენ მხარს ვ. ბერიძე და ა. ბარამიძე. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ დროის ძეგლებში ყველგან გვხვდება — კვლა. კომისია ადგენს დარჩენს კვლავ. შემდეგ კამათს იწვევს: მოუბარი. ა. შანიძე მოითხოვს, მოუბარის სათანადო ეტიმოლოგიის წარმოდგენის შემდეგ, ადღეინო იქნეს „მოუბნარი“, რადგან მე-12 — 13 სს. ძეგლებში მოსალოდნელია ნ-არის

⁸⁰ პოემის პროლოგის დადგენა ბოლოსთვის იქნა გადადებული.

ხმარება, მით უმეტეს, რომ თვითონ ვეფხისტყაოსანში გვხვდება მოუბნარი. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ისტორიულად სწორია მოუბნარი, მაგრამ რადგან ხელოვნური რეკონსტრუქცია იქნება, ხელნაწერებს არ შეუენახავთ, ამიტომ დავტოვოთ—მოუბარი. ი. აბულაძე მხარს უჭერს—მოუბარს. რითმაში შესაძლებლად მიაჩნია საუბარი, მაგრამ რუსთველი რითმაში ხშირად ბევრ ხელოვნურ ფორმებს ხმარობს, რომელიც ნამდვილ ფორმებისაგან განსხვავდებიანო. კომისიამ მიიღო — მოუბარი. მეორე ტაეპში: ლაშქარმრავალი, დაიწერა დეფისით.

261-ე სტროფი: იყო არაბეთს მეფობა... ჩანართად მიიჩნიეს. სტროფის რითმად კომისიამ სცნო ა ნ ი ს ი და არა ა ნ ი ს ა. მესამე ტაეპში: მონებს, გასწორდა — ჰმონებს. მეოთხე ტაეპში ორი წერტილი თუ-ს შემდეგ: თქვეს თუ: ა. შანიძე და ა. ბარამიძე მოითხოვდნენ—თქვეს, თუ: (თუ-ს წინ მძიმეს და მის შემდეგ ორ წერტილს). მეოთხე ტაეპში მეორე ა-ნის წინ დაიწერა მძიმე.

262-ე სტროფი: აწყა დავიწყოთ ამბავი... ჩანართად ცნეს. კომისიამ მიიღო: აწყა დავიწყო. ა. ბარამიძე მოითხოვს როსტენ-ის დატოვებას, რადგან როსტენ გვაქვს ძირითად ტექსტში უფრო ხშირად. დანარჩენი წევრები როსტანს უჭერენ მხარს. კომისიამ დატოვა როსტან. მესამე ტაეპში კომისია ლებულობს — თვალათ. მეოთხე ტაეპში — ვერ მხედთა ამა გზენისა.

27-ე სტროფი: სხვა ძე არ ესვა... ძირითადად მიიღეს. ვ. ბერიძე აყენებს საკითხს, ხომ არ არის შესაძლებელი პირველ ტაეპში მივიღოთ კანონიერ მაჯამისათვის — მარტოდ ასული, ნაცვლად — მარტო ასული-სა. კომისიამ დატოვა — მარტო ასული. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს: მისდა საქებრად. ი. აბულაძე H — 757 ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც დიდი ნდობის ღირსად აცხადებს, და ვახტანგის გამოცემის თანახმად, მოითხოვს — მისად მაქებრად. კომისია ლებულობს — მისად მაქებრად.

28-ე სტროფი: მისი სახელი თინათინ... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. კ. კეკელიძე სვამს საკითხს პირველი ტაეპის შესწორების შესახებ: ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ეს ტაეპი ასე წაიკითხებოდეს: მისი სახელი თინათინ არს, — ესე საცოდნარია. კომისიამ, მეტრის დარღვევის ასაცილებლად, დატოვა ტრადიციული წაკითხვა და გამოყო ხაზებით: — არს ესე საცოდნარია—. მესამე ტაეპში მიიღო: იხმნა ვაზირნი. მეოთხე ტაეპი იწვევს კამათს. ი. აბულაძე უარყოფს გ ვ ე რ დ ს ა-ს და მოითხოვს ყველგან ასეთ შემთხვევაში მივიღოთ უფრო ხალხური ფორმა გ ვ ე რ ც ა, თანახმად უძველეს ხელნაწერებისა. კომისიამ მიიღო: გვერდსა დაისხნა.

მორიგ სხდომას (1935, V, 17) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე.

კომისიამ განიხილა და დაადგინა 28¹ — 31¹ სტროფები.

28¹-ე სტროფი: როსტევეან უხმნა ვაზირნი... მიიჩნის ჩანართად. პირველ ტაეპში კამათი გამოიწვია სიტყვამ — თუცა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანართ სტროფში, შეიძლება თუ მ ც ა ც გვეხმარა. კ. ჭიჭინაძის აზრით საჭიროა ძირითადი და ჩანართი სტროფების წაკითხვები ერთნაირად იქნენ დადგენილი. თუ ძირითადში მივიღებთ თუცას, ჩანართშიც ასევე უნდა მივიღოთო. კომისიამ დატოვა: თუცა. მეორე ტაეპის მ ა მ ც ა კომისიამ მიიჩნია დიალექტურ ფორმად და შეცვალა ლიტერატურული ფორმით: მომცა. ასეთი დიალექტური ფორმების ლიტერატურულით შეცვლა კომისიამ შემდეგისთვისაც სავალდებულოდ მიიჩნია. მეოთხე ტაეპში: მოლხინე, მოასპარეზედ, გასწორდა — მოლხინედ, მოასპარეზედ.

29-ე სტროფი: უბრძანა გკითხავ საქმესა... ძირითადად მიიჩნის. კამათს იწვევს პირველ ტაეპში: გკითხავ. ი. აბულაძის აზრით, აქ საჭიროა დაეწროთ: გკითხავთ, რადგან იგულისხმება თქვენ, ვაზირებს გკითხავთ და ცოცხალ მეტყველებაში ეს თ-ანი თქვენობის აღმნიშვნელია. ამავე აზრს იზიარებს კ. ჭიჭინაძე. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში ჩვეულებრივია გკითხავ შენ და გკითხავ თქვენ. როდესაც დამატება მრავლობითში ზის ეს თ-ანი მაშინაც არ ჩნდება. თ-ანი სულ ახალი მოვლენაა, ამიტომ აქ „გკითხავ“ უნდა დარჩეს. კომისიამ დატოვა გკითხავ. შემდეგ კამათს იწვევს — სასაუბაროსა. კ. კეკელიძე აყენებს საკითხს, ზომ არ არის შესაძლებელი აქ „ერთგან სასაუბაროსა“ შეიცვალოს „ერთგან საუბნაროსა“, რადგან შემდეგ ტაეპებშიაც „დაამჟყნაროსა“ და „საბაღნაროსა“ ნ-არით გვაქვს და რიტმისათვისაც ასე სჯობსო. კ. ჭიჭინაძე არ იზიარებს ასეთ შესწორებას. მისი აზრით აქ უნდა დარჩეს ერთგან სასაუბაროსა, რადგან ერთად მოსასაუბრებელ საქმეზეა ლაპარაკი. რითმა აქ არის აროსა. ეს ნ-არი არ არის აუცილებელი, რადგან, სულ ერთია, მეოთხე ტაეპში იგი მაინც არ არის: „უმთვაროსას“ თუ დავტოვებთ, და მე მგონია ეს უნდა დარჩეს, ნ-არი არ გვექნება. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მართალია ა-ნის დამატებით თუ მივიღებთ „ერთგანა“ — ახალ ფორმასთან გვექნება საქმე, მაგრამ რუსთველი ლექსისათვის სიტყვის ისეთ კომბინაციებს ხმარობს, რომ ასეთი რამ მისი სტილისათვის უჩვეულო არ იქნება. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ რადგან არც ერთი ვარიანტი სასურველ შესწორებას არ იძლევა, აქ წარმოდგენილ შესწორებით კი რიტმი ირღვევა, ამიტომ დარჩეს „ერთგან სა-

საუბნაროსა“. ა. შანიძე გამოთქვამს ერთგვარ ექვს ამ სტროფის ნამდვილობის შესახებ. მისი აზრით, ეს სტროფი ზოგიერთი ნიშნებით შესაძლებელია ყალბი იყოს. საფიქრებელია, რომ ხელნაწერი, რომელმაც მოაღწია შოთადან, დაზიანებული იყო, სტროფი არ იყო კარგად მოღწეული, ან ბოლო აღარ ჰქონდა და შემდეგში რესტავრაციაქმნილიყო. [კომისიამ მიიღო: ერთგან სასაუბნაროსა]. კ. კეკელიძე აყენებს საკითხს, თუ როგორ მივიღოთ მეორე ტაეპის დასასრული — დაამქნაროსა, უარყოთ კ-ანი და დავწეროთ დაამქნაროსა. კომისიამ იმ დროის ეპოქის ძეგლებისათვის დამახასიათებლად ცნო—დაამქნაროსა. კამათს იწვევს სტროფის მესამე ტაეპი: იგი წახდების, სხვა მოვა... ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მესამე ტაეპის ეს სიტყვები ზოგ გამოცემასა და ხელნაწერებშიაც ასეა მოყვანილი: იგი წავა და სხვა მოვა. ასეთი წაკითხვა ექვს იწვევს. აქ მოსალოდნელი იყო: იგი წარხდების, სხვა მოვალს. საკიროა ეს ტაეპი ასე შესწორდეს, მით უმეტეს, რომ ასეთ წაკითხვას მხარს უჭერენ კარგი ხელნაწერები. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ აქ პოეტურ სიმარტივესთან გვაქვს საქმე და ასეთი წაკითხვა — „იგი წავა და სხვა მოვა“ არ არის მიუღებელი. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აქ ყოფილიყო: იგი წარხდების სხვა მავალს, მაგრამ რაკი ეს სტროფი ასეა გავრცელებული ხალხში, ამიტომ შეიძლება დარჩეს შეუსწორებელი, როგორც არის: იგი წავა და სხვა მოვა. კ. კეკელიძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ კომისიამ დატოვოს იგი წავა და სხვა მოვა, რადგან რუსთველი არც სხვა შემთხვევაში გაუბრბის ხალხურ ფორმებს. კომისიამ მიიღო: იგი წავა და სხვა მოვა. წინააღმდეგი იყო მხოლოდ ა. შანიძე. შემდეგ კამათს იწვევს მეოთხე ტაეპის დასასრული: ღამესა ჩვენ უმთვაროსა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ერთი ხელნაწერის მიხედვით, სადაც იკითხება „მომთანაროსა“ პ. ინგოროყვამ შეიტანა შესწორება: უმთენაროსა. შესწორება კ. კეკელიძეს თავის მხრივ უაზროდ არ მიაჩნია და თხოვს კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი აზრი. კ. ჭიჭინაძე შესწორებას არ იზიარებს. მისი აზრით აქ პოეტის მიზანია დაპირისპირება მზიანი დღისა და ბნელი უმთვარო ღამისა. აქ არის ხაზგასმული ინტენსიური სიბნელე და არა დაუსრულებელი, გაუთავებელი წყვდიადი. ამიტომ, მისი აზრით, უნდა დარჩეს: ღამესა ჩვენ უმთვაროსა. ი. აბულაძის აზრით, H-461 ხელნაწერში მოცემული წაკითხვა „მომთანაროსა“ მომდინარეობს არაბულ „მომთანა“-დან, რაც ნიშნავს დაუსრულებელს, მიუწვდომელს. ამ ნიადაგზე მას შესაძლებლად მიაჩნია წაკითხვა „უმთენაროსა“, რაც, მისი აზრით, უნდა დარჩეს, როგორც ეს მას აქვს დაბეჭდილი თავის უკანასკნელ გამოცემაში. ა. შანიძე აღნიშნავს,

„უმთენაროსა“ მ-ანით მაინც მიუღებელია. თუ შესწორდება, უნდა შესწორდეს „უმთენაროსა“, რადგან წესით აქ მ-ანი არ გაჩნდებოდა. კომისიამ დატოვა ტრადიციული წაკითხვა: ღამესა ჩვენ უმთვაროსა. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

29-ე სტროფი: თვალი უმზეოდ. ბრალთა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

30-ე სტროფი: მე გარდასულვარ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში კომისიამ შეასწორა „მე გარდასულვარ“, მის მაგიერ მიიღო: მე გარდასრულვარ. მეორე ტაეპში: დღეს ვარ და ხვალე მოვკვდები-ს მაგიერ კომისიამ მიიღო: დღეს არა, ხვალე მოვკვდები. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს: ჩემი ძე დავსვათ. ი. აბულაძეს შესაძლებლად მიაჩნია ასეთი შესწორების შეტანა: ჩემი მზე დავსვათ ხელმწიფედ. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ჩვენ უკვე შეგვხვდა: სხვა ძე არ ესვა მეფესა. აქ ძე შვილის მნიშვნელობით არის ნახმარი, ვაჟსაც ნიშნავს და ქალსაც. ასეთივე მნიშვნელობა შერჩა დღესაც, როდესაც ამბობენ — ძეობას. ამიტომ აქ უმჯობესია დარჩეს: ჩემი ძე. კომისიამ დატოვა: ჩემი ძე.

31-ე სტროფი: ვაზირთა ჰკადრეს... ძირითადად მიიჩნიეს. კამათს იწვევს მეორე ტაეპი: ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა. ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერენ ასეთ ვარიანტს: გვმართებს რაზომცა ჯერობა. კომისიამ უფრო სწორად მიიჩნია: გვმართებს მისივე ჯერობა.

31-ე სტროფი: ერთობ დაშალეს ვაზირთა... ჩანართად ცნეს. პირველი ტაეპის ბოლოს კომისიამ საჭიროდ სცნო განცვიფრებითი ნიშნის დასმა. მეორე ტაეპში მიიღო: იგი ქმნის.

მორიგ სხდომას (25. V) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. კომისიამ განიხილა და დაადგინა 32 — 34 სტროფები.

32-ე სტროფი: მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველი ტაეპის სიტყვა — ბრძანებთ. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ რადგან პირვანდელი ტიპის ხელნაწერები „ბრძანებთ“ ფორმას გვაძლევენ, ამიტომ ჩვენც ასე უნდა დავტოვოთ. კომისიამ ანგარიში გაუწია იმ გარემოებას, რომ ამ სტროფში ქვემოთ მეფისადმი მიუკუთვნილი ზმნები (დაგკნობია, გლმობია, მიეც) მხოლოდითშია და ამიტომ აქაც მხოლოდითი დატოვა: მაგას ნუ ბრძანებ. მესამე ტაეპში: ხმდა გაღანამცა სათქმელად... კომისიამ, ხელნაწერების ვარიანტებზე დაყრდნობით, შეცვალა: ხამს განალამცა საქმელად.

33-ე სტროფი: თუცა ქალია... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში მძიმე დაისვა მეორე სიტყვის შემდეგ: თუცა ქალია, ხელმწიფედ —

და არა „ხელმწიფედ“-ის შემდეგ, როგორც ზოგიერთ გამოცემაშია. მეორე ტაეპში ვარიანტები იძლევიან: იცით მეფეო, ნაცვლად — იცის მეფობა. კომისიამ უფრო ლოგიკურად მიიჩნია: იცის მეფობა.

33¹-ე სტროფი: მას ლომსა კაცი... ჩანართად მიიჩნის. კამათს იწვევს მესამე ტაეპი — მე ჩემთა სივაჟაკეთა. კომისიამ აზრის მიხედვით შეასწორა: მე ჩემით სივაჟაკეთა. ს. კაკაბაძე და ა. ბარამიძე აყენებენ პრინციპულ საკითხს: რამდენად მისაღებია ისეთი შესწორება, რომელსაც ხელნაწერებში არ მოეპოვება დასაყრდენი? კ. კეკელიძე უპასუხებს, რომ კომისიის მიერ მიღებული პრინციპების მიხედვით, ასეთი შესწორებები სრულიად მართებულია. ზემოხსენებული შესწორების წინააღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე და ი. აბულაძე, ა. ბარამიძემ თავი შეიკავა. მეოთხე ტაეპში კომისიამ აზრის მიხედვით ითხოვა შეასწორა: ვით ზეო.

34-ე სტროფი: ავთანდილ იყო სპასპეტი... ძირითადად ცნეს. ს. კაკაბაძემ, ხელნაწერების მიხედვით მოითხოვა პირველ ტაეპში მიღებული ყოფილიყო — ამირსპასალარი. კომისიამ ეს წინადადება არ გაიზიარა და დატოვა: ამირსპასალარი, როგორც გარკვეული თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინის ლიტერატურული ფორმა. ამირსპასალარი დაიწერა დეფისით. მეორე ტაეპის მგზავსის დაწერილობა კომისიამ მიიღო შემდეგისთვისაც: მსგავსი. მესამე ტაეპში ბროლ მინა დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: კლევდის, გასწორდა: ჰკლევდის.

კომისიის მორიგ სხდომას (1935 V. 26) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 35 — 36 სტროფები.

35-ე სტროფი: გულსა მისსა მიჯნურობა... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველი ტაეპის — ჰქონდა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ რადგან შემდგომ ტაეპებში გვხვდება: მოჰშორდის, შეჰქმნის, ნახის, გაუახლდის, აქაც მოსალოდნელი იყო — მისი ჰქონდის. ამიტომ ეს ტაეპი ასე უნდა იქნეს დადგენილი. კომისიამ ხელნაწერებისა და თვით ვეფხისტყაოსნის პარალელური ადგილების მიხედვით, სადაც გვხვდება ჰქონდა. — უარყო ჰქონდის და მიიღო ჰქონდა. მეორე ტაეპში ა) მოშორდის მაგიერ კომისიამ მიიღო მოჰშორდის. კ. ჭიჭინაძეს მოჰშორდის 3-აეტი დაწერა მიუღებლად მიაჩნია. ბ) ვერა მჰვერეტმან — კომისიამ შეცვალა და მიიღო „ვერ მჰვერეტელმან“; ფერნაკულად დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპის წაკითხვა იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აყენებს კითხვას, ხომ არ შეიძლებოდა ასე წაგვეკითხა: საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქს გულ-მოკლულად. კომისიამ ასეთი წაკითხვა არ გაიზიარა.

36-ე სტროფი: რა მეფედ დასმა... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში კამათს იწვევს წაკითხვა: მისისა ქალისა. ი. აბულაძის აზრით, უნდა იკითხებოდეს: მისისო ქალისა, რადგან მეორე ტაეპის ბოლოს გვაქვს—მი სოქალისა. ფორმა მ.ი.ს.ი.ს.ო.რ.უსთველს აქვს სხვა შემთხვევებშიაც. კომისიამ ასეთი წაკითხვა არ გაიზიარა და ტაეპი უცვლელად დატოვა, ისე, როგორც ცნობილია ვახტანგის გამოცემით „რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა“. მეორე ტაეპში: მიხვდა, დაიწერა — მიხვდა. კამათს იწვევს: ვსება სჭირს მი სოქალისა. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ტაეპის ეს მეორე ნაწილი უნდა დარჩეს ისე, როგორც აქ არის წარმოდგენილი და როგორც არის დაბეჭდილი მის გამოცემაში: მი სოქალისა. მი აქ გამეორებაა პირველ ნაწილში ხმარებული ზმნისა მიხვდა, ასეთ ხერხს ხშირად მიმართავს რუსთველი, ხოლო სოქალი, თანახმად შესანიშნავ ლექსიკოლოგის ცენკერის განმარტებისა, ნიშნავს სიყვარულის სენს. ყანის ჭირს, იარყანს. სოქალი ნახმარია გურგანელის „ვისრამიანშიაც“. ამ ტაეპის აზრი ეს იქნება, რომ ამიერიდან გაქრობა, ვსება ელის მის ავთანდილის სიყვითლესო. ა. ბარამიძე ეთანხმება ი. აბულაძეს სოქალის განმარტებაში. მასაც მიაჩნია, რომ ამ ტაეპში უკანასკნელ სიტყვად უნდა დარჩეს სოქალი, ხოლო წინა სიტყვად მას მიაჩნია არა მი—გამეორება მიხვდას პრევერბისა, არამედ მის. ამგვარად, ტაეპის დასასრული ასე უნდა შესწორდეს: ვსება სჭირს მის სოქალისა. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი დაბალი შაირით არის დაწერილი. დაბალი შაირი კი სამმარცვლიანია. ქ-ანი აქ რითმაში დასაყრდენი თანხმოვანია. რითმა კი აქ არის — ალისა. სოქალი იმ გაგებით, როგორც ი. აბულაძე წარმოგვიდგენს, თითქოს ის თურქულ-სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ყანის ჭირს, სიყვითლეს, — არ უდგება აქ აზრით. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთველი არ ხმარობდა ისეთ უცხო სიტყვებს, რომელთაც საყოველთაო გავრცელება არ ჰქონდათ. მი-სოქალისა — აქ მი-ს გამეორებაც უაზროა. ამიტომ უნდა მივიღოთ დ. კარიჭაშვილის გასწორება: მას აქ ალისა. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ხელნაწერებში ეს ადგილი მომეტებულ შემთხვევაში ასე გვხვდება: მისო ქალისა, მისი ალისა, მისვე ალისა. შესწორება ხელნაწერებზე დაყრდნობით უნდა შევიტანოთ, ამიტომ აქ შესაძლებელია დავტოვოთ: ვსება სჭირს მისი ალისა. ს. იორდანიშვილი არ იზიარებს ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილ შესწორებას. მი — პრევერბის გამეორება რუსთველს მაშინ სჩვევია, როდესაც ტაეპის წინა ნაწილში ხმარებულ ზმნის გამეორება სჭირდება აზრის გასაძლიერებლად, მაგალითად: დაეფანჩვა მარეკი, და — შოთას მიერ ნახმარი ნიშნავს: დაეფანჩვა მარეკი, დაეფანჩვა. აქ კი „მი სოქალისა“ თუ მივიღებთ, მი—გამეორება

გამოვა წინა ნაწილში ხმარებულ ზმნის მიხედვას, რაც უაზრობაა: ვსება სჭირს მისვლა სოქალისა. წინა სტროფში საუბარიან მიჯნურობის ცეცხლზე, რომელიც სწავდა ავთანდილს. მოსალოდნელია, რომ აქ ახლა თინათინის ხშირად ნახვის შესაძლებლობით ამ ცეცხლის ალის დავსება ეღირსება. ამიტომ გასაზიარებელია დ. კარიჭაშვილის გასწორება „ვსება სჭირს მას აქ ალისა“, რომელიც შემდეგში კ. ჭიჭინაძემაც გაიზიარა. ა. შანიძე არ იზიარებს ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილ გასწორებას. ამ ტაეპის დასასრულს ალი კი უნდა ვივარაუდოთ აზრით. ნ. მარი შეეცადა ამ ადგილის გაგებას და მოგვცა კიდევ გასწორება. მისი ახსნით აქ სუგ სპარსულია, შემდეგ სომხურშიაც გვხვდება, ქართულში შემონახულა დიალექტური ფორმა სოქ, რომელიც მწუხარებას ნიშნავს. აზრი ისეთი იქნება: ვსება სჭირს მწუხარების ალისა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ თავის დროზე, როდესაც მარი შეეხო ამ ტაეპს, მან განაცხადა, რომ სპარსულში სიტყვა სოქალი არ იხმარება. ამიტომ ანგარიში უნდა გაეწიოს ამ გარემოებას. აზრის მიხედვით კი სოქალისა იმ განმარტებით, რომელიც მარმა მოგვცა, უფრო უდგება კონტექსტს. ამიტომ, ჩემის აზრით, რადგან ტაეპში ს-ანებს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული პოეტის მიერ, უმჯობესი იქნებოდა ტაეპის ასე შესწორება: ავთანდილს მიხვდა სიამე, ვნება სჭირს მის სოქალისა. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია მარის ავტორიტეტზე დაყრდნობა, რადგან მარს არ მოუცია არც ერთი სწორი წაკითხვა ვეფხისტყაოსნის მთელ წინასიტყვაობაში. ხმის უმეტესობით, წინასწარის სახით, ეს ადგილი კომისიამ ასე მიიღო: ვსება სჭირს მის სოქალისა. ი. აბულაძემ ხმა მისცა თავის წაკითხვას: მი სოქალისა. წინააღმდეგი იყო „მის სოქალისა“ (მარის გაგებით). კ. ჭიჭინაძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერენ დ. კარიჭაშვილის გასწორებას. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს—ნუთუ ვით ვპოვო. კომისიამ ხმის უმრავლესობით სტროფის ეს ადგილი ასე მიიღო: ნუ თუ მით ვპოვო... წინააღმდეგი იყვნენ ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე, კ. ჭიჭინაძე და მოითხოვდნენ: ნუთუ ვით ვპოვო. ა. შანიძე მხარს უჭერდა ასეთ წაკითხვას: ნუთუ რა ვპოვე.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, კომისიამ 36-ე სტროფის მეორე ტაეპის წაკითხვა „ვსება სჭირს მის სოქალისა“ წინასწარი სახით მიიღო. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად კომისიამ კვლავ იმსჯელა 1936 წ. 9 მაისის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. დასახელებული ტაეპის დაბოლოვება ოთხ გვარად იყო წარმოდგენილი: 1. მი სოქალისა-ს, მომხრენი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, 2. მას აქ ალისა-ს, მომხრენი — ს. იორდანიშვი-

ლი. კ. ჭიჭინაძე, ვ. მისი ალისა—ს. კაკაბაძე, 4. სოქ-ალისა — კ. კეკელიძე, ა. შანიძე. ი. აბულაძე რჩება თავის პირვანდელ აზრზე. სოქ-ალი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს სიგამხდრეს, სიყვითლეს ვსება — გაქრობის, დავსების მნიშვნელობით არის ხმარებული. ვ. ბერიძეს ყველა წარმოდგენილ გასწორებათაგან უფრო აზრიანად მიაჩნია დ. კარიჭაშვილის გასწორება: ვსება სკირს მას აქ ალისა — ალის ვსება, დავსების გაგებით. პ. ინგოროყვა იზიარებს აგრეთვე დ. კარიჭაშვილის შესწორებას. ა. შანიძე იზიარებს ამ დაბოლოების შესახებ მარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას. მისი აზრით, აქ უნდა დარჩეს: მის სოქალისა, სიტყვის პირველი ნაწილი სოგ — ქართულში გ-ანის დაყრუების გამო მიღებული გვაქვს — სოქ, მეორე ნაწილი ალისა კი არავითარ ექვს არ იწვევს, რომ აქ საქმე გვაქვს ალის დაქრობასთან. კომისიამ მიიღო: მას აქ ალისა — წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე.

კომისიამ იმსჯელა აგრეთვე 36-ე სტროფის მეოთხე ტაეპის დასაწყისის „ნუთუ ვით ვპოვო“-ს დადგენაზე. წარმოდგენილი იყო სამგვარი წაკითხვა: 1. ნუთუ ვით ვპოვო — მომხრენი ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, 2. ნუთუ რა ვპოვე — მომხრე ა. შანიძე, 3. ნუთუ ვით ვპოვო — ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე, კ. ჭიჭინაძე. კომისიამ მიიღო: ნუთუ ვით ვპოვო.

36¹ სტროფი: ავთანდილს მისით შორს ყოფით... ჩანართად ცნეს. შესწორებები არ შეტანილა.

37-ე სტროფის (არაბეთს გასცა ბრძანება) შესახებ ოქმში არაფერია აღნიშნული. ეს სტროფი ძირითადად არის მიჩნეული, რადგან დაბეჭდილია საიუბილეო (1937 წ.) გამოცემაში. განსხვავება ს. კაკაბაძისა და საიუბილეო გამოცემათა შორის ამ სტროფში არ არის, გარდა იმისა, რომ ტაეპის ბოლოს წერტილ-მძიმე საიუბილეო გამოცემაში შეცვლილია ორწერტილით.

კომისიის შემდეგ სხდომას (1935, V, 27) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 38—40 სტროფები.

38-ე სტროფი: მოვიდეს სრულნი არაბნი... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: გა მ რ ა ვ ღ და ს ნაცვლად მიიღეს განმრავლდა. მეოთხე ტაეპში: ნაცვლად—პირმზე და ბევრ ათასისა, დაიწერა: პირ-მზე, ბევრ-ათასისა. მეოთხე ტაეპში: დასდგეს, გასწორდა — დადგეს.

38¹-ე სტროფი: კვლავ მოახსენეს მეფეო... კომისიამ ჩანართად მიიჩნია. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ რადგან ეს სტროფი ჩვენამდის მოღწეულია ერთადერთ საექვო ხელნაწერით, ამიტომ მისი შესწო-

რება მიუღებელიაო. კომისიამ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და საკუროდ ცნო ასეთ შემთხვევაშიაც სტროფის დადგენისას საჭირო შესწორებების შეტანა. პირველ ტაეპში კომისიამ შეცვალა კულავ, ვქენით, გიამებისა. მათ მაგივრად მიიღო: კლა, ვქმენით, გეამებისა. მესამე ტაეპის ბოლოს კომისიამ დასვა კითხვის ნიშანი. მეოთხე ტაეპში: მოვხვიედ, შეცვალა — მოვხვიეთ.

381-ე სტროფი: ადგე, როსტენ, შენსა მზესა... კომისიამ ჩანართად მიიჩნია. პირველი ტაეპის ბოლოს დაისვა განცვიფრებინ (!) ნიშანი. მეორე ტაეპში: მიყავს, დაიწერა — მიჰყავს. მესამე ტაეპში: ვთელიდე, დაიწერა — ვსთელიდე. მეოთხე ტაეპში: შევკოდე, დაიწერა — შევსკოდე.

382-ე სტროფი: უკუვდგე ერთსა ადგილსა... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპის ბოლოს დაისვა განცვიფრების ნიშანი (!). მეორე ტაეპში: შეკადრა, დაიწერა — შეჰკადრა. მესამე ტაეპში: შეგაქს, კომისიამ შეცვალა შეგაქვს. მეოთხე ტაეპში: ზედა ზედა, დაიწერა დეფისით; არ მოშლილობა — დაიწერა ერთად.

39-ე სტროფი: თინათინ მიყავს მამასა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: მიყავს, დაიწერა — მიჰყავს. მეორე ტაეპში კამათს იწვევს: დასდგა თავისა ხელითა. ს. იორდანიშვილს უფრო სწორ წაკითხვად მიაჩნია ზოგიერთი ხელნაწერისა და ვახტანგის გამოცემით შენახული წაკითხვა: დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა. კომისიამ ასეთი წაკითხვა არ მიიღო. დარჩა: დასდგა თავისა ხელითა. მეოთხე ტაეპი იწვევს კამათს. ა. შანიძეს სწორად მიაჩნია წაკითხვა — მზეებრ სკერეტს. მისი აზრით, შეცვლა შეიძლება მხოლოდ მზისებრით და არა მზეებრით, რადგან ებრ ემატება ან სახელობითს მზე, — ანდა ნათესაობითს: მზის, ასე რომ მოსალოდნელია ან მზეებრ, ან მზისებრ. ი. აბულაძე მხარს უჭერს ვახტანგის გამოცემაში მოცემულ წაკითხვას: ქალი მზეებრ უჭკერეტს ყოველთა, ცნობითა ზე მხედველითა. ეს წაკითხვა მას მიაჩნია უფრო მართივად და ყველასათვის გასაგებად. კომისიის უმრავლესობამ გაიზიარა ეს მოსაზრება და მიიღო: ქალი მზეებრ უჭკერეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა. ზე მხედველითა — დაიწერა დეფისით.

მე-40 სტროფი: უკუ დგეს და თაყვანი სცეს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: უკუ დგეს — დაიწერა ერთად. წინააღმდეგი იყვნენ კ. კეკელიძე, ა. შანიძე და ა. ბარამიძე. თაყვანისცეს — დაიწერა ცალცალკე. კამათს იწვევს ტაეპის დასასრული: მეფემა და მისთა სპათა. ი. აბულაძეს სწორ წაკითხვად მიაჩნია — მეფეთა და მათთა სპათა. კომისიამ ტაეპის დასასრულის წაკითხვა ასე მიიღო: მეფემან და მისთა სპათა. მესამე ტაეპში: კრეს, დაიწერა — ჰკრეს, ამავე ტაეპში კა-

მათს იწვევს დასასრული: დაატკობდეს მათთა ხმათა. ი. აბულაძეს სწორ წაკითხვად მიაჩნია ზოგიერთ ხელნაწერსა და ვანტანგის გამოცემაში დაცული—დაატკობდეს ტკბილთა ხმათთა. ასეთი წაკითხვა კომისიის უმრავლესობამ არ გაიზიარა და დატოვა: დაატკობდეს მათთა ხმათა. წინააღმდეგნი იყვნენ კ. ჭიჭინაძე, ი. აბულაძე და ა. ბარამიძე. მეოთხე ტაეპში: ბოლო ფრთათა, დაიწერა დეფისით. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა ცალ-ცალკე დაწერილობას.

შემდეგ სხდომას (1935, V, 28) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. ამ სხდომაზე განიხილეს და დაადგინეს 41 — 49 სტროფები.

41-ე სტროფი: მამისა ტახტსა საჯდომად... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მამა ყოველთა, გასწორდა — მამა ყოველი. მეოთხე ტაეპში: ქნამდის, გასწორდა — ქმნამდის.

42-ე სტროფი: უბრძანა ნუ სტირ, ასულა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში, ზოგიერთ ხელნაწერის მიხედვით, ჩემგანის ნაცვლად იკითხება ჩვენგან. კომისიამ აზრის მიხედვით დასტოვა ჩემგან. მესამე ტაეპში კამათს იწვევს — შენი არს მართ მონდობილი. კ. ჭიჭინაძე და ი. აბულაძე მხარს უჭერენ მეორე ვარიანტს: მართ შენია მონდობილი. კომისიამ მიიღო: შენი არს მართ მონდობილი.

42¹-ე სტროფი: მერმე მოვიდნეს ლაშქარნი... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში მოვიდნეს ნაცვლად კომისიამ მიიღო მოვიდეს. მეოთხე ტაეპში: თქვა, გასწორდა — სთქვა.

43-ე სტროფი: ვარდთა და ნეხეთა ვინათგან... ძირითადად იქნა ცნობილი. პირველ ტაეპში: ვინადგან, გასწორდა — ვინათგან. მეორე ტაეპში: შენმცა, დაიწერა — შენცა. შენმცას მხარს უჭერდნენ ს. კაკაბაძე, კ. ჭიჭინაძე და ი. აბულაძე. მეოთხე ტაეპში: შეზდის, გასწორდა — შესდის.

43¹-ე სტროფი: გმირნი საამ, ზაალ, როსტომ... ჩანართად მიიჩნიეს. სტროფი შესწორდა H 461 ხელნაწერის მიხედვით, სადაც იგი სრულად არის დაცული. პირველ ტაეპში: გმირნი, შესწორდა — უთრუთ. მეორე ტაეპში: ამათ, დაიწერა — ვერც მათ. მესამე ტაეპში: დაიჭიროს, გასწორდა — კაცს ეჭიროს. მეოთხე ტაეპში: ვერა იგმოს მოყვასთაგან, გასწორდა — არ დაიგმოს მოყვარისაგან.

44-ე სტროფი: მეფეთა შიგან სიუხვე... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მორჩილობს, დაიწერა — კმორჩილობს. მეოთხე ტაეპში: კამათს იწვევს „რაც არა დაკარგულია“. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ნ. მარს ამ ტაეპის შესწორების ცდა აქვს და რომ იგი ამ ტაეპს ასე კითხულობს: რასაცა ვასცემ — შენია, რასც არა — დაკარგულია. მისი აზრით ასეთი შესწორება გრამატიკულად უფრო მისაღებია. ა. შანიძეს

მიუღებლად მიაჩნია იმ ეპოქისათვის ასეთი მეტად ხელოვნური შემოკლება „რასც“, რომელიც „რასაცა“-დან არის მიღებული. კ. ჭიჭინაძე წინააღმდეგია ამ ტაეპის შესწორებისა და ტრადიციული წაკითხვა სრულიად აზრიანად მიაჩნია. კომისიამ ტაეპის დასასრული ასე მიიღო: რას არა, — დაკარგულია.

45-ე სტროფი: ამა მამისა სწავლასა... ძირითადად მიიჩნის.

მესამე ტაეპში: იქს, შეიცვალა — იქმს. მეოთხე ტაეპში: მაგრამ, შეიცვალა — მაგრა.

45¹-ე სტროფი: აწ ნახეთ მეფე თინათინ, ჩანართად ცნეს. სტროფი გაიმართა H 461 ხელნაწერის მიხედვით, როგორც ს. კაკაბაძეს აქვს დაბეჭდილი.

46-ე სტროფი: მოიხმო მისი გამზრდელი... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: შენგან დანაბეჭდულევი, იწვევეს კამათს. კ. კეკელიძე აყენებს საკითხს „შენგან დანაბეჭდულევი“ შეიცვალოს „შენგანა ნაბეჭდულევი“. კომისიამ დატოვა: შენგან დანაბეჭდულევი. მესამე ტაეპში: მომართვით, გასწორდა — მომართვი. მეოთხე ტაეპში: ურიცხვი, გასწორდა — უზომო.

47-ე სტროფი: მას დღეს გასცემს: ძირითადად მიიჩნეეს, პირველ ტაეპში: მას დღეს, გასწორდა — მას დღე. მესამე ტაეპში: ვიქ, დაიწერა — ვიქმ. მეოთხე ტაეპში: დამალავთ, გასწორდა — დამალავს.

48-ე სტროფი: უბრძანა, წადით გახსენით... ძირითადად ცნეს.

მეოთხე ტაეპში: ხვეტლიან, გასწორდა — ჰხვეტლიან.

49-ე და 50-ე სტროფების განხილვისა და დადგენის შესახებ კომისიის ოქმში არაფერია აღნიშნული. პოემის ს. კაკაბაძისეული 1914 წ. და საიუბილეო 1937 წ. გამოცემებში კი ეს სტროფები შემდეგ სხვაობებს იძლევიან:

49-ე სტროფის მეორე ტაეპში: ქ ვ ე ნ ა ბ ა მ ს ა საიუბილეო გამოცემაში დაბეჭდილია: ქვე-ნაბამსა; მესამე ტაეპში: გვანდა — ჰგვანდა. მეოთხე ტაეპში: ცალიერსა, — მძიმის გარეშეა დაბეჭდილი.

50-ე სტროფის პირველ ტაეპში „სმა ჰამა“ დაბეჭდილია დეფისით; მესამე ტაეპში: დაკიდა — დაჰკიდა; დაღრეჯილობა, — მძიმის გარეშე. მეოთხე ტაეპში: „რა სკირსო?“ — ერთვის მძიმე; შექნეს — შექმნეს.

მორიგი სხდომა შედგა 1935 წ. 29 მაისს, დაესწრნენ კომისიის წევრები: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე.

განხილულ და დადგენილ იქნა 50¹—53 სტროფები.

50¹-ე სტროფი: თავსა ზის პირმზე ავთანდილ... იწვევეს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სხენებულო სტროფი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა გამოცემაში არის (ვახტანგის, ქართველიშვილის, კარიჭა-

შვილისა და სხვ.), ი. აბულაძემ ეს სტროფი და მისი მომდევნო ყალბად მიიჩნია. საკვიროა კომისიის წევრებმა გამოთქვან აზრი, თუ როგორ მოვექცეთ ამ სტროფსა და მის მომდევნოს, დაეტოვოთ ძირითად ტექსტში, თუ ჩანართთა შორის მოვათავსოთ. ა. ბარამიძეს ორივე სტროფი — 1) თავსა ზის პირმზე ავთანდილ და 2) მისი მომდევნო: თქვეს თუ მეფე — ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, ამ სტროფების გამოკლებით აზრთა თანამიმდევრობა არ არის გაწყვეტილი. 50-ე სტროფში აღწერილია ნადიმი და მეფის მოულოდნელი დაღრეჯილობა. სტროფის ბოლოს ნათქვამია: ნეტარ რა უმძიმს, რა სკირსო? შექმნეს ამისი ცილობა. ამ სტროფს უშუალოდ უნდა მისდევდეს: ადგეს სოგრატ და ავთანდილ. ცილობის შემდეგ დგებიან სოგრატ და ავთანდილ და მეფესთან მიდიან მისი დაღრეჯილობის მიზეზის გასაგებად. ამ ორ სტროფში (50¹-ე — 50²-ე) კი მოცემულია უშნო გამეორება იმისა, რაც უკვე ერთხელ მოკვეთილად არის ნათქვამი. 50-ე სტროფის დასაწყისი: ნეტარ რა უმძიმს, რა სკირსო, გამეორებულია 50¹-ე სტროფის მეოთხე ტაეპში: თქვეს თუ რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია. დაახლოებით ისევე მეორდება ამის მომდევნო (50²) სტროფში: თქვეს თუ მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა. ამიტომ ეს ორი სტროფი, როგორც ვარიანტები 50-ე სტროფისა, სქოლიოში უნდა ჩავიტანოთ. ი. აბულაძის აზრით, ეს სტროფები ყველა ნიშნით რუსთველისა არ უნდა იყვნენ. აქ სრულიად სამართლიანად აღინიშნა, რომ სტროფებში გამეორებაა იმისა, რაც 50-ე სტროფშია ნათქვამი. თითონ ეს სტროფები ნაწილობრივ ერთმანეთს იმეორებენ. 50¹-ე ჩანართი თავდება „თქვეს თუ რა უმძიმს მეფესა“ და 50²-ე ჩანართი იწყება „თქვეს თუ მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა“. ამასთან შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს სტროფი 2 ხელნაწერში — H 2074 და S 2829-ში — არ არის. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ის გარემოება, რომ ეს სტროფები S 2829 ხელნაწერში არ მოიპოვებიან, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ S 2829 ხელნაწერი მოკლე ტიპისაა. რაც შეხება H 2074 ხელნაწერს, აქ შეიძლება სრულიად შემთხვევით იყოს გამორჩენილი, რადგან სხვა ვრცელ ხელნაწერებში ეს სტროფები მოიპოვება. ამიტომ სტროფები უნდა დარჩესო. ა. შანიძის აზრით საქმის ვითარება ასეთია: 50-ე სტროფში მოცემული ნადიმის აღწერილობა გაწყვეტილია, ამის მომდევნო სტროფებში თითქოს მისი გაგრძელებაა. 50-ე სტროფში ნათქვამია: ნეტარ რა უმძიმს, რა სკირსო, შექმნეს ამისი ცილობა, 50²-ე სტროფში კი — „სოგრატ ვკითხოთ, გვითხრას რაცა შეგვეცილა“. ეს აზრი უკვე გამოთქმულია ზემოთ. 50¹-ე სტროფში ნათქვამია, „თქვეს თუ რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია“, გამეო-

რებაა 50-ე ძირითად სტროფში ნათქვამის: ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო. ამიტომ სტროფი ტავტოლოგიურად უნდა ვიცნოთ და, როგორც ასეთი, ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ ძირითად ტექსტისათვის. ს. იორდანიშვილი წინააღმდეგია 50¹-ე და 50²-ე სტროფის ძირითადი ტექსტიდან სქოლიოში ჩატანისა. მისი აზრით, სტროფები ძირითად ტექსტში უნდა დარჩნენ, რადგან ვახტანგის და აქედან მომდევნო ყველა გამოცემაში მოიპოვებიან. მათი H 2074 და S 2829 ხელნაწერებში გამორჩენა შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს. ამასთან, ამ ორ სადავო სტროფში სრულიადაც არ არის პირდაპირი გამოვლენა 50-ე სტროფში ნათქვამისა. 50-ე სტროფში აღწერილი ნადიმის ერთი დეტალი მოცემულია 50¹-ე სტროფში: „თავსა ზის პირმზე ავთანდილ“ და „ვეზირი ბერი სოგრატი თვით მასთანავე მჯდომია“. შემდეგ 50-ე სტროფის დასასრულს ნათქვამია, რომ შექმნეს ცილობა: „ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო“. მის მომდევნო სტროფებში კი წარმოდგენილია ეს ცილობა და გადაწყვეტილება: „გვითხოთ, გვითხრას რაცა შეგვეცილა“. ამგვარად, სტროფები ძირითადი ტექსტის საჭირო ნაწილებია და მათი ამოღება შეუძლებელიაო. კ. კეკელიძეს ზედმეტად მიაჩნია 50¹-ე და 50²-ე სტროფები. იგი აღნიშნავს, რომ ერთგვარი ეჭვი შეიძლება კიდევ იქონიოს კაცმა 50¹-ე სტროფზე, მაგრამ მისი მიმდევნო 50²-ე — აშკარად ჩანართია. ამასთან ეს სტროფი იწყება ისე, როგორც თავდება მის წინა 50¹-ე—თქვეს თუ რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი კრთომია. მისი მომდევნო (50²-ე) კი იწყება ისევე „თქვეს თუ მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა“. ეს აზრი მშვენიერად გამოთქმული იყო 50-ე ძირითადი სტროფის დასასრულს: „ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო, შექმნეს ამისი ცილობა“. ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია გადასვლა 51-ე სტროფზე „ადგეს სოგრატი და ავთანდილ“. ს. კაკაბაძე იზიარებს უმრავლესობის შეხედულებას, რომ აზრის მიხედვით სტროფების ამოღება შეიძლება. კ. ჭიჭინაძე, თანახმად მისი პრინციპული განცხადებისა, მონაწილეობას არ ღებულობს სტროფების სიყალბე-ნამდვილობის შესახებ მსჯელობაში. მისი აზრით, კომისია წაკითხვათა დადგენის შემდეგ კვლავ უნდა დაუბრუნდეს სტროფული მოცულობის დადგენას. ხმის უშეტესობით 50¹-ე და 52²-ე სტროფები ჩანართებად მიიღეს⁸¹.

50¹-ე სტროფში: თავსა ზის პირმზე ავთანდილ... დაწერილობის მხრივ შემდეგი ცვლილებები იქნა შეტანილი: პირველ ტაქტში: პირმზე, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაქტში კრთომია, დაიწერა — ჰკრთომია.

⁸¹ 50¹-ე სტროფი შეტანილია ძირითად ტექსტში (57). ამის შესახებ არ ჩანს კომისიის დადგენილება.

50²-ე სტროფში — თქვეს თუ, მეფე ცუდსა რასმე... შეორე ტა-
ეპში მათი ყოლე არა ქნილა, გასწორდა—„მათი ყოლა არა ქმნილა“.
მესამე ტაეპში: ვკითხოთ, გასწორდა ვკითხოთ. მეოთხე ტაეპში: ვკად-
როთ, გასწორდა — ვკადროთ.

50³-ე სტროფი: თინათინს ჰკადრეს... ჩანართად ცნეს. იგი გაი-
მართა H 461 ხელნაწერის მიხედვით. პრეფიქსებით დაიწერა: ჰკად-
რეს, ვკითხავთ, ჰფენიან, ჰკითხოს. ტურფა სიტყვამან, დაიწერა დე-
ფისით.

51-ე სტროფი: ადგეს სოგრატ და ავთანდილ... კომისიამ ძირითა-
დად მიიჩნია. მეოთხე ტაეპში: მოუბარითა, დაიწერა — მოუბნარითა.

52-ე სტროფი დაგილრეჯია, მეფეო... კომისიამ ძირითადად მი-
იჩნია. მესამე ტაეპში: საბოძვარ ხშირიო, დაიწერა დეფისით. მეოთხე
ტაეპში: ყოლემცა, შეიცვალა — ყოლამცა.

52¹-ე სტროფი: რა მეფემან მოისმინა... იწვევს კამათს. ი. აბუ-
ლაძე აღნიშნავს, რომ სტროფი დაწერილია იმგვარი ფორმებით,
რომლებიც მიუღებელია მე-12 საუკუნისათვის, ასეთებია: გაბედნა,
უიმედნა, დაიყბედნა. სტროფი დაწერილი უნდა იყოს შემდეგი
დროის რესტავრატორის მიერ, ამიტომ ძირითად ტექსტში მისი და-
ტოვება შეუძლებელიაო. ა. ბარამიძე აგრეთვე ძირეულად არ მიიჩ-
ნევს ამ სტროფს. მისი აზრით, აქ ტაეპთა შორის წინააღმდეგობაც
არის: ჯერ არის ნათქვამი, რომ ვაზირის სიტყვაზე გაიცინა, „გაიცინე-
ბით შემოხედნა“. შემდეგ წყრომაა გამოხატული: „ვით მკადრაო, ან
სიტყვანი ვით გაბედნა“, და შემდეგ კიდევ „დაუმაღლაო“. 52-ე
სტროფიდან 53-ზე აზრის მიხედვით გადასვლა სრულიად წესიერია,
ეკონომიური და ლაკონიური, რაც დამახასიათებელია რუსთველისათ-
ვის, ამიტომ 52¹-ე სტროფი სქოლიოში უნდა იქნეს ჩატანილი. ს. იორ-
დანიშვილი არ იზიარებს გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი აზრით,
სტროფი საკიროა სწორედ აზრთა თანამიმდევრობით. ამ სტროფში
მოცემულია ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა წყლიანად მოუ-
ბარ ვაზირის ლაღობამ მეფეზე და ნაწილობრივ მისი პასუხი და ზუ-
ლიერი განცდა: „გაუჟვირდა ვით მკადრაო“ და „კარგა ჰქენო“. აქ აზ-
რთა წინააღმდეგობას ადგილი არ აქვს. სტროფი ყველა ხელნაწერშია,
ვანტანგისა და სხვა გამოცემები ბეჭდავენ და ჩვენ არ გვაქვს უფლე-
ბა მისი სქოლიოში ჩატანისა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფში
ზოგიერთი ახალი ფორმა იქცევის ყურადღებას: გაბედნა, უიმედნა —
თორემ ისე სტროფი თითქოს საკიროა. შესაძლოა აქ ხელნაწერი დე-
ფექტური იყო და ცადეს აღდგენა. ამიტომ ეს სტროფი საეჭვოდ შე-
იძლება იქნეს ცნობილი და ასეთი შენიშვნით დარჩეს. ვ. ბერიძეს
სტროფი ძირითად ტექსტის ნაწილად მიაჩნია და იძლევა მესამე ტაე-

პის თავისებურ ინტერპრეტაციას. სახელდობრ, რომ „კარგა ჰქენო, დაუმაღლა, ბრძანებანი უიმედნა“, მიმართულია თინათინისადმი. ამ სიტყვებით მეფე, მამა უწონებს საბოძერის გაცემას თინათინს და ვაზირებს ეუბნება, რომ ვინც მე სიძუნწეზე დამძრახა, ის ტყუის, ყბედობსო. კ. კეკელიძეს ასეთი განმარტება პრობლემატურად მიაჩნია და თავის მხრივ სტროფს ჩანართად თვლის. კენჭის ყრისას თავს იკავებენ კ. ჭიჭინაძე, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე. სტროფის ძირითადად დატოვებას მხარს უჭერენ ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი. 1936 წ. 7 მაისის სხდომაზე ამ სტროფის საკითხი კომისიამ ისევ განიხილა და იგი ძირითადად მიიჩნია. სტროფის მესამე ტაეპში: ბრძანებანი, გასწორდა — წყალობანი.

52²-ე სტროფი: მეფემან ბრძანა მიფიცავს... ჩანართად ცნეს. დაწერილობის მხრივ ცვლილებები მარტო სასვენ ნიშნებს შეეხო.

53-ე სტროფი: ეგე არ მიძიმს ვაზირო.. ძირითადად მიიჩნიეს. სტროფი არ შესწორებულა.

პირველ ივნისის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 53¹ — 58²-ე სტროფები.

53¹-ე სტროფი: როსტან დაბერდა, გაუშვებს... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: პურობა დარბაზებართა, დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: მგზავსი, დაიწერა — მსგავსი. მეოთხე ტაეპში: შეგავს, გასწორდა — შეჰგავს.

54-ე სტროფი: ერთაი მიზის ასული... კომისიამ ძირითადად ცნო. მეორე ტაეპში: ღმერთმა, შესწორდა — ღმერთმან; მამცა, დაიწერა — მომცა; ყმა შვილი, დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: ანუცა მყვანდეს, გასწორდა — ანუმცა მყვანდა; კვლავ, დაიწერა — კვლა. მეოთხე ტაეპში ავთანდილის შემდეგ მძიმე მოიშალა.

55-ე სტროფი: ყმა მეფისა ბრძანებასა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. მეორე ტაეპში: თავმოღრეკით, დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: თეთრთა კბილთა, გასწორდა — თეთრთა კბილთათ. მეოთხე ტაეპში: კითხავს, დაიწერა — ჰკითხავს; რას შეგრცხვენდა, გასწორდა — რა შეგრცხვენდა.

55¹-ე სტროფი: მეფემან ბრძანა სიცილით... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: „ქვეშ ქვეშ“ და „პირ აღრებია“, დაიწერა დეფისებით.

56-ე სტროფი: კვლავ უბრძანა... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ წინა 55-ე სტროფში მეფის შეკითხვაში „რას იციანი, ანუ ჩემგან რას შეგრცხვენდა“ აზრი დასრულებულია. ეს სტროფი კი წარმოადგენს მის განმეორებას: „კვლავ უბრძანა: თავსა ჩემსა, რას

იცინი, რა დამგმეო“. შემდეგ ავთანდილი ეუბნება მეფეს: რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო, მაშინ როდესაც არაფერი მეფისათვის საწყენი არ უნდა ყოფილიყო, თუ ავთანდილი უკეთესი მშვილდოსანი აღმოჩნდებოდა, ეს მას უნდა გახარებოდა კიდევ, ასე რომ აქაც წინააღმდეგობაა. ფორმალურადაც სტროფი სუსტია, ამიტომ რა ძირითად ტექსტიდან ამოღებული უნდა იქნესო. ს. იორდანიშვილი წინააღმდეგია სტროფის ამოღებისა. მისი აზრით, სტროფი თუ „კვლავ უბრძანა“-თი იწყება, ეს იმით აიხსნება, რომ ავთანდილი აყოვნებს მეფისადმი პასუხს და მეფე ხელმეორედ ფიცით ჰკითხავს, თუ რას იცინიო. სტროფის დანარჩენ სამ ტაქტში არავითარი გამეორება არ არის და სტროფი აზრის მხრივ საკიროა, იგი ძირითად ტექსტში უნდა დარჩესო. ვ. ბერიძეს აზრთა თანამიმდევრობისათვის სტროფი საკიროდ მიაჩნია და მხარს უჭერს მის ძირითად ტექსტში დარჩენას. ეს სტროფი რომ ამოვიღოთ, — განაცხადა მან, — გაუგებარი იქნება 57-ე სტროფის დასაწყისი: „უბრძანა რადმცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა“. უამისოდ ნამეტანი გადახტომა იქნება, რაც გაუმართლებელია. ამიტომ სტროფი უნდა დარჩესო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ერთადერთი რაც ამ სტროფის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას, ეს არის, რომ იგი გაუმართავია: რად დამგმეო, არ გასწყრეო, არ ამიკლო ამაზეო. რომ ესე არ იყოს, სხვა მხრივ ეს სტროფი საკიროა. უნდა ვიფიქროთ, რომ სტროფი დაზიანებული იყო და აღადგინეს როგორც შეძლეს. ამიტომ სტროფი იყოს აღდგენილი ძირითად ტექსტში, სათანადო შენიშვნით კომენტარებში. ი. აბულაძეს სტროფი მიაჩნია ახალი ენით დაწერილად და შეუფერებლად. ამასთან თვით მეფესა და ავთანდილს შორის ასეთი დამოკიდებულება, როგორც აქ არის გამოხატული, არ შეიძლება ყოფილიყო. მეფე ეუბნება რა დამგმეო ე. ი. გამლანძღეო, ეს კი შეუძლებელია. შემდეგში 57-ე სტროფიც ამას უნდა გაყვეს აუცილებლად, ამით არაფერი დაშავდება. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ რადგან ეს სტროფი ყველა ხელნაწერშია, ამას ანგარიში უნდა გაეწიოს და ძირითად ტექსტში დარჩესო. კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ 56-ე და შემდეგი 57-ე სტროფი განუყრელად უნდა იქნენ განხილულნი. თავის დროზე ნ. მარი შეეხო მათ და გამოთქვა თავისი დაკვირვება. მან დაასაბუთა, რომ ორივე სტროფი შეუძლებელია დარჩეს ძირითად ტექსტში. ამის შესახებ უფრო ადრე ა. სარაჯიშვილმაც გამოთქვა თავისი შეხედულება და დაასაბუთა. მისი დასაბუთება სწორია როგორც შინაარსის მხრივ, ისე ფორმალურად. ეს სტროფები ძალიან გამოიყოფიან წინა სტროფებიდან და ამიტომ ისინი გამოსატოვებელიაო. კენჭის ყრის შემდეგ სტროფები დარჩა ძირითად ტექსტში. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარა-

მიძე და კ. კეკელიძე. პირველ ტაეპში: კვლავ, დაიწერა — კვლა; რა დამგმეო, გასწორდა — რად დამგმეო. მეორე ტაეპში: კადრა, დაიწერა — ჰკადრა. მეოთხე ტაეპში: ამაზეო, ვარიანტებზე დაყრდნობით, გასწორდა — ამათ ზეო.

56¹-ე სტროფი: ავთანდილ ჰკადრებს... კომისიამ ჩანართად მიიჩინა. პირველ ტაეპში: კადრებს, დაიწერა — ჰკადრებს. მესამე ტაეპში: ვისს, დაიწერა — ვისს.

56²-ე სტროფი: უბრძანა თუ, მისმან მზემან... ჩანართად მიიჩნიეს. სტროფში შესწორება შეეხო სასვენ ნიშნებს.

57-ე სტროფი: უბრძანა რადმცა ვიწყინო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვიწყინო, გასწორდა — ვიწყინე. მესამე ტაეპში: საუბრისა, გასწორდა — საუბნარისა. მეოთხე ტაეპში: ნუ მაკვებ, შესწორდა — ნუ მოჰკვებ. ი. აბულაძე მხარს უჭერდა: ნუ მოგკვებ.

57¹-ე სტროფი: ავთანდილ კადრა... ჩანართად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: კადრა, დაიწერა — ჰკადრა, ტაეპის ბოლოს დაისვა კითხვის ნიშანი. მეოთხე ტაეპში: თავ ჩამოგდებით, დაიწერა დეფისით; სვმაში, გასწორდა — სმაში.

58-ე სტროფი: მიწაცა თქვენი ავთანდილ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მოვასხათ მოწმად თქვენივე ყმანია, კომისიამ შეასწორა — მოვახსენეთ მოწმად თქვენივე ყმანია. კ. ჭიჭინაძე და ი. აბულაძე მხარს უჭერდნენ ყმანია-ს ნაცვლად სპანია-ს. მესამე ტაეპში: ცუდილა უკუთქმანია, გასწორდა — ცუდნილა უკუთქმანია, მგავს — მგავსო.

58¹-ე სტროფი: მეფე ლალი და უკადრი... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: შემომიხველ, გასწორდა — შემომიხვედ.

58²-ე სტროფი: როსტევეან უთხრა... ჩანართად მიიჩნიეს. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. სტროფში შესწორება შეეხო სასვენ ნიშნებს.

შემდეგ სხდომას (1935, 2, VI) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განხილულ და დადგენილ იქნა 59 — 62 სტროფები.

59-ე სტროფი: მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ნუ იქო, გასწორდა — ნუ იქმო; შედრეკილობა კლებასა — დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: კარგთა კაცთასა, კ. კეკელიძის წინადადების თანახმად, გასწორდა — კარგთა ყმათასა, როგორც გარკვეული ტერმინი რაინდობის ინსტიტუტიდან. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს: ვისძი უთხრობდეს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „ვისძი უთხრობდეს, უნდა გასწორდეს: ვისძი უთხრობდენ. კომისიამ შესწორება მიიღო.

მე-60 სტროფი: ავთანდილცა დამორჩილდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დამორჩილდა, დაიწერა — დამმორჩილდა; გარდასწ-

ყვიტეს, გასწორდა — გარდაწყვიდეს. მეოთხე ტაეპში: ვინცა იყოს უარესი... ჩაისვა ბრჭყალებში.

მე-60¹ სტროფი: მეფე უბრძანებს კაცი ხამს... ჩანართად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მომრთველი, შესწორდა — მომრთმელი; ლაფალავად, დაიწერა — ლაფალ-ავად. მეოთხე ტაეპი: შენთა ნაკრავთა, გასწორდა — ჩვენთა ნაკრავთა.

61-ე სტროფი: კვლავ ბრძანა, მონა თორმეტი... და მასთან დაკავშირებული 65-ე სტროფი: უბრძანა, მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა..., იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ აქ მონა და ყმა არ არის გარჩეული მაშინ, როდესაც გარჩეულ უნდა იყოს. ჩვენ გვაქვს ძირითად სტროფებში სამი კატეგორია მსახურთა: მონა, ლაშქარი და კარგი ყმა. ამიტომ ეს სტროფი ამ მხრივ ეჭვს იწვევს. ფორმების მხრივ ეჭვს იწვევს აგრეთვე პირველი ტაეპის ბოლო: ჩვენთანა მარებლად. მ ა რ ე ბ ლ ა დ ნიშნავს მ ა ტ ა რ ე ბ ლ ა დ, აქ კი აზრით მონებს მათთან უნდა ევლოთ და არა ვინმე ეტარებინათ. რაც შეეხება 65-ე სტროფს, აქაც საუბარია იმავე მონებზე და მისი დასასრული: დაიწყო მოსვლა ნადირმან — გამეორებულია 66-ე სტროფში: მოვიდა ჯოგი ნადირთა. ამისდა მიუხედავად, მე მაინც ამ სტროფების ამოღების შესახებ თავს შევიკავებდი, რადგან ისინი თუ ამოვიღეთ, ნადირობის დეტალი არ გამოჩნდებოდა. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ მე-60 სტროფით აზრი დასრულებულია და 61-ე სტროფის დასაწყისი: კვლავ უბრძანა — აშკარად გვაჩვენებს მის ზედმეტობას. გარდა ამისა, სტროფში ენის მხრივ ეჭვს იწვევს გამოთქმა: მიუმცდარებლად. სტროფი ჩანართად უნდა მივიჩნიოთ. ა. ბარამიძე ამ სტროფს ნაწილობრივ საეჭვოდ თვლის, მაგრამ მაინც შესაძლებლად ცნობს მის ძირითადში დარჩენას. ტერმინი მონა და ყმა ვეფხისტყაოსანში აქა-იქ, მაგალითად, შერმადინის მიმართ, ერთფერ ცნებად არის გავებული. ს. იორდანიშვილს ნადირობის მთლიანი სურათისათვის სტროფები 61-ე და 65-ე საჭიროდ მიაჩნია. პირველში, სხვათა შორის, გვაქვს ცნობა შერმადინის შესახებაც. რაც შეეხება 65-ე სტროფის დასასრულს — „დაიწყო მოსვლა ნადირთა“, — იგი სრულიადაც არ არის გამეორებული 66-ე სტროფში, რომ ამის მიხედვით ზედმეტად ვიცნათ. 66-ე სტროფი იწყება ასე: მოვიდა ჯოგი ნადირთა. ჯერ იყო „დაიწყო მოსვლა“ და ახლა: მოვიდაო. აქ არის თანდათან შესვლა ნადირობაში. სტროფები ძირითადში უნდა დარჩესო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ როგორც ეს სტროფი, ისე 65-ე უნდა ამოვიღოთ ძირითად ტექსტიდან და ჩანამატ სტროფებად დავტოვოთო. 65-ე სტროფში ნათქვამია, რომ ამ მონებმა ნაკრავი შეადარონ და ნასროლი დათვალონო, ე. ი. ნამდვილი ჟიურის წევრები არიან, მაშინ როდესაც ზევით, ძირითად სტროფში, საამისოდ

მოწოდებულნი არიან კარგი ყმები. 61-ე სტროფში გაუგებარია დაპირისპირება შერმადინისა თორმეტ მონასთან. აზრის მხრივაც 61-ე და 65-ე სტროფები ერთმანეთის გამეორებაა. სტროფი ეპეს იწვევს ფორმების მხრივაც, როგორცაა: არენით და მიუმცდარებად. ამის გარდა, ყველამ, ვინც კი სპეციალურად მიაქცია ამ სტროფებს ყურადღება (სარაჯიშვილმა, უორდროპმა, მარმა, ინგოროყვამ), ერთხმად ყალბად მიიჩნიეს. ყველა ამ მოსაზრებათა გამო, ეს სტროფები ძირითად ტექსტიდან უნდა ამოღებულ იქნასო. 61-ე და 65-ე სტროფების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადაიღო კომისიის სრული შემადგენლობის შეკრებადღე.

კ. კეკელიძის წინადადების თანახმად, კომისია გადავიდა ნადირობის ეპიზოდის ყველა დანარჩენი სტროფის წაკითხვების დადგენაზე. ამასთან კომისიამ დაადგინა, რომ, ზემოაღნიშნული მიზეზებისა გამო, გადაღებულ სტროფულ მოცემულობას იგი დაუბრუნდეს ამ ეპიზოდის წაკითხვების დადგენის შემდეგ.

კომისიამ სტროფების (62 — 101) წაკითხვათა დადგენა დაამთავრა 9 ივნისს. მათი ძირითადობისა და ჩანართობის საკითხების განხილვას აწარმოებდა 10 და 11 ივნისს. პირველ სხდომაზე (არ დასწრებია ს. კაკაბაძე) განიხილეს 61 — 80 სტროფები, მეორეზე (დაესწრო კომისიის სრული შემადგენლობა) 81 — 107 სტროფები. კომისიის 10 და 11 ივნისის სხდომათა ანგარიშები შეეუერთეთ სტროფების წაკითხვების სხდომათა ანგარიშებს და ერთად წარმოვადგინეთ ზემოდასახელებული ცალკეული სტროფების დადგენის ისტორია.

10 ივნისის სხდომის დაწყებისას, კომისიამ მოისმინა კ. კეკელიძის მოსაზრება 61-ე და 65-ე სტროფების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კომისიის 2 ივნისის სხდომაზე ჩვენ უკვე მოვისმინეთ ჩემი მოსაზრება, თუ რატომ უნდა იქნენ ამოღებული ძირითადი ტექსტიდან 61-ე და 65-ე სტროფები. იმას ახლა დავუმატებ კიდევ ერთს: წინა სტროფებში (59, 60) უკვე დაასახელეს ჟიურის წევრები („კარგთა ყმათასა“) და პირობები მისი („თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“). ამის შემდეგ სრულიად მოულოდნელი და ზედმეტია 12 მონის მოწვევა ამავე დანიშნულების შესასრულებლად. საერთოდ მთელი ეს ეპიზოდი ნადირობისა (60 — 74), საჭიროა ერთად იქნეს განხილული; ცხადია, ამ ეპიზოდს რალაც კატასტროფა განუცდია შემდეგში და შესამჩნევად რესტავირებულა. ამაში ბევრი სტროფი საეჭვოა. როგორც ვთქვი, შემდეგში ჩამატებულია სტროფები 61-ე და 65-ე, რომლებშიაც 12 მონა გაჩნდა 74-ე და 82-ე სტროფების ზეგავლენით. ამოსაღებია 66-ე სტროფიც, ვინაიდან პირველი ტაეპი მისი იმეო-

რებს წინა (65-ე) სტროფის უკანასკნელ ტაქსს და თან ეწინააღმდეგება 64-ე სტროფს, სადაც ნათქვამია, რომ ნადირობა უკვე გაჩაღდა „ისროლდეს და ერთგან სრვიდეს“. როგორ, ჯერ „ისვრიან და ჰკლავენ“ და მერე „მოვიდა ჯოგი ნადირთა“? ეს ისეთი აბსურდია, რომ უნებლიეთ გეცემა თვალში. უნდა ამოღებულ იქნეს 68-ე სტროფიც, რადგანაც ის ზუსტი გამეორებაა წინა 67-ე სტროფისა, და წინასწარ, ნადირობის დამთავრებამდე, გადაწყვეტა საკითხისა ავთანდილის სასარგებლოდ. ამოღებული უნდა იქნეს აგრეთვე ყველა ის სტროფი, რომელშიაც მონები ნადირობის შედეგს მოახსენებენ მეფესა (70 — 73), ჯერ ერთი იმიტომ, რომ, ჩემი ძირითადი შეხედულებით, მონები ვერავითარ შემთხვევაში ქიურის წვერებად და საქმის გადამწყვეტად ვერ იქნებოდნენ. მეორე, ისე გამოდის, თითქოს მთელი ეს მოხსენება მონებისა და შეფასება ნადირობისა ხდება მაშინ, როდესაც მეფე და ავთანდილი ცხენზე სხედან, ცხენიდან „გარდახდებიან ძირთა ხეთასა“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეფასებას მოისმენენ, — ეს კი არაბუნებრივია. უნდა მომხდარიყო პირობით. მესამე, ძალიან შეუფერებელია და არსებითად არა სწორი მეფის ავთანდილისადმი განწყობილების გამოსახატავად სიტყვები: აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა (73). მეუბნებიან, ამ სტროფების ამოღებით ნადირობის შეფასება შეუსრულებელი რჩებაო. მერე რა, არცაა ეს კომპოზიციის თვალსაზრისით აუცილებელი. ნადირობის სცენა მართლა ამისთვის კი არაა უმთავრესად მოგონილი, რომ ავთანდილის უპირატესობა მოხუცი მეფის წინაშე გვაჩვენოს, არამედ იმისათვის, რომ შექმნას პირობები „უცხო ყმის“ შეხვედრისა და წახვისა, კომპოზიციისათვის მთავარი ესაა. დაახლოებით ასევე უყურებენ ნადირობის ეპიზოდს ისინიც, ვინც სპეციალურად შეეხენ მას, პროფ. ნ. მარი და პ.ინგოროცვა. ამრიგად, აღნიშნული სტროფების ამოღების შემდეგ ნადირობის სცენაში დარჩება შემდეგი სტროფები: 60, 62, 63, 64, 67, 69, 74.

ა. ბარამიძეს მთელი ამ ეპიზოდთან ამოსაღებად მიაჩნია მხოლოდ 68-ე სტროფი: იგი ველი გაირბინეს... ეს სტროფი გამეორებაა წინა და მისი მომდევნო სტროფისა (იგი მინდორი დალივეს). ფორმის მხრივაც ატროფი მაჯამისებურად არის გამართული და, როგორც ასეთი, ექვს იწვევს. დანარჩენი სტროფები (ნადირობის მთლიან ეპიზოდთან) უნდა დარჩესო. ვ. ბერიძე არ იზიარებს კ. კეკელიძის შეხედულებას ნადირობის ეპიზოდთან ზემოდანსახელებული სტროფების ამოღების შესახებ. მისი აზრით, ნადირობის ეპიზოდი მთლიანად უნდა დარჩეს. გამეორება ხანდახან პოეტს აზრის გასაძლიერებლად სჭირდება და სადაც ამ ხერხს მიმართავს, ჩვენ თუ გამეორების მიზეზით გა-

მოვტოვეთ ძირითად ტექსტიდან, ასე ვეფხისტყაოსანს გავანახევრებთ. რაც შეეხება 68-ე სტროფს, აქ არავითარი მაჯამა არ არის და რომ იყოს კიდეც, რამდენი მაჯამაა, რომ ჩვენ ვეფხისტყაოსანში დავტოვეთ. ნადირობის ეპიზოდში აუცილებელია შეჯიბრების შედეგი და მის გასარკვევად აუცილებლივ მონებიც საჭირონი იქნებოდნენ. მონების გარდა ნასროლ-ნაკრავს და დახოცილს მაინც ვერვინ დაითვლიდა, ამ მხრივ მონა ამავე დროს არის კარგი ყმა. ამიტომ ჩემი წინადადებაა, მთლიანად ნადირობის ეპიზოდი დარჩეს როგორც არის და ასეთ ქირურგიულ ოპერაციას ვერიდოთ. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ნადირობის სურათი ვეფხისტყაოსანში აუცილებელია. მაგრამ ზოგიერთი სტროფი ეჭვს იწვევს. ასეთებად მიაჩნია 61-ე (კვლა ბრძანა, მონა თორმეტი) და 68-ე სტროფები (იგი ველი გაირბინეს), რომელთა ძირითად ტექსტიდან ამოღება საჭირო არისო. ა. შანიძე არ იზიარებს ნადირობის ეპიზოდიდან იმ სტროფების ამოღებას, რომელნიც კ. კეკელიძემ დაასახელა, სახელდობრ, 61, 65, 66, 68, 70, 71, 72, 73. იგი აღნიშნავს, რომ ასე ხელალებით ამ სტროფების გამოტოვება მთლად კარგავს ნადირობის ცოცხალ სურათს, რომელიც უეჭველად საჭიროა, რომ დარჩეს. მართალია, ალაგ-ალაგ აქ არის სუსტი ადგილები, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ადგილები რუსთველსაც ექნებოდა. 68-ე სტროფი — იგი ველი გაირბინეს — არც იმდენად სუსტია. ფორმის მხრივ ეჭვს იწვევს მხოლოდ 61-ე სტროფის მარჯებლად. ამიტომ ყველა დანარჩენ სტროფის დატოვების მომხრე ვიქნებოდით. კენჭისყრით უარყოფილ იქნა კ. კეკელიძის წინადადება 61, 65, 66, 68, 70, 71, 72 და 73 სტროფების ამოღების შესახებ. შემდეგ კენჭი ეყარა 61-ე სტროფს: კვლავ ბრძანა მონა თორმეტი... სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყვნენ ა. ბარამიძე, ა. ბერიძე, ს. იორდანიშვილი. 61-ე სტროფის პირველ ტაეპში: კვლავ, შესწორდა — კვლა. მეორე ტაეპში: ჩემად, გასწორდა — ჩვენად. წინააღმდეგნი იყვნენ ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე; მამრთმეველად, შესწორდა — მომრთმეველად. მეოთხე ტაეპში: ნასროლ ნაკრავსა დაიწერა დეფისით.

62-ე სტროფი: მონადირეთა უბრძანა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: მინდორი, დაიწერა — მინდორნი. მესამე ტაეპში: სამზოდ იწვევს კამათს. კ. კეკელიძე და ა. შანიძე მხარს უჭერდნენ სამზოდ წაკითხვას. კომისიამ დატოვა სამზოდ (მომზადების გაგებით). მესამე და მეოთხე ტაეპის შესახებ კ. კეკელიძე აცხადებს, რომ ამ სტროფის უკანასკნელი ტაეპის გაგებაში მე ვიზიარებ მოსაზრებას კ. ჭიჭინაძის გამოცემისას. ის არის გაგრძელება მესამე ტაეპისა და შეიცავს ლაშქრისადმი მიმართვას: შეწყ-

ვიტყვით ჩვეულებრივი სმა და ნადიმი, მოდიოთ აქ, სანადიროდ წავი-
 დეთ, და იქ გავიხაროთო. ჩვეულებრივი გაგებით გაუმართლებელია
 „გაყარეს სმა და ნადიმი“. ლაშქარი მოპატიებებს ღებულობს წინა-
 დლით, ნადირობა იწყება მეორე დღეს (დილასა ადრე), მაშასადა-
 მე, რად უნდა „გაყარათ სმა და ნადიმი“ იმწამსვე, მოპატიებების მი-
 ლებისთანავე? ასეთი „გაყრა“ მოსალოდნელი იქნებოდა სანადიროდ
 წასვლის შემდეგ. მეორე, ჩვეულებრივი გაგება გვაძლევს სამ მო-
 მენტს: 1) ლაშქარი იღებს მოპატიებებს, 2) „გაყრიან“ სმას და ნადი-
 მობას, 3) „მუნ ამოდ გავიხარენით“. გაუგებარია სად (მუნ) გაიხა-
 რეს? ასეთი „გახარების“ ადგილი და საბაბი ან მიზეზი არ ჩანს. ვინ
 გაიხარა? გამოდის, სხვებთან ერთად პოეტმაც, რაც ვერავითარი მო-
 საზრებით ვერ გამართლდება. აქ ანალოგიას არ გვაძლევს „არ უნა-
 ხავს თვალსა ჩვენსა“, ვინაიდან „ჩვენსა“ მოცემულია ზოგადი მნიშ-
 ვნელობით: „თვალსა კაცისასა“. ამბობენ: „გავიხარენით“ არის
 აორისტიის ფორმა, ჩემი გაგება კი გულისხმობს ან. მომავალ დროს
 „გავიხარნეთ“ ანდა „მუნამცა“ ნაწილაკ „მცას“. ჯერ ერთი, ასეთი
 ფორმა ზმნისა ამავე სიტუაციაში გვაქვს უ„მცა“ ნაწილაკითაც: „მუნ
 ერთმანეთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით“, მერე რითმისთვის
 პოეტს განა მართო ასეთი „უკანონობა“ აქვს ხოლმე ჩადენილი? (იხ.
 მაგ., „ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სდინდი“; (666-ე
 აბულ., 836-ე ჰიქ.). ყოველ შემთხვევაში, თუ მაინცდამაინც აქ კატას-
 ტროფულ „უკანონობას“ მიგვითითებენ, მე მზადა ვარ „გავიხარე-
 ნით“-ის მაგიერ დავწერო გაიხარენით (რითაც „უკანონობა“ მოხს-
 ნილია), ვიდრე ტაეპი ძველებურად წავიკითხო და გავიგო. ამრიგად,
 ეს ადგილი ასე უნდა აღდგეს: მოდიოთ და მოიჯარენით, გაყარეთ სმა
 და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით. ანა და ვითომცდა „უკანონობის“
 თავიდან ასაცილებლად, „გაყარეთ სმა და ნადიმი მუნ ამოდ გაიხარე-
 ნით“. ა. შანიძე წინააღმდეგია ასეთი შესწორებისა და აღნიშნავს, რომ
 თუ ამ სტროფებს შევასწორებთ, უნდა შევასწოროთ ასე: „გაყარეთ სმა
 და ნადიმი, მუნ ამოდ გაიხარენით“, ან არადა, თუ დავტოვებთ გ ა ვ ი-
 ხ ა რ ე ნ ი თ, მაშინ მ უ ნ-ს უნდა მივუმატოთ-მ ც ა ნაწილაკი და მი-
 ვილოთ: მუნამცა გაიხარენით. სხვანაირად გასწორება შეუძლებლად
 მიაჩნიაო. ი. აბულაძე წინააღმდეგია ამ ტაეპის წარმოდგენილი სახით
 შესწორებისა და მხარს უჭერს ტრადიციულ წაკითხვას „გაყარეს სმა
 და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“. კომისიამ მიიღო ძირითადად
 კ. ჰიქინაძის შესწორება შემდეგი სახით: „ლაშქარნი სამზოდ აწვივენს:
 „მოდიოთ და მოიჯარენით, და გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავი-
 ხარენით““.

62-ე სტროფის მეოთხე ტაეპის დადგენის საკითხს კომისია კვლავ დაუბრუნდა 1936 წ. 8 მაისის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. სხდომაზე წაკითხულ იქნა კომისიის 1935 წ. 2 ივნისის სხდომის ოქმიდან 62-ე სტროფის შესახებ გამართული აზრები და დადგენილება, რის შემდეგ მოისმინეს ვ. ბერიძის მოხსენება „გაყარეს თუ გაყარეთ“. კომისიის საბუთიანობა 62-ე სტროფის მეოთხე ტაეპის შესწორების შესახებ მოხსენებელში არა-დამაჯერებლად მიიჩნია. მან აღნიშნა, რომ კ. ჭიჭინაძის უკანასკნელ გამოცემამდე 62-ე სტროფის მეოთხე ტაეპი იკითხებოდა „გაყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“... და ჩვეულებრივ იგი ასე ესმოდათ: მეფემ იცისცა ბრძანება მომავალი ნადირობის შესახებ და ამისათვის გაიცა სათანადო განკარგულება ჯარისადმი — შზადყოფნისათვის. სტროფის მეოთხე ტაეპი მიეწერებოდა ავტორს. გათავდა სმა და ნადიმი, რომელზედაც სასიამოვნოდ ვიმხიარულეთო. კ. ჭიჭინაძემ მეოთხე ტაეპიც მეფის ბრძანების შემცველად გამოაცხადა და ამასთან დაკავშირებით იგი ასე წაკითხა: „გაყარეთ“ სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“. ამასთანავე, „გავიხარენით“ ფორმა მყოფად აღიარა და საბოლოო ანგარიშში ტაეპს შემდეგი აზრი მიეცა: თავი დაანებეთ, ბრძანებს: მეფე, სმა და ნადიმს, იქ ნადირობას, გაუხაროთო ან გავიხარებთო. (იხ. კ. ჭ. გამოცემა დამახინჯებული ადგილების გასწორება, გვ. 284). როგორც ჩანს, კომისიასაც გაუზიარებია ჭიჭინაძის ეს გაგება და სტროფში შესწორება შეუტანია; გადამწყვეტელი მოსაზრება შესწორებისათვის (ამ შემთხვევაში) ეკუთვნის პროფ. კ. კეკელიძეს. რამდენად მე გავეცანი მის მოსაზრებას, იგი არაა დამაჯერებელი. „რად უნდა გაეყარათ სმა და ნადიმი იმწამსვე, როდესაც ნადირობა მხოლოდ მეორე დღეს იწყებოდაო?“ იმიტომ რომ: ჯერ ერთი — ნადიმობა კიი ხნის დაწყებული იყო, იგი უკვე მიიწურა: დღე ერთ გარდახდა პურობა; მეორეც: სანადიროდ უნდა წავიდნენ და ამას კი აუცილებელი მოზადება სჭირდება: სად გაგონილა სუფრიდან პირდაპირ შეეკაზმოს, მეფე შეჯდეს ნადირობას გაპოვიდეს... ამ და სხვა მოსაზრებათა მიხედვით კომისიას ახალი წაკითხვა დაუდგენია. ამ წაკითხვით მეოთხე ტაეპის აზრი შემდეგია: მეფე ბრძანებს: გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ (იქ, ნადირობას) გავიხაროთ, ან უკეთ: გავიხარეთ, მაგრამ ვინაიდან ამგვარი ფორმა სტროფის წამყვან რითმას (არენით) დაარღვევდა, ამიტომაც შოთამ იხმარა უკანონო გავიხარენით და იგი დასახა როგორც მყოფადიო, ვნახოთ, რამდენად სწორია ეს მოსაზრება. ვეფხისტყაოსანში, მართლაც ხშირია, მრავალია შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელია რითმის დარღვევა, თუ ზმნის საჭირო (აზრისათვის

საქირო) დრო უცვლელად დატოვებ. ენის ჩვეულებრივმა, ასე ვთქვათ, „მერიკე“ მფლობელმა ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან ზმნის დრო შეს-
ცვალოს და აზრის დამახინჯების ხარჯზე რითმა გამართოს, ანდა: აზრი
დაზოგოს და რითმა უხეირო მოგვცეს. შოთა აგრე არ იქცევა. ქარ-
თული ენის შეუდარებელი ოსტატი ორსავე მომენტს თანაბრად
ფლობს: გამართულ რითმასთან ერთად აზრსაც სრულყოფილს გვაძ-
ლევს და ამ მიზნით იგი ისევ და ისევ ქართულის, ამ შემთხვევაში,
ძველი ქართულის იშვიათ ბუნებასა და თვისებას მიმართავს. რომე-
ლია ეგ თვისება და ბუნება? მრავალია. მაგრამ ჯერხანად მხოლოდ
ერთს მოვიხმობ, სახელდობრ: მცა ნაწილაკს... ძველ ქართულში
„მცა“ ნაწილაკის ხმარებას ის თავისებურება ახლავს, რომ იგი კავ-
შირებით კილოს ვერ ეგუება. ყოველთვის, როცა კავშირებითი კი-
ლოს ფორმა წინადადებაში მოსალოდნელი, იგი აუცილებლად
თხრობითად უნდა გადაკეთდეს, თუ კი სადმე მცა ნაწილაკი გაერია.
ფრაზა „არა აქვს რაჲ ჭამონ“ (ე. ი. არაფერი აქვთ, რომ ჭამონ) მცა-
ნაწილაკის გარევისას ასე გადაკეთდება: „არა აქვთ, რამცა ჭამეს“...
შოთას მცა-ნაწილაკი ნახმარი აქვს სამი სხვადასხვა ენობრივ-სტი-
ლისტური ამოცანის გადასაწყვეტად, მაგალითად, როდესაც როს-
ტევეანმა თინათინს

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფელ ხმობილი.
აქათგან ესე სამეფო მართ შენია მონდობილი
და ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი“ (50).

უქანასკნელი ტაქტი უ„მცა“ ნაწილაკოდ ასე უნდა გამართულიყო:
იყავ ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი.
აქედან ცხადია: შოთა მცა-ნაწილაკს ტაქტის შიგნით ხანდახან იმ
მიზნითაც მიმართავს, რომ მხატვრულ სახეთა მრავალფერობა გვიჩ-
ვენოს და სიტყვამცირობა თავიდან აიცილოს... ერთს მაგალითს და-
ვასახელებ მეორე შემთხვევისათვის, როდესაც შოთა მცა ნაწილაკს
კვალად შიგნით ხმარობს სტრიქონის გასამართავად. მაგ., 672-ე
სტროფი ავიღოთ:

ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე,
ცხენისაგან გარდავიქვრ, თავი სრულად გავიციცხე.
ჩემთა ლაწუთა დანადგნი მე ჩემივე სისხლი ვიცხე
და ვუთხარ: „მომკალ, უჩემოსა ვნახოსმცა, ვისა ისე ხე“.

რას ნიშნავს აქ მეოთხე ტაქტი? მომკალ, თუ ჩემს გარდა სხვამ
ნახოს (მომავალში) ის ხე, მაგრამ პოეტმა, რომ ნ ა ხ ო ს იხმაროს, ცხა-

დია, ტაეპს მარცვალი დააკლდება. როგორ დააღწია თავი ამ გასაქირს პოეტმა? მცა-ნაწილაკს მიმართა, აზრი ოდნავადაც არ დაუშინიჩებია, სტრიქონიც გამართა. არის აქ მექანიკურად რისიმე ჩართვა? ოდნავადაც არა... კომისიას 62-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე ესმის: გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ (იქ, ნადირობას) გავიხარნეთ (გავიხაროთ), მაგრამ რადგან „გავიხარნეთ“ არღვევს რითმას, შოთამაც მის ნაცვლად ნამყო „გავიხარნით“ იხმარა და მას მყოფადის მნიშვნელობა მიაკუთვნაო. არ არის სწორი. ამის ნათელსაყოფად ვნახოთ როგორ იქცევა შოთა ანალოგიურ შემთხვევაში და ამგვარი შემთხვევა კი ვეფხისტყაოსანში ბევრია, მრავლის უმრავლესი, მხოლოდ რამდენიმეს დაეასახელებ:

თვალთა ხელი უკუ-ივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
ხმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიშამატურნა;
ცხენსა შეჭდა,—მონათამცა საუბარნი რად იყურნა.
და სხვასა მხარსა ვაემართა, მათნი ჭირნი არ განჯურნა.(97)

აქ რითმა არის ურნა, მაგრამ მეშამე ტაეპი აზრის მიხედვით 'მოითხოვს, რომ რითმის შემცველი ზმნა იქნეს მყოფადში: რად უყურებდა (ცხენსა შეჭდა, აბა, მონათა საუბარს როგორ დაუწყებდა ყურებას, მოსმენას). პოეტმა მიმართა ძველი ქართულის ამ უეჭველად იშვიათ ბუნებასა და ზმნის დროც შესაფერი შეინარჩუნა (მაშასადამე, აზრი არ დაამახინჯა) და რითმაც სათანადო მოგვცა.

ანალოგიური მაგალითებისათვის ვ. ბერიძემ განიხილა კიდევ 141-ე და 176-ე სტროფები, და მაგალითისათვის დაასახელა შემდეგი სტროფები: 174, 187, 192, 272, 279, 301, 334, 414, 498, 499, 546, 547, 548, 569, 579, 599, 614, 670, 680, 682, 691, 717, 775, 828, 836, 846, 870, 905, 941, 1114, 1221, 1350, 1447, 1603 და სხვა მრავალი⁸². კორნელი, აცხადებს მომხსენებელი, მიუთითებს 941-ე სტროფს, სადაც მცა-უნაწილაკოდაც ნამყო ზმნის მყოფადობაა დახატულიო. არაა მთლად მართალი. აი, ეს სტროფიც:

ამას მოკვდავი ვილოცავ, არ ოდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანეთი კელა ვნახეთ, კელა რამე გავიხარენით,
და მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომბყარენით.

აქ „გავიხარენით“ მომავალ მოქმედებას აგვიწერს, მაგრამ მცა-ნაწილაკი წინ არ უძღვის... არცაა საჭირო, მეორე ტაეპში მცა უკვე არის (მუნამცა), რომელიც საზღვრავს არა მარტო მის უშუალო მომდევნო

⁸² სტროფების ნუმერაცია აქ ნაჩვენებია კ. ჭიჭინაძის გამოცემის მიხედვით.

შევიყარენით-ს (მუნამცა შევიყარენით), არამედ გავიხარენით-საც, და ამგვარი მდგომარეობა გვაქვს არა მარტო პოეზიაში, სადაც პოეტი უპიკველად ერთგვარად შეზღუდულია, არამედ პროზაშიაც, სადაც მწერალს გაცილებით მეტი გასაქანი და თავისუფლება აქვს. აქაც ერთი მცა რამდენიმე წინადადებას, მაშასადამე, რამდენიმე შემასმენელს მართავს, ამრიგად, განაცხადა ვ. ბერიძემ, აბსოლუტური სიზუსტით გამოირკვა, რომ შოთას ოდნავადაც არ უჭირს ლექსი, კერძოდ, რითმა: უკანასკნელისათვის ის არც აზრს ღალატობს და არც ფორმას. ყოველთვის, როდესაც მას სჭირდება მომავალი საქმიანობა — მოქმედება აწეროს, მაგრამ ზმნის ჩვეულებრივი ფორმა მყოფადისა რითმას არღვევს, ის მიმართავს მცა ნაწილს და თავის მიზანს ბრწყინვალედ აღწევს. მაშასადამე, აქაც, ამ ხელოვნურად შექმნილ სადავო წაკითხვის სტროფშიაც, შოთას რომ მომავალი მოქმედება, ე. ი. ნადირობისას მოსალოდნელი სიამოვნება და მხიარულება ჰქონოდა მხედველობაში, იგი მეოთხე ტაეპს უცილობლად ასე გამართავდა: „გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნამცა გავიხარენით“. მხოლოდ ასე. მაგრამ პოეტს სხვა რამ აქვს მხედველობაში; ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა მომავალ ნადირობაზე, არამედ პოეტი წარსულ, უკვე გათავებულ ნადირობის ამბავს გადმოგვცემს. აქ საჭიროა კორნელის საბუთებს დავუბრუნდეთ. (სტროფის) ჩვეულებრივი გაგება გვაძლევს სამ მომენტს. 1. ლაშქარი იღებს მოპატიებებს. 2. გაყრიან სმას და ნადიმობას. 3. მუნ ამოდ გავიხარენითო. გაუგებარია სად (მუნ) გაიხარეს? ასეთი გახარების ადგილი და საბაბი ან მიზეზი არ ჩანს. ვინ გაიხარა? გამოდის, სხვებთან ერთად პოეტმაც, რაც ვერავითარ მოსაზრებით ვერ გამართლდება. აქ ანალოგიას არ გვაძლევს „არ უნახავს თვალსა ჩვენსა“, ვინაიდან „ჩვენსა“ მოცემულია ზოგადი მნიშვნელობით: „თვალსა კაცოსასა“. კორნელი ამბობს: გახარების ადგილი და საბაბი ან მიზეზი არ ჩანსო. — მკაფიოდ ჩანს: ადგილი ნადიმობაა, საბაბი და მიზეზიც იგივე. ჩვეულებრივად ნადირობენ მხიარულებისათვის და არსად, არავის არ გაუგონია, რომ ნადირობისას ტიროდენ. ეს ერთი. მეორეც, გავიხარენით და თვალსა ჩვენსა ორივე აბსოლუტურად თანაბარი ღირებულებისაა, სახელდობრ: თუ პირველი ნიშნავს ავტორის მონაწილეობას რაიმე საქმიანობაში (ამ შემთხვევაში ნადირობა), მეორეც უცილობლად იმავე ავტორის თანამხდურობის მაუწყებელია. და თუ „არ უნახავს თვალსა ჩვენსა“ ჩვეულებრივი თქმაა პოეტისა აზრის გასაცხოველებლად, იმგვარადვე შეგვიძლია გავიგოთ „მუნ ამოდ გავიხარენით“, — და არცაა საეაღდებულო, რომ პოეტი აუცილებლად სუფთაზე იჯდეს და მაშინვე წერდეს... ასეთია საქმის ვითარება და ყველასათვის ცხადი უნდა იყოს შესწორების მიუღებლობა. მაგრამ ვთქვათ, რომ მეოთხე ტაეპის ახა-

ლი წაკითხვა სწორია. მთლიანად სტროფი მინც არ გამოდგება: იგი შეუსაბამო, ლოგიკურად დანგრეული გამოვა. ვნახოთ:

ა) მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით, დაცევით ჯოგი მრავალი, თავნი ამისთვის არენით“.

ვინაა მბრძანებელი? მეფე.

შემდეგ ავტორი:

ბ) ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს

გ) მოდით და მოიჯარენით.

ვინაა მაწვიერი? არა მეფე, არამედ გაუპიროვნებულად:

ივინი — მათ.

დ) დასასრულ: გაყარეთ სმა და ნადიმი.

ვინ ბრძანებს? ისევ მეფე. ყოვლად შეუძლებელია.

დაგვრჩა აკაკის მოსაზრება, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში კორნელიც იზიარებს.

„გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გაიხარენით“, მიუღებელია, რადგან ამ შემთხვევაში გამორიცხულია მეფის მონაწილეობა ნადირობაში, მაშინ, როდესაც ფაქტიურად მეფე ამ ნადირობაში ერთი პირველთაგანია.

ვიღებთ რა მხედველობაში ყველაფერს ზემოთქმულს, აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ აბსოლუტურად არც ერთი ხელნაწერი მხარს არ უჭერს კომისიის შესწორებას, ვითხოვ მოიხსნას ეს შესწორება და აღდგენილ იქნას ძველი წაკითხვა⁸³.

ა. ბარამიძე მოითხოვს, რომ გადასინჯულ იქნას წინათ მიღებული დადგენილება და მომხსენებლის მიერ წაკითხულ მოსაზრებათა გაზიარების ნიადაგზე მივიღოთ ტრადიციული წაკითხვა: გაყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით.

ბ. ინგოროყვა იზიარებს მომხსენებლის აზრს და აღნიშნავს, რომ მუნ ამოდ გავიხარენით-ში რეალური თანადამხდურობა არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ პოეტური თანადამხდურობა და ამით კი არავითარი უხერხულობა არ არისო.

კომისიამ დატოვა ტრადიციული წაკითხვა. კ. ჭიჭინაძემ თავი შეიკავა. წინააღმდეგი იყო კ. კეკელიძე.

ვეფხისტყაოსნის პირველი თავის დასასრული სტროფების (62¹—70) დადგენა გაგრძელდა 1935 წ. 3 ივნისს, სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე.

62¹-ე სტროფი: უბრძანა სრულად ლაშქართა... მიიღეს ჩანარ-

⁸³ მოხსენება დათარიღებულია 7. VI. 35 წ.

თად. მესამე ტაეპში: ჩვენზედა მოასესია, შესწორდა — ჩვენზედ მოასხით ესია. მეოთხე ტაეპში: უარესია, გასწორდა — უკეთესია.

63-ე სტროფი: დილასა ადრე მოვიდა... მიიღეს ძირითადად. მეორე ტაეპში: პირად ბროლ ბალახშოსანი, გასწორდა — პირად ბროლ-ბადახშოსანი. პირად ბროლ-ბალახშოსანის მომხრენი იყვნენ ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი, კ. კიკინაძე. ბროლ-ბადახშოსანი დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში კამათი გამოიწვია პიროქრო რიდე ეხვია-მ. კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე მხარს უჭერდნენ ასეთ წაკითხვას: პირს ოქრორიდე ეხვია. კომისიამ მიიღო: პიროქრო რიდე ეხვია, საპირე მოქროვილ რიდეს მნიშვნელობით. ამავე ტაეპში შვენოდა, დაიწერა — ჰშვენოდა. მეოთხე ტაეპში გასვლად, დაიწერა — გასვლად: თუთრ ტაიქოსანი, დაიწერა დეფისით.

64-ე სტროფი: შეეკახმა მეფე, შეჭდა... მიიღეს ძირითადად: მეორე ტაეპში: ალყად გარე შემოკრვოდეს, ა. შანიძის წინადადების თანახმად, ასე შესწორდა — ალყას გარე შემოჰკვრიდეს. შესწორების წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და ა. ბარამიძე. ამავე ტაეპში კომისიამ დატოვა მ რ გ ვ ლ ი ვ. ი. აბულაძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ მ ე რ გ ვ ლ ი ვ ფორმას.

65-ე სტროფი: უბრძანა, მონა თორმეტი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მოსვლა, დაიწერა — მოსვლა.

66-ე სტროფი: მოვიდა ჯოგი ნადირთა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: მიუწლომელი, დაიწერა — მიუწთომელი. მეორე ტაეპში: მხტომელი, გასწორდა — მხლტომელი. მესამე ტაეპში: პატრონ ყმანი, დაიწერა დეფისით.

66¹-ე სტროფი: მას პატრონ ყმანი გაუხდეს... კომისიამ ჩანართად მიიჩნია. პირველ ტაეპში: პატრონ ყმანი, დაიწერა დეფისით. მეორე ტაეპში: დავსთვალეთ, დაიწერა — დავთვალეთ.

67-ე სტროფი: ცხენთა მათთა ნატერფალნი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მიხოცდეს, დაიწერა — მიჰხოცდეს, წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ა. შანიძე. მესამე ტაეპში: ი ს ა რ ნ ი, დ ა ე ლ ი ვ ნ ი ს იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ აქ „ისარნი დაელივნის“ შეთანხმება არ არის, ან უნდა იყოს „რა ისარი დაელივის“ ან და „ისარნი დაელივიან“. მრავლობითში უნდა დაისყვას, მაგრამ, რომ მარცვალთა რაოდენობა მეტი არ იყოს, საჭირო გახდებოდა და პრევერბის ჩამოშორება. მაშინ მივიღებდით „რა ისარნი ელივიან“. მაგრამ ასეთი შესწორება იქნებოდა რადიკალური და ხელნაწერთაგან დაშორებულიო⁸⁴. ამავე ტაეპში კამათს იწვევს მ ო ნ ა ნ ი ყ ე.

⁸⁴ დადგენილება წაკითხვის მიღებაზე ოქმში აღნიშნული არ არის, საიუბილეო გამოცემაში დაბეჭდილია: რა ისარი დაელივის.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ზოგიერთ გამოცემასა და ხელნაწერებში მოცემულია მონანივეს ნაცვლად მონანიყე. ყე ნაწილაკი მრავლობითში დასმულ ობიექტის აღმნიშვნელი იყო, ძველ ლიტერატურულ ძეგლებში გავრცელებულია. დღესაც ხმარებაშია ჩვენში როგორც აღმოსავლეთსა, ისე დასავლეთში, რაჭაში, მაგრამ იგი ყოველთვის ზმნასთან იხმარება. აქ კი სახელთან არის ხმარებული. ამიტომ შესაძლებელია აქვე იყოს მონანივე და არა მონანიყე. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში სხვა ადგილასაც გვხვდება ყე (მკურნალნი და დასტაქარნი წამალსაყე მოგიტანდეს) და მნიშვნელობა ის აქვს, რომ წამალსაც კი მოგიტანდესო. მართალია, ჩვენი ძეგლების მიხედვით ყე უმეტეს შემთხვევაში ზმნასთან არის ხმარებული, მაგრამ საჭიროა კიდევ ძიება, შესაძლოა ასეთი ხმარებაც დადასტურდეს, როგორც ამ შემთხვევაში გვაქვს. ამიტომ ყე-ს ნუ შევშლითო. კომისიამ მიიღო მონანიყე. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე, თავი შეიკავა ა. შანიძემ. მეოთხე ტაეპში: ბიჯსა წალმა-ს ნაცვლად დაიწერა: წალმა ბიჯსა.

68-ე სტროფი: იგი ველი გაირბინეს... ძირითადი ტექსტიდან ამოიღეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი. მეორე ტაეპში ამოსწყვიტეს ნაცვლად კომისიამ მიიღო ამოსწყვიდეს.

68¹-ე სტროფი: დაუწყეს პყრობანადირთა... ჩანართად მიიჩნიეს.

მესამე ტაეპში: სისხლნი დინდიან-ს ნაცვლად დაიწერა — სისხლნი სდინდიან.

69-ე სტროფი: იგი მინდორი დალივეს... ძირითადად მიიღეს, წაკითხვების მხრივ არ შესწორებულა. შესწორება შეეხო მხოლოდ სასვენ ნიშნებს.

69¹-ე სტროფი: რა მოირივნა დღემ ღამეს... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: მოირივნა დღემ ღამეს, დაიწერა — რა მოირივნა დღემ ღამესა... მესამე ტაეპში: თქვეს, ავთანდილ აჯობაო — თქვეს შემდეგ: ავთანდილ აჯობაო, გამოიყო ხაზებით. ტაეპის ბოლოს დაიწერა მძიმე.

70-ე სტროფი: ერთმანეთსა თუ მე გჯობო... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: მე გჯობო, ჩაჯდა ბრჭყალებში. მესამე ტაეპში: ყვებოდეს, დაიწერა — ჰყვებოდეს. მეოთხე ტაეპში: უბრძანეს, გასწორდა — უბრძანა. ამ სტროფის მეორე ტაეპში იქით და აქეთ ფორმები არ გაიზიარა ა. შანიძემ. იგი აღნიშნავდა, რომ ამ დროისათვის მოსალოდნელი იყო: იქი და აქა. ამავე აზრის იყო ვ. ბერიძეც. დადგენილება ამ საკითხზე არ ჩანს, საიუბილეო გამოცემაში კი ტექსტი უცვლელად არის (იქით და აქეთ) დაბეჭდილი. ამ საკითხს ა. შანიძე კვლავ დაუბრუნდა 142-ე სტროფის განხილვისას და მოითხოვა საკი-

9. სოლ. ყუბანეიშვილი

თხის ხელახლა გადასინჯვა, მაგრამ კომისიას ეს საკითხი კვლავ აღარ განუხილავს.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, VI, 4) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 70¹ — 74¹ სტროფები, მათი ძირითადობისა და ჩანართობის საკითხი განიხილეს 10 ივნისის სხდომაზე.

70-ე სტროფი: იგი მერსრე მონანი... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: კითხავს, დაიწერა — კითხავს. მესამე ტაეპში: კითხეს, დაიწერა — ჰკითხეს. მეოთხე ტაეპში ე რ გ ე ბ ო ღ ა კომისიამ, აზრის მიხედვით, გაასწორა ე გ ე ბ ო ღ ა.

71-ე სტროფი: მონათა კადრეს... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: კადრეს, გასწორდა — ჰკადრეს; გემტდარებით, დაიწერა — გემტთარებით. მეორე ტაეპში: ვერ გეტყვით, შეიცვალა — ვერ ვიტყვით. მესამე ტაეპში: ა წ ვ ე ც ა იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ აქ მოსალოდნელი იყო კონიუნქტივი: რომ დაგვხოცო ახლავე ვერ მოგეხმარებით, რომ მას⁸⁵ ჰგავდეთ. ამიტომ ა წ ვ ე ც ა ს მაგიერ აქ მოსალოდნელია: აწეცა, „ვერად ვერ მოგეხმარებით“ შეიძლება ჩავსვათ ფრჩხილებში, მაშინ მესამე და მეოთხე ტაეპები დაკავშირდება და აზრი ასეთი იქნება: ვერა ჰგავს მას, ვისგან ნაკრავნი მხეცნი წაღმა ვერ წასულანო. კომისიამ დატოვა აწვეცა; ვერად ვერ მოგეხმარებით გამოყო ხაზებით — ვერად ვერ მოგეხმარებით — მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს ვ ის გ ა ნ. კომისიის წევრები: ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდნენ მესამე და მეოთხე ტაეპების გამოყოფას წერტილით და მეოთხე ტაეპის ასე დაწყებას: მისგან ნაკრავნი. ამავე ტაეპში: ნაკრავი გვინახავს, კომისიამ მრავლობითში მიიღო, რადგან ლაპარაკია მხეცებზე მრავლობითში. ტაეპი ასე შესწორდა: ვისგან ნაკრავნი გვინახავნ⁸⁶ მხეცნი ვერ წაღმა ნარებით.

71-ე სტროფი: მონათა კადრეს მეფეთ... ჩანართად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: კადრეს, დაიწერა — ჰკადრეს. მესამე ტაეპში: მოკვლიდითა, დაიწერა — მოკლევლიდითა.

72-ე სტროფი: ორთავე ერთგან მოკლული... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მაგრამ, დაიწერა — მაგრა. მესამე ტაეპში კამათი გამოიწვია სართმავ სიტყვამ შე უ ტ ყ ო რ ც ი ა. კ. კეკელიძე მოითხოვს რ-ს ამოღებას, რადგან ამ ტაეპში რითმა ოცია და რა-აე ზედმეტია, შე-

⁸⁵ დნ.: იია.

⁸⁶ დნ.: გვინახვან.

უტყოცია სრულიად მართებული ფორმად. კომისიამ მიიღო შ ე უ ტ-
ყ ო რ ც ი ა. მეოთხე ტაეპში: მიწათა დასვრილი გაგვიზოცია, კომისი-
ამ ვარიანტებში აირჩია — მიწითა დასვრილი დაგვიზოცია. ა. შანიძე
და კ. კეკელიძე მხარს უჭერდნენ გაგვიზოცია-ს.

72-ე სტროფი: მეფე თავისა სიჯაბნეს... ჩანართად ცნეს. წაკითხ-
ვების მხრივ არ შესწორებულა, მოწესრიგდა მხოლოდ სასვენი ნიშ-
ნები.

73-ე სტროფი: მეფესა ესე ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ
ტაეპში კამათს იწვევს უ ჩ ნ ს. ა. შანიძე და კ. კეკელიძე მხარს უჭე-
რენ უნარო ფორმას უჩს, როგორც უფრო დამახასიათებელს ეპოქი-
სათვის. მეოთხე ტაეპში ამოსვლა, დაიწერა — ამოსლვა.

74-ე სტროფი: იგი ორნივე საგრილად... ძირითადად ცნეს. პირველ
ტაეპში: ძირთა ხეთასას — ნაცვლად კომისიამ მხარი დაუჭირა — ძირ-
სა ხეთასა. მეორე ტაეპში: შექნეს, დაიწერა — შექმნეს; მოსდგეს,
მოდგეს. მეოთხე ტაეპში: კლდეთასა, გასწორდა — ტყეთასა.

74-ე სტროფი: აქა ჩადის წყალი რამე... ჩანართად ცნეს. მეორე
ტაეპში: ჭავარ სრული, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში. შეექნა,
გასწორდა — შეექმნა.

5 ივნისის სხდომაზე (დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერი-
ძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. კომისიამ
განიხილა და დაადგინა 75 — 80 სტროფთა წაკითხვები, მათი ძირითა-
დობისა და ჩანართობის საკითხები კი განიხილეს 10 ივნისის სხდომაზე.

75-ე სტროფი: ნახეს უცხო მოყმე ვინმე... ძირითადად მიიჩნიეს.
მეორე ტაეპში: ყ ვ ა ნ დ ა-ს ნაცვლად კომისიამ, ხელნაწერთა ვარიანტე-
ბის მიხედვით, მიიღო ჰ ვ ყ ა. ამავე ტაეპში: ლომსა ვითა გმირსა —
კომისიამ შეცვალა: ლომსა და ვითა გმირსა. მესამე ტაეპში: ლაგამ აბ-
ჯარ უნავირსა, დაიწერა: ლაგამ-აბჯარ-უნავირსა.

76-ე სტროფი: მას ტანსა კაბა ემოსა... ძირითადად მიიჩნიეს. კა-
მათს იწვევს „გარე თმა ვეფხის ტყავისა“. ა. ბარამიძის გაგებით,
ამ ტაეპის აზრი ის არის, რომ უცხო მოყმეს კაბა ემოსა და მას გარე-
დან ვეფხის ტყავი ჰქონდა მოსხმულიო. ვ. ბერიძე იზიარებს ასეთ შე-
ხედულებას. ს. იორდანიშვილი არ ეთანხმება ამ გაგებას და, 619-ე
სტროფზე დაყრდნობით (რომე ვეფხი შვენიერი...), აღნიშნავს, ტა-
რიელი თვითონ ამბობს, რომ მას კაბა აცვია ვეფხის ტყავის, ამი-
ტომ გარე თმა ისე უნდა გავიგოთ, რომ ტყავს ბეწვი გარეთ აქვს მოქ-
ცეული, როგორც მთაში იციან ტყავის ჩაცმა, რასაც გ ა რ ე ქ ე ვ ე ვ ს
უწოდებენ. ამიტომ გ ა რ ე თ მ ა შეიძლება დეფისით დაიწეროსო.
კომისიამ ეს წინადადება გაიზიარა. დეფისის წინააღმდეგნი იყვნენ
ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და ა. შანიძე. მესამე ტაეპში: უმსხოსი, დაიწერ-

რა — უსხოსი. მერობზე ტაეპში მ ო უ ნ დ ა იწვევს კამათს. ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდნენ თ-ანიან ფორმას — მ ო უ ნ დ ა თ. კომისიამ მიიღო მ ო უ ნ დ ა.

76¹-ე (ზ) სტროფი: მნახავნი მოდგეს... ჩანართად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ყავს, დაიწერა — ჰყავს.

76¹-ე (ი) სტროფი: როსტან მონა გაუგზავნა... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: დავამგზავსე, დაიწერა — დავამსგავსე. მესამე ტაეპში: შემოყრია, დაიწერა — შემოჰყრია; მიცემულა, ვარიანტების მიხედვით შეიცვალა — მისცემია. მეოთხე ტაეპში: კითხე, დაიწერა — ჰკითხე.

76¹-ე (ა. ზ. ი.) სტროფი: მეფემან ბრძანა ვინ არის... იწვევს კამათს. ა. შანიძეს სტროფი შემდეგი დროის დამატებად მიაჩნია. მასში ექვს ბაღებს მეორე ტაეპის ბოლო: „წადი ფაცხლად და ჯანადო“ და აგრეთვე მეოთხე ტაეპი: „ვინცა ხარ, მოდი წინაშე, შენ ჩემგან მონაყვანადო“. ი. აბულაძის აზრით, ეს სტროფი არც შინაარსის მხრივ არის საჭირო. წინა 76-ე სტროფში ნათქვამია, რომ „ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“. აქედან ბუნებრივია მონის წასვლა. არ არის საჭირო, რომ უსათუოდ მეფემ უბრძანოს წასვლა. ეს სტროფი უშნოდ არის ჩაჩხირული და იგი უნდა ამოღებულ იქნასო. ა. ბარამიძეს სტროფი შინაარსის მხრივ აუცილებლად არ მიაჩნია და ფორმით საუკვოდ თვლის, მოითხოვს სტროფის ამოღებას. კ. კეკელიძეს სტროფი შინაარსის მხრივ საჭიროდ მიაჩნია, რადგან ივსება დეტალის ერთი ხაზი. მეოთხე ტაეპის — მოდი წინაშე, შენ ჩემგან მონაყვანადო — ექვს რომ არ იწვევდეს, მე ამ სტროფს მხარს დავუჭერდიო. ს. იორდანიშვილს შინაარსეულად საჭირო სტროფი ფორმის მხრივ მეტად სუსტად მიაჩნია. მხარს უჭერს სტროფის ჩანართად მიღებას. კ. ჭიჭინაძე მოითხოვს ამ სტროფის ძირითად ტექსტში შეტანას, იგი აღნიშნავს, რომ შინაარსის მხრივ სტროფი აუცილებელია, რადგან შემდეგი სტროფი იწყება: წავიდა მონა საუბრადო. მონა ვერ წავილოდა, თუ მეფე არ უბრძანებდა. ამასთან მომდევნო სტროფით (78-ე) ისიც ირკვევა, რომ მონა მეფის ბრძანებით არის გავზავნილი მის ყმის მოსაყვანად. მონა პირდაპირ ეუბნება: „გაბრძანებსო“. მეფის ეს ბრძანება კი მოყვანილია ამ სტროფში, რომლის ამოღებასაც მოითხოვენ. აზრის თანამიმდევრობისათვის ამ სტროფის გამოკლება ყოვლად დაუშვებელია. ეს სტროფი არც ფორმის მხრივ არის სუსტი. ჯ ა ნ ა დ და ჯ ა ნ ი ს ა დ ვეფხისტყაოსანში სხვაგანაც იხმარებაო. კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო. პირველი ტაეპის ბოლოს დაიწერა კითხვის ნიშანი. მესამე ტაეპში: ჩვენთა, შესწორდა — ჩემთა.

76³-ე სტროფი: მოახსენე, მეფე გიხმობს... ჩანართად ცნეს. მე-სამე ტაეპში: დამორჩილდეს, დაიწერა — დაჰმორჩილდეს.

77-ე სტროფი: წავიდა მონა საუბრად... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გულ მდუღარისად, დაიწერა დეფისით. ა. შანიძე მოითხოვდა მეორე ტაეპის ასეთ შესწორებას: თავ-ჩამოგდებით მტირლისად, არ ჰკვრეტით მოლიზღარისად. კომისიამ არ მიიჩნია აუცილებლად ასეთი შესწორება და დატოვა: თავ-ჩამოგდებით მტირლისა, არ ჰკვრეტით მოლიზღარისად.

77¹-ე სტროფი: მონა მივა, ბრძანებასა... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ხელ შეკრულსა, დაიწერა დეფისით.

78-ე სტროფი: ვერა კადრა საუბარი... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: კადრა, დაიწერა — ჰკადრა. მეორე ტაეპში: დიდხანს შესწორდა — დიდხანს.

79-ე სტროფი: მის მონისა არა ესმა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მათ ლაშქართა ზახილითა — კომისიამ, ვარიანტებზე დაყრდნობით, შეასწორა: მათ ლაშქართა ზახილისა... მესამე ტაეპში: უცხო რამე ამოსკვნოდა, კომისიამ, ა. შანიძის წინადადების თანახმად, მხარი დაუჭირა: უცხო რადმე ამოსკვნოდა.

მე-80 სტროფი: სხვაგან ქნის მისი გონება... იწვევს კამათს. ი. აბულაძე წინააღმდეგია სტროფის ძირითად ტექსტში დატოვებისა.

იგი კომისიას ურდგენს შემდეგ წერილობით განცხადებას:

დამდგენ კომისიას. გთხოვთ დაურთოთ ეს ჩემი განმარტება ორი ქვემორე დასახელებული ხანის [სტროფის] შესახებ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმს. ხანა „სხვაგან ქნის მისი გონება მისმან თავისა წონამან“, ჩვენი აზრით, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით, სრულიად შეუფერებელია შოთას კალმისათვის. ჯერ ერთი — იგი არის აშკარა ზედმეტი გამეორება; და მართლაც: გამოჩნდა თვალის და გულის მომხიბლავი უცხო მოყმე: რომლის შევნიერებისათვის თვალი ვერ მოეშორებიათ მეფესა და მის მხლებლებს, „ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოთა სანახავისა“. წავიდა მონა იმ ყმის საკითხავად, მაგრამ იგი გულმდუღარედ ტირის, „არ მოსკალდა სიტყვისა თქმად“. მონამ ველარ ჰკადრა საუბარი, შეშინებულმა, თუმცა გულს იმაჯრებდა, გაბედა და მოახსენა „გიბრძანებსო“ და მიაყურა. მონა ვერას გახდა, ჰაბუკი ტირის და არაფერი ესმის, ლაშქრის ზახილისაც სრულიად უგრძნობარი იყო, მის გულს რაღაც გაუგებარი ცეცხლი ედებოდა, დიდი ხნის დაგუბებული სისხლის ცრემლი გასდიოდა. სურათი სრულიად დასრულებულია და უმეტნაკლებო. მონა ერთხელ მოვიდა საუბრად, ყმას არ მოსკალდა მის სალაპარაკოდ, შიშით მონა ეტყვის „გიბრძანებსო“. პასუხად ჰაბუკი ტირს და არა ესმის მონის ნაუბა-

რიც, ლაშქართა ზახილიც მისთვის უგრძნობია, „უცხოდ რადმე ამოს-
კნოდა გული ცეცხლთა ნადებარი“, დიდი ხნის დაგუბებული სისხ-
ლის ცრემლი გასდიოდა. ყველა ამის შემდეგ, სრულიად ბუნებრივი
იყო გადასვლა [81-ე სტროფის] სიტყვებზე „რა პასუხი არა გასცა,
მონა გარე შემობრუნდა, როსტანს ჰკადრა: „შემიტყვია იმას თქვენი
არა უნდა“ დაწვრილებით უამბო მეფეს ჩვენთვის აშკარა ხანის
დაყოვნების მიზეზი. მაგრამ მოცილილ მელექსეს, ექსტაზში მოსულს,
მორეეია ლექსის ჩამატების სურვილი, შეუთხზავს და ზედმეტად ჩა-
უჩხირავს ხანა [სტროფი], რომელიც სრულიად შეუფერებელია შო-
თას სტილისათვის და მასთან მეტისმეტად უშინაარსო და გაუგე-
ბარი. რას ნიშნავს სიტყვები: „სხვაგან ქნის მისი გონება“, რომელსაც
ყველა ხელნაწერი უპერს მხარს, გარდა ერთისა და ისიც, ვარიანტე-
ბის მხრით, გაულგალურებული (H 461), ანდა რუსთველისთვის შე-
უფერებელი: „მისმან თავისა წონამან“. ამასთან მელექსე, დასახელებ-
ბულ 1-ლ ტაეპთან შეწყობით რომ კარგი ლექსი გამოსვლოდა, კი-
დეე ზედმეტად გვაბეზრებს თავს იმის ცნობით, რომ „ესე მეფისა
ბრძანება ერთხელ კვლავ ჰკადრა მონამან, არცა დააგდო ტირილი, არ-
ცა რა გაუგონა მან“-ო. ყველა ეს ხომ ვიცით, რადგან ამის შესახებ
უმეტ-ნაკლებო ცნობები გვაქვს მოცემული და ყველა ეს თავდება
რღაც უშნო და გაუგებარი მეოთხე ტაეპით, რომლის არც ერთი ახ-
სნა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. სახელდობრ,
ეს ტაეპია: „არცა გახლიჩნა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“, რომე-
ლიც გადააკეთა კომისიამ: ამასთან: „არცა რა გაიგონა მანო“, გაი-
გონა ახალი ქართულია და პოეტის დროისთვის შეუფერებელი.
ყველა ამისდა მიხედვით, მე ვფიქრობ, რომ ხანა „სხვაგან ქნის მისი
გონება მისმან თავისა წონამან“, სრულიად მეტია და უადგილო, რად-
გან იგი ახალს არაფერს არ იძლევა — არის კი მშრალი სიტყვების რა-
ხა-რუხი, რაც ჩვეულებრივ ახასიათებს ყალბის მქნელს და, როგორც
ახეთი, იგი უნდა განიდევნოს ძირითადი ტექსტიდან.

კომისიის წევრი იუსტინე აბულაძე. 10/6 — 35 წ. 87

ა. ბარამიძეს სტროფი შინაარსულად ზედმეტად მიაჩნია, თუმცა
ფორმის მხრივ სტროფს გამართულად თვლის. ვ. ბერიძე, ს. იორდანი-
შვილი და კ. კეკელიძე სტროფს ძირითად ტექსტისთვის საჭიროდ
ცნობენ, შინაარსის მხრივ არ მიიჩნევენ გამეორებად და მოითხოვენ
მის ძირითადად მიღებას. კომისიამ სტროფი ძირითადად იცნო. წინააღ-
მდეგი იყო ი. აბულაძე. ვ. ბერიძეს შეუძლებლად მიაჩნია ამ ტაეპის:
სხვაგან ქნის მისი გონება — წარმოდგენილი სახით დატოვება. ტაეპი,

87 დვ. 11/5—35 წ.

მისი აზრით, ასე უნდა შესწორდეს: „სხვაგან ქრის მისი გონება, მის-
 მან თავისა წონამან“. აზრი ასეთია, ვფიცავ მის თავის წონას, მისი
 გონება, მისი ფიქრი სხვაგან ქრისო. მართალია, უმრავლეს ხელნაწე-
 რებში ქნის არის, მაგრამ არის ერთი ხელნაწერი, სადაც ასეთი წა-
 კითხვა (ქრის) მოიპოვება. გარდა ამისა, ანგარიში უნდა გაეწიოს ნა-
 ბეჭდ გამოცემებსაც, სადაც ზოგან ქრის გვხვდებაო. ი. აბულაძე აღ-
 ნიშნავს, რომ ტაეპი ისე უხეიროდ არის ნათქვამი, რომ ძნელი გასა-
 გებია: მისმან თავისა წონამან: ego vekom головы გაუგებარია. ამი-
 ტომ ტაეპი ისე უნდა დარჩეს, როგორც უმრავლეს ხელნაწერებშია
 წარმოდგენილი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სხვაგან ქრის მოცემუ-
 ლია მხოლოდ ერთ (H461) ხელნაწერში, რომელიც ძლიერ გადაკეთე-
 ბულ ხელნაწერად არის ცნობილი. ყველა დანარჩენ ხელნაწერში იკი-
 თხება: სხვაგან ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან. აქ სხვაგვა-
 რი გაგება არის მოცემული. სხვაგან ქნის ინუ სხვაგან ქმნის ნამყო
 ხოლმეობითია და ახალი ქართულით ეს ტაეპი ნიშნავს: სხვაგან ამუ-
 შავეებს ხოლმე მის გონებას მისი თავის წონა. ამიტომ ტაეპი უმჯობე-
 სია ასე დარჩეს: სხვაგან ქმნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან.
 კ. კეკელიძე აღნიშნავს, ქნის, რომ კიდევ შევესწოროთ ქმნის,
 აქ მრავლობითი ფორმა მაინც არ უნდა იგულისხმებოდეს. მართალია,
 ქრის მოცემულია მდარე ხელნაწერში, მაგრამ აზრით ეს უფრო
 მისაღები უნდა იყოსო. კომისიამ, H 461 ხელნაწერზე დაყარდობით,
 ტაეპი ასე შეასწორა: სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წონა-
 მან. წინააღმდეგი იყვნენ ა. შანიძე და ი. აბულაძე. მეორე ტაეპში:
 კვლავ, დაიწერა—კვლავ; კადრა, დაიწერა—ჰკადრა. მესამე ტაეპში:
 გაუგონა, ვარიანტების მიხედვით, შეიცვალა—გაიგონა. მეოთხე ტაეპში
 კამათს იწვევს: არცა გახლიჩნა ბაგენი თავი ვარდისა კონამან. კ. კეკე-
 ლიძე აღნიშნავს, რომ ვახტანგის გამოცემით და ზოგიერთი ხელნაწე-
 რით. ეს ტაეპი ასე იკითხება: არცა გახლიჩნა ბაგეთათ თავი ვარდისა კო-
 ნამან. მას ასეთი წაკითხვა უფრო სწორად მიიჩნია. ა. შანიძე ეთანხმე-
 ბა ასეთ წაკითხვას. მხოლოდ გახლიჩნაში ნ-არი ზედმეტად მიიჩ-
 ნის და ითხოვს დარჩეს. გახლიჩნა, ამასთან იძლევა განმარტე-
 ბის, თუ რას უნდა ნიშნავდეს ვარდის კონა. მისი აზრით, ვარდის
 კონა ენის ეპითეტია და აქ ის აზრია: ენამ არ გახსნა ბაგენი, რად-
 გან ბაგე: უკვე არის დასახელებული და არ შეიძლება იგივე გამე-
 რებებული იყოს მეტაფორაში. კ. კეკელიძე და კ. ქიჭინაძე ვარდის
 კონის ასეთ განმარტებას არ იზიარებენ და ვარდის კონას ბაგეთა
 ეპითეტად მიიჩნევენ. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერს შემდეგ წაკი-
 თხვას: არცა გახლიჩნა ბაგეთაც თავი ვარდისა კონამან და ვარდის კო-

ნა ლოყების ეპითეტად მიაჩნია. ვ. ბერიძე აღნიშნავს: ა. შანიძის გან-
მარტება მისაღები იქნებოდა, რომ ენის ეპითეტად ცნობილი ყოფი-
ლოყო სადმე ვარდის კონა. მაგრამ ეს ასე არ არის. წაკითხვა უნდა
დარჩეს ისე, როგორც ვახტანგის გამოცემაშიაო. კ. კეკელიძე აყენებს
ახალ წაკითხვას: არცა გახლიჩა ბაგემან თავო, ვარდისა კონამან.
ა. ბარამიძე მხარს უჭერს ასეთ წაკითხვას: არცა გახლიჩა ბაგეთა
თავი. ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა ასეთი წაკითხვა: არცა გახ-
ლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან. წინააღმდეგი იყვნენ ა. ბარა-
მიძე და ი. აბულაძე. ი. აბულაძე მოითხოვდა ვახტანგის გამოცემის
წაკითხვის დატოვებას (გახლიჩნა).

მე-80¹ სტროფი: აპა ძმაო რა გიამბო... ჩანართად ცნეს. მეორე
ტაეპში: რამც, შეიცვალა — რაც; 'შიამების⁸⁸, დაიწერა — შეამების.
მესამე ტაეპში: ვისცა, შეიცვალა — ვისცა. მეოთხე ტაეპში: კვლაც,
შეიცვალა — კვლა.

7 იენისის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბე-
რიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე, გა-
ნიხილეს 81 — 90 სტროფების წაკითხვანი, მათი ძირითადობისა და
ჩანართობის საკითხები კი კომისიამ სპეციალურად განიხილა 11 იე-
ნისის სხდომაზე, რომელსაც დაესწრო კომისიის სრული შემადგენ-
ლობა.

81-ე სტროფი: რა პასუხი არა გასცა... ძირითადად ცნეს. მეო-
რე ტაეპში: როსტენს კადრა, დაიწერა — როსტანს ჰკადრა. მეოთხე
ტაეპის მ უ ნ და იწვევს კამათს. ა. შანიძე მოითხოვს, რომ მუნდა
ცალცალკე დაიწეროს — მუნ და. ამასთან, რადგან და გამეორება
ამავე ტაეპში ნახმარი ზმნის დავეოვნე-სი, და დაიწეროს იმგვარად რომ
ეს შეინიშნებოდეს. ამისათვის კი საჭირო იქნება და-ს შემდეგ დავ-
სვით ან დეფისი, ანდა მრავალწერტილი. კ. ჭიჭინაძე წინააღმდეგა
და-ს შემდეგ დეფისის და მრავალწერტილების დასმისა. ი. აბულა-
ძის საქმის გართულებად მიაჩნია და-ს გამოყოფა მ უ ნ ი დ ა ნ და
განსაკუთრებული ნიშნებით დაწერა. მისი აზრით, უმჯობესია მ უ ნ-
დ ა ...დაიწეროს ერთად. ა. ბარამიძეს მუნდა საერთოდ მიაჩნია გა-
ჭირვების დად (მეტრულ მოვლენად და არა წინა ზმნის პრევერბად).
მისი აზრითაც ზედმეტია და-ს გამოყოფა. ვ. ბერიძეს მცდარად მი-
აჩნია ა. ბარამიძის შეხედულება და აღნიშნავს, რომ არამც თუ პოე-
ზიაში, თვით პროზაშიაც გვხვდება პრევერბების ამგვარი გამეორება,
რაც, რასაკვირველია, არავითარ გაჭირვებით აღარ შეიძლება რომ
აიხსნას. ამიტომ აქ აუცილებლად უნდა გამოიყოს და, შეიძლება

⁸⁸ ს. კაკაბაძის 1914 წ. გამოცემაში წერია: ნ-ამოს.

იგი, მართლაც, მრავალწერტილით მივიღოთ. ს. იორდანის მიხედვით იცავს და-ს ცალკე დაწერილობას და აღნიშნავს, რომ საუბარშიაც კი იხმარება ამგვარი პრევერბების ხმარება აზრის გასაძლიერებლად. კომისიამ მუხ და ცალ-ცალკე დაწერა. და-ს წინ დაისვა მძიმე.

82-ე სტროფი: მეფე გაკვირდა, გაცასწყრა... ძირითადად მიიჩნე-
ეს.

პირველ ტაეპში: გაცასწყრა, დაიწერა — გაცაწყრა; უძს, დაიწე-
რა უც. მეოთხე ტაეპში: მამგვარეთ, შეიცვალა — მომგვარეთ.

82¹-ე სტროფი: მე საწვევრად მონა ვკადრე... ჩანართად ცნეს.
პირველ ტაეპში: ვკადრე, დაიწერა — ვკადრე. მეორე ტაეპში: ჭავ-
შან ქათი, დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: კადრეთ, დაიწერა —
კადრეთ.

83-ე სტროფი: მონანი მიდგეს, მივიდეს... ძირითადად ცნეს. მე-
ორე ტაეპში: გულ მდუღარაა, დაიწერა დეფისით.

83¹-ე სტროფი: ცხენთა შესხდეს, წაპოვიდეს... ჩანართად ცნეს.
მეორე ტაეპში: მისი მკვრეტნი, გასწორდა — მისნი მკვრეტნი. მესამე
ტაეპში: შეხედეს, დაიწერა — შეჰხედეს.

84-ე სტროფი: თვალთა ხელი უკუ ივლო... ძირითადად მიიჩნეეს.
პირველ ტაეპში: უკუ ივლო, დაიწერა ერთად. წინააღმდეგი იყო
კ. ჭიჭინაძე. მეორე ტაეპში: ხმალ კაპარკი, დაიწერა დეფისით. მესამე
ტაეპის ბოლოს დაისვა განცვიფრების ნიშანი. მეოთხე ტაეპში: ჭირ-
ნი არ განკურნა, კომისიამ, ა. შანიძის წინადადების თანახმად, უარ-
ყო და მიიღო: ჭირი არ განკურნა. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ შეიძ-
ლება ჭირნი დარჩეს და ზმნაში განკურნა დაიწეროს ერთი
ნ-არით, მხოლოდ შენიშვნაში აღინიშნოს, რომ ერთი ნ-არი გაქრა.
ჭირნის დატოვების მომხრენი იყვნენ ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე.

84¹-ე სტროფი: რა ყმამან ნახნა მონანი... ჩანართად ცნეს. მო-
წესრიგდა მხოლოდ სასვენი ნიშნები.

85-ე სტროფი: მონათა ხელი გამართეს... ძირითადად ცნეს. მეო-
რე ტაეპში: იგინი გლახ, შეიცვალა თანამიმდევრობის მხრივ — გლახ,
იგინი. მესამე ტაეპში: კრა, დაიწერა — ჰკრა; ერთმანეთსა, გასწორდა
— ერთმანერთსა; ხელ აუპყრობელად, დაიწერა დეფისით. მეოთხე
ტაეპში: გადაკრის, დაიწერა — გადაკრის.

85¹-ე (ზ) სტროფი: მეფეს უანბეს, რაც იქნა... ჩანართად ცნეს.
პირველ ტაეპში: უანბეს, დაიწერა — უამბეს; თავს დანატკაცისა,
დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: ყოელგნით, შეიცვალა — ყოველ-
გნით.

85¹-ე (ი) სტროფი: შეუპყრივარ კავშანსა... ჩანართად ცნეს. პირ-

ველი ტაეპის ბოლოს დაისვა კითხვის ნიშანი. მესამე ტაეპის ბოლოს დაისვა წერტილ-მძიმე.

86-ე სტროფი: მეფე გასწყრა, გაგულისდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გასწყრა, გასწორდა — გაწყრა. მეოთხე ტაეპში: შემოსტყორცნა, დაიწერა — შემოსტყორცა.

86¹-ე სტროფი: ვისთვის ხელი გამოჭრილვარ... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: ნიანგნაცა, გასწორდა — ნიანგიცა.

87-ე სტროფი: შესხდეს მეფე და ავთანდილ... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მისვლა, დაიწერა — მისლვა. მესამე ტაეპში: მიუქს, კომისიამ შეასწორა გ. ქართველიშვილის და დ. კარიჭაშვილის გამოცემათა მიხედვით: მიუგს. შესწორების წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი, კ. ჭიჭინაძე.

87¹-ე სტროფი: მეფე შეჯდა, გაეკიდა... ჩანართად მიიჩნიეს. სტროფში მოწესრიგდა მხოლოდ სასვენი ნიშნები.

88-ე სტროფი: რა ცნა მეფე მოვიდაო... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: გვანდა, დაიწერა — ჰგვანდა. მეოთხე ტაეპში: პოებდეს, დაიწერა — ჰპოებდეს⁸⁹.

88¹-ე სტროფი: ვერ შეიპყრეს, შემობრუნდეს... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: გაკვირდესა, დაიწერა — გაჰკვირდესა. მესამე ტაეპის შემდეგ დაიწერა წერტილ-მძიმე.

89-ე სტროფი: კვალი ძებნეს და უკვირდათ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: კვალ წმინდად, დაიწერა: კვალ-წმიდად; წახდომბა, დაიწერა — წარხდომბა. მესამე ტაეპში: ტიროდეს, დაიწერა — სტიროდეს.

90-ე სტროფი: ბრძანა, ღმერთსა მოეწყინა: ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში შეიცვალა სიტყვათა მიმდევრობა: სიმწართა სიამბისა, ნაცვლად კომისიამ მიიღო: სიამისა სიმწართა. მესამე ტაეპში: ძალუმს, დაიწერა — ძალ-უც. მეოთხე ტაეპში: მას ვემადლი, კომისიამ, ეარიანტებზე დაყრდნობით, მიიღო — მასვე მადლი.

8- იენისის სხდომას დაეწინა: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს 91 — 95 სტროფების წაკითხვები, მათი ძირითადობისა და ჩანართობის საკითხი კი განხილული იყო 11 იენისის სხდომაზე.

91-ე სტროფი: ესე თქვა და შემობრუნდა... ძირითადად ცნეს. გაიმართა მხოლოდ სასვენი ნიშნებით.

91¹-ე სტროფი: მეფე საწოლს შემოვიდა... ძირითადად მიიჩნიეს. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. მიხი აზრით, ეს სტროფი აშკარა გა-

⁸⁹ დ.: პოებს დაიწერა ჰპოებს.

მეორებაა მისი წინა სტროფის: მეფის დაღრეჯილობის და თავის დაღრეჯში დაბრუნების შესახებ, რასაც მხარს უჭერს თავისი შედგენილობით საინტერესო ხელნაწერი H 461, რომელშიაც იგი არ მოიპოვება. მეორე ტაეპში: შეყუა, დაიწერა — შეჰყუა.

91²-ე სტროფი: შინა მოვილა ხელმწიფე... [H 461] ხელნაწერიდან ამონაწერი — ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: შუქ ფერმიხდილითა, დაიწერა — შუქ-ფერმიხდილითა. მესამე ტაეპში დეფისით დაიწერა: ოქრო სკამ. სტროფი გაიშარა სასვენ ნიშნებით.

92-ე სტროფი: თინათინს ესმა მამისა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ეგეთი მამისა-ს ნაცვლად, კომისიამ მიიღო ვარიანტების მიხედვით — მამისა ეგეთი. მესამე ტაეპში: ძილია თუ ღვიძილობა, იწვევს კამათს. ა. შანიძე, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მხარს უჭერს ასეთ წაკითხვას: ძილია თუ უძილობა, ღვიძილობა ფორმის უხეირობის გამო. კომისიამ მიიღო: ძილია თუ ღვიძილობა. მეოთხე ტაეპში: ფერ შეცვლილობა, დაიწერა დეფისით.

93-ე სტროფი: ერთაი ახლავს აეთანდილ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ერთაი, გასწორდა — ერთილა. მეორე ტაეპში: ასრე დაღრეჯით ა მითა, იწვევს კამათს. ი. აბულაძე წინააღმდეგია ა-ს ცალკე დაწერილობისა. მისი აზრით, ა მითა ერთად უნდა დაიწეროს. კ. ჭიჭინაძე იცავს ასეთ დაწერილობას: ასრე დაღრეჯით ა მითა: უცხო ყმა უნახავს და მით არის ასრე დაღრეჯილიო. ა. შანიძე არ ეთანხმება ასეთ წაკითხვას. მისი აზრით, ა ბოლოში უნდა იყოს: ასეთი. დაღრეჯით ამით არის-ო, ეს აზრია გამოთქმული, ამიტომ აქ მოსალოდნელია: ასრე დაღრეჯით ამითა. კომისიამ მიიღო: ასრე დაღრეჯით ამით-ა. მესამე ტაეპში: შესვლა არა ხამს უამითა, იწვევს კამათს. ვ. ბერიძე მხარს უჭერს ასეთ წაკითხვას: შესვლა არა ხამს უამითა. ასეთ წაკითხვას იცავს H 2074 ხელნაწერი⁹⁰. აზრითაც ეს უფრო უდგება, რადგან თინათინი გაბრუნდება და ამბობს: ამ დროით შესვლა არა ხამსო. ა. ბარამიძე და ხ. იორდანიშვილი მხარს უჭერენ ასეთ წაკითხვას: შესვლა არს ჩემგან, უამითა, რაც ნიშნავს: ჩემი. შესვლა მხოლოდ: დროზე შეიძლება, ე. ი. ახლა, დრო არ არის. შესვლისათ, შესვლა დროზე უნდაო, კ. ჭიჭინაძე იცავს წაკითხვას: შესვლა არ ჩემგან უამით ა. ა. შანიძე იზიარებს ასეთ წაკითხვას და მოითხოვს, რომ ბოლო ა დაიწეროს წინ. დეფისით: შესვლა არ ჩემგან უამით-ა. კომისიამ მიიღო ეს უკანასკნელი წაკითხვა. წინააღმდეგი იყო ლ. იორდანიშვილი. მეოთხე ტაეპში: კადრე, დაიწერა — ჰკადრე.

⁹⁰ ვ. ბერიძე ამ ხელნაწერს ზოგჯერ ასახელებს რუმინანცევის მუზეუმის ხელნაწერად, ზოგჯერ კი — მოსკოურად.

93¹-ე სტროფი: ავთანდილცა შეუზარდა — ჩანართად ცნეს. გამართა მხოლოდ სასვენ ნიშნებით.

94-ე სტროფი: ხანი გამოხდა, იკითხა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: იქს, დაიწერა — იქმს. მესამე ტაეპში: კადრებს, დაიწერა — ჰკადრებს; აწყალა-ს ნაცვლად კომისიამ, ა. შანიძის წინადადების თანახმად, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიიღო: აწელა. ფერნამკრთალიო, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: მამავალიო, გასწორდა — მომავალიო.

95-ე სტროფი: უბრძანა თუ წადი უხმე... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ლხინსა, გასწორდა — ლხინთა. ს. იორდანიშვილი ამ სტროფთან დაკავშირებით აყენებს საკითხს მოყვანილ სიტყვათა ბრჭყალებში მოქცევისას. მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ბრჭყალები მარტო მაშინ დაგვეწერა, როცა საკუთარი სიტყვები პირდაპირ იქნება მოყვანილი უცვლელად, ხოლო როდესაც საკუთარი სიტყვები თხრობითის ო-ნით იქნება მოყვანილი, როგორც ამ შემთხვევაში (უბრძანა თუ: წადი, უხმე, უმისობა ვით გაეძლეო), უბრჭყალოდ დაიწეროს, რადგან ეს ბოლო ო-ნი უკვე არის ბრჭყალების ერთგვარი შესატყვისი. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ საერთოდ ამ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ შემდეგ, რადგან მისი აზრითაც საჭიროა სასვენი ნიშნების გამარტივება. კომისიის წევრების უმრავლესობამ ზემომოყვანილი წინადადება არ გაიზიარა.

9 ივნისის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე, დაადგინეს 96 — 104 სტროფების წაკითხვები. მათი ძირითადობისა და ჩანართობის საკითხები კი განიხილეს 11 ივნისის სხდომაზე (დაესწრო კომისიის სრული შემადგენლობა).

96-ე სტროფი: თინათინ აღდა, მივიდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მიყვა, დაიწერა — მიჰყვა. მეოთხე ტაეპში: უბრძანა: მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა? — იწვევს კამათს. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ, რასაკვირველია, აზრის მხრივ საწინააღმდეგო არა უნდა გვქონდეს რა ასეთი წაკითხვისა: „მახლავ რად არა“, მაგრამ რადგან მეორე ნაწილში არის „რად მელი მოყვანებასა“, უკეთესი უნდა იყოს ასეთი წაკითხვა: „მოხველ რად არა, რად მელი მოყვანებასა“, მით უმეტეს, რომ H 2074 ხელნაწერი ასე წარმოგვიდგენს. კომისიამ არ გაიზიარა ასეთი წაკითხვა და მიიღო: უბრძანა: „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა?“

97-ე სტროფი: ქალმან კადრა ხელმწიფეო... ძირითადად ცნეს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ პირველსა და მეორე ტაეპში ვ ი ნ ც ა

იდენტურის მნიშვნელობით არის ნაზმარი და თუ მეორე შემთხვევაში არ შეიძლება ვინცა ვიხმაროთ, ასევე ზუნდა დავტოვოთ ვინმეცა პირველ ტაეპში. კომისიამ პირველსა და მეორე ტაეპში ხმარებული ვინცა და ვინმეცა სხვადასხვა მნიშვნელობისად მიიჩნია. პირველ ტაეპში დარჩა: ვინცა გცნობდეს, მეორე ტაეპში — ვინმეცა განახა. მე-სამე ტაეპში: თქვენი, გასწორდა — თქვენნი.

97-ე სტროფი: იგი პირმზე ეუბნების... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: გავიახლოთ, დაიწერა — გავიხაროთ.

98-ე სტროფი: უბრძანა, შვილო რაზომცა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მომქარებელის ნაცვლად კომისიამ ვარიანტებში აირჩია: მომაქარებები.

99-ე სტროფი: უცხოსა და საკვირველსა... ძირითადად ცნეს. გარმართა მხოლოდ სასვენ ნიშნებით.

მე-100 სტროფი: მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ჯერდცა, დაიწერა — ჯერთცა.

მე-100!-ე სტროფი: აწ ესე მიკვირს რა იყო... იწვევს კამათს. კ. ჰიჭინაძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფის ძირითად ტექსტში დატოვების აუცილებლობა ნათელია დღესათ. ეს სტროფი რომ გამოვტოვოთ, მაშინ გაუგებარია შემდეგი სტროფის დასაწყისი: ტკბილნი მისნი წყალობანი, სადაც ღმერთია ნაგულისხმევი, ღვთის წყალობაზეა ლაპარაკი. ეს გასაგებია, თუ დავტოვებთ ამ სტროფს: აწ ესე მიკვირს... რომლის მეოთხე ტაეპია „უცილოდ ღმერთსა მოვძულდი, აქამდის მე მხიარული“. ამას უნდა მიჰყვეს 101-ე სტროფი: ტკბილნი მისნი წყალობანი. მაშინ გაუგებრობა აღარ იქნებათ. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ 101-ე სტროფის: ტკბილნი მისნი წყალობანი, — შესაძლოა გულისხმობდეს ამ მოყმის წყალობას, რომლის უუქმან განანათლა სამყარო და მისი კიდე. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ამ სტროფში: აწ ესე მიკვირს... ბევრი უხერხულობა გვაქვს, მეტად უგვანო ფორმები გვხვდება და ყოვლად დაუშვებელია მისი ძირითად ტექსტში შეტანა. ამასთან დაკავშირებით ამოსაღებია, გრამატიკული უყარნობის გამო, მომდევნო სტროფიც. ა. ბარამიძე არ იზიარებს ი. აბულაძის მოსაზრებას, რომ „ტკბილნი მისნი წყალობანი“ შეიძლება ტარიელის წყალობას გულისხმობდესო, მისი აზრით, აქ უსათუოდ ღმერთია საგულისხმებელი და ამ მხრივ ეს სტროფი, სადაც ნათქვამია „უცილოდ ღმერთსა მოვძულდი“, საჭიროა. ეს სტროფი რუსთველის ზელიდანაც რომ არ იყოს გამოსული, მაინც შინაარსის მხრივ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ძირითად ტექსტში იქნას შეტანილი. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ზელნაწერებს თუ დავემყარებთ, არ გვაქვს არავითარი საბუთი მის გამოსატოვებლად და შინაარსითაც საჭირო-

აო. ვ. ბერიძეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია. სტროფი ყველა ხელნაწერში არის. ვახტანგს შეიძლება ბექდვის პროცესშიაც გამოარჩა, როგორც მაგ., ჩვენს დროში „ზრომა“-ს გამოცემას, რომელიც კაკაბაძის გამოცემის მიხედვით არის დაბეჭდილი, 15 სტროფი აკლიაო. თვით სტროფი, მისი აზრით, ფორმის მხრივ უეჭველად უდავო სტროფებს არ ჩამოუვარდება. ყველა ამის გამო, ძირითად ტექსტში უნდა დარჩესო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მასზე უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს ენის მხრივ არა მარტო ეს სტროფი, არამედ მომდევნოც. ამიტომ ეს სტროფები ერთად უნდა განვიხილოთ. იგი ყურადღებას აქცევს დასახელებულ სტროფში ფორმას რ უ ლ ი და აღნიშნავს, რომ აქ მოსალოდნელი იყო რ ა უ ლ ი. ასეთი შეკვეცილი ფორმა რ უ ლ ი ამ მნიშვნელობით შოთასთვის დამახასიათებელი არ უნდა იყოსო. მასვე საეჭვოდ მიაჩნია 101-ე სტროფში ხმარებული მ ი ნ ე ტ ა რ ნ ე ჯ . კ. ჭიჭინაძე ასახელებს თავის გამოცემის მიხედვით 771-ე სტროფს, სადაც რულნი რაგვარის მნიშვნელობით არის ხმარებული. იგივე ასახელებს 1138-ე სტროფიდან: ვუჭკრიტოთო ამას რულად, სადაც ასეთივე ფორმით არის ხმარებული რ ა უ ლ ი ს მაგიერ და ამ ნიშნების მიხედვითაც სტროფს ძირეულად მიიჩნევს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ რ უ ლ ა დ შემოკლებულია და რ ა უ ლ ა დ-იდან არის მიღებულიო. ეს ფორმა რუსთველისათვის უცნობი არ უნდა იყოს. მართალია, ამის გამო გაუგებრობა ნ. მარსაც გაეპარა, როდესაც თარგმნიდა: ვუჭკრიტოთო ამას რულად—რომელსაც ძ ი ლ ა დ მიიჩნევდა, მაგრამ ვეფხისტყაოსნის პარალელური ადგილებით ეს გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ სტროფი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. შინაარსის მხრივ სტროფი საჭიროა და მის ძირითად ტექსტში დატოვებას მხარს დავუჭერო. კ. კეკელიძეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია, მომდევნო სტროფი—„ტკბილნი მისნი წყალობანი“, მისი აზრითაც, ღვთის წყალობას გულისხმობს და ამ წინა სტროფის არსებობაზე მიგვითითებს. მართალია, ამ სტროფში არის გამეორება წინა სტროფის აზრისა, სახელდობრ: მან დამიხოცა ლაშქარი, სისხლი აღინაღვარულნი, რომელიც მოგვაგონებს მე-100 სტროფს: სპანი სრულად დამიხოცნა, მაგრამ ამ გარემოების მიუხედავად, აზრის გადასაბმელად სტროფი საჭიროაო. სტროფი ძირითადად მიიჩნეის. კენჭის ყრისას წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. თავი შეიკავა ა. შანიძემ. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ „პირველ ტაეპში დ ა რ უ ლ ი უნდა დაიწეროს ცალცალკე, როგორც ორი სიტყვა— და რული. აქ ის აზრია: რა ვნახე და როგორი რაული, მოკლედ რული. კ. ჭიჭინაძეს დარული მიაჩნია დარებიდან, „რაული“; შედარებიდან ნაწარმოებ ფორმად და „რა ვნახე დარული“, მისი აზრით, აქ ნათქვამია რის შესადარებელი ვნახეთ, რას შევადაროთ. ა. შანიძე არ

იზიარებს ამ ტაეპის კ. ჭიჭინაძისებურ განმარტებას. მისი აზრითაც ამ ტაეპის შინაარსი ის არის, რომ მეფეს უყვირს რა ვნახე და როგორი სანახავი ვნახეთ. კომისიამ მიიღო: და რული. მესამე ტაეპში: კაცთა ხორცისად, კომისიამ, კ. კეკელიძის წინადადების თანახმად, შეასწორა: კაცად ხორცისად, ვით ითქმის, ისრე თვალთაგან, ფარული, ე. ი. ხორციელ კაცად ვით ითქმისო. კ. ჭიჭინაძე არ იზიარებს ასეთ შესწორებას.

101-ე სტროფი: ტბილნი მისნი წყალობანი... ძირითადად მიიჩნეის. მესამე ტაეპში, ს. იორდანიშვილის წინადადების თანახმად, ველარამან, შეიცვალა — ველარავინ, რადგან ტაეპის პირველ ნაწილშიაც საუბარია ცოცხალ არსებაზე: ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს. ა. შანიძეს ცოტა საეჭვოდ მიაჩნია მთლიანად ეს სტროფი და სუამს კითხვას, გადაკეთებული ხომ არ არის იგი შემდეგშიო. მისი აზრით, ეჭვს ბადებს ფორმა მ ი ნ ე ტ ა რ ნ ე ს . მან მე იგინი. აქ პირდაპირი ობიექტი არ არის. ასევე საეჭვოა „ველარამან გამახარნეს“. ამასთან ზოგიერთ ფორმას უნდა შესწორება. მეორე ტაეპში ვკითხულობთ დ ა მ ა ვ ი წ ყ დ ა , ეს ახალ ქართულში შეიძლება, აქ უნდა დ ა მ ვ ი წ ყ დ ე ს . რაც შეეხება მეოთხე ტაეპის მ ე ს ხ ნ ე ს , აუცილებლად უნდა შესწორდეს — მესხნენ, რადგან აზრი ეს არის: სადამდისაც დღენი მექნებო. კომისიამ მიიღო: მესხნენ.

102-ე სტროფი: ქალმან კადრა... ძირითადად მიიჩნეის, პირველ ტაეპში: კადრა, დაიწერა — ჰკადრა. მეოთხე ტაეპში: შეექნა, დაიწერა — შეექმნა.

102¹-ე (ზ) სტროფი: მაგას ნუ ბრძანებ... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: ბრძანებ, დაიწერა — ჰბრძანებ, მეოთხე ტაეპში: ეგრე, გასწორდა—ეგე.

102¹-ე (ა) სტროფი: თუ ცუდი რამე გინახავს... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ აზრის თანდათან განვითარებისათვის სტროფი საჭიროა, რადგან აქ გამოთქმულია ქალის აზრი იმ უცნაურ სანახობისა და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს მეფე: თუ მაცდური გინახავს, შემლოცველებს მუყრსა და აჯის დაუძახე და თუ არა, კაცები გაგზავნე მოსანახადო. მეფის შემდეგ სიტყვებში ეს სტროფი დამოწმებულიაო. ს. იორდანიშვილი შინაარსის მხრივ სტროფს ზედმეტად თვლის და ფორმის მხრივ—სუსტად. მასში დაექვევება იწვევს ამ სტროფის სიტყვა ა ჯ ი ა , როგორც უადგილო და ნაძალადევი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ, მართალია, სტროფი ყველა ხელნაწერში არის, მაგრამ მაინც ჩანართად უნდა იქნას ცნობილიო. ჯერ ერთი, ამ მესამე ტაეპის: ღმრთისაგან სიმწარე რათ გიაჯია, გამეორებაა 102-ე სტროფისა: რად დასწამებ სიმწარესა; სიტყვებიც ახალი დროისაა: გაგისაჯია. ქაჯი გაგებულია მაცდურის აზრით. ასეთი ქაჯი ვეფხისტყალისა ან არ დის. აჯია, ჰაჯი — აქ მუყრთან უადგილოდ არის ხმარებული. ამათ გარდა,

რაც მთავარია, აქ ენობრივი ნორმები არეულია, მეორე ტაეპში მეფევს, წოდებითში შემოკლებული ფორმით არის ხმარებული. ვეფხისტყაოსანმა კი იცის ო-ნიანი ფორმები: ხელმწიფეო, მეფეო. იმ დროისათვის მიუღებელია ო-ს ამოღება წოდებითში ანდა ვ-ინად შეკვეცა. ამ ნიშნების მიხედვით, სტროფი შემდეგი დროის ჩამატებად უნდა იქნას ცნობილი და ძირითადი ტექსტიდან ამოღებული. კ. კეკელიძე სტროფს ფორმალურად სუსტად მიიჩნევს და აღნიშნავს ერთ შეუსაბამობას მესამე ტაეპში: სიმწარე რად გიაჯია თითქოს ღმერთისაგან მეფეს სიმწარე ეთხოვნოს. ს. კაკაბაძე მხარს უჭერს სტროფის ძირითად ტექსტში შეტანას, რადგან შინაარსის მხრივ სტროფი უდგება და ფორმის მხრივ ძირითად ტექსტშია გვხვდება ზოგი რამ ჩვენის თვალსაზრისით თითქოს მიუღებელი. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და ს. კაკაბაძე. გაიმართა სასვენი ნიშნებით.

102³-ე სტროფი: იგი პირმზე მოახსენებს... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: მამხვდების, დაიწერა — მომხვდების.

103-ე სტროფი: მე ამას ვარჩევ... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველ ტაეპის — მეფეთა ზედა მფლობელი. კ. ჭიჭინაძე მოითხოვდა: ზედან მფლობელი. კომისიამ მიიღო: ზედა მფლობელი. მეორე ტაეპში: სამზღვარი, გასწორდა — საზღვარი. მეოთხე ტაეპში: სცნობთ, დაიწერა — სცნობ; ბრძანება მიუთხრობელი, დაიწერა დეფისით.

103¹-ე სტროფი: თუ ყოფილა იგი მოყმე... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი მიაჩნია მეტისმეტად ახალი ენით დაწერილად (სევდისაგან მოიცალე, რად შექნილხარ 'მოუცლელად) და აზრისათვის სრულიად ზედმეტად. მოითხოვს სტროფის ამოღებას. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ 103-ე და 104-ე სტროფებში აზრი ძალიან ეკონომიურად არის ნათქვამი, ხოლო რაც შეეხება 102¹-ე და 103¹-ე სტროფებს, ისინი ახალს არაფერს გვაძლევენ და ძირითადი ტექსტისათვის ზედმეტნი არიან. ა. შანიძეს სტროფი აზრისათვის საჭიროდ არ მიაჩნია და ფორმების მხრივ მას თვლის საეჭვოდ. მასში დაეჭვებას იწვევს: მასწავლელად და შეკამშლელად. პირველს იგი უცნაურ ფორმად მიიჩნევს, ხოლო მეორეში ცას უადგილოდ თვლის, რადგან ცას ჩართვა (შეუმშლელად-ში) გულისხმობს, რომ სხვაც უნდა იყოს რამე ამის მსგავსი ნათქვამი, ეს კი არ არისო. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. მესამე ტაეპში: თვარემ, გასწორდა — თვარა. მეოთხე ტაეპში: შექნილხარ, დაიწერა — შექმნილხარ.

103²-ე (თ) სტროფი: არას გვარგებს სიმძიმელი... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: კიდით კიდე, დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: ვი-აჯნეთ, დაიწერა — ვეაჯნეთ. მეოთხე ტაეპში: ჩამოკიდეთ, დაიწერა — ჩამოჰკიდეთ.

103²-ე (ა) სტროფი: როსტენს სიტყვა ასულია... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში როსტენს, დაიწერა — როსტანს. მეორე ტაეპში: პირი ხელთა, დაიწერა — პირი ხელით. მესამე ტაეპში: კენაცა, დაიწერა — ვქმნაცა.

104-ე სტროფი: მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დარიდეთა, დაიწერა — დაპრიდეთა.

10 და 11 ივნისის სხდომებზე (პირველს არ დასწრებია ს. კაკაბაძე) განიხილეს და დაადგინეს 61 — 80, 81 — 107 სტროფების ძირითადობისა და ჩანართობის საკითხები. წაკითხვათა შესახებ 105-ე და 107-ე სტროფებში ოქმებში არაფერია აღნიშნული.

105-ე სტროფი: კაცნი წავიდეს, იარეს... და 106-ე სტროფი: მონათა კადრეს მეფეო... ძირითადად ცნეს. უკანასკნელის (106) წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

107-ე სტროფი: მეფე ბრძანებს მართალ იყო... იწვევს კამათს. ი. აბულაძე სტროფს ზედმეტად მიიჩნევს და ფორმის მხრივაც სრულიად შეუფერებლად ცნობს. რითმებიც ძეო, ზეო, მეო სრულე-ბით არ მოგვაგონებენ რუსთველის რითმებს. ამიტომ სტროფი ამოსაღებიაო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფის პირველი ორი ტაეპი — მეფე ბრძანებს: მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო — აყენებს საკითხს 103¹-ე სტროფის გადასინჯვისას, რომელიც ჩვენ ჩანართად ვცანიით. ამ სტროფში ქალი უპასუხებს მეფეს, რომ თუ ხორციელი ვინმე იყო მისი მნახავი გამოჩნდება, თუ არა და ეშმა გჩვენებია ლხინთა შენთა შეცამ-შლელადო. უსათუოდ ქალის ამ პასუხს უნდა გულისხმობდეს 107-ე სტროფის პირველ ნახევარში მოყვანილი მეფის სიტყვები: მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო. ამიტომ, ჩემის აზრით, ამ სტროფთან დაკავშირებით 103¹-ე სტროფი: მეფე ბრძანებს... უნდა დავტოვოთ ძირითად ტექსტში. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სწორია ის, რაზედაც ვ. ბერიძე მიგვიით-თებს. 107-ე სტროფი დაკავშირებულია 103¹-ე სტროფთან, რადგან ამ სტროფში მეფე იგონებს ქალის ნათქვამს, როდესაც ამბობს „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო. ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო“. ამ სტროფების კავშირისდა მიუხედავად, მე ეს სტროფები ფორმის მხრივ საეჭვოდ მიმაჩნია. აქ რითმებიც ძალზე უხეიროა, უმართებულოა აგრეთვე „გარდმოჭრილი ზეცით ზეო“. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ამ სტროფში მოყვანილი მეფის სიტყვები „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო“, შეიძლება 103¹-ე სტროფში მოყვანილ ქალის პასუხს კი არ გულისხმობდეს, არამედ 103-ე ძირითად სტროფის უკა-

ნასკნელ ტაეპში ნათქვამს „ადრე სცნობთ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელიო“. ამ უშობლის სახით შეეძლო მეფეს ეგულისხმა ეშმაკის სიცრუვე და სიბილწე. ამიტომ 103¹-ე სტროფთან დაკავშირებით ეს სტროფიც შეიძლება ამოღებულ იყოს. ა. ბარამიძე ეთანხმება ვ. ბერიძეს და კომპოზიციურად საჭიროდ ცნობს 107-ე სტროფთან დაკავშირებით 103¹-ე სტროფის ძირითად ტექსტში შეტანას, მხოლოდ სათანადო განმარტებით, რომ სტროფები ფორმის მხრივ ცოტა დაექვევბას იწვევს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მისი აზრითაც ეს სტროფი ზედმეტია. იგი ყურადღებას აქცევს სტროფის მეოთხე ტაეპს, სადაც წერია: გამიშვია შეპირვება, არა მგამა_ყოლა მეო. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო და მეფეს შეპირვება გაეშვა და აღარა ენაღვლა რა, მაშინ პოემა უნდა გათავებულიყო, რადგან თინათინს აღარ ექნებოდა საბაბი შემდგომი მოქმედებისათვის, ავთანდილს ხმობისა და მოყმის მოქმედების დავალებისა. ნამდვილად კი პოემა, როგორც ვიცით, არ თავდება. აი ამიტომ ამ მოსაზრებითაც სტროფი ჩანართად უნდა მივიჩნიოთ. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ მეფისთვის უცხო მოყმის ძებნის ამბავი გათავებულად უნდა ჩაითვალოს და შეიძლება მეფეს ეთქვა კიდევ გამიშვია შეპირვებაო, რადგან უცხო მოყმის შემდგომ მოქმედებას თინათინი მამის ჩუმად აწარმოებს. ავთანდილის წასვლას მეფეს უმაღვევს. კენჭის ყრით 107-ე სტროფი ჩანართად ცნეს. მის ძირითად ტექსტში დარჩენას მოითხოვდნენ ვ. ბერიძე და ს. კაკაბაძე. ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ თავი შეიკავეს.

მორიგ სხდომას (1935, VI, 13) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანისვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს: 108 — 113 სტროფები.

108-ე სტროფის — ესე თქვა და სიხარულით... — შესახებ კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ ის დაკავშირებულია 107-ე სტროფთან, რომელიც კომისიამ ჩანართად მიიჩნიაო. სტროფის ძირითად ტექსტში დატოვებას მოითხოვდნენ ვ. ბერიძე და ს. კაკაბაძე. კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო. მეოთხე ტაეპში: მგზავსი, დაიწერა — მსგავსი.

108¹-ე სტროფი: მეფე დაამდა ქალისა... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ თუმცა მას არ შეუტანია თავის გამოცემაში, მაგრამ ეს სტროფი შინაარსულად საჭიროდ მიაჩნია. კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო. დეფისით დაიწერა: მესამე და მეოთხე ტაეპების სიტყვები: თვალ ცრემლიერიოთა და ტან სარო.

სტროფი 108¹ (თ): მეფე ადგა, მუხლ მოყრილმან... ჩანართად ცნეს. დეფისით დაიწერა პირველ ტაეპში: მუხლ მოყრილმან, მეორე ტაეპში: მრავალგვარი და მესამე ტაეპში — მუხლ მოყრილი.

109-ე სტროფი: ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს... ძირითადად ცნეს და გაიმართა სასვენი ნიშნებით.

109¹-ე სტროფი: ჩანგსა ჰკრავს პირმზე... ჩანართად მიიჩნის. პირველ ტაეპში: კრავს, დაიწერა — ჰკრავს; პირმზე, დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: ჩაიცვა, კომისიამ შეაწორო — ჩაეცვა. მეოთხე ტაეპში: პირმავი, დაიწერა დეფისით.

110-ე სტროფი: ავთანდილს მიხვდა მოსმენა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: მიხვდა, დაიწერა — მიჰხვდა; ს ა ქ მ ი ს ა-ს ნაცვლად, ზოგიერთ ხელნაწერებზე დაყრდნობით, ვ. ბერიძე და ს. კაკაბაძე მოითხოვდნენ ს ი ტ ყ ვ ი ს ა-ს ჩაწერას. კომისიამ დატოვა — საქმისა. მესამე ტაეპში: ნ ა ხ ვ ა ს ნაცვლად, კომისიამ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიიღო — შეყრა.

111-ე სტროფი: ავთანდილ, ლალი, უკადრი... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: რცხვენოდა, დაიწერა — ჰრცხვენოდა. მესამე ტაეპში: მგზავსად, დაიწერა — მსგავსად; შვენოდა, დაიწერა — ჰშვენოდა. მეოთხე ტაეპში: გარდაფენოდა, დაიწერა — გარდაჰფენოდა.

112-ე სტროფი: გაძრცილსა ტანსა ემოსნეს... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: გასაჰკირონი, ვარიანტებზე დაყრდნობით, შეიცვალა — საჰკირონი. წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. მესამე ტაეპში შვენოდეს, დაიწერა — ჰშვენოდეს. მეოთხე ტაეპში: ეკიდნეს, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — ეხვივნეს.

113-ე სტროფი: დაღრეჯით იყო მჭდომარე... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. სტროფი გაიმართა სასვენი ნიშნებით. მეოთხე ტაეპში: პირისპირ, დაიწერა დეფისით.

მორიგ სხდომას (VI, 14) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 113¹ — 115 სტროფები.

113¹-ე სტროფი: ქალმან უბრძანა ზარი მღევს... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი აუცილებელია ძირითად ტექსტში, რადგან, ჯერ ერთი, სტროფით ქალი იწყებს საუბარს, მეორეც, მომდევნო სტროფი — „ყმამან კადრა: საზაროსა ჩემგან თქმა-ლა ვით იქნების“, პასუხია 113¹-ე სტროფში მოყვანილ ქალის სიტყვების: „ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა“. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ, მართალია, ქალი იწყებს საუბარს, მაგრამ არა ამ სტროფით, არამედ 115-ე სტროფით: „ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც სიტყვა, არ დუნჭირად“. ამიტომ, ჩემის აზრით, ამოსადებია 113¹-ე სტროფთან დაკავშირებით შემდეგი 114-ე სტროფი: ყმამან კადრა: საზაროსა ჩემგან თქმა-ლა ვით იქნების?.. ეს ორივე სტროფი ერთისა და იმავე პირის მიერ უნდა იყოს ჩამატებული. მეოთხე ტაეპში გვაქვს ასეთი გრამატიკული უხერ-

ხულობა: „რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიხდილი ცნობისა?“ მოსალოდნელი იყო, მიხდილი რას? ცნობასა და არა ცნობისა. ლექსის მხრივაც ეს სტროფები მიუღებელიაო. ა. ბარამიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ 113¹-ეს სტროფი შინაარსითაც ეწინააღმდეგება 115-ე სტროფს. 113¹- სტროფში ქალი ამბობს: ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა; 115-ე სტროფში ნათქვამია: ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც სიტყვა... თუ ზარი ლევდა, რაღა საჭირო იყო ეს კეკლუც სიტყვა. ამასთან, თუ 113¹-ე სტროფი — ქალმან უბრძანა — ძირითადია, მაშინ 115-ე სტროფი — ქალმან უთხრა — ზედმეტია. ამიტომ ამოსაღებია როგორც 113¹-ე სტროფი, ისე 114-ე: ყმამან კადრა, საზაროსა ჩემგან თქმა-ლა ვით იქნების.. ს. კაკაბაძეს აზრის მხრივ 113¹-ე სტროფი საჭიროდ მიაჩნია: ქალი იწყებს საუბარს, ავთანდილი ეუბნება: მე აზრად აღარ მცალს და თქვენვე თქვით რა გსურთ, და შემდეგ ქალი ეუბნება. ამგვარად, სტროფები 113¹-ე, 114-ე, 115-ე ძირითად ტექსტში უნდა დარჩესო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ აზრის თანამიმდევრობა ამ ორი სტროფის ამოღებით არ დაიკარგება, მაგრამ რომ დაეტოვოთ, არა და შეედება რა. წინააღმდეგობა კი ამ სტროფებში არ არის. ჯერ ნათქვამია, რომ დაღრეჯით იყო მჯდომარე ავთანდილის შესვლისას. შემდეგ, რომ ავთანდილი მეტად მოლხენილი უჭკვრეტს პირისპირ. ამას მოსდევს ქალის მიერ ავთანდილის ხმობის მიზეზის დასახელება. სრულიად ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც ავთანდილი ეტყვის: აზრად არად აღარა მცალსო, ქალმან კეკლუც სიტყვით დაუწყოს საუბარი და მიჯნურობა გაუცხადოს. ა. შანიძე ყურადღებას აქცევს 113¹-ე და 115-ე სტროფის დასაწყისს. პირველი იწყება — ქალმან უბრძანა, მეორე — ქალმან უთხრა. როდესაც უფროსი ელაპარაკება, მაშინ — უბრძანა გვაქვს ხოლმე. ამ მხრივ 115-ე სტროფი უფრო ექვს იწვევს. აქვე გვხვდება ცოტა უცნაური ფორმები: კეკლუც სიტყვა არ ღუხჭირად, ჩემგან შორს ხარ დანამჭირად და სხვა. ამისდა მიუხედავად, ჩვენ ხელნაწერთა ტრადიციას გავუწიოთ ანგარიში და 113¹-ე და 114-ე სტროფი, როგორც აზრისათვის საჭირო, დაეტოვოთ ძირითად ტექსტშიო. ს. იორდანიშვილს საჭიროდ მიაჩნია ორივე სტროფის ძირითად ტექსტში დატოვება. მისი აზრით, 113¹-ე სტროფში თინათინი აღნიშნავს, რომ ავთანდილის მასთან დაბარების მიზეზი (უცხო ყმის საძებნელად) აიძულებს მას ათქმევინოს ის, რის დათმობის ღონე უკვე ისედაც აღარა აქვს მას. ასეთ პირობებში ქალს შეეძლო ებრძანებინა: „ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა“. შემდეგ კი ავთანდილის მიერ მიჯნურობის გახსენებაზე, შეიძლებოდა ქალს დაღრეჯა აღარ დაეჩინა და კეკლუც სიტყვა საუბარი დაეწყო. ფსიქოლოგიურად აქ გაუმარ-

თლებელი არა არის რა, რომ სტროფებში წინააღმდეგობა ვეძებოთო. კ. კეკელიძე მომხრეა 113¹-ე და 114-ე სტროფის ძირითადი ტექსტიდან ამოღებისა. ორივე სტროფი, მისი აზრით, რაღაც ზედმეტ ზორცად არის აქ შემდეგი დროის ყალბისმქმნელის მიერ ჩატანებული. 113-ე ძირითად სტროფში უკვე მოცემულია დასრულებული სურათი თინათინისა და ავთანდილის შეხვედრისა, ნათქვამია, რომ „პირისპირ პირსა უჭკრეტდა საესე ლხინითა დიდითა“. ამის შემდეგ 113¹-ე და 114-ე სტროფში გამოთქმული განწყობილებანი ზედმეტად არის ჩართული და, როგორც ასეთი, ამოსაღებიაო. კენჭის ყრით 113¹-ე სტროფი: ქალმან უბრძანა... და 114-ე სტროფი: ყმაძან კადრა... ძირითად ტექსტში იქნენ დატოვებულნი. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. შანიძე და კ. კეკელიძე. დაწერილობის მხრივ 113¹-ე სტროფი შესწორდა: მეორე ტაეპის ბოლოს დაიწერა წერტილ-მძიმე, მესამე ტაეპში მაგრამ-ის ნაცვლად დაიწერა — მაგრა.

113²-ე სტროფი: ავთანდილ კადრა, მეფეო... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: კადრა, დაიწერა—ჰკადრა; მეოთხე ტაეპში: ვინმე, დაიწერა — ვინც.

114-ე სტროფი: ყმაძან კადრა, საზაროსა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: კადრა, დაიწერა — ჰკადრა; თქმა და, დაიწერა ერთად, დეფისით დაწერის მომხრე იყვნენ ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე; იქნების, დაიწერა — იქმნების. მეორე ტაეპში: დაცაქნების, დაიწერა — დაცაქნების. მეოთხე ტაეპში: გეგონების, ვარიანტებზე დაყრდნობით, შეიცვალა — გეკურნების.

115-ე სტროფი: ქალმან უთხრა საუბარი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: კეკლუც სიტყვა, ა. შანიძის წინადადების თანახმად და ხელნაწერებზე დაყრდნობით, შეიცვალა — „კეკლუც სიტყვად“ და დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: სახე ჭირად, ხელნაწერებზე დაყრდნობით, შესწორდა — საეკვი რად; ამავე ტაეპში კომისიამ გაიზიარა ი. აბულაძის შესწორება: მიკვირს მაგიერ გიკვირს. ასეთი შესწორების წინააღმდეგნი იყვნენ ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე.

მორიგ სხდომას (15, VI) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 116 — 120 სტროფები.

116-ე სტროფი: გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს... [ძირითადად ცნეს]. კამათს იწვევს მეოთხე ტაეპი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მეოთხე ტაეპის ბოლო: კიდით კიდე მოლახოცა — უნდა გულისხმობდეს არა ცას, არამედ — ცა ნაწილაკს, კიდით კიდევაც რომ მოლახოო. ეს არის მეოთხე ტაეპის ბოლო სიტყვების აზრი. ამიტომ მოლახოცა უნდა დაიწეროს მოლახოცა. ვ. ბერიძე არ ეთანხმება ა. შანიძეს

სტროფის ასეთ განმარტებაში და აღნიშნავს, რომ -ცა“ „კიდეც“-ის მნიშვნელობით ნახმარია ამ სტროფის მესამე ტაეპში, სადაც კვი-თხულობთ: მას უკანით გონება-მან მისმან ასრე დამამხოცა, ე. ი. მის შემდეგ მისმა მოგონებამ კიდეეაც დამამხო. რაც შეეხება მეო-თხე ტაეპს, მისი აზრი ასეთია: შენ გეხვეწები მონახვას, თუნდაც კი-დით კიდე ცის მოლაზხა იყოლ საჭირო. ამგვარად, ცა აქ ცის მნიშვნე-ლობითაა და ცალკე უნდა დაიწეროსო. კომისიამ გაიზიარა ვ. ბერიძის გამმარტება და „მოლაზო ცა“ დაიწერა ცალკე. ა. შანიძე მოითხოვდა მოლაზოცა-ს, 3-აეთი — მოჰლაზოცა. პირველ ტაეპში: როსტენ, დაიწერა — როსტან; მხეცნი, გასწორდა — მხეცი.

117-ე სტროფი: აქანამდის ნაუბარსა.. კომისიამ ძირითადად მი-იჩნია. პირველ ტაეპში ნაუბარსა-ს ნაცვლად ვ. ბერიძემ მხარი და-უჭირა: საუბარსა. მესამე ტაეპში მიღებულ იქნა: თვალთათ ცრემლი გისეტყვია. ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდნენ ასეთ ვარიანტს: თვალთათ დაწვი გისეტყვია.

117¹-ე სტროფი: ქალმან უთხრა, რაცა მინდა... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მგზავსად, დაიწერა — მსგავსად.

118-ე სტროფი: ასრე გითხრა, სამსახური... ძირითადად მიიჩნის. ა. შანიძე ყურადღებას აქცევს მეორე ტაეპში „ხორციელი არვინა გვყავს შენად სწორად“. არვინა, ა ბოლოშია, რაც ახალი ფორმააო. მისი აზრით, სტროფის ეს ნაწილი ასე უნდა შესწორდეს: ხორციელი არა ვინ გვყავს. კომისიამ შესაძლებლად ცნო არვინა-ს დატოვება.

118¹-ე სტროფი: იგი კაცი შევნიერი... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: ხელ ყოს, დაიწერა ერთად. მეოთხე ტაეპში: სცან-ის ნაცვ-ლად კომისიამ მიიღო ხელნაწერებზე დაყრდნობით — სცნა.

119-ე სტროფი: შენგან ჩემი სიყვარული... ძირითადად ცნეს. მე-სამე ტაეპში კ. ჭიჭინაძე მოითხოვდა, რომ ყარე დაწერილიყო ჰყარე. ამის მომხრე იყო ი. აბულაძეც. [კომისიამ მიიღო: ყარე]. მეოთხე ტაეპში ხელნაწერებით მოცემულ ორი ვარიანტიდან კომისიამ მიიღო — შემეყარე.

120-ე სტროფი: სამსა ძებნე წელიწადსა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში საძებარი-ს ნაცვლად ი. აბულაძე, ს. კეკელიძე და ა. შანიძე მესამე და მეოთხე ტაეპების რითმათა მიხედვით მოითხოვდნენ საძებნარი-ს მიღებას. კომისიამ მიიღო — საძებარი. მეორე ტაეპში: პოო, დაიწერა — ჰპოო. მესამე ტაეპში: პოებ, დაიწერა — ჰპოებ; თურმე, გასწორდა — თურე. ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ ძველი ხელნაწერებისათვის დამახასიათებელია თურმე. თურ-მეს მხარს უჭერდნენ ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე.

ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (1935, VI, 16) დაეს-

წრენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კა-
კაბაძე, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 121 —
— 125 სტროფები.

121-ე სტროფი: ფიცით გითხრობ შენგან კიდევ... ძირითადად ცნეს.
მეორე ტაეპში: მამხვდეს შეიცვალა — მომხვდეს. მესამე ტაეპში: მოვ-
წყდე, დაიწერა — მოვსწყდე, მეოთხე ტაეპში: მკლევდეს, ხელნაწე-
რებზე დაყრნობით, შეიცვალა — მკლევდეს.

121¹-ე სტროფი: მოახსენა ყმამან მზეო... იწვევს კამათს. ი. აბუ-
ლაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი არ არის ერთ საყურადღებო ხელ-
ნაწერში (S 2829). გარდა ამისა, სტროფში ახალი ფორმები შეინიშნე-
ბა და შინაარსის მხრივაც ზედმეტია, თუ რა მოახსენა ყმამ, ეს მშვე-
ნიერად არის ნათქვამი 122-ე სტროფში: კვლაცა ჰკადრა აჰა, მზეო.
ა. ბარამიძე წინააღმდეგია სტროფის ძირითადი ტექსტიდან ამოღები-
სა. მისი აზრით, ეს სტროფი რომ არ იყოს, მამინ გაუგებარია შემ-
დეგი სტროფი „კვლაცა ჰკადრაო“. კომისიამ სტროფი ძირითადად მი-
იჩნია. მეოთხე ტაეპის: განალამცა, იწვევს კამათს. მთელი რიგი ხელ-
ნაწერები იძლევიან ამ სიტყვის. მეორენაირ წაკითხვას — გალანამცა.
ვ. ბერიძე მოითხოვს ანგარიში გაეწიოს ბეჭდვით ტრადიციას და მი-
ღებულ იქნას — განალამცა, მით უმეტეს, რომ ხელნაწერთა უმრავ-
ლესობა ამგვარ წაკითხვას უჭერს მხარსო. კომისიამ მიიღო — გალა-
ნამცა. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე.
მეოთხე ტაეპში: წავეწამე აზრის მიხედვით დაიყო: წავე, წა, მე!

122-ე სტროფი: კვლაცა კადრა აჰა, მზეო... კომისიამ ძირითადად
მიიჩნია. პირველ ტაეპში: რადგან, დაიწერა — რათგან. მესამე ტაეპში:
მოვისმინე წყალობანი, დაიწერა რიცხვთა შეთანხმებით — მოვისმინ-
ნე წყალობანი. მეოთხე ტაეპში: დაქენების, დაიწერა — დაქნების;
იეფადა, დაიწერა — იეფად-ა.

122¹-ე სტროფი: თავი ჩემი სამსახურად... იწვევს კამათს. კ. ჭიჭი-
ნაძე აღნიშნავს, რომ, მართალია, ნაწილობრივ ამ სტროფში გამეო-
რებაა, მაგრამ არის ახალი დეტალიც ავთანდილის გამგზავრებაზე:
„არასათვის არ დავდგები, უსათუოდ წავალ ხვალე“, ამიტომ სტროფი
ძირითადში უნდა დარჩესო. ა. ბარამიძე სტროფის ძირითად ტექსტში
დატოვების წინააღმდეგია. სწორედ ის დეტალი, რომელიც აქ ახალია,
იწვევს ეჭვს, ესაა: „უსათუოდ წავალ ხვალე“. ხვალე კი არა, თუ რა-
ინდია, ის იმწამსვე უნდა წასულიყო. ამასთან არსად არ ჩანს, რომ ის
მეორე დღესვე წასულიყო. მესამე ტაეპიც საეჭვოა: რას ნიშნავს „გუ-
ლი ჩემი ლაყვარლისფრად გავალურჯე, გავალალე“. თუ გაალურჯა გუ-
ლი, როგორღა გაალალა? ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ მასაც საეჭ-
ვოდ მიაჩნია ავთანდილის მიერ გამგზავრების დახვალეობა (უსათუოდ

წავალ ხვალე) და ამიტომ ისიც მომხრეა სტროფის ჩანართებში დატოვებისა. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ წასვლის შესახებ გარკვევით არის ნათქვამი წინა 121-ე სტროფში: „განალამცა წავე, წა, მე!“, ახლა კიდევ ზედმეტი გამეორებაა, რომ ხვალ უსათუოდ წავალო, როგორღაც არ უდგება ძირითად ტექსტს. ს. კაკაბაძეს საჭიროდ მიაჩნია ამ სტროფის ძირითად ტექსტში დარჩენა. კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო. წინა-აღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ტექსტის მიხედვით ავთანდილის მეორე დღეს წასვლა გამართლებულია, ხოლო მას „უსათუოდ“ კი არა აქვს დაბეჭდილი თავის გამოცემაში, არამედ ზოგიერთ ხელნაწერის თანახმად — უსაცილოდ. პირველ ტაეპში: სამსახურად შენთვის, ხელნაწერების მიხედვით შეიცვალა — სამსახურად შენად. მეორე ტაეპში: უსათუოდ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, შეიცვალა — უსაცილოდ. მესამე ტაეპში: „გული ჩემი ლაქვარდის ფრად გავალურჯე, გავალალე“, ხელნაწერებზე დაყრდნობით ასე შეიცვალა — გული ფრად ლაქვარდისა გავაწითლე, გავალალე. მეოთხე ტაეპში: რა მიბოძე, რამც ვივალე, შეიცვალა — რამც მიბოძე, რამც ვივალე.

123-ე სტროფი: კვლავ შეფიცეს ერთმანეთსა... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: შეფიცეს, დაიწერა — შეჭფიცეს. მეორე ტაეპში: სიტყვა ხშირი, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: კბილთა გამოკრთების, დაიწერა — კბილთათ გამოკჭრთების.

124-ე სტროფი: ერთგან დასხდეს, ილაღობეს... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს რომ ეს სტროფი შინაარსობრივად ახალს არას ამბობს. იგი გამეორებაა წინა 123-ე სტროფის: კვლავ შეჭფიცეს ერთმანეთსა. კიდევ უფრო მეტი: წინა სტროფში ნათქვამია, რომ „კვლავ შეჭფიცეს ერთმანეთსა“, შემდეგ — „გაამრავლეს საუბარი სიტყვა ხშირიო“ და ამ სტროფში კი ახლასხდებიან ერთად და ლაპარაკობენ. იმ ფიცის შემდეგ, რომელიც წინა სტროფში მოხდა, ახლა გვიან არის ეს ლაპარაკი. ფორმის მხრივაც სტროფი ექვს იწვევს. სტროფი დაწერილია მაჯამით. მაჯამა კი, როგორც ფორმა, თავისთავად მძიმეა და უფრო დამახასიათებელია დაქვეითების ხანისა, როდესაც ფორმებით გატაცებას ჰქონდა ადგილი. მაჯამით წერენ რიტორიკული სტილის წარმომადგენლები, რუსთველის სტილი კი მეტად სადაა, მარტივი და გასაგებადაც ადვილი. ამ მხრივ ეს სტროფი გასაგებადაც ძნელია. ასეთი ყოვლიერული საძებნელი (აზრის გაგების მხრივ) სტილი შეიქმნა გვიან. ნაძალადეგია და ხელოვნურია პირველ ტაეპშივე ა ს ა დ ა გ ე ს. ჩემი აზრით, სტროფი ძირითად ტექსტიდან უნდა იქნეს ამოღებული. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი უექველად თავის ადგილას არის. ეს არის წმინდა მაჯამა. ა. ბარამიძე ამბობს, რომ მაჯამა მძიმე ფორმააო, ეს შეიძლება ნაწილობრივ მართალი იყოს. შეიძლება

მაჯამა მძიმედ მოგვეჩვენოს მაშინ, როდესაც მაჯამური სტროფები ერთი-ერთმანეთზეა მიყრილი, როგორც თეიმურაზსა აქვს და სხვ. ვეფხისტყაოსანში კი სულ სხვა მდგომარეობაა. აქ არის 20-მდე მაჯამა შიგა და შიგ ტექსტში გაბნეული, როგორც ნამდვილი სამკაული ტექსტისა. კერძოდ, ეს მაჯამა დაწერილია ისე შესანიშნავად, რომ ვერავითარ შემთხვევაში ასეთ მაჯამას შემდეგში ვეღარ წერდნენ. რაც შეეხება იმის თქმას, ა ს ა დ ა გ ე ს ხელოვნურიაო, ვინც ამას იტყვის, ჩანს კარგად არ იცნობს ვეფხისტყაოსანში მიღებულ ჩვეულებრივ მანერას, რომ რითმები შექმნას რიცხვთა კომბინაციებით. ასეთი რამ უფრო დასაშვებია მაჯამაში. ამგვარად, სტროფი თავის ადგილას უნდა დარჩესო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი ვეფხისტყაოსანში შეიძლება შედეგად ჩაითვალოსო. იგი არ უარყოფს, რომ შემდეგში, ალორძინების ხანის მწერლებმა, გააყალბეს მაჯამის გაგება და ხმარება, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, რომ ვეფხისტყაოსანში ყალბად მივიჩნიოთ მაჯამით დაწერილი სტროფებიო. მისი აზრით, სტროფი არ არის სრული გამეორება წინა სტროფის, ფიცის მიცემის შემდეგ ამ სტროფში მოცემულია ხაზგასმით მიჯნურთა თავისუფალი ქცევა: ერთად დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ა ს ა დ ა გ ე ს, გამხიარულდნენ და საუბარი გაამრავლესო. სტროფი არც ძნელი გასაგებია: ა ს ა დ ა გ ე ს — პირდაპირ კლასიკური ფორმაა. მეორე ტაეპი: ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს — ნიშნავს, რომ გაასადავეს, სადად აქციეს ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი, ე. ი. ბაგე კბილი და ულვაშიო. მესამე ტაეპში: ყმა ეტყვის თუ: „შენთან მჭკრეტთა თავი, ხელი ა სად აგეს“ ე. ი. „სად წააგეს შენთა მჭკრეტთა თავიო, ВОТ ГДЕ ОНИ ПОТЕРПЯЛИ ФУАСКО. მეოთხე ტაეპის გაგება კი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ასე, რომ ამ მხრივაც სტროფი არავითარ ეჭვს არ ბადებს და შეიძლება ითქვას მაჯამათა შორის მას ბადალიც არა ჰყავდეს. სტროფის ძირითად ტექსტიდან ამოღება ყოვლად შეუძლებელია. სტროფის ძირითად ტექსტში დარჩენას მხარს უჭერს ქ. კეკელიძეც. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ა. ბარამიძე. მეორე ტაეპში: ბროლ ბადახში, დაიწერა დეფისით. მესამე ტაეპში: ასად აგეს, დაიწერა — ა სად აგეს. მეოთხე ტაეპში: ა ს ა დ ა გ ე ს ნაცვლად ქ. კეკელიძე აყენებს ასეთ წაყითხვას: ა ს ა დაგეს, ე. ი. აი სად დაგეს (დაწვის მნიშვნელობით). კომისიამ მიიღო ა ს ა დ ა გ ე ს. კეკელიძის წინადადებას მხარი დაუჭირა ა. ბარამიძემ.

124¹-ე სტროფი: ახლოს უზის ლალი ჰვრეტად... იწვევს კამათს. ქ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ კომისია, რა თქმა უნდა, ამ სტროფს არ მიიღებს, მაგრამ მას ეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია, რადგან ამ სტროფში გვხვდება ძალიან მნიშვნელოვანი ტაეპი: თუ ზოგნიცა არ დახოც-

ნეს, ღმერთმან სხვანი რადმცა შობისო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფი აზრთა თანამიმდევრობისათვის საჭირო არ არის. სტროფი არ არის ვახტანგის გამოცემაშიაც. თვით ის ტაეპი, რომლისათვისაც ამხ. ჰიჭინაძე სტროფს ძირითად ტექსტში ტოვებდა, გამეორებაა ცნობილი ტაეპის ძირითად ტექსტიდან: ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს. სტროფი ამოსაღებად მიმაჩნიაო. სტროფი ჩანართად ცნეს.

125-ე სტროფი: ყმა წავიდა ღიშორესა... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ მომხდარა, გაიმართა ზასვენ ნიშნებით.

125¹-სტროფი: ყმა წავიდა, მას იგონებს... ჩანართად ცნეს. გაიმართა სასვენ ნიშნებით.

125²-ე სტროფი: თქვა მზეო, ვარდსა... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, სტროფში მოიპოვება ბევრი უმართებულო ფორმა, როგორცაა: ესადრე. ჟუკვითლესადრე, უგრძესადრე, წესადრე. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ ესენი შემდეგი დროის ლექსებია, მას ძირითად ტექსტში ვერ შევიტანთო. კ. ჰიჭინაძე აღნიშნავს, რომ ი. აბულაძეს ჯერ კიდევ თავის უკანასკნელ გამოცემაში აღნიშნული აქვს, რომ „ეს“ ამ სტროფში ვულგარული ფორმაა და რომ იგი ვეფხისტყაოსანში სულ 2-ჯერ არის ნახმარაო. ნამდვილად კი ვეფხისტყაოსნის სიმფონიის საშუალებით ჩვენ ვარკვევთ, რომ „ეს“ ვითომდა ვულგარული ფორმა ვეფხისტყაოსანში 13-ჯერ არის ხმარებულიო. [კომისიამ სტროფი ძირითადად ცნო]. პირველ ტაეპში: ესადრე, დაიწერა — ეს ადრე. მესამე ტაეპში: მამხვდეს, გასწორდა — მომხვდეს; კვლავ, დაიწერა — კვლა.

მორიგ სხდომას (1935, VI, 17) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჰიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 126—129 სტროფები.

126-ე სტროფი: საწოლს დაწვა, ტირს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მი ლ უ ლ დ ი ზ ნაცვლად, ხელნაწერთა ვარიანტებზე დაყრდნობით, კომისიამ მიიღო — მიპლულნის, წინააღმდეგნი იყვნენ კ. ჰიჭინაძე და ვ. ბერიძე. მეოთხე ტაეპში: პატიყნი, გასწორდა — პატიყი.

127-ე სტროფი: მოშორებდა საყვარლისა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: შექნოდა, დაიწერა — შეჰქმნოდა. მეორე ტაეპში: ყრის, დაიწერა — ჰყრის.

128-ე სტროფი: დარბაზს ეჯიბი შეგზავნა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: შესთვალას ნაცვლად ა. ბარამიძე მოითხოვდა — შეთვალას. მესამე ტაეპში: ხრლმითა-ს ნაცვლად მიიღეს — ხრმლითა. მეოთხე ტაეპში: სცნან-თან, მოიშალა ს-ანი.

129-ე სტროფი: მე წავიდე, მოვიარო... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ვგმირო, დაიწერა — ვკვამირო. მესამე ტაეპში: მორჩილ ქნილნი, დაიწერა — მორჩილ-ქმნილი; ყ ვ ე ლ ა, 'ხელნაწერებზე დაყრდნობით, დაიწერა — ყოვლი. მეოთხე ტაეპში: ძღვენი — ძღვენი.

კომისიის შემდეგ სხდომას (1935, 19, VI) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 129¹-ე — 135 სტროფები.

129¹-ე სტროფი: "შევიწიო ბედი თქვენი... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: და გამონო, შესწორდა — დაგამონო.

130-ე სტროფი: მეფესა ეთქვა ამისი... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. მეორე ტაეპში კამათს იწვევს — უბრძანა. ზოგიერთ ხელნაწერში წერია — ებრძანა. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფში მოთხრობილია ის, თუ რა შემოუთვალა მათემ ყმას ავთანდილს თავის შეთვლილობაზე, ამიტომ სჯობს — ებრძანა. პირველ ტაეპშიც გვაქვს ეთქვა: ყმა 'ავთანდილი მეფესთან თითონ არ შესულა, ამიტომ პირთან უშუალო დამოკიდებულების გამომხატველ ზმნას უ ბ რ ძ ა ნ ა ს ვერ მივიღებთო. კომისიამ მიიღო ე ბ რ ძ ა ნ ა. ამავე ტაეპში კამათს იწვევს: ომთა გარდუხდელობა. ზოგიერთ 'ხელნაწერსა და გამოცემაშია ომთა გამდრეკელობა. ვ. ბერიძე შენიშნავს, რომ აზრისთვის გა მ დ რ ე ე ლ ო ბ ა ც შეიძლება მისაღები ყოფილიყო, მაგრამ „ომთა გამდრეკელობა“ უმართებულად არის გამოთქმული, „ომთა შიგან გამდრეკელობა“ კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ რადგან ხელნაწერთა უმრავლესობა „ომთა გარდუხდელობას“ უჭერს მხარს, ბეჭდური ტრადიციაც ასეთივეა, ამიტომ დარჩეს „ომთა ჯარდუხდელობა“. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ მას დღეს არ შეუძლია სრული მონაწილეობის მიღება კომისიის მუშაობაში, მით უმეტეს, რომ 'ხელთ არა აქვს თავისი მასალები. მაგრამ ამ შემთხვევაში იგიც „გამდრეკელობას“ დაუჭერდა მხარს. ასეთ წაკითხვას მხარს უჭერს ვახტანგის გამოცემა და H 757 ხელნაწერი. ამასთან დაკავშირებით კომისიის წევრი პ. ინგოროყვა აცხადებს, რომ ის მონაწილეობას მიიღებს წაკითხვების დადგენაში, ხოლო რაც შეეხება კონტექსტის მიმართ მსჯელობას, ამა თუ იმ სტროფის სიყალბე-ნამდვილობას, იგი ჭერჯერობით მონაწილეობას ვერ მიიღებს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ამ ტაეპის აზრია: შენ მრავალჯერ გადაგიხდია ომი, არა ხარ გამოუცდელი ომში. ასე რომ აქ გამდრეკელობა აზრს არ უდგებაო. კომისიამ მიიღო — ომთა გარდუხდელობა. წინააღმდეგი იყო პ. ინგოროყვა. მესამე ტაეპში: გავსო, დაიწერა — ჰგავსო.

131-ე სტროფი: ყმა შევიდა, თაყვანი სცა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: აწ ნუთუმცა კვლავ ნახვისა, იწვევს კამათს. ვ. ბე-

რიძე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ხელნაწერი იძლევა სხვაგვარ წაკითხვას — აწ ნუთუ კვლა სიშორისა. საჭიროა გავარკვეოთ, როგორია შინაარსის მხრივ მდგომარეობა. ნატვრითი კილო გვეპირდება აქ აზრის თანამიმდევრობისათვის, თუ კავშირებითი. თუ ნატვრითი კილოა, მაშინ ნუთუმცა უნდა დარჩესო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ შინაარსის მხრივ აქ მომავალზეა ლაპარაკი, ღმერთმან ბნელი გამითენოს, ასე რომ — მცა უნდა. კომისიამ მიიღო — ნუთუმცა. ამავე ტაეპში კამათს იწვევს: აწ ნუთუმცა კვლავ ნახვისა, რადგან ზოგიერთი ხელნაწერი იძლევა ასეთ წაკითხვას: აწ ნუთუ კვლა სიშორისა. ა. ბარამიძე მომხრეა, რომ მივიღოთ იმ ხელნაწერის წაკითხვა, რომელიც იცავს ნუთუმცას. ვ. ბერიძე წინადადებას იძლევა, რომ ტაეპის წაკითხვა მივიღოთ Q 261 და H 2610 ხელნაწერთა მიხედვით, როგორც უფრო აზრიანი — აწ ნუთუმცა კვლა ნახვითა. კომისიამ მიიღო ასეთი წაკითხვა. პ. ინგოროყვას აზრით აქ ნახვისა-ს ნაცვლად სიშორისა უნდა იყოს. იგი დადგენილებაზე თავს იკავებს.

132-ე სტროფი: მეფე ხელსა მოეკიდა... ძირითადად მიიჩნის. კამათს იწვევს: მეფე ხელსა მოეკიდა. ზოგიერთი ხელნაწერი იძლევა ასეთ წაკითხვას: მეფე ყელსა მოეკიდა, კომისიის უმრავლესობას უფრო აზრიანად მიაჩნია: მეფე ყელსა მოეკიდა. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ აზრი ერთსა აქვს და მეორესა, უნდა გაისინჯოს ყველა დანარჩენი შემთხვევა და საკითხი ისე გადაწყდეს. საკითხის გადაწყვეტისას პ. ინგოროყვა თავს იკავებს. პირველ ტაეპში: გარდაკოცნა დაიწერა 3-ათი, წინააღმდეგი იყო ა. ბარამიძე.

133-ე სტროფი: გამოემართა ავთანდილ... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს მეორე ტაეპის — ღამესა დღე ზედა წართო მრავალი. ვ. ბერიძის წინადადებათ თანახმად, კომისიამ აირჩია ხელნაწერების წაკითხვა: ღამეცა დღე ზედა წართო მრავალი. ამავე სტროფში კამათს იწვევს მესამე ტაეპის — იგია ნივთი და ვალი. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ აქ ტაეპის ბოლო ასე უნდა დაიწეროს: იგია ნივთი, და-ვალი — იმ გაგებით, რომ დავალი, იგივე დავლეთი, არის არაბული. ტაეპის აზრი ასეთია: იგია ნივთი, ქონებათ. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ იგი მხარს დაუჭერდა ასეთ წაკითხვას, რომ შესაძლებელი იყოს დავლეთის ამგვარად დავალ-ად გადმოსვლა. მისი აზრით, აქ არის ნივთი და ვალი. ვალი ჩვეულებრივის გაგებით. ერთის მხრივ სოფლის ნივთი და მეორეს მხრივ მისი საპირისპირო სოფლის მიმართ ვალი. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ანალოგიური აღვილებების მიხედვით აქ მოსალოდნელია ნივთი და ვალი. ვალი ჩვეულებრივის გაგებით. კომისიამ მიიღო ტრადიციული წაკითხვა: იგია ნივთი და ვალი. წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე. ამავე სტროფში მეოთხე ტაეპის

წაკითხვა: არ მოსცილდების თინათინ მას, მისგან გულსა წევს ალა. კომისიამ მიიღო ვახტანგის გამოცემის მიხედვით: არ მისცილდება თინათინ მისი მას ვისგან სწავე ალი.

134-ე სტროფი: რა მივიდა, სიხარული... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, კომისიამ მიიღო მივიდა-ს ნაცვლად მოვიდა. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე. მეორე ტაეპში: უფასოსა — იწვევს კამათს. ვ. ბერიძე იძლევა წინადადებას, რომ ავირჩიოთ ხელნაწერებისა და ვახტანგის გამოცემის წაკითხვა — იეფოსა, რაც ნიშნავს — უხვს. კომისიამ ეს წინადადება მიიღო. თავი შეიკავა ა. ბარამიძემ. მესამე ტაეპში: მოსცილდების, დაიწერა — მოსკოების. მეოთხე ტაეპში: მყოფი, ხელნაწერების მიხედვით, გასწორდა — მყოფნი.

135-ე სტროფი: ქალაქი ჰქონდა მაგარი... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. ცვლილებები არ შეტანილა. მეორე ტაეპში: უქვეტიკროსა-ს ნაცვლად ა. ბარამიძე მხარს უჭერდა — უქვეტიკროსა.

20 ივნისის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 136 — 139 სტროფები.

136-ე სტროფი: ესეა მონა შერმადინ... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი სოლივით შეჭრილია ორ ძირითად სტროფში და ბუნებრივ თხრობას ხელს უშლის, არაფერს ახალს არ მატებს. მის წინა და მომდევნო სტროფით (135 და 137-ით) ვიცით, რომ შერმადინი ავთანდილის თანშეზრდილია, რომ მან არ იცოდა ავთანდილისა და თინათინის მიჯნურობა და სხვა. მისი აზრით, სტროფი ამოსაღებია, მით უფრო, რომ მას არ იცნობს ერთი ხელნაწერი. ა. ბარამიძე იზიარებს ა. აბულაძის აზრს ამ სტროფის ზედმეტობაზე, და თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ამ სტროფში აღწერილობის გზით გაშეორებულია ის, რაც მომდევნო სტროფში ავთანდილ-შერმადინის საუბრით არის გადმოცემული. ამგვარად, აქ პარალელიზმს აქვს ადგილი. 135-ე სტროფის ბოლოს ნათქვამია, რომ შერმადინი მისი, ე. ი. ავთანდილის გაზრდილია. აქ კი ვკითხულობთ, რომ ეს მონა შერმადინ მისი თანშეზრდილია, მისი ერთგული. ამასთან სრულიად ზედმეტია — ზემოდცა სახელდებუ-ლი. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მას 136-ე სტროფი მიაჩნია აუცილებელ ნაწილად ძირითად ტექსტისა და ზედმეტად თვლის დასაბუთების წარმოდგენას. ს. იორდანიშვილს სტროფი ძირითადად მიაჩნია. მისი აზრით, ოდნავი დაეჭვება შეიძლება მარტო იმ გარემოების გამო, რომელზედაც აქ ყურადღება ა. ბარამიძემ მიაქცია, სახელდობრ, ამ სტროფში ნაწილობრივ აღწერილობით ნათქვამია შემდეგ მოყვანილი საუბრის აზრი. მაგრამ ამ ნიშნის მიხედვით სტროფს ყალბად ვერ მი-

ვიჩნევთ, რადგან ასეთი შემთხვევები ვეფხისტყაოსანში საერთოდ გვხვდება. ამას გარდა, სტროფში დამოწმებულია „ზემოდცა სახელდებული“ შერმადინი, რომელიც პირველად ნადირობის დროს გავიცანით. მე ის სტროფი თავის დროს ძირითადად მივიჩნეე და მისი დამოწმებული სტროფიც ძირითადად მიმაჩნიაო. კ. კეკელიძეს სტროფი ამოსაღებად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ წინა 135-ე სტროფში ნათქვამია: „გაზრდილი მისი შერმადინ დაისვა სავაზიროსა“. ამას უნდა მოჰყვეს ბუნებრივი გადასვლა, თუ რა უბრძანა სავაზიროს რომ დაისვა. ასე, რომ 137-ე სტროფით: უბრძანა აჰა, შერმადინ... სრულიად ბუნებრივი გადასვლაა. 136-ე სტროფი კი: ესეა მონა შერმადინ, ზემოდცა სახელდებული... სრულიად უადგილოდ არის შეჭრილი ამ ორ სტროფს შუა. ამასთან ამ სტროფით დამოწმებულია ჩვენ მიერ ზემოთ ყალბად მიჩნეული სტროფი. ჩვენ ის სტროფი ამოვიღეთ, ასე, რომ ეს სტროფიც უნდა ამოვიღოთ. ვ. ბერიძეს სტროფი ძირითად ტექსტის ნაწილად მიაჩნია. მართალია, 135-ე სტროფით ჩვენ უკვე ვეცნობით შერმადინს, მაგრამ აქ იგი იწოდება ავთანდილის გაზრდილად. ვისმეა რომ ეჭვი არ დაბადებოდა ავთანდილისა და შერმადინის ასეთ ურთიერთობაზე, შემდეგ 136-ე სტროფში ნათქვამია, რომ ეს მონა შერმადინი, რომელიც ზემოთაც დავასახელებთ, არის თანშეზრდილი ავთანდილისა, მისი ერთგული და თავდადებული. ამიტომ ეს სტროფი უნდა დარჩეს ძირითადში და მასთან დაკავშირებით ძირითადშივე უნდა დარჩეს ნადირობის ეპიზოდისა და ის სტროფი, სადაც პირველად იხსენიება შერმადინიო. პ. ინგოროყვა აცხადებს, რომ ის არ მიიღებს მონაწილეობას სტროფულ შემადგენლობის განხილვაში და ამიტომ ამ სტროფის შესახებ თავის აზრს არ გამოთქვამს. ხმის დიდი უმეტესობით სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი. 1936 წ. 7 მაისს ეს სტროფი კომისიამ კვლავ განიხილა და იგი ძირითადად მიიჩნია.

137-ე სტროფზე (უბრძანა, აჰა შერმადინ...) ოქმში არაფერია აღნიშნული. ეტყობა კომისიას ის ძირითადად მიუღია, რადგან დაბეჭდილია პოემის საიუბილეო გამოცემაში. ტექსტში ცვლილებები შეტანილი არ არის.

137¹-ე(ივ) სტროფი: შენცა იცი, თინათინის... იწვევს კამათს. კ. ქიქინაძე აღნიშნავს, რომ პირველი ორი თავი მეტისმეტად დაზიანებული ნაწილია ვეფხისტყაოსნისა. ამათ გასამაგრებლად ჩემ მიერ შეტანილმა სტროფებმა მთლად ვერ უშველა. ასევე ვერ უშველის კომისია ამ სტროფების ამოღებით. მართალია, ჩემ მიერ შეტანილ სტროფებში ზოგიერთი შედარებით სუსტია, რომელთა დათმობა მე შემიძლია, თუ დამარწმუნებენ მათ ზედმეტობაში, მაგრამ ეს სტროფი მე-

ზობელ სტროფს არ ჩამოუვარდებოა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფი მხოლოდ არტანუჯულ ვარიანტში არის. კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო და მისი ხელნაწერიდან ამოწერა დაევალა ქმნიდან.

137¹-(ე) სტროფი: მოუკლივარ თინათინის... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი ახალ ფორმების შემცველად მიაჩნია, სრულიად არა ჰრუსთველური ფორმებისა, და ვერ ხედავს ვერავითარ საჭიროებას სტროფის დატოვებისას. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფში შინაარსის მხრივ ახალი არა არის რა, ხოლო გამეორებას კი შეიცავს. ამასთან, მეორე ტაეპი: ცრემლი ცხელი ასოვლებდეს ნარგიზთაგან ვარდსა ზრულსა — ისეა დაწერილი, რომ სრულიად ამოვარდნილია საერთო სქემიდან. მართლაც და სტროფის დანარჩენ ტაეპებში ყველგან თავის თავზეა ლაპარაკი (მოუკლივარ, ვერ ვაჩენდი, მიბრძანა) და აქ კი მესამე პირზეა საუბარი: ცრემლი ცხელი ასოვლებდეს. ამიტომ მე სტროფს ამოსაღებად ვთვლი. ვ. ბერიძე არ ეთანხმება ა. ბარამიძის მოსაზრებას სტროფის მეორე ტაეპის საერთო სქემიდან ამოვარდნილობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში არავითარი არაბუნებრივობა არ არის, ამგვარი ამბები ხშირია ვეფხისტყაოსანში და ამ შემთხვევაში მეტაფორული თქმით ავთანდილი კვლავ თავის შესახებ ლაპარაკობს, თავის ცხელ ცრემლებზე. ს. იორდანიშვილს სტროფი ძირითადად მიაჩნია, აზრთა თანამიმდევრობისათვის. კ. კეკელიძე მოითხოვს სტროფის ძირითადში დარჩენას. მისი აზრით, ეს სტროფი რომ გამოვტოვოთ და პირდაპირ გადავიდეთ ; 138-ე სტროფზე, რომელიც ასე იწყება: მიბრძანა, მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა... გაუგებარი იქნება, თუ ვინ უბრძანა. ამ სტროფით კი ავთანდილი უმხელს შერმადინს მას, თუ რა უბრძანა თინათინმა. უამსტროფოდ მომდევნო სტროფი წარმოუდგენელიაო. სტროფი ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში, ხელნაწერების მიხედვით, მიღებულ იქნა მოუკლივარ. მეორე ტაეპში: ასოვლებდეს, ხელნაწერების მიხედვით, შესწორდა — ასოვლებდის; ვ. ბერიძის წინადადების თანახმად, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიიღეს ნარგიზთაგანის ნაცვლად — ნარგისთაგან.

137²-ე სტროფის: პირველად მქონდა მე მისი... ძირითად ტექსტში დატოვებას მოითხოვდა კ. ჭიჭინაძე. ი. აბულაძეს სტროფი ახალი ფორმებით დაწერილად მიაჩნია და აზრის მხრივ სრულიად ზედმეტად. სტროფი ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: გამიტკბა, დაიწერა — მამიტკბა.

138-ე სტროფი: მიბრძანა მიცან ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: სრულვყო, ხელნაწერების მიხედვით დაწერეს სრულვქმნა.

138¹-ე სტროფი: ავთანდილ ეტყვის შერმადინს... ჩანართად ცნეს. სტროფი გაიმართა სასვენ ნიშნებით.

139-ე სტროფი: პირველ ყმა ვარ.. კამათს იწვევს მეორე ტაეპის: ყოფა მართებზ ყმასა ყმურად. ვ. ბერიძე მოითხოვს ტაეპის შესწორებას ვახტანგის გამოცემის მიხედვით: ყოფა გვმართებზ ყმასა ყმურად, რადგან ყმა შემკრებლობითია. კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე მოითხოვდნენ ზოგად თქმის მიღებას: ყოფა მართებზ ყმასა ყმურად. მიიღეს ვახტანგის რედაქცია: ყოფა გვმართებზ ყმასა ყმურად. მეოთხე ტაეპში: ნაცვლად „ჭირსა დახედეს“, ხელნაწერების მიხედვით, მიიღეს: ჭირს მიუხდეს მამაცურად.

139¹-ე სტროფი: პირველი ყმა ვარ და ვაამებ... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: მმაზრობს, დაიწერა ერთი მ-ანი.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, VI, 21) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე (თ-რე) ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 140 — 149 სტროფები.

140-ე სტროფი: ვართ უმოყვრესნი მე და შენ... ძირითადად მიიჩნეს. პირველ ტაეპში: პატრონ ყმათასა, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: ვიქ, დაიწერა — ვიქმ.

141-ე სტროფი: ლაშქართა და დიდებულთა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში ნ ა პ ი რ ო ბ დ ი ს ნაცვლად კომისიამ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიიღო — კპატრონობდი. მეოთხე ტაეპში: არ ყოფასა, დაიწერა დეფისით.

142-ე სტროფი: ლაშქრობა და ნადირობა... ძირითადად მიიღეს. კომისიამ მიიღო ვახტანგის რედაქცია. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფში: აქათ სამწულ მომიცადე — სწორად არის ხმარებული ფორმა აქათ, რაც ნიშნავს აქათგან. ჩვენ ამიერიდან ამ ფორმით მივიღეთ 70-ე სტროფში: იქით და აქით დგებოდეს. სწორი იქნებოდა იქი და აქა და არა იქით და აქათ. აქათ-ის მნიშვნელობა ახლა უფრო ნათლად ჩანს ამ სტროფით, ამიტომ ზემომიღებული 70-ე სტროფი უნდა გადაისინჯოს. მაგრამ, ეტყობა, კომისიას საკითხი ხელახლა არ განუხილავს, ტაეპი დაბეჭდილია ისე, როგორც პირველად მიიღო კომისიამ.

142¹-ე (ი) სტროფი: ცის ჯიდემდის ვიარები... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: მამცემელი, დაიწერა — მომცემელი.

142¹-ე (ზ) სტროფის შესახებ — პაემანსა არ მოვესწრა... კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ კომისიის გეზის მიხედვით, მართალია, ეს სტროფი ზედმეტად მიიჩნევა, მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნია, რადგან შერმადინი შემდეგში ავთანდილის წასვლის ამბავს ჯარს საზღვარზე გაუმ-

ელავენებს, ეს კი გათვალისწინებულია ამ სტროფში: გაუქვლავენე ყმა-
თა ჩემთა, ცრემლი ხშირად მოიწურეო. ვ. ბერიძის აზრით, სტროფე-
ბის ძირითად ტექსტში დატოვებას არავითარი საფუძველი არა აქვს.
სტროფი ჩანართად ცნეს, გაიმართა სასვენ ნიშნებით.

143-ე სტროფი: მაშინლა კადრეს მეფესა... ძირითადად ცნეს. პირ-
ველ ტაეპში: კადრე, დაიწერა — ჰკადრე. მესამე ტაეპში: მიხედა
თქვის ნაცვლად კომისიამ, ვარიანტებზე დაყრდნობით, მიიღო:
მიხვდა-თქო.

143¹-ე სტროფი: ესე არის ამ სოფლისა... ჩანართად ცნეს. მეორე
ტაეპში: კადრე, დაიწერა — ჰკადრე. გაიმართა სასვენ ნიშნებით.

144-ე სტროფი: მაშინ უფრო მამეხმარე... [ძირითადად მიიჩნიეს].
კამათს იწვევს სტროფის პირველ ტაეპში: ამისგანცა უფრო მხნედრე.
კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მისი აზრით, აქ არის ორი წინადადება:
პირველი — მაშინ უფრო მომეხმარე — და მეორე — ამისგანცა უფ-
რო მხნედ რე. რე უნდა დაიწეროს ცალკე და აქ აღნიშნავს: იარე, ზვი-
ლოდე: ამაზე უფრო მხნედ იარე ჩემს მოსახმარებლადო. ა. შანიძე
აღნიშნავს, რომ ყოვლად შეუძლებელია რე გავიგოთ იმგვარად, რო-
გორც კ. ჭიჭინაძე წარმოგვიდგენს, რე ნიშნავს სახით, *отразом*. ვუ-
ფხისტყაოსანში სხვა ადგილასაც გვხვდება რე, სადაც ამ რე-ს მნიშვნე-
ლობაში დაეჭვებაც აღარ შეიძლება, მაგ., ქარვისა უყვითლესადრე.
რე ამგვარი მნიშვნელობით აღრიხდელი ფორმა და ზანმეტშიაც
გვხვდება: ხუშირესადრე. ი. აბულაძე აღნიშნავს — რე აქ ნიშნავს: კი-
დევ. ამ ტაეპის ბოლო აზრია: კიდევ უფრო მხნედ; იარე აქ
სრულიად არ არისო. კომისიამ შესწორება არ გაიზიარა. პირველ ტა-
ეპში: მხნედრე, დაიწერა ერთად. მეორე ტაეპში: ნუ თუ აღრე დამი-
ვიწყო, ა. შანიძე მოითხოვდა ასეთი შესწორების შეტანას: ნუ! თუ აღ-
რე დამივიწყო. კომისიამ შესწორება არ გაიზიარა. მეოთხე ტაეპში: მო-
იგონე, მიღებულ იქნა მრავლობითში — მოიგონენ.

145-ე სტროფი: რა მონამან მოისმინა... ძირითადად ცნეს. მეორე
ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, ასე იქნა მიღებული: თვალთათ
ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი გარდმოღვარა. მესამე ტაეპში „რამ-
ცა გაიხარა“-ს ნაცვლად ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდნენ:
რადმცა გაიხარა-ს. კომისიამ მიიღო: რამცა გაიხარა.

145¹-ე სტროფი: განალა ლომსა იმედის... იწვევს კამათს. კ. ჭიჭი-
ნაძის აზრით, ეს სტროფი როგორც გამომხაურება შერამდინისა თი-
ნათინისაგან ავთანდილის მიერ იმედის მიღებაზე, უეჭველად საჭიროა
და ფორმითაც რუსთველურია. ამიტომ მისი ამოღება შეუძლებელიაო.
ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი ვახტანგს არა აქვს შეტანილი და
ეს უკვე ბადებს ეჭვს მის ძირითადობაში. აზრის მხრივ სტროფი გამე-

ორებაა წინა სტროფში გამოთქმულ აზრების. წინა სტროფში კვითხულობთ: „უშენომან გულმან რამცა გაიხარა“. აქ კიდე: უშენოდ მყოფი არ ვარგვარ. შემდეგ აქ ნათქვამია, რომ მარტოს თავი რად გადაგიდვია წასასვლელად. იგივე აზრი გამეორებულია მომდევნო ძირითად სტროფში: სჯობს ორნივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანეო. ანგვარად, აზრს მხრივ ეს სტროფი სრულიად ზედმეტია და, როგორც ასეთი, ამოსაღებიაო. ვ. ბერიძეს სტროფი, როგორც ზედმეტი ტვირთი და ახლის არ შემცვლელი, ამოსაღებად მიაჩნია. მის აზრით, შესაძლებელია ეს ვარიანტი შოთას კალამსაც ეკუთვნოდეს, მაგრამ როგორც ვარიანტს ძირითად სტროფებისას ჩვენ დადგენილ ტექსტში ვერ შევიტანთ, ისევე, როგორც, ვთქვათ, ვერ შევიტანთ ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ვარიანტებს ძირითად პოემაშიო. კ. კეკელიძესაც სტროფი საკვიროდ არ მიაჩნია, რადგან მასში გამოთქმული აზრები უფრო მოხდენილად წინად მომდევნო სტროფშია გამოთქმულიო. ა. შანიძე ყურადღებას აქცევს სტროფის მესამე ტაეპს: „უშენოდ მყოფი არ ვარგვარ, არცა თუ აქა ვზი სადა“ და აღნიშნავს: „არ ვარგვარ“ ახალი ფორმაა და აქვე ნახმარი „ვზი“ კი — ძველი ფორმა. ამის მიხედვით ეს სტროფი არ უნდა იყოს ძველი ტრადიციების მატარებელიო. სტროფი ჩანართად ცნეს.

146-ე სტროფი: ჩემად ნაცვლად დაგაგდებო... ძირითადად მიიჩნეის. მეორე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, როგორცა-ს ნაცვლად მიიღეს რა გვარა.

147-ე სტროფი: ყმამან უთხრა: მომისმინე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გეტყვი, ხელნაწერების მიხედვით, შეიცვალა — გითხრობ.

147¹-ე სტროფი: მისი ცეცხლი გულსა ჩემსა... ჩანართად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: მამდებია, დამდებია-ს ნაცვლად, ზოგიერთ ხელნაწერის მიხედვით, დადგინდა — დამწველი და მედებია.

148-ე სტროფი: ვისმცა უთხრა ზვაშიადი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვისმცა უთხრა, ხელნაწერების მიხედვით, შეიცვალა — ვისმცა უთხარ. მეოთხე ტაეპში: ნუთუმცა შემოვიქცე, ზოგიერთ ხელნაწერზე დაყრდნობით, შეიცვალა — ნუთუმცა შემოვიქცე.

149-ე სტროფი: ფათერაკი სწორად მოკლავს... ძირითადად მიიჩნეის. ზოგიერთ ხელნაწერში ფათერაკის ნაცვლად წერია: განგება. კომისიამ მიიღო: ფათერაკი. „განგება“-ს მხარს უჭერდნენ ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი. მეოთხე ტაეპში: გმორჩილობდენ — იწვევს კამათს. ი. აბულაძე მოითხოვს დარჩეს — გმორჩილობდეს, რადგან ხასი მხოლობითშიაო. ა. შანიძე არ ეთანხმება ი. აბულაძეს და აღნიშნავს, რომ რადგან ხასი თავისთავად შემკრებელობითი სახე-

ლია, გმორჩილობდენ უნდა დარჩეს დაკავშირებით შემდეგ წინადადებასთან: ვინცა იყოს ჩემი ხასი — კომისიამ მიიღო: გმორჩილობდენ.

მორიგ სხდომას (1935, 22, VI) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 150 — 158 სტროფები.

150-ე სტროფი: დაწერა თუ ჩემნო ყმანო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ამაზედან-ის ნაცვლად, ვარიანტებში შერჩეულ იქნა — ამასზედა. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა — ამაზედან. მესამე ტაეპში: საწადისა, გასწორდა — საწადლისა.

151-ე სტროფი: მიწაცა თქვენი ავთანდილ... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვარჩივე, იწვევს კამათს. ი. აბულაძე მხარს უჭერს ვარჩივენ ფორმას, რადგან საუკეთესო ხელნაწერებში ასეა წარმოდგენილიაო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ვირჩივე ოპირიანია: მე იგი ვირჩივე. ვარჩივე კი სამპირიანი: მე იგი მას „ვარჩივე გაკრა სმასა და მღერასა“. ამიტომ ამ კონტექსტში მხოლოდ ასეთი რამ არის შესაძლებელი. კომისიამ მიიღო — ვარჩივე. მეოთხე ტაეპში, ხელნაწერების მიხედვით, მიღებულ იქნა მივეენდე, ნაცვლად მივეენდე ვ ფორმისა.

152-ე სტროფი: საქმე რამე მიც თავისა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ზე სადმე, იწვევს კამათს. პ. ინგოროყვა მხარს უჭერს სამე ფორმას. კომისიამ მიიღო სადმე. მეორე ტაეპში: მარტო და ლარიბად, ა. შანიძის წინადადების თანახმად, შეიცვალა — მარტოდ და ლარიბად. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე.

153-ე სტროფი: მე შერმაღინ დაჰიდია... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ჩემად ნაცვლად, ხელნაწერებზე დაყრდნობით, შეიცვალა — ჩემად კერძად. მესამე ტაეპში: ვარდსა ზვრიდეს, არ აქცნობდეს — იწვევს კამათს. ი. აბულაძე მოითხოვს ტაეპის ასე შეცვლას: ვარდს არ ზვრიდეს არ აქცნობდეს, რადგან თუ დააზრობს, კიდევ დააქცნობს. აქ კი სწორედ ეს დაქცნობა და დაზვრა უნდა იქნას აცდენილიო. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ზვრიდეს გავიგოთ როგორც მზვარე-დან წარმოებული ფორმა და აქ ის აზრი იყოს, რომ ვარდს ამზიანებდეს, არ აქცნობდესო. კომისიამ მიიღო ი. აბულაძის შესწორება.

ათი წუთის შესვენების შემდეგ თავმჯდომარე ა. შანიძემ გააცნო კრებას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მომართვა (22 ივნისი 1935 წ. თარიღით): Тов. Кекелидзе! Все члены комиссии по установлению текста „Вепхис-Ткаосани“ обязаны работать по су-

შესრულებულ პლანს. ვინც არ აღიარებს, შეიძლება დაეკარგოს თავისი პოზიცია. ვინც აღიარებს, შეიძლება დაეხმაროს.

ორაველიძე.

კ. ჭიჭინაძე აცხადებს, რომ ის თანახმაა იმუშაოს ისე, როგორც კომისიის დანარჩენი წევრნი, ე. ი. მონაწილეობა მიიღოს სტროფული მოცულობის დადგენაში. ზ. ინგოროყვა აცხადებს, რომ რაკი ამ სეზონში აღარ შეიძლება მიღებული სისტემის შეცვლა, იგი თავს შეიკავებს და შემოდგომიდან, როცა მოხდება მიღებული სისტემის გადასინჯვა, მაშინ იგიც მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში. გრძელდება სტროფების დადგენა.

154-ე სტროფი: თქვენცა იცით, გამიზრდია... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში ასე, ხელნაწერების მიხედვით, მიიღეს ასრე: მორჩილობით, H 2074 ხელნაწერის თანახმად, დაიწერა — ჰმორჩილებდით. მესამე ტაეპში: აქნევიანთ, შესწორდა — აქმნევიანთ; ქნილი, S 5006 ხელნაწერის თანახმად, დაიწერა — ქმნილი.

155-ე სტროფი: ესე წიგნი დაასრულა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში, ხელნაწერების მიხედვით, დაასრულა-ს მაგიერ მიიღეს — გაასრულა. მეორე ტაეპში: საღარბოდ შეეკაზმა, ხელნაწერების მიხედვით, მიღებულ იქნა.

156-ე სტროფი: ბრძანა წადით ყველაკაი... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: მკვლელის, გასწორდა — მკლველი. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

157-ე სტროფი: იგი ველი გაირბინა... იწვევს კამათს. ა. ბარამიძეს სტროფი საეჭვოდ მიაჩნია, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. 156-ე სტროფით შევიტყვეთ, რომ ავთანდილი უკვე წავიდა, მონებიც მოიშორა და შამბოც გაირბინა. ახლა ამ სტროფით კვლავ იწყება „იგი ველი გაირბინა ლაშქართაგან გაეკიდა“. მთელი სტროფი დაწერილია მაჯამით და სამაჯამო სიტყვები ყველა ტაეპში ნათელი არ არის. პირველი ტაეპის — გაეკიდა თუ კიდეგანდსა... მეორის — გაეკიდა — გამოეკიდა, მაშინ გაუგებარი რჩება „მისი მკლავი გაეკიდა“. ასევე უცნაური გამოთქმაა „ტვირთად ვარგად აეკიდა“. 156-ე სტროფით ავთანდილი უკვე წავიდა: მას კლავს თინათინის გონება, ამ სტროფით ახალი არა არის რა მოცემული და იგი ზედმეტად. ი. აბულაძეს სტროფი ზედმეტად მიაჩნია და ზოგიერთი ტაეპი სრულიად უაზროდ. მეოთხე ტაეპში თუ დავტოვეთ აეკიდა, მაშინ მაჯამა აღარ არის და თუ მაჯამა გამოეორდა, მაშინ გამოდის რალაც უაზრობა: „ტვირთად ვარგად აეკიდა“. სტროფის გამოტოვებით არაფერი დაშავდება. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს არის ერთ-ერთი მაჯამა იმ 20 მაჯამათა შორის, რომელიც გაბნეულია ვეფხისტყაოსანში. სამაჯამო სიტყვა სავსებით გააზრიანებულია. ზოგან აშკარა განსხვავებაა

და ზოგან კიდევ ნიუანსური. მართალია, თავაატეხი მაჯამაა, მაგრამ ეს კი იმას არ ნიშნავს, გააზრიანებული არ არის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა მაჯამას სუსტი კავშირი აქვს ძირითად ტექსტის აზრის თანამიმდევრობასთან, მაგრამ ეს აიხსნება საერთოდ მაჯამის აღნაგობით. მისთვის დამახასიათებელია მიკიბულ-მოკიბული აზრის გამოთქმა. ამისდა მიუხედავად, მაჯამები წარმოადგენენ ერთგვარ ძვირფას სამკაულს ვეფხისტყაოსანში. კერძოდ, ეს მაჯამური სტროფიც აუცილებელია და თუ თქვენ არ დატოვებთ, სულ ერთია სხვა შეიტანსო. ვ. ბერიძის აზრით, ჩვენ რომ მაჯამა არ გვესმოდეს და ამ მიზეზით ასე ხელაღებით გამოვავდეთ იგი, არ იქნება დასაშვები. იყო დრო, როდესაც უფრო მეტი რიცხვი მაჯამათა იყო გაუგებარი. ყველა რაც გაუგებარია, რომ გამოეტოვებინათ, ჩვენამდის შეიძლება ერთ მაჯამასაც აღარ მოეღწია. ამავე საზომით რომ მიუდგეთ თეიმურაზს, შეიძლება იქაც ბევრი რამ იყოს გამოსატოვებელი. ჩვენ რომ არ გვესმის, ეს ჩვენ სისუსტედ უნდა ჩაითვალოს. კერძოდ, ამ სტროფში არაფერი უვარგისი არ არის. თუ გააკვირდა მეოთხე ტაეპისა არ გვაკმაყოფილებს, შეიძლება აეკრ და დარჩესო. კ. კეკელიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, 156-ე სტროფის შემდეგ, რომელიც ასე თავდება

მარტო გარე შემობრუნდა, შამში შიგან გაირბინა,
მეწყვი მისაღ საგონებლად მისი მკლაველი თინათინა.

უკვე ასრულებს ავთანდილის გამგზავრებას. ამ უქანასკნელი ტაეპის უხეირო გამეორებაა 157-ე სტროფის მეოთხე ტაეპი: „მისგან (ე. ი. თინათინისაგან) ტვირთი კაეშნისა, ტვირთად ბარგად აეკიდა“, რაც მეტად საეჭვოა, რომ რუსთველს ეკუთვნოდესო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აზრის თანამიმდევრობისათვის მას სტროფი ზედმეტად არ ეჩვენება. იგი აღნიშნავს: 155-ე სტროფით ნათქვამია, რომ ავთანდილმა „მინდორს შესაჯდომლად“ ლაშქარი დარაზმა. შემდეგ 156-ე სტროფით ირკვევა, რომ მან თავი გაიმართოვა მონებისაგან, ე. ი. უახლოესი ლაშქრიდან მოიშორა და შამში გაირბინა, მათ მოშორდა. შემდეგ მოცემულია მისი გაპარვა მთლად ლაშქრისაგან, რომელიც იქვე ნადირობს დაფანტული. ეს სტროფი სწორედ ასე იწყება: იგი ველი გაირბინა ლაშქართაგან გაეკიდა. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ მესამე ტაეპის „მისი მკლავი გაეკიდა“ უნდა ნიშნავდეს, რომ მისი მკველი არის მარტოდენ მისი მკლავით. სტროფი ვახტანგის გამოცემაში არის და უნდა დარჩესო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მისი გაგებით, „ვის მახვილი ვერას აენებს“ გულისხმობს ღმერთს. „მისი მკლავი გაეკიდა“, ე. ი. ღმერთი მფარველობსო. პირველი ტაეპის „გაეკი-

და“ იწვევს ექვს. არა ჩანს რას გაეკიდა, ამასთან „ლაშქართა გაეკი-
და“-ს ნაცვლად უნდა „ლაშქართაგან გაეკიდა“. სტროფი კარგა გვიან
უნდა იყოს ჩაწერილ-ჩამატებულიო. სტროფი ჩანართად ცნეს. წინა-
აღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე. 1936
წ. 7 მაისის სხდომაზე კომისია კვლავ დაუბრუნდა ამ სტროფის საკითხს
და ის ძირითადად მიიჩნია. მეოთხე ტაეპის დასასრული მიიღეს ვახ-
ტანგის გამოცემის მიხედვით: ტვირთად ვარგად. უკანასკნელი სამა-
ჯამო სიტყვა აეკიდა გასწორდა, ხელნაწერების მიხედვით, —გა-
ეკიდა. ვ. ბერიძე და ა. შანიძე მხარს უჭერდნენ ხელნაწერებში მოცე-
მულ წაკითხვას: „ტვირთად, ბარგად გაეკიდნე“.

ტექსტის დამდგენი კომისიის მორიგი სხდომის ოქმი არ ჩანს.
სხდომა ჩატარებულია 23 ან 24 ივნისს, რომელზედაც განუხილავთ
158 — 160 სტროფები. ს. კაკაბაძის 1914 წ. გამოცემული პოემის აღ-
ნიშნული სტროფების ვეფხისტყაოსნის საიუბილეო (1937 წ.) და „ჩა-
ნართ-დანართის (1948 წ.) გამოცემათა სტროფებთან შედარება შემ-
დეგ სურათს იძლევა:

158-ე სტროფი: რა ლაშქართა ინადირეს.. შეტანილია ძირითად
ტექსტში. მეორე ტაეპში: პირ მზე, დაბეჭდილია დეფისით. მესამე ტა-
ეპის ბოლოს დასმულია მძიმე.

158¹-ე სტროფი: ღმერთი ლომო... ძირითადად არის მიღებული.
პირველ ტაეპში: შენდა, დაბეჭდილია — შენად. მეოთხე ტაეპში: გულ
მოკლული, დაბეჭდილია დეფისით; გარდმოყრიდეს, გასწორებულია —
გარდმოჰყრიდეს.

159-ე სტროფი: შერმადინ ერთგან შეყარა... ძირითადად არის
მიჩნეული. პირველ ტაეპში: შეყარა ხასი, გასწორებულია — შეყარა
ხასნი. მეორე ტაეპში: მისგან, დაბეჭდილია — მისი. მესამე ტაეპში:
ყოველი, გასწორებულია — ყველაი; გულ დანაწყულულები, დაბეჭდი-
ლია დეფისით, ტაეპს ბოლოში უზის მძიმე.

159¹-ე სტროფი: შერმადინ უთხრა მართალ ხარ... ჩანართად
არის მიღებული. პირველ ტაეპში: უთხრა მართალ ხართ, თუ ცრემლსა
თვალთათ დამილდეთ, გასწორებულია — თქვა დიდებულნო, მართალ
ხართ, თუ ცრემლსა ჰმილდეთ. მეორე ტაეპში: მაგრამ გიჯობს, შეცვ-
ლილია — მაგრა გეიჯობს: დემორჩილდეთ, გასწორებულია — დაეპ-
მორჩილდეთ. მესამე ტაეპში: გავრყვნათ, შეცვლილია — დავაგდოთ.
მეოთხე ტაეპში: სამძიმარსა, გასწორებულია — სიმძიმისა.

160-ე სტროფი: ყოვლთა კადრეს... ძირითადად არის მიღებული.
პირველ ტაეპში: კადრეს, დაწერილია — ჰკადრეს. მეორე ტაეპის ბო-
ლოს დასმულია კითხვითი ნიშანი. მესამე ტაეპში: გამორჩილობდეთ,
გასწორებულია — გამორჩილობდით.

კომისიის მორიგ სხდომას (25, VI) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე (თ-რე), და კ. ქიქინაძე. განიხილეს და დაადგინეს 161 — 164¹-ე სტროფები.

161-ე სტროფი: ამ საქმესა შემოწმების... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის დამწერს არ ახასიათებს ასეთი დამოწმება, როგორც გვხვდება ამ სტროფში. ამასთან დაექვევხას იწვევს ამ სტროფის მაჯამობა, თვით სტროფი გაუგებარია. თეიმურაზ ბატონიშვილს თუმცა აქვს მისი განმარტება, მაგრამ იგი მთლად დამაკმაყოფილებელი არ არის. გაუგებარი რჩება რა უნდა იყოს: ლერწამი ტანად უზროს. მთელი სტროფი დაექვევხას იწვევს იმ მხრივაც, რომ იგი კარგ მაჯამისტს არ შეეფერება. ვ. ბერიძეს შემცდარად მიაჩნია ის მოსაზრება, თითქოს კლასიკურ პოეზიას არ ახასიათებდეს მაჯამა. იგი აღნიშნავს, რომ მეხოტბეებს აქვთ მთელი სტროფები მაჯამით დაწერილი და შოთასაც უექვევხად აქვს მაჯამები. სულ სხვა იყო თეიმურაზის ხანაში. მაშინ კი არ წარმოიშვა მაჯამა, მაშინ დაიწყეს მიბაძვითი მაჯამის წერა. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვესმის, თქმა იმისა, რომ ეს ყალბია, ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ხელნაწერებს, ბექდურ ტრადიციას და არც კი უნდა დავაყენოთ საკითხი მაგ სტროფის ძირითადობის და არა ძირითადობის შესახებ. სტროფი ძირითადში უნდა დარჩეს. მდივანი კითხულობს პროფ. კ. კეკელიძის აზრს სტროფის შესახებ: სტროფი ჩამატებულად მიმაჩნია. პირველი ტაევი უნდა ასე წავიკითხოთ: ამ საქმესა შემოწმების დიაგნოსი ბრძნისა ეზროს. ს. კაკაბაძეს სტროფი ძირითადად მიაჩნია. ძირითადადვე თვლიან ს. იორდანიშვილი და კ. ქიქინაძე. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მას სტროფი ძირითადად არ მიაჩნია, მისი აზრით, სტროფი მერმინდელი ჩანართია. ისიც ცხადია მისთვის, რომ აქ დიაგნოსი ბრძენი არის დიაღნოსი, რომელიც ბრძნად დიონისად არის გადაქცეული. დიაღნოსი კი არის წიგნის სახელი, რომელიც მიეწერება ეზრა წინასწარმეტყველს. ეს ფსევდოეზრას ნაწარმოები დაახლოვებით სომხური ეფრემვერდის ტიპისაა. მასში ისეთივე ცნობებია მოყვანილი, როგორც ეფუთის წიგნებშია. აქ ნათქვამია, თუ როგორი ზამთარი, ან როგორი ზაფხული დადგება იმისდა მიხედვით, თუ რომელ დღეს დაიწყება ახალი წელიწადი. ასეთი კალენდარული ცნობები არის მოყვანილი ამ წიგნში. ეს წიგნი ადრევე ყოფილა ქართულად ნათარგმნი. შემდეგში იმდენად დამახინჯებულა, რომ წიგნის სახელი შექმნილა ავტორის სახელად. ასეთი შეცდომა, წიგნის სათაურის და ავტორის გაიგივება, მერმინდელი ამბავი უნდა იყოს და თვით სტროფი — მერმინდელი ჩანართი. სტროფში შოთას ენა არა ჩანს. არ არის მისი დამახასიათებელი ფერადები. ამასთან ასეთი შესავლები, რო-

გორც აქა გვაქვს, სხვა თავებს არა აქვს. ვ. ბერიძე არ ეთანხმება ა. შანიძეს ამ უკანასკნელ დებულებაზე და აღნიშნავს, რომ ვეტხნისტყაოპანში არის რამდენიმე თავი, რომლებიც ასეთი შეწავალით იწყება. ასეთებია: 1. მთვარე მზესა მოეშოროს, 2. ვაი, სოფელო რაშიგან ხარ. 3. ვაი საწუთრო სიკრუვით და 4. ამ საქმესა დაფარულსა. ა. შანიძე აცხადებს, რომ სადაც ასეთი შეწავალია, ისიც საეჭვო უნდა იყოს. ეს სტროფი [161-ე] საეჭვოდ მიაჩნია და ამოღებული უნდა იყოს. სტროფი ძირითადად მიიჩნის. წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. ეს სტროფი კომისიამ კვლავ განიხილა 1936 წ. 7 მაისის სხდომაზე და ძირითადად ცნო. პირველი ტაეპის შესახებ შემოტანილი შეწორება „ამ საქმესა შემოწმება დიაღნოსი ბრძნისა ეზროს“, — უარყოფილ იქნა. ვ. ბერიძეს შემოაქვს წინადადება, რომ მიენდოს ერთ-ერთ წევრს მასალების მოკრება და მოხსენების წაკითხვა ამ სტროფის შესახებ. ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, რომ შესაძლოა აქ დიონისი არეოპაგელი ბრძენი კი არ იყოს, არამედ დიონ ბრძენი, დიონისი რომელიმე. ძიება ამ ხაზით უნდა იყოს მიმართული და დიონისი გამორიცხული უნდა იქნას. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ვეტხნისტყაოსანში ეს სიტყვა ბევრჯერ გვაქვს: „ბრძენი დივნოს“, სადაც ვინს ვერ მივიღებდით, თუ აქ ო-ნი (დიონოსი) არ იქნებოდა ისევე, როგორც მზეო-დან მივიღეთ მზევე; დ ი ო ნ ო ს მ ა მოგვცა დ ი ვ ნ ო ს ო. მესამე ტაეპში, ხელნაწერების მიხედვით, ბ ა ლ ა ხ შ ი ს ნაცვლად, მიიღეს — ბადახში.

161¹-ე სტროფი: ტარიას ძებნად ავთანდილ... ჩანართად მიიჩნის. მეამე ტაეპში: ხელ ქმნილი, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: ზედა ზედა, დაიწერა დეფისით.

161²-ე სტროფი: მივიდოდა, მიუბნობდა... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში „კლავს“ და მეოთხეში „მადლობას“ დაიწერა: ჰკლავს, ჰმადლობს. ამ სტროფების განხილვისას ა. ბარამიძეს მონაწილეობა არ მიუღია.

162-ე სტროფი: ავთანდილ იგი მინდორი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ოთხ ახმით, დაიწერა დეფისით.

163-ე სტროფი: ახალმამ ფიქრმან... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: მიმართის, დაიწერა — მიჰმართის. მესამე ტაეპის წაკითხვის შესახებ წარმოდგენილ იქნა რამდენიმე წინადადება: ი. აბულაძის — ოთხმოცდაათად ანასა, კ. კიტიანაძის — ოთხმოცდაათიდან ასა, ა. შანიძის — ოთხმოცდაათად ანასა⁹¹, ოთხმოცდაათი ანასა (ასი გახდაო), ვ. ბერიძის — ოთხმოცდაათად ანასა. მიღებული იქნა — ოთხმოცდაათად

⁹¹ ლ.: მიოთხმოცდაათადანასა.

ანასა. სტროფის შესახებ დაეჭვებას გამოთქვამდნენ ა. შანიძე და ი. აბულაძე.

163¹-ე სტროფი: მოეგონის მისი მკვლელი... ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. მესამე ტაეპში, ხელნაწერებზე მიხედვით, ვისკა, „შეიკვალა — ვისკა.

163²-ე სტროფი: მოეგონის სიყვარული... ჩანართად მიიჩნიეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. წაკითხვათა შესწორება არ მომხდარა.

164-ე სტროფი: ვარდი მის მზისა გაყრილი... ძირითადად ცნეს. ჰეორე ტაეპში, S 4988 ხელნაწერის მიხედვით დაათმეო, გასწორდა — დათმეო. მეოთხე ტაეპში: ხელნაწერების მიხედვით, კითხველია, დაიწერა — ჰკითხვედის.

164¹-ე სტროფი: იგი პირად მზისა მსგავსი... იწვევს კაპათა. კ. ჭიჭინაძეს სტროფი აუცილებლად მიაჩნია, რადგან მასში მოცემულია ის ფართო მასშტაბი, რომლითაც დაძებნა ტარიელს ავთანდილი. თვით შოთას ფართო პორიზონტისათვის ამ სტროფს აქვს მნიშვნელობა. ამ თვალთახედვითაც ეს სტროფი აუცილებელია. გარდა ამისა. მე არა მჯერა, რომ ვიღაც ყალბის მქნელს შეეძლო დაეწერა „ქვეყანათა უნახავთა, ოხერთა და კაცრიელთა“. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ მართალია, ძიება უნდა ჩანდეს და ამაშია ამ სტროფის მნიშვნელობა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში ეს სტროფი, მე მგონია, ზედმეტი უნდა იყოს, თუმცა, შესაძლებელია, სტროფი შოთასაც ეკუთვნოდეს, მაგრამ, როგორც ერთ-ერთი ვარიანტი ხანგრძლივი ძიებისა, ძირითად ტექსტში აღარ არის შესატანი, რადგან 164-ე, 165-ე და 166-ე სტროფებით ეს ამოცანა უკვე შესრულებულია. ი. აბულაძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, წინააღმდეგობაა მეორე ტაეპში, სადაც წერია: ქვეყანათა უნახავთა, ოხერთა და კაცრიელთა. თუ ოხერთა დარჩება, მაშინ უნდა იყოს უკაცურთა და არა კაცრიელთაო. ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე არ ეთანხმებიან ასეთ განმარტებას და აღნიშნავენ, რომ აქ დაპირისპირებაა ოხერი და კაცრიელი. ს. კაცაბაძეს სტროფი, აზრის მიხედვით, საჭიროდ მიაჩნია. 164-ე სტროფიდან თუ 165-ზე პირდაპირ გადავედით, გაუგებარი გადასვლა იქნება „მუნქებებს“, რადგან არ ჩანს სად-მუნ. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ 165-ე სტროფზე გადასვლა არავითარ გაუგებრობას არ დაბადებს, რადგან 164-ე ძირითად სტროფში გარკვევით არის ნათქვამი, რომ „უცხო უცხოთა აღგილთა საქებრად იარებოდა“. სტროფის დატოვება არც ძებნის ფართო მასშტაბისათვის არის დასატოვებელი, რადგან წინა ძირითად სტროფებში საკმაოდ ფართოდ არის ძებნის ირე მოხაზული (ყოველი პირი ქვეყანისა მოვლო) მაშინ, როდესაც ამ სტროფის მეოთხე ტაეპი, სადაც ეს ფართო მასშტაბია მოცემული (მალრიბი, მაშ-

როცი, რომი, ჩინელი, მაჩინელი) იწვევს დაეკვებასო. ა. შანიძე სტროფს ზედმეტად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს სტროფის ახალ ფორმებს და ქვეყნების დასახელებაც მერმინდელ დამატებად მიაჩნია, კერძოდ. რომის ფორმის შესახებ შენიშნავს, რომ უნდა ყოფილიყო რომა ან რომე. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. პირველ ტაეპში: მგზავსი, დაიწერა — მსგავსი. მეოთხე ტაეპში: კითხავს, დაიწერა — ჰკითხავს.

26 იენისის სხლომს დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 165 — 168¹ სტროფები.

165-ე სტროფი: მუნ ექმს, ცრემლი მტირალსა... ძირითადად ცნეს. პირველი ტაეპის შესახებ ა. შანიძე შენიშნავს, რომ „ცრემლი მტირალსა ლდის ზღვათა შესართავისად“ არ არის მოხდენილად გამართული. აქ უნდა ყოფილიყო: ლდის ზღვათა შესართავად. ი. აბულაძე გამპარტავს, რომ „ზღვათა შესართავი“ ვეფხისტყაოსანში ნიშნავს ოკეანეს, რომელიც არის ზღვის შესართავი, ანუ ზღვის შესამალი. ასეთი ადგილი სხვაგანაც გვხვდება: ატირდეს მალლად ცრემლითა, ზღვათაცა შესამალითა. აქ ის აზრია, რომ ოკეანის მსგავსი ცრემლი იღვრებო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ „ზღვათა შესართავისად“ ნიშნავს ზღვათა შესართავად. პირველ ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მტირალი, დაიწერა — მტირალსა.

166-ე სტროფი: ყოვლი პირი ქვეყანისა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მაგრამ, დაიწერა — მაგრა.

167-ე სტროფი: მიხვდა რასზე ქვეყანასა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით: ვერ ნახვიდა, გასწორდა — ვერა ნახავს. მესამე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით: არც რამინს, გასწორდა — არ რამინს.

168-ე სტროფი: მას მიხვდა წვერი სადგურად... ძირითადად მიიჩნიეს. სტროფში ცვლილებები არ მომხდარა.

168¹-ე სტროფი: ზედ წაადგა, შეექცევის... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი არ არის ერთ საკონტროლო ხელნაწერში, სახელდობრ S 2829-ში. გარდა ამისა, სტროფი გამეორებასავეით არის და ახალს არაფერს მატებს. 166-ე სტროფში ნათქვამი იყო, რომ „ამაშიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“. ამ სტროფში კი ვკითხულობთ: თქვენი ესხნეს ორნილა. 168-ე სტროფში იყო — „მას მიხვდა წვერი სადგურად მალლისა მთისა დიდისა“. აქ კი — „ზედ წაადგა“. ყველა ამ ნიშნის გამო სტროფი ჩამატებულად მიმაჩნიაო. ი. აბულაძე იზიარებს ა. ბარამიძის აზრს სტროფის ზედმეტობის შესახებ და თავის მხრივ დასძენს, რომ სტროფში გვხვდება ისეთი ფორ-

მეზი და სიტყვები, რომელსაც მე-12 საუკუნეში არ იხმარებდნენო. ასეთ სიტყვებად ი. აბულაძე 'მიიჩნევს: ანგარიშობს, ორანილა, გულმომიშობს. მასვე გაუგებრობად მიაჩნია ავთანდილის სიტყვები „ვათუ საქმე გამიმელავნდეს“. გასამელავნებელი მას არა აქვს რაო. ვ. ბერიძეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია, რადგან აბ სტროფში და მის 'შომდეგვო სტროფებში მოცემულია სულიერი წუხილი, რომელსაც 'განიცდის ავთანდილი ტარიელის ძებნის დროს, როდესაც უკვე ამ ძებნაში თითქმის სამი წელიწადი უსრულდება. თქმა იმისა, რომ სტროფი გამეორებასავით არის და მისი გამოტოვებით არა დაშავდება რაო, მართო ამ საბუთით სტროფის ამოღება ყოვლად შეუძლებელია. ამ ნილაგზე თუ დავდგებით, 168-ე სტროფის შემდეგ შეიძლება გამოეტოვოთ 169-ე, 170-ე, 171-ე და პირდაპირ გადავიდეთ „იტყვის, ლმერთო, სამართალი შენი ჩემთვის რად ამრუდე“, გამოგვივა აზრთა თანამიმდეგრობა დაცული, მაგრამ ეს იქნება სასკოლო ქრესტომათია და არა აკადემიური გამოცემაო. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ როდესაც ამბობენ რა აქვს საშიში ავთანდილს, რა აქვს გასამელავნებელი, ეს გაუგებრობააო. ამის მთქმელს ავიწყდება, რომ ავთანდილი გამოპარულია, რომ როსტევიანმა არ იცის ავთანდილის წამოსვლა ტარიელის საქმენელად, ეს იცის მხოლოდ თინათინმა. წამოსვლისას იგი პირდაპირ ავალბდა შერმადინს, რომ „აქა სადმე არ ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდიო“. ასე, რომ აქ, ამ სტროფში, არავითარი გაუგებრობა არ არის. სტროფი ძირითად ტექსტში უნდა დარჩესო. ს. ოორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფი აზრთა თანამიმდეგრობისათვის ზედმეტი არ არის. ყველა ხელნაწერი, გარდა ერთისა, სადაც შეიძლება შემთხვევით იყოს გამორჩენილი, ამ სტროფს წარმოგვიდგენს. ვახტანგის გამოცემაში ის არის, არაფერს ფორმების მხრივ მიუღებელს არ წარმოგვიდგენენ, პირიქით, სტროფი სადაც გვხვდება „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის თავსა ახლად ვერვინ იშობს“, ძნელი დეჰააქრებელია, რომ ყალბი იყოსო. ა. შანიძის აზრით, ამ სტროფს არ ახასიათებს ისეთი ამკარა ნიშნები, რომლის მიხედვითაც დაბეჭდებით იყოს შესაძლებელი იმის თქმა, რომ სტროფი ყალბია. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ჯობს დავტოვოთ, ვიდრე ამოვიღოთო. ვ. ბერიძე აღნიშნავს დამატებით, რომ რუსთველის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მის მიერ ზმნურობისადმი უპირატესობის მინიჭება. იგი ამ ზმნურობას ხშირად მიმართავს და ამ მხრივაც „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ გამართლებულია მის მიერვე. ამგვარად, „ანგარიშობს“ და „გულმომიშობს“ მისთვის სარულიადაც არ არის უჩვეულო ფორმები და მიუღებელიო. სტროფი ძირითადად მიიჩნეეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და კ. კეკელიძე. უკანასკნელის აზრი, მისი ქუ-

თაისში ყოფნის გამო, მოისპინეს წერილობით. მეორე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, ორნილაა, გასწორდა — ორანილა. წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე. მეოთხე ტაეპში: ავსა კარგად ვერვინ შესცვლის — გაგებულ იქნა როგორც ავთანდილის სიტყვები და ამის გამო მოთავსდა ბრჭყალებში.

27 იენისის სსდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარაჰიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე (თ-რე), და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 169 — 174 სტროფები.

169-ე სტროფი: საგონებელი შეექმნა... ძირითადად ცნეს. 'მესამე ტაეპში: ვკადრო, ხელნაწერებზე დაყრდნობით, დაიწერა — ვჰკადრო. მეოთხე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით: ვერა ვსცან ქორალა, გასწორდა — ვერა ვსცან ქორალა.

170-ე სტროფი: თუ არ დავბრუნდე... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში, ა. შანიძის წინადადების თანახმად, მიღებულ იქნა „ვერა ვცნენ“ „ვერა ვცნა“-ს მაგიერ. მესამე ტაეპში: შერჩეს, დაიწერა — შეპრჩეს. მეოთხე ტაეპში: კადროს, ა. შანიძის წინადადებით, კომისიამ შეასწორა — ჰკადრნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე.

171-ე სტროფი: უამბოს ჩემი აიკვდილი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით: მე სხვაგან სადმე, გასწორდა — მე სადმე სხვაგან. მეოთხე ტაეპში: გონება შეიწრებული დაიწერა დეფისით.

172-ე სტროფი: იტყვის, ღმერთო სამართალნი... ძირითადად ცნეს. პირველსა და მეორე ტაეპის ბოლოს დაიწერა განცვიფრების ნიშანი. მესამე ტაეპში აღფხვრენ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, დაიწერა — აღჰფხვრენ. ჰ-აეს წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

173-ე სტროფი: კვლაცა იტყვის დათმობა სჯობს... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ 172-ე სტროფიდან ბუნებრივი გადასვლაა 175-ე სტროფზე „მობრუნება დააპირა“. თვით სტროფის დასაწყისი „კვლაცა იტყვის“ მოწმობს, რომ იგი ყალბის მქნელს უნდა ეკუთვნოდეს. სტროფი ამოღებული უნდა იქნესო. ვ. ბერიძეს სტროფი საპიროდ მიაჩნია. მისი აზრით, მართალია, ამ სტროფის ამოღებით შინაარსი არ იქნება დაკნინებული, მაგრამ სტროფში არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს აზრთა თანამიმდევრობას, ანდა ფორმის მხრივ იყოს საეჭვო. სტროფი მსოფლმხედველობის თვალსაზრისითაც გამართლებულია: „უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ... ჯანგებასა ვერვინ შესცვლის“ და სხვა. სტროფი ძირითად ტექსტში უნდა დარჩეს 'ყოველ მიზეზს გარეშეო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფში ენის მიხედვით აშკარა შეუსაბამობანი არ გვხვდება და

არც აზრთა თანამიმდევრობას უშლის რასმე. სტროფი უნდა დარჩეს ძირითად ტექსტშიო. სტროფი ძირითადად ცნეს, წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე (ქუთაისში ყოფნის გამო წერილობით დატოვებული აზრით) და ი. აბულაძე. მესამე ტაეპში: მოკვდები, დაიწერა — მოკვდები. მეოთხე ტაეპში: არ საქმნელი, დაიწერა დეფისით.

1731-ე სტროფი: თავს უთხრა, მოკვე გიჯობსო... იწვევს კამათს, კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მან ეს სტროფი თავის გამოცემაში ასე შეიტანა: „თავსა უთხრა მოკვე გიჯობს“ და გამოვიდა მალალი შაირი, დანარჩენი — დბალი შაირი. მეორე რიტმის ასეთი ნაწილობრივი გარევა ვეფხისტყაოსანში სხვაგანაც გვხვდება, თუმცა უნდა ითქვას, ეს სისტემად არ არის გადაქცეული. „თავსა უთხრა“-ს მიღებას კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ გიჯობსო აღარ გვექნება ო-ნით, არამედ პირდაპირ იქნება მოყვანილი ავთანდილის სიტყვები, თუ რა უთხრა თავის თავს. ამ მხრივ პირველი სამი ტაეპი მთლიანად გამართული იქნებაო. ვ. ბერიძე წინააღმდეგია ასეთი შესწორებისა. იგი აღნიშნავს, რომ ქართული ლექსის ნიშანდობლივი თვისებაა სიტყვების სიმეტრიული თანამიმდევრობა, ორმარცვლიან სიტყვას მისდევს ორმარცვლოვანი (ვითა ცხენსა, შარა გრძელი) და სამმარცვლოვანს — ერთმარცვლოვანი, რომ საბოლოოდ ანგარიშში მოგვეცეს ოთხი მარცვლი მალა შაირში. ვეფხისტყაოსანში ეს მტკიცედ დაცულია და თუ სადმე გვხვდება ამის დარღვევა, ეს ან გაჭირვებული მდგომარეობის შედეგია, ანდა შესაძლებელია დამახინჯებული იყოს. ასეთი ადგილი უნდა გავასწოროთ. ჩვენ ავთანდილის ყმათთან მიწერილ წიგნში გავასწორეთ კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა, სახელდობრ, 152-ე სტროფის პირველ ტაეპში „ზოგიერთი ხელნაწერი წარმოგვიდგენს „ზესამ გარდასახვეწელი“, ჩვენ კი მივიღეთ: ზე სადმე გარდასახვეწელი. არის კიდევ ტარიელისაგან თავის ამბის მბობაში კ. ჭიჭინაძის გამოცემით 379-ე სტროფი, რომელიც სხვა გამოცემებში ასე იწყება: „აღარ ვიცი დამავიწყდეს“, რომელიც ასე უნდა გასწორდეს, გასწორებულიც აქვს ჭიჭინაძეს: აღარა ვიცი დამვიწყდეს. ასეთი შესწორებით არც რიტმია დარღვეული და არც ენია ნორმები. ამგვარად, მე ამხ. კონსტანტინეს მიერ წარმოდგენილ შესწორების წინააღმდეგი ვარ. ი. აბულაძეს „თავს უთხრა“ მიაჩნია ვულგარულ ფორმად. იგი აღნიშნავს, რომ ეს ხალხური ფორმა, მაგრამ შოთასი არ არის. სტროფს არ იცნობს რიგი ხელნაწერები და ჩვენ მას ძირითად ტექსტში ვერ დავტოვებთ. სტროფში გვხვდება ახალი ფორმები და მიმბაძველის დაწერილი უნდა იყოსო. ა. ბარამიძე წინააღმდეგია სტროფის ძირითად ტექსტში შეტანისა, რადგან ოთხი ხელნაწერი და მათ შორის ერთი უძველესი H. 599 ამ სტროფს არ იცნობსო. გარდა ამისა „თავს უთხრა მოკვე გი-

ჯობსო“ ერთგვარი გამეორებაა 173-ე ძირითადი სტროფის მეორე ტა-
 ვისა: „დღეთა მეტად ნუ მოკვდებიო“. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ
 ხელნაწერთა კონსტრუქციის მიხედვით, სტროფი ჩანართს ეკუთვნის
 და ის გარემოება, რომ სტროფი შეტანილია ვახტანგის გამოცემაში,
 მოწმობს, რომ ვახტანგის დედანი არ არის სანდო. ახლა შინაარსის
 მხრივ განვიხილოთ. ამ სტროფს უნდა მიჰყვეს 174-ე სტროფი ყოველ-
 ნი არსნი ცას ქვეშეთნი ერთობ სრულად მამივლიან. ეს ავთანდილის
 სიტყვებია. ეს კი არააიდან აღარ გამოჩნდება, თუ წინ ჩაუსვამთ
 173¹-ე სტროფს, რომელიც ასეთი სიტყვებით თავდება: „იგონებს წამ-
 წამ, მიყვების ტყის პირსა შამხნარ ხიანსა“, ამიტომ ამ სტროფის ამო-
 ღების მომხრე ვარო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ბევრი რამ დამოკი-
 დებულია იმაზე, თუ სად იქნება მოთავსებული ეს სტროფი. ამიტომ
 ამ საკითხს კარგად დაუუკვირდეთ, თუ სად მოვათავსოთ ხელნაწერთა
 და ბექტურ გამოცემათა გათვალისწინებით. შასთან ანგარიში უნდა
 გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ ავთანდილი საგონებელშია ჩავარდნი-
 ლი. აქ მეტად ტრაგიკული მდგომარეობაა და გამეორებაც რომ იყოს,
 ეს გარემოება უფრო აძლიერებს ტრაგიკულ მდგომარეობას, რაც სა-
 ჭიროაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მას ეს სტროფი შეტანილი აქვს
 171-ე სტროფის შემდეგ (მისი გამოცემის 207-ე სტროფის შემდეგ),
 მას მისდევს 172-ე სტროფი „იტყვის ღმერთო“ და შემდეგ — 173-ე
 „კვლაცა იტყვის“. ამ მხრივ ავთანდილის ეს საუბარი თავის თავთან
 უფრო თანამიმდევრობით არის წარმოდგენილიო. ჰ. იორდანიშვილი
 აღნიშნავს, რომ სტროფი ვახტანგის გამოცემაში შეტანილია და ეს
 გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგის კომისიის ხელთმყოფი
 ხელნაწერების უმრავლესობა ამ სტროფის სასარგებლოდ ლაპარაკობ-
 და ამ მხრივ H 599 ხელნაწერში სტროფის უქონლობას გადაწყვეტი
 მნიშვნელობა აღარ ენიჭება. შინაარსის მხრივაც სტროფი საჭიროდ
 მიმაჩნია, რადგან ავთანდილის მოგონება-საუბარში ამ სტროფით ხაზ-
 გასმულია ის გარემოება, რომ დაბრუნდეს რა უნდა უთხრას თინათინს
 იმ ყმაზე, რომლის შესახებ ვერა შეიტყო რა. რაც შეეხება სტროფის
 ადგილს, ვახტანგის გამოცემით მისი ადგილი მონახულად მიმაჩნია და
 გადატანა არ ესაჭიროებაო. ა. შანიძის აზრით, სტროფი არ წარმოად-
 გენს ვეფხისტყაოსნის ძირითად ნაწილის კუთვნილებას იმიტომ, რომ
 ძირითად ტექსტში ასეთი დარღვეული რიტმით დაწერილი სტროფე-
 ბი არ არის. ეს სტროფი იწყება ასე: თავს უთხრა. ჩვენ ამას ვერ გა-
 ვასწორებთ, რადგან ხელნაწერები ასეთ დასაყრდენს არ გვაძლევენ
 და არც უნდა გავასწოროთ, რადგან სტროფი შემდეგი დროის ჩანარ-
 თია. მეოთხე ტაეპშიც გვხვდება „ტყის პირსა“, მოსალოდნელი კი იყო
 „ტყისა პირსა“, შოთას დროს რომ დაწერილიყო, რადგან იმ დროს არ

იკოდნენ, არ იხმარებოდა შეკვეცილი ფორმა. მარტო ეს ნიშნები საკმარისია, რომ დავეკვდეთ ამ სტროფის ნამდვილობაში, ამათან სტროფის გადასმაც არ ხერხდება. სტროფი შემდეგი დროის ჩანართი უნდა იყოსო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სიმფონიის მიხედვით ეფხისტყაოსანში 67-ჯერ გვხვდება თავსა და ერთხელ თავს. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ შეკვეცილი ფორმები ეფხისტყაოსანში ხშირად იხმარება და ასახელებს: დარბაზს ეჯიბი შეგზანა... „მინდორს“ 20-ჯერ მაინც არის ხმარებული და სხვა. ა. ბარამიძე ეკითხება კომისიის წევრებს კ. ჭიჭინაძესა და ვ. ბერიძეს: ძირითადად მიაჩნიათ მათ თუ არა 174-ე სტროფი: მთით ჩამოვიდა ავთანდილ. კ. ჭიჭინაძე და ვ. ბერიძე უპასუხებენ, რომ სტროფს ისინი ძირითადად მიიჩნევენ. კენჭის ყრისას ხმები გაიყო, სტროფის ძირითად ტექსტში დატოვების მომხრენი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. კაკაბაძე და ა. შანიძე. კომისია ამ სტროფის საკითხს კვლავ დაუბრუნდა 1936 წ. 7 მაისს, სტროფი ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მოკვე, დაიწერა — მოკვე; გიჯობსო სიცოცხლე აუგიანსა, ვახტანგის გამოცემის მიხედვით გასწორდა — გიჯობს სიცოცხლეს აუგიანსა. მესამე ტაეპის ბოლოს დაიწერა კითხვის ნიშანი. მეოთხე ტაეპში: წაწამ, დაიწერა დეფისით; მიყვების დაიწერა ჰ-აეთი. ტაეპის ბოლოდ მიღებულ იქნა ხელნაწერების ვარიანტი „შამხნარ წყლიანსა“, რომელიც დაიწერა დეფისით.

174-ე სტროფი: ყოვლნი არსნი ცას ქვეშეთნი... იწვევს ჭამათს. ვ. ბერიძეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია, რომ ძირითად ტექსტში ღარჩეს და ამ სტროფის მესამე ტაეპთან დაკავშირებით (ულონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან) აყენებს საკითხს, რომ გადაისინჯოს 103¹-ე სტროფის სიყალბე-ნამდვილობა, რადგან კომისიამ სტროფი ყალბად იცნო, მაშინ როდესაც მეფის ეს სიტყვები იმ სტროფს გულისხმობენ და, მაშასადამე, მისი ამოღება ძირითად ტექსტიდან შეუძლებელიაო. ა. ბარამიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, თინათინმა და ავთანდილმა იციან, რომ ტარიელი ქაჯი არ არის. თინათინი ამშვიდებს მამას მხოლოდ 103-ე ძირითად სტროფში მოყვანილი სიტყვებით, როდესაც ეუბნება „ადრე სცნობთ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“. ამასთან იქ ქაჯი არ არის ნახსენებთ. ს. იორდანიშვილს სტროფი ძირითად ტექსტის ნაწილად მიაჩნია. იგი არ იზიარებს ვ. ბერიძის მოსაზრებას, თითქოს ეს სტროფი აუცილებელყოფდეს ძირითად ტექსტში 103¹-ე სტროფის დაბრუნებას, მისი აზრით, ავთანდილის სიტყვები: ულონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან — გულისხმობს წინა ძირითად სტროფებს 103-ესა და 120-ეს.

პირველში ვკითხულობთ: ადრე სცნობთ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი... მეორეში: თინათინის სიტყვების „ვერა ჰპოვებ, დავიჭერებ, იყო თურმე უჩინარი“. აქ უშობელი და უჩინარი, ავთანდილის გაგებით, ქაჯის ეკვივალენტიანო. ა. შანიძე იხილავს 174-ე სტროფს ენის თვალსაზრისით და ძირითად ტექსტის კუთვნილებად არ მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ აქ რითმა არის იან: მამივილიან, შემიგნიან, თქვიან, მიდიან. ორი უკანასკნელის მაგიერ კი მოსალოდნელი იყო თქვის და მდის. მეორე ტაქში: საქმე შემიგნიან—არ ვარგა. უნდა იყოს საქმენი. კენჭის ყრით 'ხმები გაიყო: მომხრენი ძირითად ტექსტში დატოვებისა იყვნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. წინააღმდეგნი — ა. ბარამიძე, ი. აბულაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. 1936 წ. 7 მაისს კომისიამ ეს სტროფი ძირითადად მიიჩნია. მეორე ტაქში: ორნილა გასწორდა — ორანილა.

28 იენის კომისიამ (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე), კ. ჭიჭინაძე) განიხილა და დაადგინა 174-ე სტროფი. დასახელებული სტროფი: მთით ჩამოვიდა ავთანდილ... იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფის ჩანართობას მას, სხვათა შორის, აფიქრებინებს მეოთხე ტაქში „ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“. მისი აზრით, ეს ტაქში მშვენიერ მეტაფორას შეიცავს: ბროლის ველს (ლოყებს) ამშვენებს შავი (გიშრის) ულვაშ-წამწამები (საყენია). რა არის საყენი? ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ აქ უნდა გეკონდეს საყენი resp. საყა, რაც ნიშნის „წვრილი ჯოხით გამოსახულს“ უდრისო. მაგრამ საყა თუ საყი მრავლობითში მოგვეცემა არა საყენი-ს, არამედ საყენი და საყანი-ს. საბას ლექსიკონში ერთადერთ შემთხვევაში ნაჩვენებია საყე (ისაია 30.17), მაგრამ აქ მას აქვს მნიშვნელობა „МАРА“ ნიშნისა. ამ გაგებით ეს მიუღებელია, რადგანაც შედარება ულვაშ-წამწამებისა МАРА-სთან არც პოეტურია და არც ბუნებრივი. მე მგონია, რომ საყე 'ამ შემთხვევაში ნიშნავს საზეიმო მაგიდასთან მდგომ საროს-მსგავს, პირზე, პირმხიარულ, ლამაზ და მოხდენილ ღვინის მწდეთა ან მიმრთმევთ, რომელნიც დასამშვენებელი იყვნენ საზეიმო სუფრისა და გარემოსი. ამ გაგებით სიტყვა საყე ჩვენს მწერლობაში შემოდის არა უადრეს აღორძინების ხანისა. პირველად ის გვხვდება „ბარამ-გურიანში“ (იხ. ჩემი გამოცემა სტრ. 159, 212, 213, 259, 752, 854); მაშასადამე, ეს სტროფი ამ ხანაზე ადრე ვერ გაჩნდებოდა. აზრი მეტაფორული ტაქისა ასეთი იქნება: როგორც საყენი ან მწდენი ამშვენებდნენ ხოლმე საზეიმო სუფრას, ისე შავი წამწამ-ულვაში ამკობდნენ ავთანდილის ლოყებს. კ. ჭიჭინაძე არ იზიარებს კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილ საყენი-ს განმარტებას და

აღნიშნავს, რომ ს ა ყ ე დღესაც იხმარება ხალხში სანიშნო ჯოხის მნიშვნელობით რიკტაფელობის დროს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ კ. კეკელიძის მიზიზება საყენ-ის შესახებ საინტერესოა, მაგრამ, ვგონებ, ამ შემთხვევისათვის მიუღებელი უნდა იყოს, რადგან თუ 'მივიღეთ, რომ გიშრის საყენი წარბებისა და წამწამების მეტაფორა გულისხმობს იმ მერიქიფე გოგო-ბიჭებს, რომლებიც იმავე დროს სუფრის ერთგვარი სამკაულები იყვნენ, მაშინ გაუგებარი რჩება, რატომ მაინცა და მაინც ისინი შავთან, გიშერთან არიან გამეტაფორებულებიო. ი. აბულაძეს საყურადღებოდ მიაჩნია კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილი საყენი-ს მერიქიფეებად გაგება. იგი აღნიშნავს, რომ, როგორც არ უნდა განვმარტოთ „გიშრისა მუნ საყენია“, მაინც მთლიანად ეს სტროფი გაუგებარია, უადგილოა და დაუშვებელი მისი ძირითად ტექსტში დატოვებო. ა. შანიძე აცხადებს, რომ არსებობს არაბული სიტყვა ს ა ყ ე და მწდეს, მერიქიფეს აღნიშნავს. ეს სიტყვა ჩვეულებრივია პაიამის რუბაიებში. მაგრამ ჩვენ ამ სტროფში ვერ ვივარაუდებთ, რომ ამ გაგებით იყოს ხმარებული აქ უნდა იგულისხმებოდეს ს ა ყ ე ანუ ს ა რ ყ ე, რომელიც დღესაც იხმარება საქართველოს მრავალ კუთხეში საყურულო, ანუ დასარყულ სათიბებზე, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში არ შეიძლება ცხვრებისა და თხების შეშვება. აქ სწორედ ეს საყე უნდა ივარაუდებოდეს, მით უმეტეს, რომ აქ ნათქვამია: ბროლია ველსა სტურფობდეს, ე. ი. ამშვენებდეს გიშრის საყენიო. ასე, რომ ამ ნიშნის მიხედვით სტროფის შესახებ გადაჭრით თქმა აღორძინების ხანისაა, გაძნელებულაო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ წინა სხდომაზე იგი შეეკითხა კომისიის წევრებს ვ. ბერიძესა და კ. ჭიჭინაძეს ამ სტროფის სიყალბე-ნამდვილობის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ სტროფი ძირითადად მიაჩნიათ. ახლა თუ ჩვენ ამ სტროფს ნამდვილად მივიჩნევთ, აი რა მდგომარეობა იქმნება: წინა 173¹-ე სტროფი, რომლის შესახებაც ხმები გაიყო, გვეუბნება, რომ ავთანდილი წაწამ იგონებს თინათინს და „მიჰყვების ტყის პირსა შამხნარ-წყლიანსა“. ეს სტროფი კი ასე იწყება: მითთ ჩამოვიდა ავთანდილ, გავლო წყალი და ტყენიაო. თუ ტყის პირს მიჰყვება, რაღა უნდა აქ მთიდან ჩამოსვლას. ეს სრულიად გაუგებარია. მეორე უხერხულობაც ახლავს ამ სტროფს: აქ ნათქვამია, რომ ავთანდილი „მინდორს აცორებს ტაიკსა“, მომდევნო 175-ე სტროფში კი ნათქვამია: მას მინდორსა დაემართა. ამასთან სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა მოცემული სტროფებში: „თავსა უთხრასა“ და „მობრუნება დააპირა“. ყოველივე ამის გამო, მე 174¹-ე სტროფი ზედმეტად მიმაჩნია. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ა. ბარამიძის გუშინდელი შენიშვნა დამაფიქრებელია. რაც შეეხება მომდევნო სტროფის ტაეპებს „მას მინდორსა დაემართა“, აქ

წინააღმდეგობა არ უნდა იყოს, რადგან მთით რომ ჩამოვიდა ავთანდილი, ცხადია, მინდორს დაემართებოდა, რადგან დაემართა სწორედ ზევიდან ქვევით დაშვებას ნიშნავს. რაც შეეხება 1741-ე სტროფს „მთით ჩამოვიდა ავთანდილ“, ეს ისეთი იშვიათად დაწერილი სტროფია, რომ ძნელი საფიქრებელია, რომ ის მე-17 საუკუნეში დაწერილია. ერთადერთი დამაფიქრებელი გარემოება მართო ის არის, რომ ამ სტროფს წინ უძღვის 1731-ე სტროფი, სადაც ნათქვამია, რომ ავთანდილ მიჰყვების ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა, ამიტომ ჩემი წინადადებაა: ახლა ნუ ვადავწყვეტთ ამ სტროფის საკითხს, კარგად ჩავეუკვირდეთ, შეიძლება ხელნაწერების ხელახალმა გადასინჯვამ და ამ საკითხის სპეციალურმა შესწავლამ მოგვცეს შესაძლებლობა, რომ ამ სტროფს შესაფერი ადგილი მივუჩინოთ და წინააღმდეგობა აღარ გამოვიდესო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ თუ გავითვალისწინებთ იმ სურათს, რომელიც გადაეშალა ავთანდილს მთის წვერიდან, სახელობრ: მთის ძირს ჩამდინარე წყალს, მის ორსავე ნაპირას ტყეს და შემდეგ მინდორს, მაინცდამაინც დიდ წინააღმდეგობას აქ დასახელებულ სტროფებში ვერ შევნიშნავთ. 1731-ე სტროფში ნათქვამია „იგონებს წამწამ, მიყვების ტყის პირსა შამბნარ-ხიანსა“ საფიქრებელია, გულისხმობს იმ შამბნარ-ხიან ტყეს, რომელიც მთის დაბლა კალთაზეა, ვიდრე წყალს გავიდოდეს ავთანდილი. შემდეგ 1741-ე სტროფში გამეორებულია „მთით ჩამოვიდა ავთანდილ“, რაც წინა სტროფში ივარაუდება, რადგან უკვე ტყის პირს მიჰყვება. წინა სტროფში სავარაუდო და ამ სტროფში გამეორებულ მოქმედებას (მთით ჩამოსვლას) ემატება ძებნის შემდეგი მსვლელობა: წყლისა და ტყის გავლა და შემდეგ მინდვრად გამოსვლა. ამგვარად, სტროფი ზედმეტი არ უნდა იყოს და არც წინააღმდეგობას შეიცავს. რაც შეეხება აქ მეტაფორად ნახმარ საყეს, იგი დღესაც ცოცხალ „სარყეს“ Беха-ს უნდა გულისხმობდესო. კ. ჭინაძე აღნიშნავს, რომ რუსთაველმა იკის გამეორება და ამ შემთხვევაშიც ამ გარემოებასთან გვაქვს საქმე. ამ სტროფში არის მეორე უშესანიშნავესი ტაეპი „ბროლისა ველსა სტურფობდეს, გიშრისა მუნ საყენია“. ძვირფასი, ამაზე არა ნაკლებია „გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია“. ეს სტროფი ყოველად შეუძლებელია მე-16 საუკუნეს ეკუთვნოდესო. ი. აბულაძე წინააღმდეგია სტროფის ძირითად ტექსტში დატოვებისა. იგი აღნიშნავს, რომ გამეორება არ უყვარს შოთას და, გარდა ამისა, ამ სტროფში გვხვდება ისეთი ფორმები, რომელიც ყალბის მქნელს ახასიათებსო. კ. კეკელიძე დამატებით მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ავთანდილი ამ სტროფით „მონაწყენია“ და „გასცუდებია მკლავნი და მისნი სიამაყენია“ მაშინ, როდესაც ეს აღარ იყო მოსალოდნელი მას შემდეგ, რაც მან 173-ე

სტროფში თავი გაიმხნევა: დათმობა სჯობს, ცრემლს ცუდად ნუ ვიდენო. ა. შანიძეს სტროფი აზრის მიხედვით ზედმეტად მიაჩნია და სხვის დაწერილად თვლის. ამის შემდეგ იგი შენიშნავს რა, რომ ამ სტროფის შესახებაც ხმები იყოფა, პირველი თავმჯდომარის კ. კეკელიძის საყურადღებოდ აცხადებს, რომ მისი ქუთაისში ყოფნის დროს დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოვექცეთ ამა თუ იმ სტროფს, როდესაც ხმები გაიყოფა. იყო წინადადება, რომ ამ შემთხვევაში თავმჯდომარეს ნუ მიენიჭება გადამწყვეტი ხმის უფლება, არამედ ყური ვუგდოთ ხელნაწერების ტრადიციას. უფრო ჯობია დავტოვოთ ასეთ შემთხვევაში სტროფი, ვიდრე გავაგდოთ. მე წინააღმდეგი არ წავსულვარ და დავპირდი, რომ ამ საკითხს დავცვამდი, როდესაც ქუთაისიდან დაბრუნდებოდი. ახლა საჭიროა ამ სკიტხებზე ვიქონიოთ მსჯელობა, რადგან ხმების გაყოფის შემთხვევა შემდეგშიაც მოსალოდნელია რომ გვექნება და საკითხი გადაუჭრელი გვრჩებაო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მისთვის, როგორც თავმჯდომარისათვის, ამ შემთხვევაში ცოტა უხერხულია საკითხის გადაჭრაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ რადგან ჩემ აზრს თხოულობთ, მე უნდა განვაცხადო, რომ ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია საკითხის ხელნაწერთა ტრადიციით გადაწყვეტა. ეს ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ მიღებულ პრინციპებს, ვიდრე ხმებს მივცემდეთ, მანამდის უნდა გაეწიოს ანგარიში ხელნაწერთა ტრადიციას, მანამდის უნდა ავწონ-დავწონოთ, მივიღოთ მხედველობაში ყველაფერი და თუ მაინც ასე მოხდება, რომ ხმები გაიყოფა, მაშინ თავმჯდომარეს უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი ხმის უფლება, როგორც ეს არის მიღებული საერთოდ ამისთანა შემთხვევაში და როგორც ჩვენ მივიღეთ კიდევ ერთ-ერთ ჩვენს სხდომაზე, როდესაც პირველად შეიქნა ასეთი მდგომარეობა. კ. ჭიჭინაძე წინააღმდეგია, რომ ერთ კაცს მიეცეს ორი ხმა. თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხმა. მეორე ხმა თავმჯდომარისა სრულიად მნიშვნელობას მოკლებულია შედარებით იმ ხელნაწერებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ამა თუ იმ სტროფს. ამიტომ ჩემი წინადადებაა: როდესაც ხმები გაიყოფა ამა თუ იმ სტროფის სიყალბე-სინამდვილის შესახებ, საკითხი გადაწყდეს სტროფის სინამდვილის საპარგებლოდ მაშინ, როდესაც ხელნაწერების უმრავლესობა მხარს უჭერს მას, რადგან ჯობია დარჩეს საექვო სტროფი, ვიდრე ის, რომ ძირითადი ამოვიდოთ. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ, მართალია, წესი თავმჯდომარის გადამწყვეტი ხმის უფლებისა მიღებულია საერთოდ სხვა დაწესებულებასა და შემთხვევებში, მაგრამ რადგან ჩვენ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთ და დიდი სიფრთხილე გვმართებს, ამიტომ ხმების გაყოფისას მომხრე ვიქნებოდი საკითხი გადაგვეწყვიტა

სტროფის დატოვების სასარგებლოდ, რადგან უმჯობესია შევიტანოთ 10 საექვო სტროფი, ვიდრე გამოვადგოთ ერთი რომელიმე წამდელი. ა. ბარამიძე აყენებს მეორე წინადადებას: ხმების გაყოფისას საკითხი სტროფის დატოვების სასარგებლოდ გადაწყდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ხელნაწერი მის სასარგებლოდ ლაპარაკობსო. კ. კეკელიძე პრინციპულად წინააღმდეგია ასე საკითხის დასმისა, რადგან კომისია მუშაობს გარკვეული პრინციპების თანახმად, რომლებიც გვიკარნახებენ, რომ შესაძლოა ესა თუ ის სტროფი ყველა ხელნაწერში იყოს, მაგრამ ჩვენ ძირითად ტექსტში არ შევიტანოთ. ვგონებ, ასეთი შემთხვევა გექონდა კიდეც. ახლა გამოდის, რომ ვცვლით ჩვენ მიერ სახელმძღვანელოდ მიღებულ პრინციპებს, რის საჭიროებასაც მე ვერ ვხედავო. თავმჯდომარე კენჭს უყრის ორივე წინადადებას: პირველი წინადადების მომხრენი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. მეორე წინადადებისა — ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. რადგან ამ შემთხვევაშიაც ხმები გაიყო, შემოტანილ იქნა მესამე წინადადება: საკითხი სტროფის დატოვების სასარგებლოდ გადაწყდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ვახტანგის გამოცემა და ყველა ხელნაწერი მას იცავენო. წინადადების მომხრენი იყვნენ ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. ვ. ბერიძეს შემოაქვს ახალი წინადადება: თუ ხმები გაიყოფა, საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადაიღოსო. თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ასეთი მაგალითები ბევრი გვექნება და მათი გადაუწყვეტლივ გადადება არ ივარგებსო. კენჭის ყრისას უმრავლესობამ ამ წინადადებას დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი იყო კ. კეკელიძე. 1936 წ. 7 მაისის სხდომაზე კომისიამ ეს სტროფი ძირითადად მიიღო.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, VI, 29,) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 175 — 184 სტროფები.

175-ე სტროფი: მობრუნება დააპირა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში, H 599 ხელნაწერის მიხედვით, მაგრამ, დაიწერა — მაგრა.

175¹-ე სტროფი: მათ მინდორთა შუაშიგან... ჩანართად ცნეს. სტროფი არ შესწორებულა.

176-ე სტროფი: თუცა მხეც ქმნილი ავთანდილ... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: გულ ამოსკვნით, დაიწერა დეფისით; კენესითა, დაიწერა — კენესით-ა. მესამე ტაეპში: მკლავ უგრძესითა, დაიწერა დეფისით.

176¹-ე სტროფი: ავთანდილ უკუ ირბინა... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: უკუ ირბინა, დაიწერა დეფისით. მეორე ტაეპში: კრა,

დაიწერა — ჰკრა. მეოთხე ტაეპში: გულ სევდიანი, დაიწერა დეფისით.

177-ე სტროფი: ცხენსა მისცა საძოვარი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მოდიოდეს და მივიდოდეს შორის, ხელნაწერებზე დაყრდნობით, არჩეულ იქნა — მივიდოდეს. მესამე ტაეპში: გვანან, დაიწერა — ჰგვანან; თვარამ, H 599 ხელნაწერის მიხედვით, დაიწერა — თვარა.

177¹-ე სტროფი: მკვდარი მოაქვთ ხატაელთა... ჩანართად ცნეს.

მესამე ტაეპში: მათრახევედა, შემდეგნაირად იქმნა გააზრიანებული: მათ რა ხევედა. მეოთხე ტაეპში: საკაცეზე, დაიწერა — საკაცეზედ, როგორც ეს პირველ ტაეპშია.

177²-ე სტროფი: აქ ხატაელთა ძმა მოჰყავს.. ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: მოყავს, დაიწერა — მოჰყავს.

177³-ე სტროფი: ჩვენ ასრე მყოფნი არ ვარგევართ... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მას სტროფი შინაარსის მხრივ აუცილებლად მიაჩნია, რადგან ამ სტროფში მოცემულია ავთანდილის შეიარაღება, ცხენზე შეჭდომა და ისე გაგებება უცნობ კაცებისადმი, რომელთაც მეგობრებს ამსგავსებს. ეს სტროფი ყველა ხელნაწერში არის და აზრისათვისაც საჭიროა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფი შინაარსის მხრივ ზედმეტია, რადგან შემდგომ სტროფში ნათქვამია, რომ „ხელთა ჰქონდა მშვილდ-ისარი“. ეს სტროფი, როგორც ვარიანტი, ძირითადად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან იგი არც ფორმების მხრივ არის რუსთველურად გამართული. ი. აბულაძესაც სტროფი მიუღებლად მიაჩნია, როგორც ახალი ფორმების შემცველი. ს. კაკაბაძე სტროფს ნამდვილად თვლის. ხმის უმეტესობით სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე.

178-ე სტროფი: ხელთა ჰქონდა მშვილდ-ისარი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მშვილდ ისარი, დაიწერა დეფისით. მეორე ტაეპში: მიყვანდა, დაიწერა — მიჰყვანდა.

179-ე სტროფი: უყვილა თუ ძმანო ვინ ხართ?... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიღებულ იქნა მრავლობით რიცხვში — დაგამზგავსენ. ამის მიხედვით ყველა სართმომო ზმნები (ავსე, მოგვისავსე, დაიმხავსე) მრავლობითში დაისვა. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე. მეორე ტაეპში: ცეცხლი, გასწორდა — ცეცხლნი. მესამე ტაეპში: ჭირი ჭირთა, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიღებულ იქნა — ჭირნი ჭირთა.

180-ე სტროფი: ავთანდილ მიდგა ეუზნა... ძირითადად ცნეს. დეფისით დაიწერა პირველ ტაეპში: გულ მდულარეთა, მეოთხე ტაეპში: ციხე ქალაქი და არემარეთა.

181-ე სტროფი: კარგი გვესმა სანადირო... ძირითადად მიიჩნიეს.

მესამე ტაეპში: აქა ვდებქით, ვარიანტთა შორის, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიღებულ იქნა — არ წავედით.

182-ე სტროფი: ჩვენ სამთა ძმათა... იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აცხადებს, რომ ამ სტროფთან ერთად უნდა შევეხო მომღვენო ორ სტროფსაც: „ღღეს ავყარენით ლაშქარნი“ (183) და „ჩვენ ვიახლენით სამთავე“ (184). ეს სამი სტროფი საეპოქოდ მეჩვენება. ხატაელ ძმათა ეპიზოდში ნადირობის ორი მომენტი მოცემული: ა) ნადირობა ერთი თვის განმავლობაში (სტრ. 181) და ბ) ნადირობა სამთა ძმათა იმ ღღეს, როდესაც ისინი ავთანდილს შეხვდებიან (სტრ. 182 — 184). ეს უკანასკნელი ნადირობა მათ დასკირვებით იმისათვის, რომ გაარკვიონ რომელია მათში უკეთესი მსროლელი. ჩვენო, ამბობენ ისინი, ამ საკითხში „ერთმანეთს დავეცილენით, მე უკეთ მოვკლავ, მე გჯობო“. მაგრამ „ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაყილენით“ (182). ღღეს უნდა გადაგვეწყვიტა ეს საკითხი, ამიტომ ლაშქარი დავითხოვეთ, ავყარენით, წასვლა ვუბრძანეთ, და მარტონი გამოვედით სანადიროდო. ამ შემთხვევაში ჩემს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: 1) ისინი მთელი თვე ნადირობენ და უსაზომო მხეცს ხოცენ. ნუთუ ამ ხნის განმავლობაში ვერ გაარკვიეს მათ — ვინ ვისა სჯობს, რომ ამ მიზნით ერთი თვის შემდეგ საგანგებო ნადირობა არ მოეწყობო? 2) ისინი, როგორც ამბობენ, თვითონ ვერ შეთანხმებულან აღნიშნულ საკითხში, თვითონ ვერ გადაუწყვეტიათ — ვინ ვისა სჯობს, მაშასადამე ვინმე მესამე პირს თუ პირებს, ამ შემთხვევაში ლაშქარს, უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი, ძმები კი ლაშქარს ითხოვენ, თავიდან იცილებენ, წასვლას უბრძანებენ, და თვითონ, მარტონი, გადიან სანადიროდ და სადავო საკითხის გადასაწყვეტად. თუ მათ წინათ ვერ გადაწყვიტეს ეს საკითხი, რა გარანტიაა, რომ ახლა გადაწყვეტენ მას? 3) ნადირობა წარმოებს თვალუწვდენელ მინდორში „რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მჭირსსა“, სადაც „თვე ერთ კაცსა ვერ ნახვიდა, ვერას შვილსა ადამისსა“ (167). ასეთ ადგილას ხატაელი ძმები უთვალავი ლაშქარით წამოსულან; ეხლა კი „აუყრიათ ლაშქარნი“ და „წასვლა უბრძანებიათ“ მათთვის, თვითონ კი მარტონი რჩებიან აქ. რა მოსაზრებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს, მარტოდ დარჩენა მათი ასეთ ადგილას წარმოუდგენელი და გაუმართლებელია. 4) მაინც რა მოსაზრებით შეიძლებოდა ლაშქრის დათხოვნა და მარტოდ დარჩენა? ორი შესაძლებლობაა მხოლოდ საგულისხმები: ა) მარტო, სხვის დაუხმარებლად გამოსცადონ ძმებმა თავიანთი უნარი: თავსა ვეახლენთ მარტონი, დავდგეთ თავისა თავითა, თვით დანახულსა მოვკლევდით, ნუ ვესვრით, დამნახავითა (183). მაგრამ ამისათვის საჭირო არ იყო ლაშქრის აყრა, დათხოვნა და წასვლა. საკმაო იქნებოდა, თუ ისინი, ლაშ-

ქარნი, განზე გადგებოდნენ და ნადირობაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ბ) თუ ლაშქარს არ დაითხოვდნენ და თავიდან არ მოიცილებდნენ, იმ სცენას, რომელიც მოხდა ხატაელ ძმათა და ტარიელს შორის, ადგილი არ ექნებოდა, ლაშქარი ხელს შეუშლიდა მას. განა ნაკლებ მნიშვნელოვანი სცენა მოხდა ტარიელისა და ლაშქართა სიმრავლით აღჭურვილი როსტევეან-ავთანდილის შეხვედრისას? რატომ მაშინ არ შეუშალა ხელი ლაშქარმა მსგავსივე სცენის გათამაშებას? 5) „დღეს ავყარენით ლაშქარი, სავსენი ირმის ტყავითა“ (183); ვერც ესაა მინცდამინც გასაგები: რატომ უექველად ირმის ტყავით და არა სხვა მხეც-ნადირის, მათ მიერ „უსაზომოდ“ დახოცილის? ლექსის წყობა არ დაირღვეოდა, თუ, მაგალითად, ასე იტყოდა ავტორი: „სავსენი მხეცთა ტყავითა“. ერთი სიტყვით, აღნიშნული სამი სტროფი არაა ორგანულად დაკავშირებული წინა და მომდევნო მოთხრობასთან. მოთხრობა მათ არ თხოულობს, ისინი შეთხზულია, საფიქრებელია, საკმაოდ ადრე როსტევეან-ავთანდილის საშეჯიბრო ნადირობის ეპიზოდის მიბაძვით, ამიტომ უნდა ამოვიღოთ პოემიდან, მით უმეტეს, რომ ამით მოთხრობას არამც თუ ზიანი არ მოუვა, პირიქით, ბუნებრივ ხასიათს მიიღებს. ლაშქართაგან გაკიდევანებული ხატაელი ძმები შემთხვევით შეეყრებიან ავთანდილს და ეუბნებიან მას: ერთი თვეა, რაც აქ ვიმყოფებით და ვნადირობთ (181), დღეს ანაზღად, მოულოდნელად, შემოგვეყარა კუშტი ყმა (185) და სხვ. ვ. ბერიძე წინააღმდეგია 182, 183, 184 სტროფების ამოღებისა და მოითხოვს მათ უცვლელად დატოვებას. ამ სტროფებში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ის სამნი ძმანი ერთმანეთს ეცილებიან თუ ვინ ვის ჯობს და ამის გასარკვევად ცალკე გამდგარან (თავს ვიახლენით მარტონი) და სხვის დახმარებით დანახულსა თუ მორეკილს კი არ ესვრიან, არამედ ჰკლავენ და ესვრიან თავიანთ მიერ დანახულს. აქ არის მეორენაირი ნადირობის სურათი წარმოდგენილი. ეს ერთმანეთის დაცილების, შეჯიბრების ნიადაგზე მოწყობილი ცალკე ნადირობა ამიტომაც არის საჭირო, რომ ის სწორედ იმ დღეს მოხდა, როდესაც „ანაზღად მოყმე გამოჩნდა“. უამისოდ 185-ე სტროფზე გადასვლაც სრულიად არაბუნებრივი იქნებოდაო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ კ. კეკელიძის მოსაზრება ანგარიშ გასაწევია, მაგრამ თუ ეს სამი სტროფი გამოვტოვეთ და 181-ე სტროფის შემდეგ, სადაც ნათქვამია, რომ „თვესა ერთსა აქა ვდექით“ — პირდაპირ 185-ე სტროფზე გადავდით, მივიღებთ „ანაზღად მოყმე გამოჩნდა“... ეს კი ვერ იქნება რუსთველური გადასვლა. ეს სტროფები უნდა დარჩესო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ აქ კ. კეკელიძემ განაცხადა: სტროფების ამოღებით მოთხრობას არაფერი დააკლდებაო. ამ სტროფების ამოღება შექმნის სწორედ დიდ გაუგებრობას. საქმე ის

არის, რომ რუსთველს უნდა ეს საში ძმა მარტო შეახვედროს ტარიელს და შემდეგ ავთანდილს. ამიტომ არის, რომ სტროფი ასე იწყება: ღღეს ავყარენით ლაშქარნი, სავსე ირმისა ტყავითა. მთელი სიუჟეტური აზრი ამ საში სტროფისა სწორედ ეს არის და მათი ამოღება ყოვლად შეუძლებელიაო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფები საჭიროა. მათი ძირითადობა გათვალისწინებულია 177-ე სტროფითაც, სადაც ნათქვამია, რომ ავთანდილმა მას შემდეგ, რაც ცხენს საძოვარი მისცა „ექვსნი რამე ცხენოსანნი ნახა“. ამ სტროფებში კი, მართლაც, ურთიერთის ჯობნაზე შეცილებული სამნი ძმანი იახლებენ სამ მეაბჯრეს და სწორედ მათ შეხვდება ჯერ ანაზღად კუშტი მოყმე და შემდეგ ავთანდილიო. ა. შანიძეს სტროფები ძირითად ტექსტის კუთვნილებად მიაჩნია და კ. კეკელიძის წინადადებას სტროფების ამოღების შესახებ არ უპერს მხარს. ა. ბარამიძეს საყურადღებოდ მიაჩნია ს. იორდანიშვილის შენიშვნა ექვსი ცხენოსანის შესახებ და აღნიშნავს, რომ იგიც სტროფებს ძირითადად თვლის. სტროფები 182, 183, 184 ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. კეკელიძე.

182-ე სტროფის მესამე ტაეპში: მოვკლავ, დაიწერა — მოვკვლავ. 183-ე სტროფის პირველ ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით: ლამქარი, დაიწერა — ლაშქარნი. მეორე ტაეპში: ვჯობთ, ხელნაწერებზე დაყრდნობით: დაიწერა — ვსჯობთ. მეოთხე ტაეპში: ხელნაწერების მიხედვით, მოვკლევდით, დაიწერა — მოვკვკვლიდეთ.

184-ე სტროფი: ჩვენ ვიახლენით სამთავე... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპის დასასრული ასე იქნა მიღებული: რაც ზე გარდაგვფრენია. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და ი. აბულაძე. ისინი მხარს უპერდნენ ასეთ ვარიანტს: არცა ზე გარდაგვფრენია.

შემდეგ სხდომას (1935, VII, I) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 185 — 189 სტროფები.

185-ე სტროფი: ანაზღად მოყმე გამოჩნდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: პირ გამქუშავია, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: ჯერთ და ჯერ ფორმას შორის, ხელნაწერებზე დაყრდნობით, არჩეულ იქნა — ჯერ.

185¹-ე სტროფი: რა მათ კაცთა ესე სიტყვა... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: მამხვდეს, დაიწერა — მომხვდა.

186-ე სტროფი: უპკრიტეთ მისთა ელვათა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში სიტყვა „უპკრიტეთ“-თან დაკავშირებით იკრება საკითხი პირველი პირის მაჩვენებლის დაწერა-დაუწერლობის შესახებ. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ რადგან ჩვენ გადასტრა მაინც მოვახდინეთ და მთლად ძველ ორთოგრაფიას არ ვიცავთ იმ მოსაზრებით, რომ

ადვილი გასაგები, ადვილი დასაძლევია იყოს ჩვენ მიერ დაღვენილი ტექსტი, წინადადება შემომავსებს, რომ ასეთ შემთხვევაშიაც არ მოხდეს აღრევა მრავლობითის მეორე პირთან (უქვრივით თქვენ), მივიღოთ პირველი პირის მაჩვენებლის ვ-ინის წერა, სადაც ეს საკი-როა. ამასთან დაკავშირებით გადასინჯულ იქნას ჩვენ მიერ მიღებული სტროფები ამ მხრივ და ეს ცვლილება იქაც გატარდეს. ა. ბარამიძის აზრით, რაკი ა. შანიძე ასეთი ცვლილების წინააღმდეგი იყო საერთოდ, როცა ეს საკითხი დაისვა, უმისოდ გადაწყვეტა საკითხია უხერხული არისო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოდ არ გვხვდება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში ვ-ინი. ამიტომ ასეთ ან-ტიკაში, როგორც არის ვეფხისტყაოსანი, უნდა ვერიდოთ ასეთი ცვლილებების შეტანას. მაშინ არ იყო ეს და ახლა განახლებული ორთოგრაფიით ჩვენც არ უნდა აღვადგინოთ შოთას ენაო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ვ-ინი წინათაც იყო. არის შემთხვევები ვ-ინის ხმარებისას ორი მიმდინარეობა რომ გვხვდება. ასე რომ ამ მხრივ დი-დი დაბრკოლება არა გვაქვს. ერთია მხოლოდ, რომ აქამდის ჩვენ ორ-თოგრაფიული ცვლილება მოვახდინეთ ვ-არის მაგიერ უბრალო ხ-ანის მიღებით და ახლა ჩვენ მორფოლოგურ მოვლენას ვეხებითო. ვ. ბე-რიძე აღნიშნავს, რომ ჩვენამდისაც შეეხენ ამ საკითხს და ბროსემ, ჩუბინაშვილმა და ჩვენმა წინაპარმა კომისიამ საკითხი ამ ვ-ინის სა-სარგებლოდ გადაწყვიტესო. ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა პირ-ველი პირის სუბიექტური მაჩვენებლის ვ-ინის დაწერა უ-ნის წინ. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. თავი შეიკავეს ა. ბარამიძემ და ს. კა-კაბაძემ. პირველ ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიღებულ იქნა: შუქნი, შუქის ნაცვლად მეორე ტაეპში: ცადენით, ასე გააზრი-ანდა: ცად ენით (ზეცამი-ს მნიშვნელობით). მესამე ტაეპში: ვკადრეთ, დაიწერა — ვკადრეთ. მეოთხე ტაეპში: ცრემლისა დადენით — არ გაიზიარეს ი. აბულაძემ და კ. ჭიჭინაძემ, მოითხოვნენ: ცრემლისა წადენით.

187-ე სტროფი: მე უხუცესმან უმცროსთა... ძირითადად მიიჩნი-ეს. პირველ ტაეპში: დავთხოვე, დაიწერა — დავსთხოვე. მეორე ტაეპ-ში: შემდეგმან, დაიწერა — შემდეგ მან. ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ: შემდეგმან-ს, როგორც ძველ ფორმას. მესამე ტაეპის: უაღეთ ჩვენ ნებით — იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს: მესამე ტაეპის მეორე ნახევარს ვახ-ტანგი, ბროსე, ჩუბინაშვილი კითხულობდნენ: უაღეთ ჩვენებით; ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე: უაღეთ ჩვენ ნებით; დ. კარიჭაშვილი, გ. ქარ-თველიშვილი, კ. ჭიჭინაძე: ვუვალეთ ჩვენ ნებით. ჭერ: უაღეთ თუ ვუვალეთ. უნდა უაღეთ. ეს სიტყვა ჩვენ ლექსიკოგრა-

ფებს არ აქვთ ახსნილი. უაღრესად ნიშნავს: ნება მივეცი. არის სიტყვა ალება — ნებათავე, ეს ტექნიკური ტერმინია: ქალს რომ გაათხოვენ, ან ცოლს შეირთავენ, სხვა მხარეში, მას ჯვარს არ დასწერდნენ, თუ თავის სამრევლოს მღვდლისაგან არ ექნებოდა „ალების“ წიგნი, ესე იგი ნებათავე (რომ დაბრკოლება არ არსებობს ამან და ამან იქორწინოს). ამ სტროფში ტაეპის აზრი ასეთია: ამან, უმცროსმა ძმამ, გეტხოვა „მორენა“ ტარიელის, ესე იგი, ნება მომეცით მე მას შევემართო და მოვეკრიოვო. მას „უაღრესად“, ნება მივეცი ამისისა. აქედან ირკვევა, თუ როგორ უნდა დაიწეროს: „ჩვენ ნებით“, თუ „ჩვენებით“, უნდა „ჩვენებით“. ეს ნიშნავს: მის თხოვნაზე ჩვენ მას „ნება მივეცი — დავრთეთ“, არა სიტყვით, არამედ „ჩვენებით“, რუსულად რომ ვთქვათ—*знаком, мигнули ему глазом*. ასე რომ ამ ტაეპის ნახევარი უნდა დაიწეროს: უაღრესად ჩვენებით (ქენებით-სხენებით-ჩვენებით-შვენებით), მაგრამ რადგან ჩვენ უნის წინ ვინ მივიღეთ, იქნება—უაღრესად. ვ. ბერიძე ეთანხმება კ. კეკელიძის მიერ წარდგენილ შესწორებას და აღნიშნავს, რომ სიტყვა „ალება“ ასეთი განმარტებით და ხმარების აღნიშვნით (მღვდელმა ალების ქალადი მომცა) შეტანილია თავის „სიტყვის კონაში“ იმერულ და რაჭულ თქმათა, რომელიც 1912 წ. არის გამოცემული. მიღებულ იქნა ასეთი წაკითხვა: ვუაღრესად ჩვენებით. მეოთხე ტაეპში: მივმართეთ, დაიწერა — მივმართეთ.

187-ე სტროფი: ჩვენ მისითა მიზეზითა... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: კვირან, და მესამე ტაეპში: ვკადრეთ, დაიწერა: ჰკვირან და ვჰკადრეთ.

188-ე სტროფი: ბროლმან ლალსა გარეულმან... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით: ტკბილი გონებანი-ს ნაცვლად მიიღეს — ტკბილნი გონებანი.

189-ე სტროფი: უმცროსსა ძმასა მივეცი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: უფროსთა, დაიწერა — უფროსსა. მეორე ტაეპში: კადრა, დაიწერა — ჰკადრა. მეოთხე ტაეპში: გარდაკრა, დაიწერა — გარდაჰკრა. მეოთხე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით: მიდენით, შეიცვალა — კი დენით.

შემდეგი (189¹ — 197) სტროფების განხილვა და დადგენა გაგრძელდა 2. VII. 1935. სხდომას ესწრებოდნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაპაბაძე, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე.

189¹-ე სტროფი: ჩვენი ძმა, გლახ, დაკოდილი... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია და, გარდა ამისა, სტილი, ენობრივი ნიშნები ამჟღავნებენ, რომ იგი ძირითადია. ეს სტროფი რომ ამოვიღოთ, გაუგებარი იქნება, როგორ მოხდა, რომ

უფროსმა და უხუცესმა ძმამ ნახეს უმცროსი ძმა დაკოდილი და მათ ხელი არ გაუმართეს უცხო ყმის შესაპყრობად. ამ სტროფით კი ეს ანსნილია. სტროფი უნდა დარჩესო. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ სტროფის ამოვარდნით არა დაზიანდება რა, მაგრამ რაკი იგი მოკლე ტიპის ხელნაწერებშია არის, ამიტომ მე მხარს დავუჭერ სტროფის დარჩენას ძირითად ტექსტშიო. ი. აბულაძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მეოთხე ტაეპის ბოლო სიტყვები: ხრმლითა გაგყვრის ფარდა. ფარდა — მას მიაჩნია უნიკო გამეორებად სპარსულის „ფარა-ფარასი“. ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძის აზრს და სტროფს შემდეგი დროის ჩანართად მიიჩნევს. ვ. ბერიძე ვერ ხედავს დიდ დაბრკოლებას სტროფის ძირითად ტექსტში დატოვებისათვის. ს. იორდანიშვილის აზრით, არ არის აუცილებელი დასახელებული სტროფის ძირითად ტექსტში შეტანა. 189-ე სტროფის მეოთხე ტაეპი და 190-ეს დასაწყისი ისე არიან ერთმანეთზე გადაბმული, რომ ამ სტროფის ზედმეტობა აშკარად იგრძნობაო. კ. კეკელიძეს სტროფი ამოსაღებად მიაჩნია. იგი ზედავს მასში ზოგიერთ წინააღმდეგობას. მეორე ტაეპში ვკითხულობთ: მისმან შიშმან დაგვაწყნარაო. დაგვაწყნარა დამშვიდებას ნიშნავს, მესამე ტაეპში კი ვკითხულობთ: ყოფა გაგვიწარდაო. სტროფი სტილის მხრივაც სუსტია. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში: ხრმლითა გაგყვრის ფარდა ფარდა, დაიწერა — ხრმლითა გაგზვდის ფარაფარ-და. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა — ფარდაფარდა-ს.

190-ე სტროფი: მით ერთითა მათრახითა... და 191-ე სტროფი: აღარ დაბრუნდა, წავიდა წყნარად... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

191¹-ე სტროფი: ვეფხისა ტყავი ენიშნა... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია. ამ სტროფით ავთანდილს ენიშნება ვეფხისტყავი და იცნობს იმ ყმას, ვის საძებრადაც არის წამოსული. ეს სტროფი რომ არ იყოს, შემდეგი სტროფი ნაკლებ დასაბუთებულ იქნება. ავთანდილს ვეფხისტყავი რომ არ ნიშნებოდა, არ გარდახდებოდა და ღმერთს თაყვანს არ სცემდა. ს. კაკაბაძე შენიშნავს, რომ ეს სტროფი მოკლე რედაქციებში არ არის და საეჭვოდ მიაჩნია. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ 185-ე სტროფში მოცემულ მოყმის და მისი ტაიპის აღწერილობით ავთანდილს უკვე შეეძლო ენიშნა, რომ იპოვა კვალი თავის საძებარისა, ეს სტროფი ამ მხრივ ზედმეტიაო. ი. აბულაძეს სტროფი მიუღებლად მიაჩნია სტილის მხრივ. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სტროფის გამართლება იმ მოსაზრებით, რომ აქ არის ვეფხისტყავის ნიშნები, არ არის საფუძვლიანი, რადგან მას რომ ვეფხისტყავი აცვია, ეს უკვე უთხრეს ავთანდილს მეკობ-

რეებმა. თვით 191-ე და 192-ე სტროფებს შორის ისეთი გადასვლაა, რომ ეს 191¹-ე სტროფი აშკარა ჩანართის ნიშნებს ატარებსო. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ განსაკუთრებით საეკვოა ამ სტროფში პირველი ტაეპი: „ვეფხისტყავე ენიშნა, ფიცხლავ გარდახდა ცხენითა“. ავთანდილს აჩვენებენ შორს მიმავალ მოყმეს და ცხენიდან კი აღარ უნდა გარდამხტარიყო, არამედ უნდა გაექუსლა, როგორც ეს მართლაც გვხვდება შემდეგში. სტილის მხრივაც სტროფი მდარეა და ჩანართად უნდა ვალიართო. [სტროფი ჩანართად მიიჩნეის]. მეოთხე ტაეპში: მაგრა ცხენითა, კ. კიკინაძის წინადადებით, გასწორდა — მიგრაცხენითა.

192-ე სტროფი: აჰა მიჰხვდა ავთანდილსა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებანი არ შეტანილა.

193-ე სტროფი: უთხრა თუ ძმანო... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ძნელსა, გასწორდა — ყოლა. მეოთხე ტაეპში: თქვენსა დასალრეჯილოსა, იწვევს კამათს. ვ. ბერიძე მოითხოვდა ზოგიერთ ხელნაწერის მიხედვით — თქვენსავე სალრეჯალოსა. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში აქა-იქ ექვს მარცვლიანი სარიტმო სიტყვებიც გვხვდება და ესეც მათ მსგავსად უნდა დარჩეს. ჩვენ მივიღეთ „სასუბროსა“, ასევეა „დასალრეჯილოსა“. მიღებული იქნა „დასალრეჯილოსა“. წინააღმდეგნი იყვნენ კ. კიკინაძე(?) და ვ. ბერიძე.

194-ე სტროფი: ვითა მე მიხვდლი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში გასწორდა: მაშვრალი — მაშვრალნი.

195-ე სტროფი: ესე უთხრა და წავიდა... და 196-ე სტროფი: მიეწურა, იგონებდა... ძირითადად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

197-ე სტროფი: რადგან ისი არის სადმე... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: დავიკარგვით, გასწორდა — და იმაღვის.

მორიგ სხდომას (1935, VII, 3) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და კ. კიკინაძე. განიხილეს და დაადგინეს 197¹- — 200¹ სტროფები.

197¹-ე სტროფი: მე იმა ყმისა საკრავად... იწვევს კამათს. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი აზრის თანამიმდევრობით საჭიროა. ამ სტროფში მოცემულია ავთანდილის მსჯელობა, თუ როგორ მოახერხოს მის ყმის შეყრა. იგი გადაწყვეტს, რომ „შორის თვალითა მისწურავს“, უკან დაედევნება. შემდეგში ავთანდილი სწორედ ამ გზას დაადგება და არ დაეწევა, რომ ან მისთვის არა ევნო-რა და ან თითონ არ შემოჰკვდომოდა. სტროფი სტილის მხრივაც გამართულია, იგი ძირითად ტექსტში უნდა დარჩესო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ 197¹-ე სტროფი ნაწილობრივ გამეორებაა წინა ძირითად 197-ე

სტროფისა და ნაწილობრივ წინააღმდეგობაშია როგორც მასთან, ისე მომდევნო 198-ე სტროფთან, ამიტომ სტროფს ძირითადად ვერ მივიჩნევო. ი. აბულაძე სტროფში ვერაფერს რუსთველურს ვერ ხედავს და მას იგი ჩანართად მიაჩნია. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია, არ აქვს მხოლოდ ვახტანგს თავის გამოცემაში. აზრის მხრივ აუცილებლივ საჭიროა, ამიტომ სტროფი უნდა დაჩე-სო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ იგი ამ შემთხვევაში ვახტანგს დაუჭერს მხარს და სტროფს ძირითადად ვერ მიიჩნევს. ვ. ბერიძეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია, რადგან იგი გადმოგვცემს ავთანდილის მსჯელობას, თუ როგორ უკეთ მოაგვაროს იმ ყმის შეხვედრა. ფსიქოლოგიურად სტროფი გამართლებულია. ყველა ხელნაწერშია, და იმ სტროფის გარეშე 198-ე სტროფზე გადასვლაც ვერ იქნება გამართლებული. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფს აქვს როგორც გასამართლებელი, ისე აშკარა მისი საწინააღმდეგო მხარეები. ვახტანგს სტროფი არ შეუტანია, ამიტომ ჩვენც თავი შევიკავოთ მის ძირითად ტექსტში შეტანისაგანო. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე. პირველ ტაეპში მიღებულ იქნა კ. ჭიჭინაძის შესწორება: მივყავ ნები — მივჰყევ ნები.

1972²-ე (იბ) სტროფი: გარდახდა და თაყვანისცა... და 1971¹-ე (ით) სტროფი: პოვა ავთანდილ ტარიელ... ჩანართად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1972-ე (ით) სტროფი: ავთანდილ მისდექს უკანა... ჩანართად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვინარე, გასწორდა — ვინ არე

198-ე სტროფი: ავთანდილ იტყვის... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ესა და მისი მომდევნო სტროფი სრულიად უადგილოდ არის ჩართული 197-ე და 200 სტროფს შუა. თვით სტროფის დასაწყისი: ავთანდილ იტყვის — ააშკარავება, რომ ეს შემდეგი ღროის დანამატია. წინა სტროფში ავთანდილი ლაპარაკობს და რაღა საჭირო იყო კვლავ „ავთანდილ იტყვის“. სტილი და ენა სტროფების ტლანქია. სტროფების განდევნით მოთხრობის ბუნებრივი მსვლელობა არ წყდება და მე მათ მხარს ვერ დავუჭერო. ა. ბარამიძეს 198-ე სტროფი შინაარსეულად საჭიროდ მიაჩნია. კენჭის ყრით სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. მეორე ტაეპში: რა-ლაცა, გასწორდა — რაცალა. მესამე ტაეპში: რამცა, გასწორდა — რა-ზომცა. მეოთხე ტაეპში: ვძებნო, გასწორდა — ვძებნენე.

199-ე სტროფი: წინა-უკანა იარეს... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს სტროფი როგორც ენის, ისე სტილის მხრივ მიუღებლად მიაჩნია. ნა-ძალადევი ფორმებია. შექამაღთა მქამენი, ერთის თვალისა წამენი. ასეთი ფორმები დამახასიათებელია ყალბის მქნელისთვისო. კ. ჭიჭი-

ნაძე აღნიშნავს, რომ, მართალია, ზოგი შეუსაბამო ფორმები არის ამ სტროფში, მაგრამ ასეთი რამ ხანდახან რუსთველსაც აქვს და ამგვარ საშუალებებით სტროფის სიყალბეს ვერ დავასაბუთებთო. კ. კეკელიძე იზიარებს ი. აბულაძის აზრს, რომ სტროფი სტილისტურ-ენობრივად ყალბის ნიშნებს ატარებს. თავის მხრივ აღნიშნავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არის ამ სტროფსა და მის მომდევნო მე-200 სტროფს შუა და მას ჩანართად მიიჩნევს. ვ. ბერიძე 199-ე სტროფის პირველ ტაეპსა (წინა-უკანა იარეს ორნი დღენი და ღამენი) და მე-200 სტროფის პირველ ტაეპს (დღისით ვლეს და საღამო-ყამ გამოუჩინდეს დღენი კლდენი) შორის წინააღმდეგობას ვერ ხედავს. მისი აზრით, პირველ ტაეპში გამოთქმულია ის აზრი, რომ ორი დღე და ღამე შორი-ახლოს მიწდევდნენ ერთმანეთსა, მეორე ტაეპის აზრი კი ის არის, რომ მეორე დღეს დღისით რომ იარეს, საღამოს დიდ კლდეებსა და ქვაბებს მიაღდგნენო. ა. ბარამიძე სტროფს საეჭვოდ მიიჩნევს. კენჭის ყრით სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და კ. კეკელიძე. 1936 წ. 7 მაისს კომისია კვლავ დაუბრუნდა ამ სტროფის საკითხს და იგი კვლავ ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ერთის, გასწორდა — ერთნი. მეოთხე ტაეპში: სდიოდა, დაიწერა — სდიოდეს.

მე-200 სტროფი: დღისით ვლეს და საღამო ყამ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დიდი, გასწორდა — დიდნი. მესამე ტაეპში კამათი გამოიწვია სარიტმოდ სიტყვამ — რასდენი. ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდნენ ფორმას: რამდენი. კომისიამ დატოვა რასდენი.

მე-200¹ სტროფი: დადგა, უჭვრეტს, ალვის შტოსა... ჩანართად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

1935 წ. 4 ივლისის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 201 — 202¹ (გ) სტროფები.

201-ე სტროფი: მან ყმამან ქვაბსა მიჰმართა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ტყენია, გასწორდა — კლდენია. მეორე ტაეპში: მონახა დიდი ხენია, გასწორდა — მონახნა დიდნი ხენია. მეოთხე ტაეპში: მეტად, გასწორდა — მივა.

202-ე სტროფი: რა ტყენი გავლნა მან ყმამან... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მალლა, გასწორდა — მალლად.

202¹-ე (გ) სტროფი: ყმამან უთხრა, დაო ასმათ... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი შეტანილი აქვს ბროსეს, კაკაბაძეს, ვახტანგს და მას. თავისთავად შესანიშნავი სტროფია და აზრობრივი გადასვლისათვის საჭირო, ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ

სტროფი უსათაუოდ კარგია, მაგრამ ექვს ბადებს ის გარემოება, რომ ბევრ ხელნაწერს აკლია. ექვს იწვევს აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი ეს შეხვედრა ტარიელისა და ასმათისა ავტორს აღწერილი აქვს თავის სიტყვებით. გასაუბრებას, დიალოგს ადგილი არა აქვს. ასეთია 201-ე, 202-ე, 203-ე, და 204-ე სტროფები. ეს სტროფი კი არღვევს ამ აღწერილობის მიმდინარეობას, ამიტომ სტროფს ძირითადად ვერ მივიჩნევო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ამდენი ხნის უნახავნი ტარიელი და ასმათი ერთმანეთს უბრად შეხვედროდნენ, იმდენად, რამდენადაც ავთანდილს ესმის მათი საუბარი, სტროფი საჭიროა და ზედმეტი არ არის. მთელი ამ შეხვედრის ეპიზოდში ეს ერთადერთი დიალოგია და თუ ამასაც ამოიღებთ, მაშინ შეხვედრა ავტორს აღწერილი ექნება თავისი სიტყვებით. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი უარყოფილია მთელი რიგი ხელნაწერებით. ამასთან იგი არ არის შეტანილი გ. ქართველიშვილის გამოცემაში. სტილით ეს სტროფი მეტისმეტად უგვანია და ულაზათო. ლექსიც რუსთველური არ არის. არავითარი თანხმობა რითმებში არ არისო. ს. იორდანიშვილი იზიარებს მოწინააღმდეგეთა შეხედულებას და სტროფს ჩანართად მიიჩნევს. მისი აზრით, საფიქრებელია, რომ ავთანდილს მაინც არ ესმის მათი საუბარი და ამ მომენტში ეს სრულიად ზედმეტია, რადგან შემდეგ სტროფში ნათქვამია, რომ „ავთანდილ კვრეტს გაკვირვებით მათსა ეგრე ქცევა ზმასა“. ა. შანიძემ აღნიშნა, რომ აშკარა ნიშნები სტროფის ჩანართობისა არ არის, გარდა იმისა, რომ მრავალი ხელნაწერი უარჰყოფს. მართალია, რითმები არ არის მთლად კარგი, მაგრამ არა ჩანს, რომ სტროფი უეჭველად მერმინდელიაო. კ. კეკელიძეს სტროფი არ მიაჩნია ძირითადად. რითმები ყოვლად უზადრუჟია, რუსთველის რითმები არ არის. სტროფი არ არის საჭირო შინაარსეულადაც. ტარიელი ეუბნება ასმათს: „ველარ მივხვდი ყამიერად ჩვენ ვისიცა ცეცხლი გვწვიდეს“. ისე გამოდის, თითქოს ტარიელი იმ მომენტში ნეტანის საძებრად იყოს წასული. ამასთან გარკვეულ მომენტამდის ავთანდილმა არ იცის ტარიელის გამოქვამულში მყოფი ქალის სახელი. თვითონ იგი ამჟღავნებს თავის სახელს შენდეგში, როცა ეტყვის მე ასმათ მქვიანო. ამ სტროფით კი აღრევეა გაჰქვამულში ქალის სახელი: დაო ასმათ, რაც მიუღებელია. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ტარიელი ყოველ მიზეზს გარეშე გამოქვამულიდან ნესტანის საძებნელად დადის. ტარიელი საძებნელად იყო გამოსული მაშინაც, როცა იგი ნახეს წყლის პირს მტირალი. ამიტომ სრულიად შესაძლებელია და ბუნებრივი, რომ ტარიელს ეთქვა ასმათისათვის ველარ მივხვდი ყამიერად ჩვენ ვისიცა ცეცხლი გვწვიდესო. ხმის უმეტესობით სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ა. შანიძე და კ. კიკინაძე.

კომისიის შემდეგი სხდომა შედგა 1935 წ. 5 ივლისს. დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და კ. კიკინაძე. წაიკითხეს და დაადგინეს 202¹ (იზ) — 212 სტროფები.

202¹-ე (იზ) სტროფი: გარდახდა და თაყვანი სცა... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: მონა სახენი, დაიწერა — მონასახენი.

203-ე სტროფი: იგი ტვერი გაეზშირა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მოსტქმიდიან, დაიწერა — მოტქმიდიან. მეოთხე ტაეპში: ჰვრეტს, გასწორდა — სჰვრეტს.

204-ე სტროფი: სული დაილო მან ქალმან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დასთმო, გასწორდა — დათმო.

205-ე სტროფი: ავთანდილს უკვირს ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ვსცნაო, დაიწერა — ვცნაო. მეორე ტაეპში: გარდმოღვა, გასწორდა — გამოღვა. მესამე ტაეპში: სწმედლა, დაიწერა — სწმენდლა.

206-ე სტროფი: მის მოყმისა წესი იყო... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველი ტაეპის დაბოლოება: მეტსა თურე არ ასე ჯდა. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ აქ უნდა იკითხებოდეს: მეტსა თურე არ ასრე ჯდა — ე. ი. ამაზე მეტს არ დაყოფდა, დარჩებოდა ხოლმეო. ვ. ბერიძე არ იზიარებს ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილ წაკითხვას და თავის მხრივ აყენებს: მეტსა თურე არას ეჯდა, ე. ი. არას ეჯობდა. ასევე ხსნის ნ. მარი ამ ადგილს. ეჭი ცნობილი სიტყვაა და ნიშნავს გადასავალს, მანძილს, ჰადგურს (остановка, переход, стоянка). ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძის მოსაზრებას და წაკითხვას: კომისიამ ტაეპის ბოლო ასე მიიღო: მეტსა თურე არ ასრე ჯდა. წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე.

207-ე სტროფი: ავთანდილ ახლოს კვლავ... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მოკვლა, დაიწერა — მოკლვა; კაცისა, გასწორდა — ვაცისა.

208-ე სტროფი: მასვე გზასა წამოვიდა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ჰვრეტს, დაიწერა — სჰვრეტს. მეოთხე ტაეპში: მამიგვარა, დაიწერა — მომიგვარა.

208¹-ე სტროფი: ავთანდილ თქვა, ჟამად ვპოვე... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

209-ე სტროფი: აწ ამას ჩემთვის — ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვაჯობინო, გასწორდა — ვამჯობინო.

210-ე სტროფი: ჩამოვიდა, ცხენი ახსნა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: კარ განმული, დაიწერა — კარ-განხმული. მეოთხე ტაეპში: ფერ ბაკმული, გასწორდა — ბროლ-ბაკმული.

211-ე სტროფი: ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ერთ სახესა, დაიწერა — ერთსახესა.

212-ე სტროფი: მას ყმასა თავი არ მისცა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: კრთებოდა, გასწორდა — ძრწებოდა.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, VII, 8), დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. მდივნობდა ილ. აბულაძე. განიხილეს და დაადგინეს 212¹ — 216 სტროფები.

212¹-ე სტროფი: ქალი კიოდა ტირილით... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძის აზრით, აუცილებელია სტროფი შევიდეს ძირითად ტექსტში. მას კავშირი აქვს შემდეგ 214²-ე სტროფთან, რომელთაც (212¹ და 214²) ზოგიერთი მკვლევარი ყალბად აცხადებს. თუ ეს (212¹-ე) სტროფი ამოვიღეთ, მაშინ წინა და მომდევნო სტროფებთან კავშირი აღარ გვექნება. „ხმასა მოსცემდა მთა ვითა“-ში ვ ი თ ა-თი მთასთან შეფარდება კი არაა, არამედ — ვითარ მთაო, ე. ი. როგორც დიდ ხმას გამოსცემდა მთაო. ამიტომ ამ ტაეპის შემდეგ განცვიფრების ნიშანი უნდა დაიწეროს. ვითა-ს ასეთი მნიშვნელობა სხვაგანაცაა რუსთველთან, მაგ., — 647-ე და 903-ე სტროფში ჩემი გამოცემით. ა. ბარამიძის აზრით, არა ჩანს აუცილებლობა დავაკავშიროთ ურთიერთთან სტროფები 212¹-ე და 214²-ე. 212¹-ე სტროფი არ მიაჩნია რუსთველისად. 214²-ე სტროფის მეორე ტაეპში ნახმარი წყალები-ს წყულულებად გაგება არაა სწორი. „ამად მაჩნია წყალები“ ასე უნდა გაიმართოს: ამად მაჩნია (ა)წყალები. ლ ე ბ ი კ ი აქ ლურჯს, დალურჯებულსა ნიშნავს. ეს სტროფი არც ლექსის მხრივ არის კარგი, იგი ნაწყალებია. ვ. ბერიძის აზრით, კ. ჭიჭინაძეს რომ თავის გამოცემაში სადავო 212¹-ე სტროფი უდავო 212-სა და 213-ეს შორის აქვს ჩართული, არაა მართებული. ამოსაღებია როგორც 212¹-ე, ისე 214²-ე სტროფი. ი. აბულაძეც ეთანხმება იმ აზრს, რომ ამოღებული იქნეს ორივე სტროფი, რომელთა დატოვებით ბუნებრივობა წაერთმეოდა თხრობას. კ. კეკელიძის აზრით, 212¹-ე სტროფი გამეორებაა წინა სტროფის ამბებისა, რისთვისაც მას იგი ჩანართად მიიჩნეეს. ა. შანიძის შეხედულებით, საექვოა 212¹-ე სტროფი ძირითად ტექსტს ეკუთვნოდეს. სხვათა შორის მისი რითმები ძალზე მიაგავს „როსტომიანისას“. კომისიამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგია კ. ჭიჭინაძე.

213-ე სტროფი: ეტყოდა სულე... და 214-ე: ქალი ეტყოდა... ერთხმად მიიჩნიეს ძირითადი ტექსტის კუთვნილებად. 214-ე სტროფის პირველ ტაეპში ნახმარ ბ რ კ ო ბ ა ს ა — ბჭობა-დ შეცვლას მოითხოვს მხოლოდ ი. აბულაძე. მეოთხე ტაეპში ნახმარი ს ც დ ე ბ ი-ს, სცთები-ს სახით შეცვლას მხარს უჭერს ყველა, გარდა კ. ჭიჭინაძისა და ვ. ბერიძისა.

214¹-ე სტროფი: კვლავ ეტყვის... იწვევს კამათს. ი. აბულაძის აზრით, სტროფი პერიფრაზია წინა სტროფისა. იგი ხელოვნურად არის წაკერებული მასზე სიტყვებით: კვლა ეტყვის... ვ. ბერიძის აზრით, მართალია, გამეორებას აქვს ადგილი, მაგრამ ეს საქმის ვითარებით არის გამოწვეული. ფორმის მხრივაც ეს სტროფი იშვიათთაგანია. ამიტომ მისი ძირითად კუთვნილებად მიჩნევა მისთვის შესაწყნარებელია. კ. კეკელიძე სტროფში ზოგიერთ უხერხულობას ხედავს. მაგ., მოსალოდნელი იყო მეორე ტაქტში ს ა ქ მ ე ს ა-ს ნაცვლად ს ა ქ მ ი ს ა, რასაც ხელნაწერები არ გვაწვდიან. აგრეთვე მეოთხე ტაქტში — ვით სიცილი ტირილსა, — კონტრასტი ვერაა ხეირიანი. ამიტომაც რუსთველისად ამ სტროფის მიჩნევა მას აეჭვებს და აფიქრებინებს, რომ იგი ყალბი უნდა იყოს. ა. ბარამიძეც აგრეთვე ამ სტროფში ამბის გაუმართავობას ხედავს. ფსიქოლოგიურ მხარეს თუ გაუწვევლით ანგარიშს, მაშინ „ვითა ტირილი სიცილსა“ უნდა ყოფილიყო. მასაც, ამიტომ, ეს სტროფი ყალბი ჰგონია. ა. შანიძის აზრით, მართალია შინაარსის თვალსაზრისით გამეორებაა, მაგრამ ლექსი მაინც კარგია. ს ა ქ მ ე ს ა შეიძლება ს ა ქ მ ი ს ა დ შესწორდეს, რადგანაც ამას ხელნაწერებიც უჭერენ მხარს, ანდა მეორე ტაქტში „მაგა საქმესა ვერა იქს“ გასწორდეს ასე: მაგა საქმესა ვერ რა იქს. კ. ჭიჭინაძეს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ს ა ქ მ ე ს ა-ს შესწორება ს ა ქ მ ი ს ა-დ. ხოლო მეოთხე ტაქტში: ვით სიცილი და სხვ... ასე ესმის: როგორც სიცილი სჯობს ტირილს, ისევე მეც ჩემი განწყობით მირჩევნია ვაგლახი მღერასო. სტროფის ძირითადი ტექსტის მიკუთვნებას მხარი დაუჭირა მხოლოდ 3 წევრმა. ამიტომ დაადგინეს ეს სტროფი გადაიდგას შემდეგში ხელახლა გადასასინჯავად. 1936 წ. 7 მაისს კომისია კვლავ დაუბრუნდა ამ სტროფის ძირითად-ჩანართობის საკითხს და იგი ძირითადად მიიჩნია.

214²-ე სტროფი: ყმა ეტყვის... ჩანართად ცნეს, წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე, მისი აზრით, ამ სტროფის ამოგდებათ პოემის თხრობის წესი ირღვევა.

215-ე სტროფი: ქალო, არ იცი, სით მოვალ... იწვევს კამათს, ი. აბულაძის აზრით, ეს სტროფი მომდევნო სტროფთან (216) ერთად ზედმეტია. ორივე ეს სტროფი 214¹-ე ყალბი სტროფით არის გამოწვეული, მას გრამატიკული უხერხულობანიც ახლავსო. კ. ჭიჭინაძის აზრით, თუ 214²-ე სტროფი ამოღებული იქნება, მაშინ ტექსტი ისე უნდა დადგინდეს, როგორც ი. აბულაძეს აქვს, ე. ი. სტროფები 215-ე და 216-ე ამოღებულ უნდა იქნეს. ვ. ბერიძის აზრით, ბუნებრივობა ამ სტროფების დატოვებით არ ირღვევა, ენის მხრივაც არავითარ უხერხულობას არა აქვს ადგილი. სტროფი ძირითადად იქნა მიჩნეული. წინააღმდეგია მხოლოდ ი. აბულაძე.

216-ე სტროფი: ქალმან უთხრა რას შეგესწარ.. ძირითადად მიიჩნის, წინააღმდეგია ი. აბულაძე.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, VII, 9), დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 217 — 225 სტროფები.

217-ე სტროფი: კვლაცა კითხა ზენარობით... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: დააბჯინა, გასწორდა — დააბჯინა; კომისიამ მიიღო: თმითა წამოზიღნა. ა. შანიძე მხარს უჭერდა H 2074, S 2829 ხელნაწერებში მოცემულ წაკითხვას: თმათა წამოზიღნა.

217¹-ე სტროფი: ყმასა შეყრია ასმათი... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

218-ე სტროფი: ეგრე უთხრა მე ეზომი... ძირითადად მიიჩნის. მეორე ტაეპში: როგორა, გასწორდა — რაგვარა.

219-ე სტროფი: ქალმან უთხრა, ეგე ლონე... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში: რად არ გითხრა, გასწორდა — რად რა გითხრა. მეოთხე ტაეპში: მებას, გასწორდა — მეღვას.

291¹-ე სტროფი: უთხრა თუ ლომო... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: ეგე სჯობს, გასწორდა — ეგ მიჯობს.

220-ე სტროფი: კვლავ ეტყვის ყმაო... იწვევს კამათს. ი. აბულაძის სტროფი მიაჩნია ჩამატებულად. ამას ამკლავებებს თვით სტროფის დასაწყისი „კვლავ ეტყვის“. მაშინ როდესაც 219-ე სტროფის დასასრულიდან კვლავ ეტყვის „თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მებას ზედა თავი“ — პირდაპირი გადასვლაა 221-ე სტროფზე: ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატივად ნურად გგონიაო. ი. აბულაძის ეს მოსაზრება კომისიამ არ გაიზიარა. სტროფი ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მოგაკვლევინო, გასწორდა — მოგაკვლევინო.

221-ე სტროფი: ჩემი სიკვდილი შენ ჩემად... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში: მიჩს, გასწორდა — მიჩნს; ქვეყანას ნაცვლად, დაიწერა — სოფელი. მეოთხე ტაეპში: გითხრა, გასწორდა — გითხრნე; წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

222-ე სტროფი: ყმამან თქვა თუ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: სხვისა რასმე მოგვარება, გასწორდა — სხვასა რასმე მოვიგონებ. მესამე ტაეპში: დაიწყო, გასწორდა — დაუწყო.

223-ე სტროფი: ქალი დაუჯდა კუმტ-გვარად.. ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: გულ-ნალბობარია, დაიწერა — გულ-ნალმობარია.

224-ე სტროფი: ყმა მტირალი შეებრალა... ძირითადად მიიჩნის. პირველ ტაეპში: ცხელი ცრემლი, გასწორდა — ცხელი ცრემლი. მესამე ტაეპში: თქვა, დაიწერა — ცნა.

225-ე სტროფი: უთხრა, ვიცი აღარ ვარგხარ... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველი ტაეპის ბოლო: შენ ჩემისა დასანდობლად. ვ. ბერიძე იძლევა ასეთ წაკითხვას: შენ აწ ჩემთვის დასადობლად, ე. ი. დასადობილებადო. კ. ჭიჭინაძე აყენებს შემდეგ წაკითხვას: ჩემად დად სანდომლად. ა. შანიძე არ იზიარებს წარმოდგენილ წაკითხვებს და თავის მხრივ აყენებს: შენ აწ ჩემად დად, სადობლად. კომისიამ უკანასკნელი წაკითხვა მიიღო. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. მეორე ტაეპში: დაგრჩომილვარ, გასწორდა — დაგრჩომივარ.

მორიგ სხდომას (1935, VII, 10) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე), და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 226 — 231¹ სტროფები.

226-ე სტროფი: თავი ჩემი სამსახურად... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: შენგან, გასწორდა — არვინ. მეოთხე ტაეპში: სულსა, დაიწერა — სულთა. სულსა-ს მხარს უჭერდნენ ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე.

227-ე სტროფი: რა ქალსა მიხვდა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გულ ამოხვნიჩვით, გასწორდა — გულ ამოხვინჩვით.

228-ე სტროფი: იტყვის თუ, ამა სიტყვათა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

229-ე სტროფი: ვარ მიჯნური, ხელი ვინმე... ძირითადად მიიჩნიეს. კამათს იწვევს მესამე ტაეპის დაბოლოვება: მე მის მისულვარ სადა ვლისად. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აქ უნდა იყოს „მე მისრულვარ სადა, მი, სად“ იმ აზრით, რომ ღრუბელიც კი ვერ მივა იქ, სადაც კი მე მივსულვარ მის საძებნადო. მი გამეორებაა მივსულვარ ზმნისა. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ტაეპის დასასრული ასე უნდა აკითხებოდეს: მე მივსულვარ სად ამისად, — ე. ი. ღრუბელიც კი ვერ მიპწვდება იქ, სადაც მე მივსულვარ ამისად, ე. ი. ამ ყმისაო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მეორე ტაეპში ნათქვამია: იმ ა ყმისად — ასე, რომ მესამეში ამისად აღარ არის მოსალოდნელი. უფრო სწორი იქნება: მი, სად, მაგრამ უმჯობესი იქნება არა სადა, არამედ სადათ, ე. ი. საიდან სად მოვსულვარო. კომისიის წევრების უმრავლესობამ გაიზიარა პირველი შესწორება: სადა, მი, სად. მეოთხე ტაეპში: შენი, დაიწერა — თქვენი.

230-ე სტროფი: მისი სახე გულსა ჩემსა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მყავ, შესწორდა — მქმენ. მეოთხე ტაეპის დასაწყისი კომისიამ მიიღო: ან მაცოცხლე, ანუ მომკალ. ი. აბულაძე მხარს უჭერდა „ანუ“-ს ნაცვლად: ან... ან... წაკითხვას:

231-ე სტროფი: ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა... ძირითადად ცნეს.

მეორე ტაეპში: ღონე-ს ნაცვლად დაიწერა, სიტყვა. მესამე ტაეპში: ჩამოსთესი, შეიცვალა — შთამოსთესი.

231¹-ე სტროფი: რაცალა ხარ, ვერ მაცთუნვებ... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

231²-ე სტროფი: ჩემსა თავსა მიჯნურობა... იწვევს კამათს. კ. ჰი-ჰინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი უდავოდ რუსთველის მიერ არის დაწერილი და ძირითად ტექსტში უნდა იქნას შეტანილი. ასმათი მიკიბულ-მოკიბულ პასუხს აძლევს და ამაზე ავთანდილი ეუბნება: ჩემი ვერა ვერ მოგვიდგე, მეუბნები მრუდსა სწორადო. მეოთხე ტაეპში: შევაწონე ერთ ღრამ ორად — ღმჯობესია ამგვარად იქნეს მიღებული: შევაწონე ერთსა ორად. ეს ჩემი გასწორება არ არის, ასეთი წაკითხვა სადმე ვნახე ალბათ, და ტაეპი უფრო აზრიანია: სხვა მნათობი ორად აღებული ერთს მას შევეუდარეო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ასმათი 221-ე სტროფში გარკვევით ეუბნება, ვერ გიცნობ ვინ ხარ, ვის გითხრა სიტყვანი მისანდონიო, შემდეგ, როდესაც ავთანდილმა თავისი მიჯნურობა უხსენა, ქალი უკვე ტკბილ სიტყვებს ეუბნება: აწ მოყვარე გიპოვნივარ დისაგანცა უფრო დესი (231-ე სტროფი) და ამის შემდეგ ასეთი სტროფი, სადაც ნათქვამია: ჩემი ვერა ვერ მოგვიდგე, მეუბნები მრუდსა სწორად — ზედმეტი უნდა იყოს. ამასთან 229-ე სტროფში უკვე ნათქვამი აქვს: ვარ მიჯნური, ზელი ვინმე. ეს სტროფი კვლავ იმეორებს: ჩემსა თავსა მიჯნურობა მართალია, არ ნაქორად. სტროფი არ მიმაჩნია ძირითადადო. ა. შანიძე შენიშნავს, რომ სტროფის ზოგიერთი ადგილი წარმოადგენს უდავო ადგილების გამეორებას, ასეთია „მართალია, არ ნაქორად“, რომელიც მოგვაგონებს თინათინის სიტყვებს „დასტურია, არ ნაქორად“. რაც შეეხება მეოთხე ტაეპის დასასრულს: შევაწონე ერთ ღრამ ორად — მოგვაგონებს: წონა ძლივ ჩანთქის ღრამისა. ანდა: მართ აწონილი ღრამითა. მაგრამ რამდენადაც ეს გამოთქმები რუსთველურია, იმდენად — „შევაწონე ერთ ღრამ ორად“, არ ვარგა, უხეიროა. სტროფი ყალბი უნდა იყოსო. კ. ჰიჰინაძე აღნიშნავს, რომ შევაწონე ერთ ღრამ ორად — უნდა გასწორდეს: შევაწონე ერთსა ორად, ე. ი. მას, მნათობს ორი სხვა მნათობი შევაწონე, შევაფარდეო. შევაწონე ამ მნიშვნელობით ვეფხისტყაოსანში ცნობილია: ჩემი ყველა აქანამდის ჰირი ლხინსა შევაწონე. ა. შანიძე შენიშნავს, რომ გასწორება შეიძლებოდა, მაგრამ „ერთსა ორად“ რომ ყოფილიყო, აქედან ჩვენ „ერთ ღრამ ორად“ ვერ მივიღებდით და ამიტომ ვერ გავასწორებდითო. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. ჰიჰინაძე. მესამე ტაეპში: მჩანს, დაიწერა — მიჩნს.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, VII, 11) დაესწრნენ: ი. აბულა-

ძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 231³ — 232 სტროფები.

231³-ე სტროფი: გამოჰკრილვარ, ვიარები... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

231⁴-ე სტროფი: თუ შენ გწადდეს... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: ბოლოდ, გასწორდა — ბოლოს. მესამე ტაეპში: მოგაბარა, დაიწერა — მოგებარა.

231⁵-ე სტროფი: მაშა რადგან მიჯნურობა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი მრავალსიტყვაობას შეიცავს და მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობას ხელს უშლის. ამ სტროფის ამოღებით არაფერი დაშავდება. ვ. ბერიძე შენიშნავს, რომ სტროფი იწყება მეტად არაბუნებრივად: მაშა რადგან მიჯნურობა ჩემად ღონედ მოიგონე... გარდა ამისა არაფერს ახალს არ მატებს. ეს უკვე იყო ნათქვამი ასმათის მიერ წინა სტროფში: ეგე ღონე მოიგონე დია რამე უკეთესი. სტროფი არ მიმაჩნია აუცილებლად ძირითად ტექსტისათვის. კ. ჭიჭინაძე სტროფს რუსთველურად მიიჩნევს: მაშათი დაწყება სტროფისა სხვაგანაც გვხვდება ვეფხისტყაოსანში. ამ სტროფის შემდეგ უფრო ბუნებრივად მისდევს 232-ე სტროფი: აწ რაცა გითხრა. ა. შანიძე იხილავს სტროფს ენობრივი თვალსაზრისით და შემდეგი ღრის ჩანართად მიიჩნევს, „დაგაბნივე, დაგაღონე“, რომელიც გვხვდება ამ სტროფში, რუსთველის ენას არ ახასიათებს. კომისიის უმრავლესობამ სტროფი ჩანართად ცნო. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. პირველ ტაეპში: ჩემად, დაიწერა — შენად. მეორე ტაეპში: თუცა თვალი, შეიცვალა — თუმცა თავი. მესამე ტაეპში: მოგცე გული, გასწორდა — მოგეც თავი. მეოთხე ტაეპში: უსაცილოდ, სხვა მის მეტი რა ვიგონე, გასწორდა — ამისებრი მემცა საქმე რა ვიღონე.

231⁶-ე სტროფი: მე მისითა მიზეზითა... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: ცხელი ცრემლი, გასწორდა — ცრემლი ცხელი.

232-ე სტროფი: აწ რაცა გითხრა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიის (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე), მორიგ სხდომაზე (1935, IX, 16) განიხილეს და დაადგინეს 233 — 242 სტროფები.

233-ე სტროფი: ყმაძან უთხრა, ეგუ სიტყვა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: სიტყვა, გასწორდა — საქმე. მეორე ტაეპში: სადაური, შეიცვალა — სადაურნი. მესამე ტაეპში: წაადგა, დაიწერა — მიადგა.

234-ე სტროფი: ეგრე უთხრა, ამხანაგო, ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მოსატანად, გასწორდა — მოსახმელად.

235-ე სტროფი: აწ, დაო, შენთა ხელთა... ძირითადად მიიჩნის. ცვლილებები არ შეტანილა.

236-ე სტროფი: ქალმან უთხრა, მომეწონა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ვინაღვან, გასწორდა — ვინათვან.

236¹-ე სტროფი: იმა მოყმისა ამბავი... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე სტროფს საჭიროდ მიიჩნევს. ამ სტროფით ასმათი ხელახლა უყვება იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ეღობება მათ იმ ყმის (ტარიელის) ამბის გასაგებად. თვით თუ არ გითხრობს, ისე არ ითქმის, ამიტომ მოილოდინე და დაჩუმიდო. ა. ბარამიძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს. სტროფში რიტმიცა და რითმაც დარღვეულია. კომისიამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგნი იყვნენ კ. ჭიჭინაძე და ვ. ბერიძე. მეოთხე ტაეპში: ცრემლით ნუ ია თოვნდების, გასწორდა — ცრემლითა ნუ ითოვნების.

236²-ე სტროფი: ყმამან უთხრა, ვარდო... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: დაჭკნი, დაიწერა — დაჭკნი; ზერისა, გასწორდა — ზრვისა. მეოთხე ტაეპში: მისთვის, შეიცვალა — მათთვის.

237-ე სტროფი: გითხრობ, თუ ცოდნა გწადიან... ძირითადად ცნეს. გასწორდა პირველ ტაეპში: გითხრობ — გითხრა, მესამე ტაეპში: მკირს — მაქვს.

238-ე სტროფი: ამის მეტსა ვერას გითხრობ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: სხვას ამბავსა, გასწორდა — მე სიტყვასა. კ. ჭიჭინაძე მეორე ტაეპში ი ს ი-ს ნაცვლად მხარს უჭერდა ი გ ი-ს (იგი მინდორს არონინებს). მესამე ტაეპში: ხორცსა ნადირისა მე იმისგან მონატანსა, გასწორდა — მართო ნადირისა მისგან ხორცსა მონატანსა. მეოთხე ტაეპში: აწვევ, დაიწერა — აწვევ.

239-ე სტროფი: ამას გეტყვი, მოიცადო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გეტყვი, გასწორდა — გვედრებ.

239¹-ე სტროფი: ტირს ვაიმე, საყვარელო... და 239²-ე სტროფი: უთხრა დაო ღმერთმან... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

239³-ე სტროფი: ქალი კადრებს საუბართა... ჩანართად მიიჩნის. პირველ ტაეპში: კადრებს საუბართა, გასწორდა — ჰკადრებს საუბარსა.

240-ე სტროფი: ქალსა ყმამან მოუსმინა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში... მოვანება, დაიწერა — მოფინება. მეოთხე ტაეპში: უკუღგეს, გასწორდა — უკურიდეს.

241-ე სტროფი: ქალმან უთხრა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მოგცა, ყმაო, გასწორდა — ყმაო, მოგცა. მესამე ტაეპში: არაინა, დაიწერა — არაეინ ა.

242-ე სტროფი: ავთანდილ ქალმან დამალა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: შესართავითა, გასწორდა — შესამალითა.

შემდეგ სხდომას (1935, IX, 17) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. ქეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 243 — 253¹ სტროფები.

243-ე სტროფი: ამარტის ფერად შეცვალა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მოკვეთა, გასწორდა — მოჰკვეთა⁹².

244-ე სტროფი: ავთანდილ სარკმლით უჭკვრეტდა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

245-ე სტროფი: მან ქალმან ხელ ყო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: გზნება, დაიწერა — გზება.

246-ე სტროფი: ცოტად მიწვა, მიიძინა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დაიზახა, დაიწერა — დაიზახნა. მეოთხე ტაეპში: ცალკე დაიწერა — ცალკერძ.

247-ე სტროფი: მოახსენა, რად დაბრუნდი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მოახსენა რად დაბრუნდი, გასწორდა — რად დაბრუნდი მოახსენა.

248-ე სტროფი: სევდად მეცა კაცთა ნახვა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: არ მივუფელ, გასწორდა — არ მიუფე. კ. ჭიჭინაძე და ი. აბულაძე მხარს უჭერდნენ: არ მივეო. მეოთხე ტაეპში: დღეს, დაიწერა — თქვა. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა: ვთქვი-ს.

249-ე სტროფი: ქალსა ცრემლი გარდმოსცვივდა... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

250-ე სტროფი: ყოვლი პირი ქვეყანისა... ძირითადად მიიჩნიეს. გასწორდა მეორე ტაეპში: შენთვის — შენად, მესამე ტაეპში: გიანხლოს — გეახლოს.

251-ე სტროფი: უბრძანა, დაო, ეგეა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მოსულისა, გასწორდა — მოსრულისა.

252-ე სტროფი: ღმერთმან ეტლსა ჩემსა... ძირითადად ცნეს. პირველი ტაეპი: ღმერთმან ეტლსა ჩემსა რადმცა კაცი სხვამცა რად დაბადა, გასწორდა — ღმერთმან სხვაცა ეტლსა ჩემსა სადმცა კაცი რად დაბადა. მეორე ტაეპში: თუცა, გასწორდა — თუმცა.

253-ე სტროფი: ქალმან უთხრა არ გამიწყარე... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: უთხრა, გასწორდა — ჰკადრა. მეორე ტაეპში: რადგან, დაიწერა — რათგან.

253¹-ე სტროფი: მისი მძებნელი სჯობს იყო... იწვევს კამათს, კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი შეიტანა პირველად ბეჭდურ

⁹² დნ.: მოკვეთა.

გამოცემაში ბროსემ და მასაც საჭიროდ მიაჩნია, როგორც ერთგვარი შემზადება ტარიელისათვის ავთანდილის გასაცნობად. 254-ე სტროფის სიტყვები: კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე — პასუხია ასმათის სიტყვებზე: სჯობს ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისის ჭკვრეტითა. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფი წარმოადგენს ძირითადში ასმათის მიერ უკვე ნათქვამ სიტყვების გაუმორებას. 250-ე სტროფით ასმათმა უკვე უთხრა ტარიელს: ერთი კაცი შემაქცევრად შენთვის ვითა დაგელია? 253¹-ე სტროფით ასმათი კვლავ ეუბნება: სჯობს, ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისის ჭკვრეტითა. 254-ე სტროფში ტარიელის სიტყვები: კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე — პასუხია ასმათის მიერ წინა სტროფებში ნათქვამ სიტყვებზე: მხეცთა თანა იარები მართო ტევრად... არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად (249), ერთი კაცი შემაქცევრად შენთვის ვითა დაგელია (250) და სხვ. ასე, რომ ამ თვალსაზრისით 253¹-ე სტროფის საჭიროების გამართლება ნაძალადევი იქნებაო. ი. აბულაძეს დასაშვებად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფორმით ამ სტროფის ძირითად ტექსტში შეტანა. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ავთანდილისა და ტარიელის გაცნობის მომენტი მეტად რთულია და სრულიად დასაშვებია ასმათს ამ მომენტის შემზადებაში გამოორებაც დასჭირებოდა. მართო ამ მოსაზრებით, რომ ზოგი რამ უკვე აღრე უთხრა ასმათმა და ახლაც იმეორებს, — სტროფს ვერ ამოვადლებთ, მით უმეტეს, რომ იგი ყველა ხელნაწერში არის⁹³. კომისიის უმრავლესობამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე. სტროფში წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიის 1935 წ. 19 სექტემბრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 254 — 264 სტროფები.

254-ე სტროფი: ყმამან უთხრა, რას მენუკვი... ძირითადად ცნეს, მეოთხე ტაეპში: გაღანამცა, გასწორდა — განალამცა.

255-ე სტროფი: ქალმან კვლა ჰკადრა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ვიახლოს, გასწორდა — გეახლოს; მისისა, დაიწერა — მისითა. მეოთხე ტაეპში: არ სავნებელი, გასწორდა — არ-სავნებლისა

255¹-ე სტროფი: უთხრა თუ დაო, არა ვარ... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ესა და მომდევნო სტროფი (მისი გამოცემით 306, 307) მას საჭიროდ მიაჩნია შეტანილ იქნას ძირითად ტექსტ-

⁹³ ამ სტროფის (253¹) შესახებ იხ. ვ. ბერიძის განცხადება, აქვე, გვ. 203.

ში. ამ სტროფების აუცილებლობა ჩანს მომდევნო 256-ე სტროფიდან, რომელიც ტარიელის სიტყვებს გადმოგვცემს: ყმამან უთხრა: თუ მიჩვენებ, ვნახავ დიდად გავიხარებო... ეს სიტყვები უშუალო პასუხია ასმათის სიტყვებზე, რაიც 255¹-ე (იზ) სტროფშია წარმოდგენილი: მოახსენა ვპოვე ვინმე მიჯნურობით გამოჭრილი, შენად ძებნად წამოსულიო. თუ ეს სტროფები გამოვტოვეთ და 255-ე სტროფს პირდაპირ მივაყოლოთ 256-ე სტროფი, მაშინ გამოვა, რომ ასმათის სიტყვებზე: მაგრამ თუ კაცი მოგვევარო, მოგყვეს თავისა ნებითა (255) — ტარიელი უპასუხებს: თუ მიჩვენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ (256). ეს კი შეუფერებელია, რადგან ტარიელს უნდა ეპასუხნა: თუ მომიყვან, ან თუ მომგვრიო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ შინაარსის მხრივ მართლაც სტროფები თითქოს საჭიროა და კ. ჭიჭინაძის მოსაზრებებს დავუჭერდი მხარს, მაგრამ ამ სტროფების ენა სრულიად არ არის რუსთველური და ძირითად სტროფებზე ვერ მივიჩნევთ. ა. ბარამიძე ყურადღებას აქცევს სტროფის სტილს, აღნიშნავს პირველი და მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვების „ცნობა-დაკარგულია“ და „თავ-დაკარგულია“ თითქმის ერთსა და იგივეობას და სტროფს ყალბის მქნელის მიერ შეტანილად მიიჩნევს. კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. წაკითხვებში ცვლილებები არ შეტანილა.

255¹-ე სტროფი: (იზ) მოახსენა ვპოვე ვინმე... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

256-ე სტროფი: ყმამან უთხრა თუ მიჩვენებ... ძირითადად მიიჩნეის. მესამე ტაეპში: უზამ, გასწორდა — ვუზამ; მეოთხე ტაეპში: იამების, დაიწერა — ეამების.

257-ე სტროფი: ქალი ადგა და წავიდა: ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: საგულვანებლად, გასწორდა — მაგულვანებლად.

258-ე სტროფი: გამოვგება ტარიელ, ჰმართებს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მოფენდეს, დაიწერა — მოჰფენდეს. მესამე ტაეპში: ვარგიყო, გასწორდა — ვარგყოს. მეოთხე ტაეპის დასასრული „სხვადმცა რაღა ვთქვა მე დარად“, იწვევს კამათს. ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე აყენებენ ასეთ წაკითხვას: სხვადმცა რისა ვთქვი მე დარად. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ დარად მსგავსის, შედარების აზრით, სტროფში პირველი ტაეპის სარიტმო სიტყვად არის ნახმარი. ასე, რომ მეოთხე ტაეპში უნდა იყოს: სხვადმცა რისად ვთქვი და რად-ო, ე. ი. შვიდ მნათობს ვამსგავსე, სხვა რისად ვთქვა და რად ვთქვაო. კომისიამ ასეთი წაკითხვა გაიზიარა. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე.

259-ე სტროფი: მათ აკოცეს ერთმანეთსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვარდთა, გასწორდა — ვარდსა. მეოთხე ტაეპში: იაგუნ-

დი მათი, გასწორდა — იაგუნდნი მათნი; შექნეს — შექმნნეს. შექმნეს-ში ორი ნ-არის წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

260-ე სტროფი: მობრუნდეს, ყმაძან ავთანდილს... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: თქვენისა, გასწორდა — თქვენითა.

261-ე სტროფი: ტარიელის ვარდი იყო... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მოსულხნარ, გასწორდა — მოსრულხნარ.

262-ე სტროფი: ავთანდილ გასცა პასუხი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მგზნებია, დაიწერა — მგზნებია⁹⁴.

263-ე სტროფი: მე პატრონისა ჩემისა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: განსოცვა, გასწორდა — განსოცვა; დახოცე, დაიწერა — დაჰხოცე; მონები მკლავ მაგრებია, გასწორდა — მონები არ-საპყრებია.

264-ე სტროფი: შენ მინდორს ვნახეთ... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: შეღებე, გასწორდა — შეკლებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ სხდომას არ დასწრებია ვ. ბერიძე, ამიტომ მან ა. შანიძის სახელზე შემდეგი განცხადება გამოგზავნა: „სხდომაზე ვერ დავესწრები. დღეს გასარჩევი სტროფების შესახებ შემდეგი აზრისა ვარ: 304-ე სტროფი (ყველგან ჭიჭინაძის გამოცემითაა ნაჩვენები) ძირითადია. ძირითადია აგრეთვე 305-ე: ქალმან კვლა ჰკადრა გაგსაჯე მეტითა შეგონებითა...გთხოვთ. მიაქციოთ ყურადღება ამ თქმას: გაგსაჯე მეტითა შეგონებითა. თვითონ ასმათი გრძნობს, რომ მეტს შეგონებას აქვს ადგილი, და ეს გარემოება აუცილებლად ლაპარაკობს 303-ე სტროფის სასარგებლოდ, რომლის გამოსაძეგებლად ის მოსაზრება მოჰყავდათ, რომ მეტისმეტია ამდენი ლაპარაკიო. მე მაშინაც მოგახსენეთ და ახლაც ხაზს ვუსვამ, რომ ისეთი სცენაა, ისეთი ძნელად გადასაწყვეტი საქმეა, რომ სწორედ მეტ შეგონებას მოითხოვს და ამიტომ განმეორებით გთხოვთ მის დატოვებას. რაც შეეხება 306-ე და 307-ე სტროფებს, — უეჭველად ზედმეტია (ვისიც არ უნდა იყოს). 305-ე სტროფში ქალი ეუბნება ტარიელს: თუ კაცი მოგგვარო შემომფიცე, რომ არ მოკლაო და ტარიელი უპასუხებს: (308) „თუ მიჩვენებ, ვნახავ, დიდათ გავიხარებ, არას ვუზამ უგემურსა, არაოდეს გავამწარებ“⁹⁵. კომისია არ დაბრუნებია დასახელებული სტროფების საკითხს.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, IX, 20) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძეს, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განიხილეს და დაადგინეს 265 — 274 სტროფები.

⁹⁴ დნ.: მგზნებია.

⁹⁵ დასახელებული სტროფები ს. კაკაბაძის პირველი გამოცემით არის: 304—254, 303—253¹, 305—255¹ (ზ), 307—255¹ (ზ), 305—255, 309—256.

265-ე სტროფი: ყველაქასა მათრახითა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: უხრმლოდ, დაიწერა — უხრმლოდ; გარდაკვეთით — გარდაკვეთით. მესამე ტაეპში: დაიმაღლე, გასწორდა — დაგვემაღლე. მეოთხე ტაეპში: დაგვაშმაგა, გასწორდა — დაგვაშმაგა.

266-ე სტროფი: ჳმუნვა შეექმნა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ვერ გპოვეს, გასწორდა — ყოველგან; მესამე ტაეპში: ნახული, დაიწერა — მნახავი.

267-ე სტროფი: მიბრძანა მიცან ამბავი... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: სამ წლამდინ, გასწორდა — სამ წლამდის. მეოთხე ტაეპში: გავძლე, დაიწერა — გავსძელ.

268-ე სტროფი: აქანამდის მნახავიცა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვნახე, დაიწერა — ვნახენ. მეოთხე ტაეპში: გლახა, დაიწერა, გლახ-ა.

269-ე სტროფი: ტარიელსაც მოეგონა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ტარიელსაც მოეგონა, გასწორდა — ტარიელსცა აეხსენა. მეორე ტაეპში: თქვა თუ, გასწორდა — იტყვის. მეოთხე ტაეპში: წამწყემდეღი, გასწორდა — წარმწყემდეღი.

270-ე სტროფი: რას მაქნევდით... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: რად გინდოდით, გასწორდა — რა გინდოდა; ვგვანდით, დაიწერა — ვპგვანდით. მეორე ტაეპში: თამაშობდით, დაიწერა — სთამაშობდით. მესამე ტაეპში: გავგულვანდით, გასწორდა — გაპგულვანდით.

271-ე სტროფი: მოვიხედე, მამეწია... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: შეუზრახე, გასწორდა — შევეუზრახე.

272-ე სტროფი: კაცმან ვერ ასწრას... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: თურქთა, გასწორდა — ქურდთა, მეოთხე ტაეპში: შვენოდა, დაიწერა — ჳშვენოდა.

273-ე სტროფი: აწ ვაშად მოხველ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში გასწორდა: მოხველ — მოხვეე; მიამა — მეამა.

274-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ეზომთა, დაიწერა — ეგზომთა.

შემდეგ სხდომას (1935, IX, 21) დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჳიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 274¹ — 277 სტროფები.

274¹-ე სტროფი: მოსრულვარ, შენად შეყრამდი... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: მცნებელი, გასწორდა — მძებნელი. მესამე ტაეპის სარიტმო სიტყვა მ ც ნ ე ბ ე ლ ი იწვევს კამათს. კ. ჳიჭინაძე მოითხოვს მიღებულ იქნას, 10 ხელნაწერის თანახმად, ლახვართა მგებნელი. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ტაეპი უფრო აზრიანი იქნება, თუ მი-

ვილებთ: მეცა ვარ მაგა ლახვართა მცნებელი, ე. ი. მეც განმიცდია ეგ ლახვარი, მ გ ე ბ ნ ე ლ ი კ ი გაუგებარიო. კომისიამ დატოვა: ლახვართა მცნებელი.

274²-ე სტროფი: ამა დღემან დამავიწყა... ძირითადად ცნეს. წინა-აღმდეგი იყო ი. აბულაძე. მესამე ტაეპში: რაზომცა, გასწორდა — ეგრეცა; ათასჯერცა — ათასჯერმცა. მეოთხე ტაეპში გასწორდა: გიახლო, — გეახლო; სხვა მის — ამის; რაღა — არა.

275-ე სტროფი: ტარიელ უთხრა, მე შენი... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

276-ე სტროფი: წამოსულხარ ჩემად ძებნად... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: წამოსულხარ, გასწორდა — წამოსრულხარ.

276-ე სტროფი: ასმათ უთხრა, ცრემლით, ლომო... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს. თუ ეს სტროფი ძირითად ტექსტში შევიტანეთ, მაშინ აუხსნელი ხდება მომდევნო 277-ე სტროფის დასაწყისი: ამას დაყმუნდა ტარიელ... ეს სტროფი კი უშუალოდ მოსდევს 276-ე სტროფს: წამოსულხარ ჩემად ძებნადო. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ 276¹-ე და 276²-ე სტროფები აუცილებელია. 276-ე სტროფში ტარიელი კატეგორიულ უარს ეუბნება ავთანდილს: მაგრამ ჩემსა რა გიამბობს, გამოპირილვარ ასრე თუ რად? მე თუ ვიტყვი, დამწეავს ცეცხლი ცხელი, შემიქს ალად, მურადო. ამის შემდეგ საქმეში ერევა მეტად დაინტერესებული ასმათი, რომელმაც ავთანდილი დამალა და შემდეგ მოახერხა მისი ტარიელთან შეხვედრა. ამ ორ სტროფში მოცემულია სწორედ ასმათის სიტყვები. მომდევნო სტროფი უფრო გასაგებია ასმათის სიტყვების შემდეგ: ამას დაყმუნდა ტარიელ, ე. ი. ამაზე დაჩუმდა, დაფიქრდა ტარიელ და „ასმათს უბრძანა: მას აქათ შენ ხარ ჩემთანა ხლებული“ და სხვა. ვ. ბერიძე იზიარებს კ. კიკინაძის მოსაზრებებს აღნიშნული სტროფების შესახებ და აღნიშნავს, რომ ტარიელის სიტყვები ასმათისადმი „რად არა იცი, უწამლო არს ლები ესე ლებული“ და სხვა, გაუგებარი იქნება, თუ ასმათი არ ჩაერეოდა ლაპარაკშიო. სიუჟეტურად სტროფები საჭიროაო. ა. შანიძეს სტროფი სტილისტურად დაბალ ღირსებისად მიაჩნია და ჩანართად აღიარებს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფში არის ნამდვილი რუსთველური ტაეპი: მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების... ს. იორდანნიშვილი სტროფებს სიუჟეტურად ზედმეტად არ მიიჩნევს, თუმცა ისინი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი არ არისო. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე და ა. შანიძე. ეს სტროფი კომისიამ ხელახლა განიხილა 1936 წ. 7 მაისს და იგი კვლავ ძირითადად ცნო. მეოთხე ტაეპში: აეგების, გასწორდა — დაედების.

276²-ე სტროფი: ეხვეწებოდა, ლამოდა... ძირითადად ცნეს. წინა-

აღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე და ა. შანიძე. 7 მაისს, 1936 წ., ეს სტროფი კომისიამ ისევ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში გასწორდა: მისგან — ჩემგან. მეორე ტაეპში: მივსცე, დაიწერა — მივეც.

277-ე სტროფი: ამას დაყმუნდა ტარიელ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: აქეთ, დაიწერა — აქად.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, IX, 22) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განიხილეს და დაადგინეს 277¹ — 281 სტროფები.

277¹-ე სტროფი: კაცმან ვით პოოს... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი აუცილებელია, როგორც ტარიელის პასუხი ასმათის სიტყვებზე, რომელიც 276²-ე სტროფშია მოყვანილი: „თუ რას სცნობს, ვეკობ ამისგან თქვენსა რასზე ლხენასა, არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა ზენასა“. ამაზე ტარიელი უპასუხებს: „კაცმან ვით პოოს ღმრთისაგან რაც არა დანაბადიაო“ და დასძენს მომდევნო [277²] სტროფით: მაგრამ ღმერთმან მოწყალემან ორი მისი მოწყალე ბა მომცა ღღესო: ერთი, რომ ჩემის მიზეზით მოყვარულთ (იგულისხმება ავთანდილ და მისი სატროფო) შეპყრასო და მეორეც იქნებ ცეცხლმა მეც სრულად არ დამწვასო. ამასთან 277¹-ე სტროფი დაწერილია იშვიათი მაჯამით. თანაც სტროფს კავშირი აქვს მომდევნო სტროფთან. მათი ძირითად ტექსტში დატოვება აუცილებელიაო. ი. აბულაძეს სტროფი გაუგებრად და უაზრობად მიაჩნია: „მით გული ჩემი სახმილმან აწ ასრე დანაბადია“. ს ა ხ მ ი ლ ი გულს არ დააბამდა, დასწვავდა, სრულიად რუსთველური სტილი არ არის. მეორე ტაეპში ნ ა ბ-ღ ი-ს ხმარებაც შემდეგ ჩანართობას უნდა მოწმობდეს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ავ ჩანართ სტროფების აზრთა განვითარებაში თანამიმდევრობა არ არის. ჭერ ტარიელი უპასუხებს, რომ კაცმან ვით პოოს, ღმრთისაგან რაც არა დანაბადიაო, ე. ი. ყოველგვარი უიმედობა გამოხატული და შემდეგ, 277³-ე სტროფში, კი ნათქვამია: მას ღღესა ლომი ტარიელ შვებითა აივსებოდა და სხვა. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ შესაძლოა, მართლაც, ლექსის მხრივ ცლტათი სუსტი იყოს 277¹-ე სტროფი, მაგრამ აზრთა თანამიმდევრობის მხრივ 277¹-ე და 277²-ე სტროფებში წინააღმდეგობა არ უნდა იყოს. ტარიელი ამბობს: კაცი უღმრთოდ ვერას გახდება, ამიტომ იყო აქამდის სახმილს მივეცემოდი ლხინს მოკლებული, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მოწყალე ღმერთმან მომწედაო. რაც შეეხება 277³-ე სტროფს: მას ღღესა ლომი ტარიელ შვებითა აივსებოდა... ეს სულ სხვა კატეგორიის სტროფია (ყველა ხელნაწერში არ არის) და პირველ ორს არ უნდა დაუთვავეთ. ა. შანიძე სტროფს მეტისმეტ ხელოვნურ მაჯამით დაწერილად მიიჩნევს და ყალბად თვლის. სტროფი ჩანართად ცნეს.

წინააღმდეგნი იყვნენ ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე. მეორე ტაეპში: დანაბაღია, დაიწერა — დანაბა ღია. მესამეში: და ნაბაღია — დანაბაღია.

277²-ე სტროფი: მაგრამ ღმერთმან მოწყალემან... ჩანართად ცნეს. 1936 წ. 7 მაისს კომისიამ 277¹ და 277² სტროფები ძირითადად ცნო. მესამე ტაეპში: შეყრით, დაიწერა — შეჰყრის.

277³-ე სტროფი: მას დღესა ლომი ტარიელ... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი სიუჟეტურად საჭიროა. მთელი წლების განმავლობაში გაველურებული ტარიელი პირველად ზედება ადამიანს, რომელიც მისი გულისათვის იტანჯებოდა და, ბუნებრივია, თუ ტარიელი შვებას მიეცემა. სტროფი სავსებით რუსთველურად არის დაწერილი. ი. აბულაძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს უაზრობად მიაჩნია სხვათა შორის: „ჰგავს, თუ მაშრიყი შუქსა ფენს“. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სტროფი შინაარსობრივად არ უდგება იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც აქვს ტარიელს. განსაკუთრებით ამას ეწინააღმდეგება შემდეგი სტროფები: 279-ე და 280-ე. ამ უკანასკნელში ტარიელი ასეა დახატული: ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხანს შუქნი არ ადარნაო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფი შემდეგი დროის ჩანართი უნდა იყო. „ერთმანერთს ეუბნებოდა“ — რაც გვხვდება სტროფის მეორე ტაეპში, შეუძლებელია, რომ მე-12 საუკუნეში დაწერილიყო. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. სტროფში ცვლილებები არ შეტანილა.

278-ე სტროფი: ყმას უთხრა, ვინცა კაცმან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ანუ, გასწორდა — იძმოს. მეორე ტაეპში: დარიღოს, გასწორდა — დაპრიდოს. მეოთხე ტაეპში: რალა, დაიწერა — რაცა.

279-ე სტროფი: ასმათს უთხრა მოდი, მოჯე... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

280-ე სტროფი: ღილ-ჩახსნილი საამბობლად... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ცხელი ცრემლი გარდმოღვარანა, გასწორდა — ცრემლნი ცხელნი გარდმოყარანა.

281-ე სტროფი: მოსთქვაჟს, ჰაი, საყვარელო... ძირითადად მიიჩნიეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

მორიგ სხდომას (1935, IX, 23) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განიხილეს და დაადგინეს 282 — 289¹² სტროფები.

* 282-ე სტროფი: ისმენდი, მოეც გუნება... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ნათქვამთა, დაიწერა — ამბავთა, მეორე ტაეპში: სიტყვათა, გასწორდა — საქმეთა. მესამე ტაეპში: ხელმქნის, დაიწერა — ხელმქმნა. მეოთხე ტაეპში: შეუცავ ჭევდასა, გასწორდა — შეეუცავ სევდათა.

283-ე სტროფი: ინდოეთს შვილთა მეფეთა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მდაბალი, გასწორდა — მდიდარი.

284-ე სტროფი: მამა ჩემი ჯდა მეშვიდე... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

285-ე სტროფი: ხალვა მოსძულდა, შეექმნა... ძირითადად ცნეს. [პირველ ტაეპში: შეექნა, გასწორებულია — შეექმნა]. მეორე ტაეპში: მტერთათვის, გასწორდა — მტერთაგან.

286-ე სტროფი: ფარსადანს წინა დასკვნა... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა. ვ. ბერიძე მეოთხე ტაეპში: ერთგულად ნამსახურისა-ს ნაცვლად მოითხოვდა: ერთგულად სამსახურისა.

287-ე სტროფი: ფარსადან შექმნა ხარება... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ხარება, გასწორდა — ზეიმი. მესამე ტაეპში გასწორდა: რადგან — რათგან; ქენ — ჰქმენ.

287¹-ე (ვ) სტროფი: კმარის ღმრთისგან ჩემზედა... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში გასწორდა: მქნელსა — მთქმელსა⁹⁸; მან დენანი — მანდ ენანი.

287²-ე (თ) სტროფი: მოვიდა კაცი მეფისა... ჩანართად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

288-ე სტროფი: ერთი სამეფო, საკარგყმო... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ამილბარობა, გასწორდა — ამირბარობა. მეორე ტაეპში: დასჯდის — დაჯდა.

289-ე სტროფი: თვით მეფემან მამაჩემი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მას არ გავარ, გასწორდა — მას არა ვჰგავ.

289¹-ე სტროფი: მეფემან უძღვნა მრავალი... ჩანართად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: შენია, დაიწერა — შენ ია.

292²-ე სტროფი: ვინადიროთ მზიარულთა... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: მოსვრათ, გასწორდა — მოვსრათ.

289³-ე სტროფი: მუნ მეფესა მოეკაზმნეს... ჩანართად მიიღეს. მეორე ტაეპში: თვალ გუჟარი, დაიწერა — თვალგოარი. მესამე ტაეპში: მოეკაზმეს — მოუკაზმნეს.

289⁴-ე სტროფი: თუ რა სადა სახელმწიფო... და 289⁵-ე სტროფი: დღესა ერთსა ავაზითა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

289⁶-ე სტროფი: კვირას ერთსა ინადირეს... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: პოეს, დაიწერა — პოვეს. მეოთხე ტაეპში: ავსი, დაიწერა — ავსის.

289⁷-ე სტროფი: რა გათავდა ნადირობა... და 289⁸-ე სტროფი: გარდხადეს ნადიმობა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

⁹⁸ დნ.: მქნელისა—მთქმელისა.

289⁹-ე სტროფი: მეფემ უძლენა მამაჩემსა... ჩანართად ცნეს... მეორე ტაეპში გასწორდა: დიდრვანი — დიდროანი; გუარითა — გოარითა. მეოთხე ტაეპში: რასმეს, დაიწერა — რასმე.

289¹⁰-ე სტროფი: ლხინობდეს და თამაშობდეს... 289¹¹-ე სტროფი: კრულმც არს ჩემი დაბადება... და 289¹²-ე სტროფი: ამის მეტსა ვედერ უძლებ... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

25 სექტემბრის სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 290 — 298 სტროფები.

290-ე სტროფი: ძე არ ესვა მეფესა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ვაი, დაიწერა — ვა; ამილბარსა — ამირბარსა.

291-ე სტროფი: მეფემან და დედოფალმან... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ზრდა დამიწყეს, დაიწერა — მზრდიდეს სარულთა.

291¹-ე სტროფი: ასმათ მითხრობდი... იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფები 291¹-ე და 292-ე: ასმათ შენცა ხარ მოწამე, ორივე ჩანართი უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ მეტისმეტი თავის ქებაა, წინააღმდეგობაც არის: 292-ე სტროფში ტარიელი ამბობს: მზესა მე ვჯობდი შენებითო, ზემოთ, 291-ე სტროფში კი ნათქვამია: მოვიწიფე, დავეშგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთადო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფს ჩანართად ვერ მივიჩნევთ, თუშცა უკანასკნელი ტაეპის ჰგაოდის — ცოტა ექვს იწვევსო. კომისიის უმრავლესობამ სტროფი ძირითადად მიიჩნია. წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე და ვ. ბერიძე (დატოვებული განცხადების თანახმად). მეოთხე ტაეპში: არ გავიდოდის, გასწორდა — არა ჰგაოდის; სუმა, დაიწერა — სმა.

292-ე სტროფი: ასმათ, შენცა ხარ მოწამე... ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. კეკელიძე. მეორე ტაეპში: ვჯობდი, გასწორდა — ვსჯობდი. მესამე ტაეპში: იტყოდის, დაიწერა — იტყოდეს.

292¹-ე სტროფი: ნადომსა შიგან მოყმენი... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე სტროფს ძირითადად მიიჩნევს. მისი აზრით, სტროფში მოცემულია ტარიელის დახასიათება და თუშცა ცოტა სუსტი სტროფებია, მაგრამ ძალიან ხშირად ძირითად ტექსტში ამაზე სუსტი სტროფებიც გვხვდებო. კომისიის უმრავლესობამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. პირველ ტაეპში: მოგეგებინან, გასწორდა — მომეგებინან.

293-ე სტროფი: მე ხუთისა წლისა ვიყავ... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

293¹-ე სტროფი: წიგნი წიგნსა ეწეოდა... იწვევს კამათს. ა. ბარამიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. 293-ე სტროფში ნათქვამია, რომ დაიბადა ქალი და შემდეგ 294-ე სტრ. „ფარსადან დაჯდა ხარებად ზეიმი-

თა და ზარითა“. ამ სტროფით კი აღწერილია ის, თუ რა ხდებოდა მაშინ, როცა დედოფალი შობდა. კ. ჭიჭინაძე სტროფის დატოვებას აუცილებლად მიიჩნევს. მასში მოცემულია საყოფაცხოვრებო დეტალი „წიგნი წიგნსა ეწეოდა... მოციქული მოციქულსა“ და სხვ. ლიტერატურად არაფერს ეწინააღმდეგება და ყველა ხელნაწერში არისო. კ. კეკელიძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს. აღწერილი საყოფაცხოვრებო დეტალი არ არის ეპოქისათვის დამახასიათებელი. ამასთან მეტად გაკვიანურებულია შობის მომენტი. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აშკარა ნიშნები სიყალბისა სტროფს არ ახასიათებს და შეიძლება დავტოვოთ. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ტეპი ვერ არის კარგად გაკეთებული, მაგრამ იგი მაინც უფრო სტროფის ძირითადობას დაუპყრს მხარს. ხმის უმეტესობით სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე (გამოკემის მიხედვით), ა. ბარამიძე, და კ. კეკელიძე. მესამე ტეპში: განსცხრებოდა, გასწორდა — განსცხრებოდეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

294-ე სტროფი: ქება არ ითქმის ენითა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტეპში: გასცა, გასწორდა — გასცეს.

295-ე სტროფი: საშობელი გაიყარა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტეპში: უყვარდით... უჩნდით, გასწორდა — ვუყვარდით... ვუჩნდით.

296-ე სტროფი: ყმა დაბნდა, რა სახელისა... ძირითადად ცნეს. მეორე ტეპში: ავთანდილსაც, დაიწერა — ავთანდილსცა; მურა — ჰმურა. მეოთხე ტეპში: დასტურა, დაიწერა — დასტურ ა.

297-ე სტროფი: მას ქალსა ნესტან-დარეჯან... ძირითადად მიიჩნიეს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ მესამე ტეპის სარიტმო სიტყვა უფრო აზრიანი იქნება, თუ მივიღებთ შეფლოზილი-ს ნაკვლად: შეფრობილი, ე. ი. ისეთი იყო, რომ მზე მისი სწორ-ფერი არ იყო. იგი იყო „მზისაგან ვერ შეფრობილი“. კომისიამ ასეთი წაკითხვა მიიღო. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტეპში: ვერ, გასწორდა — ვით; ა. შანიძე მოითხოვდა — ვერ-ს; აღმასად, დაიწერა — აღმასი.

298-ე სტროფი: იგი ასრე მოიწიფა... ძირითადად ცნეს. მეორე ტეპში: თვით, დაიწერა — ვით.

შემდეგ სხდომას (1935, IX, 26) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 299—307¹ სტროფები.

299-ე სტროფი: მეფემან კოშკი ააგო... ძირითადად ცნეს. პირველ ტეპში: კოშკი, დაიწერა — სახლი. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბუ-

ლაძე და კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში: მუნ იზრდებოდის, გასწორდა — იგი მუნ იყვის.

მე-300 სტროფი: დღე და ღამე მუჯამრითა... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ შეტანილა.

301-ე სტროფი: სრა ედგა მოფარდაგული... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვნახევდით, გასწორდა — ვხედვიდით⁹⁷. მესამე ტაეპში გასწორდა: ხადუმნი ყვა — მონანი ჰყვიან; იმღერდიან — იმღერდის.

302-ე სტროფი: თხუთმეტისა წლისა ვიყავ... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მის, დაიწერა — მას. მესამე ტაეპში: ვგვანდი, დაიწერა — ვჰგვანდი; წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

302¹-ე სტროფი: რა მინდორს შევჯღი... იწვევს კამათს. ი. აბულაძე როგორც ენის, ისე სტილის მხრივ სტროფს ჩანართად მიიჩნევს. ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძის შეხედულებას და დასძენს, რომ სტროფში ნახშიარი „ფუტკრის რემა“ შაჰნამეს ვერსიებით არის გამოწვეული. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ 302-ე სტროფში უკვე მოცემულია დასრულებული სურათი ტარიელის, რომ იგი ჰგვანდა ძალით ლომს, თვალად მზეს, ტანად ედემს ზრდილს, რომ მისი საროლა და ასპარეზი სანაქებოდ იყო გამხდარი. ამ ახალი სტროფით არაფერი არ ემატება გარდა იმისა, რომ ვინც ნახავდა მინდვრად გამოსულს წლამდის საკვებხნად ჰკმაროდაო, სტროფი ჩანართების რიგისა უნდა იყოსო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ისეთმა ნათელი ჭკუის მკვლევარმა, როგორც იყო ბროსე, ეს სტროფი შეიტანა. შემდეგ ამ სტროფმა მოიპოვა მოქალაქეობა ს. კაკაბაძისა და მის (ჭიჭინაძის) გამოცემებში. სტროფი ვეფხისტყაოსნის ერთი შესანიშნავი სტროფთაგანია. სტილი მისი პირწაგარდნილი რუსთველურია. აბსოლუტურად შეუძლებელია დაეჭვება, რომ ეს სტროფი რუსთველს არ ეკუთვნის. ბოლო ტაეპი უაღრესად რუსთველურია. რაც შეეხება ფუტკრის რემას, ეს ისევე თამამად შეეძლო ეხმარა რუსთველს, როგორც გნოლის ჯოგი. სტროფი ძირითადად უნდა დარჩესო. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ბროსეს პოეტურ გემოვნებით ვერ გადაეწყვეტთ სტროფის ძირითადობა-ჩანართობის საკითხს. სტროფი სტილის მხრივ მეტად უხეშია და ეს ამყდავენებს, რომ იგი რუსთველს არ ეკუთვნისო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფის ჩანართობას ამყდავენებს ისეთი გრამატიკული შეუსაბამობა, როგორცაა მასში ხმარებული „ქალ ყმები დაჯრილი დგის“. სტროფი ჩანართად უნდა ჩაითვალოს [კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო]. მეორე და მესამე ტაეპი ერთმანეთის ალაგას გადასვ-გადმოსვა.

⁹⁷ საიუბილეო გამოცემაში: ვხედვიდით.

303-ე სტროფი: მოსრნის მხეცნი და ნადირნი... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ბროლ ბალახშეულმან, გასწორდა — ბროლ-ბადახ-შეულმან.

304-ე სტროფი: მამა მომიკვდა მოვიდა... ძირითადად იქნა ცნობილი. მესამე ტაეპში: მას, დაიწერა — მათ.

305-ე სტროფი: მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე... ძირითადად იქნა ცნობილი. პირველ ტაეპში: საწუთრო გამწარებული, გასწორდა — საწუთრო-გაცუდებული. მეორე ტაეპში: ვაებდი, გასწორდა — ვვაებდი.

305¹-ე სტროფი: აქ გლოვა ტარიელისგან... ჩანართად ცნეს. მე-სამე ტაეპში: იმ გლოვით, გასწორდა — იგ გლოვით.

306-ე სტროფი: ჩვენ უფრო გეტკივის... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ამილბარობა, გასწორდა — ამირბარობა.

307-ე სტროფი: ავტირდი, დამწვეს მამისა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: ავტირდი — ავენთი; დაუშრეტელთა — დაუშრტომელთა. მეორე ტაეპში: უკანის, დაიწერა — უკუნით.

307¹-ე სტროფი: თვალთა ჩემთა ცხელი ცრემლი... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძეს სტროფი აუცილებლად მიაჩნია. მასში მოცემულია საყოფაცხოვრებო დეტალი, თუ როგორ გლოვობდა მამის სიკვდილს ტარიელი, წლის ჭამის გარდახდა, სამძიმრის თქმა და სხვა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფში მოცემულია გარკვეული საეკლესიო წესები მიცვალებულის გლოვისა, რაც ვეფხისტყაოსნისათვის არ არის დამახასიათებელი. ამასთან აქვს ნახმარი ჯარი სამხედრო ტერმინად, რასაც ვეფხისტყაოსანი არ იცნობს. სტროფი ჩანართად უნდა ჩაითვალოს. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. პირველ ტაეპში: ცხელი ცრემლი, გასწორდა — ცხელნი ცრემლნი. მეოთხე ტაეპში: სტირან, დაიწერა — ტირან.

შემდეგ სხდომას (1935, IX, 27) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე). განიხილეს და დაადგინეს 308 — 316 სტროფები.

308-ე სტროფი: თვით საჯდომსა ახლოს დამსვენს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: თვით საჯდომსა — მათ საჯდომთა; პატივი მცეს — პატივს მცემდეს. წინააღმდეგი იყო ა. ბარამიძე. მეოთხე ტაეპში: ამილბარად, გასწორდა — ამირბარად.

308¹-ე სტროფი: თავადობა ინდოთა... იწვევს კამათს. ვ. ბერიძე სტროფს ძირითადად მიიჩნევს. მისი აზრით, სტროფში გაშლილად არის წარმოდგენილი 308-ე სტროფის მეოთხე ტაეპის დასასრული, თავყვანი ვეც ამირბარად, სტილის მხრივ სტროფი ოდნავადაც არ დაიწუნებაო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ტარიელს მისცეს ამირბარობა

და „თავადობა ინდოთა და მრავალთა“ არ მიუყვითო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ენის მხრივ შეუძლებელია სტროფის ძირითადად მიჩნევად. კომისიის უმრავლესობამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე (წარმოდგენილი განცხადების თანახმად). სტროფში ცვლილებები არ შეტანილა.

308²-ე სტროფი: ავთანდილ ყურსა უპყრობდა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

308³-ე სტროფი: რაღა იგი სიცოცხლე... ჩანართად მიიღეს. პირველ ტაეპში: არა, დაიწერა — არ ა.

308⁴-ე სტროფი: კვლავ ასმათ კადრა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

308⁵-ე სტროფი: ტარიელ დენად ცრემლისა... ჩანართად მიიღეს. ცვლილებები არ შეტანილა.

308²-ე (იბ) სტროფი: ტარიელს თვალნი სისხლისა... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: სახმილი, დაიწერა — სახმილნი. მეოთხე ტაეპში: ცეცხლი, გასწორდა — ცეცხლნი.

308³-ე (ი) სტროფი: აჰა, ძმაო, რადგან... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: რადგან, დაიწერა — რათგან. მესამე ტაეპში: მწვევდეს, გასწორდა — მწვევდის. მეოთხე ტაეპში: ჭირნი, დაიწერა — ჭირი.

308⁴-ე ი0 სტროფი: ღმერთსა კაცთა სიყვარული... ჩანართად მიიღეს: პირველ ტაეპში: ღმერთსა, გასწორდა — ღვთისა. მესამე ტაეპში: წამის ყოფად, გასწორდა — წამის ყოფით. მეოთხე ტაეპში: წყალობითა, გასწორდა — წყალობანი.

308⁵-ე (ი) სტროფი: აღარა ვიცი, დამვიწყდეს... იწვევს კამათს. ვ. ბერიძე სტროფს ძირითადად მიიჩნევს. პირველ ტაეპში უნდა დარჩეს: აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელიაო. კომისიის უმრავლესობამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე. სტროფში ცვლილებები არ შეტანილა⁹⁸.

309-ე სტროფი: კვლა დაიწყო თქმა ამბისა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მოვდიოდით, გასწორდა — მოვიდოდით.

309¹-ე სტროფი: ველს გავედით სანადიროთ... ჩანართად მიიღეს. პირველ ტაეპში: სანადიროთ, გასწორდა — სანადიროდ. მეოთხე ტაეპში: ჩამოსწოულა, გასწორდა — ჩამოსწოულა.

⁹⁸ საიუბილეო გამოცემაში ეს სტროფი დაბეჭდილია ძირითადად (339). შეტანილია შესწორებები: მეორე ტაეპის ბოლოს დაწერილია გაკვირვების ნიშანი (!), მესამე ტაეპში მკნელა, გასწორებულია — გქმნელა.

310-ე სტროფი: ბაღა ვნახე უტურფესი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ფრინველთაგან, გასწორდა — მფრინველთაგან.

311-ე სტროფი: მეფემან ახემა ღურაჯთა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ახემა, დაიწერა — ახმა. მეორე ტაეპში: გამოუხევენ, გასწორდა — გამოუხევენ.

312-ე სტროფი: ვიცოდი, სწაღდა არვისგან... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გარედ, დაიწერა — გარე. მეოთხე ტაეპში: ამილბარისა, გასწორდა — ამირბარისა.

313-ე სტროფი: ასმათ ფარდაგსა აზიდნა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: გარედ, დაიწერა — გარე. მესამე ტაეპში: მივსცენ, დაიწერა — მივსცნე. მეოთხე ტაეპში გასწორდა: ვაიმე — ვამე; აქეთ — აქათ. ა. შანიძე იცავდა აქად ფორმას; დაუწვავ — დავუწვავ.

313¹-ე სტროფი: ქალი მოღვა ღურაჯთათვის... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

314-ე სტროფი: ვაი წახდეს იგი ნათელი... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ვაი წახდეს, გასწორდა — აწ წარხდეს. მეორე ტაეპში: სულთქვნა, დაიწერა — სულთქნა. მეოთხე ტაეპი: ცუდ ქნილნი, გასწორდა — ცუდ ქმნილან.

315-ე სტროფი: ასმათმან წყალი დაასხა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვაიმე, დაიწერა — ვამე.

316-ე სტროფი: მიმღონი საწუთროსანი... ძირითადად მიიღეს. წინააღმდეგი იყო ა. შანიძე. მისი აზრით, ტარიელი ამ სტროფით რეზონერი გამოდის, მაშინ როდესაც ეს მისთვის დახმახასიათებელი არ არისო. კომისიის უმრავლესობამ ეს აზრი არ გაიზიარა. პირველ ტაეპში: მიმღონი, დაიწერა — მიმნღონი. მეორე ტაეპში: მაგრამ, გასწორდა — მაგრა.

28 სექტემბრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 317 — 327 სტროფები.

317-ე სტროფი: ღურაჯნი მივსცენ, გავიღე... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მოველ, დაიწერა — მოვე.

317¹-ე სტროფი: იგი უებრო მნათობი... ჩანართად მიიღეს. გაიმართა ხელნაწერის მიხედვით.

317²-ე დეფექტური სტროფი [ჩანართად ცნეს] ამოიწერა [A 363] ხელნაწერიდან.

318-ე სტროფი: შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში გასწორდა: მოასხეს — მოასხნეს; სუნითა — სენითა. ვ. ბერიძე მოითხოვდა ტაეპის ასე მიღებას: მუყრნი მოასხნეს, აქიმი, სენით მთქვეს ბელზებელითა.

319-ე სტროფი: მე რა მნახა თვალ ახმული... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: მამეხვია — მომეხვია. მეოთხე ტაეპში: კვლავ, დაიწერა — კვლა.

320-ე სტროფი: სრულნი მუყრნი და მულიმნი... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: უშრეტად, დაიწერა — უშრეტნი.

321-ე სტროფი: აქიმნიცა იკვირვებდეს... იწვევს კამათს. ი. აბულაძე სტროფს სტილის სიახლით შეუფერებლად თვლის რუსთველისათვის და შინაარსითაც ზედმეტად მიიჩნევს, რადგან მუყრნი და მულიმნი იმ დროს მკურნალთა მაგიერნი იყვნენო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფი მასშიაც ცოტა ეჭვს იწვევს იმის გამო, რომ წინა სტროფს არ ეთანხმება. წინა სტროფში ტარიელი ამბობს, რომ სამ დღემდის უსულოდ ვიყავო; ამ სტროფში კი ნათქვამია: ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცდარი წამერიაო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი დაწერილია მაღალი შაირით. ორმარცვლოვანი რითმი რ თანხმოვანზეა დაყრდნობილი, ასე რომ ამ მხრივ სტროფს ვერ დავიწუნებთო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი თუ გამოვტოვეთ, გაუგებარი იქნება შემდეგი სტროფები, სადაც ნათქვამია, რომ „თმობა ვსთხოვე შემოქმედსა“... და „ვთქვი თუ: ღმერთო, ნუ გამწირავ“... „მომეც ძალა დათმობისა“. რის დათმობაზეა აქ საუბარი? სიყვარულის სევდისა, რომლითაც იყო შეპყრობილი ტარიელი. ეს კი ამ სტროფშია ნათქვამი: „სევდა რამე შემოყრია“. სტროფი არ ეწინააღმდეგება წინა სტროფს, სადაც ნათქვამია, რომ „სამ დღემდის ვიყავ უსულოდ“. ეს სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ უგრძნობლად, უცნობოდ ვიყავო. რითმების მხრივ სტროფი ორმარცვლოვანია და სრულიად საკმარისი. კ. ტიქინაძე აღნიშნავს, რომ სტროფის ამოღება შეუძლებელია, თუმცა უსათუოდ ერთგვარი წინააღმდეგობა 320-ე და 321-ე სტროფს შორის იგრძნობაო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ 320-ე სტროფის: „სამ დღემდის ვიყავი უსულოდ“ — ცოცხალ-მკვდარის, უცნობოს მნიშვნელობით, უნდა გავიგოთ. ამასვე ვკითხულობთ 322-ე სტროფში „სამსა დღესა დარბაზს ვიყავ, არ ცოცხალი, არცა მკვდარი... მერმე ცნობა მომივიდა“... თუ ასე გავიგებთ 321-ე სტროფის „ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცდარი წამერია“, მაშინ იგი არ მოგვეჩვენება ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ. ასეთი მდგომარეობა სიყვარულის სევდით შეპყრობილი ტარიელისათვის უჩვეულო რამედ არ უნდა მოგვეჩვენოს. სტროფი ყველა ხელნაწერშია, ვახტანგს აქვს და მის ამოღებას მხარს ვერ დავუჭერო. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ იმ ეპოქაში სული და გრძნობა ერთი და იგივე არ არის და ასეთი გაგება შეუძლებელიაო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფი უსთუოდ ჩამორჩენილი, სუსტი რითმისაა. ამასთან ზოგიერთი რამ უხერხულად

არის გაკეთებული, მაგალითად, მესამე ტაეპში — „ზოგჯერ შპაგად წამოვიჭრი“. ტაეპის პირველ ნაწილში, მეორე უნდა ყოფილიყო: სიტყვა მკდარი წამერია⁹⁹. უნდა ვიფიქროთ, რომ სტროფი დამახინჯებული იყო და შემდეგ გაუკეთებიათ. ამისდა მიუხედავად, სტროფი მაინც შეიძლება ასეთი შენიშვნით ძირითად ტექსტში დარჩესო. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. კეკელიძე. მეოთხე ტაეპში: შეიქს, გასწორდა — შეიქმს.

322-ე სტროფი: სამსა დღესა დარბაზს ვიყავ... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში: ჰაი, ჰაი, გასწორდა — ჰაი. მეოთხე ტაეპში: ვკადრე, გასწორდა — ვკადრე.

323-ე სტროფი: ვთქვი თუ ღმერთო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვითა, დაიწერა — ვითმე. მესამე ტაეპში: ყოფნა, გასწორდა — ყოფა. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში გასწორდა: ღმერთმან ქნა და მოვჯობინდი — მანვე ქმნა და მორევეჯობდი; გავიკურნე-გავაკრინე¹⁰⁰.

324-ე სტროფი: მე წამოვჯე, მეფისაგან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მამდიოდა, დაიწერა — მოვიდოდა.

325-ე სტროფი: იქით და აქათ მამისხდეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ვნახო წყალი, გასწორდა — ვნახნე წყალნი.

326-ე სტროფი: გამოვედრით, მოვიარეთ... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მიველ, გასწორდა — მივე. მეოთხე ტაეპში: არას, დაიწერა — რასლა.

326¹-ე სტროფი: ფარსადან ღმერთსა შესწირა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

327-ე სტროფი: ზაფრანის ფერად შესცვალა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: შესცვალა, გასწორდა — შეეცვალა. მესამე ტაეპში: საწოლის მეკრე იწვევს კამათს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აქ გვაქვს გარკვეული სამოხელეო ტერმინი საწოლის მეკრე. იგი „კარის გარიგებაშია“ მოხსენებულია და ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს საწოლის მეკრეს და არა ზოგიერთი ხელნაწერის — საწოლს მეკრე. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ არ გვაქვს არავითარი საფუძველი მივიღოთ საწოლის მეკრე იმის გამო, რომ „კარის გარიგებაში“ იგი მოხსენებულია. ის, რაც მე-14 საუკუნეში იხმარებოდა, მე-12 საუკუნისათვის სავალდებულოდ ვერ მივიჩნევთ. ძველმა მწერლობამ არ იცის რედუქცია და აქ უნდა დარჩეს მეკარეო. ი. აბულაძე მხარს უჭერს მეკარეს. ა. შანიძე იცავს საწოლის მეკარეს.

⁹⁹ ღნ.: წამერთვის.

¹⁰⁰ გავირკინე

იგი აღნიშნავს, რომ ძველად მეკარე იხმარებოდა შეკუმშული სახით, ისევე, როგორც მაგ., გვაქვს მეხრის, ცისკრის, ერისთავის და სხვა. კომისიის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მეკარე-ს. წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე. მესამე ტაეპში: საწოლის მეკარე, გასწორდა — საწოლს მეკარე.

შემდეგ სხდომას (1935, IX, 29) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ტიქინაძე. განიხილეს და დაადგინეს 327¹ — 336 სტროფები.

327¹-ე სტროფი: ქალი მოვიდა, იკითხა... ჩანართად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

328-ე სტროფი: მონააო ასმათისა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: ასმათისა — ასმათისი; კითხე — ჰკითხე. მეოთხე ტაეპში: მითხე — მით ხე.

328¹-ე სტროფი: წიგნი მომცა ასმათისი... ჩანართად მიიღეს. ცვლილებები არ შეტანილა.

329-ე სტროფი: მე გამიკვირდა, სით უყვარ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: უყვარ, დაიწერა — ვუყვარ. მესამე ტაეპში: გარდასწყვეტს, გასწორდა — გარდასწყვედს. მეოთხე ტაეპში გასწორდა: დავსწერე — დავწერე; მართებდა — ჰმართებდა.

330-ე სტროფი: დღენი გამიხდეს და გული... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: უქვერეტდი, გასწორდა — ვუქვერეტდი. მესამე ტაეპში: მიველ, დაიწერა — მივე. მეოთხე ტაეპის დასასრული, სოფლისა ლხინთა და ვალია, იწვევს კამათს. ი. აბულაძე იძლევა ტაეპის ასეთ წაკითხვას: „მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა დავალთა“. მისი აზრით, აქ სოფლის ლხინი და ვალი არაფერ შუაშია და თავდაპირველად აქ იყო სპარსული დავალი, რაც ნიშნავს ბედის უკუღმართობას (превратность судьбы). ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ვეფხიატყაოსანში ერთხელაც შეგვხვდა ანალოგიური გამოთქმა „იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“, მაშინ ასეთი შესწორება არ გავიზიარეთ. ახლაც უნდა დარჩეს — მაშინ დავიწყე გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ტარიელი ტირის თავის უბედობაზე. ამიტომ ლხინი არ შეიძლება აქ ყოფილიყო. რაც შეეხება ი. აბულაძის მიერ შემოტანილ კორექტივს, ჩვენ ამას მივიღებდით, რომ რაიმე დასაყრდენი ჰქონდეს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არსად ჩვენს ლიტერატურაში დავალი ასეთის გაგებით, როგორც აბულაძეს ესმის, არ გვხვდება. ამიტომ შესაძლოა აქ ასეთი წაკითხვა ყოფილიყო: საწუთროსადა ვალთა, ე. ი. საწუთროსათვის ვალთა; ასეთი ფორმა ჩვეულებრივია ძველ ქართულ ლიტერატურაში. ვ. ბერიძე იზიარებს მთლიანად ი. აბულაძის შესწორებას. მისი აზრით, ავტორს

შეეძლო ბევრი იმისთანა სიტყვა ეხმარა, რომელიც მანამდის არ იყო ხმარებული. შეიძლება ზოგმა მოქალაქეობა ვერ მოიპოვა და იმიტომ აღარ იხმარება შემდეგში, ანდა იქნებ ჩვენ ჯერ არ შეგვხვედრია და არ ვიცით. მართო იმ მოსაზრებით, რომ ძველ ქართულ ლიტერატურაში არ იხმარება, ამ შესწორებას ვერ უარვყოფთ. დავალი იმ აზრით, როგორც ეს სპარსულშია, აქ უდგება და უნდა მივიღოთო. ს. იორდანის-შვილის აზრით აქ უნდა დარჩეს— „მაშინ დავიწყე გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა“. გამოთქმა — სოფლის ლხინი და ვალი — დაახლოებით ისეთივე გამოთქმაა, როგორსაც ახლა ვიტყვით: ავ-კარგი, ტკბილი და მწარე, ლხინი და ჭირი. ამიტომ **ლ ხ ი ნ ი და ვ ა ლ ი** უნდა დარჩეს, რადგან ტარიელი მას შემდეგ სულ ვალს, ჭირს არ უხდის სოფელს, არამედ ხანდახან ლხინსაც სწვევია. შორს რომ არ წავიდეთ, აქვე 335-ე სტროფში ნათქვამია: წინაშე მოვალ, ამისთვის კვლავ უფრო მმართველს ლხინები. **კ. ჭიქინაძე** არ იზიარებს **ი. აბულაძის** შეხედულებას და მხარს უჭერს ასეთ წაკითხვას: სოფლისა ლხინთა და ვალთა. მისი აზრით, ერთხელ და სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იქნას ქართული სიტყვების ნაძალადევი ახსნა უცხო, არაბულ; სპარსულ ენებიდან, თუ არ გვინდა ისეთი კურიოზები მივიღოთ, როგორც მოუვიდა, მაგალითად, ს. კაკაბაძეს, რომლის აზრით, ვეფხისტყაოსანში ხმარებული ვირი, ჭკუას, ინტელექტს ნიშნავს. ეს იმას ჰგავს, ჩვენ რომ ვთქვათ ახლა — კაცი მოვიდა ვადაზე და ვადაზე ვინმემ რუსული სიტყვით ახსნას და თქვას — ეს ნიშნავს, კაცი მოვიდა წყალზეო. **ა. შანიძეს** სწორ წაკითხვად მიაჩნია „სოფლისა ლხინთა და ვალთა“. მისი აზრითაც, სწორია ის შეხედულება, რომ ტარიელის მთელი სიცოცხლე ჭირი არ იყო. მას შეეძლო ეთქვა დავიწყე გარდახდა სოფლის ლხინისა და ვალის. ეს ჩვეულებრივი გამოთქმაა და ამის გადაკეთება **ს ა წ უ თ რ ო ს ა და ვ ა ლ თ ა** ნაძალადევი იქნება. კომისიამ მიიღო: მაშინ დავიწყე გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა. წინააღმდეგნი იყვნენ **კ. კეკელიძე**, **ი. აბულაძე** და **ვ. ბერიძე**.

331-ე სტროფი: მათ ვერა მარგეს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: დამწამა, გასწორდა — დამწამეს.

332-ე სტროფი: ხელგახსნილი, სევდიანი... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში გასწორდა: ასმათისა — ასმათისი; უთხრა — ვუთხარ, მეოთხე ტაეპში გასწორდა: დაუზრახე — დავუზრახე; აქა — ანუ.

333-ე სტროფი: მონამან წიგნი მომართვა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გავეც, გასწორდა — ესწერდი. წინააღმდეგნი იყვნენ **ა. ბარამიძე** და **ა. შანიძე**.

334-ე სტროფი: გულსა უთხრა თუ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: უთხარ, გასწორდა — ვარქვი. მეორე ტაეპში გასწორდა:

ამილბარი ხარ — ამირბარი ვარ; გმონებენ — მმონებენ. მეოთხე ტა-
ეპში გასწორდა: შეიგნებენ — შეიგებენ; მათსა — მათთა.

335-ე სტროფი: ცაცი მოვიდა მეფისა... ძირითადად ცნეს. პირ-
ველ ტაეპში: ამბვისა, გასწორდა — ამბისა. მეორე ტაეპში: უთხარ,
დაიწერა — ვუთხარ.

336-ე სტროფი: დარბაზს მიველ მეფე ბრძანებს... [ძირითადად
მიიჩნის]. მესამე ტაეპში: ქორი მოუტევა, გასწორდა — ქორნი მოუ-
ტენა. მეოთხე ტაეპში: გაასაგნა, ყიოლიან, გასწორდა — გასაგანნა,
იტყოლიან.

შემდეგ სხდომას (1935, X, 1) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამი-
ძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხი-
ლეს და დადგინეს 337 — 343 სტროფები.

337-ე სტროფი: შინა დავსხედით ნადიმად... ძირითადად იქნა მიჩ-
ნეული. მესამე ტაეპში... გასცა მრავალნი, გასწორდა — გასცნა მრავალნი. მეოთხე ტაეპში: აუვსებელი არ დარჩა, გასწორდა, — აუვსებელ-
ნი არ დარჩნეს.

337¹-ე სტროფი: მეფემან გასცა მას დღესა... კომისიამ ჩანართად
მიიჩნია. მესამე ტაეპში: ვკრძალევი, დაიწერა — ვპკრძალევი.

338-ე სტროფი: ვეცდებოდი, არამცალდა... ძირითადად ცნეს. მე-
ოთხე ტაეპში: შევქენ, დაიწერა — შევქმენ.

339-ე სტროფი: მოლარემან შინაურმან... კომისიამ ძირითადად
მიიჩნია. მეორე ტაეპში: ინახვისმცა ამილბარი? — კომისიამ, ა. შანი-
ძის წინადადების თანახმად, მიიღო: ინახვისა ამირბარი? რადგან აქ
აზრით კითხვა უნდა გამოიხატოს და თუ ინახვისმცას დავტო-
ვებთ, ეს კითხვა არ იხატებაო. ი. აბულაძე არ იზიარებს ასეთ შეასწო-
რებას, რადგან არც ხელნაწერები და არც ვახტანგის გამოცემა ასეთ
წაკითხვას: ინახვისა — არ გვაძლევენ. მეოთხე ტაეპში, ხელნაწერებზე
დაყრდნობით, მიღებულ იქნა ვ ა რ ქ ე ი, ვუთხარის ნაცულად.

340-ე სტროფი: ავდეგ, მსხდომნი ნადიმობად... კომისიამ ძირითა-
დად მიიჩნია. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპ-
ში: ნადიმობად — ნადიმობით; ხელნაწერებისა და ვახტანგის გამოცე-
მის თანახმად, დაემზადნეს, გასწორდა — აემზადნეს¹⁰¹. მეორე ტაეპ-
ში კამათს იწვევს შ ა რ დ ი უთხარ. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს,
რომ დავით რექტორს ვახტანგის გამოცემაში ამ სიტყვისათვის
ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: შ ა რ დ ი გამრყენელთ მწერალთ აღუ-
წერიათ: შ ა რ დ ი არ უნდა, შ ა დ ი უნდა. შადი ნაქსოვსა ჰქვიან.
მითამ ნაქსოვი და სავაქრო დაებარებინა სყიდვად და იმისათ-

¹⁰¹ ღნ.: აემზადეს.

ვის გავიდა სყიდვა მინდო. თქვენ ნადიმზე მსხდომნი ნუ ადგებითო, — მაგრამ. ასეც რომ იყოს, ჩვენ შარდი უნდა დავტოვოთ, რადგან იმავე ქსოვილის სახელად ზემოთ შარდი მივიღეთ (301-ე სტროფი: სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა). ვფიქრობ, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აქ შარდი გარეთ გასვლის პირობით ტერმინდაც გავიგოთ. ამიტომ შარდი უნდა დავტოვოთ. თავის სწორებში სანადიმოდ მჭდომ ტარიელს ასეთი რამ შეიძლება ეთქვა, არაფერი უჩვეულო აქ არ არის. რაც არ უნდა იყოს, მე მხარს დავუჭერდი ვახტანგის წაკითხვას: შარდი ვუთხარო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ აქ შარდი წარყვნილია და უნდა იყოს შარდი. ასეთი რამ ჩვენს ფოლკლორში არის სამხიარულო ლექსში, რომელსაც მღერიან იმერეთში (ჩემის თანადასწრებით უმღერიათ საჩხერეში) არის ასეთი გამოთქმა: შადი უთხარ. შადი სპარსულია და ნიშნავს მხიარულებას. ამ ტაეპის აზრი ის უნდა იყოს, რომ ნადიმობიდან გარეთ გასასვლელად ამდგარი ტარიელი სთხოვს ამხანაგებს იმხიარულონ, ნუ აიშლებიან, რადგან იგი მალე დაბრუნდება. ა. შანიძე არ იზიარებს ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილ განმარტებას — შადი ვუთხარ-ის შესახებ და აღნიშნავს, რომ აქ უნდა დარჩეს: შარდი ვუთხარ — ამ გამოთქმის პირველი სიტყვა კი არაბულიდან უნდა იყოს შემოსული (შარტ-შურუტ), რაიც ნიშნავს პირობას, условие; პირობის დადებას, условиться. ამ ტაეპის აზრი ასეთი გაგებით უნდა იყოს, რომ ტარიელმა პირობა მისცა (შეჰპირდა) ნუ ადგებით, მალე მოვალო. ა. ბარამიძე მთლიანად იზიარებს ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილ წაკითხვას (შადი ვუთხარ) და განმარტებას „იმხიარულეთ, ნუ ასდგებით“ და თავის მხრივ დასძენს, რომ სპარსულ პოეზიაში ჩვეულებრივია შად — სიმხიარულის აღსანიშნავად. მაგალითად: ერთი სამანიღელი პოეტი პირდაპირ ამბობს: „შად ბაშ, შადზი“. კენჭის ყრით მიღებულ იქნა: შადი უთხარ. წინააღმდეგი იყვნენ ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი. ხელნაწერზე დაყრდნობით მესამე ტაეპში გასწორდა: გამოველ — შევე; მიდგა — დადგა. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს: გული მივეც თმობა ქნათა. ა. შანიძე შენიშნავს, რომ აქ სწორი იქნებოდა აზრის მხრივ, რომ ყოფილიყო: გული მივეც თმობათ ქმნასა, ე. ი. თმობათა ქმნას, ამ სახით კი თმობა ქმნათა გაუგებარიყო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ „თმობა ქმნათა“ აღნიშნავს მოთმინებას და „თმობათ ქმნასა“ ვერ მივიღებთ, რადგან ხელნაწერები ამას მხარს არ უჭერენო. კ. კეკელიძე მხარს უჭერს „თმობა ქმნათას“ დატოვებას, როგორც უმრავლეს ხელნაწერშია და როგორც ეს აქვს ვახტანგს დაბეჭდილი. წინადადებას იძლევა მხოლოდ „თმობა ქმნათა“ დაიწეროს დეფისით.

კომისიამ მიიღო ეს უკანასკნელი წაკითხვა და დაწერილობა: თმობა-
-ქმნათა.

341-ე სტროფი: კარსა შევდეგ... კომისიამ ძირითადად მიიჩნია ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა — პირველ ტაეპში: მამეგება — მომეგება; თაყვანი მცა — თაყვანისმცა. მეორე ტაეპში ი. აბულაძეს შემოაქვს შესწორება კ უ რ თ ხ ე უ ლ ა ს ნაცვლად მივიღოთ: კურ-
თხეულ არს. კომისიამ წინადადება გაიზიარა, რომელსაც მხარს უჭერს ხელნაწერებიც. მეოთხე ტაეპში: იკოდეს, გასწორდა — იკოდა.

341-ე სტროფი: შეველ, დავჯე ტახტსა ზედა... იწვეეს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი ყალბი უნდა იყოს. 341-ე სტროფში ნათქვამია, რომ ტარიელი კარს რომ შევიდა, ქალი წინ მი-
ეგება და თაყვანისცა. აქ ამ სტროფით ხელახლა იწყება შეველ და „ქალი მოდგა ნოხთა პირსა“. სრულიად ზედმეტია და მიუღებელი ასე-
თი გამეორება. ამას გარდა, სრულიად წარმოუდგენელია ზრდილი რა-
ინდის მხრივ ისეთი მოპყრობა ქალისადმი, როგორც ამ სტროფშია წარმოდგენილი: „ვარქვი მანდა რად ზი, შენ თუ სიყვარული ჩემი გკირსა?“ ყოვლად შეუძლებელია ტარიელი ასე უტაქტოდ მოპყრო-
ბოდა ქალს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი ატარებს აშკარა ნიშნებს ყალბისმქნელისას, რომ იგი ენის მხრივ მიუღებელია. ა. შა-
ნიძეს სტროფი მიაჩნია შინაარსეულად წინა ძირითადი სტროფის გა-
მეორებად. იგი აღნიშნავს, რომ სტროფში არაფერია ისეთი, რომ ახალს რასმე უმატებდეს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ვერც ის დაუჭერს მხარს სტროფის ძირითადობას უკვე აქ აღნიშნული ნიშ-
ნების გამო. ამასთან, იგი არც ვახტანგის გამოცემაშია შეტანილი და აზრის თანამიმდევრობას არ ესაჭიროებაო. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი აუცილებლად საჭიროა და თქმა იმისა, რომ იგი ნაწი-
ლობრივ გამეორებაა წინა სტროფის და ამიტომ ამოღებული უნდა იქნესო — შეუძლებელია, რადგან ამგვარი ნაწილობრივი გამეორება არა ერთხელ შეგვხვდა ძირითად ტექსტში და ამ მიზეზით სტროფი არ ამოგვიღია. ამ სტროფზე დამოკიდებულია მომდევნო სტროფის სიტყვები „გგონია ჩემგან წინაშე მაგისტვის მომავალობა“. საქმე ის არის, რომ ტარიელს გონია, რომ ქალი მოვიდა სააშიკოდ, ამიტომ როდესაც ქალი ახლო არ დაუჯდა, ის ეუბნება: მან რად ჰზი, თუ ჩემი სიყვარული გკირსო. ამის შემდეგ ბუნებრივია ქალის პასუხი „გგონია ჩემგან წინაშე მაგისტვის მომავალობა“. სტროფი არის ყველა ხელნა-
წერში და მე გამოვთქვამ უდიდეს გაოცებას, რომ თქვენ ამ სტროფის შინაარსს ვერა ზედავთო. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ქალი მივიდა და ეს იყო მის მხრივ უკვე კადნიერება. 342-ე სტროფში კი ქალი უცხადებს, რომ იგი სატრფიალოდ არ არის მოსული. ამ მხრივ ბუ-

ნებრივი გადასვლაა შემდეგ სტროფზედაც, სადაც არის მისვლის მიზეზი გაცხადებული. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფში მართლაც არის ისეთი ადგილები, რომლებიც აფიქრებინებს კაცს, რომ სტროფი დაკავშირებულია მომდევნო სტროფებთან. ერთი ასეთი ადგილია ამ სტროფის მეორე ტაეპში: „ვარქი მანდა რად ჰზი, შენ თუ სიყვარული ჩემი გჭირსა?“ თითქოს ამის პასუხი უნდა იყოს 342-ე სტროფის—გგონია, ჩემგან წინაშე მაგისტვის მომავლობა. ქალის ეს პასუხი თითქოს გულისხმობს ტარიელის ზემომოყვანილ სიტყვებს. მეორე ადგილი: 343-ე სტროფი ასე იწყება: ადგა, მითხრა. ეს ქალზეა ნათქვამი და სხვა ძირითად სტროფებიდან არა ჩანს, რომ ქალი მჯდარი იყოს, ეს არის მხოლოდ ამ სტროფში. ტარიელი მიმართავს: მანდა რად ჰზი. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც სტროფის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. ამ სტროფის მეოთხე ტაეპში ვკითხულობთ: მან პასუხი არა მითხრა. მომდევნო სტროფში კი ნათქვამია: ადგა მითხრა. ეს კი სრული წინააღმდეგობაა. ამას გარდა, სტროფში ფორმებიც არ არის სწორი და ის უნდა წარმოადგენდეს ყალბის ჩამდენის ცდას, რომ დაეკავშირებინა ძირითად სტროფებთან. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ „მან პასუხი არა მითხრა, ჩემთვის გვანდა სიტყვა ძვირსა“ — ნათქვამია იმის გამო, რომ გამოიხატოს ასმათის შეძრწუნება. ეს კი მოხდა იმის გამო, რომ მისთვის მოულოდნელი იყო ტარიელის ექვის მიტანა მის (ასმათის) მისდამი (ტარიელისადმი) სიყვარულზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასმათი შედგა, უცებ პასუხი ვერ გასცა. აქ წინააღმდეგობა არ არის. კენჭის ყრით სტროფი ჩანართად იქნა მიჩნეული. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

342-ე სტროფი: მითხრა, დღე ესე სირცხვილად... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა: დღე ესე — დღე ეგე. მეოთხე ტაეპში: მაგას თუ ღირსვარ — ამას თუ ღირს ვარ.

343-ე სტროფი: ადგა მითხრა... იწვევს კამათს. ი. აბულაძეს შემოაქვს შესწორება ვახტანგის მიერ მოცემულ წაკითხვაში: ადგა მითხრა თქვენსა მკრძალსა ჩემგან ცნობა უბნევია. ეს ტაეპი ასე უნდა შესწორდეს: ადგა მითხრა: თქვენს კრძალვასა ჩემგან ცნობა უბნევია. ე. ი. თქვენის კრძალვისაგან მე ცნობა დამებნაო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აქ შესაძლოა „თქვენსა მკრძალსა“ უფრო მართებული იყოს, რადგან ასმათი ამ სიტყვებით ნესტანს უნდა გულისხმობდეს. ამიტომ მე ვახტანგის წაკითხვას დაუქერდი მხარსო. კომისიამ, ხელნაწერების უმრავლესობაზე დაყრდნობით, მიიღო: თქვენს კრძალვასა. შემდეგ კამათს იწვევს მეორე და მეოთხე ტაეპების სართომო სიტყვა უთქმევია. კ. ჭიჭინაძე იძლევა წინადადებას, რომ მეო-

რე ტაეპში მივიღოთ დ. კარიჭაშვილის შესწორება „ბრძანებასა უქნევია“, ბრძანებას უქნევანების გაგებით. ა. შანიძე მხარს უჭერს ასეთ შესწორებას და აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ხმარებული „რას ვაქნევ“ რას ვაქნევენების აზრით რომ იხმარება, ასეთ შესწორებას არ ეწინააღმდეგება და შეიძლება მივიღოთ. დ. კარიჭაშვილის შესწორება კომისიის უმრავლესობამ არ გაიზიარა. მისი მომხრენი იყვნენ კ. ჭიჭინაძე და ა. შანიძე. ს. კეკელიძეს შემოაქვს წინადადება, რომ მეოთხე ტაეპის უთქმევია გავიგოთ, როგორც უთქმელია და ასე შევასწოროთ: ჩემთვის რაცა უთქმევია. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ერთი და იმავე აზრის შემცველი სიტყვები იშვიათად, მაგრამ სარიტმოდ სიტყვებად შოთას აქვს სხვაგანაც ძირითად ტექსტში ნახმარი და არა უშავს რა, რომ აქაც უთქმევია — უთქმევენიების აზრით გავიგოთ და დავტოვოთ: ჩემთვის ვისცა უთქმევია — ვისაც უთქმევენიებია. აქ „ვისაც“ საჭირო უნდა იყოს, რადგან ნესტანს გულისხმობს. ა. შანიძემ არ გაიზიარა კ. კეკელიძის შესწორება: უთქმელის აზრით უთქმევიას ვერ იხმარდა დამწერო. კომისიამ მიიღო კ. კეკელიძის წაკითხვა: ჩემთვის რაცა უთქმევია. წინააღმდეგი იყვნენ ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი. ხელნაწერებზე დაყრდნობით მეოთხე ტაეპშივე: გამამართლოს, გასწორდა — გაგაგონოს. [სტროფი ძირითადად მიიჩნიეს]. ა. შანიძე მხარს უჭერდა სტროფის ჩანართად ცნობას, როგორც სტილის მხრივ არა რუსთველურს და ძალიან ნაწვალებს.

2 ოქტომბრის სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 343¹ — 354 სტროფები.

343¹-ე სტროფი: მიბრძანა, მითხრა ამბავი... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

343²-ე სტროფი: გამიკვირდა, შემეზარნეს... ჩანართად მიიღეს. მეორე ტაეპში: ეგ, გასწორდა — იგ.

344-ე სტროფი: წიგნი ვნახე, მისი იყო... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: დაირჩენ, დაიწერა — დაიჩნევ.

344¹-ე სტროფი: ამათ ღვაპს ჩემთვის... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: ღვაპს, გასწორდა — ღვა. მეორე ტაეპში გასწორდა: მე ძოღან — თქვა: ძოღან; ვკითხვად — ვპკითხ, ავად.

345-ე სტროფი: ბედითი ბნელა, სიკვდილი... [ძირითადად მიიჩნიეს]. მეორე ტაეპში: უჩვენო, გასწორდა — უჩვენნე. მესამე ტაეპში: მოხარჯენია, გასწორდა — სახარაჯონია. მეოთხე ტაეპში: მათი ჯავრი, გასწორდა — მათნი ჯავრნი.

345¹-ე სტროფი: ზედ მოსდგომია ასმათი... და 345²-ე სტროფი: მასა შეხვდების აჯილა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

346-ე სტროფი: შენგან ჩემისა ქრმოზისა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ქრმოზისა, დაიწერა — ქმროზისა. მესამე ტაეპში: ხელ ქნილსა, გასწორდა — ხელქმნილსა. მეოთხე ტაეპში გასწორდა: მე აქა — მანდა; ყველა — ყველაი.

346¹-ე სტროფი: ამა ამბისა მოსმენა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა. ა. შანიძე შენიშნავს, რომ ეს სტროფი ი. ტფილელს მიეწერება.

347-ე სტროფი: მართლად გითხრობ, მომისმინე... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მართლად-ის ნაცვლად ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი მოითხოვდნენ მართლა. მესამე ტაეპში: კვლადცა, გასწორდა — კვლამცა.

347¹-ე სტროფი: ასმათი მეუბნებოდა უშიშრად... იწვევს კამათს. ი. აბულაძე სტროფში ნაძალადეგ ფორმებს აღნიშნავს და ჩანართად მიიჩნევს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი გარკვეულ წინააღმდეგობაშია 343-ე სტროფთან. იქ ჩვენ გვქონდა, რომ ასმათმა უთხრა: „თქვენს კრძალვასა ჩემგან ცნობა უზნევია“, აქ კი სტროფი ასე იწყება: ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდაო. სტროფი ჩანართად უნდა იქნეს ცნობილიო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს სტროფი, სიუჟეტურად იგი საჭირო არ არის და ჩანართად უნდა იქნეს ცნობილი. გული მიდამო მიარდა — არ არის რუსთველური გამოთქმაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ, მართალია, ერთის შეხედვით ამ სტროფს თითქოს არა აქვს თვალსაჩინო კავშირი ტარიელის წიგნთან, მაგრამ, როგორც ერთგვარი გადასვლა, სტროფი საჭიროა. ამასთან ეს სტროფი, საფიქრებელია, ნაწილობრივ დამაზინებელია. უეჭველად რუსთველურია „გული მიდამო მიარდა“. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფს ზოგიერთი შეუსაბამობა უეჭველად ახლავს. ტაეპში: გული მიდამო მიარდა, კრთებოდა და მეღალღოდა — უკანასკნელი სიტყვა გაუგებარია. ლალვა ძველ ქართულში ნიშნავს ჩხუბს, სიტყვიერ დატაკებას. აქ ეს მნიშვნელობა არ უნდა უდგებოდეს. ამასთან, მეოთხე ტაეპში ზმნები სხვადასხვა დროშია დასმული: პირი ჩემი გაბროლდა — აორისტშია; დაწვი გამეღალდა კი — კავშირები არაა. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

348-ე სტროფი: თვალთა დავიდეგ უსტარი..., 349-ე სტროფი: ასმათს ვუთხარ მე პასუხსა... და 350-ე სტროფი: ასმათ მითხრა, მე მიბრძანა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

351-ე სტროფი: მეკეთა ესე თათბირი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ვისგან, გასწორდა — მისგან. მეოთხე ტაეპში: გვანდის ნათელი, გასწორდა — ჰგვანდის სინათლე.

352-ე სტროფი: ასმათს მივართვი რჩეული... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

353-ე სტროფი: ქალი ადგა, წამოვიდა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში გასწორდა: გამინათლა — განმინათლა; ცეცხლი — ცეცხლნი. მესამე ტაეპში: ჩემი, გასწორდა — ჩემნი. მეოთხე ტაეპში: ზემი — ზამი.

353¹-ე სტროფი: კაცნი იხმო გასაგზავნად... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

354-ე სტროფი: გავგზავნე კაცი ხატეთს... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ჩემავიერი, გასწორდა — ჩემმავიერი; წინააღმდეგი იყო კ. კეკელიძე. მეორე ტაეპში გასწორდა: შეესთვალე — მივსწერე; მღრთულე — ღმრთულე. მესამე ტაეპში გასწორდა: მოკვდების — იქნების; მადრიელი — მადლიერი.

მეორე დღის სხლომას (1935, X, 3) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 355 — 367 სტროფები.

355-ე სტროფი: ჩვენო ძმანო და პატრონო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ჩვენო ძმანო, გასწორდა — ჩვენო ძმაო; ვ. ბერიძე და ა. ბარამიძე მხარს უჭერდნენ: „პატრონოს“ ნაცვლად — მოყვასნო... მეორე ტაეპში: გვნახოთ თავისა სისხლით, გასწორდა — გვნახნე თავისა სისხლითა.

356-ე სტროფი: კაცნი გავგზავნე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: კაცი გავგზავნე, გასწორდა — კაცნი გავგზავნენ; კ. ჭიჭინაძე მოითხოვდა მესამე ტაეპის ასეთ წაკითხვას: მაშინ სოფელმან, საწუთრომ, მიუხვის, რაცა ვინები. ვ. ბერიძეს ასეთი წაკითხვა მიუღებლად მიაჩნია და მოითხოვს დატოვებულ იქნას არსებული წაკითხვა: მაშინ სოფელმან საწუთრო მიუხვის, რაცა ვინები, — რაც ნიშნავს: საწუთრო სოფელმან მიუხვის, რაცა ვინები¹⁰². კომისიამ ეს უკანასკნელი აზრი გაიზიარა.

357-ე სტროფი: პირველ გაჭრისა პირება... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დასწყნარდეს, გასწორდა — დაწყნარდეს. მეორე ტაეპში „ჩემს წინა“-ს მიღების წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ა. ბარამიძე და ა. შანიძე, მოითხოვდნენ: ჩემ წინა. მეოთხე ტაეპში: მით შემიცვიან, გასწორდა — ზოგჯერ შემცვიან.

358-ე სტროფი: დღესა ერთსა საწოლს მოველ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში გასწორდა: მოველ — მოვე; მეფის სრითა —

¹⁰² დნ.: ვანებო.

მეფისა სრით. მეოთხე ტაეპში გასწორდა: კარის მცველმან — კარსა მცველმან; მონა იხმო — მონა უხმო.

359-ე სტროფი: მონააო ასმათისა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: ასმათისა — ასმათისი; უთხარ — ვუთხარ. მეორე ტაეპში: მესო — მესვა. მესამე ტაეპში გასწორდა: გამინათლა — განმინათლა, ამიფოლხვდა — ამიფოლხვა.

360-ე სტროფი: ბალჩას შეველ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ბალჩას შეველ — ბალჩა შეველე. მეოთხე ტაეპში: უფრქვენელი და დაუშქენარი — უფრქვენელი და დაუშქნარი.

361-ე სტროფი: ამიგლო ქალმან ფარდაგი... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: ბალახშითა, გასწორდა — ბადახშითა.

362-ე სტროფი: დიდხან ვდეგ და არა მითხრა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვითამც რამე, გასწორდა — ვითამცა რა. მესამე ტაეპში: ასმათს უხმო, გასწორდა — ასმათ უხმო.

363-ე სტროფი: ასმათ გამოძყვა, წამოველ... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: ძოლან, დაიწერა — წელან. მეოთხე ტაეპში: დაიტყარე, გასწორდა — დამიტყარე.

364-ე სტროფი: ასმათ ლხინსა მიქადებდა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში გასწორდა: ერლო დახშევ — ერლო დახაშ; წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე.

365-ე სტროფი: მე ვუთხარ დაო... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: ამბვითა, გასწორდა — ამბითა. მესამე ტაეპში: გასწყვეტ, დაიწერა — გასწყვედ.

366-ე სტროფი: შევქე, წამოველ, მდიოდა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

367-ე სტროფი: ხატაეთს მყოფნი მოვიდეს... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მათის მოსვლისა, გასწორდა — მათგან მოსვლისა.

1935 წ. 4 ოქტომბრის სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ზ. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 368 — 381³ სტროფები.

368-ე სტროფი: მოეწერა, რამაზ მეფე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ტარიელსა, დაიწერა — ტარიერსა, ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ორი რ-აე არ შეიძლება, დისიმილაცია მოხდება, მაგრამ აქ შეიძლება გამონაკლისის სახით რითმისათვის დაუშვათო. მეორე ტაეპში: პატრონობს, გასწორდა — ვჰპატრონობ. მეოთხე ტაეპში: ვნახავ, დაიწერა — ვჰნახავ.

369-ე სტროფი: უბრძანე წვევა ლაშქართა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: უბრძანე, დაიწერა — ვუბრძანე. მესამე ტაეპში გასწორდა: ახლოს — ახლოთ; ჩვენკენ — ჩემკენ.

370-ე სტროფი: ფიცხლად მოვიდეს... და 371-ე სტროფი: ავმართე დროშა მეფისა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

372-ე სტროფი: შინა მოველ, დაღრეჯილსა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მოველ, დაიწერა — მოვე. მეორე ტაეპში: თვალთა, გასწორდა — თვალთათ. მეოთხე ტაეპში: რადგან, დაიწერა — რათგან.

372¹-ე სტროფი: შინა მოველ სევდიანი... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: მადლი, გასწორდა — მადლსა. მეოთხე ტაეპში: ვსთხოვე, გასწორდა — ვსთხოვო; წინააღმდეგი იყო ა. ბარამიძე.

373-ე სტროფი: მონა შემოდგა, მივეცი... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: ვნებულსა, გასწორდა — ვებულსა.

373¹-ე სტროფი: მიამა, უფრო გავხელდი... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში გასწორდა: შევეკადრე — შევეკადრე; ვიაჯი — ვიაჯე.

374-ე სტროფი: ვით მმართვებდა, ეგზომი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ვით, დაიწერა — ვითა. მეორე ტაეპში: წაველ, დაიწერა — წავე.

375-ე სტროფი: შემავლო სახლი ნაგები... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: საკვირველი, გასწორდა — საკრძალავი.

376-ე სტროფი: შეველ, წავდეგ ნოხთა პირსა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: შუქთა, გასწორდა — შუქსა. მეოთხე ტაეპში: აიხედნის, გასწორდა — აიხედის.

377-ე სტროფი: უბრძანა თუ მოახსენე... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ამილბარსა, გასწორდა — ამირბარსა.

378-ე სტროფი: მიბრძანა, ძოდან გეწყინა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დაგაჰქნევ, გასწორდა — დაგაჰქნე. მეოთხე ტაეპში: ამილბარისა, დაიწერა — ამირბარისა.

379-ე სტროფი: თუმცა მართებს დედაკაცსა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: თუმცა — თუცა; მამაკაცის — მამაცისა; წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე, ვ. ბურიძე, კ. ჭიჭინაძე.

380-ე სტროფი: ერთმანერთისა მას აქათ... ძირითადად მიიღეს. კამათს იწვევს მესამე ტაეპში: ამას შევსჯერდი დიდითა ზენართა და ფიცითა. კ. ჭიჭინაძე აღგენს ასეთ წაკითხვას: ამას შესჯერდი დიდითა ზენართა და ფიცითა. ამ სიტყვებს ეუბნება ნესტანი ტარიელს და უნდა იყოს შე ს ჯ ე რ დ ი, ე. ი. თავი დააჯერე, დაერწმუნე ჩემ ფიცსაო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ეს შესწორება მისაღებიაო. კ. კეკელიძე შესწორებას არ იზიარებს და ააზრიანებს ხელნაწერებში წარმოდგენილ წაკითხვას: ამას შევსჯერდი დიდითა ზენართა და ფიცითა — ნესტანი ეუბნება ტარიელს: ამას იქით საშენოდ მიცოდეთ, ე. ი. შენად

მიგულებდნენ, მე ამაში ჩემი თავი დავარწმუნე ფიცით, და თუ გეცრუო, ღმერთამან მიწა მქნასო. კომისიამ ეს აზრი გაიზიარა. წინააღმდეგნი იყვნენ ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში: გიტყუო, გასწორდა — გეცრუო.

381-ე სტროფი: წა, შეები ხატაელთა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გაგემარჯოს, გასწორდა — გაგიმარჯვდეს; წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე და ა. შანიძე. მეოთხე ტაეპში: გულსათვის, გასწორდა — გაუყრელად.

381¹-ე სტროფი: მოვახსენე არ მეწყალვის... იწყვეს კამათს. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ სტროფი ავსებს ერთგვარ ხარვეზს. ამ სტროფში ტარიელი უპასუხებს ნესტანს, რომ აწ შევებმები ხატაელთაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს ისეთი სტროფთაგანია, რომელიც აშკარად ამტკიცებს, რომ ვახტანგის გამოცემაში ხარვეზები მოიპოვება. სტროფი უეჭველად ძირითადია, როგორც გარკვეული პასუხი ტარიელისა. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი არ არის აუცილებელი, რადგან ტარიელი ნესტანს უპასუხებს: აწ რასაცა მე მალირსებ ზორციელი არა ღირს ა. უმთავრესი აქ ეს არის და ჩემის შენედულებით არ არის საჭირო, რომ ტარიელმა უთხრას: აწ შევება ხატაელთაო. საერთოდ ხატაელთა ამბავი ამ შემთხვევაში (მიჯნურობის ფიცი) მეორე ხარისხოვანია. ვ. ბერიძე არ ეთანხმება ა. ბარამიძეს იმაში, თითქოს ხატაელთა ამბავი იყოს მეორე ხარისხოვანი. ნესტანი პირდაპირ ეუბნება: ღმერთმან ჰქმნას და გაგიმარჯვდეს, მორკმულიმცა ჩემ კერძ ირე... ნესტანი საზოგადოებრივ ხასიათს დავალებას აძლევს და, ცხადია, ტარიელმაც უნდა უპასუხოს, რომ ამ დავალებას აასრულებს (აწ შევება ხატაელთა). სტროფი ძირითადად უნდა იქნას ცნობილი. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ა. ბარამიძე¹⁰³. მეორე ტაეპში: რადგან, დაიწერა — რათგან. მეოთხე ტაეპში: გამოვსჩნდე, გასწორდა — გამოვჩნდე.

381²-ე სტროფი: მიბრძანეთ, მიხმეთ, გიახელ... და 381³-ე სტროფი: ხატაელმან წიგნი მკადრა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

შემდეგ სხდომას (1935, X, 5) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 382 — 399¹ სტროფები...

382-ე სტროფი: აწ რასაცა მე მალირსებ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: არვინ, გასწორდა — არა. მეორე ტაეპში: არ მიკვირსა, გასწორდა — არა მკვირსა.

¹⁰³ შემდეგში ა. ბარამიძემ თავისი მოსაზრება წერილობით დაასაბუთა და წარუდგინა კომისიას.

383-ე სტროფი: ზედა წიგნსა საფიკარსა... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: ვწვრთნიცა, გასწორდა — ვსწვრთიცა.

384-ე სტროფი: დავყავ ხანი მას წინაშე... და 385-ე სტროფი: მეძნელებოდა ზიშორე მისი... ძირითადად მიიღეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

386-ე სტროფი: დილსა შევკვე, უბრძანე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: უბრძანე, გასწორდა — ვუბრძანე. მეორე ტაეპში: სრულად სპათასა, გასწორდა — სრულთა სპათასა; შესხლომასა, გასწორდა შესასხლომლად.

386¹-ე სტროფი: მათ ლაშქართა სიმრავლითა... ჩანართად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: თქემითა, გასწორდა — თქმითა.

387-ე სტროფი: დავაგდე მზღვარი ინდოთა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

388-ე სტროფი: მე შემამძღვენს რამაზისგან... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: ამოგვწყვეტ, გასწორდა — ამოგვწყვედ.

389-ე სტროფი: რაცა შეგვცოდეთ, შეგვინდეთ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შეგვინდეთ, გასწორდა — შეგვინდე. მეორე ტაეპში: მღრთულად შეგვიწყალებდეთ, გასწორდა — მღრთულებრ შეგვიწყალებდე. მესამე ტაეპში: ასწყდეს, გასწორდა — აწყდეს. მეოთხე ტაეპში: მოგყვენ, გასწორდა — მოგყვენენ.

390-ე სტროფი: გვერდსა დავისხენ ვაზირნი... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში ი. აბულაძე მხარს უჭერდა — გვერდსა-ს ნაცვლად — გვერცა ფორმას, მეოთხე ტაეპში: მოგკლან, გასწორდა — მოგკლეს.

391-ე სტროფი: ჩვენ ამას ვარჩევთ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: წახვიდეთ, გასწორდა — წახვიდე; ი. აბულაძე და კ. კიკინაძე მხარს უჭერდნენ წავვიდეთ ფორმას. მეორე ტაეპში: გეკიდნეს, გასწორდა — გეკიდნენ. მესამე ტაეპში გასწორდა: იყვნეს — იყვენენ; მიენდეგ — მიენდე.

392-ე სტროფი: მეკეთა ესე თათბირი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვსცან, გასწორდა — ვცან. მეოთხე ტაეპში: წამოვალ ცოტათა, გასწორდა — ცოტათა წამოვალ.

393-ე სტროფი: მათ ლაშქართაგან სამასი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: წაცაველ, დაიწერა — წაცავე¹⁰⁴. მეოთხე ტაეპში: გიხმობს, გასწორდა — გიხმობ; ამავე ტაეპში კომისიის მიერ მიღებულ მიშველდით ფორმის წინააღმდეგნი იყვენენ ი. აბულაძე და კ. კი-

¹⁰⁴ დნ.: წაცეე.

ვინაძე. აღნიშნულის ნაცვლად ისინი მოითხოვდნენ მიშველეთ ფორმის მიღებას.

394-ე სტროფი: სამ დღე ვიარე, მემთხვია... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ცნა კვლავ, გასწორდა — სცნა შენ.

395-ე სტროფი: კვლაცა ეთქვა, მართალია... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვნახოთ, გასწორდა — ვნახნეთ.

396-ე სტროფი: მუნით წასული გარდავხე... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: გარდავხე, გასწორდა — ჩამოვხე. მეორე ტაეპში: მას ღამე, გასწორდა — სალამად. მეოთხე ტაეპში: თქვენსა, გასწორდა — შენსა.

396¹-ე სტროფი: კვლაცა ეცნა მოციქულთა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

396²-ე სტროფი: გაგვეხარდეს ესე თქმანი... ჩანართად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: გაგვეხარდეს, გასწორდა — გაგვეხარდეს.

397-ე სტროფი: მითხრეს მეფე მოგახსენებს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მზირები, გასწორდა — მაზრები.

398-ე სტროფი: კარგი საქმე კაცსა ზედა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

399-ესტროფი: მე მამისა თქვენისაგან... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გამოვარდი, გასწორდა — გამოვვარდი. მეოთხე ტაეპში: ყველაკასა, გასწორდა — ყველასავე; ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ ყველაკასა ფორმას.

399¹-ე სტროფი: შემიგნია, იგი კაცი... და 399¹-ე სტროფი: ეს ვინმე კაცი... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, X, 7) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 400 — 421 სტროფები.

მე-400 სტროფი: რომე ცუდად არ მოლორდე... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

401-ე სტროფი: მეფე ცოტად მოგეგებვის... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ცოტად, გასწორდა — ცოტათ. მეორე ტაეპში ი. აბულაძე წინააღმდეგია კომისიის მიერ მიღებულ მით გეთნევიან-ის და მოითხოვს მიღებულ იქნას ვახტანგის გამოცემაში დაცული წაკითხვა: ვით გეთნევიან. მეოთხე ტაეპში: ერთსა გცემდეს, გასწორდა — რათსა გცემდენ.

402-ე სტროფი: მას კაცსა ამოდ ვეუბენ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

402¹-ე სტროფი: მას კაცსა ღია უმუქფე... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

403-ე სტროფი: არვის გავანდევ სულდგმულსა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: გავანდევ, გასწორდა — გავენდევ. მესამე ტაეპში: გზა თუცა, გასწორდა — თუ გზაცა.

404-ე სტროფი: მე დილასა მოციქულთა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ხვალე, დაიწერა — მალე. მეოთხე ტაეპში: დავემალე, გასწორდა — დავიმალე.

405-ე სტროფი: ქედსა რასმე გარდავადე... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მას მოუდგამს ჩემთვის მახე, გასწორდა — ჩემთვის უდგამს თუცა მახე. მეოთხე ტაეპში: უთხარ... დაუსახე, გასწორდა — ვუთხარ... დავუსახე.

406-ე სტროფი: ვთქვი თუ ძმანო... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპი მიღებულ იქნა მეოთხედ და მეოთხე — მესამედ. მესამე ტაეპში: ხრმალი, გასწორდა — ხმალნი.

407-ე სტროფი: უბრძანე ჩაცმა აბჯრისა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: უბრძანე, გასწორდა — ვუბრძანე. მეორე ტაეპში ჯაკვეთა, ჯავშან ქაფითა, გასწორდა — ჯაკვე-ჯავშანითა, ქაფითა. მესამე ტაეპში გასწორდა: მივმართე — მივპმართე; წაველ — წავე.

408-ე სტროფი: მივეახლენით, შეგვატყეს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ტანთა, დაიწერა — ტანსა.

409-ე სტროფი: შევსთვალე თუ მეცა ვიცო... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში: აწ მოდით, და, გასწორდა — ბრძანეთ: მოდით.

410-ე სტროფი: რა მოვიდა მოციქული... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ლაშქართაგან, გასწორდა — ლაშქართათვის.

411-ე სტროფი: შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: ურიცხვთა, გასწორდა — ურიცხვი.

412-ე სტროფი: ახლოს მიველ, შემომხედეს... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

413-ე სტროფი: შიგან ასრე გავერიე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: გავერიე — გავერივე, გლონის — ვნოლის. მეოთხე ტაეპში: ამოვწყვიტე, გასწორდა — ამოვწყვიდე.

414-ე სტროფი: ერთობილნი მომეხვიენეს... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: მჩქეფრად, გასწორდა — მჩქეფრსა.

415-ე სტროფი: საღამო ეამს დაიზახა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ეამს, დაიწერა — ეამ. მეორე ტაეპში: ნულარ სდგახართ, გასწორდა — ნულარა სდგათ; წავედითო, დაიწერა — წაედითო. მეოთხე ტაეპში: ამოგვწყვიტნეს, გასწორდა — ამოგვწყვიდნეს.

416-ე სტროფი: ჩემნი ლაშქარნი, რომელნი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: რა ეცნათ, გასწორდა — რა ეცნა; წინააღმდეგი

იყო ი. აბულაძე. მისი აზრით, რადგან აქ არ არის ქვემდებარე და იგულისხმება ლაშქართა, ამიტომ უნდა: რა ეცნათ, წამოსულიყვნეს.

417-ე სტროფი: იგი ნახეს, გასაქცევლად... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გავეხრლმენით, გასწორდა — გავეხრმლენით.

418-ე სტროფი: უკანანიცა ლაშქარნი... ძირითადად მიიღეს. მე-სამე ტაეპში: სანაცლო, გასწორდა — ნაცვალი.

419-ე სტროფი: მას ადგილსა ნომარსა... ძირითადად ცნეს. მე-ოთხე ტაეპში: ქებისაცა, გასწორდა — ქებასაცა.

420-ე სტროფი: ერთსა კაცსა ეყოფოდეს... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

421-ე სტროფი: გავგზავნე ყოლგნით ლაშქარნი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გავგზავნე, გასწორდა — გავგზავნენ. მეორე ტაეპში: თავი ვალაღებინე, გასწორდა — თავიცა ვალაღებინე; წინა-აღმდეგი იყო ი. აბულაძე. მისი აზრით, აქ უნდა დარჩეს ა ლ ა ღ ე ბ ი - დ ა ნ წარმოებული ვ ა ა ლ ა ღ ე ბ ი ნ ე. „როსტომიანში“ ალაღება ხშირად იხმარება, აქაც ასევე უნდა დარჩეს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ფორმა ვალაღებინე. გვაქვს სიტყვა ლალი და აქედან უნდა მიღებულ იქნას სწორი წარმოება: თავიცა ვალაღებინე.

შემდეგ სხდომაზე (1935, X, 8, ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე), განიხილეს და დაადგინეს 422 — 433 სტროფები.

422-ე სტროფი: რამაზს ვარქვი, შემიგნია... ძირითადად ცნეს. პირველი ტაეპის დაბოლოების ს ა მ უ ხ თ ა ლ ე წაკითხვას კ. კეკელიძე და ა. შანიძე ასე მოითხოვდნენ: შემიგნია საქმე შენი, ს ი მ უ ხ თ ა ლ ე. კომისიის უმრავლესობამ დატოვა: შემიგნია საქმე შენი სამუხთაღე.

423-ე სტროფი: რამაზ მითხრა, აღარაა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: აღარაა, გასწორდა — აღარ არის. მეორე ტაეპში: ციხო-ანთა გაუგზავნო, გასწორდა — ციხოვანთა გაუგზავნო.

424-ე სტროფი: მივეც ერთი დიდებული... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში გასწორდა: სპანი — ყმანი; წავატანე — წავატანენ. მეორე ტაეპში გასწორდა: მოვიყვანე — მოვიყვანენ; ვ. ბერიძე მოითხოვდა, რომ „ჩემ წინაშე“ ყოფილიყო მიღებული. მესამე ტაეპში: ომი ასრე შეევანანე, გასწორდა — ომნი ასრე შეევანანენ... მეოთხე ტაეპში: დავაგვანე, გასწორდა — დავაგვანენ.

425-ე სტროფი: მაშინლა შეველ ხატაეთს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შეველ, დაიწერა — შევე. მეორე ტაეპში: მომართ-ვეს, გასწორდა — მომართვენს.

426-ე სტროფი: საქურქლენი გარდავენახენ... ძირითადად მიიჩნი-

ეს. მეოთხე ტაეპში: ნახო, დაიწერა — ჰნახე; წინააღმდეგი იყო კ. კიკინაძე, მოითხოვდა: ნახე.

427-ე სტროფი: ვერა შევიგენ, რა იყო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვისაც უჩვენე, გასწორდა — ვისცა ვუჩვენე. მესამე ტაეპში გასწორდა: გებოდა — ჰგებოდა; ორხოულად — ორხაულად. მეოთხე ტაეპში: ჰგვანდა, გასწორდა — ჰგვანდის; წინააღმდეგი იყო ა. შანიძე, მოითხოვდა: ჰგვანდა.

428-ე სტროფი: იგი საძღვნიდ მისად დავსხენ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დავსხენ, გასწორდა — დავდევე.

429-ე სტროფი: წიგნი დავსწერე, მეფეო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში გასწორდა: დავსწერე — დავწერე; სვემცაა — სვემცა არს.

430-ე სტროფი: რა ყველაი დავიურვე... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დავიარე, გასწორდა — დავიარე.

430¹-ე სტროფი: ხატავეთს გამარჯვებული... ჩანართად მიიღეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

431-ე სტროფი: ხატეთისა ხელმწიფე მომყვანდა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

432-ე სტროფი: დადგეს ტურფანი კარავნი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში... დადგეს, გასწორდა — ედგნეს.

433-ე სტროფი: მას ღამე ვსხედით ნადიმად... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ღამე, დაიწერა — ღამით. მესამე ტაეპში: შემოსჯარენით, გასწორდა — შემოჯარენით. მეოთხე ტაეპში: ხატელნი, დაიწერა — ხატელი; წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე.

9 ოქტომბრის სხდომაზე (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე, კ. კიკინაძე) განიხილეს და დაადგინეს 434 — 451 სტროფები.

434-ე სტროფი: რამაზ მეფე მას წინაშე... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: სიმგულვანე, გასწორდა — სიგულვანე.

435-ე სტროფი: მას მეფესა ხატელსა... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში... უბრძანებდა, გასწორდა — უბრძანებდის.

435¹-ე სტროფი: ეს საჯილდაოდ ეყოფის... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

436-ე სტროფი: მე ვკადრე, ღმერთი ვინადგან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: ვკადრე — ვჰკადრე; ვინადგან — ვინათგან. მესამე ტაეპში: უბრძანა, გასწორდა — უბრძანებს. მეოთხე ტაეპში ვ. ბერიძე „ჩვენს წინა“-ს ნაცვლად მოითხოვდა „ჩვენ წინა“-ს მიღებას.

437-ე სტროფი: ხარაჯა დასდგეს... ძირითადად მიიღეს. პირველ

ტაეპში: შეკვეთეს დრაკანი; გასწორდა — შეპკვეთეს დრაპკანი. მეოთხე ტაეპში: გაუშვა, გააწორდა — გაგზავნა.

438-ე სტროფი: ხატაველმან დაუმაღლა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ხატაველმან, გასწორდა — ხატაელმან. მესამე ტაეპში ა. შანიძე ყურადღებას აქცევს „თულა ოდეს შელაჯცოლო“ წინადადებას და აღნიშნავს, რომ აქ ორი და არ შეიძლება. კომისიამ დატოვა არსებული წაკითხვა. მეცა, გასწორდა — მეცა; წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

439-ე სტროფი: მოვიდა კაცი მეფისა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში გასწორდა: გაყრივარ — გაყრილვარ; მას აქეთ — მას აქათ. მეოთხე ტაეპში გასწორდა: დაშრომის — დაშერომის; ხანია — ეამია.

440-ე სტროფი: შევეკაზმე, დარბაზს მიველ... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში გასწორდა: მიველ — მივე; ჯარი დამხვდა — დამხვდა ჯარი. ი. აბულაძე ყურადღებას აქცევს მეოთხე ტაეპის დასაწყისს: გაეხარნეს მისვლა ჩემი — და აღნიშნავს, რომ აქ მეფეზეა ლაპარაკი და გაეხარნეს კი მრავლობითშია დასმული. კ. კეცელიძე აღნიშნავს, რომ იგი სპეციალურად ჩაპკვირვებია ამ საკითხს და შეუნიშნავს, რომ ასეთი ფორმა გაეხარნეს მხოლოდითანაც იხმარება.

441-ე სტროფი: იღუმალ ცოლსა ეუბნა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: გაანათლოს, გასწორდა — განანათლოს.

442-ე სტროფი: აწ მითქვამს საქმე უშენოდ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: სცან, დაიწერა — ცან. მეორე ტაეპში: რადგან, გასწორდა — რათგან; კ. ჭიჭინაძე მესამე ტაეპის დასასრულის წაკითხვას — „აჰა, დღე, ედემს ხლებული“, ასე მოითხოვდა: აჰა ხე, ედემს ხე-ბული. ასეთი წაკითხვა გაიზიარეს ვ. ბერიძემ და ა. შანიძემ.

443-ე სტროფი: მოვინადირეთ მინდორი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

444-ე სტროფი: ჩემთა მკვრეტელთა მოეცვა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ენიანი კაბანი, გასწორდა — ენიანნი კაბანი.

445-ე სტროფი: რიდენი რომე მეშოვნეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ვშვენოდი, გასწორდა — მშვენოდეს. მესამე ტაეპში: შევედით, დარბაზსა, გასწორდა — დარბაზსა შევედით. ვ. ბერიძე და ა. ბარამიძე მხარს უჭერდნენ მეოთხე ტაეპის მეორე ნახევრის ასეთ წაკითხვას: დაწვთა მისთ მზებრ ნათელთასა. კომისიამ დატოვა არსებული წაკითხვა: დაწვთა მზეებრ ნათელთასა.

446-ე სტროფი: მას მზესა ტანსა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში გასწორდა: ემოსა — ემოსნეს; ფერი — ფერნი.

447-ე სტროფი: ნომარსა, დაკოდისა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

448-ე სტროფი: ახლოს დამისვენს... ძირითადად მიიჩნის. მესამე ტაეპში: უქვრეტდი, გასწორდა — ვუქვრეტდი. მეოთხე ტაეპში: მოვს-ხლიტნი, გასწორდა — მოვსწყვიდნი.

449-ე სტროფი: შეიქნა სმა და პურობა... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ყოველი ფირუზისა, გასწორდა — ყველაი ფეროზისა. მეოთხე ტაეპში: გაშვება არცა მთვრალისა, გასწორდა — არცა გაშვება მთვრალისა.

450-ე სტროფი: მე მუნა მყოფი მივეცი... ძირითადად მიიღეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

451- სტროფი: დაადგეს მღერა მუტრიობთა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მართალ არნ შენი, გასწორდა — მართალან შენნი.

კომისიის შემდეგ სხდომას (1935, X, 10) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 452 — 465 სტროფები.

452-ე სტროფი: აწ ვითა გმართებს... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ვითა, გასწორდა — თუცა. მესამე ტაეპში: შუქი, დაიწერა — შუქნი.

452-ე სტროფი: მომართვეს ასი კლიტენი... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი ეკუთვნის იმ სტროფთა რიცხვს, რომელთაც იგი იყენებს იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ვახტანგის ტექსტს აკლია მთელი რიგი სტროფებისა. ამ სტროფში ნათქვამია: მაკოცეს, ადგეს ორნივე — თუ ეს სტროფი გამოვტოვეთ, როგორც ეს ვახტანგის ტექსტშია, მაშინ გაუგებარია მომდევნო 453-ე სტროფის დასაწყისი: კვლავცა დაჯდა მზიარული. დაჯდომაზე იქნება ლაპარაკი და ადგომაზე კი არსად იქნება თქმული. ეს შეუძლებელია. თვით სტროფი სტილის მხრივ უდავოდ რუსთველურია და მისი გამოტოვება შეუძლებელია შინაარსეულადც. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სტროფში ექვს იწვევს „დავლანი მათთა სვეთან“; რატომ აქვს დავლანის თანი ჩამოშორებული, მოსალოდნელი იყო დავლანის; ამასთან რაკი დავლანია, უნდა იყოს დავლოცენ და არა დავლოცე. სტროფი ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მამართვეს ასი, გასწორდა — მომართვენს ასნი. მეორე ტაეპში გასწორდა: თაყვანი ვეც — თაყვანის ვეც; დავლოცე — დავლოცენ. მეოთხე ტაეპში გასწორდა: გასცეს — გასცენს; გითხრენ — გითხრენ.

453-ე სტროფი: კვლავცა დაჯდა მზიარული... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: კვლავცა, დაიწერა — კვლაცა. მეორე ტაეპში: ბარბითთა, და ჩანგთა, გასწორდა — ბარბითი და ჩანგთა, წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი.

454-ე სტროფი: ავიყარნით, მიგვჭირდა... ძირითადად მიიღეს.

მეორე ტაეპში: შემოველ, გასწორდა — შემოვე. მეოთხე ტაეპში: მე-
გონებოდა, გასწორდა — მეგონებოდის.

455-ე სტროფი: მონა მოვიდა, მიაბო... ძირითადად ცნეს. მეოთხე
ტაეპში: ჩემს წინა, გასწორდა — ჩემ თანა.

456-ე სტროფი: მე ვისთვის ვკედები... ძირითადად მიიჩნიეს. მე-
სამე ტაეპის დასასრული „ახლოს ტახტისა ჩემისად“ იწვევს კამათს.
ა. შანიძე მოითხოვდა: ახლოდ ტახტისა ჩემისად. ი. აბულაძე აღნიშ-
ნავს, რომ ა ხ ლ ო დ არსად ხელნაწერში არ არის და არც შეიძლება
იყოს, უნდა დარჩეს: ახლოს ტახტისა ჩემისად. კომისიამ ეს უკანასკ-
ნელი აზრი გაიზიარა.

457-ე სტროფი: მიაბე მისი ამბავი... ძირითადად ცნეს. პირველ
ტაეპში: ნურას, დაიწერა — ნურად. მეოთხე ტაეპში: ჩემთვის, გას-
წორდა — ჩემგან.

458-ე სტროფი: წიგნი მომართვა, ჩავხედენ... ძირითადად მიიღეს.
ვ. ბერიძე მოითხოვდა პირველ ტაეპში ჩ ა ვ ხ ე დ ე ნ-ის ნაცვლად მი-
ღებული ყოფილიყო ჩ ა ვ ხ ე დ ე, რადგან ნარს არავითარი გამართ-
ლება არა აქვსო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ჩავხედენ უნდა ნარით დარ-
ჩეს, რადგან აქ ზმნის ფორმაში დარჩენილია ობიექტის ნარი: ჩავხე-
დენ — იგულისხმება თვალნი. კომისიამ მიიღო: ჩავხედენ. მესამე ტა-
ეპში: ვშვენოდი, დაიწერა — ჰშვენოდი.

459-ე სტროფი: ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი... იწვევს კამათს. კ.
ჭიჭინაძე სტროფს ძირითადად მიიჩნევს და ადგენს თავის განმარტებას
სამაჯამო სიტყვის უ შ ე ნ ო ს ა-ს. მისი აზრით: 1) უშენოსა — ნიშ-
ნავს — უშ ე ნ ო ს ა, ე. ი. ენამ უშ წამოიძახოს შენდა საქებრად; 2) უშე-
ნოსა — (მომკლავ) უშენოდ; 3) უშენოსა — აუშენოს (ბალი ბაღად);
4) უშენოსა — შენს გარდა (თავი ჩემი არვის მართებსო). ა. ბარამიძეს
ესა და მომდევნო 460-ე სტროფი: თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა...,
ჩანართად მიიჩნია. პირველი სტროფის მაჯამას იგი მეტად ნაძალადე-
ვად მიიჩნევს. მეორე სტროფის მაჯამა უფრო გამართულია, მაგრამ აზ-
რის მხრივ არც ეს სტროფია საჭირო, რადგან 461-ე სტროფში იგვაქვს
ნესტანის მიერ ტარიელისაგან რიღის თხოვნა: იგი მე მომეც რიღენი.
ამიტომ აღარ არის საჭირო დარჩეს ეს მაჯამური სტროფი, სადაც იმავე
რიღის თხოვნაა: რომე წელან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიღენო. ი.
აბულაძე ორივე სტროფს (459¹-ე და 460-ე) ჩანართად მიიჩნევს. ა. შა-
ნიძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს. მისი აზრით, პირველი ტაეპი ასე
უნდა იკითხებოდეს: ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენო-
სა — ასეთი გაგებით: ღმერთმან თუ მომცა (-მცა) მე უშენოს, ე. ი.
უშენებლეს ენა შენს საქებრადო... კ. ჭიჭინაძის განმარტება „უშ ე ნ ო-
სა“ მიუღებელია, რადგან ე ნ ა უ ნ ო ს ა ს არ მოგვცემდა, უნდა მოე-

ცა ა ე ნ ო ს-ო. ვ. ბერიძე იზიარებს პირველი ტაეპის იმგვარ გააზრებას, რომელსაც ა. შანიძე ადგენს, მეორე უ შე ე ნ ო ს ა მიაჩნია უ შე ე ნ ო ს ა-დ, უშის მთქმელად (воздыхающий) და აღნიშნავს, რომ მაშინ დამთხვევა აღარ იქნება, ე. ი. ურთი და იმავე აზრით აღარ იქნება ხმა-რებული სამაჯამო სიტყვა და სტროფი ძირითადად უნდა იქნეს ცნობი-ლიო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ პირველი ტაეპის თ უ მ ც ა ერთად უნდა დაიწეროს, რადგან იგი თუ-ს მნიშვნელობით იხმარება და „მცა“ მოცემის მნიშვნელობით არსად არ იხმარება ვეფხისტყაოსანშიო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ მაჯამის დიდი ხელოვნების გამო შე-იძლება ზოგი რამ ჩვენთვის გაუგებარიც დარჩეს, მაგრამ მარტო ამ მო-საზრებით სტროფს ჩანართად ნუ გამოვაცხადებთო. პირველ ტაეპში თ უ მ ც ა მასაც ერთ სიტყვად მიაჩნია და უშენოსა — უშის თქმად. კენჭის ყრით სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერი-ძე, ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე. 1936 წ. 7 მაისს კომისიამ ეს სტროფი ძირითადად მიიჩნია.

460-ე სტროფი: თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი ძირითადია. იგი დაწერილია მაჯა-მით და ამასთან უკანასკნელი ტაეპი: რომე წელან მოგეხვიენეს, იგი ჩემთვის არიდენო — გამეორებულია და განვითარებული მომდევნო 461-ე სტროფში: იგი მე მომეც რიდენი, რომელნი წელან გშვენოდესო. მაჯამის შემადგენლობა: 1) არ იდენო — (ცრემლებს) არ დაიდენო; 2) არიდენო (თავი ჭირს) აარიდე, მოარიდეო; 3) არ იდენო — დად არ მიიჩნიეო; 4) არიდენო — ჩემს რიდედ გზადეო. ა. შანიძეს სტროფი ჩა-ნართად მიაჩნია. მესამე ტაეპის „არ იდენო“, მისი აზრით, უნდა იყოს: არ ჰრიდენო, ე. ი. არ ეკრძალებიანო. ვ. ბერიძეს მესამე ტაეპის ა რ ი დ ე ნ ო მიაჩნია მოშორების, თავიდან მოცილების, გაგდების მნიშვნელობით ხმარებულად, არ იდენო — не прогоняешь, не отго-няешь. კომისიამ გაიზიარა ეს უკანასკნელი შეხედულება და დარჩა წაკითხვა: არ იდენო [სტროფი ძირითადად ცნეს]. წინააღმდეგნი იყ-ვნენ ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ა. შანიძე და კ. კეკელიძე. არსებითი ცვლი-ლებები სტროფში არ შეტანილა. 1936 წ. 7 მაისს კომისიამ ამ სტრო-ფის საკითხი ისევ განიხილა და იგი კვლავ ძირითადად ცნო.

461-ე სტროფი: იგი მე მამეც რიდენი... ძირითადად ცნეს. პირ-ველ ტაეპში: მომეც, გასწორდა — მომცენ. მეორე ტაეპში: ვეჭვ, გას-წორდა — რა. მესამე ტაეპში: რამ გავკლენოდეს, გასწორდა — გა-დაგვკლენოდეს.

462-ე სტროფი: აქა მხეცქმნილი ტარიელ... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: თვალით, გასწორდა — თვალვით. მეოთხე ტაეპში: დაესახების, გასწორდა — დაედასების.

463-ე სტროფი: ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

464-ე სტროფი: ავთანდილცა სულ თქნა მწარედ... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში გასწორდა: ვანი — ვამნი; გაამრავლა — გაამრავლნა. მესამე ტაეპში: ცეცხლი, გასწორდა — ცეცხლნი.

465-ე სტროფი: ზე წამოჯდა ფერმიხდლილი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

შემდეგ სხდომას (1935, X, 11) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხლეს და დაადგინეს 465¹ — 479 სტროფები.

465¹-ე სტროფი: ასმათმან წყალი დაასხა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

466-ე სტროფი: ავთანდილს უთხრა, ისმენდი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მიჩნს, დაიწერა — მიჩს.

467-ე სტროფი: ასმათის ნახვა მიამა... ძირითადად იქნა ცნობილი. პირველ ტაეპში ჩემად, გასწორდა — ჩემგან.

467-ე (ზ) სტროფი: მოეგონა საყვარელი მისი... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ეგზომიცა, გასწორდა — ეგზომიმცა.

467¹-ე სტროფი: რა მომივიდა ნაწერი... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

467²-ე სტროფი: რიდენი და ყაბაჩანი... იწვევს კამათს. ი. აბულაძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს, იგი არაფერ ახალს არ იძლევა სიუჟეტურადო. კ. ჭიჭინაძე სტროფს ძირითადად თვლის. ამ სტროფში გარკვეული ფაქტია, რომ რიდენი და ყაბაჩანი ტარიელმა გაუგზავნა ნესტანს ასმათის ხელით. წინა სტროფებში ეს არ ჩანს. სტროფი პირველად მე არ შემიტანილაო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფში მოცემულია ერთგვარი გამეორება, რაც წინა და მომდევნო სტროფებით ვიცითო. 470-ე სტროფში ვკითხულობთ: აჰა რიდე რომე მთხოვე, ყაბაჩაცა ასეთივე... აქედან ჩანს, რომ გაუგზავნია. 467-ე სტროფი კი გვაცნობებს, რომ ასმათის ხელით მიიღო ტარიელმა საბამი მკლავისა და სამაგიეროდ მოიხსნა რიდე თავისა ნესტანთან გასატანებლად, რადგან ნესტანი წერილით სთხოვდა: რიდენი მე მომეციო (461-ე სტრ.). სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე. მეორე ტაეპში: ერდგან შევკარ გაუგზავნე, გასწორდა — ერთგან შევჭკრენ გაუგზავნენ. მესამე ტაეპის დასასრული: მზესა აკლდეს ოდენ ვისად — კ. ჭიჭინაძეს დამახინჯებულად მიაჩნია და აღგენს ასეთ წაქითხვას: მზესა აკლდეს ოდენ მზისად. ასახელებს პარალელურ გამოთქმას: ლაწვნი მისნი მზისად კმარის. შესწორება გაზიარებულ იქნა.

468-ე სტროფი: მიუწერე, მზეო, შუქი... ძირითადად იქნა ცნობი-

ლი. პირველ ტაეპში: მიუწერე, გასწორდა — მივუწერე. მესამე ტაეპში: შენი განვიცადე, გასწორდა — შენნი განვიცადენ. მეოთხე ტაეპში, ა. შანიძის წინადადების თანახმად, „სამსახური რამცა ვითა გიმუქფენი“-ს ნაცვლად მიღებულ იქნა — სამსახური რადმცა ვითა გამუქფენი. ამ შესწორების წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

469-ე სტროფი: მაშინ ოდეს დამარჩინე... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში გასწორდა: აწცა ჩემთვის — აწ ჩემთვისცა; დღესა — ჟამსა. მეოთხე ტაეპში: ეზომიმცა, გასწორდა — ეგზომიმცა.

470-ე სტროფი: განალამცა ვიწინაშე... და 471-ე სტროფი: ქალი აღვა, გამეყარა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

472-ე სტროფი: დილასა ადრე სრას მიხმეს... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში კამათს იწვევს: ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ტაეპი გაუგებარია: რატომ არის ნათქვამი მეფე-დედოფალზე, რომ სხდეს სახითა ოდენ სამითა? ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ რაკი არის ნათქვამი ოდენ, ამიტომ სამითა რიცხვს უნდა ნიშნავდესო. კ. კეკელიძე შენიშნავს რომ ხელნაწერებში ს ა ხ ი თ ა-ს ნაცვლად მოკემულია ხ ა ს ი თ ა. თუ ამ წაკითხვას მივიღებთ, გამოვა, რომ მეფე-დედოფალს სამი რჩეული ხასი ეჭდაო. მაშინ უაზრობა აცილებული იქნებო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ „ხასითა ოდენ სამითა“ — ერთ-ერთი შესაძლებელი წაკითხვაა. ოდნავ ეჭვს ბადებს მხოლოდ ის გარემოება, რომ შემდგომი ეს ხასები აღარსად ჩანან თათბირში. შესწორება მიღებულ იქნა.

473-ე სტროფი: გვიბრძანეს თუ ღმერთმან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: გვიბრძანეს — მიბრძანეს; დაგვაბერა — დაგვაბერნა; წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში გასწორდა: ყმის არა სმა არა გვაგვა — ყმისა არ სმა არად გვაგვა; ამაზედან — ამათზედან.

474-ე სტროფი: აწ ქალისა ჩვენისათვის... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

475-ე სტროფი: ვთქვი, თქვენი ძისა არა სმა... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: გკადრო, გასწორდა — გკადრეთ.

475¹-ე სტროფი: აქ მეფე არჩევს, ვაზირობს... ჩანართად ცნეს. მეორე ტაეპში: ხვარაზმა მოყავს, გასწორდა — ხვარაზმშა მოჰყავს.

476-ე სტროფი: დავიწყეთ რჩევა საქმისა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: გული უც, გასწორდა — გული მიც. მეორე ტაეპში: არ სათქმელია, გასწორდა — არ საქმნელია. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. მეოთხე ტაეპში: მისებრი; გასწორდა — მისებრიც.

477-ე სტროფი: რომე პირველვე დაესვენა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: შეეტყობოდა, გასწორდა — შეეტყვებოდა. მესამე ტაეპში: ამბვად, დაიწერა — ამბად. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს მი-დ ა მ ო-ს დაწერილობა. ი. აბულაძე მოითხოვდა ერთად დაწერილის დატოვებას. ა. შანიძე აღნიშნავდა, რომ მი-და-მო აქ ისეთი აზრით არის ხმარებული, როგორც იქით და აქით; მიკრთებოდა და მოკრთებო-და. ამიტომ შეიძლება დეფისით დაწერილი დატოვოთ, რომ ეს აზრი ნათლად ჩანდესო. კომისიამ ეს უკანასკნელი აზრი გაიზიარა.

478-ე სტროფი: დედოფალმან თქვა, ხვარაზმშა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: სჯობდეს, გასწორდა — სჯობდა. მესამე ტაეპში გას-წორდა: ვინ კადრა — ვით ვკადრე; რადგან თვით იყო მდომელი — რათგან თვით იყო მნდომელი. მეოთხე ტაეპში: დავრთე, გასწორდა — დავპრთე.

479-ე სტროფი: გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: სასიძოდ, დაიწერა — სამისოდ.

შემდეგ სხდომას (1935, X, 13) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე (მდ.), ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 480 — 488 სტროფები.

480-ე სტროფი: კაცი მოვიდა... ძირითადად მიიღეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

481-ე სტროფი: კვლავ გაგზავნეს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დავედრეს, გასწორდა — დაჰვედრეს. მესამე ტაეპში: შეველ, გას-წორდა — შევე.

481¹-ე სტროფი: აქ საწოლს მჯდომი... ჩანართად მიიღეს. შესწო-რება არ შეტანილა.

482-ე სტროფი: მეტმან სევდამან მიმწურა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: „მე ვჯე ლალი და ჯანისად“, იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ჯანისად თუ ერთად დაიწერება, მაშინ მოსალოდნელია ლალისად, და არა ლალი. ი. აბულაძის აზრით, ჯ ა ნ ი ს ა დ ნიშნავს ჯა-ნიანად, ჯანისებრ და ერთად უნდა დაიწეროს. კ. ჭიჭინაძის გაგებით, აქ გვაქვს: ჯანი სად (სადაც). კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე და ს. კაკაბაძე ემსრობიან ფორმას — ჯანისად. კომისიამ მიიღო „ჯანისად“. წინააღმ-დეგნი იყვნენ ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. მესამე ტაეპში: ჩანს, დაიწე-რა — სჩანს. მეოთხე ტაეპში, ა. შანიძის აზრით, არ ვარგა „ადრე მო-დიო“, უნდა: ადრე მოვედო. კომისიამ დატოვა: ადრე მოდიო.

483-ე სტროფი: შევჯეგ, წაველ, ბაღჩას მიველ... ძირითადად მი-იჩნიეს. პირველ ტაეპში: შევჯეგ, გასწორდა — შევჯე. მეორე ტაეპში: კოშკი აჩნდა, გასწორდა — კოშკი დამხვდა; მესამე ტაეპში გასწორდა: ნატირებსა — ნატირებად; წდომით — წთომით.

484-ე სტროფი: იგი ვნახე დაღრეჯლი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: აღარ, გასწორდა — არა. მესამე ტაეპში: ცრემლსა, გასწორდა — ცრემლთა. მეოთხე ტაეპში: წყლულსა, გასწორდა — წყლულთა.

შემდეგ სტროფებზე (485-ე: ჩემნი ერთნი გონებანი... და 486-ე: იყო არ ნათლად ნათელი...) ოქმში არაფერია ნათქვამი. ჩანს, კომისიას ისინი ძირითადად მიუღია, რადგანაც დაბეჭდილია საიუბილეო გამოცემაში. არსებითი ცვლილება ტექსტში შეტანილი არ არის, გარდა იმისა, რომ 485-ე სტროფის მეოთხე ტაეპში: მაგრამ, გასწორებულია — მაგრა.

487-ე სტროფი: ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: კლდისა ნაპირსა, გასწორდა — კლდისა ნაპრალსა. სიტყვა „ნაპრალსა“ არის 16 ხელნაწერში. კ. ჭიჭინაძე და ი. აბულაძე უპირატესობას აძლევენ „ნაპირსა“.

488-ე სტროფი: მიბრძანა, მიკვირს... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს მესამე ტაეპი: მაგრა ნაცვალსა პატიყსა მოგცემსო ზენამცა ცისა. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ეს ტაეპი ძველ გამოცემებში დამახინჯებულია. ი. აბულაძის გასწორება (ნაცვალსა პასუხსა მიგცემსო ზენა მი ცისა) ხელოვნურია. ზენა იგივე ცაა და ასეთი განმეორება (ზენა ცისა) არ შეიძლება, ეს აზრობრივად არაა სწორი. ჩემი გასწორებაა: „ნაცვალსა პატიყსა მოგცემსო ზე ნამი ცისა“. ეს ნიშნავს, სამაგიერო პატიყი დაგეფრქვევა თავზე ციდანო. აქ ჩვენ გვაქვს ფიგურალური გამოთქმა. ჩემი წინასწარი გასწორება დაადასტურა ოთხმა ხელნაწერმა (H 3061, 2074, 757, 2832). თუ კომისია ჩემ აზრს არ გაიზიარებს და მიიღებს ფორმას „მოგცემსო“, მაშინ აუცილებლად საჭირო იქნება, ი. აბულაძის თანახმად, პ ა ს უ ხ ს ა და არა პ ა ტ ი ყ ს ა. ა. ბარამიძე არ იზიარებს ჭიჭინაძის გამეორებას. მისი სიტყვით, ცის ნამი მწერლობაში ჩვეულებრივად სიკეთის და წყალობის სიმბოლოდ იხმარება, ხოლო წყალობის სიმბოლო პატიყის, ე. ი. ტანჯვის სანაცვლოდ ვერ გამოდგება. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ მისი გასწორება ემყარება H 757 ხელნაწერს. ასეთ წაკითხვას მხარს უჭერს, აგრეთვე, ნ. მარი (Грамм. древне-грузинского языка). ა. შანიტეს აბულაძე—მარის წაკითხვა მიაჩნია მახვილ-გონივრულად, მი გ ც ე მ ს შეიძლება იხმარებოდეს მ ო გ ე ე უ მ ს აზრით. ხოლო ფორმას მი გ ც ე მ ს მოგვემდღა რუსთველურ გამეორებას მი (ცისა). დაბრკოლებას ჭქმნის მხოლოდ განმეორება „ზენა ცისა“, ეს უხეიროა. მე მაინც მხარს დაუჭერდი აბულაძე—მარის წაკითხვას. კ. კეკელიძემ განაცხადა, რომ ვერ დაუჭერ მხარს ვერც კ. ჭიჭინაძეს და ვერც ი. აბულაძეს. ნამი პატიყს ვერავის მისცემს. ეს უაზროა. ი. აბულაძის „მიგცემსო“ არსად არ არის. „მიგცემსო ზენა ცისა“ — არ ვარგა. მე ასეთ წაკითხვას ვადგივარ — „ნაც-

ვალსა პატიუსა, მოგცემსო, ზენამ იცისა“. ამ წაკითხვას ამართლებს ხუთი ხელნაწერი და ვახტანგის გამოცემა. კომისიას შესამოწმებლად ხელთ არ აქვს ი. აბულაძის მიერ დასახელებული ხელნაწერის ვარიანტი. ა. შანიძეს საეკვოდ მიაჩნია შეკვეცილი ფორმა „ზენამ იცისა“. კენჭის ყრით მარი—აბულაძის გასწორებას მხარი დაუჭირეს ი. აბულაძემ, ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ. ი. აბულაძე იმასაც აცხადებს, რომ ის ემხრობა „პატიუსა“, თუმცა დაბეჭდილი აქვს „პასუსხსა“. წინააღმდეგ მისცა ხმა კ. კეკელიძემ და კ. ჭიჭინაძემ. ამრიგად, საცილობელი ტაეპი მიიღეს შემდეგი სახით: მაგრა ნაცვალსა პატიუსა მოგცემსო ზენა მი ცისა.

მორიგ სხდომაზე (1935, X, 14, ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე), განიხილეს და დაადგინეს 489 — 496 სტროფები.

სტროფების განხილვაზე გადასვლამდე მოხდა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემასთან დაკავშირებულ, ცალკე პირების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა განაწილება: ა) ვრცელი ლექსიკონის შედგენა დაევალა ი. აბულაძეს, ბ) კომენტარიების შედგენა — ვ. ბერიძეს, გ) ხელნაწერების აღწერა და გენეალოგია — ს. კაკაბაძეს.

489-ე სტროფი: ვთქვი, პასუსხსა ვერას გკადრებ... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მოლორდი, გასწორდა — მოვლორდი.

490-ე სტროფი: შენ არ იცი ხვრაზმშასი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: საქრმოდ, გასწორდა — საქმროდ. მეოთხე ტაეპში: დაგირჩინოს, გასწორდა — დაგირჩინო; ს. იორდანიშვილი მხარს უჭერს: დაგაჩნო-ს. კ. ჭიჭინაძე — დაგარჩინო-ს.

491-ე სტროფი: გახსოვს, ოდეს ჰაი ჰაი ზმიდი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ჰაი, ჰაი ზმიდი, გასწორდა — „ჰაი“ ჰზმიდი; ვ. ბერიძე მხარს უჭერდა „ჰაი, ჰაი ჰზმიდეს“. მეორე ტაეპში: წამალსავე, გასწორდა — წამალსაყე. მესამე ტაეპში: გვანდეს, გასწორდა — ჰგვანდეს. მეოთხე ტაეპში: რადგან, გასწორდა — რათგან.

492-ე სტროფი: ამას ვბრძანებ ვინცა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: ვბრძანებ, გასწორდა — ვჰბრძანებ. მეორე ტაეპში: ვლიდენ, გასწორდა — ვჰლიდენ. მესამე ტაეპში გასწორდა: ეგრე — ეგვი; მომცდარხარ — მომცთარხარ.

493-ე სტროფი: ცოცხალ ვიყო შენ ინდოეთს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დაყო, დაიწერა — დაჰყო. მეორე ტაეპში: გაყო, გასწორდა — გაჰყო. მესამე ტაეპში გასწორდა: პოვო — ჰპოვო; აყო — აჰყო. მეოთხე ტაეპში: სულ თქმა, გასწორდა — სულთქნა.

494-ე სტროფი: ვთქვი რა მესმა ესე მისგან... ძირითადად მიიჩნი-

ეს. პირველ ტაეპში: ვთქვი, გასწორდა — თქვა. მეოთხე ტაეპში: ზი, დაიწერა — ჰზი.

495-ე სტროფი: შეეხედე, ვნახენ სასთაულ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შეეხედე, ვნახენ სასთაულ, გასწორდა — შეეკმხედე, ვნახე სასთუმალს. ა. შანიძე ყურადღებას აქცევს მესამე და მეოთხე ტაეპის დასასრულს, სადაც გამეორებულია ერთი და იგივე სიტყვა „ბარე“. ეს გარემოება და ამასთან მესამე ტაეპში ორჯერვე გამეორებული „მზე“ (ვკჰადრე თუ მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე) მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მესამე ტაეპი დაძახინჯებული იყოს, ამიტომ ვსვამ კითხვას: მზეო დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე-ს ნაცვლად ხომ არ იკითხებოდა: დაგიწვავ ჩემიცა დაწვი მგზნებარო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ასეთი სიტყვის ნაწილების (ბარე) გამეორება იცის რუსთველმა და ამ შემთხვევაში უმჯობესია დარჩეს როგორც არისო. [კომისიამ მიიღო არსებული წაკითხვა.] მეოთხე ტაეპში: რადგან, გასწორდა — რათგან.

496-ე სტროფი: რომე გკადრებ, ესე სიტყვა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ყოლე, დაიწერა — ყოლა. კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ ეს სიტყვა ყველგან ამ ფორმით (ყოლა) გატარდეს.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, X, 15) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 497 — 512 სტროფები.

497-ე სტროფი: კვლავცა ვკადრე... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპში: კვლავცა — კვლაცა; ვკადრე — ვკჰადრე. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ხელნაწერებსა და აგრეთვე ვახტანგის გამოცემაში ეს სიტყვები ასე იკითხება: თქვენთვის ფიცი გამეტეხოს. ამიტომ უკეთესი ხომ არ იყო ჩვენც ასე მიგველოო. კ. ჭიჭინაძის აზრით, არ არის საჭირო აქ თქვენობით მიმართვა, რადგან ტარიელი აქ ნესტანს მიმართავს და მას ზვეულებრივ შენობით იხსენიებს, ასევე იწყებს წერილს: მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი... ხელმან შენი განვიცადე და სხვა. ამიტომ დარჩეს აქაც: შენთვის ფიცი გამეტეხოს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ამავე სტროფში გვხვდება: ვისი გინდა უშენოსა — არ არის ნათქვამი რომ უთქვენოსა, ამიტომ პირველ ტაეპშიაც უმჯობესია დარჩეს შენთვის. კომისიის უმრავლესობამ გაიზიარა ზემოაღნიშნული მოსაზრებანი და მიიღო: შენთვის ფიცი გამეტეხოს. მეოთხე ტაეპში: როგორ დავრჩე-ს ნაცვლად კომისიამ, ი. აბულაძის წინადადების თანახმად და ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიიღო: მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე.

498-ე სტროფი: მე მეფეთა დარბაზს მიხმეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: წინათვეს ნაცვლად, ხელნაწერებზე დაყრდნო-

ბით, მიღებულ იქნა წინასვე. მეოთხე ტაეპში გასწორდა: უთხარ — ვუთხარ; გულმაგრობა — გულ-მაგრობა.

499-ე სტროფი: მემცა დაშლა ვითა ვკადრე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვკადრე, დაიწერა—ვკადრე. მეორე ტაეპში: „არ იცის თუ“-ს ნაცვლად კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა: „არ თუ იცის“. მესამე ტაეპში: ერთი მე ვარ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — ტარიელ არს მემამულე — როგორც ეს იკითხება აგრეთვე ვახტანგის გამოცემაში. ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდნენ ასეთ წაკითხვას: ერთი მე ვარ, მემამულე, სხვააა ჰმართებს არად არა.

მე-500 სტროფი: ვთქვი ამითა ველარას ვიქ... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. მეორე ტაეპში გასწორდა: უთხარ — ვუთხარ; მრავალგვარი — მრავალ-გვარი. მეოთხე ტაეპში: ვისმცა მივსკე, ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა — ვისმცა მივეც.

501-ე სტროფი: სულს ვიყიდდი გულსათვის... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. ხელნაწერებზე დაყრდნობით პირველ ტაეპში გასწორდა: სულს ვიყიდდი — სულთა ვჰყიდდი. მესამე ტაეპში ი. აბულაძე იცავდა ასეთ წაკითხვას: ტურფა. კომისიამ მიიღო: ტურფად. მეოთხე ტაეპში: მიაზრა, ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა — მებაზრა.

502-ე სტროფი: არ დავიჭერებ მე შენსა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: სიძე რძლობასა, დაიწერა — სიძე-სძლობასა.

503-ე სტროფი: მოლმობიერდა, მომიტკბა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში კომისიამ მიიღო: მოლმობიერდა, მომიტკბა. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდა რიგ ხელნაწერებსა და ვახტანგის წაკითხვას: მე ლმობიერად მომიტკბა. მეორე და მესამე ტაეპები კომისიამ — ერთი ერთმანეთის აღგილზე გადასვა, როგორც ეს მოცემულია მთელ რიგ ხელნაწერებში. მეორე ტაეპში: პირ გავსებული, დაიწერა — პირ-გავსებული.

504-ე სტროფი: მიბრძანა თუ გონიერი... ძირითადად მიიღეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა მეორე ტაეპში: მოიგვაროს — მოაგვაროს. მეოთხე ტაეპში: გადაქარდეს — გარდაქარდეს.

505-ე სტროფი: კვლავ თუ სიძე შემოიშვა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. მესამე ტაეპში ი. აბულაძის წინადადებითა და ხელნაწერებზე დაყრდნობით, ძოწეული, გასწორდა — ძოწეულნი.

506-ე სტროფი: მე ვკადრე, ღმერთმან აშოროს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვკადრე, დაიწერა — ვკადრე. მეორე ტაეპში: რა შემოვიდნენ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — რა შემოვიდენ; შევიგნა მათი გმირობა, ი. აბულაძის წინადადების თანახმად, გასწორდა — შევიგნა მათი გვარობა, ე. ი. შევიტყო, გავიგო, თუ როგორი მეომრები არიან ისინი. მეოთხე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრ-

დნობით, გასწორდა: ასრე დავხოცო, — ასრე დავხოცენ; აღარად არ სახმარობა — აღარა არ-სახმარობა.

507-ე სტროფი: მიბრძანა თუ, ხაშ ღლიცი... კომისიამ ძირითადად მიიჩნია, მესამე ტაეპში: აუწყვეტლად, გასწორდა — აუწყველად.

508-ე სტროფი: ასრე ქენ ჩემო ლომო... იწვეეს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი უშნო გამეორებაა წინა 507-ე სტროფისა, სადაც ნესტანის დავალება ტარიელისადმი, სახელდობრ: რა მოვიდეს, სიძე მოკალ, მოათა სპათა აუწყველად — მთლად დათავებულია და შეკრულია სენტენციით: ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქს ზმელსა ნედლად. ეს მომდევნო სტროფი კი ხელახლა იმეორებს: მისთა სპათაცა ნუ დახოც, ზროხათა, ვითა ვირთაო. ეს მეტად უშნო შედარებანია და რუსთველისათვის არ არის დამახასიათებელი. ამ მოსაზრებათა გამო, ეს სტროფი არ მიმაჩნია ძირითად ტექსტში დასატოვებულად და ჩემს გამოცემაში იგი სქოლიოში მაქვს ჩატანილი. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სტროფი სრული გამეორებაა, მხოლოდ უფრო მძიმე ლექსით, რაც უკვე ნათქვამია წინა სტროფში და ამიტომ არც იგი იქნება წინააღმდეგი ამ სტროფის ძირითად ტექსტიდან ამოღებისა. ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძისა და კ. კეკელიძის მოსაზრებას სტროფის სიყალბის შესახებ. თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ამ სტროფის მეორე ტაეპი: მიპარვით მოკალ სასიძო ლაშქართა ნუ მოირთაო — შემდეგ არ მართლდება. ტარიელს მიპარვით არ მოუკლავს სასიძო. 522-ე სტროფში ნათქვამია, რომ: ასსა ვუბრძანე მონასა: „საომრად დაემზადენით“. ასე რომ მას საომრად მონები მიჰყავს. ამ სტროფში კი ნესტანი ეუბნება: ლაშქართა ნუ მოირთაო. სტროფის მეოთხე ტაეპი — სისხლი კაცისა უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო — უხეირო გამეორებაა აზრის მხრივ წინა სტროფის შესანიშნავი ტაეპისა: ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ ეს ტაეპი მხოლოდ იმით გამოიყოფა კონტრასტიდან, რომ ო-თი დაბოლოვდება, მაგრამ ასეთი შემთხვევები გვქონდა უდავო ძირითად ტექსტში და ამ ნიშნის გამო ასეთი ტაეპები არ უარგვიყვია. აქ ყურადღება მიაქციეს შედარებებს: მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც ზროხათა ვითა ვირთაო. ეს შედარებანი არ არის უჩვეულო რუსთველისათვის. გაიხსენეთ რუსთველის მიერ ხმარებული: იშვლოს, ითხოს ან და შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსა. ამის გარდა ამ სტროფში არის ერთი განსაკუთრებული მომენტი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს. საქმე ის არის, რომ ტარიელს ნესტანი აძლევს დავალებას: მიპარვით მოკალ სასიძო. ტარიელი ასრულებს ნესტანის დავალებას და მართლაც მიპარვით ჰკლავს სასიძოს. ეს დავალება რომ არ ჰქონოდა ნესტანისა, ტარიელი მიპარვით არ ჩაიდენ-

და ამ მკვლევლობას. ტარიელი ამას არ იკადრებდა. ამასთანავე ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ სტროფი არის ყველა ხელნაწერსა, ვახტანგისა და ყველა ბექდურ გამოცემაში, ყოველივე ამის გამო, ამ სტროფის ამოღება შეუძლებელია. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ყალბისმქნელმა იცოდა რა შემდეგი სტროფების მიხედვით, რომ ტარიელმა სასიძო მიპარვით მოჰკლა, ამიტომ საჭიროდ მიიჩნია ნესტანის მეორე მიცემულ დავალებაში ესეც აღნიშნა, რომ მიპარვით მოკალო. ამით უნდა აიხსნებოდეს ამ სტროფის არსებობაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფის მოწინააღმდეგეებს არა აქვთ რაიმე განსაკუთრებული საბუთი მის უარსაყოფად. მაშინ, როდესაც ანგარიშგასაწევია ის პირდაპირი მითითება ნესტანისა: მიპარვით მოკალო. დავალების ყოველგვარი დეტალი ნესტანის მიერ არის მოცემული. უამისოდ ტარიელი, რაინდი, არ იკადრებდა, რომ მძინარე სასიძო მოეკლა. ა. შანიძის აზრით, სწორედ ეს მიპარვით მოკვლა რომ არის ნათქვამი, ეს იწვევს ეჭვს. ნესტანის დავალების აზრი ის არის, რომ ტარიელმა მოკლას სასიძო „მისთა სპათა აუწყვედლად“. ზოლო როგორ მოახერხებს ამას, ამის შესახებ არა ჩანს, რომ ნესტანის დავალება იყოს საჭირო. წინა 507-ე სტროფში მოცემული დავალება: რა მოვიდეს სიძე მოკალ, მისთა სპათა აუწყვედლად, — სრულიად საკმარისია, რომ ტარიელმა შეასრულოს ის, რაც მან ჩაიდინა. ამასთან სტროფში მართლაც უხეირო შედარებებია და არ უნდა იყოს რუსთველისაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფის იგი უყურებს როგორც ძველ ნაწარმოებს, სადაც ასეთი შედარებები არ არის უჩვეულო. მე-12 საუკ. ესთეტიკა და პოეზია სხვა იყო. ჩვენი დროისა სხვა არის. ამიტომ რაც ჩვენი გემოვნების მიხედვით მიუღებელია, ყველაფერს ვერ უარყოფთ ვეფხისტყაოსნიდან. შესაძლებელია ლექსისა და სახეების მხრივ ბევრი რამ ვერ იყოს კარგად შესრულებული, მაგრამ ამ საბუთებით უეჭველად საჭირო სტროფების უარყოფა არ შეიძლება. ასეთივე ამბები ხდებოდა ჰომეროსის თხზულებათა და „ნიბელუნგებზე“ მსჯელობის დროს დასავლეთ ევროპის მკვლევართა შორის. ავტორი ასეთ სიტყვას არ იტყოდა, ეს სუსტია და სხვა, მაგრამ ახლა ასეთი კვლევა-ძიებების მეთოდები საუკუნეებს ჩაბარდაო. ს. იორდანიშვილის აზრით, სტროფი საჭიროა, რომ ძირითად ტექსტში დარჩეს. როგორც აქ აღინიშნა: მიპარვით მოკალ სასიძო — არის ერთ-ერთი დავალება ნესტანისა. ნესტანმა ისიც იცის, რომ ტარიელისადმი მიცემული ეს დავალება მაინცდამაინც არ არის ტარიელ რაინდის შესაფერი, მაგრამ რადგან სხვა გამოსავალი არ არის, ამ აუცილებელ გადაწყვეტილებას უნდა დაადგინენ. ნესტანს ეს წინასწარ აქვს მოფიქრებული და ამიტომ არის რომ 507-ე სტროფში მოცემულია საამისო

შემზადება, როდესაც ნესტანი ეუბნება, რომ იგი დიაკურ რჩევას მისცემს: ხამს დიაკი დიაკურად, საქმე დედლად. ეს სიტყვები სწორედ ამ მიპარვით მოკვლის რჩევას უნდა გულისხმობდეს. ეს მიპარვით მოკვლა კი ამ სტროფშია მოკცმული. ამასთან სტროფი ვახტანგსაც აქვს, ყველა ხელნაწერშია და ძნელია მისი ძირითადი ტექსტიდან ამოღებაო. ვ. ბერიძე ოქმის წაკითხვის დროს ხმას აძლევს სტროფის ძირითადობას. კენჭის ყრით სტროფი ჩანართად იქნა მიჩნეული. წინააღმდეგნი იყვნენ კ. ჭიჭინაძე და ს. იორდანიშვილი. მესამე ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა: ნუ დახოც — ნუ დახოც. მეოთხე ტაეპში: კაცმანცა — კაცმანცა.

509-ე სტროფი: იგი რა მოკლა, ეუბენ... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: მოკლა, დაიწერა — მოჰკლა.

510-ე სტროფი: ჩემი ყოლა ნურა გინდა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპი: ხელთა მოგცეს თავი ჩემი, შეგვეფროდეს ერთგან სხდომა — იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ხელნაწერებში ეს ტაეპი ასე იკითხება: ხელთა მოგვეცემს თავსა ჩემსა. ასევეა ვახტანგის გამოცემაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვას მოგვეცემ, რომელსაც, ალბათ, კორექტურული შეცდომის გამო, აქლია ს-ანი, აზრს ეს უფრო უდგება, ამიტომ ასეთი შესწორებით მივიღოთო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ძველი ქართულის ნორმების მიხედვით ასეთი გამოთქმა: „ხელთა მოგვეცეს¹⁰⁵ თავი ჩემი“ სრულიად მისაღებია და „ხელთა მოგვეცემს თავსა ჩემსა“ უფრო ახალი დროის გამოთქმაა. ამიტომ უმჯობესია დარჩეს: ხელთა მოგვეცეს¹⁰⁵ თავი ჩემი. კომისიამ მიიღო არსებული წაკითხვა.

511-ე სტროფი: ესე მეტად მომეწონა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: „ხრმალთა ქნევა-ს“ ნაცვლად კომისიამ მიიღო ვახტანგის წაკითხვა: ხლმისა ქნევა. ს. იორდანიშვილი აცხადებს, რომ მეოთხე ტაეპში წაკითხვა: შეჭიდება, შემთხვევა — უცნაურად მეჩვენებაო. დაბეჭდილი ტექსტების მიხედვით მახსოვს: შემოქლომა, შემოხვევა და ასეთი წაკითხვა ხომ არ არის უკეთესიო. ი. აბულაძე აცხადებს, რომ რიგ ხელნაწერთა მიხედვით მას დაბეჭდილი აქვს „შემოქლომა, შემოხვევა“ და ასეთი წაკითხვა უმჯობესია რომ დარჩესო. კომისიამ უმჯობესად მიიჩნია და შესაძლებლად ცნო ი. აბულაძის წაკითხვის მიღება, თუ ის ხელნაწერში აღმოჩნდებოდა¹⁰⁶. ამავე ტაეპში „ველარა ვქენ“-ის ნაცვლად, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიღებულ იქნა: ვერ შეეპმართე.

¹⁰⁵ დნ.: მოგვეცეს.

¹⁰⁶ ეტყობა ხელნაწერებმა დაადასტურეს დასახელებული წაკითხვა, რადგანაც პოემის საიუბილეო გამოცემაში დაბეჭდილია: შემოქლომა, შემოხვევა.

512-ე სტროფი: ხანი დავყავ, გავეყარე... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. მესამე ტაეპში: ვიათასი, გასწორდა — ვაათასე.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, X, 16) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 512¹- — 521 სტროფები.

512¹-ე სტროფი: გარევაქციე ასმათი... ჩანართად ცნეს. ა. ბარამიძე ეკითხება კ. ჭიჭინაძეს, სტროფი ყველა ხელნაწერშია და რითი ხელმძღვანელობდა იგი, როცა აღნიშნული სტროფი არ შეიტანა ძირითად ტექსტში. კ. ჭიჭინაძე უპასუხებს, რომ მას ეს სტროფი მიაჩნია ძირითადი ტექსტის ნაწილად, მაგრამ რადგან მეოთხე ტაეპით რითმაც დამახინჯებულია და რიტმიც, ამიტომ მან ვერ შეიტანა თავის გამოცემაში. პირველ ტაეპში: გარევაქციე, ა. შანიძის წინადადების თანახმად, დაიწერა: გარე ვაქციე. მეოთხე ტაეპში: და მალეზა, ხელნაწერებზე დაყრდნობით, დაიწერა — დამალეზა.

512²-ე სტროფი: ხვარაზმით გამოემართა... ჩანართად ცნეს. სტროფი გაიმართა სასვენო ნიშნებით.

513-ე სტროფი: მოვიდა კაცი, სასიძო მოვაო... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. მეორე ტაეპში: მაგრამ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, დაიწერა — მაგრა. მეოთხე ტაეპში: ახლოს მიმიხმო, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — ახლოს მიმისვა. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ თუ მივიღებთ „ახლოს მიმისვა“, უზრო იქნება მო დ ი ო, ამიტომ სჯობს მივიღოთ: ახლოს მომიხმო, მოდიო, რასაც იცავს მთელი რიგი ხელნაწერები. ა. შანიძე და ა. ბარამიძე მხარს უჭერენ „ახლოს მომიხმო მოდიო“.

514-ე სტროფი: მიბრძანა, ჩემთვის ესე ღლე... ძირითადად იქნა მიჩნეული. მეორე ტაეპის ბოლოს: ხამვითა დარეულია, იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ხელნაწერებში დ ა რ ე უ ლ ი ა-ს ნაცვლად მოცემულია: დასასრულია. კ. ჭიჭინაძეს შემოაქვს წინადადება, რომ მიღებულ იქნას წაკითხვა: ხამს ვითა დასა, სრულია, იმ გაგებით, რომ უნდა გადავიხადოთ ისეთი სრული ქორწილი, როგორც დას შეეფერებაო. აქედან ჩანს, რომ მეფემ რაკი ტარიელი იშვილა. მასა და ნესტანს ისე უყურებდნენ, როგორც და-ძმას. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ასეთი წაკითხვა აზრის მხრივ მისაღებია, მხოლოდ მეორე და მესამე ტაეპის სარიტმო სიტყვები ს რ უ ლ ი ა სხვადასხვა აზრით უნდა გავიგოთ, პირველი: გადავიხადოთ ქორწილი სრულია — ე. ი. სასახლისებური. მეორე: საჭურჭლე სრულია — ე. ი. მთლად. უნაკლულო, სრული. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მეორე ტაეპის ს რ უ ლ ი ა უნდა გავიგოთ უნაკლო, სრული ქორწილის აზრით, რადგან ყოველ დას არ შეშვების სასახლისებური ქორწილი, სადაც

საქურტლე სასახლისა უნდა მიეღოთ. კომისიამ. ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიიღო ეს შესწორება და გაგების მხრივაც მხარი დაუჭირა უკანასკნელ გაგებას: მეორე ტაეპის ს რ უ ლ ი გაგებულ იქნა: უნაკლო; მესამე ტაეპის ს რ უ ლ ი — სასახლისა.

515-ე სტროფი: მე გავგზავნე ყოვლგნით კაცი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გავგზავნე... კაცი-ს შესახებ ა. შანიძე შენიშნავს, რადგან მთელ რიგ ხელნაწერებში კ ა ც ნ ი მრავლობითშია მოცემული, ამიტომ გ ა ვ გ ზ ა ვ ნ ე ც მრავლობითში უნდა მივიღოთ: გავგზავნენ. ასევე საქურტლია ნაცვლად უნდა მივიღოთ საქურტლეთა, რადგან წამომხმელნი მრავლობითშია დასმული. საქურტლეთა იკითხება მთელ რიგ ხელნაწერებში. ყველა ეს შესწორება კომისიამ გაიზიარა. ამავე ტაეპში ა. შანიძეს შემოაქვს ასეთი შესწორება: მე გავგზავნე ყოვლგან კაცი, გავგზავნენ ყოვლგნით კაცი-ს ნაცვლად. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აქ შესაძლოა არ იყოს საჭირო შესწორება, რადგან წინა სტროფში ნათქვამია, რომ „კაცი გავგზავნოთ, მიიღონ ყოვლგნით საქურტლე სრულია“ — აქედან ჩანს, რომ კაცებს გზავნიან საქურტლის მისატანად (ყოველ მხრიდან), ამიტომ ამ სტროფშიაც ყოვლგნით უნდა დარჩეს. მიღებულ იქნა: ყოვლგნით კაცი. მეოთხე ტაეპში: იტევდა, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — იტევდეს.

516-ე სტროფი: მეფემან ბრძანა, მოკაზმეთ კარვითა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. სტროფში კამათს იწვევს მეოთხე ტაეპი. ა. შანიძე შენიშნავს, რომ ეს ტაეპი: შენ აქა ნახენ, კმარიან აქა ნახვისა კმანია — რაღაც გაუგებრად არის, საფიქრებელია დამახინჯებული იყოს. საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ხელნაწერში ასეა გარდა S 4988 ხელნაწერისა, რომელიც ასეთ წაკითხვას იძლევა: ნახე, ნუ წახვალ, შენგან ესეცა კმანია. ზოგიერთ გამოცემაშიაც ამ უკანასკნელი ხელნაწერის წაკითხვაა მიღებული. ს. იორდანიშვილი შენიშნავს, რომ, შესაძლოა, მეორე ტაეპის კ მ ა ნ ი ა შ ი დამახინჯებული იყოს ყ მ ა ნ ი ა. კ. კეკელიძეს შემოაქვს ამ ტაეპის ასეთი შესწორება: „შენ აქა ნახენ, კმარიან იქა ნახვისად ყმანია“ და ასე განმარტავს: შენ აქ ნახე, იქ კი მის სანახავად საკმარისნი იქნებიან სხვა ყმანი. ამ ტაეპში სხვა აზრი არ შეიძლება: ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ წინა ტაეპში ნათქვამია: მუნ მისად ნახვად გავიდნენ უშენოდ სპანი სხვანია. კ. კეკელიძე წინააღმდეგია ასეთი შესწორებისა და აღნიშნავს, რომ, როდესაც რომელიმე ხელნაწერი იძლევა აზრის მხრივ სწორ წაკითხვას, მაშინ ასეთ რადიკალურ შესწორებას ვერ შევიტანთ ტექსტში. კ. კეკელიძე უპასუხებს, რომ ამ შემთხვევაში შესწორება შეგვაქვს ყველა ხელნაწერის ერთნაირად დამახინჯებული ტაეპის წაკითხვაში და ეს შესწო-

რება დამყარებულია სტროფის მესამე ტაეპზე, მასთან არავითარ წინააღმდეგობაში არ არის. ამ მხრივ რადიკალურ ცვლილებად ვერ ჩაითვლება ის წაქითხვაც კი, რომელიც მიღებული აქვს ზოგიერთ გამომცემელს. ხელნაწერის გადამწერს ვერ გაუგია რა დამახინჯებული მეოთხე ტაეპის აზრი, თავისებურად შეუსწორებია. კომისიამ მიიღო კ. კეკელიძის წარდგენილი შესწორება. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და კ. ჭიჭინაძე.

517-ე სტროფი: მოედანს დავდგი კარვები... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპი იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ თუ ჩვენ ამ ტაეპს — „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არ აღესებისა“ — ასე უცვლელად დავტოვებთ, უაზრობა გამოვა, რადგან გამოდის, რომ თითქოს არა სიმზიარულის, არა ზემის, არა აღესებისათვის, აღდგომისათვის შესაფერი საზეიმო დღე იყო. მაშინ, როდესაც წინა სტროფი და ამ სტროფის დასაწყისიც სწორედ საზეიმო სამზადისს აკვიწებს: მოკაზმეთ კარვითა მოედანია... მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა — აქ საგანგებოდ ზაზი აქვს გასმული საკარვე ატლასების სიწითლეს, ამიტომ უნდა იყოს „დღე, ჰგვანდა, არს აღესებისა“. ე. ი. ისეთი საზეიმო სამზადისი იყო, გვეგონებოდათ (ჰგვანდა) აღესების-აღდგომის დღე არისო. ამგვარად: „არ აღესებისა“, რომ წერია, აქ ს-ანი უნდა აკლდეს შეცდომით, უნდა გასწორდეს: არს აღესებისა. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ არს აღესებისა არუსთველს არ ექნებოდა, მისთვის დამახასიათებელია უარყოფითი არ, მისი სტილი რომ ვიცით, არსად ასეთი რამ არ გვხვდება. შეიძლება აქ იყოს არ ავსებისა და ავსება გამდიდრების მნიშვნელობით იყოს ხმარებული. ამასთან გრამატიკულადაც არ არის შეთანხმება. სხვა ზმნები წინ ნამყოშია და ახლა უცებ აწყო არს. შესაძლებელია აზრის მხრით აქ წარმოდგენილი შესწორება გასაზიარებელი იყოს. მაგრამ ფორმა არ მიმაჩნია მისაღებად. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ აქ უნდა დარჩეს „არ აღესებისა“ და ისე უნდა გავიგოთ, რომ თვალსაზრისი ტარიელისაა. მან იცოდა, რომ სიძეს უდგებოდა არა აღდგომის, არა საზეიმო დღე და ეს არის აქ გამოთქმულიო. ს. იორდანიშვილს მისაღებად მიაჩნია კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილი შესწორება. აზრის მხრივ აქ ისეთი თანამიმდევრობაა მოსალოდნელი, რომ სწორედ დღე საზეიმოს უნდა ჰგვანებოდა, ეს უნდა იყოს ნათქვამი, არც ფორმაა მიუღებელი. „არ აღესებისას“ ვერ დავტოვებთ და ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს ტარიელი აქ გამოთქვამდეს იმ აზრს, რომ ცუდი დღე, არა სასიხარულო დღე უთენდებოდა სასიძოსო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში აშკარა მაჰმადიანური სულია გატარებული, აქ კი ქრისტიანული აღესებაა ნახმარა და ამ მხრივ საექ-

ვოა, ამასთან უხეირო ფორმით არის გაწყობილი მეოთხე ტაეპში და ს-
-დ ა ს ე ბ ი ს ა. შესაძლებელია კაცს ეფიქრა სტროფი ყალბია და ის
ამოგველო, მაგრამ აქ არის ისეთი ადგილი, რომელიც გეაფიქრებინებს,
რომ სტროფი საჭიროა. წინა სტროფში ნათქვამია, რომ მეფემ უბრ-
-ძანა მოკაზმეთ კარვითა მოედანია და ეს სტროფი სწორედ ამ ბრძანე-
-ბის შესრულებით იწყება „მოედანს დავდგი კარვები“. უნდა ვიფიქ-
-როთ, რომ სტროფი შემდეგ დამახინჯებულა. კ. კეკელიძე აღნიშნავს,
რომ ვეფხისტყაოსანში არ შეიძლება ქრისტიანული მხარე მალად
უარყოფილ იქნას. ამ შემთხვევაში კი ავტორი პირდაპირ ხმარობს
ისეთ შედარებას ზეიმის აღსანიშნავად, რომ ქრისტიანულ დიდ საზე-
-იმო დღესასწაულს, აღვსებას, იხსენიებს. [კომისიამ ტაეპი ხელუხლებ-
-ლად დატოვა] შესწორების მომხრენი იყვნენ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე,
ს. იორდანიშვილი.

518-ე სტროფი: მე დავშვერ, ვითა წესია... კომისიამ ძირითადად
მიიჩნია. პირველ ტაეპში: საურავ გარდახდილისა, დაიწერა — საურავ-
-გარდახდილისა. მეორე ტაეპში: მომდომოდა, დაიწერა — მომდომოდა.

518¹-ე სტროფი: მე შინა წაველ... ჩანართად ცნეს. შესწორება
სასვენ ნიშნებს შეეხო მხოლოდ.

519-ე სტროფი: ცხენისაგან არ გარდავხე... ძირითადად მიიჩნიეს.
მეორე ტაეპში გასწორდა: ვკითხე — ვკითხე; მილდი — ჰმილდი. მე-
-ოთხე ტაეპში, H 1839 ხელნაწერზე დაყრდნობით, გასწორდა: გაუწყ-
-ველად; გავაქილდი — გავვაქილდი.

520-ე სტროფი: შევედით, ვნახეთ ბალიშა ზედა... ძირითადად
ცნეს. მესამე ტაეპში: რასა სდეგ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გას-
-წორდა — რასა სდგა. კ. ჭიჭინაძე მხარს უჭერდა: რასა სდეგ.

521-ე სტროფი: მე მეწყინა, აღარა ვთქვი... კომისიამ ძირითადად
მიიჩნია. პირველ ტაეპში ხელნაწერების მიხედვით გასწორდა: ფიცხ-
-ლავ — ფიცხლად. მეორე ტაეპში: უნდი, დაიწერა — ვუნდი. მესამე
ტაეპში: როგორ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — რავგარ.

შემდეგ სხდომას (1935, X, 17), დაესწრნენ: ს. იორდანიშვილი,
ს. კაცაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს
და დაადგინეს 522 — 531 სტროფები.

522-ე სტროფი: ასა უბრძანე მონასა... ძირითადად ცნეს. პირ-
-ველ ტაეპში: უბრძანე, გასწორდა — ვუბრძანე. მეოთხე ტაეპში: ვით
ხამდა, გასწორდა — თუცა ხამდა.

523-ე სტროფი: კარვის კალთა ჩახლართული... ძირითადად მი-
-იჩნიეს. კამათს იწვევს პირველი ტაეპის სართომო სიტყვა: ჩავაქარაბა-
-კე. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ხელნაწერთა უმრავლესობა და გამომ-
-ცემლებიც ამ სიტყვას ჩ ა ვ ა ქ ა რ ა ბ ა კ ე-დ წარმოგვიდგენენ და ჩვენც

ასე უნდა მივიღოთო. ს. იორდანიშვილი უფრო სწორად მიიჩნევს ჩ ა ვ ა ქ ა რ ა ბ ა კ ე -ს, რადგან უფრო აზრიანია. ქარაბაქი ღლესაც ცოცხალი სიტყვაა მთაში და ნიშნავს ეზოში ხის ტოტებისაგან გაკეთებულ ზაჭს. სიტყვა საბასაც აქვს ამ ფორმით შემონახული, აზრითაც უფრო უდგება: კარავის კალთა რომ ჩავქერ, კარავი ქარაბაქს ვამსგავსებო. ამიტომ ჩ ა ვ ა ქ ა რ ა ბ ა კ ე უნდა დარჩესო. მიღებული იქნა: ჩავაქარაბაკე. წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. მეორე ტაეპში: შეუტაკე, დაიწერა — შევეუტაკე. მესამე ტაეპში: მიხვდა, გასწორდა — მიჰხვდა. მეოთხე ტაეპში: და წამოველ, გასწორდა — წამოცავე.

523¹-ე სტროფი: აწ გაუცუღდეს ფარსადანს... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: ძრობანი, გასწორდა — ზრობანი. მეოთხე ტაეპში: მოზღვეს, გასწორდა — მოსღვეს.

524-ე სტროფი: ხმა დამივარდა შეიქნა... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: წამოველ, გასწორდა — წამოვე. მეოთხე ტაეპში გასწორდა: მაშიგან — მუნ შიგან; შეველ — შევე.

525-ე სტროფი: კაცი გავგზავნე, ვაცნობე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: კაცი გავგზავნე — კაცნი გავგზავნენ; ყოველგნით — ყოვლგან; მეოთხე ტაეპში: ჩემსა რა სცნიან — ჩემი რა ცნიან.

526-ე სტროფი: ცისკრად ავღებ, შევეკაზმე... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ვნახე, დაიწერა — ვნახენ.

527-ე სტროფი: ხვარაზმშას სისხლი უბრალო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შემადებინე, გასწორდა — დამადებინე. მეორე ტაეპში: მე რად არ შემატყობინე, გასწორდა — რად არა შემავებინე.

528-ე სტროფი: მე შეუთვალე მეფეო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: შეუთვალე — შევეუთვალე; მეორე ტაეპში: მიშლი — მიშლის.

529-ე სტროფი: იცით, ინდოთა სამეფო... ძირითადად მიიღეს. კ. ჭიჭინაძე მოითხოვს მეორისა და მესამე ტაეპის ერთიმეორის ადგილას გადაქმას, რადგან მეოთხე ტაეპი უფრო კარგად ებმის მეორე ტაეპს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ რადგან ხელნაწერთა უმრავლესობა და ვახტანგის გამოცემა ამ სტროფს ამგვარი თანამიმდევრობით წარმოგვიდგენს, როგორც ს. კაკაბაძის გამოცემაშია, ამასთან არსებითი განსხვავება არ არის აზრთა თანამიმდევრობის მხრივ, ამიტომ შეიძლება დარჩეს ისე, როგორც იყო. ტაეპები არ გადასმულა. მესამე ტაეპში: ამოსწყდა, გასწორდა — ამოწყდა.

530-ე სტროფი: ვერ გათნე, თქვენმან კეთილმან... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ერთილა, გასწორდა — ერთაი. მესამე ტაეპში:

დასვა, დაიწერა — დაჰსვა. მეოთხე ტაეპში: მე მერტყას, გასწორდა — მერტყას მე.

531-ე სტროფი: შენი ქალი არად მინდა... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: შენგან, გასწორდა — ჩემგან. მესამე ტაეპში: მისცა, დაიწერა — მასცა.

კომისიის 19 ოქტომბრის სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ქიქინაძე. განიხილეს და დაადგინეს 532 — 544 სტროფები.

532-ე სტროფი: ესე კაცი გამეგზავნეს... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გამეგზავნეს, გასწორდა — გამეგზავნენეს.

532¹-ე სტროფი: შავმან საწყალმან ასმათმან... ჩანართად მიიღეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

533-ე სტროფი: გამოჩნდეს ორნი ქვეითნი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ვსცანშცა, გასწორდა — ვცანცა. მეოთხე ტაეპში: აღარცა, დაიწერა — არცაღა.

534-ე სტროფი: იგი ვნახე, დავებნივე... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: უხმე, დაიწერა — ვუხმე.

535-ე სტროფი: ახლოს მიველ, კვლაცა ვკითხე... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: მიველ... ვკითხე, გასწორდა — მივე... ვკითხე. მეორე ტაეპში: მაშიღვა, გასწორდა — მოეღვა. მესამე ტაეპში: დიდხანს, დაიწერა — დიდხან.

536-ე სტროფი: მერე მითხრა, მოგახსენებ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მერე, დაიწერა — მერმე. მეორე ტაეპში: ეგრე, დაიწერა — აგრე.

537-ე სტროფი: მიამბო, ოდეს სასიძო მოჰკალ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მოკალ დაიწერა — მოჰკალ. მეოთხე ტაეპში გასწორდა: გამოჩივარდა, — გამომჩივარდა.

538-ე სტროფი: კადრეს აჟა აღარ არის... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: კადრეს, დაიწერა — ჰკადრეს; მესამე ტაეპში: სისხლი, დაიწერა — სისხლნი, მეოთხე ტაეპში: დასთმიან, გასწორდა — დათმიან.

539-ე სტროფი: აწ, თავმან ჩემმან... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: უთხარ, გასწორდა — ვუთხარ. მეოთხე ტაეპში: ესა, დაიწერა — ეს ა.

540-ე სტროფი: მის მეფისა წესი იყო... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: გასტეხის, გასწორდა — გატეხის.

541-ე სტროფი: დავარს დასა მეფისასა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: წაეხდე, გასწორდა — მოეკვდე; ა. ბარამიძე მხარს

მწერდა წავხვდეთ-ს. ნეოთხე ტაეპში: იგივე ვრმან, გასწორდა — იგივე მან.

542-ე სტროფი: პატრონი ჩემი აგრევე იყო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: წამოხველ, გასწორდა — წამოხვე. მეორე ტაეპში: მვენოდეს, დაიწერა — ჰშვენოდეს.

543-ე სტროფი: როსკიპო, ბოზო დიაკო... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: საქმომ, დაიწერა — საქმრო. მეოთხე ტაეპში: მიხვდე, დაიწერა — მიხვდე.

544-ე სტროფი: ხელი მიყო წამოზიდნა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მიყო, გასწორდა — მიჰყო. მეორე ტაეპში: პირი მო-უქუშნა, გასწორდა — პირი მოიქუშნა. მესამე ტაეპში: სულ თქნა, გასწორდა — სულთქნა.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, X, 20), დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, [ს. კაკაბაძე], ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 545—550 სტროფები.

545-ე სტროფი: რა დავარ გაძლა უემითა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: წარმოდგენეს, გასწორდა — წამოდგეს. მესამე ტაეპში: მოჰქონდა, გასწორდა — მოიღეს; წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე.

545-ე სტროფი: მან უთხრა, წაღით, დაკარგეთ... იწვევს კამათს. ი. აბულაძე სტროფს სტილის მხრივ შემდეგი დროის ჩანართად თვლის. ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძის შეხედულებას და დასძენს, რომ სიპი, რომელსაც ვხვდებით ამ სტროფში, არსად ვეფხის-ტყაოსანში არ არის ხმარებული. ვ. ბერიძე სტროფს საკუთრად მიიჩნევს აზრის თანამიმდევრობის მხრივ. სტროფში ნაჩვენებია, თუ სად უნდა გადაკარგონ ქაჯებმა ნესტანი. ამასთან სტროფი ყველა ხელნაწერში არის. ს. კაკაბაძე აცხადებს, რომ მას სტროფი შეტანილი აქვს თავის გამოცემაში და მომხრეა მისი ძირითად ტექსტში დატოვებისა. ს. იორდანიშვილის აზრით, ის გარემოება, რომ სტროფი ვახტანგის გამოცემაში არ არის შეტანილი და შინაარსითაც ექვს იწვევს (რად უნდა გახარებოდით ქაჯებს ნესტანის გადაკარგვა?) სტროფის ძირითადობას საეჭვოდ ხდის. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი სიუჟეტურად აშუცილებელია. მისი აზრით, აქ ზღვის ჭიპი, სადაც ქაჯებს უნდა გადაეკარგათ ნესტანი, არის „ოდისეის“ пуп океана. ეს გარემოება ცხადყოფს მისი დამწერის ბიოგრაფიის ერთ-ერთ შტრიხს. მას წაკითხული აქვს „ოდისეი“. რაც შეეხება უჩვეულო იპი იპია-ს, ეს პოეტს ნახმარი აქვს ქაჯების სიხარულის გამოსახატავად. ასეთ უცნაურ სიტყვებს დანტეც მიმართავს. ის გარემოება, რომ ვახტანგის გამოცემაში ეს სტროფი არ არის, აშკარად ამტკიცებს იმას, რომ ვახტანგის გამოცემა არავითარ დედნად არ შეიძლება მიღებულ იქნას.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფის დამწერს თუ გამოყენებული აქვს ოდისეიდან ზღვის ქიზი, ეს მე-16 საუკ. ადრინდელი ამბავი არ უნდა იყოს და სტროფს საეპიკოდ ხდისო. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი. 1936 წ. 7 მაისს კომისია ამ სტროფის საკითხს კვლავ დაუბრუნდა და იგი იბრითადად მიიღეს.

546-ე სტროფი: ზღვათაყენ გავლეს სარკმელნი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ზღვათაყენ გავლეს, გასწორდა — ზღვათაყენ გავლნეს. მეორე ტაეპში: დამქოლავს, გასწორდა — დამქოლოს.

546¹-ე სტროფი: ნესტანდარეჯან ქაჯთ მისცა... ჩანართად ცნეს. წაკითხვათა ცვლილებები არ შეტანილა.

546²-ე სტროფი: მზე დაუკარგა სოფელსა... ჩანართად მიიღეს. პირველ ტაეპში: დანასეს, გასწორდა — დანას ეს. მეოთხე ტაეპში: მოაშორევს ანასეს, გასწორდა — მოაშორევს¹⁰⁷ ანას — ეს.

547-ე სტროფი: რად არ მაკვირვებ... 548-ე სტროფი: მე უთხარ, დაო... და 549-ე სტროფი: მეტმან ზარმან გამაშმაგა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

549¹-ე სტროფი: შეველ, ფიცხლავ შევეკაზმე... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფს შეაქვს მცირე დეტალი გაყოლილი მონების შესახებ. სტილით შეუფერებელია რუშთველის ნაწარმოებებისათვის და ვახტანგს არა აქვს, ამიტომ ზედმეტად მიმაჩნიაო. ა. ბარამიძე სტროფს საკიროდ მიიჩნევს აზრთა თანამიმდევრობისათვის და მისი აზრით სტროფი ვახტანგს უნდა გამორჩენოდეს. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. სტროფში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

549²-ე სტროფი: სევდა დამერთო ასეთი... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

549-ე (ივ) სტროფი: შევიკუბრვე, ჩემთან ჩემნი... და 550-ე სტროფი: ნავსა ჩავჯე, ზღვასა შეველ... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: უნახავი გასწორდა — უნახავად. მეოთხე ტაეპში: თურმე, დაიწერა — თურე.

21 ოქტომბრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, [ს. კაკაბაძე], ა. შანიძე (თ-რე) და ქ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 551 — 560 სტროფები.

551-ე სტროფი: რომე დავყავ წელიწადი... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა: მეორე ტაეპში:

¹⁰⁷ დნ.: მოაშორევს.

მაგრამ — მაგრა; აიზმრად — სიზმრავ; მეოთხე ტაეპში: ვკადრებ — ვკვადრებ: ყოცა — ვყოცა.

552-ე სტროფი: ზღვა ზღვა ცურვა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: ზღვა ზღვა — ზღვა-ზღვა; გამოველ — გამოვე. მეორე ტაეპში: გამიმზავდა, ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა — გამიმხეცდა. მესამე ტაეპში: დარჩომოდა, ა. შანიძის წინადადებით, დაიწერა — დაპრჩომოდა. მეოთხე ტაეპი იწვევს კამათს: ა. შანიძე აღნიშნავს, რომ S 4988, H 461, 740 ხელნაწერებში ტაეპი: კაცსა ღმერთი არ გასწირავს, ასრე მისგან განაწირსა, იკითხება: კაცსა ღმერთი არ გაწირავს, სოფლისაგან განაწირსა. ს. იორდანიშვილის აზრით, მხოლოდ ასეთი წაკითხვაა მისაღები, რადგან სოფლისაგან გაწირულს ღმერთი არ გასწირავსო — ეთანხმება ვეფხისტყაოსანში გატარებულ სოფლისა და ღმერთის ურთიერთობას, სხვაგვარ წაკითხვაში აზრი არ არისო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ, მართალია, მცირე ხელნაწერებშია მოცემული „ღმერთი არ გასწირავს სოფლისაგან განაწირსა“, მაგრამ ჩვენ ეს წაკითხვა უნდა მივიღოთ, ასევეა: ვამ სოფელში... ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ხანდახან შედარებით ნაკლებ სანდობ ხელნაწერებშიაც შეიძლება იყოს უფრო სწორი წაკითხვა შემონახული. ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ S 4988, H 461, 740 ხელნაწერების ისეთს წაკითხვას: სოფლისაგან განაწირსა — ვერ ვამჯობინებთ ყველა სხვა ხელნაწერში მოცემულ წაკითხვას: ასრე მისგან განაწირსა. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ უნდა დარჩეს: ასრე მისგან განაწირსა — იმ აზრით, რომ პირველად ღვთისაგან განაწირ კაცს ბოლოს მაინც ღმერთი არ გასწირავსო. კომისიამ მიიღო: ასრე მისგან განაწირსა. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი. სოფლისაგან განაწირსა-ს მხარს უჭერდნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე.

553-ე სტროფი: ერთი და ესე ასმათი... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპში: ერთი და — ერთაი. მეორე ტაეპში: ჩემი—ჩემნი. მესამე ტაეპში: ვსცან ამბავნი — ვცნენ ამბავნი. ხელნაწერებში: ვსცნენ, დაწერილია — სანით, კომისიამ, ა. შანიძის წინადადებით, უსანოდ მიიღო.

554-ე სტროფი: ღამით მევლო, მოვიდოდი... ძირითადად მიიჩნიეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით მეორე ტაეპში გასწორდა: გვანდეს — ჰკვანდეს; კლდენი ნაღნი: — კლდეთა ნაღნი.

555-ე სტროფი: ხეთა ძირსა მივიძინე... ძირითადად ცნეს. სტროფში ცვლილებები არ მომხდარა.

556-ე სტროფი: ზახილი მესმა გავკვირდი... ძირითადად ცნეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპში: გავკვირდი

— შევხედენ. ვ. ბერიძე მოითხოვდა შევხედენ-ს ნაცვლად მიღებული ყოფილიყო: შევხედე. მეორე ტაეპში: შემოარბევდა — შემოირბევდა. მეოთხე ტაეპში: სწყრებოდა — წყრებოდა.

556¹-ე სტროფი: ფრიდონ მოყმე დაკოდლილი... კომისიამ ჩანართად მიიჩნია. დეფისით დაიწერა: პირველ ტაეპში — ზღვა ზღვა, მეორე ტაეპში: ბიძა ძეთა. მესამე ტაეპში: ლომ გულსა.

557-ე სტროფი: ზედაჯდა შავსა ტაიქსა... ძირითადად ცნეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპში: მე მითქს — მე მყავს. ს. იორდანიშვილი მხარს უჭერს — მე მითქს. მესამე ტაეპში: მდომელი — მნდომელი. მეოთხე ტაეპში: მიაგბე — მიჩვენე.

557¹-ე სტროფი: აქ ტარიელ შეეყრების... ჩანართად მიიღეს. შესწორება არ შეტანილა.

558-ე სტროფი: მას მონასა არა უთხრა... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. მეორე ტაეპში ფიცხლავ, H 757 ხელნაწერზე დაყრდნობით, გასწორდა — ფიცხლად; ჩაუსწარ — ჩავუსწარ; ჩაველ — ჩავე. მესამე ტაეპში: უთხარ — ვუთხარ. მეოთხე ტაეპში: შემამხედა, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — შემომხედნა. შემომხედნაში ნარის დაწერის წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე.

559-ე სტროფი: ფამიცადა, ღმერთსა კადრა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში, ხელნაწერებზე დაყრდნობით — კადრა, დაიწერა — ჰკადრა; ასეთი — ასეთნი. მეოთხე ტაეპში: საჭურჭლენი ამად ვითხენ — იწვევს კამათს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი წაკითხვა უაზრობაა და აქ უნდა იყოს ზოგიერთ ხელნაწერში მოცემული წაკითხვა: საჭურჭლენი გარ ვერ ვითხენ. უკანასკნელი ჭიტყვა ნიშნავს — გარშემო ვერ შემოვირტყი — შემოვირთხი, ამიტომ „გარ ვერ ვითხენ“ უნდა რაეთი დაიწეროს. ი. აბულაძე წინააღმდეგია, რომ გარ ვერ ვითხენ დაიწეროს რაეს ჩართვით. ამით რითმაც ირღვევა და ძველი ფორმა თხმა არისო. ა. შანიძე უპასუხებს, რომ თუ აქ ის აზრია, რომ საჭურველი ვერ შემოვირტყიო, მაშინ თხმა არ გამოდგება. ამ აზრით განიხილეთ იხმარება და არა განითხენ. შესაძლოა, აქ „საჭურჭლენი ამად ვითხენ“ ყოფილიყო, მაშინ აზრი იქნება: საჭურჭლე შევათხელე, დავხარჯეო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ აქ „უკანამავსა მილაატეს“ ნიშნავს, რომ შეუჭურველი, შეუიარაღებელი ვიყავი, იმიტომ მილაატეს, რომ ვერ შევირტყი, ვერ ვირთხენ საჭურველნიო. ამიტომ რაეს ჩართვით არ დაირღვეოდა რითმა: საჭიროდ მიმაჩნია დავტოვოთ გარ ვერ ვითხენ, მხოლოდ ერთად უნდა დავწეროთო. ა. ბარამიძის აზრითაც რ საჭიროა და „გარვერვირთხენ“ უნდა მივიღოთ. კ. ჭიჭინაძე წინააღმდეგია, რომ გარვერვირთხენ ერთად დაიწეროს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ „გარ-

ვერვითხენ“ ისევა შედგენილი შოთას მიერ, როგორც შევიტვატყე (ვით შევატყე) და თუ „შევიტვატყე“ ერთად უნდა დაიწეროს, ასევე ერთად უნდა დავწეროთ „გარვერვითხენ“ (ვერ გარვითხენ). ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „შევიტვატყე“ სხვა ბუნებისაა და „გარვერვითხენ“ ცალკე უნდა დავწეროთ. კომისიამ მიიღო ცალკე დაწერილობა. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი.

560-ე სტროფი: მე ვუთხარ, დადეგ... კომისიამ ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: დასწყნარდი, დაიწერა — დაწყნარდი. მეოთხე ტაეპში: მე გავეკვირვე მის ყმისა სიტურფე სინაზეთასა—კომისიამ, ხელნაწერებზე დაყრდნობით, მიიღო: მე გავეკვირვე ჰვრეტასა მის ყმისა სინაზეთასა. მესამე ტაეპში: უტკბოსი-ს ფორმის წინააღმდეგი იყო ვ. ბერიძე, მოითხოვდა უტკბესი-ს მიღებას. კომისიამ გაიზიარა ა. შანიძის აზრი, რომ უტკბოსი-ს სწორი ფორმაა და ისეა შედგენილი, როგორც უფროსი.

შემდეგ სხდომას (1935, X, 22) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 561 — 566 სტროფები.

561-ე სტროფი: ერთი მონა დასტაქარი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: წყლული, გასწორდა — წყლულნი. მეორე ტაეპში გასწორდა: პირი ამოართვა — პირნი ამოუხვნა; დაკოდილი — დაკოდილნი.

562-ე სტროფი: პირველ მითხრა, არა ვიცი... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: სანთელიმცა, გასწორდა — სანთელიცა.

563-ე სტროფი: მულღაზანზარის ქალაქი... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს პირველი ტაეპის პირველი სიტყვა — მულღაზანზარი. ი. აბულაძე კითხულობს თავის რედაქტორობით გამოცემული ვეფხისტყაოსნის შესავლიდან მულღაზანზარის ანალიზს (იხ. LV — LVI გვ.) და დაასკვნის, რომ აქ უნდა დარჩეს მულღაზანზარის ქალაქი. ა. ბარამიძე არ იზიარებს ი. აბულაძის მიერ წამოყენებულ მოსაზრებას მულღაზანზარის ქალაქის დატოვების შესახებ და თავის მხრივ აღნიშნავს, რომ მურღაზარი, როგორც ეს ცნობილია შაჰნამეში და ამ სტროფში, უნდა იკითხებოდეს: მურღაზარ არის ქალაქი. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ მულღაზანზარის მულღანზარისა-დ გასწორება სწორია, ერთის გამოკლებით, ყველა ხელნაწერში მულღაზანზარია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ყველა ხელნაწერი იმეორებდეს ერთის, უფრო ძველი ხელნაწერის, შეცდომას? მით უმეტეს, რომ ნამდვილად სიტყვა — მულღაზანზარი არ არსებობს, არამედ მხოლოდ მულღაზა-

რი ^{مرعزم} და სწორედ ასეა იგი ნახმარი შაჰნამეში: ა. „მსგავსი

სამოთხის ვარდისა, მულღანზარისა მფენანი (177); ბ. ესენი ვარდის საკრეფად მულღანზარს იარებთან (1310); გ. მას უკანით მულღანზარში მოსრულიყვნეს მისნი ქალნი (1379); დ. მთასუმბულით ყაყაობს და ველნი მულღანზარისა (2116)“. ამგვარი შესწორება აუცილებლად საჭიროა, რადგან ვეფხისტყაოსნის მეორე ადგილას ვგევე სიტყვა გვხვდება და თუ ტრადიციული წაკითხვა მივიღეთ, ლექსის რიტმი ირღვევა, სახელდობრ, 1037-ე სტროფის¹⁰⁸; „უბრძანა: „ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა? მან უთხრა „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე, მულღანზარისა“, არ ვარგა. აქ მეორე ტაეპში პირველი ნახევარი დაბალი შაირითაა, ხოლო მეორე — მაღალით. ასე უნდა შესწორდეს: „უბრძანა: ისი ვისია ხმა ზათქისა ზარისა“. მან უთხრა: ფრიდონ ხელმწიფე მეფეა მულღანზარისა“. აქ იმ მოსაზრების მოტანა, რომ ვეფხისტყაოსანში სხვაგანაც გვხვდება რიტმის დარღვევაო, უადგილოა. მართლია, გვხვდება, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ გაქირვებულ, გამოუვალ მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს და სად გაგონილა, „უჭირო კირი“ იქ შევექნათ, სადაც საამისოდ არავითარი ვასაჭირი არა გვაქვს. ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე იზიარებენ ი. აბულაძის მოსაზრებას და სტროფის დასაწყისს ასე კითხულობენ: მულღანზარის ქალაქი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მოკლე სიტყვა მურღანზარ ასე ვრცლად — მურღანზანზარ-ად არ გადაკეთდებოდა. ზარზარ დაბოლოებად ორჯერ შეუძლებელია. აქ უნდა ყოფილიყო: მურღანზარ შაპრისა — მურღანზარ ქალაქისა. შაპრში ჰაე დაიკარგებოდა და მივიღებდით მურღანზარშარისა. თუ აღვადგენთ ამ ფორმით უნდა აღვადგინოთ, თუ არა და უნდა დარჩეს, როგორც არისო. კომისიამ მიიღო: მულღანზარნი. მომხრენი იყვნენ ი. აბულაძე, ს. იორდანიშვილი და კ. ჭიჭინაძე. ვ. ბერიძე და ა. ბარამიძე მხარს უჭერდნენ მურღანზარ-ს; ა. შანიძე — მურღანზარს. მეორე ტაეპში: აქა, დაიწერა — მუნა. მესამე ტაეპში: სამზღვარი — საზღვარი.

564-ე სტროფი: მამის ძმა და მამაჩემი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

565-ე სტროფი: დღეს გამოველ ნადირობას... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მუნა გასვლა, გასწორდა: ქორის დევნა; წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე.

566-ე სტროფი: ნავით გამოველ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: ნავით გამოველ — ნავითა გაველ; გარდმოდოდა — გამოვიდოდა. მეოთხე ტაეპში, ა. შანიძის წინადადების თანახმად, გავიდოდა, გასწორდა — უდიდოდა.

კომისიის მორიგი სხდომა შედგა 1935, X, 23, დაესწრნენ:

¹⁰⁸ კ. ჭიჭინაძის გამოცემით.

ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე (თ-რე), ს. ჭიჭინაძე და ფრანგი ენათმეცნიერი ბრიერი. განიხილეს და დაადგინეს 567 — 570 სტროფები.

567-ე სტროფი: მართლად იჯავრეს წუნობა... ძირითადად მიიჩნიეს. H 461, 740 ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა მეორე ტაეპში: გამომეპარნეს — გამომპარნეს; შემიკრეს — შემიკრნეს (S 5006 ხელნაწერზე დაყრდნობით). მესამე ტაეპში: ბიძის ძენი — ბიძაძენი; ჩემიცა — ჩემნიცა.

568-ე სტროფი: მათი მესმა, დავინახე... ძირითადად მიიჩნიეს. ვ. ბერიძე იძლევა პირველი ტაეპის, — მათი მესმა, დავინახე ზახილი და ხრმალთა ელეა — ასეთ შესწორებას: მათი მესმა ზახილი და დავინახე ხმალთა ელეა. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ასეთი შესწორებით ფუძელება რიტმი. ტაეპი ძალიან კეთილხმოვნად არის შედგენილი და აზრი ნათელია. კომისიამ წარმოდგენილი შესწორება არ გაიზიარა. ტაეპი დარჩა უცვლელად. ხელნაწერების მიხედვით გასწორდა მეორე ტაეპში: ვთხოვე — ვსთხოვე; მენავესა — მენავეთა. მესამე ტაეპში: შეველ — შევე; მამეგება — მომეგება. მეოთხე ტაეპში მაგრამ — მაგრა; ქნეს — ქმნეს.

569-ე სტროფი: კვლავ სხვანი დიდნი ლაშქარნი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში, ხელნაწერების მიხედვით, გასწორდა: კვლავ — კვლა; მამეწეოდეს — მომეწეოდეს. მეორე ტაეპში: მამიხდეს — მომიხდეს; ერთ კერძ — ერთგნით. მესამე ტაეპში ხელნაწერებზე დაყრდნობით: მამწეოდეს, გასწორდა — მომწეოდეს.

570-ე სტროფი: მამეჯარნეს, ველარა ვქენ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა: მამეჯარნეს — მომეჯარნეს. მეორე ტაეპში: ზღვა ზღვა, დაიწერა ღეფისით; წამოუველ, დაიწერა — წამოვე; ჩემნი მკვრეტნი — იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ რადგან არის გ ა ვ ა ც ბ უ ნ ვ ე, ამიტომ „ჩემნი მკვრეტნი“ მხოლოდობითში უნდა მივიღოთო. ჩემი დადასტურებულია რამდენიმე ხელნაწერით და მკვრეტნი გვხვდება H 740 ხელნაწერში. კ. ჭიჭინაძე წინააღმდეგია ნ-არების ამოღებისა. ასეთი შეუკავშირებლობა რითმის გულისთვის შოთამ იცის და აქ მრავლობითის ნ-არები მეტ სიძლიერეს აძლევს ტაეპსო. ი. აბულაძე მხარს უჭერს „ჩემნი მკვრეტნი“-ს. კენჭის ყრით გავიდა: ჩემი მკვრეტი. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. ჭიჭინაძე. მესამე ტაეპში ყ ვ ე ლ ა კ ა ი, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — ყველაკანი; დამრჩა, ა. შანიძის წინადადებით, გასწორდა — დამრჩეს. მეოთხე ტაეპში: შემამხვდის, დაიწერა — შემომხვდის; მიუბრუნდი — მივეუბრუნდი.

შემდეგ სხდომას (1935, X, 25) დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 571 — 580 სტროფები.

571-ე სტროფი: აწ იგი იქნას... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაევში H 1839 ხელნაწერის მიხედვით: იქნას, დაიწერა—იქმნას. მეორე ტაევში: შერჩეს—შეპრჩეს. 3-აეს ჩამატების წინააღმდეგი იყო კ. ჭიჭინაძე — მესამე ტაევში: გაუზღი, დაიწერა — გაუზღი. მეოთხე ტაევში: უხმობ — ვუხმობ; მაზდან, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — მათ ზედა.

572-ე სტროფი: ამა ყმამან შემიკვეთა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაევში: მისკენ, H 599 ხელნაწერზე დაყრდნობით, დაიწერა — მისკე. მეორე ტაევში: ყოლე, ხელნაწერებზე დაყრდნობით, დაიწერა — ყოლა; მესამე ტაევში: მუნდა — მუნ, და.

573-ე სტროფი: ესეცა ვუთხარ ამბავი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაევში: უთხარ, დაიწერა — ვუთხარ. მეორე ტაევში: წყნარად, გასწორდა — წვრილად. მესამე ტაევში: არ შეეწონების, ხელნაწერების მიხედვით, გასწორდა — რა შეეწონების.

574-ე სტროფი: მივედით მისსა ქალაქსა... ძირითადად მიიჩნიეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა მეორე ტაევში: ისხემდეს — ისხმიდეს. მესამე ტაევში: გაყრიდეს — გაჰყრიდეს. მეოთხე ტაევში: კოცნიდეს — ჰკოცნიდეს.

575-ე სტროფი: კვლავ მოვეწონე, ვეტურფე... ძირითადად ცნეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაევში: კვლავ — კვლა. მეორე ტაევში შეემახმედიან იწვევს შენიშვნას. ა. შანიძის აზრით, ასეთი ფორმა კლასიკურ ხანისათვის არ არის ჩვეულებრივი. იგი ამჟობინებს ხელნაწერებში შემონახულ: შემასხემდიან-ს. კომისიის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ფორმა: შემასხმიდიან-ს. შემასხემდიან-ს მხარს უჭერდნენ ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი.

ქვემოთმოყვანილ სტროფების განხილვას ს. კაკაბაძე აღარ დასწრებია.

576-ე სტროფი: მოსჯობდა, ომი შეეძლო... ძირითადად ცნეს. პირველ ტაევში კამათს იწვევს მოსჯობდა-ს დაწერილობა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ აქ ს-ანი ზედმეტია და უნდა მივიღოთ მოსჯობდა, როგორც ეს შემოუწინაბავს ზოგ ხელნაწერს. კომისიის უმრავლესობა ამ წინადადებას იზიარებს. კ. ჭიჭინაძე წინააღმდეგია მოსჯობდა-დან ს-ანის ამოღებისა და აღნიშნავს, რომ უსანოდ ამ სიტყვის მიღებით მთლად მახინჯდება ეს სტროფი. პირველ ტაევში: ცხენ აბჯარისა, დაიწერა — ცხენ-აბჯარისა. მესამე ტაევში: ხამს, H 599, S 5006 ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — ხმდა; იაჯა, H 757 ხელნაწერზე დაყრდნობით, გასწორდა — ეაჯა.

577-ე სტროფი: მათი მესმა დააპირეს... ძირითადად მიიჩნიეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპში: დააპირეს — დაპირება. მესამე ტაეპში: ფიცხლა — ფიცხლად. მეოთხე ტაეპში გასწორდა: ქუსლი შევეც, დაუქცივე — ქუსლი ვკპარ და დაეუქცივე.

578-ე სტროფი: კვლავ სხვასა მიველ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში გასწორდა: კვლავ—კვლა; მიველ—მივე, ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპში: მოვეკიდე — მოვეკიდე. მეორე ტაეპში: დავანთქე — დავანთქი. მესამე ტაეპში: გამექცენს — გამექცეს; მიმართეს — მიპმართეს. მეოთხე ტაეპში გასწორდა: მიქვრეტდის — მიქვრეტდეს; უკვირდათ — უკვირდა.

579-ე სტროფი: ზღვა გავიარეთ, გავედით... ძირითადად ცნეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით პირველ ტაეპში გასწორდა: შემოგვიტიეს — შემოგვიტივეს. მეორე ტაეპში: კვლავ — კვლა. მესამე ტაეპში: მამეწონა — მომეწონნეს (H 461); სიქველე სიფიცხენია, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: ალვისა — ალვისაც.

580-ე სტროფი: თვით ორნივე ბიძის ძენი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ბიძის ძენი იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ უნდა დავტოვოთ ან ბ ი ძ ი ს ძ ე ნ ი, როგორც აქ არის, ანდა ბ ი ძ ა ს ძ ე ნ ი, როგორც ეს არის მოცემული ზოგ ხელნაწერში. კ. კეკელიძე წინააღმდეგია ს-ანის დამატებისა. იგი აღნიშნავს, რომ რადგან ბ ი ძ ა ძ ე ნ ი ძველს მწერლობაში იხმარება სწორედ ამ ფორმით და ვეფხისტყაოსნის მრავალი ხელნაწერიც ამასვე გვიდასტურებს, ამიტომ მივიღოთ ბ ი ძ ა ძ ე ნ ი-ო. კომისიამ მიიღო: ბიძაძენი. მესამე ტაეპში გასწორდა: მოიყვანა — მოიყვანა; მხარ დაკრულნი, დაიწერა დეფისით. მეოთხე ტაეპში: მისნი სპანი, ხელნაწერებზე დაყრდნობით, გასწორდა — მისნი ყმანი.

მორიგ სხდომას (1935, X, 26) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 581—589 სტროფები.

581-ე სტროფი: მათნი ლაშქარნი გაგვექცენს... ძირითადად ცნეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით გასწორდა პირველ ტაეპში: გაგვექცენს—გაგვექცეს. მეორე ტაეპში: ფიცხლავ—ფიცხლად; წაუღეთ—წავუღეთ; არ თავი ვააზატენით — იწვევს კამათს. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ამ ტაეპში „არ თავი ვააზატენით“ აზრს არ უდგება. რაკი დასაწყისში ნათქვამია: ფიცხლავ წავუღეთო — აქ მოსალოდნელი იყო: არ თავნი გაავაზანტენით — თავი არ გავიზანტეთო. H 2074 ხელნაწერში ეს სწორედ ასე არის დაცული. ამიტომ ისეთი შესწორება უნდა მივიღოთ, როგორც ეს მოეპოვება ი. აბულაძეს თავის გამოცემაში. კომისიამ ეს შესწორება გაიზიარა. მესამე ტაეპში: დავლენეთ,

დაიწერა — დავკლევით. მეოთხე ტაეპში: დალიოთ, დაიწერა — დაკლიოთ.

582-ე სტროფი: ფრიდონ ნახა საჭურჭლენი... ძირითადად ცნეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით პირველ ტაეპში გასწორდა: ნახა — ნახნა. ბეკელი მისი — ბეკელნი მისნი. მეორე ტაეპში: ბიძის ძენი — ბიძაძენი. მესამე ტაეპში: მოალვარნა, ველთა ასხნა — მოლვარნა და ველთა ასხნა.

583-ე სტროფი: მივედით, მოქალაქეთა ზარი ჩნდა... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: აჯათა მქნელი მკვრეტელთა... იწვევს შენიშვნას. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ამ დამახინჯებული სტროფის შესახებ მან მოხსენება წაიკითხა რუსთველის სახ. ინსტიტუტში და რომ მისი აზრით ეს ტაეპი ასე უნდა გასწორდეს: „აჯათა მქმნელნი“, რაც ნიშნავს არაბულ აჯაბუნის ნიადაგზე — საკვირველებას, ფოკუსს. ასეთ შესწორებას მხარს უჭერს ახლად აღმოჩენილი ზაზასეული [Q 1082] ხელნაწერი და ვახტანგის კომენტარები, სადაც ვკითხულობთ: აჯაბი საკვირველი არის. კომისიამ ეს შესწორება გაიზიარა.

ქვემოთყვანილ სტროფების განხილვაში ს. კაკაბაძეც მონაწილეობდა.

584-ე სტროფი: ლაშქარნი ფრიდონს მეფედ... ძირითადად ცნეს. ხელნაწერების მიხედვით მესამე ტაეპში გასწორდა: მპოეს — მპოვეს. მეოთხე ტაეპში: სცნიან — ცნიან.

585-ე სტროფი: დღესა ერთსა მე და ფრიდონ... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: ქედსა რასმე გარდავდევით... იწვევს კამათს. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ აზრისთვის გარდავდევით უფრო მისაღებია, მაგრამ რადგან აქ რითმა არის — ედით, ამიტომ ამის ნაცვლად უნდა მივიღოთ H 461 ხელნაწერის წაკითხვა: გარდავედით. კომისიამ ეს წინადადება მიიღო.

586-ე სტროფი: მე ვკითხევდი, ფრიდონ მეტყვის... ძირითადად ცნეს. ხელნაწერების მიხედვით პირველ ტაეპში გასწორდა: ვკითხვედი — ვკითხხვედი. მესამე ტაეპში: ზღვასა — ზღვათა; გვანდა — ჰგვანდა; ხმელეთ — ხმელთა. მეოთხე ტაეპში: უგებდი — მუგებდი. კ. ჰიჭინაძე შენიშნავს ზოგადად ამ სტროფის შესახებ, რომ იგი ნაწილობრივ წარმოადგენს გამეორებას წინა 585-ე სტროფში ნათქვამისას. წინა სტროფში ვკითხულობთ: ფრიდონ მითხრა... და დაწყებულია ამბავი. ეს მომდევნო სტროფი კვლავ იწყებს: მე ვკითხევდი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოღენსა... შემდეგ, მეორე ტაეპი: დღე ერთმწოდდა ნადრობა, შეეჯე ამა ჩემსა ცხენსა — გამეორებაა წინა სტროფის: გითხრობ რასმე, ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით... მიუხედავად ამისა, ეს სტროფები ძირითადადია და უნდა გვანსოვდეს,

რომ ასეთი გამეორებანი ძირითად ტექსტში ხშირად გვხვდება და გამეორება არ არის საბუთი იმისა, რომ სტროფი ყალბად მივიჩნიოთ.

587-ე სტროფი: ზოგჯერ ზღვისკენ მივიხედნი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ზღვისკენ, დაიწერა — ზღვისკე.

588-ე სტროფი: ვთქვი, რა არის, რას ვამგზავსო... ძირითადად მიიჩნიეს. ხელნაწერებზე დაყრდნობით პირველ ტაეპში გასწორდა: ვამგზავსო — ვამსგავსო; ფრინველია — მფრინველია.

589-ე სტროფი: ამოძვრნეს ორნი მონანი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ამოძვრნეს, დაიწერა — ამოძვრეს. ხელნაწერების მიხედვით გასწორდა მეორე ტაეპში: ვნახე — ვნახენ. მესამე ტაეპში: კრთებოდა — ჰკრთებოდა; გვანდეს — ჰგვანდეს. მეოთხე ტაეპში: გაანათლოს — განანათლა. ამ ტაეპში კამათს იწვევს სამყარო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ აქ უნდა დარჩეს სამყარო და უარყოფილ იქნას ზოგიერთ ხელნაწერის ქვეყანა, რადგან სამყაროს დატოვებით გამოხატულია უფრო მეტი ძალა მისი სინათლისა. მას მარტო დედამიწა კი არ გაუნათლებია, არამედ სამყარო: ს. იორდანიშვილი წინააღმდეგია სამყაროს დატოვებისა და მხარს უჭერს ქვეყანას, როგორც ეს წარმოდგენილია 14 ხელნაწერში. მით უმეტეს, რომ აქ ნათქვამია: ქალი გადმოსვეს ნაპირზე — და უფრო ბუნებრივია ფრიდონს ეთქვა მან გაანათლა ქვეყანაო. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ბგერების მხრივ აქ სამყარო უფრო უღებბაო. კენჭის ყრით მიღებულ იქნა — სამყარო. ქვეყანის მიღებას მხარს უჭერდნენ ა. ბარამიძე; ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე.

კომისიის მორიგ სხდომაზე. (1935, X, 27, ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, კ. ჭიჭინაძე) განიხილეს და დაადგინეს 590 — 599 სტროფები.

590-ე სტროფი: სიხარულმა ამაჩქარა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: სიხარულმა, გასწორდა — სიხარულმან.

591-ე სტროფი: ცხენი გავქუსლე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: იქმოდა, გასწორდა — იქმოდის. მეორე ტაეპში: მიუსწარ — მიეფუსწარ.

592-ე სტროფი: ესე მესმა ფრიდონისგან... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მონადენი, გასწორდა — დანადენი. მეოთხე ტაეპში: ენახოსმცა — ენახამცა. ტაეპის დასაწყისი: ვუთხარ, მომკალ, უჩემოსა — მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. კეკელიძე. მათი აზრით, უმჯობესია ხუთ ხელნაწერში მოცემული წაკითხვა: მომკალ, თუცა უჩემოსა... კამათს იწვევს აგრეთვე ტაეპის დასასრული: ის ხე. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ყველა მიღებულ წაკითხვიდან რითმისათვის უფრო

მისაღებია კ. ჭიჭინაძის მიერ მიღებული შესწორება: ისიც ხე, რომელიც Q 1082, S 4988, H 2610 ხელნაწერებშია შემონახული. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ასეთი წაკითხვა თუ მარტო დასახელებულ ხელნაწერებშია და სხვაგან არ მოიპოვება, არ არის სანდო, რადგან მათ ახასიათებს თავთავიანთი ვარიანტები. უმჯობესია დარჩეს: ის ხე. კომისიამ მიიღო: 'ენახამცა ვისცა ისც ხე. წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე და ს. კაკაბაძე.

593-ე სტროფი: ესე ჩემგან გაუკვირდა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ცხელნი ცრემლნი გადმოსთოვა, გასწორდა — ცრემლი ცხელი გადმოსთოვა.

594-ე სტროფი: ვაგლახ მეო... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: მცდარმან, გასწორდა — მცთარმან. მეოთხე ტაეპში: რადგან — რათგან.

595-ე სტროფი: ფრიდონს უთხარ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

596-ე სტროფი: კვლავცა მითხრა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი იწყება ყალბის მქნელის ჩვეულებრივი „კვლავცა მითხრა“-თი. სტილიც მძიმეა. სტროფი ამოღებული უნდა იქნესო. ვ. ბერიძის აზრით, სტროფი ფორმალურად რუსთველისაა, აზრის თანამიმდევრობით საქირთა, ფილოსოფიაც რუსთველისაა. მისი ამოღება ყოვლად შეუძლებელიაო. კომისიამ სტროფი ძირითადად მიიჩნია. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. სტროფში არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

597-ე სტროფი: წამოვედით ნატირებნი... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: მამივლინა, გასწორდა — მოავლინა. მეოთხე ტაეპში: შეგემეცნე, — შეგემეცენ; რალა, — რად რა.

598-ე სტროფი: არავინ გესვა მოყვარე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: არავინ, გასწორდა — არ ავი. მეოთხე ტაეპში: ხანისად — წამისად.

599-ე სტროფი: მან მითხრა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ამასლა მიჯობს, გასწორდა — მიჯობს ლა ამას.

კომისიის შემდეგ სხდომას (1935, X, 28), დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, [ს. კაკაბაძე], კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 600 — 605¹ სტროფები.

მე-600 სტროფი: ესე ქალაქი გზა არის... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გწვავს, გასწორდა — დაუწვავ. მეოთხე ტაეპში კამათს იწვევს ტაეპის დაბოლოება: მაგაჰირთა და დაეალთა. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ხელნაწერებში ეს ტაეპი სხვადასხვაგვარად იკითხება: მაგ., H 599 ხელნაწერში ვკითხულობთ: ნუ თუ ღმერთმან ქნას გარდასვლა

ამაგა ჰირთა მრავალთა; S 2829...—გარდახდა ამაგა ჰირთა მრავალთა: H 757—გარდასვლა ამაგა ჰირთა ვალთა; H 461—გარდახდა მაგ შენთა ჰირთა და ვალთა; S 4499 — გარდახდა მაგა ჰირთა და დავალთა... მისი აზრით, ყველაზე სწორი უნდა იყოს S 4499 ხელნაწერის წაკითხვა: ჰირთა და დავალთა. დავალი სპარსული სიტყვაა და აღნიშნავს: საწუთროს გამწირაობას, სოფლის სიმუხთლეს, უკუღმართობას (измена). ვახტანგის გამოცემაში მარცვლის ნაკლებობა შეესებულება: „მაგაა ჰირთა და ვალთა“ წაკითხვით, რაც მიუღებელიაო. ა. ბარამიძე არ იზიარებს ი. აბულაძის მოსაზრებას სტროფის დაბოლოებად — ჰირთა და დავალთა-ს მიღების შესახებ და აღნიშნავს, რომ აქ ჩვეულებრივ ჰირისა და ვალის გარდახდაზე უნდა იყოს ლაპარაკი. მას მისაღებ წაკითხვად მიაჩნია H 461 ხელნაწერიდან მომდინარე წაკითხვა: მაგ შენთა ჰირთა და ვალთა. ვ. ბერიძე მხარს უჭერს ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ დავალის ვალად გააზიანება ზოგიერთ ხელნაწერში შემდეგი დროის მოვლენა უნდა იყოს, იგი მოითხოვს, რომ აქ მიღებულ იქნას „ჰირთა და დავალთა“ და ამასთან დაკავშირებით გადაისინჯოს 133-ე სტროფი: გამოემართა ავთანდილი... მესამე ტაეპში ჩვენ მიერ უმართებულოდ მიღებულნი: იგია ნივთი და ვალი. ამ შემთხვევაშიაც უნდა აღვადგინოთ დავალიო. კ. კიკინაძე აღნიშნავს, რომ დავალი იმ გავებით, როგორც აქ აღნიშნეს, შიგნით ტექსტში არსად გვხვდება. ამასთან დავალის განმარტება, რომელიც აქ ი. აბულაძემ წარმოგვიდგინა, ბუნდოვანია. სიტყვა უჩვეულოა ქართული მწერლობისათვის. ამიტომ აქ უნდა დარჩეს წაკითხვა: მაგ შენთა ჰირთა და ვალთა. ს. იორდანი-შვილი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის მსგავსი ადგილების დაკვირვება (სტრ. კაკაბ. გამოც. 133,330), განსაკუთრებით 330-ე სტროფის მეოთხე ტაეპი — მაშინ დავიწყე გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა — მაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაშიც ვალი უნდა გვქონდეს და წაკითხვა „მაგ შენთა ჰირთა და ვალთა“ უფრო სწორი უნდა იყოსო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ დავალი აქ წარმოდგენილი სპარსულის გავებით არა გვაქვს დამოწმებული ჩვენს ლიტერატურაში და ამიტომ ცხადლივ საეჭვო წაკითხვას ნუ მივიღებთო. იგი სწორად მიიჩნევს: მაგ შენთა ჰირთა და ვალთა. კომისიამ მიიღო ასეთი წაკითხვა, წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და ვ. ბერიძე.

601-ე სტროფი: ჩვენ გავგზავნოთ... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გავგზავნოთ, გასწორდა — გავგზავნენთ. მეორე ტაეპში: ვისგან, დაიწერა — ვისთვის. მეოთხე ტაეპში: იქნების—ეგების; თუცა ლხინმან არა სძლია, გასწორდა — თუმცა ლხინმან არ დასძლია.

602-ე სტროფი: კაცნი იხმო... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: იხმო, დაიწერა — იხზნა. მეოთხე ტაეპში: რამც უშვიდეთ, რამცა ურევეთ, გასწორდა — რადმც უშვიდეთ, ანუ ურევეთ.

602¹-ე სტროფი: ტარიელ გვითხარ სიმღერა... ჩანართად ცნეს. მეოთხე ტაეპში: მოგვრინავითა, გასწორდა — მოგვეკრი ნავითა.

602²-ე სტროფი: მოასხნა ფრიდონ... და 602³-ე სტროფი: სხვანი წამოდგნეს... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

603-ე სტროფი: აჩინა კაცნი... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპის შესახებ ვ. ბერიძე აღნიშნავს, „ძებნეთ ყოველგან“ თუ იქნება. მაშინ რაეცა მიუღებელია, უნდა იყოს: ძებნეთ ყოველგან, სადაც. კომისიამ ეს აზრი არ გაიზიარა. მესამე ტაეპში: რომე მლხენოდეს, გასწორდა — მორე მლხენოდეს.

604-ე სტროფი: ფრიდონ საჯდომი... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: საჯდომი დამიდგა, გასწორდა — საჯდომნი დამიდგნა.

604¹-ე სტროფი: ზღვათა და ხმელთა... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

605-ე სტროფი: რას ვაგარძელებდე... ძირითადად ცნეს. კამათს იწვევს სტროფის სარიტმო სიტყვები: მძებნელი (1), მცნობელნი (3). კ. ჭიჭინაძის აზრით, უფრო მისაღები წაკითხვა იქნება: მცნობელნი და მთხრობელნი. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ H 2074 ხელნაწერში სარიტმო სიტყვები ასე არიან წარმოდგენილნი: 1. მთხრობელნი, 2. დამაშრომელნი, 3. მცნობელნი, 4. შეუშრობელნი. კომისიამ მიიღო პირველ ტაეპში — მძებნელის ნაცვლად: მცნობელნი, ხელნაწერებზე დაყრდნობით. მესამე ტაეპში: მცნობელნის ნაცვლად: მშობელნი.

605¹-ე სტროფი: ვთქვი, რა მაკლდა... იწვევს კამათს. კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ სტროფი პირველად შეიტანა ბროსემ, შეიტანა აგრეთვე მან თავის გამოცემაში. სიუჟეტურად იგი საჭიროა. ტარიელი გმობს თავის საქციელს, რომ იგი აქ ლხინს მიეცემა და ნესტანი კი ტყვედ ეგულება. ამით ამზადებს თავის წასვლას და შემდეგ უცხადებს კიდევ ფრიდონს, რომ ველარ დავდგებო. სტროფი ყველა ხელნაწერშია და უთუოდ უნდა იქნეს მიღებული. ი. აბულაძე სტროფს ჩანართად თვლის და სტილის მხრივ სრულიად შეუფერებელს რუსთველისათვის. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი არ აქვს ვანტაჟს და განსაკუთრებით საფრთხილოა მისი ძირითად ტექსტში შეტანა. კონტექსტითაც სტროფი არ არის საჭირო, შინაარსულად რაიმე ახალ მომენტს არ შეიცავს. ს. კვავაძე აღნიშნავს, რომ აზრის მიხედვით თითქმის არ არის სტროფი საჭირო, მაგრამ გამოტოვება შეუძლებელია, რადგან ყველა ხელნაწერში მოიპოვება, ამიტომ მე ვუჭერ მხარს მის დატოვებას ძირითად ტექსტში. ვ. ბერი-

ძის აზრით, სტროფი უნდა დარჩეს ძირითად ტექსტში. მართალია, პირველი ტაეპის დასასრული — სპათა ვკვრეტ და ვსვამ იგია — მე-17 ს. პოეტს მოგვაგონებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მეოთხე ტაეპში „ზრმალსა ხელსა რაღასა¹⁰⁹ ვხდი, ცუდად შიგან რას მიგია“, ნამდვილი რუსთველურია. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ წინა 604-ე სტროფით უკვე აშკარად ჩანს, რომ ტარიელი ამბავს მოკლედ ჰრის: რას ვაგრძელებდეთ და ახლა კიდევ საუბარი თავისთავთან და საყვედურები სრულიად ზედმეტია და სტილისტურადაც, როგორც აქ აღნიშნეს, შემდეგი ღროის ჩანართს უფრო ჰგავს, ვახტანგსაც არ აქვს და მხარს ვერ დაუჭერო. კ. კეკელიძეს სრულ უაზრობად მიაჩნია პირველი ტაეპის დასასრული — „მე ვსვამ და იგია“. სტროფი ზედმეტია და 604-ე სტროფიდან უშუალო გადასვლა 605-ე სტროფზე სრულიად ბუნებრივია. როდესაც გაგზავნილი ამბის მცნობელნი უშედეგოდ დაბრუნდნენ, ტარიელმა პირდაპირ მიმართა ფრიდონს და განუცხადა, რომ ველარ დავდგებო. კომისიამ სტროფი ჩანართად მიიჩნია. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე და კ. კიკინაძე. მეორე ტაეპში: ზღვასა, დაიწერა — ზღვათა, მეოთხე ტაეპში: რაღასა, გასწორდა — ველარას.

შემდეგ სხდომას (1935, X, 29) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. განიხილეს და დაადგინეს 606 — 617² სტროფები.

606-ე სტროფი: მე ფრიდონს ვუთხარ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

607-ე სტროფი: მაშა მე მისსა ამბავსა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ცრემლითა, გასწორდა — სისხლითა.

608-ე სტროფი: თუცა დია მოიქირვეს... და 609-ე სტროფი: ეგრე ვუთხარ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

609¹-ე სტროფი: ღმერთი მყავს მოწმად... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

610-ე სტროფი: მერმე ფრიდონ მოიყვანა... ძირითადად მიიღეს. მიღებულ იქნა: მეორე ტაეპის წაკითხვის — „მიტხრა: ხედავ, პირმზისა, თქვენ საროს ა ეგე ხენი“-ს დადგენასა და გაგებას კომისია დაუბრუნდეს შემდეგ სხდომაზე. მორიგ სხდომაზე (1935, XI, 1) კ. კეკელიძემ ამ ტაეპის შესახებ წარმოადგინა შემდეგი შესწორება: „მიტხრა: ხედავ პირმზისა, თქვენ საროს ა ეგე ხენი“-ს ნაცვლად: მიტხრა: „ჰხედავ პირი მზისა, თქვენ საროსა ეგე ხენი“ — ამის ანალოგია

¹⁰⁹ დნ.: ველარას.

გვაქვს ჩვენ მიერ მიღებულ 579-ე სტროფის მეოთხე ტაეპშიო: „იბრ-
ძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისა ხენია“. კომისიამ მიიღო წარ-
მოდგენილი წაკითხვა. მესამე ტაეპში: ძღვენი რამცა, გასწორდა —
ძღვენი რადმცა. მეოთხე ტაეპში: სახედრობა, გასწორდა — სახედ-
რობა.

611-ე სტროფი: ფრიღონ გამომყვა... ძირითადად ცნეს. მეოთხე
ტაეპში: გამზრდელ-გაზრდილთა, გასწორდა — გაზრდილ-გამზრდელ-
თა; თავი, დაიწერა — თავნი.

612-ე სტროფი: ფრიღონისით წამოსრულმან... ძირითადად ცნეს.
მეორე ტაეპში: არე, დაიწერა — არა. მესამე ტაეპში: ვერსად, გას-
წორდა — ვერას.

613-ე სტროფი: ვთქვი, თუ ჩემგან... ძირითადად მიიჩნიეს. პირ-
ველ ტაეპში: აღარაა, გასწორდა — აღარა ხამს. მეორე ტაეპში: სია-
რულმან — სიახლე მან. მესამე ტაეპში: ამ ასმათსა, გასწორდა — ამა
ასმათს.

614-ე სტროფი: აწ წალით და მე დამავდეთ... ძირითადად ცნეს.
მეორე ტაეპში: ჩემთა, გასწორდა — ჩემთათ. მეოთხე ტაეპში: ჰაი,
ჰაი, დაიწერა — ჰაი.

615-ე სტროფი: უშენოსა ნუმცა ვნახავთ... ძირითადად მიიღეს.
პირველ ტაეპში: ნუმცა, დაიწერა — ნუცა. მეოთხე ტაეპში: თურმე
— თურე.

616-ე სტროფი: ველარ გავგზავნენ... [ძირითადად ცნეს]. მესამე
ტაეპში: სამყოფი, გასწორდა — სამყოფნი. მეოთხე ტაეპში: დავსტ-
კეპნე — დავტკეპნე; მინდორი — მინდორნი.

617-ე სტროფი: ესე ქვაბნი უკაცურნი... ძირითადად ცნეს. მეო-
რე ტაეპში: ამოვსწყვიტე, გასწორდა — ამოვწყვიდენ.

617¹-ე სტროფი: დეენი დახოცნა ტარიელ... იწვევს კამათს. კ.
კიკინაძე აღნიშნავს, რომ ეს სამი სტროფი: 617²-ე, 617³-ე, 617⁴-ე
მას სიუჟეტურად საკვიროდ მიაჩნია და პირველი თუ სხვა გამოცე-
მებშიაც იყო შეტანილი, ორი უკანასკნელი მან პირველმა შეიტანა.
სტროფები არა აქვს შეტანილი ს. კაკაბაძესაც. ძირითად ტექსტში
დევებთან ბრძოლა არ არის ამოწურულად მოცემული. ამ სტროფე-
ბით კი ეს ხარვეზი ივსება. აღსანიშნავია ისიც, რომ S 5006 ხელნა-
წერის მინიატურთა მხატვარი დევებთან ბრძოლას სწორედ ამ
სტროფების მიხედვით ხატავს. ეს სამი სტროფი შესანიშნავად რის
დაწერილი და თითქმის ყველა ხელნაწერშია. ვ. ბერიძე იზიარებს კ.
კიკინაძის შეხედულებას პირველი სტროფის დატოვების შესახებ ძი-
რითად ტექსტში. დევებთან ომის სილიადე აქ საკმაოდ არის ამოწუ-
რული და შემდეგი ორი სტროფი ზედმეტი არისო. ს. კაკაბაძე აღ-

ნიშნავს, რომ ეს სტროფები, თუმცა კარგად არის დაწერილი, მაგრამ შეტანილია მხოლოდ ისეთ ხელნაწერებში, რომელთაც გარკვეულ ადგილიდან აშკარად ნართაული ტაეპები ახასიათებთ. ამიტომ წინააღმდეგი ვარ მათი ძირითად ტექსტში შეტანისა. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ 617-ე სტროფით ამოწურულად არის მოცემული ღვებთან შებმის შედეგად ქვაბის ხელთ ჩაგდება და პირდაპირი გადასვლაა მომდევნო (618) სტროფზე: აჰა, ძმაო, მაშინდლიდგან... ეს ჩანართი სტროფები კი ღვებთან ბრძოლის აღწერილობას გვაძლევენ აშკარად სხვა ავტორის სიტყვებით და თანამიმდევრობითი თხრობის ძაფი ირღვევა. 617¹-ე სტროფი: ღვენი დახოცნა ტარიელ..., 617²-ე სტროფის მეოთხე ტაეპი და შემდეგი ჩანართი სტროფები კვლავ განაგრძობენ საუბრის ძაფს, მაგრამ სტილით უსათუოდ სულ სხვაა, ვიდრე ძირითადი სტროფები. ა. ბარამიძეს 617-ე სტროფით: ესე ქვაბნი უკატურნი — სრულებით ამოწურულად მიაჩნია ღვებთან ბრძოლის ამბავი. აქ ისიც კი არის ნათქვამი, თუ რა ზიანი მოუტანა: მათ მონანი დამიხოცნეს, ჯავრნი ავად მოეკაფნეს, საწუთრომან დამალრიჯნა, ცქაფნი მისნი კვლავ მეცქაფნესო. აქედან პირდაპირი გადასვლაა შემდეგ 618-ე სტროფზე. ეს ოთხივე სტროფი ჩანართად უნდა მივიჩნიოთ. მიაქციეთ ყურადღება, რომ იარაღად აქ ხანჯალი არის დასახელებული, რომელიც ვეფხისტყაოსანში სხვა ადგილას არსად არ გვხვდებაო. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ არის ერთი უცნობი ფშაველი პოეტი, რომელიც ვაჟა-ფშაველასავით ხალხურ კილოზე წერს და ეს სტროფები, განსაკუთრებით: დაღამდა, ომი დასწყენარდა, გუმბათსა დაჯდა მთვარეო — მისი დაწერილი უნდა იყოს. სტროფები ყველა ამოსაღებია. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ 617-ე, სტროფში სხარტად არის ნათქვამი ღვების ქვაბის ხელში ჩაგდება და მათი ამოწყვეტა. ეს ჩანართი სტროფები იმ ციკლისა არის, რომელთაც უნდათ ამ ფაქტის გაზღაპრება და როგორც ასეთი ამოსაღებია. სტროფი 617¹ — ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

617²-ე სტროფი: ღვეთა ყვირილი, ზახილი... ჩანართად მიიჩნიეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

კომისიამ სხდომა განაგრძო ნოემბრის 1-ს. დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 617³ — 632 სტროფები.

617³-ე სტროფი: პირველი რაზმი დავფრიწე... ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: ქვაბის, დაიწერა — ქვაბთა. მეოთხე ტაეპში: ხანჯალითა, გასწორდა — ხანჯრითა; დის, დაიწერა — სდის.

617¹-ე სტროფი: დაღამდა, ომი დასწყნარდა... ჩანართად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: დასწყნარდა, გასწორდა — დაწყნარდა; გუბათსა, დაიწერა — გუმბათსა.

618-ე სტროფი: აჰა, ძმაო, მაშინდლიდგან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მაშინდლიდგან, გასწორდა — მაშინდლითგან. მეორე ტაეპში: ვსტირ, დაიწერა — ვტირ. მესამე ტაეპში: არის მისთვის, გასწორდა — არს მისთვისვე.

619-ე სტროფი: რომე ვეფხი შევნიერი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მამისახავს, დაიწერა — მომინახავს.

620-ე სტროფი: მისსა ვერ იტყვის ქებასა... იწვევს კამათს. ო. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი მეტისმეტი ახალი და უშნო სტილით არის დაწერილი, ამიტომ ჰაკიროდ მიმაჩნია მისი სქოლონში ჩატანაო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფი ყველა ხელნაწერსა და ყველა გამოცემაშია. აზრის მხრივ არაფერია ნათქვამი ისეთი, რაც ტარიელის სულიერ განწყობილებას ეწინააღმდეგებოდეს. აზრთა თანამიმდევრობას არ უშლის და ამიტომ უნდა დარჩეს. კომისიამ სტროფი ძირითადად მიიჩნია. მესამე ტაეპში: მათებრივ, გასწორდა — მათებრვე.

620¹-ე სტროფი: აჷ ათია წელიწადი... იწვევს კამათს. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ თუ ამ სტროფს გამოვტოვებთ, მაშინ არ გვეცოდინება, რამდენი წელიწადია მას შემდეგ, რაც ტარიელი ინდოეთით არის წამოსულიო. ა. ბარამიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი წელიწადი იყო გასული მას შემდეგ, რაც ნესტანი და ტარიელი ინდოეთიდან იყვნენ წამოსულები, შემდეგში გამხდარა საჭირო და ერთ-ერთ ყალბის მქნელს ეს ამ სტროფით გამოუთქვამსო. კომისიამ სტროფი ჩანართად ცნო. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. მესამე ტაეპში: ამას სრულა, გასწორდა — ამას რულა (რაულად-ის გაგებით).

621-ე სტროფი: პირსა იცა, გაიხეთქა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: აახეწა, დაიწერა — აიხეწა. მეორე ტაეპში: გარდაიქვა — გარდიქცია; მესამე ტაეპში: ავთანდილსაც, გასწორდა — ავთანდილსცა.

622-ე სტროფი: ტარიელ უთხრა ავთანდილს... და 623-ე სტროფი: ავთანდილ უთხრა, მე შენი... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

624-ე სტროფი: რა აქიმი დასნეულდეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში — „მაჯისაცა შემტყობარის“ შესახებ ს. კაკაბაძე ეჭვს გამოთქვამს და აყენებს ასეთ წაკითხვას ხელნაწერებზე დაყრდნობით: მაჯაშისა შემტყობარი. მისი აზრით, აქ უნდა იგუჯონდეს არა-

ბულ-სპარსული სიტყვა მაჯასუნ, რაც პულსს, მაჯისცემას აღნიშნავს. კომისიამ ამ სიტყვის შემოწმება დაავალა ა. შანიძეს. უკანასკნელის ცნობა ამ საკითხზე არ ჩანს. საიუბილეო გამოცემაში კი დაბეჭდილია: მაჯაშისა, როგორც ს. კაკაბაძე მოითხოვდა. მეორე ტაეპში: შემტყობარი, გასწორდა — შემტყვებარი. მეოთხე ტაეპში: სხვამან სხვისა, გასწორდა — სხვისა სხვამან.

625-ე სტროფი: რაცა გითხარ, მამისმინე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გითხარ, დაიწერა — გითხრა. მეორე ტაეპში: ვისი — ვისგან.

626-ე სტროფი: იგი ვნახო, სიყვარული... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

627-ე სტროფი: რომე აქათ არ წახვიდე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: შემიპირო, გასწორდა — შემეპირო... მეორე ტაეპში: შეგაჯერო, გასწორდა — შეგიჯერო. მეოთხე ტაეპში: აგრე, დაიწერა — ეგრე.

628-ე სტროფი: მან მიუგო... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: აგრე, დაიწერა — ეგრე. მეორე ტაეპში: ნორჩი — მორჩი.

629-ე სტროფი: პირი შენი ნახვად ჩემად... ძირითადად იქნა ცნობილი. მეორე ტაეპში: არ ირმოს და, გასწორდა — არ იირმოს.

630-ე სტროფი: ამას ზედან შეიფიცენს... [ძირითადად მიიჩნიეს]. მესამე ტაეპში: შეუყვარდათ, გასწორდა — შეუყვარდა; მიწყვიღეს, გასწორდა — სწვადეს მიწყვი.

631-ე სტროფი: ავთანდილცა მას თანავე... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მას თანავე მას ღამესა, გასწორდა — მასვე თანა ტიროდა და.

631¹-ე სტროფი: ავთანდილს ასმათ ჩამოყვა... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი სტილის მხრივ მძიმეა, ამასთან მას უარყოფს S 2829 ხელნაწერი. სტროფი უარყოფილ უნდა იქნას. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფი აზრთა თანამიმდევრობის მხრივ საკიროა, რადგან მომდევნო სტროფი 632-ე: ადრე მოვალ, არ გაგწირავ — პასუხია ამ სტროფში გამოთქმულ ასმათის ხვეწნა-მუდარაზე, რომ ავთანდილი ადრე მისუღიყო. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. მესამე ტაეპში: კენებოდა, დაიწერა — კენებოდა.

632-ე სტროფი: ადრე მოვალ, არ გაგწირავ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: დავყოფ, დაიწერა — დავზამ. მეორე ტაეპში: ნურსად, დაიწერა — ნუსად. მესამე ტაეპში: დასაგვანსა — დაუგვანსა. მეოთხე ტაეპში: მიცემულვარ, გასწორდა — მივცემივარ; თურმე — რასმე; თანის თანსა, დაიწერა — თანისთანსა.

შემდეგ სხდომას (1935, XI, 2), დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს. 633—641 სტროფები.

633-ე სტროფი: იგი მუხით წამოსრული... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: წამოსრული, გასწორდა — წარმოსრული. მეორე ტაეპში: გაამხოკლა, გასწორდა — განამხოკლა. მესამე ტაეპში: გაამლოკლა — განამლოკლა. მეოთხე ტაეპში: ფიცხლა, დაიწერა — ფიცხლად. ი. აბულაძე და ა. შანიძე სტროფს სტილის მიხედვით ჩანართად მიიჩნევდნენ.

634-ე სტროფი: მუნ მოვიდა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: როგორამცა, გასწორდა — რაგვარადცა. მესამე ტაეპში: შერმადინსაც, გასწორდა — შერმადინსცა; ფიცხლავ, დაიწერა — ფიცხლად. მეოთხე ტაეპში: ლხინი, გასწორდა — ლხინნი.

635-ე სტროფი: მიეგება, მოეხვია... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: მიეგება, გასწორდა — გაეგება. მეორე ტაეპში: ცრემლთა ღვრიდეს, გასწორდა — ცრემლსა ღვრიდა. მესამე ტაეპში: ვართუ. გასწორდა — ვხედავ. მეოთხე ტაეპში: გჰვრეტდეს — გჰვრეტდენ.

636-ე სტროფი: ყმამან მდაბლად მოიკითხა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ჭირად, გასწორდა — ჭირი. მეოთხე ტაეპში: და თუნდა — თუ უნდა.

637-ე სტროფი: მივიდეს, სადა სამყოფლად... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: დგას, დაიწერა — დგა. მეორე ტაეპში: მოვიდეს — მოვიდა.

638-ე სტროფი: შერმადინს უთხრა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: მისი, გასწორდა — მისგან. მეორე ტაეპში: მჩანს — მიჩს.

639-ე სტროფი: მუნ ამბავი შინაური... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: რაც მიბრძანე, გასწორდა — რაცა მითხარ. მეოთხე ტაეპში: გაათენა — განათენა.

640-ე სტროფი: არცაღა დაჯდა... ძირითადად ცნეს. გადაენაცვლათ ადგილები მეორე და მესამე ტაეპებს. მეორე ტაეპში: მივა, გასწორდა — წავა.

641-ე სტროფი: შესთვალა, მეფე უკადრი... ძირითადად მიიჩნიეს. პირველი ტაეპში: დიდებით, დაიწერა — დიდობით. მეორე ტაეპში: რიდებით — რიდობით. მესამე ტაეპში: ფლიდებით — ფლიდობით. მეოთხე ტაეპში: ყველასა, დაიწერა — ყოველსა; მშვიდებით — მშვიდობით.

641¹-ე სტროფი: ფიცხლავ გაგზავნეს მეფისა... ჩანართად ცნეს.

პირველ ტაეპში: უმზეო, გასწორდა — უმზეოდ. მესამე ტაეპში: იყოს — იყო.

კომისიის შემდეგ სხდომას (1935, XI, 3), დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თ-რე) და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 642 — 649 სტროფები.

642-ე სტროფი: როსტევეან, მეფე უკადრი... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფის პირველი ტაეპი ისეა დაწერილი, რომ სათაურს უფრო მოგვეგონებს. წინადადებაში შემასმენელი არ არის. ეს შეიძლება დამართოდა უნიჭო პოეტს და არა შოთას, რომელიც ენის თილისმა არისო. 642-ე და 643-ე სტროფები შინაარსითაც უადგილოა და ნაძალადევი ლექსით არის დაწერილი, ამიტომ როგორც ასეთები, მე ჩანართად მიმაჩნიაო. ა. ბარამიძე არ იზიარებს ი. აბულაძის შეხედულებას და აღნიშნავს, რომ რამდენადაც ამ სტროფებში მოთხრობილია შერმადინის მოციქულობის ამბავი მეფისა და თინათინისადმი და ეს არ ეწინააღმდეგება მოთხრობის მსვლელობას, სტროფები უნდა დარჩეს. სტილის მხრივაც სტროფებს არაფერი აქვთ დასაწუნო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ პირველი სტროფი (64) მასშიაც იწვევს ეჭვს. ჯერ ერთი — რა არის: როსტევეან, მეფე უკადრი, მორჭმული, შეუპოველი! ტაეპში აზრი არ არის. ჩვენ უნდა მივხედეთ მეორე ტაეპითა, რომ შერმადინმა ყოველივე მოახსენა როსტევეან მეფეს. ამ აზრის გამოთქმა რუსთველს არ გაუჭირდებოდა. შემდეგ — მესამე ტაეპი: ავთანდილ მოვა წინაშე... გამეორებულია 643-ე სტროფის მეორე ტაეპში: ავთანდილ მოვა წინაშე. რადგან მეორე სტროფი უფრო საჭიროა — შერმადინს თინათინისათვის უნდა ეხარებინა ავთანდილის მოსვლა, — ამიტომ 642-ე სტროფი ეჭვს იწვევსო. ვ. ბერიძე ძირითადად მიიჩნევს ორივე სტროფს. 642-ე სტროფის პირველი ტაეპი ერთგვარი შეძახილია: აჰა, როსტევეან მეფე, და მას მოახსენა შერმადინმა ავთანდილის მოსვლაო. ბრუნებებში შეუთანხმებლობის მიზეზით სტროფს ვერ ამოვადგებთ. შინაარსით ორივე საჭიროა. კ. ჭიჭინაძე სტროფებს ძირითადად მიიჩნევს. მას შესაძლებლად მიაჩნია დაეჭვება უფრო მეორე სტროფის მიმართ. პირველში კი, როსტევეანისადმი შერმადინის მოციქულობა რომ არის, სადაც აცნობებს, ავთანდილი მოდის მის ყმისა ვისმე მპოვნელიო, დაეჭვებაც არ შეიძლება. მის მიმართ ის სიხარული, რომელიც განიცადა როსტევეანმა, გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: „ვეცან ჩემი ღმრთისაგან სააჯო და სათხოველი“, რაც ნამდვილი რუსთველური ტაეპია. ორივე სტროფი ძირითადად უნდა დარჩესო. ს. იორდანიშვილი იზიარებს სტროფების მომხრეთა შეხედულებას. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ამ სტროფებში

ყველაფერი ისე არ არის, რომ უეჭველად რუსთველური სტილით დაწერილად ვცნოთ. ასეთია, მაგალითად, პირველი ტაეპი 642-ე სტროფისა, მისივე მეოთხე ტაეპი: ვცან ჩემი ღმრთისაგან სააჯო და სათხოველი — რიტმი ირღვევა. 643-ე სტროფში: მზისაცა უთამაშოსა — დარღვევაა ფორმის. ამოღების საკითხი სხვა არის, მაგრამ ასეთი ეჭვის ქვეშ დაყენება კი შეიძლებაო. სტროფები ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. კ. კეკელიძე წინააღმდეგი იყო 642-ე სტროფის ძირითადად მიღებაზე.

642¹-ე სტროფი: რა მოისმინა მეფემან... ჩანართად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: მოგვეცეს, გასწორდა — მოგვეცა. მესამე ტაეპში: განთიადისა — განათინისა.

643-ე სტროფი: თინათინს კადრა... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

644-ე სტროფი: მეფე შეჯდა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: გვანდა, გასწორდა — ჰგვანდეს.

645-ე სტროფი: რა მიეახლა... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: თაყვანსა სცემს, გასწორდა — თაყვანი-სცა. მეორე ტაეპში: როსტევან მეფემან ნიშტითა, გასწორდა — როსტან მიმხვდარმან ნიშატთა.

645¹-ე სტროფი: მოვიდა პირმზე ავთანდილ... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

646-ე სტროფი: ავთანდილცა თაყვანი-სცა... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: ავთანდილცა, გასწორდა — მას ავთანდილ.

647-ე სტროფი: მას დღე დასხდეს... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

647¹-ე სტროფი: ყმა ახლოს უჯდა... ამ ადგილას სტროფი ჩანართად ცნეს. გადატანილ იქნა 684-ე სტროფად.

648-ე სტროფი: სმა გარდახდა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: გაუშვეს, გასწორდა — გაუშვნეს. მეოთხე ტაეპში: მისსა მგზავრობასა, გასწორდა — მისი უცნობისა.

649-ე სტროფი: მას ვახსენებდე... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

ტექსტის დამდგენი კომისიის მორიგი სხდომა შედგა ნოემბრის 4, დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიჭინაძე. განიხილეს და დაადგინეს 650 — 657 სტროფები.

650-ე სტროფი: რა ჰირი კაცსა... იწვევეს კამათს. ი. აბულაძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს. ნახმარი ფორმები ნაძალადეგია და გაუგებარი: მოუთმინამან, ლაწვი ცრემლითა მინამან და სხვა. სტროფი

აზრის მხრივაც სრულიად ზედმეტიაო. ვ. ბერიძე სტროფს ძირითადად მიიჩნევს. პოეტური თავისუფლებით გამოწვეული ზოგიერთი თავისებურება რითმების (ლაწვი ცრემლითა მინამან) და აქედან გამოყვანილი გაუგებრობის მიზეზები არ ვგაძლევს უფლებას სტროფი ჩანართად ვცნოთ. ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძის 'მეორე სტროფის ჩანართობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას. სტროფის მეოთხე ტაქტში ნათქვამია, რომ წერილად უამბო ამბავი მანო და შემდეგ სტროფში კვლავ გაგრძელებულია ამბავი. ეს წინააღმდეგობაც მხედველობაში მისაღებია. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფში მოცემულია ის სულიერი მღელვარება, რომელიც განიცადა ავთანდილმა ტარიელის გახსენებაზე (ავთანდილ, მისმან მხსენემან, ლაწვი ცრემლითა მინამან) და, როგორც ასეთს, ზედმეტად ვერ მივიჩნევთ, თუმცა ფორმები მეტად თავისუფალიაო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ყოვლად დაუშვებელია ზმნა მინამან, ასეთი თავისუფალი ფორმები არა აქვს რუსთველს. სტროფი არც აზრთა თანამიმდევრობით არის საკირო. კ. ჭიჭინაძე სტროფს ძირითადად თვლის და აღნიშნავს, რომ რუსთველს 806-ე სტროფშიაც აქვს ასეთი თავისუფალი ფორმა: უგულო კაცი ვერ კაცობს. კაცთაგან განაკიდიან, მაგრამ ამის გამო სტროფს ჩანართად ვერ მივიჩნევთო. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და კ. კეკელიძე. პირველ ტაქტში: დაუთმოს, გასწორდა — მოუთმოს. მესამე ტაქტში: მხსენემან — მხსენებმან.

651-ე სტროფი: ქვაბნი წაუხვამს დევთათვის... ' ძირითადად ცნეს. პირველ ტაქტში: წაუხვამს, გასწორდა—წაუხმან. მესამე ტაქტში: ტანს ვეფხის ტყავი, გასწორდა—ვეფხისა ტყავი; უც, დაიწერა — უჩს.

652-ე სტროფი: რა დაასრულა ამბავი... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაქტში: და თვალად, გასწორდა — მის თვალად. მესამე ტაქტში: იამა-ს ნაცვლად ა. შანიძის წინადადებით მიღებულ იქნა—ეამა; წინააღმდეგნი იყვნენ კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე.

653-ე სტროფი: გამხიარულდა თინათინ... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

654-ე სტროფი: ყმა წავეიდა მხიარული... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაქტში: მოარული, გასწორდა — მინდორს რული.

655-ე სტროფი: მზე მორკმული... ძირითადად ცნეს. პირველ ტაქტში: მორკმული, გასწორდა — უყადრი; უყადრი, გასწორდა — მორკმული. მეორე ტაქტში: ეფრათი, დაიწერა — ეფრატსა. მეოთხე ტაქტში: ვით, დაიწერა — ვინ.

656-ე სტროფი: ყმა მხიარული წინაშე... ძირითადად მიიღეს. მე-

ორე ტაეპში: სხედან, გასწორდა — სხენან. მეოთხე ტაეპში: პოვე, პა-ტიენი ნახე, გასწორდა — ჰპოვეა, პატიენი ნახენ.

657-ე სტროფი: კადრა, რა კაცსა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: ეამ პირველ, გასწორდა — ვით დღისა. მესამე ტაეპში: წყლითა, გასწორდა — წყალთა.

შემდეგ სხდომას (1935, XI, 5) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 658 — 668 სტროფები.

658-ე სტროფი: მუნ სარო, მგზავსი... იწვევს კამათს. ი. აბულაძე სტროფს ჩანართად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ პირველი ტაეპი: მუნ სარო, მსგავსი ვარდისა... გამეორებდა წინა სტროფის მეოთხე ტაეპისა: მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრამ აწ ფერნაკლულისა. მაგრამ რამდენადაც აზრიანია იქ, უაზროა ამ სტროფში: სარო მგზავსი ვარდისა. შინაარსითაც ეს სტროფი არაფერს ახალს არ იძლევა და უადგილოდ არის ჩაჩხირებული. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სტროფი გაგრძელებდა წინა სტროფისა. იქ ნათქვამი იყო, რომ მან ნახა ფერნაკლული ტარიელი და აქ: რომ იგი სარო, ძეწისა მსგავსი სასოწარკვეთილი იყო (მისკირდა მი ნები). ენის მხრივ სტროფი ცუდი არ არის და უნდა დარჩეს ძირითად ტექსტში. ა. ბარამიძე იზიარებს ი. აბულაძის აზრს სტროფის ჩანართობის შესახებ. სტროფი შინაარსეულად ახალს არაფერს იძლევა და აუცილებელი არ არისო. „მუნ სარო, მსგავსი ძეწისა“ თუ დავტოვებთ, ესეც არ ივარგებს, რადგან ძეწის ფართე ტოტებიანია და საროს არა ჰგავსო. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ პირველი ტაეპის სიტყვები: შენ სარო მსგავსი ვარდისა, უსათუოდ უხეირო შედარებაა. უკეთესია დარჩეს: მუნ სარო, მსგავსი ძეწისა. სხვაფრივ სტროფი შეიძლება ძირითადად დავტოვოთ. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ მისი აზრითაც სტროფი საჭიროა. ს. იორდანიშვილის აზრით, მართალია, სტროფი იწყება წინა სტროფის მეოთხე ტაეპის ნაწილობრივი გამეორებით, მაგრამ სტროფში მაინც არის ახალი აზრები ტარიელსა და მისი დამწველის შესახებ (მით ვიწვი, რადგან ჩემებრვე ცეცხლი სწევას მოუთმინები), ასე რომ სტროფს ზედმეტად ვერ მივიჩნევთო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორს არ ჩვევია წინა სტროფის ტაეპში გამოთქმული აზრის გამეორება და გაფართოება. ეს ჩვეულება აქვთ ყალბისმქნელებს და ეს სტროფი ერთი მათგანის დაწერილი უნდა იყოს, ამიტომ მე ვერ დავუტყურ მხარს მის ძირითად ტექსტში დატოვებასო. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და კ. კეკელიძე. პირველ ტაეპში: მგზავსი ძეწისა, გასწორდა — მსგავსი ვარდისა. ვ. ბერიძე და ა. შანიძე მხარს უჭერდნენ: მსგავსი ძეწისა-ს. მეორე ტაეპში: ვარდი, დაიწერა — ბროლი.

659-ე სტროფი: სიარულსა მისგან ძებნად... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: უჩანს, გასწორდა — უჩსო.

659¹-ე სტროფი: ეგონების მისი მკვლელი... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

660-ე სტროფი: ნუ მკითხავ, ქება ვით ითქმის... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ვით ითქმის, ვ. ბერიძის წინადადების თანახმად, შეიცვალა — რა გადრო. მეორე ტაეპში: სხვა არვის, გასწორდა — არლარა. მეოთხე ტაეპში: შეეკონების, გასწორდა — შეიკონების.

661-ე სტროფი: წვრილად ჰკადრა... ძირითადად მიიღეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

662-ე სტროფი: მზესა რა ესმა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მზესა, გასწორდა — ქალსა.

663¹-ე (ზ) სტროფი: თუ მოყვარე მოყვრისათვის... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

663¹-ე (ივ) სტროფი: ყმამან ჰკადრა... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

663¹-ე სტროფი: თუ მოყვარე მოყვრისათვის... ჩანართად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

664-ე სტროფი: ხამს მოყვარე მოყვრისათვის... ძირითადად ცნეს. ცვლილებები არ შეტანილა.

665-ე სტროფი: მზე ეტყვის... ძირითადად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

666-ე სტროფი: საწუთრო კაცსა... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: კაცი რად შეუწუხდების, გასწორდა — თვით რად ვინ შეუწუხდების.

667-ე სტროფი: შენ არ გატეხა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ხელ ქნილმან, გასწორდა — ბნელქმნილმან; მამეფაროს თუ ცისა? გასწორდა — მამეფაროს მი, ცისა?

668-ე სტროფი: ყმამან ჰკადრა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ვიახლო, გასწორდა — გეახლო. ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ მესამე ტაეპის ქვეით კოცნა-ს ნაცვლად: შორით კოცნა-ს.

კომისიამ მუშაობა განაგრძო 6 ნოემბერს. სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 669 — 671 სტროფები:

669-ე სტროფი: ვაი, თუ გავიჭრე... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

670-ე სტროფი: კვლავცა კადრა... ძირითადად მიიღეს. პირველ

ტაევში: კვლავცა კადრა, გასწორდა — მესმა თქვენი ნაუბარი; შენ ამბავი — მთლად ამოიშალა. მეორე ტაევში: მაპოვნინებს, გასწორდა — მოაპოვნებს.

670¹-ე სტროფი: მონა სულს უდგამს... და 670²-ე სტროფი: ნუ თუ ვარგო... ჩანართად ცნეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

671-ე სტროფი: ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული... იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ მასში ეჭვს იწვევს პირველი ტაეპის სიტყვები: ტკბილ-ქართული. ქართული, როგორც ტერმინი სიტყვის აღმნიშვნელი, გვიანი ეპოქის ამბებია და ამ ეპოქაში ეს სიტყვა, ტკბილ-ქართული — არსად არ გვხვდება. თვით ვეფხისტყაოსანში ტკბილი ათასგვარ კომბინაციებში გვხვდება, მაგრამ ტკბილ-სიტყვა ან ტკბილ-ქართული სხვაგან აღარსად იხმარება. ეჭვს იწვევს აგრეთვე სტროფის მეოთხე ტაეპი „ღმერთმან ქნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი“. წინა სტროფში ნათქვამია, რომ ქალმა მისცა მარგალიტი და სხვა არაფერი. ასე რომ იმ მომენტში მათ არაფერი ლხინი არ ქონიათ და ლხინის გასრულებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ყოველივე ამის გამო, სტროფი ჩანართად მიმაჩნიაო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ ქართული — სიტყვის მნიშვნელობით ამ ეპოქაში არ იხმარებოდეს — ამის გადაჭრით თქმა ძნელია. უკეთესი იქნება გვეთქვა, ჩვენ არ შეგვხვედრია. საჭიროა გამოძიება, შეიძლება ჩვენ ბევრი რამ არ შეგვხვედროდეს და ამის გამო სტროფს ეჭვის ქვეშ ნუ დავაყენებთ. 670-ე სტროფში ავთანდილი სთხოვს თინათინს: მზე სიცოცხლის საიმედო ნიშანი რამე წამატანეო და ამ სტროფში ნათქვამია, რომ „ქალმან მისცა მარგალიტი, სრულქმნა მისი საწადელიო“. სტროფი სიუჟეტურად საჭიროა და ძირითადში უნდა დარჩესო. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფის სიუჟეტურად საჭიროებას ადასტურებს შემდგომში 680-ე სტროფი, სადაც ვკითხულობთ: მან (ე. ი. ავთანდილმა) მარგალიტი მოიხსნა მის მზისა სამეყვისონი, მის, მზისა მკლავსა ნაბამი, მათ კბილთა შესატყვისონი... პირსა დაიდვა, დაცაბნდა და სხვ. ამგვარად, ამ სტროფს თუ ამოვიღებთ, გაუგებარი იქნება 680-ე სტროფის აზრი. სტროფი სიუჟეტურად საჭიროა და ძირითადში უნდა დარჩესო. ი. აბულაძე საეჭვოდ მიიჩნევს სტროფის პირველ ტაევში: ტკბილ-ქართულს, სადაც არავითარი აზრი არ არისო, მაგრამ სტროფის ამოღებას კი შეუძლებლად ცნობს. ა. ბარამიძე იზიარებს კ. კეკელიძის შეხედულებას ტკბილ-ქართულის შესახებ, მაგრამ სტროფი იმდენად დაკავშირებულად მიაჩნია წინა და მომდევნო სტროფებთან, რომ ამოღებას არ უჭერს მხარს. ა. შანიძე და ს. კაკაბაძე სტროფს საჭიროდ ცნობენ. [სტროფი ძირითადად მიიჩნეის. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა].

შემდეგ სხდომას (1935, XI, 10) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ი. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და კ. კეკელიძე. განიხილეს და დაადგინეს 672-ე სტროფი: რა სჯობს, რომ კაცმან გიშერი... ვ. ბერიძეს შემოაქვს სტროფის მეოთხე ტაეპის „ვამ მოყვარის გაყრილსა, ახიოს, ეყოს, ახიოს“ ასეთი შესწორება: ვამ მოყვარისა გაყრილსა, ახი, ოს ეყოს, ახი, ოს; ე. ი. ვამ მოყვარის მოშორებულს, როდესაც (-ოს) ის დაიწყებს ოხვრას. კომისიამ შესწორება გაიზიარა. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ამ შესწორების მიუხედავად, სტროფი მაინც იწვევს ეჭვს. ი. აბულაძეს ჩატანილი აქვს სქოლიოში და მეც მას მხარს დავუჭერდი. ეს სტროფი მოქმედების განვითარებას ბორკავს. წინა სტროფში ნათქვამია, რომ „ქალმან მისცა მარგალიტნი სრულქმნა მისი საწადელი“. ამ სტროფიდან პირდაპირი გადასვლა შემდეგ სტროფზე: მათ მიხვდა ლხინი ყოველი. ეს სტროფი კი აქ სრულიად ზედმეტია. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სტროფი აზრთა თანამიმდევრობისათვის სრულიად ზედმეტი არ არის. აქ მიჯნურების კოცნა, ალერსი არის გამოხატული, განშორების დროს ანალოგიური ადგილი წინათაც გვქონდა: ერთგან დასხდეს ილაღობეს, საბუარი ახად აგეს, ბროლბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს... ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია, ვახტანგსაც აქვს, აზრთა თანამიმდევრობას არ უშლის და მისი ამოღება მიზანშეწონილი არ იქნებაო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ აქ საექვო ამბავთან უნდა გვქონდეს საქმე. ის მეტისმეტი ლირიზმი, რომელშიაც გადადის ამ სტროფის დაშვარი, იმის მაჩვენებელია, რომ დამწერს უნდა წინა და უკანა ამბების დაკერება და ამ სტროფს ურთავს. ძალიან ხელოვნური ამბებია და ძირითად ტექსტში ვერ დავტოვებთო. კენჭის ყრით სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგნი იყვნენ ვ. ბერიძე და ს. იორდანიშვილი. 1936 წ. 7 მაისს კომისიამ ეს სტროფი ძირითადად მიიჩნია. პირველ ტაეპში: რომ, გასწორდა — რა. მეოთხე ტაეპში: მოყვარის, — მოყვარისა.

ვარიანტული მასალის ამოუწერლობის გამო კომისიამ შეაჩერა სტროფების განხილვა და გადავიდა ოქმების მოსმენა-დამტკიცებაზე.

კომისიის შემდეგ სხდომას (1935, XI, 11) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, და კ. კეკელიძე. მღივნამა მოახსენა კრებას კომისიის წევრის კ. ჭიჭინაძის შემდეგი განცხადება: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას. ვინაიდან სახკომსაბჭოს სპეციალური დავალებით ტაშკენტსა და სამარყანდს მივემგზავრები, გაუწყებთ ამით, რომ მე ძირითადად მიმაჩნია ყველა ის ტაეპები, რომლებიც შეტანილი მაქვს პოემის ჩემს გამოცემაში. გთხოვთ აგრეთვე ტექსტის წაკითხვების დადგენის დროს მხედველობაში მიიღოთ და მსჯელობის საგნად გახადოთ დამახინჯებული ადგი-

ლების ყოველი ჩემი გასწორება, რის დასაბუთებაც მოყვანილია წიგნის შენიშვნათა განყოფილებაში, გვ. 277 — 290. კ. კიჭინაძე. i0.11. 35 წ. ქ. ტფილისი“. აღნიშნული განცხადება კომისიამ მიიღო ცნობად და სახელმძღვანელოდ. შემდეგ კომისიამ მოისმინა სხდომების ოქმები და ზოგიერთი შესწორება — დამატებით დაამტკიცა ისინი.

კომისიის მორიგ სხდომას (1935. XI, 13) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 672¹ — 674 სტროფები.

672¹-ე სტროფი: ყმა მხიარული, წყლიანი... იწვევს კამათს. ს. კაკაბაძეს სტროფი აზრის მიხედვით საკიროდ მიაჩნია, უამისოდ გადასვლა არ არის კარგიო. გარდა ამისა, სტროფი არის ყველა ხელნაწერში და უნდა დარჩესო. ი. აბულაძეს სტროფი მიუღებლად მიაჩნია ახალი ფორმების მხრივ — თვალთაგან დასდებდა მილსა, ხოლო სულ არ ვარგა ზოგიერთ ხელნაწერში წარმოდგენილი თვალთაგანი, რომელიც კ. კიჭინაძეს შეუტანია. კ. კეკელიძეს სტროფი მიუღებლად მიაჩნია როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. კენჭის ყრით სტროფი ჩანართად მიიჩნიეს. წინააღმდეგნი იყვნენ ს. კაკაბაძე და კ. კიჭინაძე — თანახმად დატოვებული განცხადებისა. მესამე ტაეპში კ. კიჭინაძის მიერ ხელნაწერებზე დაყრდნობით შეტანილი შესწორების თვალთაგანის ნაცვლად — თვალთაგანი-ს შესახებ ა. შანიძე შენიშნავს, რომ მოსალოდნელი იყო თვალთაგანი — რაც შეეხება თვალთაგანი-ს, ასეთი ფორმა სულ არ არისო. მეოთხე ტაეპში: დასაწვიმარსა, გასწორდა — დასაწვიმილსა.

673-ე სტროფი: მათ მიხვდა ლხინი ყოველი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მტირალი, გასწორდა — გაყრილი. მესამე ტაეპში: მზე ტირის სისხლის ცრემლითა, გასწორდა — მზე ტირის სისხლისა ცრემლითა. მეოთხე ტაეპში: ვაი, ჩემდა, გასწორდა — ვა, ჩემთა.

674-ე სტროფი: ყმა წავიდა სევდიანი... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში ბოლო სარითმო სიტყვა გააფლიდებს უარყოფილ იქნა როგორც აზრის მხრივ მიუღებელი და მიღებულ იქნა — ა გ უ ლ ჩ ვ ი ლ ე ბ ს ქ არ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ის, კ არ ი ქ ა შ ვ ი ლ ის და ა ბ უ ლ ა ძ ის გამოცემათა მიხედვით, თუმცა არც ერთ ხელნაწერში ა გ უ ლ ჩ ვ ი ლ ე ბ ს არ არის დადასტურებული. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ავულჩვილებს მეტად ახალი წარმოების სიტყვაა და მას საეჭვოდ მიაჩნია ეს სტროფი და წინააღმდეგია მისი ძირითად ტექსტში დატოვებისა. ამასვე ეთანხმება ი. აბულაძეც.

შემდეგ კამათს იწვევს მომდევნო სამი სტროფი: 675-ე — სისხლმან და ცრემლმან გარვეით..., 676-ე — ვინ უწინ ედემს ნაზარდი... და 677-ე — ამას მოსთქვაჰს, ცრემლსა აფრქვევს... ი. აბულაძე აღნიშ-

ნავს, რომ 674-ე სტროფს: ყმა წავიდა სევდიანი — პირდაპირ უნდა მოსდევდეს 678-ე სტროფი: ყმა მივიდა საწოლს დაწვა. ამათ შორის მოქცეული ეს სამი სტროფი სრულიად ზედმეტია და შემდეგი დროის ჩამატებული უნდა იყოს. კ. კეკელიძე ეთანხმება ი. აბულაძეს ამ სამი სტროფის ამოღებაზე და თავის მხრივ მოითხოვს, რომ წინა, 674-ე სტროფიც — ყმა წავიდა სევდიანი... — ამათ გავაყოლოთ, მაშინ უფრო წესიერი გადასვლა იქნება. დავტოვებთ 673-ე სტროფს, სადაც ნათქვამია: ყმა წამოვიდა მტირალი, მივა გულითა რეტითა... და პირდაპირ გადავალთ 678-ე სტროფზე: ყმა მივიდა საწოლს დაწვა... ამგვარად გამოვტოვებთ ამ ოთხ სტროფს: 674, 675, 676, 677, სადაც მოცემულია უმთავრესად სოფლის დაწიხვლა, სოფელზე მღურვა და აღორძინების ხანის პოეტებზე ჩვეულებას მოგვაგონებს. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ მას ახლა შეუძლებლად მიაჩნია ამ სტროფების ამოღება, მაგრამ იგი აპირებს საერთოდ ტექსტის მოცულობის საკითხის გადასინჯვას და თუ მან ამის შედეგად აზრი შეიცვალა, მაშინ ამათ შესახებაც მოახსენებს თავის აზრს კომისიას.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ამ სამ სტროფში არის ზოგიერთი ისეთი ადგილები, რომლებიც იწვევენ ეჭვს, მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი მომხრეა სათანადო შენიშვნით ამ სტროფების ძირითად ტექსტში დატოვებისა. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ, მართლაც, ამ სტროფებში მოიპოვება ზოგიერთი ისეთი რამ, რაც საეკვოდ ზღის მათ ღირსებას, 675-ე სტროფის ტაეპი — სისხლმან და ცრემლმან გარევეთ დაწვიქნის ღარად და ღარად — და აგრეთვე სხვაც, მაგრამ მას მაინც უჭირს ამ სტროფების ამოღებაზე დათანხმება, თუმცა კ. კეკელიძის აზრს ის ნაწილობრივ იზიარებს. ს. იორდანიშვილის აზრით, ეს სამი სტროფი (675, 676, 677) ზედმეტად ვერ ჩაითვლება, რადგან მათში მოცემულია სატრფოსაგან განშორებული ავთანდილის სულიერი განცდები.

იგი თვის საწოლს დაბრუნებული „ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების“ და არ არის რა დაუჭერებელი იმაში, რომ გზაში მიმავალ ავთანდილს ეთქვა და განეცადა ის, რაც ამ სტროფებშია მოცემული. სამუშაოს დროის გათავების გამო აღნიშნულ სტროფებზე კენჭის ყრა და მათი წაკითხვების მხრივ დადგენა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

შემდეგ სხდომას (1935, XI, 14) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ზ. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 675 — 684² სტროფები. სხდომა დაიწყო 675, 676 და 677 სტროფებზე მსჯელობის გაგრძელებით. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ თუ ჩვენ არ გვინდა 674-ე სტროფში გამოთქმული აზრი გავაძლიეროთ და სურათი გავშალოთ, შეიძლება, რასა-

კვირელია, ამ სამი სტროფის ამოღება. ამით აზრი არ დამახინჯდება. მაგრამ თუ შვიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ეს სტროფები შინაარსის მხრივ მეტი არ არის და აქ გამოთქმული სოფლის ძირითადი დახასიათება არის სოფლის რუსთველური დახასიათება, არავითარი უფლება არ გვაქვს, რომ ეს სტროფები ჩანართებად ვკნოთ. მე გგონია, საკითხიც არ უნდა დაისვას მათ შესახებ. ჩვენ რომ ზოგ რამეში ვერ ვერკვეოდეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადაც რაიმე გაურკვეველია, ყველაფერი ყალბად გამოვაცხადოთ. კ. კეკელიძე წინა სხდომაზე გამოთქმულ აზრების დამატებად დასძენს, რომ 674-ე სტროფში მიღებული ა გ უ ლ ჩ ვ ი ლ ე ბ ს, რომელიც არც ერთ ხელნაწერში არ არის, მეტად აბალი დროის წარმოებად უნდა ჩაითვალოს და არამცთუ კლასიკურ ხანაში არ გვხვდება, საბასაც კი არა აქვს გულჩვილიო. კენჭის ურით 675-ე 676-ე და 677-ე სტროფები ძირითადად მიიღეს. წინააღმდეგნი იყვნენ ი. აბულაძე და კ. კეკელიძე. წაკითხვების მხრივ სტროფებში შემდეგი ცვლილებები იქნა შეტანილი:

675-ე სტროფის — სისხლმან და ცრემლმან... მეოთხე ტაეპში: ვიდრე, გასწორდა — ვირე; გნახვიდე, დაიწერა — ვნახვიდე; სოფელი — სოფელო; მინდა — მინდი.

676-ე სტროფის — ვინ უწინ ედემს... პირველ ტაეპში: რგო, მორწყო, გასწორდა — მრგო, მომრწყო. მეორე ტაეპში: დამხია, გასწორდა — დანასა. მესამე ტაეპში: აწ, დაიწერა — დღეს; დაბმითა დაამხია, გასწორდა — დაბმით დამიბა, მახია.

677-ე სტროფი — ამას მოსთქვამს... მეოთხე ტაეპში: ვაი საწუთრო, გასწორდა — ვა, საწუთრო.

678-ე სტროფი: ყმა მივიდა, საწოლს დაწვა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: დაწვა, გასწორდა — დაჯდა. მესამე ტაეპში: მწვანინილს — მწვანვილსა.

678¹-ე სტროფი: საწოლს მჯდომმან პირსა ცემით... იწვევს კამათს, ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ სტროფი საჭიროა შინაარსის მიხედვით. თუ ამ სტროფს ამოვიღებთ, მომდევნო სიტყვები რომ ავთანდილისაა, ეს აღარ გამოჩნდება. ამ სტროფში არის ნათქვამი, რომ გულსა უთხრა და შემდეგ სტროფში მოყვანილია, თუ რა უთხრა. ს. იორდანიშვილს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, შინაარსის მიხედვით იგი საჭირო არ არის, რადგან 680-ე სტროფი: რა გულს უთხრა გულისა სიტყვანი — აშკარად მოწმობს იმას, რომ 679-ე სტროფი: გული კრულია კაცისა — ავთანდილის სიტყვებია. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო ს. კაკაბაძე. მესამე ტაეპში: ლხინმან, გასწორდა — ჰირმან; ლხინსა, გასწორდა — ჟამთა. 1935 წ. 20 ნოემბერს კომისიის სხდომაზე ვ. ბერიძემ ამ სტროფის პირველ ტაეპში: „ბროლი ბლუჯოს“ მაგივ-

რად წარმოადგინა—იაბლუჯოს, H 2074 ხელნაწერი'ს მიხედვით. კომისიამ წარმოდგენილი შესწორება მიიღო.

679-ე სტროფი: გული კრულია... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მართ, გასწორდა — თვით. მეოთხე ტაეპში: ვერცა მეფეა, გასწორდა — ვერც პატრონია. ი. აბულაძის აზრით, ამ შემთხვევაში აზრის სიძლიერის გამოსახატავად ჯობს დარჩეს: ვერცა მეფეა.

679¹-ე სტროფი: ამ სოფელსა კარგად ყოფით... ჩანართად მიიჩნეის. გაიმართა სასვენ ნიშნებით.

680-ე სტროფი: რა გულსა უთხრა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: მარგალიტი მოიხსნა, გასწორდა — მარგალიტნი მოიხვნა. მესამე ტაეპში: ნაბამი — ნაბამნი. მეოთხე ტაეპში: დაიდვა — დაიდვნა; დაცაბნდა, გასწორდა — აკოცა.

[681-ე სტროფი: რა გათენდა, კაცი მოვა... ძირითადად მიიჩნიეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა].

682-ე სტროფი: მეფე შეჯდა მაშინდელი... იწვევს კამათს. ი. აბულაძის აზრით, მეორე ტაეპის: ყურთა სიტყვა არ ისმოდა... ვერ არის კარგი გამოთქმა, გაუგებარია. მეოთხე ტაეპში: მათგან დანაღვარი სისხლი ველთა მოესხმოდა — ვისგან დანაღვარი სისხლი? გაუგებარია. საერთოდ სტროფი მოგვაგონებს როსტევეანის ნაღირობას: ველნი წითლად შეედებნეს, ნაღირთაგან ჩისხლი ისხესო, რაც იყო პირველ თავში. გაუგებარია აგრეთვე მესამე ტაეპის საართომო სიტყვა მი დამო და. ა. შანიძეს სტროფი საჭიროდ მიაჩნია და მი დამო და ს შესახებ აცხადებს: იგი ზმნა არის და აღნიშნავს, რომ ძალით სრბოლა იყო იქით და აქეთ:—მი-და-მო—; მიდამოდა—მიდამოობდა, შემოკლებულად — მიდამოდა. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ სტროფი შინაარსითაც საჭიროა. წინა სტროფში: მეფე მოეკაზმა მინდორს გასასვლელად და ამ სტროფში ნაღირობაა მოკლედ აღწერილი. ამის მომდევნო 683-ე სტროფში აღნიშნულია, რომ ინაღირეს და დაბრუნდნენო. [სტროფი ძირითადად ცნეს]. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

683-ე სტროფი: ინაღირეს შემოიქცეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: შეიტანეს, გასწორდა — შეიტანნეს. მეოთხე ტაეპში: სრულნი—რულნი, შესწორება შეიტანა ი. აბულაძემ.

683-ე სტროფი: ინაღირეს შემოიქცეს... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: ბაგეთა, გასწორდა — ბაგეთათ. მესამე ტაეპში: სხედს, გასწორდა — სხდეს. მეოთხე ტაეპში: უტარიელოდ, დაიწერა — უტარიელო.

684¹-ე სტროფი: ყმამან ვისცა... ჩანართად მიიღეს. წინააღმდეგი იყო ს. კვაბაძე. ზაზას ხელნაწერში (Q 1082) სტროფს აქვს მინაწერი

ნ[ანუჩა]. პირველ ტაეპში: ვისცა, გასწორდა—რაცა; ვინცა—ვინმცა, მესამე ტაეპში: გავიდა, გასწორდა — წავიდა.

684²-ე სტროფი: თქვა, ამა ჟამსა... ჩანართად ცნეს. მესამე ტაეპში: მომლოდე, გასწორდა — მომლოდნე.

შემდეგ სხდომას (1935, XI, 15) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 685 — 700 სტროფები.

685-ე სტროფი: ყმა მივიდა გულნაკლული... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გულნაკლული, გასწორდა — გულმოკლული. მეოთხე ტაეპში: მოუთმინა, გასწორდა — მოუსმინა.

686-ე სტროფი: წევს იტყვის... ძირითადად მიიჩნიეს. ცვლილებები არ მომხდარა.

687-ე სტროფი: ამას მოსთქმიდის... იწვევს კამათს. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სტროფი მას ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, აქ გამოთქმული აზრები ნამეტნავად გაბერილია და ზოგი რამ ახალი ქართულით არის გამოთქმული. მაგ., დათმობა გვანდეს სიბრძნისა წყაროთა; არ დავთმოთ, რა ექნათ, სევდასა, შითხარ, რა მოუგვაროთა... ჰირნიცა შევიწყნაროთა. ა. ბარამიძეს დამაჯერებლად არ მიაჩნია ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილი კრიტიკა. „დათმობა გვანდეს სიბრძნისა წყაროთა“ — აქ ის აზრია გამოთქმული, რომ დათმობა სიბრძნედ მიაჩნია. მთელი ეს სტროფი არის ერთგვარი დაბოლოება ამ თავისა და, როგორც ასეთი 686-ე სტროფის შემდეგ საჭიროა. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ ესა და შემდეგი ორი სტროფი ერთმანეთთან ისეა გადაბმული, რომ რომელიმეს ამოღება შეუძლებელია. სტროფების აზრი სიცოცხლის გაძლება და ჰირის შეწყნარებაა, ამას ჩააგონებს ავთანდილი თავის თავს შემდეგი მოქმედებისათვის. ა. შანიძე შენიშნავს, რომ ზოგი რამ ამ სტროფში უხეიროდ არის გაკეთებული, მაგრამ აზრის მხრივ საჭიროა და უნდა დავტოვოთ. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ, მართალია, მეორე ტაეპი — „დათმობა გვანდეს სიბრძნისა წყაროთა“ — ვერაა კარგად გამოთქმული, მაგრამ ამისდა მიხედვით ამ სტროფს ვერ უარყვოთ და ძირითადად უნდა მივიჩნიოთ. სტროფი ძირითადად ცნეს. წინააღმდეგი იყო ი. აბულაძე. პირველ ტაეპში: ტიროდის, რწყავს საგუბრითა წყაროთა, გასწორდა — ტირილით, ცრემლისა დასადგარათა. მეოთხე ტაეპში: ჰირნიცა, გასწორდა — ჰირიცა.

688-ე სტროფი: კვლავ იტყვის... ძირითადად მიიღეს. არსებული ცვლილებები არ მომხდარა.

689-ე სტროფი: რა გათენდა... ძირითადად მიიჩნიეს. მეორე ტაეპში: დამაჩნდა, გასწორდა — დამაჩნდეს; დაცაფფარე, გასწორდა — დამცაფფარე. მეოთხე ტაეპში: ვაზირისას, დაიწერა—ვაზირისა.

690-ე სტროფი: ვაზირმან სენა... ძირითადად ცნეს, ცვლილებები არ მომხდარა.

691-ე სტროფი: ყრმა გარდასვა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ქვენამ ბუქმან, გასწორდა ი. აბულაძის შესწორებით: ქვენა ბუქმან. ა. შანიძე მხარს უჭერდა: ქვენათ მუქმან; მოგვებრნა, გასწორდა — ?ოგვებრა.

692-ე სტროფი: დაჯდა, მისთა შემხედველთა... ძირითადად მიიჩნეს. მეორე ტაეპში: თავის თავის, დაიწერა — თავისათვის. მესამე ტაეპში: იათასეს, გასწორდა — აათასეს.

693-ე სტროფი: რა ჯალაბი გაიყარა... ძირითადად ცნეს.. მეოთხე ტაეპში: გაიგონე, დაიწერა — გაიგონენ.

694-ე სტროფი: მის ყმისა ცეცხლი მედების... ძირითადად მიიჩნეს. მეორე ტაეპში: ვერჭვრეტა, გასწორდა — ვერნახვა. მესამე ტაეპში: სულნი — სული.

695-ე სტროფი: მისი ნახვა გულსა ჩემსა... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფი აზრის მხრივ საჭირო არ არის, როგორც მაჭამა, საეჭვოა. წინა სტროფში ნათქვამია, რომ მას ტარიელის სურვილი და ვერ ჰვრეტა კლავს და ეს სრულიად საკმარისია მეორედ წასვლისათვის. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ მას სტროფი სქოლიოში აქვს და ახლაც მომხრეა მისი ძირითადი ტექსტიდან ამოღებისა. ა. იორდანიშვილი მომხრეა სტროფის დატოვების, რადგან იგი უშუალო გაგრძელებაა 694-ე სტროფში გამოთქმული ტარიელის ნახვის სურვილისა და ამასთან ასმათისაც ავთანდილისათვის დად საუღლებელისაო. სტროფი ჩანართად ცნეს. წინააღმდეგი იყო ს. იორდანიშვილი. 1936 წ. 7 მაისის სხდომაზე ეს სტროფი კომისიამ ძირითადად ცნო. მეორე ტაეპში: დაებადა, გასწორდა — დაება, და.

696-ე სტროფი: ოდეს წამოვე, შევფიცე... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: ვიწვი, გასწორდა — მით მწვავს.

697-ე სტროფი: ყოველსავე მართლად გითხრობ... ძირითადად ცნეს, მეორე ტაეპში: მისულვარ, გასწორდა—მისრულვარ. მეოთხე ტაეპში: გაემარჯვა — გაუმარჯვდა; ფიცის, დაიწერა — ფიცთა.

698-ე სტროფი: რაცა გითხრა ჩემაგიერ... ძირითადად მიიჩნეს. პირველ ტაეპში: ჩემაგიერ, გასწორდა—ჩემმაგიერ; მიდი—მიედ. მეორე ტაეპში: გითხრობ, გასწორდა—გეტყვი. მეოთხე ტაეპში: არცა, დაიწერა—არა.

699-ე სტროფი: ჰკადრე, ვინ გაქოს... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: სახემან, გასწორდა ი. აბულაძის მიერ წამოყენებული შესწორებით: მოსახემან.

ქ. ჭიჭინაძე მოითხოვს (1936, V, 10) ამ სტროფის მესამე ტაეპი —

აღვისა სახემან, გასწორდეს: ალვისა ხემან. ა. ბარამიძის აზრით, ბუნებრივია უფრო — ალვისა ხემან, მაგრამ რადგანაც ხელნაწერები ამის დასაყრდენს არ იძლევიან, ამიტომ დარჩეს ალვისა ხემან. ვ. ბერიძე იზიარებს შესწორებას, როგორც უფრო აზრიანს. კომისიამ შესწორება გაიზიარა.

მე-700 სტროფი: აწ მეფეო... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: ხოლმე, დაიწერა — ხვალმე.

კომისიის მორიგ სხდომას (1935, XI, 16) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე კ. კეკელიძე და ა. შანიძე. განიხილეს და დაადგინეს 701 — 711⁴ სტროფები.

701-ე სტროფი: წასვლა ჩემი გულსა თქვენსა... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში: თქვენვე, გასწორდა — თქვენვე.

702-ე სტროფი: კვლავ პირმზე ეტყვის... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: აწ, დაიწერა — წა.

703-ე სტროფი: ვაზირმან უთხრა სიცილით... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: შენგან, გასწორდა — თქვენგან. ა. შანიძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ — შენგან-ს. მეოთხე ტაეპში: ბოძება, დაიწერა — შოება.

704-ე სტროფი: თავმან მისმან, მუნვე მომკლავს... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: რა გინდ, რა ვინ, გასწორდა — რა გინავინ.

705-ე სტროფი: გზა არ წავა თავსა წინა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: ეგრეთიო, გასწორდა — აგეთიო. მეოთხე ტაეპი იწვევს კამათს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ აქ აზრის მხრივ უფრო მისაღებია ხელნაწერებში მოცემული წაკითხვა „სჯობს სიცოცხლე აკლებასა“ და არა „სჯობს სიკვდილი აკლებასა“. ვაზირი 704-ე სტროფში ამბობს: მომკალ კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს... და ამის მთქმელი ვერ იტყოდა: სიკვდილი სჯობს აკლებასაო... უნდა მივიღოთ: სჯობს სიცოცხლე აკლებასა. ა. ბარამიძის აზრით, უნდა დარჩეს „სჯობს სიკვდილი აკლებასა“... ვაზირი ეუბნება: შენ მომკალ ის მირჩევნია, და მეფესთან ნუ მიმგზავნი, რადგან ის ამიკლებსო. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ვაზირს ეთქვა: სჯობს სიკვდილი აკლებასა, ამას თავსა აწვე ვსწვრთიო. ეს უაზრობა იქნებოდა. სწორედ იმიტომ უარობს მეფესთან შესვლაზე, რომ იცის მას მეფე მოჰკლავს ან აიკლებს და მას კი ეს არ უნდა. ამიტომ მის აკლებას სიცოცხლე ურჩევნია. აქ სიცოცხლე უნდა დარჩესო. მიღებულ იქნა: სჯობს სიცოცხლე აკლებასა.

ამ ტაეპის საკითხს კომისია კვლავ დაუბრუნდა 1936 წ. 9 მაისის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა კომისიის ყველა (9) წევრი. ა. ბარამიძემ ამ სხდომაზეც დაიცვა თავისი მოსაზრება. მან განაცხადა, რომ

კონტექსტით აქ უნდა იყოს: სჯობს სიკვდილი აკლებასა, ამის თავსა აწვევ ვსწვრთიო — და არა: სჯობს სიცოცხლე აკლებასა. ვაზირი ამბობს: ამიკლებს და ანუ მომკლავს: „ეგე სიტყვა ვითა სთქვიო“, და ამიტომ უარობს შესვლაზე და ამბობს: სჯობს სიკვდილი აკლებასა, ე. ი. მირჩევნია მოკვდე, ვიდრე ავეკლებინო მეფესო. ს. იორდანიშვილი სხდომას აცნობს 1935 წ. 16 ნოემბრის სხდომის ოქმს, სადაც წარმოდგენილია მსჯელობა ამ ტაეპის შესახებ. ა. ბარამიძის მოსაზრება გაიზიარეს ი. აბულაძემ, ვ. ბერიძემ და ა. შანიძემ. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ აქ ირონიულ ხაზებში სიცოცხლეს უპირისპირდება სიკვდილი და აკლება. ვაზირი წინა სტროფში ეუბნება, რომ ვიცი ამავსებს, ბოძება არ სწყენია, მერე დასძენს: „თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეპე, წაძიცა არ წაპაროს. შენი ოქრო შენვე დაგრჩეს... მამკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რამცა მოეხმაროს“. აქედან დასკვნა, რომ მას სიცოცხლე ურჩევნია და უარობს მეფესთან შესვლაზე. ამიტომ 705-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე უნდა დარჩეს: სჯობს სიცოცხლე აკლებასა... კ. ჭიჭინაძე აცხადებს, რომ იგი იზიარებს ამ უკანასკნელ შეხედულებას, თუმცა მას შეცდომით დაბეჭდილი აქვს თავის გამოცემაში: სჯობს სიკვდილი აკლებას. ეპეი არ არის, რომ კაცი, რომელიც ამბობს 704-ე სტროფში: მამკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რამცა მოეხმაროსო, ვერ იტყოდა: სჯობს სიკვდილი აკლებასა. უნდა გასწორდეს: სჯობს სიცოცხლე აკლებასა. კომისიამ მიიღო: სჯობს სიცოცხლე აკლებასა... ამის მომზრენი იყვნენ ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე (იხ. 16 ნოემბრის სხდომის ოქმი), პ. ინგოროყვა, კ. ჭიჭინაძე და ლ. კაკაბაძე (ამ უკანასკნელმა მდივნის შეკითხვაზე ასეთ შესწორებას დაუჭირა მხარი).

706-ე სტროფი: თუ მეფეცა გაგიშვებდეს... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: ასრე, დაიწერა—აგრე.

707-ე სტროფი: ყმა ატირდა, ცრემლით უთხრა... ძირითადად მიიჩნიეს. მეოთხე ტაეპში: უმისობა, გასწორდა — უმისოსა.

708-ე სტროფი: მზე დაბრუნდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: არა ვიცი, გასწორდა — არ ვიცოდი; დააბრუნებს — დააბრუნებებს. მეორე ტაეპში: ნათლად დაიწერა — ნაცვლად; დაგვიბთუნებს, გასწორდა — დაგვიბთუნებებს. მესამე ტაეპში: მატკბუნებს, გასწორდა — მატკბუნებებს. მეოთხე ტაეპში: დააქმუნებს—დააქმუნებებს.

709-ე სტროფი: მეფე ანუ მისნი სპანი... ძირითადად მიიღეს. მეორე ტაეპში: აწ ვითამცა უცნობოსა გაუწყვეტლად ცრემლი მდიან... იწვევს კამათს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ უკეთესი იქნებოდნ მივიღოთ სიტყვათა ასეთი. თანამიმდევრობა: აწ ვითამცა გაუწყვეტლად უცნობოსა ცრემლნი მდიან, რადგან აზრი ის არის, რომ ვითარცა გაუწყ-

ვეტლად მდიოდა ცრემლი უცნობოს და არა ვითარცა უცნობოს, როგორც უცნობოსო. არ არის აუცილებელი, რომ უცნობს განუწყვეტლად ედინოს ცრემლი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ აზრით შეიძლება დარჩეს: აწ ვითარცა უცნობოსა გაუწყვეტლად ცრემლი მდიანო. კ. კეკელიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს ი. აბულაძემ და ს. კაკაბაძემ. წინააღმდეგნი იყვნენ ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე. მიღებულ იქნა ხელნაწერთა უმრავლესობაში წარმოდგენილი: აწ ვითარცა უცნობოსა გაუწყვეტლად ცრემლი მდიან. მეორე ტაეპში: ცრემლი, დაიწერა — ცრემლნი. მესამე ტაეპში: გავსტეხო, გასწორდა — გავტეხნე; ფიცი — ფიცნი.

710-ე სტროფი: აწ, ვაზირო, მაგა პირსა... ძირითადად ცნეს. მეოთხე ტაეპში: თუ ლა ოდეს, გასწორდა — ნუთუ ჩემგან; ჩემგანც, დაიწერა — შენცა.

711-ე სტროფი: არ გამიშვებს, გაეპარვი... ძირითადად მიიღეს. პირველ ტაეპში: მათად, დაიწერა — მათგან. მეორე ტაეპში: გნუკევს, გასწორდა — მნუკევს, სტროფები: 711¹-ე: რადგან თავია..., 711²-ე: წაგვიკითხავს, სიყვარულსა..., 711³-ე: ვინ დაბადა..., 714⁴-ე: რაცა ღმერთსა... ამ ადგილას ცნობილი იქნენ ჩანართებად, რადგანაც 711¹=750, 711²=751, 711³=752, 711⁴=753 ძირითად სტროფებს.

17 ნოემბრის სხდომაზე (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე) წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა კომისიის სხდომათა ოქმები.

შემდეგ სხდომას (1935, XI, 20) დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე (თ-რე). განიხილეს და დადგინეს 712 — 719 სტროფები.

712-ე სტროფი: ვაზირმან თქვა, შენი ცეცხლი... ძირითადად ცნეს. სტროფში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

713-ე სტროფი: რა ვაზირმან ესე უთხრა... ძირითადად მიიჩნიეს. მესამე ტაეპში: საწყინაროსა, გასწორდა — საწყენლისა. მეოთხე ტაეპში: დაყრით დადგა, გასწორდა — დაყრით დგა და.

714-ე სტროფი: მეფემან ნახა ვაზირი... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში: არა არ ვიცი, გასწორდა. — არავიციო.

715-ე სტროფი: ჩემი ჳმუნვა ჳირსა ჩემსა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: მეტობს, გასწორდა — ჳმატს, და.

კ. ჳიჭინაძეს მეოთხე ტაეპში — უმისყმისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის ფლიდობს — შემოაქვს (1936, V, 10) ასეთი შესწორება: უმისყმისოდ სოფელი და საწუთროცა მისთვის ფლიდობს. კომისიამ შესწორება გაიზიარა.

716-ე სტროფი: რაცა იცოდა, ყველაი ჰკადრა... ძირითადად იქნა ცნობილი. მეორე ტაეპში: მიღებულ იქნა ი. აბულაძის მიერ წარმოდგენილი შესწორება: რაცა სცნა — რამცა სცან.

717-ე სტროფი: რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში კამათს იწვევს გა ა ა ვ ც ნ ო ბ დ ა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მრავალ ხელნაწერში გაავცნობდას ნაცვლად იკითხება გა უ ც ნ ო ბ დ ა, უცნობო შეიქნაო. ს. იორდანიშვილის აზრით, აქ მისაღებია გაავცნობდა, რადგან მომდევნო დახასიათება: ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა — გაავცნობდას უფრო უდგება ვიდრე გაუცნობდას. უცნობო რომ გამხდარიყო მეფე, იგი ველარ შეუზახებდა ვეზირს: რა სთქვი შმაგოო. ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ გაავცნობდა არის აგრეთვე H 2074 ხელნაწერში. ი. აბულაძე მხარს უჭერს გაავცნობდა-ს, თუმცა ჩემს გამოცემაში გაუცნობდა მაქვსო. მიღებული იქნა: გაავცნობდა.

718-ე სტროფი: ვითამც რამე სიხარული... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში მიღებულ იქნა ი. აბულაძის შესწორება: ღადრად — ადრად. მესამე ტაეპის შესახებ ი. აბულაძე აყენებს ასეთ შესწორებას: ენა ვით იხმარე აწ მაგისად ჩემად მკადრად, ე. ი. მკადრებლად — და არა კადრად, როგორც ეს არის ხელნაწერებში. ვ. ბერიძე არ იზიარებს ასეთ შესწორებას და აღნიშნავს, რომ უნდა დარჩეს კადრად, რაც ნიშნავს — ენა როგორ იხმარე მაგის კადრებად, საკადრებლად, რაც შემოკლებულად მოკემულია კადრადო. კომისიამ გაიზიარა ეს უკანასკნელი მოსაზრება: ჩემად კადრად. ა. შანიძეს დასძენს, რომ კადრად ყადრად — შემოსულია არაბულიდან.

719-ე სტროფი: ხამსცა, კაცმან პატრონისა... ძირითადად მიიღეს. პირველი ტაეპის ხ ა მ ს ც ა იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ თუ დავტოვებთ ხ ა მ ს ც ა, მაშინ აქ კითხვა არ გამოიხატება, აზრით კი აქ კითხვა უნდა იყოს გამოხატული, ამიტომ უნდა შესწორდეს ხ ა მ ს ც ა და უნდა მივიღოთ ხ ა მ ს ა. ვ. ბერიძეს შესაძლოდ მიაჩნია ხამსცა-ს დატოვება ასეთის გაგებით: კიდევაც ხამს, რომ კაცმან პატრონის საწყინარს არ დარიდნეს. მიღებულ იქნა ხ ა მ ს ა; დარიდნეს, გასწორდა — დახედნეს. მეორე ტაეპში: ოდეს, გასწორდა — ოდენ, მეოთხე ტაეპში: შენმან, გასწორდა — ჩემმან. ვ. ბერიძე მეორე ტაეპში მხარს უჭერდა — ჩემმან ქედმან-ის ნაცვლად: ქედმან ჩემმან.

კომისიის 21 ნოემბრის სხდომას დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე. (თ-რე). განიხილეს და დაადგინეს 720 — 727 სტროფები.

720-ე სტროფი: კვლა უბრძანა, თუცა მისგან... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: თუცა, დაიწერა — თუმცა. მეორე ტაეპში: აწვე მოგ-

კლავ, გასწორდა — თავსა მოგკვეთ. მესამე ტაეპში: აწ, დაიწერა — წა. მეოთხე ტაეპში: შენგან, გასწორდა — მისგან.

720¹-ე სტროფი: მეფე სკამს ესვრის ვაზირსა... ჩანართად მიიღეს. არსებითი ცვლილება არ შეტანილა.

721-ე სტროფი: დადრკა სკამი შემოსტყორცნა... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: სკამი, გასწორდა — სკამნი; კრა — ჰკრნა. მესამე ტაეპში: წორჩი, გასწორდა — მორჩი.

722-ე სტროფი: ვაზირმან გლახ, გამორიღნა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: გამორიღნა, გასწორდა — გამოჰრიღნა. გამორიღნა-ს უპაეოდ მხარს უჭერდნენ ვ. ბერიძე და ა. ბარამიძე; ვერ იძრწიენებს, ი. აბულაძის წინადადების თანახმად, გასწორდა — არ იძრწიენებს. მეორე ტაეპში: გამოძურწა, გასწორდა — გამოძრწა და.

723-ე სტროფი: თქვა, ცოდვათა ჩემთა... ძირითადად მიიღეს. მესამე ტაეპში: ვინმცა, გასწორდა — ვინცა. მეოთხე ტაეპში: მასცა, გასწორდა — მასმცა; რაძინ, დაიწერა — რაძი.

724-ე სტროფი: ვაზირი გაწბილებული... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: გამხადა და მაშა ვითა, გასწორდა — გავხასდი მე მაშ ა ვითა. მეოთხე ტაეპში სარიტმო სიტყვად მიღებულ იქნა და ვ ა შ ა ვ ი თ ა — დავაშავეთ-ის გაგებით. ი. აბულაძე და ს. იორდანიშვილი მხარს უჭერდნენ სარიტმო სიტყვის ასეთ წაკითხვას: და ვვაშ ავათა, ე. ი. ავით ვვაშობ, ვაშს — ვიშს-ვიშს ვიძახიო.

725-ე სტროფი: ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს... ძირითადად ცნეს. მესამე ტაეპში: მისცა ქადებული, გასწორდა — მისცემს ქადებულსა. მესამე ტაეპში: მოყვარესა, გასწორდა — მოურავსა. მეოთხე ტაეპში: საუკუნნოს—საურავსა; ჯოჯოხეთსაც—ჯოჯოხეთსცა.

726-ე სტროფი: ვით გამხადა, რა მიბრძანა... ძირითადად მიიღეს. არსებითი ცვლილებები არ შეტანილა.

727-ე სტროფი: მეცა ვიცოდი, რაცა ვქენ... ძირითადად მიიჩნეის. პირველ ტაეპში: ცდომით, გასწორდა — ცთომით, მეორე ტაეპში: გამდიდრებია, გასწორდა — გამდადებია. მეოთხე ტაეპში: მჩანს — მიჩს; ჰირნი — ჰირი.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიის მორიგ სხდომას (1935, XI, 22). დაესწრნენ: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი და ა. შანიძე(თ-რე). განიხილეს და დაადგინეს 727¹-ე—731 სტროფები.

727¹-ე სტროფი: ყმამან უთხრა შენი წყრომა... იწვევს კამათს. ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტროფის მეოთხე ტაეპში: რა აქიმი დასწეულდეს, მისთვის ვინდა გააქიმდა — ეწინააღმდეგება ვეფხისტყაოსანში გამოთქმულ აზრს: „რა აქიმი დასწეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,

მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი“; ამასთან ექვს იწვევს აგრეთვე ამ სტროფის მესამე ტაეპი: „შენ აღიმი გაგიმეშდა, არ თუ მეში გადიმიდა“. ამ ნიშნების მიხედვით, სტროფი ჩანართად უნდა მივიჩნიოთ. ვ. ბერიძის აზრით, ესა და მომდევნო სტროფი, სადაც ამის საპასუხო სიტყვებია ვაზირისა მოყვანილი, სიუჟეტურად ზედმეტი არ არის, ერთადერთი დამაფიქრებელი გარემოება მხოლოდ ისაა, რომელზედაც აქ ა. ბარამიძემ მიგვითითა: აქიმის დასწრეობაზე რომ არის ლაპარაკი. რაც შეეხება 727¹-ე სტროფის მესამე ტაეპს: შენ აღიმი გაგიმეშდა, არ თუ მეში გადიმიდა — იგი შემოწმებას თხოულობს. უნდა გავიგოთ რა არის აღიმი და რა არის მეში. შემომამქვს წინადადება ამ სიტყვების გარკვევა ეთხოვოს ა. შანიძეს და ამ სტროფების ბედი მას შემდეგ გადაწყვიტოთ, როცა ამაში გავერკვევით. ამასთან შემოწმდეს სტროფების თანამიმდევრობა ხელნაწერების მიხედვით, რადგან ს. კაკაბაძეს ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემაში სტროფები ასეთი თანამიმდევრობით აქვს წარმოდგენილი: 724-ე სტროფს: ვაზირი გაწილებული (მეორე გამოცემით 757-ე) მისდევს 726-ე (მეორე გამოც. 758-ე) ვით გამხალა... შემდეგ 727-ე (759-ე) მეცა ვიცოდი რაცა ვქენ... და დასასრულ 725-ე (760-ე) ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, ხოლო ამ უკანასკნელს უშუალოდ მოსდევს ეს ორი სადავო სტროფი. ასეთი თანამიმდევრობით ეს სტროფები უფრო გამართლებული იქნებოდა. კომისიამ გაიზიარა ვ. ბერიძის წინადადება შემოწმების შესახებ. 727¹-ე სტროფი ჩანართად ცნეს. პირველ ტაეპში: შენი, გასწორდა — შენთვის; დია, დაიწერა — განა. მეორე ტაეპში: არა, გასწორდა რადლა.

727²-ე სტროფი: მოახსენა კვლავ ვაზირმან... ჩანართად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: დარიდოს, გასწორდა. — დაპრიდოს.

728-ე სტროფი: ყმამან უთხრა, აღარ წასვლა... ძირითადად ცნეს. მეორე ტაეპში: დაიმკნაროს, გასწორდა — იდამკნაროს. მესამე ტაეპში: ყველგან, გასწორდა — ყოველგან.

729-ე სტროფი: უმისოდ მყოფი ვერ გავსძლებ... ძირითადად მიიჩნიეს. პირველ ტაეპში: გავსძლებ, გასწორდა — გავძლებ. მეორე ტაეპში: ვარჩევ — ვირჩევ. მესამე ტაეპში: გასლვასა — გასრულსა.

730-ე სტროფი: მოვახსენებ ერთხელ კვლავცა... ძირითადად მიიღეს. მეოთხე ტაეპში: გაქარდების, გასწორდა — გარდიფხვრების.

731-ე სტროფი: მოიუბნეს, ვაზირმან ქნა... ძირითადად ცნეს. პირველ ტაეპში: ძღვენი უძღვნა, გასწორდა — ძღვენი უძღვნა. მესამე ტაეპში: ყმანი აღაავსნა, გასწორდა — მყოლნი აღვეავსნა.

731¹-ე სტროფი: შეკრა წითელი ასი ათასი... იწვევს კამათს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ეს ერთადერთი სტროფია ვეფხისტყაოსნის

ხელნაწერებში, რომელიც 20 მარცვლიან ლექსით არის დაწერილი და ამიტომ საექვოდ უნდა იყოს მიჩნეული. ა. ბარამიძეს სტროფი სიუჟეტურად საკვიროდ მიაჩნია და რადგან მეხოტბეებსაც აქვთ სხვადასხვა ზომის ლექსები, იგი შესაძლებლად მიიჩნევს სტროფის ამ ზომით დატოვებას ძირითად ტექსტში. ვ. ბერიძე წინადადებას იძლევა შესწორდეს ეს სტროფი თექვსმეტ მარცვლიან შაირად და ძირითად ტექსტში იქნას შეტანილი, როგორც ეს ერთ-ერთ ხელნაწერშია. ი. აბულაძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია როგორც სტილის, ისე ზომის მიხედვით. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ 732-ე სტროფიც ააშკარავებს ამ სტროფის ზედმეტობას. ავთანდილი უთვლის ვაზირს, რომ შენი ვალის სანაცვლოს სხვას ვერაფერს მოვიგონებ და თუ ცოცხალი დავრჩი, შენთვის მოვკვდებიო. სტროფი ჩანართად ცნეს. 1936 წ. 7 მაისის სხდომაზე კი ეს სტროფი კომისიამ ძირითადად მიიჩინა. პირველ ტაეპში: წითელი ათასი, გასწორდა — წითელი ჰაი ათასი. მეორე ტაეპი: და მიუშვდარო მან, გასწორდა — ნიადაგ მიუშვდარო მან. მესამე ტაეპში: ლალი ფერად მართ მიუშვდარო მან, გასწორდა — ლალ-იაგუნდი ფერად მართ მიუშვდარო მან. მეოთხე ტაეპში: ვაზირთან, დაიწერა — ვაზირისასა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას 1935 წ. 16 მაისიდან (12. VII — 15. IX და გამოსასვლელი დღეების გამოკლებით) 22 ნომერამდე თითქმის ყოველდღე ორ-ორი საათი (საღამოობით 7 — 9, დღისით 1 — 3 ს.) უხდებოდა მუშაობა პოემის ტექსტის განხილვად აღგუნაზე. ამ ხნის განმავლობაში მან ვეფხისტყაოსნის ტექსტის შეიდასზე მეტი სტროფი დაადგინა და კვლავ განაგრძობდა ინტენსიურ მუშაობას, რის შესახებაც ცნობები ამ წიგნის მეორე ნაკვეთშია მოცემული.

სამძიებლები

1. ვეფხისტყაოსნის ს. კაკაბაძისეული (1914 წ.) და პოემის საიუბილეო (1937 წ.) გამოცემათა შესაბამისი სტროფები¹

26 — 32; 27 — 33; 28 — 34; 29 — 35; 30 — 36; 31 — 37; 32 — 38; 33 — 39;
34 — 40; 35 — 41; 36 — 42; 37 — 43; 38 — 44; 39 — 45; 40 — 46; 41 — 47;
42 — 48; 43 — 49; 44 — 50; 45 — 51; 46 — 52; 47 — 53; 48 — 54; 49 — 55;
50 — 56; 50¹ — 57; 50² — 58; 51 — 59; 52 — 60; 52¹ — 61; 53 — 62;
54 — 63; 55 — 64; 56 — 65; 57 — 66; 58 — 67; 59 — 68; 60 — 69; 61 — 70; 62 —
71; 63 — 72; 64 — 73; 65 — 74; 66 — 75; 67 — 76; 68 — 77; 69 — 78;
70 — 79; 71 — 80; 72 — 81; 73 — 82; 74 — 83; 75 — 84; 76 — 85; 77 — 86;
78 — 87; 79 — 88; 80 — 89; 81 — 90; 82 — 91; 83 — 92; 84 — 93; 85 — 94; 86 —
95; 87 — 96; 88 — 97; 89 — 98; 90 — 99; 91 — 100; 91¹ — 101; 92 — 102;
93 — 103; 94 — 104; 95 — 105; 96 — 106; 97 — 107; 98 — 108; 99 — 109; 100 —
110; 110¹ — 111.

101 — 112; 102 — 113; 103 — 114; 104 — 115; 105 — 116; 106 — 117; 107 —
118; 108 — 119; 109 — 120; 110 — 121; 111 — 122; 112 — 123; 113 — 124;
113¹ — 125; 114 — 126; 115 — 127; 116 — 228; 117 — 129; 118 — 130; 119 —
131; 120 — 132; 121 — 133; 121¹ — 134; 122 — 135; 123 — 136; 124 — 137;
125 — 138; 125² — 139; 126 — 140; 127 — 141; 128 — 142; 129 — 143; 130 —
144; 131 — 145; 132 — 146; 133 — 147; 134 — 148; 135 — 149; 136 — 150;
137 — 151; 137¹ — 152; 138 — 153; 139 — 154; 140 — 155; 141 — 156; 142 —
157; 143 — 158; 144 — 159; 145 — 160; 146 — 161; 147 — 162; 148 — 163;
149 — 164; 150 — 165; 151 — 166; 152 — 167; 153 — 168; 154 — 169; 155 —
170; 156 — 171; 157 — 172; 158 — 173; 158¹ — 174; 159 — 175; 160 — 176;
161 — 177; 162 — 178; 163 — 179; 164 — 180; 165 — 181; 166 — 182; 167 — 183;
168 — 184; 168¹ — 185; 169 — 186; 170 — 187; 171 — 188; 172 — 189; 173 —
190; 173¹ — 191; 174 — 192; 174¹ — 193; 175 — 194; 176 — 195; 177 — 196;
178 — 197; 179 — 198; 180 — 199.

181 — 200; 182 — 201; 183 — 202; 184 — 203; 185 — 204; 186 — 205; 187 —
206; 188 — 207; 189 — 208; 190 — 209; 191 — 210; 192 — 211; 193 — 212;
194 — 213; 195 — 214; 196 — 215; 197 — 216; 198 — 217; 199 — 218; 200 —
219; 201 — 220; 202 — 221; 202¹გ — 222; 203 — 223; 204 — 224; 205 —

¹ პროლოგის სტროფები განხილულია ამ წიგნის მეორე ნაკვეთში, ამიტომ მათი სამძიებელი იქ არის მოცემული. პირველი ციფრები აღნიშნავს ს. კაკაბაძის გამოცემას, მეორე — საიუბილეოსას.

— 225; 206 — 226; 207 — 227; 208 — 228; 209 — 229; 210 — 230; 211 — 231; 212 — 232; 213 — 233; 214 — 234; 214¹ — 235; 215 — 236; 216 — 237; 217 — 238; 218 — 239; 219 — 240; 220 — 241; 221 — 242; 222 — 243; 223 — 244; 224 — 245; 225 — 246; 226 — 247; 227 — 248; 228 — 249; 229 — 250; 230 — 251; 231 — 252; 231⁶ — 253; 232 — 254; 233 — 255; 234 — 256; 235 — 257; 236 — 258; 236¹ — 259; 237 — 260; 238 — 261; 239 — 262; 240 — 263; 241 — 264; 242 — 265; 243 — 266; 244 — 267; 245 — 268; 246 — 269; 247 — 270; 248 — 271; 249 — 272.

250 — 273; 251 — 274; 252 — 275; 253 — 276; 254 — 277; 255 — 278; 256 — 279; 257 — 280; 258 — 281; 259 — 282; 260 — 283; 261 — 284; 262 — 285; 263 — 286; 264 — 287; 265 — 288; 266 — 289; 267 — 290; 268 — 291; 269 — 292; 270 — 293; 271 — 294; 272 — 295; 273 — 296; 274 — 297; 274² — 298; 275 — 299; 276 — 300; 276¹ — 301; 276² — 302; 277 — 303; 277¹ — 304; 277² — 305; 278 — 306; 279 — 307; 280 — 308; 281 — 309; 282 — 310; 283 — 311; 284 — 312; 285 — 313; 286 — 314; 287 — 315; 288 — 316; 289 — 317; 290 — 318; 291 — 319; 291¹ — 320; 292 — 321; 293 — 322; 293¹ — 323; 294 — 324; 295 — 325; 296 — 326; 297 — 327; 298 — 328; 299 — 329.

300 — 330; 301 — 331; 302 — 332; 303 — 333; 304 — 334; 305 — 335; 306 — 336; 307 — 337; 308 — 338; 308⁵ — 339; 309 — 340; 310 — 341; 311 — 342; 312 — 343; 313 — 344; 314 — 345; 315 — 346; 316 — 347; 317 — 348; 318 — 349; 319 — 350; 320 — 351; 321 — 352; 322 — 353; 323 — 354; 324 — 355; 325 — 356; 326 — 357; 327 — 358; 328 — 359; 329 — 360; 330 — 361; 331 — 362; 332 — 363; 333 — 364; 334 — 365; 335 — 366; 336 — 367; 337 — 368; 338 — 369; 339 — 370; 340 — 371; 341 — 372; 341¹ — 373; 342 — 374; 343 — 375; 344 — 376; 345 — 377; 346 — 378; 347 — 379; 347¹ — 380; 348 — 381; 349 — 382.

350 — 383; 351 — 384; 352 — 385; 353 — 386; 354 — 387; 355 — 388; 356 — 389; 357 — 390; 358 — 391; 359 — 392; 360 — 393; 361 — 394; 362 — 395; 363 — 396; 364 — 397; 365 — 398; 366 — 399; 367 — 400; 368 — 401; 369 — 402; 370 — 403; 371 — 404; 372 — 405; 373 — 406; 374 — 407; 375 — 408; 376 — 409; 377 — 410; 378 — 411; 379 — 412; 380 — 413; 381 — 414; 381¹ — 415; 382 — 416; 383 — 417; 384 — 418; 385 — 419; 386 — 420; 387 — 421; 388 — 422; 389 — 423; 390 — 424; 391 — 425; 392 — 426; 393 — 427; 394 — 428; 395 — 429; 396 — 430; 397 — 431; 398 — 432; 399 — 433; 400 — 434.

401 — 435; 402 — 436; 403 — 437; 404 — 438; 405 — 439; 406 — 440; 407 — 441; 408 — 442; 409 — 443; 410 — 444; 411 — 445; 412 — 446; 413 — 447; 414 — 448; 415 — 449; 416 — 450; 417 — 451; 418 — 452; 419 — 453; 420 — 454; 421 — 455; 422 — 456; 423 — 457; 424 — 458; 425 — 459; 426 — 460; 427 — 461; 428 — 462; 429 — 463; 430 — 464; 431 — 465; 432 — 466; 433 — 467; 434 — 468; 435 — 469; 436 — 470; 437 — 471; 438 — 472; 439 — 473; 440 — 474; 441 — 475; 442 — 476; 443 — 477; 444 — 478; 445 — 479; 446 — 480; 447 — 481; 448 — 482; 449 — 483; 450 — 484;

451 — 485; 452 — 486; 452¹ — 487; 453 — 488; 454 — 489; 455 — 490; 456 — 491; 457 — 492; 458 — 493; 459 — 494; 460 — 495; 461 — 496; 462 — 497; 463 — 498; 464 — 499; 465 — 500; 466 — 501; 467 — 502; 468 — 503; 469 — 504; 470 — 505; 471 — 506; 472 — 507; 473 — 508; 474 — 509; 475 — 510; 476 — 511; 477 — 512; 478 — 513; 479 — 514; 480 — 515; 481 — 516; 482 — 517;

483 — 518; 484 — 519; 485 — 520; 486 — 521; 487 — 522; 488 — 523; 489 —
— 524; 490 — 525; 491 — 526; 492 — 527; 493 — 528; 494 — 529; 495 — 530;
496 — 531; 497 — 532; 498 — 533; 499 — 534; 500 — 535.

501 — 536; 502 — 537; 503 — 538; 504 — 539; 505 — 540; 506 —
— 541; 507 — 542; 508 — 543; 509 — 544; 510 — 545; 511 — 546; 512 — 547;
513 — 548; 514 — 549; 515 — 550; 516 — 551; 517 — 552; 518 — 553; 519 — 554;
520 — 555; 521 — 556; 522 — 557; 523 — 558; 524 — 559; 525 — 560; 526 —
— 561; 527 — 562; 528 — 563; 529 — 564; 530 — 565; 531 — 566; 532 — 567;
533 — 568; 534 — 569; 535 — 570; 536 — 571; 537 — 572; 538 — 573; 539 —
574; 540 — 575; 541 — 576; 542 — 577; 543 — 578; 544 — 579; 545 — 580; 545¹ —
— 581; 546 — 582; 547 — 583; 548 — 584; 549 — 585; 549¹ — 586.

550 — 587; 551 — 588; 552 — 589; 553 — 590; 554 — 591; 555 — 592;
556 — 593; 557 — 594; 558 — 595; 559 — 596; 560 — 597; 561 — 598; 562 —
— 599; 563 — 600; 564 — 601; 565 — 602; 566 — 603; 567 — 604; 568 — 605;
569 — 606; 570 — 607; 571 — 608; 572 — 609; 573 — 610; 574 — 611; 575 —
— 612; 576 — 613; 577 — 614; 578 — 615; 579 — 616; 580 — 617; 581 — 618;
582 — 619; 583 — 620; 584 — 621; 585 — 622; 586 — 623; 587 — 624; 588 —
— 625; 589 — 626; 590 — 627; 591 — 628; 592 — 629; 593 — 630; 594 — 631;
595 — 632; 596 — 633; 597 — 634; 598 — 635; 599 — 636.

600 — 637; 601 — 638; 602 — 639; 603 — 640; 604 — 641; 605 — 642;
606 — 643; 607 — 644; 608 — 645; 609 — 646; 610 — 647; 611 — 648; 612 —
— 649; 613 — 650; 614 — 651; 615 — 652; 616 — 653; 617 — 654; 617² — 655;
618 — 656; 619 — 657; 620 — 658; 621 — 659; 622 — 660; 623 — 661; 624 —
— 662; 625 — 663; 626 — 664; 627 — 665; 628 — 666; 629 — 667; 630 — 668;
631 — 669; 631¹ — 670; 632 — 671; 633 — 672; 634 — 673; 635 — 674; 636 — 675;
637 — 676; 638 — 677; 639 — 678; 640 — 679; 641 — 680; 642 — 681;
643 — 682; 644 — 683; 645 — 684; 646 — 685; 647 — 686; 648 — 687; 649 — 688.

650 — 689; 651 — 690; 652 — 691; 653 — 692; 654 — 693; 655 — 694; 656 —
— 695; 657 — 696; 658 — 697; 659 — 698; 660 — 699; 661 — 700; 662 — 701;
663 — 702; 664 — 703; 665 — 704; 666 — 705; 667 — 706; 668 — 707; 669 — 708;
670 — 709; 671 — 710; 672 — 711; 673 — 712; 674 — 723; 675 — 714; 676 —
715; 677 — 716; 678 — 717; 679 — 718; 680 — 719; 681 — 720; 682 — 721; 683 —
— 722; 684 — 723; 685 — 724; 686 — 725; 687 — 726; 688 — 727; 689 — 728;
690 — 721; 691 — 730; 692 — 731; 693 — 732; 694 — 733; 695 — 734; 696 — 735;
697 — 736; 698 — 737; 699 — 738; 700 — 739.

701 — 740; 702 — 741; 703 — 742; 704 — 743; 705 — 744; 706 — 745;
707 — 746; 708 — 747; 709 — 748; 710 — 749; 711 — 750; 712 — 751; 713 —
— 752; 714 — 753; 715 — 754; 716 — 755; 717 — 756; 718 — 757; 719 — 758;
720 — 759; 721 — 760; 722 — 761; 723 — 762; 724 — 763; 725 — 764; 726 —
765; 727 — 766; 728 — 767; 729 — 768; 730 — 769; 731 — 770; 731¹ — 771.

2. პიროვნული და გეოგრაფიული სახელები

აბაშელი ალ. 63, 90.

აბულაძე ილ. 193.

აბულაძე იუსტ. 5, 16, 22 — 25, 27 — 30, 32, 34, 36 — 38, 41, 43, 57, 72, 78, 93, 94, 96, 97, 99, 100 — 112, 114 — 118, 121 — 123, 127 — 142, 144, 145, 147, 149 — 151, 154, 155, 157, 159 — 164, 167, 169 — 173, 175 — 178, 180, 181, 183 — 185, 187 — 198, 200 — 202, 205 — 207, 210, 211, 213 — 222, 224, 225, 228 — 230, 232 — 245, 247, 248, 250, 254 — 260, 262 — 268, 270 — 275, 278 — 291, 293.

ადგიშვილი შ. 68, 90.

Арднели Ш. 65.

არსენიშვილი გ. 86.

არტანუჯი 159.

არჩილ მეფე 70, 71.

ასტრახანი 85.

აღნიაშვილი ლ. 89.

ბათუმი 22.

ბარათაშვილი ნ. 15.

ბარამიძე ალ. 83, 87, 89, 90, 93 — 97, 99 — 102, 104 — 112, 114, 115, 120, 121, 123, 127, 128, 130 — 132, 134, 136, 138 — 141, 144, 146 — 149, 151 — 157, 159 — 161, 163, 164, 167, 168, 170 — 173, 175 — 177, 180, 184, 185, 187 — 196, 198 — 207, 209 — 211, 214, 215, 217 — 221, 224 — 226, 228, 230, 232 — 236, 238, 240, 241, 243, 245, 248, 250, 251, 253 — 255, 257, 260, 262, 264 — 268, 270, 271, 273 — 282, 285 — 291, 293.

ბატონიშვილი რამადან 50.

ბაქო 22.

ბაღდასარაშვილი გ. 91.

ბერიძე ვუკ. 63 — 69, 72, 89, 90, 93, 94, 96, 97, 99 — 102, 107, 108, 111, 114 — 117, 120, 121, 123, 125 — 134, 136 — 140, 142, 145 — 163, 165 — 172, 174 — 277, 179, 180, 183 — 201, 203 — 205, 207, 208, 212 — 218, 224 — 226, 228, 232 — 238, 242, 247, 254, 256 — 258, 260, 262 — 270, 273 — 280, 282, 287 — 293.

ბოგეშია 70.

ბოდლე 48. 92.

ბოლქვაძე ვ. 86.

ბრიერი 260.

ბროსე მ. 5, 8, 57, 94, 185, 190, 201, 211, 267.

გაგარინი 8, 44.

გამსახურდია კ. 67.

გაჩეჩილაძე მ. 40.

გაწერელია ა. 62, 65, 68, 69, 71, 90.

გერმანე ხუცეს-მონაზონი 79.

გვარჯალაძე კ. 37.

გიგინეიშვილი ივ. 86, 93.

გიორგი ლაშა 52.

გიორგი მესამე 50, 52.

გოგებაშვილი ი. 7, 9, 10, 18, 19, 26, 27, 34, 35, 39, 45, 47.

გოგოლი ნ. 70.

გოდაბრელიძე 91.

გორგაძე ს. 28, 37.

გრიგოლია ვლ. 79, 83.

გრიშაშვილი ე. 46, 52.

გუდიშვილი ლ. 57, 58, 63, 64.
გურგენელი 106.

დადიანი ს. 36, 37.
დავით რექტორი 219.
დავითაშვილი შ. 10, 12, 13, 15 — 17.
დანტე ალიგიერი 254.
დარჩია ბ. 5.
დივნაგორცევა ი. 83.
დიონისი (დიაგნოსი, დიანოსი) 167, 168.
დონდუა კ. 94.
დუდუჩავა ალ. 65, 67, 69, 89, 90, 94.

ევროპა, 90, 246.
ეზრა წინასწარმეტყველი 167.
ეფრატი 276.

ვაეა-ფშაველა 270.
ვარდოშვილი ხ. 63.
ვარძია 50.
ვახტანგ VI 24, 29, 31, 37, 41, 43, 44, 48, 50, 54, 55, 64, 68 — 71, 76 — 80, 82 — 91, 92, 94, 101, 106, 109 — 111, 113, 114, 135, 136, 142, 154, 155, 157, 160, 161, 165, 171, 174, 175, 180, 189, 190, 219 — 222, 235, 242 — 244, 246, 247, 252, 254, 255, 263, 266 — 268, 280.
ვოლტერი 70.

ზუღგენიძე 91.
ზესტაფონი 91.
ზიჩი მ. 6, 7, 9, 19, 30, 39, 44, 51, 53, 56, 62.
ზუგდიდი 90.

თავართქილაძე კ. 6, 17, 18 — 20, 30, 33, 62.
თაეაქარაშვილი მ. 50, 52, 73.
თამარ მეფე 19, 50, 52, 59.
თარხნიშვილი ნ. 8, 50.
თარხან-მოურავი 92.
თაყაიშვილი ექვთ. 6, 8, 37, 48, 57, 78, 92.
თბილისი 8, 18, 21 — 23, 40, 41, 56, 63, 84, 86, 89, 90, 243 — 246, 248, 250, 267, 268, 271, 276, 277, 286.

თეიმურაზ ბატონიშვილი 16, 167.
თეიმურაზ პირველი 71, 153, 165.
თმოგველი სარგის 44, 48.
თოდუა ა. 5.
თორელი 49.
თოფურია ვ. 89, 100.

იმერეთი 186, 220.
ინგოროყვა პ. 5, 35, 37, 69, 78, 89, 90, 94, 99, 103, 107, 108, 119, 120, 123, 127, 155 — 158, 160, 163 — 165, 288.
იორდანიშვილი სოლ. 5, 68, 69, 71, 72, 89, 90, 93, 94, 97, 100, 102, 104 — 111, 113, 114 — 118, 121, 123, 127 — 132, 135, 138 — 140, 142, 143, 145 — 151, 153 — 155, 157, 159, 160, 163, 165 — 167, 169 — 172, 175, 176, 178, 180, 184 — 189, 191, 192, 195, 196, 198, 200 — 207, 209 — 214, 216 — 226, 228, 230, 232, 233, 235, 237 — 239, 242 — 244, 246 — 262, 264 — 266, 268, 270 — 293.

კაკაბაძე დ. 26.
კაკაბაძე სარგ. 3 — 5, 21, 22, 25, 28, 34, 36, 37, 47 — 49, 52 — 54, 57, 90, 92 — 94, 96 — 100, 104 — 108, 110 — 113, 115 — 117, 119, 141, 142, 144 — 150, 152, 154, 166, 167, 169, 170, 172, 174 — 176, 180, 181, 185 — 189, 192, 193, 211, 218, 226, 228, 230, 232, 233, 240, 242, 251 — 254, 256, 261, 264 — 271, 275, 277 — 279, 281 — 284, 287 — 289, 292.

კალაშნიკოვი მიხ. 50.
კაპუსტიანოვი გ. 82.
კარგვაშვილი დ. 5, 8, 10, 11 — 14, 16 — 18, 35 — 38, 57, 62, 78, 94, 106 — 108, 111, 138, 223, 281.
კასტელი ქ. 50.
კეკელიძე კ. 4, 5, 69, 72, 73, 74, 75, 78, 90, 93, 94, 97, 200 — 105, 107 — 111, 113, 115 — 121, 123, 125 — 128, 130 — 132, 135, 136, 138, 140, 142 — 144, 146, 147, 149 — 151, 153 — 155, 157 — 160, 162, 163, 165, 167, 168, 171, 173, 175 — 193, 195, 196, 198, 200,

209, 210, 212, 214 — 220, 222, 223, 225, 226, 228, 230, 232, 234, 235, 237 — 252, 261, 262, 264 — 266, 268, 270, 273 — 283, 285, 287 — 289.

კვიციარიძე ის. 22.

კიკვაძე თ. 36, 37, 40.

კილაძე 23.

კირილე იხ. ლორთქიფანიძე კირილე.

კოტეტიშვილი ვ. 90.

ლენინგრადი 85, 91, 100.

ლეონიძე გ. 90.

ლისაშვილი ი. 59.

ლორთქიფანიძე კირილე 26, 39, 44, 46.

მარი ნ. 67, 107, 108, 110, 116, 119, 120, 142, 241, 242.

მარუაშვილი ა. 68.

მაკაეარიანი გ. 36, 37.

მაკაეარიანი თ. 77.

მღვიანი დავ. 91.

მესხეთი 50.

მესხი 48.

მეტრეველი ლ. 68.

მთავრიშვილი თ. 22, 35.

მირიანაშვილი პ. 37.

მიქელაშვილი 62.

მონასტრები: გელათის 50, ჯვარის (იერუსალიმი) 8, 50.

შიო მღვიმის 50.

მოსე ხონელი 34.

მოსკოვი 64, 90, 139.

მურადოვი 68.

მუროვი 8.

მხეიძე ი. 32.

ნადირაძე გ. 83.

ნიკოლაძე ი. 50.

ნიკოლაძე ნ. 67.

ნუცუბიძე შ. 76.

ოზურგეთი 62.

Орагвелидзе К. 164.

ორბელიანი სულხან-საბა 97, 252, 283.

ოქსფორდი 48, 51, 92.

ოცნებები (იოსებო და სიმონი) 22.

პარიზი 48, 63, 92.

ყურული გ. 6.

რადიანი შ. 90.

რაქა 129, 186.

რომი 170.

რუმინანცევი 139.

რუსთველი შოთა 8, 9, 12, 18, 19, 24 — 26, 29, 33, 34, 44, 45, 48—50, 52, 55 — 59, 63 — 65, 66, 68 — 71, 74 — 77, 84, 100 — 103, 106, 112, 114, 121, 123 — 126, 133, 134, 141, 142, 145, 152, 159, 161, 165, 167, 169, 173, 181, 183 — 185, 189, 190, 191, 193, 194, 197, 198, 202, 205, 207, 211, 223, 224, 235, 241, 243, 245, 246, 255, 258, 260, 265, 267, 268, 274 — 276, 283.

რუსთავი 48, 50.

სარგის თმოგველი იხ. თმოგველი სარგის. სამანიდი 220.

სამარყანდი 280.

სარაჯიშვილი ალ. 29, 116, 119.

საქართველო 91.

საჩხერე 220.

სახოკია თ. 91.

სერვანტესი 70.

სტამბები: „ნადევედა“ 18, 32.

ქუთათელაძის 8.

ტაშკენტი 280.

ტოლსტოი ლ. 70.

ტორთშელიძე მ. 65.

ტფილელი ი. 224.

უორდრობი 48, 51, 92, 119.

ფიცხელაური სპ. 21.

ფოთი 22.

ქავთარაძე 91.

ქართველიშვილი გ. 5 — 7, 10, 11, 15, 17, 20, 24, 25, 29, 37, 52, 57, 111, 138, 185, 281.

ქიქოძე გ. 90.

ქუთაისი 22, 35, 41, 48, 57, 90, 173, 179.

ჟაუხჩიშვილი სიმ. 90.

ყიფიანი დ. 62.

ყიფიანი მ. 9.

ყუბანეიშვილი სოლ. 35, 48, 87, 92.

შავთელი 48.

შანიძე აკაკი 76, 78, 79, 82 — 84, 86, 87, 90, 93, 94, 97 — 105, 107 — 112, 114 —

— 118, 121 — 123, 127 — 133, 135 —

— 140, 142 — 150, 154, 160 — 163, 165,

167 — 172, 174 — 177, 179, 180, 184,

185, 190, 191, 193 — 198, 200, 201,

203 — 207, 209 — 212, 214 — 221,

223 — 226, 228, 230, 232 — 243, 246 —

— 251, 253 — 262, 264, 270, 272 — 275,

277 — 279, 281, 282, 284 — 292.

შექსპირი 9, 70.

ჩარკვიანი გრ. 62.

ჩახრუხაძე 49.

ჩიქობავა ა. 90.

ჩიქოვანი სიმ. 67, 68, 90.

ჩუბინაშვილი დ. 5, 8, 15, 16, 57, 94, 185.

ჩუბინიძე რ. 91.

ცენკერი 106.

ციციშვილი ზაზა 8, 25, 44, 50, 52, 91,

263.

ციხისტავი ლ. 90.

ცხვედაძე ნ. 6, 8.

წერეთელი გ. 62, 93.

წერეთელი მ. 5.

წულუკიძე პ. 35.

ჭავჭავაძე ილია 162.

კიაბერი 44, 50, 53.

კიკინაძე კ. 5, 54, 56, 58 — 61, 65 — 69,

71 — 76, 78, 90, 93 — 95, 97, 98, 100,

102 — 108, 110, 111, 113, 115, 117, 121,

123, 127, 128, 130 — 132, 135 — 144,

146, 147, 149 — 155, 157, 159 — 161,

163, 164, 166 — 173, 175 — 181, 183 —

— 207, 210 — 219, 221 — 229, 232 —

— 254, 257 — 270, 273 — 277, 280,

281, 286, 288, 289.

ხავთასი გ. 94.

ხუბუა მ. 93.

ჯავახიშვილი ივ. 69, 76, 90, 94, 99.

ჯავახიშვილი მიხ. 65, 67, 69, 70, 90.

ჯანაშვილი მ. 9, 37.

ჯანაშია ს. 90.

ჯაფარიძე გ. 79.

ბაიაში 177.

პომეროსი 246.

გამოცემა იმ. თავართქილაძეების № 100.

3-2527.

ვეფხისტყაოსანი

(სურათებით)



ზოთა ჩუსთაველისა.



თფილისი.

ელექტრონით მშეკლავი სტამბა შათა თავართქილაძეებისა.

1903

1903
2435

ქ. შ. წერეთლის გამაერთ. საზოგადოების გამოცემა N 63.

ზოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

4 პორტრეტით და 21 სურათით

შეცხრამეტე გამოცემა

დ. კ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს

წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვერცხლის ლექსიკონით.

ბ შ ი ლ ი ს ი

საწიფელ-შეგუდ-ეი არ. ქუთაიელადობა, ნიკ. ქ. № 21.

1903

№ 3.

3-2580.

გამდგემა ქ. თავართქილაძისა.

ვეფსის-სყარსანი


(სურათებით)

ზოთა რუსთაველისა.



თფილისი

სტამბა „ნადეუდა“ სკენოვის ქ. № 4
1910 წ.



ვეფხისტ

ტყაოსანი

სარგის კაკაბაძის
რედაქტორებით.

ტფილისი.

4-523

შ. რუსთველი

ვეფსის-ხუარსანი

ო. აბულაძის
ჩელაქობით.

თბ. „წიგნობრივის ქუჩა“-სი

მე-22-სე გამოცემა.

ს. ი. ფ. ი. ლ. ბ. ს. ი.
მსწრაფელ-მეკლავი „ნაღველი“
1914

თ. ა. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა

ვეფხისტყაოსანი

სულთა რუსთაფილისა

ფასი 7 მან.

ბუთანი

ქართველთა შორის წ.-ქ. გამაერც. საზოგადოების ქუთ. განუ. სტამბა
1918.

წიგან-ქიხუის გამაგრებული საზოგადოების გამოცემა № 201

ფოთა რუსთველი

გეგმისგეგმარანი

შინაარსის და ვრცელის ლექსიკონის დათვით

საზოგადოების შეორე გამოცემა

დ. კარიჭავჭილის რედაქტორებით

2 კორტრეტით და 21 ხურათით

ტფილისი

სტამბა „სორაპანი“ მადალოვის კუნძული № 1

1920

H
4-362,

ფოტო რეცეპტი

ვეფხისტყაოსანი

მე-26-ე გამოცემა

იუსტიციის მინისტრის რედაქციის მიერ

თქვენი მისივე პატივით, ამოღებულია წინამდებარე გამოცემაში და უკვე
გამოცემულია დროით და შეიძლება გამოვიდეს შემდგომ

ՅԵՅԵՆ ԵՎ ԵՆԵՆ

ՆԱԿՈՆ ԿԱՅԱՅԱՐԻՆ ԿՈԼԵԿՏՈՐԱՅԻՆ
ԿՈՄԻՏԵՆ ԵՐՄԱՅ



ტაბ. X

II $\frac{1}{2}$ 1-59 შობა რუსთაველი.

ვეფხისტყაოსანი

გამომცემლობა „სრომა“
1927 წ.



5-128a

შოთა რუსთველი

ვეფხისტყაოსანი

ვახტანგისეული
გ ა მ ო ც ე მ ა
1 7 1 2 წლისა

აღდგენილი
საკუთარი შანიძის მიერ



ტფილისს 1937

დამატებანი და შესწორებანი

ვეფხისტყაოსნის 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმებში კორექტურულ შეცდომებად მიჩნეული სიტყვათა სია, რომლებიც წიგნის სქოლიოებში მითითებული არ არის. მძიმის წინა ციფრები აღნიშნავს წიგნის გვერდს, მომდევნო — სტრიქონს. პირველად დასახელებულია გასწორებული სიტყვა, მეორედ — გაუსწორებელი.

101, 16 აწყა — აწყა. 101, 18 როსტენ — როსტევან. 114, 7 ვკითხავთ — ვკითხობთ, 122, 3 ქ. სამზოდ — სამზაიდა. 122, 18 კელა რამე — ველა რამე. 128, 24 მხტომელი-ხტომელი. 128, 4 ქ. მონანიე — მონანიე. 135, 11 ქ. გახლიჩა — გახლიჩა. 136, 18 ქ. როსტენს... როსტანს — როსტენს... როსტან. 137, 6 გაცასწყრა — გაცაწყრა; 137, 10 საწვევრად — საწვევრად. 137, 22 კირნი-კირმან. 137, 7 ქ. ხელ აუპურობლად — ხელ-აღუპურობლად. 139, 5 ქ. ამით-ა-ამითა. 140, 5 აწყალა — აწყალა 140, 6 ფერნამკრთალი — ფერ-მკრთალი. 141, 6 თქვენი აგრე — თქვენი ადრე. 143, 18 მესხნენ — მესხნენ. 151, 10 ქ. უსათუოდ — უსაცილოდ. 154, 16 ქ. მომხედეს — მომხვდა. 157, 2 მოსცილდება — მისცილდების. 193, 14 მთაო — მშაო. 207, 5 შეპყრის — შეპყრის. 235, 6 ქ. გითხრენ — გითხსრენ. 269, 14 სიახლემან — სიარულმან. 276, 11 მხსენებმა — მხსენებმა. 276, 12, 14 მიწამან-მინამან, 284, 4 ქ. სხდეს — სხედს.

აქვე ვიძლევიტ შემდეგ შესწორებებს: 128, 2 უარესია + ხელნაწერთა ვარიანტებზე დაყრდნობით. 131, 15 გასწორდა + ხელნაწერებზე დაყრდნობით. 140, 12 ქუთ. მუზ.: მიპყვა + მესამე ტაეპში: ნება ნებასა — დაიწერა დეფისით. 188, 2 ქ. გამართულია + პირველ ტაეპში: არას მივპყევ ნები + ღრმარითმაა. 191, 2 აკლია + სტროფი არ მოიპოვება H 599, ქ. 205, S 2899, 4499, Q 261 ხელნაწერებში. 215, 2 რომ + + რითმის თვალსაზრისით. 240, 5 ქ. მოველო + კომისია ამ შენიშვნას არ ღებულობს. შესწორებას არც ერთი ვარიანტი არ უჭერს მხარს. 249, 18, დარჩეს + აზრი იქნება ყოველგნით საკურტკლის წამასმელნი კაცნი. 269, 14 სიახლემან — სიარულმან.

ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის (1937 წ.) ტექსტის დამდგენ კომისიის ოქმებში, უმეტეს შემთხვევაში, არაა დასახელებული ხელნაწერები, რომლებიც გამოყენებული იყო პოემის ტექსტის დადგენისას. ზოგჯერ დასახელებულია. მაგრამ შემოწმებისას ზოგში მითითებული წაკითხვა სიზუსტეს მოკლებული აღმოჩნდა. ამ ნაკვეთში აღნიშნული ხელნაწერების დასახელება ტექნიკური მიზეზის გამო, გადატანილი იქნა II ნაკვეთში.

ზინაარსი

| | |
|--|-----|
| წინასიტყვაობა | 3 |
| ვეფხისტყაოსნის გამოცემანი: | |
| კ. თავართქილაძის 1903 წ. | 6 |
| დ. კარიჭაშვილის 1903 წ. | 8 |
| კ. თავართქილაძის 1910 წ. | 18 |
| ს. კაკაბაძის 1914 წ. | 20 |
| ი. აბულაძის 1914 წ. | 27 |
| დ. კარიჭაშვილის 1920 წ. | 36 |
| ი. აბულაძის 1926 წ. | 41 |
| ს. კაკაბაძის 1927 წ. | 47 |
| ს. კაკაბაძის 1927 წ. | 53 |
| „შრომას“ 1928 წ. | 54 |
| კ. კიკინაძის 1934 წ. | 56 |
| ვახტანგ VI-ის (აღდგენილი) 1937 წ. | 77 |
| საიუბილეო (1937) წ. | 89 |
| საძიებლები | 294 |
| ვეფხისტყაოსნის გამოცემათა თავფურცლების ფოტოპირები დამატებანი და შესწორებანი | 301 |

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი **ც. ჯ ი მ შ ე ლ ე ი შ ე ი ლ ი**
ტექრედაქტორი **ნ. თ კ უ ჯ ა ვ ა**
მხატვარი **გ. ნ ა ღ ი რ ა ძ ე**
კორექტორი **მ. მ ა ხ ა რ ა ძ ე**

გადაეცა წარმოებას 26.6.72; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.5.73;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 2. ნაბეჭდი თაბახი 19,75;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.99;
უე 01037; ტირაჟი 800; შეკვეთა № 1793;
ფასი 1 მან. 75 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

СОЛОМОН ИВЛИАНОВИЧ КУБАНИЕИШВИЛИ
ИЗ ИСТОРИИ ПЕЧАТАНИЯ ВЕПХИСТКАОСАНИ

(на грузинском языке)